**V, 1—4.** «Миджнур» на арабскомъ языкѣ значитъ «блѣшній»<sup>2)</sup>; такъ (называютъ влюбленнаго) потому, что онъ безумствуетъ отъ огорченія, не достигнувъ своей (цѣли). Одни (изъ влюбленныхъ) ощущаютъ приближеніе къ Богу<sup>3)</sup>: они изнуряются въ воспареніяхъ въ высь; у другихъ низменная природа: разстилаются у (ногъ) красавицъ».

Въ завѣщанномъ текстѣ послѣдняя фраза по-грузински гласить ბეჭუნებია ფერს ფრებითა, чтѣ значить: «они порхаютъ (букв. летаютъ) надъ красавицами». Слово ფრებითა летаютъ (букв. летаниемъ) не мо-

1) букв.: „то, что“.

2) По-арабски слово звучитъ не «миджнур», а „межнун“ (см. Этюдъ, § 11 стр. LI). Замѣна „и“ звукомъ „р“—рѣдкій случай грузинского чередованія: обыкновенно вм. „и“ въ такихъ случаяхъ появляется „и“.

3) или „Бога“, букв.: „божественное приближеніе“.

жеть быть первоначальнымъ чтеніемъ, такъ какъ этотъ же глаголь *уже* использовать въ предыдущемъ, 3-мъ стихѣ, того же четверостишия<sup>1</sup>). Искаженное чтеніе можно легко замѣнить другимъ словомъ, не нарушая самыхъ строгихъ требованій грузинской прозодіи. Затрудненіе лишь въ томъ, чemu отдать условное предпочтеніе. Вмѣсто *ფერებითა* можно бы читать *ფერების*, и тогда занимающая нась часть по-русски значила бы: «они находять отраду съ красавицами». Я остановился на чтеніи *ფერების*, отличающемся отъ наличаго лишь отсутствіемъ одной буквы *ს*, но если сохранить при этомъ предшествующій послѣлогъ *ყდესб*, получится маловѣроятный по цинизму текстъ: «они разстилаются на красавицахъ». Замѣнивъ же *ყდესб надз*, на послѣлогомъ *ოხვები*, *близз*, *у*, мы получаемъ наше, конечно, условное чтеніе съ даннымъ уже переводомъ: «разстилаются у красавицъ». Ни при какомъ чтеніи нельзя скрыть, что въ четверостишии проводится взглядъ на любовь, совершенно чуждый Шотѣ, но объ этомъ уже сказано (стр. 48—51) въ связи съ двумя предшествующими четверостишіями, съ которыми оно составляетъ одно цѣлое. Здесь ограничусь лишь указаниемъ на одну несуразность: толкованіе арабскаго термина дается послѣ того, какъ поэтъ не разъ успѣлъ употребить его (3, 2; 11, 3; 12, 1, 2; 13, 1; 14, 1, 4; 15, 1; 16, 1,4) и исчерпалъ вопросъ объ его значеніи (12—16).

## Поясненія къ вставкамъ въ заключительныхъ строфахъ.

O1<sup>2</sup>, 1—4. „Таковъ сей міръ: никто на него не можетъ положиться. Онъ—лишь одинъ мигъ, опережающей миганія человѣческаго глаза и рѣчицъ. Что или кого<sup>2</sup>) ищете? Чѣмъ занимаетесь вы? Судьба (все равно) посрамитъ. Хорошо, если кому она не измѣняетъ, если кому сопутствуетъ (судьба) въ обоихъ (мірахъ).“

1) Можетъ быть, кто-либо будетъ настаивать, что тѣмъ не менѣе надо оставить наличное чтеніе завѣщанного текста. Нѣтъ особенной вадобѣзости оспаривать такой взглядъ; въ такомъ случаѣ лишь получается доводъ не только подложности данного четверостишия, но и принадлежности его плохому поэту.

2) *კის* [или] *კიი* въ изд. Д. Каричашвили: *კის* *კო*.

Четверостишіе представляетъ цѣлкомъ толкованіе на тему, возбужденную въ строфѣ 01-й, толкованіе позднѣйшаго интерполятора.

**О2<sup>2</sup>,1—4.** „Какъ мнѣ воспѣть на гусляхъ<sup>1)</sup> Давида эти иностранные<sup>2)</sup> разсказы о проворствѣ и бояхъ чужихъ государей. Я напалъ на древніе достохвальные обычаи и дѣла тѣхъ царей и переложилъ въ стихи, такъ мы позабавились“.

Трудно сказать, кому пришла въ голову мысль приписать Шотѣ намѣреніе воспѣть эти экзотические разсказы на „гусляхъ Давида“, но менѣе всего обѣ этомъ могъ думать самъ Шота. И это четверостишіе есть упражненіе на тему, внушенную строфами всупительною 8-ю и заключительною и 02-ю.

**О, 1—4.** „Амирана Дареджанис-дзе воспѣль Моисей Хонскій, Абдул-месю — Шавтели, стихъ котораго прославленъ, Диаргета — Саргисъ Тмогвскій съ плавною рѣчью, Таріела — его Руставскій (пѣвецъ), не осушающій слезъ о немъ“.

Эта любопытная историко-литературная замѣтка, конечно, не произведеніе Шоты. Авторъ ея лишь послѣдній стихъ пишетъ съ воспоминаніями изъ *Витязя въ барсовой кожѣ* (10,1).

---

1) Въ завѣщанномъ текстѣ *ქადაგი* по опискѣ вм. *ქადაგი*.

2) *უცნოვი* можетъ означать также *экзотический, диковинный, прекрасный*.



## ივანე ჯავახიშვილი

საქართველოს საზოგადო მდგომარეობა და კულტურული ვითარება  
ძლიერებისა და აყვავების ხანაში (ფრაგმენტი)\*

აი ეს არის საქართველოს უალრესი კულტუროსნობის დამამტკიცებელი საბუთი, საერთაშორისო თანამშრომლობის იმდროისათვის გასაოცარი და მომხიბლავი მაგალითი!.. ქართველების მაშინდელ მთელს სიძლიერეს ის შეადგენდა, რომ სამხედრო ძლევამოსილების გარდა მათ თავიანთ სახელმწიფოში სხვა ერთათვის ისეთი ხელშემწყობი პირობები შეჰქმნეს, რომ ისინიც როგორც მაგ. სომხები, თსები, თვით მაჰმადიანიც ქართველთა მეთაურობით საქართველოს სახელმწიფოს გაძლიერებისათვისა და კეთილდღეობისათვის ქართველებთან ერთად თავგამოდებით იღვნოდნენ. სწორედ აქ და ამ ხანაში გამოიჩინეს ქართველებმა დიდ-სახელმწიფოებრივი აზრის შეგნებისა და მისი განხორცილელების უტყუარი ნიჭი.

მეტად საგულისხმიეროა, დასასრულ, რომ ქართველობამ ძლიერების ხანაში შეჰქმნა საერთო მხატვრული პოეზიაც. ყურადღების ღირსია, რომ საქრისტიანო აღმოსავლეთმა სამუალო საუკუნეებში ქართველებს გარდა არც ერთს ხალხს საერთო პოეზია არ ჰქონია: არც ასურებს, არც სომხებს, არც ბიზანტიილებს მაშინ მხატვრული სიტყვიერება არ მოეპოვებათ. ეს გარემოება რაც უნდა იყოს, რა ხელშემწყობი მიზეზებიც უნდა გამოექცენათ მის ასახსნელად, მანც თავისთავად ქართველი ერის ძლიერის მხატვრული ნიჭისა და შემოქმედების დამატკიცებელია.

თავდაპირველად საერთო მნერლობა საქართველოში სპარსული პოეზიის გავლენითა და თარგმანებით დაიწყო. მაგრამ მალე ქართულს ნორჩის მხატვრულ სიტყვიერებას თვით ცხოვრებამ შეუქმნა შესაფერისი ნიადაგი ეროვნული მიმართულების განსავითარებლად. მაშინდელ სპარსულ-არაბულ საკარისკაცო ცხოვრებაში წესად იყო გადაქცეული, რომ ქვეყნის მმართველს თავისი მაქებელი მელექსე და მეხოტე ჰყოლიდა. ხშირად თვით პოეზიისა და მეცნიერების გულწრფელი მოტრფიალე სულტნები და შაპებიც მარტო ხოტბის შემასხმელ პოეტებს კი არ უნევნენ მფარველობას, არამედ საზოგადოდ ყოველს ნიჭიერს მგოსანს ეხმარებოდნენ. რაც უფრო მეტი განთქმული და ნიჭიერი მნერლები გარს ეხვივნენ ხელმწიფეს, მით უფრო მეტი სახელი და პატივისცემა ჰქონდა ხოლმე მას. საქართველოშიც ამავე ნიადაგზე აღმოცენდა თავდაპირველად ორიგინალური მელექსეობა და მეხოტეობა. რაკი „შესხმა“ დიდი დარბაზობის დროს უნდა ყოფილიყო ნარმოთქმული, მგოსანს თა-

\* ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ.II, თბილისი 1983.

ვისი ლექსისათვის უნდა მოიხსენო საქართველოს ცხოვრებითგან დღესასწაულისათვის შესაფერისი თემა უნდა აერჩია. როგორ დაიწყო ქართული პოეზიის ეს დარგი, ჩვენ არ ვიცით, იმიტომ, რომ ჩვენამდის მოაღწია მხოლოდ მცირედენმა ნანარმოებებმა და ისიც, რაც შენახულია ქართული პოეზიის უკვე განვითარებულ მდგომარეობას გვიხატავს. მაგრამ ერთი რამე მაიც სრულებით ცხადია: ჯერ კიდევ ქართველ სასულიერო მგოსნებს ქართული ხალხური სიტყვიერების ლექსწყობითა და ენით უსარგებლიათ და შეუთვისებიათ. ჩვენამდის მოაღწია ჯერ-ჯერობით მხოლოდ შავთელის „აბდულმესია“-მ და ჩახრუხაძის ხოტბებმა, დანარჩენი „მლექსავები“-ს თხზულებანი (ისტ-რნი და აზ-მნი, \*596, გვ. 365), მათ შორის „იოვანე ფილოსოფოსისა ჭიმჭიმელისა შესხმა-მითხრობა“, როგორც ეტყობა დიდი ისტორიული პოემა დემეტრე | შესახებ (იქვე, \*595, გვ. 364), ჯერ-ჯერობით დაკარგულად უნდა ჩაითვალოს. „აბდულმესია“-ში, როგორც პროფ. ნ. მარმა გამოარკვია, ლექსად აღწერილია დავით აღმაშენებლის ცხოვრება და მოღვაწეობა. თხზულება დაწერილია დიდის მელექსეობითის ხელოვნებით, შედარება და პოეტური სურათები განსაკუთრებით დაბადებითგანს აქვს ავტორს ამოღებული და საზოგადოდ ოდნავ საეკლესიო ელფერი გადაჰკრავს, სპარსული გავლენაც ნაკლებად ემჩნევა<sup>1</sup>.

ჩახრუხაძის შესხმა ძალიან დამახინჯებული იყო გადამწერთაგან და მხოლოდ მას შემდგომ, რაც პროფ. ნ. მარმა დიდის გონებამახვილობით მათი პირვანდელი სახე აღადგინა და თვით ნანარმოებს ვრცელი ახსნა და გამოკვლევა დაურთო. მარტო ამის შემდგომ ჩახრუხაძის საგულისხმიერო ქმნილების დიდი ღირსება და მნიშვნელობა ჩვენთვის ცხადი გახდა. ნ. მარმა დაამტკიცა, რომ ჩახრუხაძის თხზულებაში ერთი მთლიანი პოემა კი არ არის შენახული, არამედ რამდენიმე სხვადასხვა დროს საქართველოს სხვადასხვა გამარჯვებისა და დღესასწაულის გამო დაწერილი შესხმაა. ჩახრუხაძე სწორუპვარი მელექსე იყო, მისი ხელოვნება ზოგჯერ თვალთმაქცობასა ჰყავს და ყოველთვის გასაოცარია, მდიდარი და შეუდარებელი სამაგალითო ლექსთნყობა, მშვენიერი მუსიკალური რითმები ამშვენებენ მის რიტორიულის მჭევრმეტყველებით დატვირთულს თხზულებებს. ჩახრუხაძის ერთადერთს ნაკლს სწორედ ეს გადამეტებული რიტორიული ენაწყლიანობა შეადგენს. ჩახრუხაძე მრავალმხრივ და ღრმად განათლებული მწერალი ყოფილა და მისი თხზულებების ზოგიერთი ადგილების გაგებას ის აძნელებს, რომ მომეტებულს იმ თხზულებათაგანს, რომელთა გმირებსაც იგი გაკვრით, თითო-ოროლა სიტყვით იხსენიებს თავის ხოტბებში, ჩვენამდის არ მოუღწევია და ამის გამო არც მათი შინაარსი ვიცით. ჩახრუხაძე კი ქართული განათლებული წრეებისათვისა სწერდა თავის ლექსებს, რომელთაც ყველა ეს თხზულებები წაკითხული ჰქონდათ და თითოეული იქითვან დასახელებული გმი-

<sup>1</sup> იხ. ნ. მარის საუცხოვო გამოცემა და გამოკვლევა Древнегрузиские одописцы, ТР. IV.

რი მათ თვალწინ მთელ სურათს უხატავდა. მარტო ის გარემოებაც, რომ ქართველ იმდროინდელ საზოგადოებას ჩახრუხაძის თხზულებების გა-გება და დაფასება შეეძლო, უტყუარის მჭევრშეტყველებით ამტკიცებს, რამდენად ღრმად განათლებული და უაღრესად განვითარებული ყოფი-ლა იგი<sup>1</sup>.

თამარის მეფობის ქართული პოეზის მშვენებას მაინც შოთა რუსთაველის უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“<sup>2</sup> შეადგენს. შოთას სხვა თხზულებებიც ჰქონია, განსაკუთრებით თამარ მეფის ხოტბანი, მაგრამ დიდებულს მგოსანს სახელი მაინც მისმა პოემამ მოუპოვა. თავისი ნანარმოების შესანიშნავს წინასიტყვაობაში რუსთაველს საგუ-ლისხმიერო აზრი აქვს გამოთქმული პოეზიისა და სიყვარულის შესახებ. შოთას სიტყვით „შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი, საღმრთო საღმრთოდ გასაგონი, მსმენელთათვის დიდად მარგი“. მაგრამ მისი გაგება ყველას არ შეუძლია, საჭიროა რომ თვით მკითხველი ანუ მსმენელი მომზადებული „კაცი ვარგი“ იყოს. ლექსი და შაირობა იმიტომაც არის კარგი, რომ „გრძელი სიტყუა (ესე იგი აზრი) მოკლედ ითქმის“. შოთას სიტყვით მოშაირობა სამ დარგად იყოფოდა: ერთს დარგს შეადგენს „ლექსი ცოტაი“, პატარა, მოკლე ნანარმოების, რო-მელთაც „არ ძალუძს სრულებრივი სიტყუათა გულისა გასაგმირეთა“; მეორეს ეკუთვნის „სანადიმოდ, სამდერელად, სააშიკოდ, სალალობოდ, აშხანაგთა სათრეველად“ დანერილი მსუბუქი პოეზია; „ჩუენ მათიცა გუიამების“-ო ამბობს დიდებული მგოსანი, თუ კი თავიანთი აზრი გამოსთვეს „ნათელად“; მესამე და ნამდვილი მოშაირობა არის სიბრ-ძნის სამსახური, როდესაც მელექსეს დიდი პოეტური თხზულებების წერა შეუძლია. „მელექსეთა კარგთა სწორი“ ის არის, თავის ლექს „იტყუის ვინცა გრძელად“, როდესაც „მელექსესა საუბართა ტებილთა ფრქუება“ შეუძლია, მაგრამ კი რომ თანაც „არ შეამოკლოს ქართული, არა ქმნას სიტყუა-მცირობა“. ასეთი ჭეშმარიტი მგოსანი, რუსთაველის სიტყვით, თავისს ნიჭს და შემოქმედებას „ცუდად არ აბრკოლებდეს“, არამედ იგი ამასთანავე უნდა მიჯნურიც იყოს ისე, რომ „ერთი უჩნდეს სამიჯნურო“ და „ყოვლსა მისთვის ხელოვნობდეს, მას აქებდეს, მას ამ-კობდეს... ყუელას მისთვის მუსიკობდეს“. ამგვარად, შოთას აზრით ნამდვილი ბრძენი პოეტი იმავე დროს მიჯნური უნდა ყოფილიყო, სიყვარულით აღფრთოვანებული. და აქ შოთა უხსნის მკითხველს, თუ რა არის და როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი მიჯნურობა. აკად. ნ. მარმა თავის შესანიშნავს გამოკვლევაში დაამტკიცა, რომ შოთა რუსთაველი რაინდობისა და რაინდული სიყვარულის მქადაგებელი იყო.<sup>3</sup> შოთა ამბობს, რომ სიყვარული არის „ტურფა საცოდნელად ძნელი გვარი.“

<sup>1</sup> იხ. ნ. მარის საუცხოვო გამოკვლევა Древнегрузиские одописцы, ТР. IV, გვ.28-76. განსაკუთრებით 48-51.

<sup>2</sup> იხ. ამ თავის ბოლოში.

<sup>3</sup> Вступительные и заключительные строфы витязя в барсовой коже Шоты из Рустави, ТР, IV.

ნამდვილი მიჯნურობისათვის სატრფოს ერთგულება იყო საჭირო, რომ „თავის წინა იგონებდეს ნიადაგმცა“ და ჰქონოდა „შორით კვდომა, შორით დაგვა, შორით ალვა“. მიჯნური უნდა ყოფილიყო სატრფოს ერთგული „ხანიერი“ თაყვანის მცემელი, „არ მეძავი ბილჩი მრუში“, მან უნდა თავის „გულსა ერთი დააჯეროს“. ამასთანავე რაინდს მიჯნურს „თვალად სიტურფე ჰმართებს“ და „სიბრძნე, სიმდიდრე, სიუხვე, სიყმე და მოცალეობა, ენა, გონება, დათმობა, მძლეთა მებრძოლთა მძლეობა“. ყველა ეს თვისებები შეადგენდნენ „მიჯნურთა ზნეობის“ აუცულებელს კუთვნილებას. როგორც 6. მარმა გამოარკვია, აქ დასურათებულია რაინდული სიყვარული და საყურადღებო ის არის, რომ სწორედ ამგვარი თვისებები იყო საჭირო რაინდული სიყვარულისათვის დასავლეთს ევროპაშიც.<sup>1</sup> რაინდული მიჯნურობა ისე, როგორც მას შოთა ჰქადა-გებდა, ნამდვილი პლატონური სიყვარული არის, განყენებული, მაღალი და უანგარი და სწორედ ამგვარი სიყვარული არის დასურათებული თვით პოემაში. როგორც დაამტკიცა 6. მარმა, რაინდული მიჯნურობა და კარგი მოყმეობა, ჭაბუკობა და ძმადნაფიცობა გმირული ქცევა-ზნე არის აღნერილი თვით „ვეფხის-ტყაოსან“-შიაც.<sup>2</sup> შოთა რუსთაველმა, როგორც თვით ავტორი ამბობს, თავისი პოემისათვის აიღო სპარსული ამბავი, რომელიც „ქართულად ნათარგმანები“ ყოფილა.

ეტყობა ეს ამბავი დიდის ხნის ნათარგმნი ყოფილა. ამას ისიც ამტკიცებს, რომ პოემაში სპარსული საკუთარი სახელები დამახინჯებული ყოფილა და თვით რუსთაველსაც ამ სახით სცოდნია ეს სახელები. შეიძლება მისი მთარგმნელის ვინაობა, მაინც-და-მაინც თვით სპარსული დედანი არც კი სცოდნოდა და იგი ამბობს ეს ნათარგმნი ამბავი „გპოვე“-ო. რუსთაველს მოსწონდა ეს ამბავი და „ობოლ მარგალიტად“ სთვლიდა, მაგრამ თავისი თხზულების ღირსებისათვის ეს დამამცირებელ გარე-მოებად არ მიაჩნდა იმიტომ, რომ თავისი თხზულების მაღალ ღირსებას კარგადა ჰგრძნობდა. აად. 6. მარმა თავის ზემოაღნიშნულს შესანიშნავს შრომაში დაგვანახა, თუ რა შინაარსი მისცა შოთამ თავის პოემას, რომ იგი მაღალი პლატონური, რაინდული სიყვარულისა და ქალის თაყვანის-ცემის მქადაგებლად გამოვიდა.

უეჭველია აგრეთვე რუსთაველს შემთხვევით არ ექმნება თავისი ქმნილების არაკად ისეთი ამბავი აღებული, სადაც მოთხრობილია, რომ „სხვა ძე არ ესვა მეფესა მართ ოდენ მარტო ასული“ და სადაც შეიძლებოდა ნათქვამი ყოფილიყო და შოთამ სთქვა კიდეც „ლეკუი ლომისა სწორია ძუ იყოს თუნდა ხუადია“-ო. XII საუკ., როდესაც საქართველოს სამეფო ტახტზეც გიორგი III მხოლოდ შობილი ასული დიდებული თამარი იჯდა, „ვეფხის-ტყაოსანი“-ს ეს გარემოება ყოველი ქართველის გულს მოხვდებოდა.<sup>3</sup>

<sup>1</sup> Вступительные и заключительные строфы витязя в барсовой коже Шоты из Рустви, ТР, IV, გვVIII.

<sup>2</sup> იქვე, გვVIII-XXXVII.

<sup>3</sup> ლაშა გიორგიმ სიკედილის წინ ნარჩინებულთ უთხრაო: „ნათქვამი არის ძველითა“ ლეკუი ლომისა სწორია, ძუ იყოს გინდა წვადია. და ეს სიტყვა

რაკი გამოირკვეა, რომ დიდებული შოთა ქალის თაყვანისცემისა და რაინდული სიყვარულის მქადაგებელი იყო, საკითხი უზებლიერ იპადება, თუ როგორ და რა ნიადაგზე უნდა აღმოცენებულიყო ამგვარი მოძლევება. ცხადია რასაკვირველია, რომ ქალის სიყვარული „ტურფა“ და მაღალ სათნოებად ყოფილიყო აღიარებული, ამისათვის აუცილებლად საჭირო იყო, რომ საქართველოში ყმაწვილ ვაჟს უფლება ჰქონდა თავისი გულის სატრფო საცოლიდ თითონ აერჩია, რომ ძლიერი საცოლქმრო სიყვარული არსებულიყო. სადაც ეს ჯერ არ არსებობდა, რასაკვირველია, იქ შეუძლებელია თავისუფალს მიჯნურობას თავის-თვის გზა გაეკაფა. ჩვენ ეხლა შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ საქართველოში ერთიც და მეორეც უავე **IX** საუკ. არსებობდა: აი მაგ. მთავარი გიორგი ჩორჩანელი, რომელმაც თავისი საყვარელი მეუღლის გარდაცვალების შემდგომ „სხვა მეუღლისა შეერთებაი არღა ოდეს თავს იდვა“ და სიკვდილამდე მისი ერთგული დარჩა; ან თუნდა გიორგი მთაწმინდელის მამა, რომელიც ქალის სილამაზით და სათნოებით მოხიბლული თავისთვის საცოლოს თავისუფლად ირჩევს...<sup>1</sup> ამგვარ ნიადაგზე შეიძლებოდა აღმოცენებულიყო შოთა რუსთაველის ქადაგებაც ქალის თაყვანისცემისა და მიჯნურობაზე. ქალ-ვაჟის სწორ-უფლებიანობის ის აზრი, რომელიც შოთა რუსთაველის უკვდავს თხზულებაში არის გამოთქმული, მეტად დამახასიათებელია **XII** საუკ. ქართული აზროვნების მაღალ-განვითარებისათვის. მაგრამ ის არის საყურადღებო, რომ ქალთა სწორუფლებიანობის აზრი ქართულს მწერლობაში წინათაც ტრიალებდა; უკვე **წა** ნინოს ცხოვრებაში ნათქვამია, ქართველთა განმანათლებელს თვით ლვთაებისაგან მოევლინა ზეციერი მოკიდული, რომელმაც ათ მცნებასავით დაწერილი „წიგნი“ მისცა; იქ სხვათა შორის ნათქვამი იყო: „არცა მამა-კაცებად, არცა დედაკაცებად, არმედ თქუენ ყოველნი ერთ ხართა“-ო.<sup>2</sup> ხოლო ქართულს არქიპიერატიკონში სწერია: „წმიდა და ერთსწორ ჰყავი მამაკაცი და დედაკაცი, ვითარცა სათნო გიჩდა შენ არა ხოლო თუ მამათა, არამედ დედათაცა მოეც მადლი სულისა შენისა წმიდისა“-ო<sup>3</sup>.

მეთორმეტე საუკუნეში ხომ ზოგიერთი ქალები, როგორც მაგ. ხუაშაქი ცოქალი და კრავაი ჯაყელი, საქართველოში სახელმწიფო საქმეებშიც კი მონაწილეობას იღებდნენ და ეს მონაწილეობა უძედევო და უნაყოფო არა ყოფილა. პირიქით, ჩვენ მოგვეპოვება არა ერთი საგულისხმიერო ცნობა, რომელიც ნათლად ამტკიცებს, რომ ქალთა გავლენას მამაკაცთა მკაფრი მოქმედება მოურბილებია და კეთილშო-

მეფეთ მეფეს დედას ჩემს თამარზედაც ითქვა ან მე მოგააწეუნებ დასა ჩემსა რუსულანსა...” (ფ. გორგიივანიძე, Msc. Georg., N6, გვ. 101).

<sup>1</sup> იხ. ჩემი „ქალ სამართლის ისტორია”, I.

<sup>2</sup> ჭელიშისეული ნაბ ნინოს (3 ა, იხ. ე. თაყაიშვილის მუს., რუკ. გენ. გრამოტ. ნ. II, ა. 749).

<sup>3</sup> არქიპეტიკურატიკულსი, კ. კეკელიძის გამოცემა, გვ. შტ.

ბილური იერი მიუცია. არაბი მემატიანე მოგვითხრობს, რომ 1162 წ., როდესაც ქართველებმა დვინში გაიმარჯვეს და ძლევამოსილი ნადავ-ლითა და ტყველებით დატვირთული შინ ბრუნდებოდნენ, შაჰმადიანი ტყვე მამაკაცები სააუგოდ სულ მთლად გააშიშვლეს და ისე წამოასხესო; მაგრამ ქართველმა ქალებმა ეს შეიტყვეს თუ არა, მაშინვე თავიანთ ქმრებს ეს საქციელი დაუწუნეს და უსაყვედურეს, რომ ისინი მაჰმადი-ანთ ასეთ მაგალითს აძლევენ, რომელიც მათ შეიძლება ქართველებზე გამოიყენონ და ამ საქციელით ქართველ ქალთაც სირცხვილი აჭამონო. იბნ ალასირის სიტყვით, ქართველებმა ქალების ამ საყვედურის შემდგომ ტყვეებს თავიანთი ტანისამოსი დაუბრუნეს და ჩააცვეს.<sup>1</sup> ქართველმა ქალებმა, მამასადამე, ის მაღალმობიერება და სიბრალული გამოიჩინეს, რომელიც ასე საგრძნობელი და საჭიროა ომიანობის საშინელს სიმეაცრის დროს.

ამ მოკლე და მკრთალ საზოგადო მიმოხილვითგანაც, რომლის და-წერაც ჩვენ შევძელით საქართველოს კულტურული მდგომარეობის შე-სახებ XII საუკ., მგონია ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ საქარ-თველო მაშინ მარტო სამხედრო უძლეველობით კი არ ყოფილა მოსილი, არამედ კულტურულადაც ძლიერი იყო და აყვავებული ცხოვრება, მდიდარი და მრავალმხრივი მწერლობა და დაწინაურებული ხელოვნება ამშვენებდა..

---

<sup>1</sup> დეფრემერი, Frag., გვ. 500.

## **მიხაკო წერეთელი შესავალი\***

„ვეფხის-ტყაოსანი“, ჩვენი აზრით, ძალიან საინტერესო უნდა იყოს ევროპელი მკვლევრებისთვის არა მხოლოდ როგორც ხელოვნების დიდი ნიმუში, ბრნყინვალე ლიტერატურული ძეგლი, შექმნილი ევროპის განაპირობის, ბრნყინვალე ლიტერატურული ძეგლი, შექმნილი ევროპის განაპირობის, საქართველოში, რომლის სიდიადით ტკბობა სიტყვის ხელოვნების მოყვარულებს ორიგინალსა და თარგმანში შეუძლიათ, არამედ ასევე როგორც შუა საუკუნეების კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლი, რომელშიც ფეოდალური საზოგადოების განვითარებამ და საქართველოში ფეოდალიზმის საფუძველზე წარმოშობილმა კულტურამ თავის მწვერვალს მიაღწია. ფაქტია, რომ ქართული ცხოვრების წესი ისეთივე იყო, როგორიც იმ დროს ევროპაში. ქართული ფეოდალური სისტემაც ფრანგულსა და გერმანულს ჰქავდა. საოცარია, რომ იდენტური იყო დასავლეთ ევროპასა და საქართველოში არსებული იმდროინდელი სოციალური ურთიერთობების გამომხატველი ტერმინებიც კი. მაშინდელი ქართული რაინდობის ინსტიტუტი და სამეფო კარის ცხოვრების წესი ძალიან ახლოს იყო დასავლეთევროპულთან; მაშინდელი ქართული მხატვრული ლიტერატურა იმავე სულით იყო გამსჭვალული, რომლითაც პროვანსული ან გერმანული. ამიტომ „ვეფხის-ტყაოსნის“ ევროპელმა მკითხველმა უფრო ნაკლებად უნდა იფიქროს აღმოსავლელ პოეტებზე, ვიდრე პროვანსელ ტრუბადურებზე და გერმანელ მინეზინგერებზე, მიუხედავად იმ გარეგნული მსგავსებისა აღმოსავლურთან, რომელიც ქართულ სარაინდო რომანს ახასიათებს. რაინდული სამსახური, ვასალის ერთგულება სიუზერენისადმი, კეთილშობილი რაინდები, ქალის გაღმერთება, მისადმი ტრფობა, ერთგულება და მისი მუდმივი მსახურება როგორც უმაღლესი სიუზერენისა, მეფისა, მეგობრობა და მეგობრის, ძმათნაფიცისა და სატრფოს სიყვარული თავგანწირვამდე – ამას ისევე უმღერის რუსთველი „ვეფხის-ტყაოსნი“, როგორც ტრუბადურები და მინეზინგერები უმღეროდნენ დასავლეთ ევროპაში.

რუსთველის სიტყვები: „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები, ... ვპოვე და ლექსად გარდავთქვი“ (პროლოგი, 3) მხოლოდ თვალის ასახვევადაა ნათქვამი, რადგან რუსთველი თავის პოემაში, რომელიც მან თამარ მეფეს უძღვნა – მეფეს, რომელსაც, როგორც თვითონვე აღიარებს, ეტრფის, რაც სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ

\* Schotha Rustaveli, Der Ritter im Pantherfell, Übersetzung aus dem wiederhergestellten und kritisch bearbeiteten georgischen Originaltext von Michael von Tseretheli, Paris, 1975. გერმანულიდან თარგმნა ეკატერინე გამყრელიძემ.

ეს მართლაც ასე უნდა ყოფილიყო, რადგან ტრფობა აუცილებელი ელემენტი იყო შუა საუკუნეების რაინდი პოეტებისათვის როგორც საქართველოში, ასევე დასავლეთ ევროპაში – ძალიან ფაქტად, მაგრამ დაუფარავად ასახავს რამდენიმე ისტორიულ მოვლენას გიორგი III-ისა და მისი სახელგანთქმული ასულის, დიდი თამარ მეფის ეპოქიდან და, როგორც ჩანს, ის კიდევ უფრო ფრთხილად და შეფარულად ეხება ამბებს თამარის პირადი ცხოვრებიდან, რომლებიც ჩვენთვის უცნობია ისტორიოგრაფიიდან.

რუსთველმა რომ ზემოთ მოყვანილი სიტყვები მხოლოდ გარკვეული მიზნით თქვა და რომ ისინი არ შეესაბამება სინამდვილეს, ჯერ კიდევ ნაბეჭდი სარაინდო ეპოსის პირველმა გამომცემელმა, ბატონიშვილმა ვახტანგმა, შემდგომში ვახტანგ VI-მ აღნიშნა (თბილისი, 1712). სინამდვილეში, სპარსულ ლიტერატურაში მსგავსი შინაარსის „ამბავი“ არ არსებობს და არც შეიძლებოდა არსებულიყო, რადგან ეპოსის სულს, ადამიანებს და ა.შ. არაფერი აქვთ საერთო სპარსეთსა და სპარსელებთან. სპარსელი ვერ შეძლებდა ასეთი „ამბის“ დაწერას. ეპოსის გმირები მხოლოდ გარეგნულად არიან არაბები, ინდოელები და ა.შ. – მუსლიმანები, სინამდვილეში ისინი ნამდვილი ქართველი კაცები და ქალები, მეფეები, რაინდები, ფეოდალური შუა საუკუნეების მაღალი წრის წარმომადგენელი ქალები, ქრისტიანები არიან, ქრისტიანული და ბერძნული განათლებით და კულტურით მიუხედავად იმისა, რომ მათთვის არც არაბულ-სპარსული არის უცხო, ისევე როგორც ბერძნული ფილოსოფიისა და ქრისტიანობის საუფუძველზე აღზრდილი რუსთველისთვის არ იყო უცხო აღმოსავლური კულტურა. თვალში საცემია, რომ როდესაც რუსთველი და მისი გმირები ციტატებით ლაპარაკობენ, ეს გამოთქმები უმეტესად ბერძენი ფილოსოფოსების ნაშრომებიდან და ძველი და ახალი აღთქმიდან მომდინარეობს და არასოდეს არაბული და სპარსული ნაწარმოებიდან. ყველაფერი, რაც ეპოსში არაბული და სპარსულია, არის, როგორც უკვე თქვა, მხოლოდ გარეგნული მსგავსება და ამან არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეიყვანოს შეცდომაში რუსთველის მკვლევარი. რა თქმა უნდა, რუსთველის მსოფლმხედველობაში, რომელიც ევროპულ-ბერძნული და ქრისტიანულია, „აღმოსავლურ“ ნაზრევსაც ვიპოვით, მაგრამ ის ძველია და დიდი ხნის წინ გახდა საერთო აღმოსავლეთისა და დასავლეთის მთელი კულტურული სამყაროსათვის.

როგორ გაჩნდა და განვითარდა საქართველოში ფეოდალიზმი, რატომ იყო რაინდობის ინსტიტუტი და საკარო ლიტერატურა, შუა საუკუნეების მთელი ქართული კულტურა უფრო მეტად დასავლურევროპული ხასიათისა, ვიდრე ბიზანტიურის, სპარსულის, აღმოსავლურისა – ეს ის პრობლემებია, რომლებიც დიდ ინტერესს იწვევს ისტორიკოსებს, ლიტერატურისა და კულტურის ისტორიკოსებს შორის, რადგან საზოგადოებრივი ცხოვრების, სახელმწიფოს და ა.შ. განვითარება ბიზანტიიში, სპარსეთში და სხვაგან მაინც სხვანაირად მიმდინარეობდა, ვიდრე საქართველოში და სწორედ ამიტომ იყოს ასე განსხვავებული საქართველოს შუა

საუკუნეების კულტურა მისი მეზობელი ქვეყნების კულტურისგან. ამ ქვეყნებში არც ქართულის მსგავსი საკარო ლიტერატურა შექმნილა. ბიზანტიისა და სომხეთში ძალიან მწირად გვხვდება საკარო ლიტერატურის ნიმუშები. სპარსეთში, მიუხედავად იმისა, რომ დიდი საკარო ლიტერატურა არსებობდა, თუ ამ ეპოქის ცნობილ სპარსულ ეპოსებს „ვეფხისტყაოსანს“ შევადარებთ, მიუხედავად „ვეფხისტყაოსნის“ გარეგნულად აღმოსავლურ ეპოსთან მსგავსებისა, ისინი მანც ორ სხვადასხვა სამყაროს ეკუთვნის. სპარსული სატრადიციო ეპოსის, „ვისრამიანის“ ქართულ თარგმანშიც, რომელიც თითქმის „გადმოქართულებულია“ და „რუსთველის“ ეპოქამდეა შექმნილი, სულ სხვა სული სუფევს, ვიდრე „ვეფხისტყაოსანში“ მიუხედავად იმისა, რომ რუსთველი ბაძავს „ვისრამიანის“ რამდენიმე ადგილს და ამ პოემიდან გამოთქმებსა და აფორიზმებს იყენებს თავის „ვეფხისტყაოსანში“. დასავლეთ ევროპაში ფეოდალური ინსტიტუტები, რაინდობის ფეოდალური ინსტიტუტი და ფეოდალური კულტურა საზოგადოდ გერმანიკული წარმონაქმნია, რაც არ უნდა ვთქვათ ამ ფაქტის საზინააღმდეგოდ. შუა საუკუნეებში საქართველოზე დასავლეთევროპელი გერმანების გავლენაზე ან პირუკულაპიც არ შეიძლება იყოს. როგორ შეიძლებოდა საქართველოში გაჩენილიყო და განვითარებულიყო ის, რაც არც ბიზანტიაში, არც სომხეთში და არც რუსეთში, არამედ დასავლეთ ევროპაში გაჩნდა და განვითარდა? აქ, ჩვენი აზრით, მკვეთრად უნდა დავუპირისპირდეთ იმ გავრცელებულ აზრს, რომ არაბების, მათი კულტურისა და ლიტერატურის გავლენამ ესპანეთიდან მთელს დასავლეთ ევროპაზე თურმე განსაზღვრა პროვანსული და შემდეგ გერმანული და რაინდული შუა საუკუნეების სხვა ლიტერატურების ხასიათი. ფაქტია, რომ არაბულმა ლიტერატურამ ესპანურზეც კი არ იქონია დიდი „გავლენა“ და იგი ყოველთვის სრულიად ეროვნული ხასიათისა იყო და ამ მიმართულებით ვითარდებოდა. უფრო ნაკლები გავლენა იქონია, შეიძლება ითქვას, არავითარი გავლენა არც მოუხდენია არაბულ ლიტერატურას პრავანსულზე. არაბული ლიტერატურა განსხვავდებოდა შუა საუკუნეების დასავლური ლიტერატურისგანაც, რომელიც სხვა სულით იყო ნასაზრდოები. არაბული „გავლენა“ სხვა ქვეყნებზე ბევრად უფრო დიდი იყო, ვიდრე დასავლეთ ევროპაზე და სწორედ ამ ქვეყნებში ვერ შეიქმნა ამ გავლენის გამო დასავლეთ-ევროპულის მსგავსი ლიტერატურა! საქართველოშიც დიდი იყო არაბული „გავლენა“ – დაახლოებით ნახევარი ათასწლეულის მანძილზე ბატონობდნენ იქ არაბები – მაგრამ ქართული ლიტერატურა, ამის მიუხედავად, არ იყო არაბული ხასიათისა. კიდევ უფრო დიდი იყო საქართველოში სპარსული „გავლენა“, მაგრამ, მიუხედავად ამისა, აქ შეიქმნა სრულიად ეროვნული ხასიათის მხატვრული ლიტერატურა, რომელიც დასავლეთევროპულთან უფრო ახლოს იყო, ვიდრე სპარსულთან, და ა.შ. რათქმა უნდა, ხალხები ერთმანეთთან კონტაქტების შედეგად უცხო კულტურის მონაპოვრებს ითვისებენ, მაგრამ ეროვნული ქმნილებების ხასიათს განსაზღვრავს არა ცხოვრების გარეგნული პირობები, არამედ

გონის, სულის, სისხლისა და ხალხის თვითმყოფადობა – სრულიად უცხოც გონებისა და სულის ძალით ეროვნული ხდება – და ეს უნდა გაითვალისწინოს მკვლევარმა უპირველეს ყოვლისა, რათა ასეთი და მსგავსი პრობლემების სწორად გადაჭრა შეძლოს.

ზედმინევნითი, სიტყვასიტყვითი პროზაული თარგმანი „ვეფხის-ტყაოსნის“ ორიგინალისა, რომელსაც შვიდ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ამახინჯებდნენ გადამნერები და რომელიც დიდი გაჭირვებით და მეცადინეობით იქნა ერიტიკულად დამუშავებული და ინტერპოლაციებისაგან გათავისუფლებული, მიზანშეწონილად მეჩვენა, რათა მკვლევრებისთვის სამუშაოს გასაადვილებლად მეჩვენებინა ის, თუ რა იყო ტექსტში საკუთრივ რუსთველისეული.

„ვეფხის-ტყაოსნის“, როგორც ხელოვნების დიდი, უკვდავი ნიმუშის, ალქმა მხოლოდ ტექსტის ორიგინალის წაკითხვისას შეიძლება; გარკვეულწილად ეს თარგმანის საშუალებითაც არის შესაძლებელი, თუ მთარგმნელი თვითონ არის ნიჭიერი პოეტი და ტექსტს კარგად გალექსავს, რაც მომავლის საქმეა და რაც ისეთივე ძნელი დავალება იქნება ქართული პოეზის მთარგმნელისთვის, როგორც პომეროსისა და დანტეს მთარგმნელთათვის, რომლებიც იტვირთავენ მათი ხელოვნების სიდიადის არაბერძნულ და არაიტალიურ ენებზე გადმოცემას.

ინტერპოლაციები პოემაში „ვეფხის-ტყაოსნი“ შევერბე წიგნის მეორე ნაწილში. მათ შორის საუკეთესოები ეკუთვნის მეტნილად მესხი პოეტის კალამს, როგორც იგი თავის შესახებ პოემის „ეპილოგში“ გვამცნობს: „ვწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთველისად ამისა“. მაგრამ მან არა მარტო პოემის „ეპილოგი“, არამედ ინტერპოლაციების უმეტესობაც დაწერა, რის ჩვენებასაც მე ტექსტის ქართული გამოცემის „შესავალში“ შევეცადე.

ამ ჩართული, როგორც ჩანს, აღდგენილი სტროფების თარგმნა შემდეგი მიზეზების გამო ჩავთვალე საჭიროდ: 1. მესხმა პოეტმა ეს სტროფები რუსთველის პოემაში ჩართო მის შესავალებად, შესამკობად – არა დიდი პოეტის, რუსთველის სახელით როგორც მისმა გამყალბებელმა, არამედ როგორც რუსთველის თავიანისმცემელმა მისი ნაწარმოების სიყვარულით, როგორც ჩანს, ცოტა ხნის შემდეგ მისი გარდაცვალებიდან, რომლის თარიღიც ჩვენთვის ცნობილია. ბევრ ამ ჩართულ სტროფთაგანს, როგორც, მაგალითად, ტრფობის კოდექსს, რომელიც თითქმის იდენტურია დასავლეთევროპული შუა საუკუნეების კოდექსისა, პოეტიკას და ა.შ., უდიდესი მნიშვნელობა აქვთ ქართული კულტურის, განსაკუთრებით ამ ეპოქის ლიტერატურის კვლევისათვის. 2. ეს ჩანართები ნათლად უჩვენებს ლიტერატურის ისტორიკოსს, თუ როგორ შეუძლია ნიჭიერ და კეთილგანწყობილ ინტერპოლატორს – და სწორედ ასეთი იყო მესხი მელექსე – ამის მიუხედავად მაინც დაამახინჯოს ხელოვნების დიდი ნიმუში. 3. სხვა, გვიანდელი (XVI-XVIII ს.), უნიჭო პოეტების ჩანართები, რომლებიც თავიანთი ხშირად უშნო და ერთმანეთთან დაუკავშირებელი სტროფებით არა მარტო რუსთველის, არამედ მესხი პოეტის

სტროფების შევსებას და შემკობას ცდილობენ, გვიჩვენებს, თუ რა შორს შეიძლება ნავიდეს უნიჭო ინტერპოლატორების ქედმაღლობა. განსაკუთრებით მიუღებელი და აზრს მოკლებულია მათი ე.წ. „მაჯამები“, სადაც სტროფის ოთხი ტაქტის ბოლო ნაწილები ომონიმური რითმებით არის განყობილი. თვითონ რუსთველს ძალიან ცოტა აქვს მაჯამის მსგავსი სტროფები; იგი წერდა ნაწილობრივ მაჯამას, რომელიც წარმოადგენს სიტყვების ლამაზ თამაშს და ყოველთვის გასაგები და გონებამახვილურია.

წიგნის მეორე ნაწილში თავი შევიკავე როგორც უნიჭო პოეტების მიერ დაწერილი და მრავალ ხელნაწერში დადასტურებული “ვეფხისტყაოსნის” გვიანი გაგრძელებების, ასევე ზოგიერთი სხვა ჩანართი სტროფის შეტანისაგან, რომლებსაც არც მკვლევრებისთვის და არც უბრალო მკითხველისთვის აქვს რამე მნიშვნელობა. ინტერპოლაციების ორივე ზემოთ ნახსენები სახეობა ჩვენი მიზნებისთვის სრულიად საკმარისია.

მიუნხენი, 1949. მიხეილ წერეთელი

## **გიორგი წერეთელი „ვეფხისტყაოსანის“ „სევდისა მუფარახი“\***

ეს გამოთქმა, სევდისა მუფარახი ვეფხისტყაოსანში ორჯერ გვხვდება. ერთხელ სახელდობრ ჩვენი გამოცემის<sup>1</sup> 884 სტროფში<sup>2</sup> (გვ. 173), პირდაპირ არის ნახმარი გამოთქმა სევდისა მუფარახი.

რა შეატყო მოჯობება მან, სევდისა მუფარახმან,  
განანათლა პირი-ვარდი სიხარულმან დაუსახმან,  
ცნობიერთა დასტაქარმან, უცნობოთა ოხვრა-ახმან;  
ცნობიერი სიტყვა უთხრა უცნობისა რასმე მზრახმან.

ამ შემთხვევაში, „სევდისა მუფარახი“ ნახმარია ეპითეტად ავთან-დილის მიმართ.

მეორედ ეს სიტყვები გვხვდება როსტევანის პასუხში თინათი-ნისადმი:

უბრძანა: „შვილო, რაზომცა მჭირს საქმე სავაგლახია,  
შენი ჭვრეტა და სიახლე ლხინადვე დამისახია,  
მომქარვებელი სევდისა, მართ ვითა მუფარახია.  
ვეჭვ, რა სცნა, შენცა მამართლო, ჩემი სულთქმა და ახია“<sup>3</sup>.

ე.ი. როსტევანი ეუბნება თინათინს: შენი ჭვრეტა და შენთან სიახლოვე ლხინად დამისახია და ჩემთვის ეს არის სევდის გამქარვებელი, სწორედ ისე, როგორც მუფარახიო.

უკვე ამ ტექსტიდან ჩანს, რომ მუფარახი რაღაც სევდის გამქარვებელი საშუალებაა. ასედაც ესმით „ვეფხისტყაოსანის“ კომენტატორებს სიტყვის მნიშვნელობა.

ვახტანგი მუფარახისათვის შემდეგ განმარტებას იძლევა:  
„მუფარახი მაჯუნსა ჰქვიან, თათრები მუფარახს ეძახიან“ (რთ, გვ.ტი), ან კიდევ: „მუფარახი“ იაგუნდის მაჯუნია“ (ყპდ, გვ. ტმე)<sup>4</sup>.

\* „ორიონი“, ა. შანიძისადმი მიძლვნილი საიუბილეო კრებული, თბილისი, 1967.

<sup>1</sup> ვეფხისტყაოსანი, თბილისი, 1988, ტექსტი მოამზადეს გამოსაცემად გიორგი წერეთელმა, სარგის ცაიშვილმა, გურამ კარტოზიამ, რედაქტორები: გიორგი წერეთელი, ირაკლი აბაშიძე. იგივე ტექსტი უდევს საფუძვლად 1988 წლის გამოცემას, რომელშიც სარეადაქციო კოლეგიის (ირაკლი აბაშიძე, ალექსანდრე ბარამიძე, პავლე ინგოროვა, აკაკი შანიძე, გიორგი წერეთელი) მიერ შეტანილია მცირეოდენი ცვლილებები.

<sup>2</sup> 2. 1987 წლის გამოცემის 894 სტროფი.

<sup>3</sup> ჩვენი გამოცემის 107 სტროფი, გვ. 26 (=1987 წლის გამოცემის 108 სტროფი).

ასეთივე განმარტება აქვს მოცემული საბას მუფარახ სიტყვი-სათვის: „მუფარახი იაგუნდის მაჯუნი“<sup>2</sup>, თან „ვეფხისტყაოსანზე“ მიუ-თითებს.

უფრო დაწვრილებით განმარტავს ამ სიტყვას თეიმურაზ ბაგრა-ტიონი. 107 (= ვახტანგის გამოცემის 109) სტროფთან დაკავშირებით იგი აღნიშნავს:

„მუფარახი ჩვენებურად ეწოდების, არაბულად მუფარაყ არის. ესე ეწოდების ესე გვარსა, რომელიცა გულისწყლულებასა და სენსა გუ-ლისასა ჰკურნებს“.<sup>3</sup>

მეორე ადგილას თეიმურაზი ასეთ განმარტებას იძლევა: „მუფარახი გულის გასამთელებელი მაჯუნი არის (გინა დუბედი). ქართულად დუბედი ეწოდების მაჯუნსა. ამას აღმოსავლეთის ექიმი აკეთებენ, იაგუნდთა, მარგალიტთა და თვალთაგან პატიოსანთა. ეს მაჯუნი გუ-ლისტკივილს დიდად არგებს. სევდის მუფარახი არის კაცი, რომელიც მოყვასსა თვისსა ტკბილისა ლაპარაკითა და საუბრითა ლხინებას მისცემს“<sup>4</sup>.

ამ განმარტებას ემყარება, როგორც ჩანს უორდროდროპი, რო-დესაც მუფარახისათვის იძლევა თარგმანს „electuary“,<sup>5</sup> ხოლო „სევდისა მუფარახისათვის“ „the elixir of greif“, თანაც, ჩუბინაშვილზე დაყრდნო-ბით განმარტავს „mup'harakh, a medicine made of opium or hashish“<sup>6</sup>.

<sup>1</sup> იხ. ვახტანგის გამოცემა, აღდგენილი აკაკი შანიძის მიერ (თბილისი, 1937) და ამ გამოცემისათვის დართულ „თარგმანში ახსნილი სიტყვები“, გვ. 379.

<sup>2</sup> აკაკი შანიძისა და ოსებ ყიფშიძის გამოცემა, თბილისი, 1928, გვ. 232.

<sup>3</sup> თეიმურაზ ბაგრატიონი, გამარტება პოემა ვეფხისტყაოსნისა, გაიოზ იმედა-შვილის გამოცემა, თბილისი, 1980, გვ. 27.

<sup>4</sup> თეიმურაზ ბაგრატიონი, 874 (ვახტანგის გამოცემის 894) სტროფის განმარ-ტება, გვ. 151.

<sup>5</sup> M. Wardrop-ის თარგმანის 108 სტროფი.

<sup>6</sup> M. Wardrop-ის თარგმანის 874 სტროფი და შენიშვნა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ M. Wardrop-ის ინგლისურ თარგმანს „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის გაგე-ბისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი პწკარების მიხედვით კი არ არის შესრულებული, არამედ შედეგია ქართულ დედაზე ოცი წლის მუშაობისა, თანაც ვორდროპს თარგმანზე მუშაობისას იმდროინ-დელი გამოჩენილი ქართველი მეცნიერები ეხმარებიან, ამის შესახებ თვით ოლივერ უორდროპი აღნიშნავს წინასიტყვაობაში: (თბილისის გამოცემის გვ. 14-15):

„სასიამოვნო მოვალეობად მიმართია აქ განვაცხადო დიდი დახმარების შესა-ხებ, რომელიც ამ წიგნის გამოსაცემად მომზადებისას გამინიერს. იმდენი პირი თანამშრომლობდა, რომ შეუძლებელია პერსონალურად, ყველასი მათი დასა-ხელება, მაგრამ განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნის ბ. მიქელ წერეთელს, მთელი ხელნაწერის მთლიანად წაკითხვისათვის, და პროფესორ ნიკო მარს სანკტ-პეტერბურგის უნივერსიტეტიდან, რომელმაც მოგვაწოდა დამატე-ბითი მასალა და ნება დაგვრთო გამოგვევეყვენებინა დამატებაში ბუნდოვანი შესავალი სტროფებისა და სხვა ადგილების მისი რუსული თარგმანის ინ-გლისური ვერსია. დამხმარენი საკმაო კომპენსაციას მიიღებენ იმის შეგ-

იუსტინე აბულაძე თავის 1926 წლის გამოცემისათვის დართულ ლექსიკონში 89 სტროფის (=ჩვენი გამოცემის 107 სტრ.) „მუფარაბ“ სიტყვას ამგვარად განმარტავს: „მუფარახი, არაბ. ნალვლის, გინა სევდის, გამქარვებელი საშუალება, მწუხარების უკუმყრელი რაზ“<sup>1</sup>. თან არაბული სიტყვების საძიებლში მკვლევარი იძლევა სიტყვის არაბულ შესატყვისა: ჯორ<sup>2</sup>.

აკაკი შანიძე ამ სიტყვისათვის ასეთ განმარტებას იძლევა: „კაი გუნებაზე მომყვანი წამალი“<sup>3</sup>.

ყველა ეს განმარტება ძირითადად სწორია, თუმცა საჭიროებს ერთგვარ დაზუსტებას. მაგრამ ვიდრე ამ სიტყვას შევეხებოდეთ, საჭიროა გავარკვიოთ ზუსტი მნიშვნელობა სევდა სიტყვისა, რომელთანაც არის დაკავშირებული მუფარახი „ვეფხისტყაოსნის ტექსტში“.

სევდა სიტყვა დღეს საყოველთაოდაა ქართულში გავრცელებული და „მწუხარებას“, „დარდს“, „ნალველს“ (გადატანითი მნიშვნელობით), „კაეშანს“ ნიშნავს. საბას მიხედვით<sup>4</sup> „სევდა, სევდა სხვათა ენაა, შავი ნალველი ჰქვან“<sup>5</sup>. ასეთსავე განმარტებას იძლევა აკაკი შანიძე „სევდა – შავი ნალველი, დარდი, სევდიანი, დანალვლიანებული“<sup>6</sup>.

სევდა არაბული სიტყვაა: *ساد ساده sawdā'* (მდ. სქესი სიტყვისა ას და „შავს“<sup>7</sup> ნიშნავს<sup>8</sup>). როგორც სპეციალური სამედიცინო ტექნიკური ტერმინი იგი „შავს (ნალველს)“, „მელანქოლიას“ აღნიშნავს და წარმოადგენს ამ ბერძნული სიტყვის პირდაპირ თარგმანს. ბერძნული მელაგ-ხლია, როგორც ცნობილია, წარმოადგება სიტყვისაგან მელანიის (ზათ. ბრუნვა სიტყვისაგან მელან „შავი“) და ხილ „ნალველი“. ასეთი ტერმინით აღნიშნება ფსიქიური დაავადების ერთ-ერთი ფორმა, რომელსაც ახასიათებს ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი მოწყენილი, მწუხარე განწყობილება.<sup>9</sup> ძველი ბერძნული მედიცინის მიხედვით მელანქოლიის

ნებით, რომ ისინი იყვნენ თანამშრომელნი პირისა, რომელსაც უყვარდა „რუსთაველი და საქართველო“.

<sup>1</sup> იუსტ. აბულაძის გამოცემა, თბილისი, 1926, გვ. 268. იგივე განმარტება აქვს მოცემული იუსტინე აბულაძის 1987 წლის საიუბილეო გამოცემის ლექსიკონში, გვ. 368.

<sup>2</sup> იუსტ. აბულაძის გამოცემა, 1926, გვ. 302.

<sup>3</sup> 1957 წლის გამოცემისათვის დართული ლექსიკონი, შედგენილი აკაკი შანიძის მიერ, გვ. 373.

<sup>4</sup> საბას ლექსიკონი, გვ. 310.

<sup>5</sup> შდრ უსწორო კარაბადინი, „... ცხრო სევდისაგან დაემართების, რომელ არს შავი ნალველი“<sup>116, 17</sup>; აგრეთვე: „სევდა, რომელ არს შავი ბალდამი“, 6, 16.

<sup>6</sup> ა. შანიძე, ვეფხისტყაოსნის ლექსიკონი, გვ. 382.

<sup>7</sup> იხ. H. J. Mapp. Вопросы Вепхиисткаосани и Висрамиани. ი. მეგრელიძის რედაქციით, თბილისი, 1988, გვ. 211.

<sup>8</sup> შდრ უსწორო კარაბადინის შემდეგი ადგილი: „რასაცა საჭმელსა სევდა ჰქონდეს, იმას ნუ ჭამს და მისგან იფარებოს“, 237, 36.

<sup>9</sup> იხ. C. A. Суханов, О. Меланхолии, პეტერბურგი, 1906; БСЭ, т. 27, გვ. 96 „მელანქოლია“ არ არის მანიაკალურ-დეპრესიული ფსიქოზი (შდრ მ. გ. სააკა-

გამომწვევად ივარაუდებოდა შავი ნაღველით მოწამვლა.<sup>1</sup> აქედან წარმოდგება მისი ბერძნული სახელწოდებაც. ამ ბერძნული სიტყვის თარგმანია ლათინური Atrabilis (ater „შავი“, bili „ნაღველი“), არბული sawdā' ან sewdā', ქართული „შავი ნაღველი“, რომელსაც საბა ხმარობს, სომხ. սև მალა სე მავ.

მაგრამ არაბულში, ბერძნულიდან გადმოთარგმნილი ამ ტერმინის გვერდით იხმარებოდა აგრეთვე თვით ბერძნული სიტყვა (რა თქმა უნდა, საკმაოდ სახეცვლილი), რომელიც შემდეგ სხვა სხვა ენებშიც, კერძოდ ქართულსა და სუმხურშიც გავრცელდა: مالخولیا mālinħolliya<sup>2</sup>, აქედან, ქართ. მალიხოლია<sup>3</sup>, სომხური մალაխიულა malaxulia<sup>4</sup> და სხვა.

ამ სიტყვებიდან როგორც სამედიცინო ტერმინი ქართულს არც ერთი არ შერჩა. სევდა იხმარება მხოლოდ გადატანითი მნიშვნელობით „მწუხარების“ აღსანიშნავად, „შავი ნაღველი“ – პირდაპირი ან გადატანითი მნიშვნელობით,<sup>5</sup> მაგრამ არა როგორც სამედიცინო ტერმინი, ხოლო „მალიხოლია“ შეცვალა რუსული და ევროპული გზით შემოსულმა ბერძნულმავე „მელანქოლიამ“.

„ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში სევდა მრავალჯერ გვხვდება,<sup>6</sup> ჩვეულებრივ, უკვე გადატანითი მნიშვნელობით, რაც, მაგ., ჩანს ისეთი მაგალითებიდან, როგორიცაა:

„სამურნალო არა სჭირს რა, სევდა რამე შემოჰყრია“ (სტრ. 345, გვ. 68).<sup>7</sup>

„გულსა სევდა შემეყარა, ვიწყე ჭირთა მოპოვნებად“ (509, გვ. 106),

„მეფე საწოლს შემოვიდა სევდიანი, დალრეჯილი“ (სტრ. 100, გვ. 25) და ასე, თითქმის ყველა შემთხვევაში.

მაგრამ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტში არის იმის კვალი, რომ ავტორს კარგად ესმოდა სევდა სიტყვის პირვანდელი მნიშვნელობა როგორც სამედიცინო ტექნიკური ტერმინისა, სახელდობრ, მუფარახ სიტყვასთან კონტექსტში.

შვილი, ა. პ. გელაშვილი, საქართველოს მედიცინის ისტორია, თბილისი, 1956, გვ. 408). იგი შეიძლება თან ახლდეს მანიაკალურ-დეპრესიულ ფსიქოზს, ისე როგორც მთელ რიგ სხვა ფსიქიკურ დავადებას (ფსიქატენიას, ეპილეფსიას, შიზოფრენიასა და სხვ.).

<sup>1</sup> შდრ უსნორო კარაბადინი: „როდესაც სისხლი დაიწვას, დამწვარი სისხლი და ბალლამი ტყირბსა შეეყაროს, ტყირბი გადიდდეს, მას სევდა ჰქვიან“, 37, 30.

<sup>2</sup> გვხვდება, მაგ., ავიცენასთან, ტბ قانون في الطب ბულაყის გამოცემა, გვ. 240.

<sup>3</sup> წიგნი სააქიმოი, ლალო კოტეტიშვილის გამოცემა, თბილისი, 1936, გვ. 48, 28.

<sup>4</sup> Օգიտ թძկლურებას სტ. მალხასიანცის გამოცემა, ერევანი, 1940, გვ. 149.

<sup>5</sup> დამახასიათებელია, რომ „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ „შავი ნაღველი“ სრულებით არ არის.

<sup>6</sup> ა. შანიძის რედაქციით შედგენილი სიმფონიის მიხედვით ეს სიტყვა და აქედან ნაწარმოები ფუძეები იცდაორჯერ არის ნახმარი, იხ. სიმფონია, ს. V.

<sup>7</sup> აქ და შემდეგ ნაჩვენებია ჩვენი გამოცემის სტროფები და გვერდები.

მუფარახ სიტყვა, როგორც ეს ჯერ კიდევ იუსტინე აბულაძემ აღნიშნა, არაბული მწრა-ისაგან წარმოდგება, მაგრამ არაბული სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს წაკითხული, იმისდამიხედვით, თუ რა ხმოვნებს ვიგულისხმებთ თანხმოვნებთან: mufarrih ან mufarraḥ. ლოგორც ქვემოთ დავინახავთ, „ვეფხისტყაოსნის“ მუფარახ-ი მომდინარეობს არა mufarraḥ-იდან, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება ეგონოს კაცს, არამედ mufarrih-იდან.

ეს სიტყვა წარმოდგება არაბული ზმისაგან ფრ fariḥa „უხაროდა, გახარებული იყო, მხიარული“. აქედან მეორე თემა (გარდამავალი მნიშვნელობით) ტრ farraha „გაახარა“, „გაამხიარულა“ და მისი მიმღეობა მუფარიh (მოქმედებითი გვარი) „გამამხიარულებელი“ და მუფარაḥ (ვნებითი გვარი) „გამხიარულებული“. <sup>1</sup>

მაგრამ მოქმედებითი გვარის მიმღეობა mufarrih-ი პირდაპირი მნიშვნელობის გარდა იხმარება აგრეთვე როგორც სპეციალური ბოტანიკური ტერმინი და აღნიშნავდა მცენარეს საროსებრთა ოჯახიდან (Borraginaceae), რომლის სახელია anchusa arvensis ან anchusa officinalis და მის სახეობას, anchusa italicica-ს<sup>2</sup>.

მისი სინონიმია lisānu t-tawr „ხარის ენა“<sup>3</sup>, სპარს. კურან კურან ლسان الثور lisānu t-tawr „ხარის ენა“, სპარს. რომელიც არის შესატყვისი ბერძნული bouglosses სიტყვისა<sup>4</sup>, საიდანაც მიღებულია ფრანგული bouglosse, თუმცა ეს უკანასკნელი შინაარსით მცენარის იმ სახეობას შეფერება, რომლისთვისაც არაბულში mufarrih-ი იხმარება<sup>5</sup>. ქართულად მას „პატარძალას“ ეძახიან<sup>6</sup>, რუსულად ვოლონიკს<sup>6</sup>, ხოლო لسان الثور, რომელიც anchusa italicica-ს აღნიშნავდა, გვიანდელი ტექსტების მიხედვით შესატყვისია იმ მცენარისა, რომლის სახელია borrago officinalis, ქართულად „სარო“<sup>7</sup>, „ბორანჯო“, „კიტრისუნა“, რუსულად ბურაჩник, იგურეჩნა ტრავა, ფრანგულად bourrache, ინგლ. borage.

მცენარის არაბული სახელნოდება mufarrih ქართულშიც იყო გავრცელებული. იხმარებოდა ეს მცენარე როგორც სამკურნალო საშუალება მელანქოლიის, კოშმარისა და გულის დაავადების დროს, როგორც ეს არაბული, სპარსული, ქართული და სომხური საექიმო წიგნებიდან ჩანს. მაგ., ავიცენას მიხედვით „პატარძალა ამხიარულებს (ადამიანს), ამაგ-

<sup>1</sup> ob. Traité des simples par Ibn el-Beitar. Tome troisième. Notices et extraits des Manuscrits de la Bibliothèque nationale et autres bibliothèques, publiés par l’Institut National de France. Tome vingt-sixième. Paris, M. DCCC LXXXIII, N2155, p. 331.

<sup>2</sup> ძველი ქართული ტექსტების „ზროხის ენა“ (შდრ. ხოჯა ყოფილის სააქიმო წიგნი, გვ. 287, 37).

<sup>3</sup> შდრ. ხოჯა ყოფილის სააქიმო წიგნის განზაბანი, გვ. 287, 37.

<sup>4</sup> შდრ. ინგლ. bugloss, გერმ. Oxenzunge.

<sup>5</sup> Ibn Beītar, №2023, გვ. 235-236.

<sup>6</sup> თბ. ალ. მაყაშვილის სასოფლო-სამეურნეო ტერმინოლოგია, 1, მეცნიერება, თბილისი, 1938, გვ.40; 544.

<sup>7</sup> ალ. მაყაშვილი, იქვე, გვ. 23, 567.

რებს გულს, ძალიან კარგია სევდისა და გულის ფრიალის დროს, აგრეთვე შავი ნაღველის სენთა წინააღმდეგ.<sup>1</sup>

ხოჯა ყოფილის სააქიმო წიგნის მიხედვით მელანქოლიის დროს საჭიროა, რომ ავადმყოფი მთელ რიგ სხვა შაშუალებებთან ერთად „მოფარიპსა და ვაშლისა შარაბსა იხმარებდეს“<sup>2</sup> ანდა მან „თფილი მოფარიპი ჭამის“<sup>3</sup> აგრეთვე ქაბუსის<sup>4</sup> დროს „გრილი მუფარიპი იხმაროს, რომელ ელინოს“<sup>5</sup>.

ბრძენთ-მთავარი ზაზა ფანასკერტელი<sup>6</sup> აღნიშნავს თავის კარაბადინში, რომ ხაფაყნის (ხაფაყანი არაპ. خفان hafaqān „გულისფრიალი“, „გულის ძერა“, „გულის ცემა“) წამალი ასეთია: „თუ სიცხისაგან იყოს... მას მუშკისა და ამბრისა სული ერგების და ღლიასა ტლე, გულსა დაიდვას დოლ-მუშკი, ნუშადრე, მუფარე ხმელი, ესე მისცენ და ზედა ცოტა გემრიელი ღუინო ასუან“.

უსწორო კარაბადინით „მაჯუნი მუფარაი არგებს სევდასა, მალი-ხულიასა, სნებასა<sup>7</sup>.“

ასევე სააქიმო წიგნის სომხური ვერსიით მელანქოლიის დროს სხვა საშუალებებთან ერთად საჭიროა მუფარცპი (մուჭამე-ი)<sup>8</sup>ან მუფარცპის მაჯუნი (մուჭამე მაძილի)<sup>9</sup>იხმარონ.

მაგრამ mufarrih სიტყვას სხვა მნიშვნელობაცა აქვს. როგორც იბნ ყაიტარის ტრაქტატიდან<sup>1</sup> ჩანს, გამოთქმაში (سیტყვا- مفرح قلب المحرن نون) مفرح قلب المحرن نون

<sup>1</sup> იხ. ავიცენა قانون في الطب გვ. 182, შმდ., რუს. თარგმანი, II, ტაჭკენტი, 1958, გვ. 384, შმდ.

<sup>2</sup> წიგნი სააქიმოო, გვ. 79, 10.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 80.

<sup>4</sup> ქაბუსი کابوں kābūs – „კოშმარი“.

<sup>5</sup> წიგნი სააქიმოო, გვ. 84, 10.

<sup>6</sup> ზაზა ფანასკერტელი, სამკურნალო წიგნი, მ. სააკაშვილის რედაქციით, ბალახი, 1960, 175, 25. ციციანთ გვარის სახელგანთქმული წინაპრის ზაზა ფანასკერტელის ტიტულში – „ბრძენთ-მთავარი“ – სიტყვა „ბრძენი“ პირდაპირი მნიშვნელობით კი არ არის ნახმარი, არამედ წარმოადგენს არაბული հăkim-ის თარგმანს და მის მსგავსად „ექიმს, მკურნალს“ ნიშნავს.

არაპ. հăkim-ის ძირითადი მნიშვნელობაა „ბრძენი, მეცნიერი, დახელოვნებული“, იგივე მნიშვნელობა აქვს ჰkm ძირს ებრაულსა და არამეულში. ამ ძირითადი მნიშვნელობან არის განვითარებული ორი სხვა: 1. ჰăkim „მსაჯული, მმართველი“, 2. ჰăkim „ექიმი, მკურნალი“ (შდრ. E. Mittwoch, E.I, 237), ქართ. ბრძენთ-მთავარი შესატყვისება არაპ. რა'is al-hukamā'-ს, თურქ. hekim başı-ს (ექიმ-ბაში „მთავარი ექიმი“, შემდეგ ირონიულად ხმარების შედეგად ქართულში მიიღო კონტრასტული მნიშვნელობა), სომხ. bշšկա?et-ს და აღნიშნავს „მთავარ ექიმს“. ასეთ ტიტულს სამეფო კარის მთავარი ექიმები, „ლეიბ-მედიკები“ ატარებდნენ, ისე რომ, როგორც ტიტულიდან ჩანს, ზაზა ფანასკერტელი სამეფო კარის მთავარი ექიმი ყოფილა.

<sup>7</sup> სწორო კარაბადინი, 83, 85.

<sup>8</sup> Օգուտ բժշկութեան, გვ. 150, 26.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 152, 4.

სიტყვით „გამამხიარულებელი დამწუხებულის გულისა“) იგი აღნიშნავდა უკვე სხვა მცენარეს, ესაა ტუჩინსანთა ოჯახის ერთი სახეობა: melissa officinalis, mélisse citronell, ქართულად ფუტკრის მოლი (საბა), ბარამბო<sup>2</sup>. სტ. მენთეშაშვილის განმარტებით „ბარამბო სურნელოვანი ბალახია, ღეროზე მობრტყო, გულისნაირი ფოთოლი აქვს, ფუტკარს ამით იოგურებენ“<sup>3</sup>.

„ვეფხისტყაოსნის“ სევდისა მუფარახი სინონიმია ზემოთ განხილული არაბული ტერმინისა და, ცხადია, აღნიშნავდა იმავე ტუჩინსან მცენარეთა ერთ სახეობას, რომელიც მელანქოლის სამკურნალო მაჯუნის<sup>4</sup> შემადგენელ ელემენტს წარმოადგენს.

ამ მცენარის აღნიშნული არაბული ტერმინი mufarriḥ qalb al-mahzūn ქართულშიც იხმარებოდა. შემოკლებული და დამახინჯებული სახით ეს გვხვდება, მაგ., ზაზა ფანასკერტელის სამედიცინო ტრაქტატში: მუფარუ ყარბი, რაც უეჭველია, იმავე არაბული<sup>5</sup> ტერმინის შემოკლებული გადმოცემა. ზოგჯერ ამავე მნიშვნელობით ქართულში მხოლოდ muffariḥ-i იხმარება და მაშინ ძნელია გარკვევა, რომელ ტერმინთან გვაქვს საქმე, რომელიც „პატარძალას“ აღნიშნავს, თუ mufarriḥ qalb al-mahzūn-iს შემოკლებას რომ წარმოადგენს, მით უმეტეს, რომ მელანქოლის სამკურნალოდ ორივე ეს მცენარე იხმარებოდა.

ზაზა ფანასკერტელის მიხედვით ერთგვარი „მონახულია არის, რომე მუდმივად არა მოუვიდოდეს, სადამდი მთუარე არ გამობრუნდებოდეს, და რა მოუვიდეს, აფთიმონისა მათფუხი შეასუით, რაგუარცა უნინა დაგუინერია იმა წესითა“.

„წამალი მისი. აიღე აფთიმონი, ათი დრამი, ბასვაიჯი და . . . ესე ყუელა დანაყე და მოფარუხსა მაჯუნშიგა გაურიე, და მერმე ორსა დღესა სამსა მუტყალსა მისცემდი“.

„აიღე მუფარუ ყარბი, წითელი ვრდი, ბადრანჯაბუას თესლი... მერმე ხუთი დრამი თაფლი შიგან გაურიე და მანამდი ადუღე, რომე შესქელდეს. ესე წამლები შიგან გაურიე, და ყოველთა დღეთა თუითოსა თხილისა ოდენა აჭამოს“.

<sup>1</sup> Ibn Beitar, 2156, გვ. 331.

<sup>2</sup> საბა, 1928 წლის გამოცემა, გვ. 35; იხ.აგრეთვე დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, პეტერბურგი, 1887, ს. v.; რ. ერისთავი, მოკლე ქართულ-რუსული-ლათინური ლექსიკონი, თბილისი, 1887, ს. v.; მ. ჯანშვილი, საინგილო, ძველი საქართველო, ტ. II, თბილისი, 1913, IV განხ., გვ. 240 (ბარანბო). ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, წ. II, თბილისი, 1934, გვ. 248; ალ. მაყაშვილი, მემკენარეობა. სასოფლო-სამეურნეო ტერმინი-ლოგია, I, პროფ. ვ. ბერიძის რედაქციით, თბილისი, 1938, გვ. 117 და 347.

<sup>3</sup> სტ. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბილისი, 1943, გვ. 17.

<sup>4</sup> მაჯუნი – არაბ. ma'ṣūn „შეზელილი, გალესილი (ნამალი)“, Лекарственная смесь“.

<sup>5</sup> ზაზა ფანასკერტელი, გვ. 44.

უსწორო კარაბადინით მელანქოლიის დროს „მუფარახისა მაჯუნი აჭამი რომე გული გაუმხიარულოს“<sup>1</sup>, აგრეთვე „მუფარეხი მაჯუნითა აჭამონ, რომე გული გაუმხიარულოს“<sup>2</sup>.

ზემოთქმულის შემდეგ ცხადია, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორს კარგად ესმოდა ამ ტექნიკური ტერმინების მნიშვნელობა. მაგრამ „ვეფხისტყაოსნის“ გამოთქმა სევდისა მუფარახი სიტყვების ერთგვარ თამაშს ნარმოადენს. ერთი მხრივ იგი გამოყენებულია როგორც სპეციალური ტექნიკური სამედიცინო ტერმინი, ხოლო ამავე დროს ნახმარია გადატანითი მნიშვნელობით, ერთ შემთხვევაში ეპითეტად ავთანდილის მიმართ.

დასასრულ, არაბული სიტყვის ქართულად გადმოცემის შესახებ. მოსალოდნელი იყო, რომ მუფარიხ-ი მიგვეღო და არა მუფარახ-ი.

მაგრამ ი ფონემას არაბულ დაალექტიკაში აქვს მთელი რიგი ალოფონი, ცოტად თუ მეტად თავისუფალი ვარიაციებით, რომელიც იცვლებან დაწყებული მაღალი წინა რიგის ბგერიდან და გათავებული დაბალი რიგის ხმოვნით, ხოლო ჰ-ს, ‘ayn-ისა და r-ს წინ, ზოგჯერ მას ტენდენცია აქვს a-ში გადასვლისა, ისე რომ მასთან კონტრასტს აღარ ქმნის, მაგ., iħna, ‘eħna და ’alħna, „ჩვენ“, bti’rif, btē’rif და bta’rif „შენ იცი“ და სხვ.<sup>3</sup> ზოგჯერ ებრაულისა და არაბულის მსგავსად ჩნდება paħħah furtivum<sup>4</sup>. ეს ვითარება ქართულში ნასესხებ სიტყვებშიც ჩანს. იგივე mufarrih სიტყვა ქართულ ტექსტში სხვადასხვა ვარიანტით არის ასახული: მუფარიჸ-ი, მოფარაჸი<sup>5</sup>, მუფარე<sup>6</sup>, მუფარეხი<sup>7</sup>, მოფარეხი<sup>8</sup>, მუფარა<sup>9</sup>, მუფარაჸი<sup>10</sup>, მუფარახი<sup>11</sup>.

ასევე სხვადასხვაგვარად აისახება ქართულში არაბული ფარინგალი ჰ, რომელიც mufarrib სიტყვაში გვხვდება. არაბულიდან ქართულში ნასესხებ სიტყვებში ზოგჯერ იგი დაკარგულია, მაგ., ალაბ-ი<sup>12</sup> – არაბ. halab; ზოალი, ზუალ-ი<sup>13</sup> – არაბ. zuħal; აბაში<sup>14</sup> – არაბ. ħabaš და სხვ.<sup>1</sup> მეორე

<sup>1</sup> უსწორო კარაბადინი, გვ. 288, 25.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 288, 12.

<sup>3</sup> ბდრ., მაგ H. Blanc, Studies in North Palestinian Areblic. Jerusalem, 1953, გვ. 36.

<sup>4</sup> ბდრ., მაგ., აბდულ მესია, არაბ. ‘abd al-masħħ. ნ. მარი, Օდოპისცი, გვ. 24-25.

<sup>5</sup> წიგნი სააქიმოვ, 79, 10; 80, 5.

<sup>6</sup> ზაზა ფანასკერტელი, 175, 25; უსწორო კარაბადინი, 84, 13.

<sup>7</sup> უსწორო კარაბადინი, 118, 4; 131, 25; 191, 12; 192, 9-10; 288, 12.

<sup>8</sup> ზაზა ფანასკერტელი, 44, 13.

<sup>9</sup> უსწორო კარაბადინი, 83, 35.

<sup>10</sup> წიგნი სააქიმოვ, 84, 10.

<sup>11</sup> უსწორო კარაბადინი, 288, 25 და „ვეფხისტყაოსნის“ ხსენებული სტროფი.

<sup>12</sup> H. Я. Mapp. Древнегрузинские одописцы, ТР, IV? СПб., 1902, აბდულმესია, 2, 2; თამარიანი IX, 17; XII, 40.

<sup>13</sup> იქვე, თამარიანი, XII ა, 6; „ვეფხისტყაოსანი“, სტრ. 941, 1; 953, 2; 1407, 2.

<sup>14</sup> აბდულმესია, 60, 2, 3; 81, 1, 2; წიგნი სააქიმოვ, 49, 26.

მხრივ არაბ. **կ**, ქართულში ჰ-თია გადმოცემული; ჰაბ-ი<sup>2</sup> (მერმინდელი აბ-ი) არაბ. **habb**; აჰმად-ი<sup>3</sup> – არაბ. **'ahmad**; მოჰამადი, მუჰამად-ი<sup>4</sup> – არაბ. **muhammad**; რუჰ-ი<sup>5</sup> – არაბ. **rūh**; ბუჰრან-ი<sup>6</sup> (მერმინდელი ბურან-ი – არაბ. **buhrān**; რეჰან-ი<sup>7</sup> – არაბ. **reyhān** და სხვ.

დასასრულ, არის შემთხვევები, როდესაც არაბ. **կ** ქართულში ხ-თია ასახული: ახმახი – არაბ. **'ahmaq**; მუხთალ-ი<sup>8</sup> – არაბ. **muhtal**; მაშხალა არაბ. **mas'ala** (მუღერი 'ayn-ის დაყრუების შედეგად მიღებული ჩასიმილაციის შემდეგ გვაძლევს ხ-ს).

გარდა ამისა, არის თითოოროლა შემთხვევა, როდესაც არაბული (და სპარსული) ჩასიმილა ქართულში ყ თანხმოვნით, მაგრამ ეს, ვფიქრობთ, უმეტეს შემთხვევაში შედეგია ქართულის ნიადაგზე არაბული (სპარსული) სიტყვის გააზრიანებისა ძირის მცდარი იდენტიფიკაციის საფუძველზე.

მთელი ეს მრავალფეროვნება არაბული ჩანხმოვნის გადმოცემისას ქართულში მუფარახ სიტყვაშიც არის წარმოდგენილი. როგორც ზემოთხსენებული მაგალითებიდან ჩანს, აქაც მისი ასახვის ოთხივე ვარიანტი გვხვდება: 1. მუფარე, მუფარა; 2. მუფარიჰ-ი (მოფარიჰ-ი), მუფარაჰი; 3. მუფარებ-ი (მოფახერ-ი), მუფარახ-ი (მოფარახ-ი)<sup>9</sup>, და, დასასრულ 4. მუფარაყ-ი<sup>10</sup>, მოფარაყ-ი<sup>11</sup>.

ეს სხვადასხვაობა უცხო ბერების ქართულად გადმოცემისას სხვადასხვა მიზეზით აიხსნება. ზოგჯერ ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ რა გზითაა<sup>12</sup> სიტყვა ქართულში შემოსული: მნიგნობრული თუ ზეპირი გზით, უშუალოდ არაბული ენიდან თუ სპარსულიდან ან კიდევ ამ ენების ამა თუ იმ დიალექტიდან. მნიშვნელოვანია აგრეთვე ქრონოლოგიური ფაქტორი: როდისაა სიტყვა შემოსული, ან რა კონსონანტურ და ვოკა-

<sup>1</sup> ამის შესახებ იხ. H. Fähnrich. Arabisehe Lehnwörter in der georgischen Sprache, *Revue de Kartvélologie*, 45–46, Paris, 1964, p. 158.

<sup>2</sup> ნიგნი სააქიმოვ, ზაზა ფანასკერტელი და სხვ. (მრავალგზის).

<sup>3</sup> ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიმელის გამოცემა, 1, თბილისი, 1955, 318,4 (ჯუანშერი).

<sup>4</sup> იქვე, 229, 10; 251, <sup>14</sup> და სხვა.

<sup>5</sup> ნიგნი სააქიმოვ, 21, <sup>34</sup>; 21, <sup>35</sup>; 21, <sup>38</sup>; 21, <sup>39</sup> და სხვ. მრავალი.

რეობს, რომლის სწორი სპარსული გამოთქმა არისო „გიულენშაპრ“ (“სიცილის ქალაქი”). უფრო სწორია მ.ჯანასშვილის თარგმანი „მხიარული ქალაქი“. ეს უკანასკნელი მნიშვნელობა რომ დადებოდა ზღვათა სამეფოს დედაქალაქს ამოსავლად, ის თურქულ-სპარსული კომპოზიტი იქნებოდა. გულანშაპრო სპარსული ტოპონიმია, რომელშიც, ვფიქრობთ, ვარდი (გულ) არა მხოლობით რიცხვში, არამედ მრავლობითშია (“ვარდთა ქალაქი”). ასე შეიძლება აიხსნას ნარის პოვინერება გულანშაპროში. ოიკონიმის იდენტიფიცირებისა და ფონეტიკის თვალსაზრისით მცდარად მიგვაჩინია ლ.მარუაშვილის ეტიმოლოგია.მეცნიერის აზრით, „გიულანშაპრ“ გარდააქმნა „ლიულანჯანად“, რომლის შემოკლებული ფორმა კ.მადაგასკარის ჩრდილო-დასავლური სანაპიროს „ლანჯან“ ტოპონიმშია შესაცნობი.

### მულდაზანზარი

დღევანდელ ტრაპიზონთან (ა. სვანიძე), ირანის პროვინცია ქერმანი (დ. ქუმსიშვილი), აღმოსავლეთ აფრიკაში-ეკვატორის სამხრეთით, კენია-ტანზანიის ოკეანისპირა რაიონი (ლ. მარუაშვილი), ინდოეთი (ზ. ავალიშვილი), ინდოეთსა და არაბეთს შორის (კ. ჭიჭინაძე).

არნ. გეგეჭყორის მიერ დასახელებულ გეოგრაფიულ პუნქტებს გარდა ფრიდონის ზღვისპირა სამეფოსტვის პაკისტანის ტერიტორიაზე ქაღვადარის მიდამოებიც არის მოაზრებული (მ. ქემხაძე), კუნძული სოკოტრა (რ. ლამბაშიძე), როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, სვ. ციციშვილის ჰიპოთეზით, ვეფხისტყაოსნის ინდოეთის ჩრდილო-დასავლეთი ნანილში მდებარე სინდეტის მხარის ძველი ქალაქები-მუღალ და სანდურ (სანდარ) ერთად მულდაზანზარს ეტოლება.

ლ. მარუაშვილი მულდაზანზარს კომპოზიტად განიხილავს, რომელშიც, მისი აზრით, არაბებისა და სპარსელების მიერ შუა საუკუნეებში ხმელეთის, კონკრეტულად კი აღმოსავლეთ აფრიკისა და მადაგასკარის ვრცელი სანაპიროების აღსანიშნავად ხმარებული მუღ და ზანზიბარი გამოიყოფა. ავტორის ფიქრით, შედგენილი „მუღ-ვაზანზიბარ“, (აფრიკის) სანაპირო (მუღ) და „ზანზიბარი“ არის. გეოგრაფოსის ვარაუდით, ასეთი სახელი აფრიკის აღმოსავლურ სანაპიროზე XII-XIII საუკუნეებში არსებულ სპარსულ სამეფოს ერქვა. ვეფხისტყაოსანში დადასტურებულ ფორმას რაც შექება, „გა“-ს „ლა“ მარცვლით ჩანაცვლება, ქართულ ენასთან და მის ლექსინყობასთან შესაგუებლად მოხდა<sup>1</sup>. კ. ჭიჭინაძემ ამ ოიკონიმის იდეტიფიცირებისგან თავი შეიკავა, დ.ქუმსიშვილმა იგი ორმუზის სრუტის, ხოლო მ.ქემხაძემ პაკისტანის ტერიტორიაზე ქ. გვადარის მიდამოებში ივარაუდა.

იუსტ.აბულაძის თვალსაზრისით, მულდაზანზარის საფუძველი სპარსული მორდ „ფრინველი“ არის; ესე იგი, მულდაზანზარი ფრინველოვანს უნდა ნიშნავდეს. ვფიქრობთ, ამ გეოგრაფიულ სახელში შესაძლოა არაბული მუღე („სამეფო“) მოვიაზროთ, ზანზარი გამოგონილი

<sup>1</sup> ლევან მარუაშვილი, დედამინა და კაცობრიობა „ვეფხისტყაოსანში“ (თბილისი, 2002).

ქვეყნის აღმნიშვნელია. ამ შემთხვევაში ტოპონიმი მულლაზანზარი სპარსული იზაფეტით, რომლის ნიშანია ა, დაკავშირებული ორნევრიანი კომპოზიტია. ვეფხიტყაოსნის ქვეყნის ამ სახელწოდების აგებულების-თვის შდრ. პოემის ზღვათა სამეფო.

ჩვენთვის საინტერესო ოკურნიმთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მულლაზანზართან ფონეტიკურად ახლო მდგომი მულლაზარი ფორმა ჩახრუხაძის თამარიანში გვხვდება.

### ტარიელის ქვაბი (გამოქვაბულები)

ბელუჯისტანი (ა. სვანიძე), თურქენეთში მდებარე დევ-ქალას ციკლოპური ნაქალაქევი (დ. ქუმსიშვილი), ეთიოპია, სომალის ნახევარკუნძული (ლ. მარუაშვილი), არაბეთი (ზ. ავალიშვილი), სპარსეთის ყურის რაიონი (კ. ჭიჭინაძე) და ა.შ. ლ. მარუაშვილის მოსაზრება გაიზიარა გეოლოგმა რ. ლამბაშიძემაც.

მ. ქემხაძის 1969 წ. გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიის მიხედვით ჩამოთვლილ გეოგრაფიულ სახელებს დაემატება: ირანი, მაზანდარანი (მ. ჯანაშვილი), მ. ქემხაძის ნაშრომში უფრო ვრცლადაა ნარმოდგენილი ლ. მარუაშვილის ვერსია, რომელშიც გეოგრაფიული მეთოდის მომარჯვებით გამოთქმულია ვარაუდი, რომ პოემის ქვაბთა კომპლექსი აფრიკაში, „სომალის რქის“ დასავლეთით, 5-10 დღის სავალზე, ადენის ყურის სამხრეთ სანაპიროზეა. კ. ჭიჭინაძის თვალთახედვით, ტარიელის ქვაბები სპარსეთის ყურის რაიონშია.

### ინდოეთი

ქართული ეპოსის გეოგრაფიის საკითხებისადმი მიძღვნილ შედარებით ახალ გამოკვლევებს შორის აღსანიშნავია ზოოლოგ, ბიოგეოგრაფ არნ. გეგეჭკურის ნაშრომი „ვეფხისტყაოსანი“ ბიოგეოგრაფიის თვალით<sup>1</sup>. მეცნიერი უფრო ვრცლად განიხილავს ლ. მარუაშვილის რუსთაველის ქმნილების გეოგრაფიასა და პოემის ავტორის გეოგრაფიული ცოდნის შესახებ დაწერილ ყველაზე ვრცელ მონოგრაფიას (დედამიწა და კაცობრიობა „ვეფხისტყაოსანში“, შოთა რუსთაველის გეოგრაფიული შეხედულებანი), არნ. გეგეჭკური საუბრობს ამ ნაშრომის მნიშვნელობაზე მეცნიერების სხვადასხვა დარგის წარმომადგენლებისთვის. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა მისი მოსაზრება ვეფხისტყაოსნის ინდოეთის შესახებ. ამისდა მიუხედავად ბიოგეოგრაფი თავისისავე შეხედულების სანინააღმდეგოდ ვეფხისტყაოსნის უმთავრესი ქვეყნის იდენტიფიცირებას თანამედროვე ინდოეთ-პაკისტანის ტერიტორიის ჩრდილოეთ ნაწილში, რომელიც ძირითადად ორ დიდ მდინარეს – ინდსა და განგს შორის წარმოქმნილ ვაკეზე მდებარეობს.

დასკვნის სახით ავტორი ამგვარ შეხედულებას გვთავაზობს: „პოემას კი, არაბეთის სრულიად განსხვავებული ბუნების მსგავსად, როგორც იტყვიან, ინდოეთის ნიშან-წყალიც არ ეტყობა“!<sup>1</sup>

<sup>1</sup> „არნოლდ გეგეჭკური, „ვეფხისტყაოსანი“ ბიოგეოგრაფიის თვალით, 36.

იმ გარემოების გამო, რომ ვეფხისტყაოსნის მთავარი გმირები, მათ შორის ეპოსის პროტაგონისტი ტარიელი მაჰმადიანია, ინდოეთის იდენტიფიცირების საკითხზე რუსთველოლგიურ ლიტერატურაში უფრო ინდოეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში მდებარე ისტორიულ დელის სასაულთნოზეა საუბარი. გამოთქმულია მოსაზრებაც, რომ ქართული ეპოსის ინდოეთი ბომბეის შტატს შეესაბამება, ზოგმა მკვლევარმა კი მისთვის თანამედროვე ინდოეთი და პაკისტანი ერთად ივარაუდა.

შეიძლება ის გარემოებაც აღინიშნოს, რომ ამირანდარეჯანიანის, რომლის ხსენებას ეპოსის ბოლოთქმაში ვხვდებით და რომელიც რუსთაველს უნდა გამოეყენებინა, გმირი ინდოელია (ინდო ჭაბუკი). ამ საგმირო-საფალავნო ნაწარმოებში ვეფხისტყაოსნით ცნობილი სხვა პირის სახელებიც გვხვდება-ფარსადანი, მელიქ სურხავი (მეფე სურხავი).

რუსთაველის ქმნილების გეოგრაფიისადმი მიძლვნილ ლ.წერეთლის ახალ ნაშრომშიც უპირატესობა პოემის მთავარი ქვეყნების – ინდოეთისა და არაბეთის – რეალურ სახელმწიფოებად იდენტიფიცირებას ენიჭება.<sup>1</sup>

როგორც ცნობილია, რუსთაველოლგები არაერთ მსგავსებას ხედავენ ქართული ეპოსის მთავარ ქვეყნებსა და XII-XIII საუკუნეების საქართველოს ისტორიას შორის. ვეფხისტყაოსნის ინდოეთი, ისევე როგორც მოსინის სამშობლო, შვიდ სამეფოდაა დაყოფილი. ხსენებულ სახელმწიფოთა სოციალური ინსტიტუტები საქართველოს შესაბამის ინსტიტუტებს ჰგავს. ინდოეთისა და არაბეთის მეფეებს ვაჟიშვილი არ ჰყავთ. ვეფხისტყაოსანში სამეფო ტახტისთვის ასახულა ბრძოლა მეფე თამარის ეპოქაში ბაგრატიონთა სამეფო გვარში წარმოქმნილ დაპირისპირებას ჰგავს. არაბეთის სამეფოს ტახტზე თინათინი უნდა ავიდეს, ისევე როგორც ჩვენ ქვეყნის ისტორიაში XII საუკუნის დამლევს გიორგი მესამის ქალიშვილი გახდა გვირგვინოსანი. პოემაში ნესტანდარეჯანის ალმზრდელი მამიდამისია, ისევე როგორც მეფე თამარს მამიდა რუსუდანი ზრდიდა.

ვეფხისტყაოსანში ინდოეთის მეფის ქალიშვილზე დასაქორწინებლად ხვარაზმელი მოდის, მეფე თამარის პირველი მეუღლე უცხოტომელი იყო. ხოლო მის ქალიშვილ რუსუდანზე დაქორწინება ხვარაზმელმა ჯალალ-ედ-დინმა მოინდომა. პოემის გმირთა ზნე-ჩვეულებები (ქალის კულტი, მეგობრობა, ძმადნაფიცობა, მიცვალებულის დატირება და ა.შ.) ისტორიით ცნობილ ჩვენი ერის წარსულს გვაგონებს. ვეფხისტყაოსნის მეზობლადაა ასევე მეფე თამარის ინიციატივით დაარსებული ტრაპიზონის იმპერია და აღმოსავლეთ შავიზლვისპირეთის გამოგონილი ქვეყნები თუ ქალაქები: ზღვათა სამეფო, მულდაზანზარი, გულანშარი.

<sup>1</sup> „ლია წერეთელი, „ვეფხისტყაოსნის“ ხატაეთი და ხატაელები, კრებული „ტერმინი, ცნება და პარადიგმა „ვეფხისტყაოსანში“, რედ. ი. ამირხანაშვილი (თბილისი 2016), 293.

## არაპეთი

ქართული ეპოსის არაბული სამყარო ძალზე ვრცელია. ზოგი სწავლული ვეფხისტყაოსნის არაპეთს ერაყ-სირიასთან აიგივებს, სხვები უფრო სამხრეთით, არაპეთის ნახევარკუნძულზე მოიაზრებენ. კარაძის აზრით, ვეფხისტყაოსნის არაპთა სახელმწიფო X საუკუნის დამდეგის არაპეთი, აბასიდების სახალიფოა.

პოემის არაპეთის არაბულ სამყაროსთან გაიგივებასთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ვეფხისტყაოსანში გვევდება არაბული სამყაროს მთავარი ქვეყნის ეგვიპტის ორი სახელი - ეგვიპტე (მისგანაა ნაწარმოები რუსთაველთა დადასტურებული ამ ქვეყნის მკვიდრის სახელი მეგვიპტელი) და მისი სინონიმური სახელწოდებები მისრი და და ქართული ბოლოსართით გაფორმებული მისრეთი.

აქვე შევნიშნავთ, რომ ვეფხისტყაოსნის მთელ რიგ გამოცემებზე დართულ ლექსიკონებში ბასრი შეცდომით ქალაქ ბასრად არის გაგებული. ამგვარი განმარტებაა პოემის „ვეფხისტყაოსნის აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის“ მთავარი რედაქტიის მიერ 2006 წ. განხორციელებულ გამოცემაზე დართულ ლექსიკონშიც „ბასრ-ი (სპ.ბასრი „ბასრული, ქ.ბასრასი“) ფოლადი“.

ტარიელის სიტყვებია:

ჩემგან გაპკვეთს ხორცსა მათსა ხრმალი ბასრი, შუბი ახე“ - 439, 3. ბასრი სრევა ზმნიდან მიღებული ზედსართავია. შდრ. მუსრი.

რუსთაველთან ცრემლის მნიშვნელობით ხმარებული ჯეონი მდინარე ამუდარის არაბული სახელწოდება არ არის, როგორც ამას ბევრ რუსთველოლოგიურ კომენტარში ვხედავთ, არამედ სამოთხიდან გამომდინარე მდინარის ერთერთი ნაკადის გიჰონის არაპიზირებული ფორმაა.

## ხატაეთი

პოემაში მოხსენიებული ხატაეთი რუსთველმცოდნეობაში ჩრდილოეთ ჩინეთად, ხატაელები კი ზოგი რუსთველოლოგის მიერ ჩინელებად არიან გაგებულინ. ვეფხისტყაოსანში ჩინეთის მნიშვნელობით ერთხელ ჩინიც გვხვდება:

ესე ამბავი მართალი ჩინს ქვასა ზედა სწერია :

ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია-854, 1-2

ის გარემოება, რომ ავტორი ერთი და იმავე ქვეყნისთვის ორ სახელს ხმარობს, ეჭვს ბადებს ჩინისა და ხატაეთის სინონიმურობის შესახებ. გარდა ამისა, თუ ზემომოხმობილ აფორიზმს რუსთაველი ჩინურად მიიჩნევს, ხატაელები პოემაში ინდოელთა მტრებად არ უნდა იყვნენ გამოყვანილები. ასევე აღსანიშნავია, რომ მოსე ხონელის ამირანდარეჯანიანში, რომლის სიუჟეტს ზოგი რუსთველოლოგი ვეფხისტყაოსნის ამბის ამოსავლადაც კი მიიჩნევს (ზ. ჯანაშვილი, შ. ნუცუბიძე), მოხსენიებული ქართული სატომო სახელი ჭენი (მისგანაა შემდგომ მიღებული ჭანი) მცდარად ჩინელადაა გაგებული.

ხატაეთის ჩინეთად განმარტება ამ ქვეყნის სახელის გაუმართლებელი იდენტიფიცირებიდან მომდინარეობს. ხატაი მანჯურიელთა ეთნონიმ კიდანს უკავშირდება, რაც ქართველ სწავლულთა მიერ იყო რამდენიმე ათეული წლის წინ აღნიშნული (გრ. ზარდალიშვილი). ხსენებულ ეთნონიმს რამდენიმე ენაზე, მათ შორის სპარსულ ენაზე დაწერილ ტექსტებში, ჩინეთის მნიშვნელობა აქვს, ხოლო რუსულ ენაში იგი კითაი ფორმით დამკვიდრდა. აკად. ვ. ბარტოლდის აზრით, ხიტაი ფორმიდან ხატაის მიღება არაბული კონსონანტური დამწერლობის საფუძველზე აღრევის გამო მოხდა. ვფიქრობთ, ამ ეთნონიმმა ხატაი სახე, შესაძლოა, რეგრესული ასიმილაციის შედეგად მიიღო: ხიტაი > ხატაი. ხატაელთა ქვეყანა ქართულ სამწერლობო ძეგლებში ხატაეთი და ხატავეთი ფორმებითაც დამონტებული.

ლ. მარუაშვილის აზრით, ვეფხსისტყაოსნის ხატაეთი შეესაბამება საშუალო საუკუნეების ჩრდილო ჩინეთის სახელმწიფოს, რომელსაც თურქული წარმომოქიდის დინასტია მართავდა<sup>1</sup>.

ვფიქრობთ, ვეფხისტყაოსნის ხატაელები მეფე თამარის შვილთა ეპოქის თათარ-მონღოლებთან ერთად ძველი აღთქმისეული წინასახე ხალხი, ხშირად ებრაელებთან მებრძოლი ფილისტიმელები არიან, რომ-ლებსაც ჰალესტინაში ღვთის რჩეულ ერთან ახლო ურთიერთობა ჰქონ-დათ.

ნესტანდარეჯანი თავის მიჯნურისადმი გაგზავნილ წერილში ამგვარად მოუწოდებს ტარიელს:

ხატუაუთს მყოფნი ყველანი ჩვენნი სახარაჯონია,

ან მათნი ჯავრნი ჩვენზედა ჩვენგან არ დასათმონია ! – 377, 1-2

თითქოს ქართველთა მონღლობების წინააღმდეგ ხუნანის ველზე გა-  
მართული ბრძოლის რეცეფციას ვხედავთ პოემის ერთი ეპიზოდში, რო-  
დესაც ტარიელთან მოდის ერთი ადამიანი, რომელიც ინდოელი ამირბა-  
რის შამისგან ყოფილა დავალებული. უცნობი კეთილმოსურნე აფრთხი-  
ლებს პოემის უპირველეს რაინდს, რომ ხატაელებს არ ენდოს და რომ  
ისინი რიცხვობრივად უფრო მეტნი არიან, კიდრე ჩანაან.

„რომე ცუდად არ მოჰლორდე, ისი კაცნი გლალატობენ,  
ერთგან შეწოვის დამალულნი სპანი ასჯერ ათასობენ“; - 434, 1-2

მონღოლებთან ბრძოლის დასაწყისი თითქოს ქართველთა უპირატე-  
სობით მიმდინარეობდა. თათარ-მონღოლი მოლაშქრები უკუიქცნენ. სამალავიდან გამოსულმა მტრის მებრძოლებმა ბრძოლის ბედი მონღო-  
ლების სასახოვი გადაწყვიტეს.

<sup>1</sup> ლევან მარუაშვილი, დედამიწა და კაცობრიობა „ვეფხისტყაოსანში“, 137.

„ხატაეთი“ და „ხატაელი“ მონღლოლთა ეპოქამდე ქართულ მწერლობაში, არც ისტორიულში, არც მხატვრულში არ გვხვდება“ (კ. კეკელიძე). აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ პოემის XVII საუკუნის ერთ ხელნაწერის ნახატზე, რომელსაც „რამაზ მეფის მოყვანა“ ჰქვია, ხანს მონღლოლიდური იერი აქვს.

რუსთაველის ხატაელთა მეორე პროტოტიპი ფილისტიმელები გვვონია, რომლებთანაც მეფე დავითს ახლო ურთიერთობა ჰქონდა. იგი ერთხანს ფილისტიმელებთანაც კი იმყოფებოდა, რომლებიც მისი დაცვის რიგებში იყვნენ.

რუსთაველის ქმნილებაში ერთადერთი სახელმწიფო, რომლის იდენტიფიცირებაზე აზრთა სხვადასხვაობა თითქმის არ არის, ხვარაზმი იგივე ხორეზმია, ინდოეთში ნესტანდარეჯაზე დასაქორწინებლად მოსული ხვარაზმშას ძე კი ჯალალ-ედ-დინი უნდა იყოს.

ეპიკური ქმნილების სუუჯეტის ქარგის არაქართულობის დასამტკიცებლად მეცნიერებაში პროლოგის სპარსულ ამბავთან ერთად უმთავრესად არაბულ-სპარსულ სახელებსა და მოქმედების უცხო ქვეყნებში მიმდინარეობაზე არის მსჯელობა.

ვეფხისტყაოსანში ასახული გამონაგონი და რეალური (ისტორიული) ქვეყნების ლოკალიზებისა და იდენტიფიცირების თაობაზეც თვალსაზრისთა ნაირგვარობაა. შეუ საუკუნეების მხატვრულ ლიტერატურაში, მათ შორის ქართულ ეპოსშიც, გეოგრაფიული გარემო ხშირად პირობითია.

იმ გარემოების გამო, რომ რუსთაველის მთავარი გმირები, მათ შორის პოემის პროტაგონისტი ტარიელი მაჰმადიანია, ინდოეთის იდენტიფიცირების საკითხზე რუსთაველოლოგიურ ლიტერატურაში უფრო ინდოეთის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში ისტორიულ დელის სასულ-თხოზე არის საუბარი. გამოთქმულია მოსაზრებაც, რომ ვეფხისტყაოსნის უპირველესი სულიერების ქვეყანა ინდოეთი ბომბეის შტატს შეესაბამება, ზოგმა მკვლევარმა კი მისთვის თანამედროვე ინდოეთი და პაკისტანი ერთად ივარაუდა.

რუსთაველოლოგიურ ლიტერატურაში გამოთქმულია სკეპსისი პოემის ქვეყანათმცოდნეობის ჭრილში გეოგრაფიული ობიექტების ზუსტი იდენტიფიცირების თაობაზე (ზოგიერთ გამოკვლევაში მართლაც გადაჭარბებულია), რაც განსაკუთრებით ვეფხისტყაოსნის სახელმწიფოების საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებთან გაიგივებას შეეხება.

ამისდა მიუხედავად, ჩვენი მოსაზრებით, ვეფხისტყაოსნის გეოგრაფიულ სახელწოდებათა მნიშვნელოვანი ნაწილის იდენტიფიცირება რუსთაველის ეპოქის საქართველოშია შესაძლებელი. ვფიქრობთ, პოემაში დახატულ მთავარ ქვეყნებში – ინდოეთსა და არაბეთში ჩვენი ქვეყანა მოაზრებული. გარდა ამისა, ამ შეხედულებას მხარს უჭერს პოემაში აღნერილი სხვა სახელმწიფოებისა და მხარეების, ისეთების, როგორიცაა ვეფხისტყაოსანში დახატულ ინდოეთთან ახლო მდებარე ქაჯეთის, ტარიელის ქვაბოვანის, გულანშაროს, მულდაზანზარის ლოკალიზება-იდენტიფიცირება. ამ ასპექტით გასათვალისწინებელია ასევე ეპოსში დახატულ ინდოელების მეზობელ ხალხთა აღმნიშვნელი ეთნო-

ნიმები: ქურდი, თურქი, ეპილოგში ავტორის (მესხი მელექსე) მშობლიური მხარე მესხეთი იგულისხმება და ა.შ.

ზ.გამსახურდიას მოსაზრებით, ვეფხისტყაოსნის ქვეყანათა სიმბოლიკაში „პმითიურ-ლეგენდარულ ინდოეთთან გვაქვს საქმე, რომელიც განასახიერებს სულის პლანს, სამოთხის ყოფას, ცხოვრების ხის საუფლოს“!

ჩვენი აზრით, ეპოსის გეოგრაფიულ სივრცეში ინდოეთი, არაბეთი, ქაჯეთი XII-XIII საუკუნეების საქართველოს საზღვრებშია, იმ შემთხვევაშიც კი, თუ თბზულებაში ქაჯებად ზოგადად ქტონური ძალები ან კონკრეტულად წარსულში ჩვენი ქვეყნის მტერი სახელმწიფოს - ირანის ასასინები არიან ნაგულისხმევნი, როგორც ამას ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს (მ. ჯანაშვილი, კ. კეკელიძე, თ. ნატროშვილი, მ. გაბაშვილი). საქართველოს მსგავსად რუსთაველთან უპირველესი ქვეყანა ინდოეთი შვიდ სამეფოდა დაყოფილი. ვეფხისტყაოსნის მთავარი სახელმწიფოს მეზობლადა ასევე მეფე თამარის ეპოქის ტრაპიზონის იმპერიისა და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის გამოგონილი ქვეყნები თუ ქალაქები: ზღვათა სამეფო, მულდაზანზარი, გულანბარო.

შეიძლება ის გარემოებაც ალინიშნოს, რომ ამირანდარეჯანიანის, რომლის ხსენებასაც ეპოსის ბოლოთქმაში ვხვდებით და რომელიც რუსთაველს უნდა გამოეყენებინა, გმირი ინდოელია (ინდო ჭაბუკი), ამ საგმირო-საფალავნო ნაწარმოებში ვეფხისტყაოსნით ცნობილი სხვა პირის სახელებიც გვხვდება - ფარსადანი, მელიქ სურხავი (მეფე სურხავი).

მ.გაბაშვილის ვარაუდით, ვეფხისტყაოსნის გულანშაროში ტრაპიზონი უნდა იგულისხმებოდეს, მულდაზანზარი კი მისგან სამხრეთით, დავით კომნენოსის სამფლობელოს ტერიტორიაზე საგულვებელი<sup>1</sup>.

ლ.წერეთელი პოემის გეოგრაფიისადმი მიძღვნილ სტატიაში მართებულად ასკვნის: „ვეფხისტყაოსნის“ ქართულ გარემოსა და გმირთა ქართველობას აღნიშნავს უცხოელ მევლევართა, მთარგმნელთა და მხატვართა უმრავლესობა-ბალმონტი, უორდოპი, ზიჩი... ალბათ არაქართველთათვის უფრო თვალსაჩინოა რუსთველის ქმნილების ქართული გარემო და გმირთა ხასიათები“. პოემის გეოგრაფიის საკითხების მკვლევარ უცხოელ მეცნიერთა შეხედულებებს შორის საგულისხმოა 6. გულაკის საზრისი, რომელიც მან ჯერ კიდევ საუკუნეზე მეტი ხნის წინ გამოთქვა: „იმის გარდა, რომ ისინი ქრისტიანები არ არიან, თითოეული არაბი და ინდოელი „ვეფხისტყაოსნში“ არსებითად ქართველია და ქართული ელემენტი ვარდის სურნელივით მოფენილია მთელ პოემაში... გმირთა სახელები წმინდა ქართულია და არა უცხოური, ბუნებაც ქართულია...“, ყველაფერი მოგვაგონებს საქართველოს, კერძოდ იმერეთს, სწორედ ასევე პოემაში გამოსახული ჩვეულებებიც წმინდა ქარ-

<sup>1</sup> ზვიად გამსახურდია, „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველება, რედ. ს.ცაიშვილი (თბილისი 1991), 330.

<sup>2</sup> მანანა გაბაშვილი, ზღვაოსნობა და გულანშაროს საკითხი „ვეფხისტყაოსნში“, 438.

თულია“.<sup>1</sup> ვეფხისტყაოსანში საქართველოსა და მისი მეზობელი მხარე-ების ასახვას ხედავდა ფართო დიაპაზონის მეცნიერი მ.ჯანაშვილი.

### ქაჯეთი

მოსაზრება ქაჯეთის კუნძულ მადაგასკარზე მდებარეობის შესახებ განსაკუთრებით ცნობილი გეოგრაფიის ლ.მარუაშვილის სახელს უკავშირდება, რომელმაც ჯერ 1938 წელს გამოაქვეყნა პირველი ნაშრომი. ეს შესედულება განსვენებული ავტორის ვრცელი მონოგრაფიის რედაქტორმა კ. ხარაძემაც გაიზიარა, რომელმაც უფრო ადრე საგაზე-თო პუბლიკაცია გამოქვეყნა.<sup>2</sup> ქაჯეთის აფრიკული ვერსია წამოაყენა გეოლოგმა რ. ლაპბაშიძემ.<sup>3</sup>

ქაჯთა ქვეყნის ადგილ-მდებარეობის შესახებ სხვადასხვა თვალ-საზრისია გამოთქმული:

ჩრდილო სპარსეთი, ალამუთის ციხე, ყაზვინის მიდამოები (კ. კეკე-ლიძე), გიბრალტარი (ა. სვანიძე), კ. მადაგასკარის სამხრეთ-დასავლე-თი ნაწილი.

ლ. მარუაშვილმა 1938 წელს გამოქვეყნებული ნაშრომის მიხედვით ქაჯეთის ლოკაცია ამავე კუნძულის ჩრდილო-დასავლეთ სანაპიროზე მოიაზრა. ინდოეთის მეზობელი ქვეყანა (კ. ჭიჭინაძე), კუნძულ სუმატ-რას მთიანი დასავლეთი ნაწილი (დ. ქუმსიშვილი), სომალის ნახევარ-კუნძულის დასავლეთით აბისინის მთებში (მ. ქემხაძე).

მოგვიახებით სხვა ავტორებმაც სცადეს ვეფხისტყაოსნის ამ საინ-ტერესო მხარის მდებარეობის დადგენა. ქაჯებზე რამდენიმე სტატიის ავტორმა რუსთველოლოგმა შ.ჩიჯავაძემ აღნიშნა, რომ ვეფხისტყაოსნის შემძელელისათვის ცნობილი უნდა ყოფილიყო ლეონტი მროველის მიერ სამხრეთ საქართველოში, არტაანის მხარეში ხსენებული “ქაჯთა ქაჯლაქი”, თუმცა მკვლევარმა იგი პოემის ქაჯეთთან არ გააიგივა, ვინა-იდან მისი სიტყვებით, „ქაჯ“ სახელის მქონე ეთნოსი ამ მხარეში ისტო-რიულად არ არის დადასტურებული. შ. ჩიჯავაძემ მოიძია ქაჯის მსგავ-სი ტოპონიმები სხვადასხვა ქვეყანაში, როგორებიცაა: ქაიჯის პროვინ-ცია ინდოეთში, ორანში, თეირნის სამხრეთით დასახლებული პუნქტი ქაჯი და ბოლოს უპირატესობა ნიგერიაში მცხოვრებ ტომის სახელს ქაჯს და მათ საცხოვრისს მიანიჭა.<sup>4</sup>

რ.ლაპბაშიძემ, რომელიც შ.ჩიჯავაძის ამ შეხედულებასაც ითვა-ლისწინებდა, ვეფხისტყაოსნის ქაჯთა პროტოტიპიდა ასევე აფრიკაში მცხოვრები მასაები და მათი მონათესავე ტომები ივარაუდა (თურქეანი)

<sup>1</sup> ლია წერეთელი, „ვეფხისტყაოსნის“ გეოგრაფია („სამყარო და ხმელთა კიდე“), ჩვენი მწერლობა (თბილისი, 26 დეკემბერი 2014), 50.

<sup>2</sup> კობა ხარაძე, იხ. ლევან მარუაშვილი, დედამინა და კაცობრიობა „ვეფხისტყაოსნი“, 6.

<sup>3</sup> რამაზ ლაპბაშიძე, ისევ და ისევ „ვეფხისტყაოსნის“ გეოგრაფიული გარემოს შესახებ, 13.

<sup>4</sup> შოთა ჩიჯავაძე, არსებოდა თუ არა ქაჯეთი? გაზ. „სამგორი“ (გარდაბანი), 1966, 23 სექტ. №113, 3.

<sup>1</sup>, არაბეთის ზღვის ჩრდილო სანაპიროს აღმოსავლეთ ნაწილში ინდოეთთან ახლოს (ლ. მარუაშვილი), კუნძულ სუმატრაზე ქალაქი პალენბაგი – (დ.ქუმსიშვილი), სომალის ნახევარკუნძულზე აფრიკაში – მ. ქემხაძე, აფრიკის აღმოსავლეთ სანაპიროზე, კილიმანჯაროს პროვინცია – რ. ლამბაშიძე.

მოსაზრება ქაჯეთის კუნძულ მაგაგასკარზე მდებარეობის შესახებ განსაკუთრებით ცნობილი გეოგრაფოსის ლ.მარუაშვილის სახელ უკავშირდება. მეცნიერს გაკეთებული აქვს შენიშვნა, რომ ქაჯის მონანილეობით მიღებულ სხვადასხვა ტოპონიმებსა და ეთნონიმებში ადგილობრივი გამოთქმა მისთვის ყოველთვის არ არის ნათელი. ლ.მარუაშვილის მიერ თურქეთში, მარმარილოს ზღვის სამხრეთით დასახელებულ ქაჯილარს ვეფხისტყაოსნის ქაჯთან კავშირი არ აქვს.არაბულ სიტყვა ჰაჯის (ის მაჰმადიანი, ვინც მექა მოიარა, პილიგრიმი) თურქული მრავლობითი რიცხვის მანარმოებელი სუფიქსი –ლარ აქვს დართული. გეოგრაფოსის თვალთახედვა ქაჯეთის მადაგასკარზე ლოკალიზების შესახებ განსვენებული ავტორის ვრცელი მონოგრაფიის რედაქტორმა კ.ხარაძემაც გაიზიარა.

რ. ლამბაშიძე, რომელიც ლ. მარუაშვილის უსულ ვერსიას - ქაჯეთის კუნძულ მადაგასკარზე მდებარეობის შესახებ - არ იზიარებს, ქაჯთა სამეფოს ლოკაციას აფრიკაში, თეთრი ნილოსის სათავეებთან, ვიქტორიის ტბის რეგიონის გავლით, მასაის ველის ჩათვლით ვარაუდობს.

თ. ოჩიაური ვეფხისტყაოსნის ქაჯს ეთნიკურ ტერმინად არ მიიჩნევს. მისი აზრით, ქაჯებში ჩრდილოეთ კავკასიაში, ქისტეთში ან დიდოეთში მცხოვრები, ქართველ მთიელებისგან წეს-ჩვეულებებით განსხვავებული ტომები იგულისხმებიან, რომლებიც განსაკუთრებით დაოსტატებული არიან ლითონის ჭედვასა და ხელოვნებაში<sup>2</sup>. მეცნიერი ასევე გვანწვდის ცნობას ეთნოგრაფ ვ.ბარდაველიძის გამოუქვეყნებელი ნაშრომიდან O კაჯახ, რომელშიც ხევსურული მითოლოგიის ქაჯები პროტოხეთურ ქაშქების ტომთან არის დაკავშირებული. შევნიშვნა, რომ ხეთური ტექსტების ქაშქი ფონეტიკური ვარიანტებითურთ, რომელსაც სამცნიერო ლიტერატურაში ჩერქეზის აღმნიშვნელ ეთნონიმ ქამაგს უავშირებენ, კოლხის გადმოცემას უნდა წარმოადგენდეს.

მ. ჯანაშვილმა ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის დამლევს ქაჯეთის საქართველოს ტერიტორიაზე პოვნიერება ივარაუდა. მისი სიტყვებით, „სამცხეში არსებული ციხე ქაჯეთი - იგივე წუნდა – შესაძლოა პოემის ქაჯეთის ციხის პროტოტიპი იყოს და აქაურ მკვიდრთ ერქვათ ქაჯინ“<sup>3</sup>.

სპეციალურ ლიტერატურაში საზოგადო სახელი ქაჯი ქართულში ნასესხებ სიტყვადაა კვალიფიცირებული. დ. ჩუბინაშვილის ქართულ-

<sup>1</sup> რამაზ ლამბაშიძე, ისევ და ისევ "ვეფხისტყაოსნის" გეოგრაფიული გარემოს შესახებ, 13.

<sup>2</sup> თონათინ ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, რედ. ვ. ბარდაველიძე (თბილისი, 1967), 96.

<sup>3</sup> მოსე ჯანაშვილი, მოსე ხონელი და მისი ამირან-დარუჯანიანი (ტფილისი 1895 ), 36.

რუსულ-ფრანგულ ლექსიკონში ქაჯი სომხურ ლექსემადა მიჩნეული. ეს მოსაზრება სომხური ენის ეტიმოლოგიური ლექსიკონის ავტორმა პრ. აჭარიანმა გაიზიარა. არსებობს შეხედულება ქაჯის სპარსული წარმოშობის შესახებაც, სადაც ეს სიტყვა „მრუდეს“ ნიშნავს.

ავღანურ სატომო სახელ ქუჯიდან ქაჯის მიღება (ი. კალაძე) ძნელად მისაღები გვვინია.

ჩვენი თვალსაზრისით, ქაჯთა საცხოვრისი ქაჯეთი (ფოლკლორში ქაჯავეთი ფორმაც გვხვდება) ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზეა. არტანის ვილააიეთში მდებარეობს ქაჯის ციხე. ლეონტი მროველი ქაჯთა ქალაქს ახსენებს: „და ამან ჯავახოს ალაშენა ორნი ციხე-ქალაქი: წუნდა და ქალაქი არტანისა, რომელსა მაშინ ერქვა ქაჯთა ქალაქი, ხოლო ან ჰქვან ჰური“ (ქც I , გვ. 10, 1-3 ). ქაჯის ციხეს ამჟამად თურქულად შეითან ქალესი („ეშმაკის ციხე“) ეწოდება.

ამ მხარის ხრისტიანულ და კლდოვანი ტომოგრაფია ვეფხისტყაოსანში აღნერილ ქაჯთა სამკვიდროს შეესაბამება. ფატმანი ავთანდილს ასეთ რამეს ეუბნება ქაჯებზე და მათ ქალაქზე:

არ ქაჯნია, კაცნიაო, მინდობიან კლდესა სალსა - 1246, 4

”ქაჯთა ქალაქი აქამდის მტერთაგან უბრძოლველია;

ქალაქსა შიგან მაგარი კლდე მაღალი და გრძელია,

მას კლდესა შიგან გვირაბი. ასაძრომელი ხვრელია - 1242, 1-3

ვფიქრობთ, განსახილველი აპელატივი ძეველ ქართულ სატომო სახელ ქაჯს უკავშირდება. ძეველბერძენ ავტორებთან, ურარტულ წყაროებში დადასტურებულ ქართველურ ეთნონიმთა ერთი ნაწილი, რომელიც ეროვნულ მესამერებას თითქმის აღარ შემორჩა, უფრო ისტორიულ სამხრეთ საქართველოს ონომასტიკონში ამოიცნობა. ასეთ სატომო სახელებად მიგვაჩნია – ბექირი, ბიძერი, რუსი რუში, ჭენი, ქაჯი და სხვ.

სხვადასხვა ენაში არის მაგალითები იმისა, რომ ეთნონიმი დადებით ან უარყოფით მნიშვნელობას იძენს. გამოთქმულია მოსაზრება, რომ ქართული მრუში სატომო სახელ რუშს უკავშირდება (ნ. მარი) .ქაჯის ციხე ერუშეთის ტერიტორიაზეა. თურქეთში მცხოვრებ ჩვენებურთა მეტყველებაში ჭანის მნიშვნრლობებია: „სქესობრივად სუსტი, და-კოდილი“.<sup>1</sup> აქვე შევნიშნავთ, რომ შესაძლოა, არაბულ ენაში „ჯინის“, „ჭინკის“ მნიშვნელობით ცნობილი ჯინ ქართულ ეთნონიმ ჭენიდან მომდინარეობდეს.

პოემაში საუბარია ტარიელის მიერ გამოქვაბულებში მცხოვრებ დევთა ამონწყვეტაზე. ამასთან დაკავშირებით შეიძლება ის გარემოებაც აღინიშნოს, რომ ტარიელის ქვაბოვანი დევების ნამოსახლარია, რომელთაც ზოგიერთი მკვლევარი ტომადაც მიიჩნევდა.

საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის შესანიშნავი მკვლევარი აკად. ნ. ბერძენიშვილი ჩვენთვის საინტერესო ტომონიმის შოთა რუსთაველთან შესაძლო კავშირის შესახებ წერს: „შოთას პოემასთან და-

<sup>1</sup> შუშანა ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული (ბათუმი 1993), 659 .

კავშირებული საკითხი აქ ჩვენი დაკვირვება-კვლევის საგანი ამჯერად ვერ იქნება, მაგრამ ის კი უნდა აღვნიშნოთ, რომ „ქაჯეთის ციხე“ შოთას კი არ მოუგონებია, არამედ ასეთი ცნება აქამდეც არსებობდა. უფრო გვიან „ქაჯეთის ციხე“ ტაოშიცაა სადღაც დასახებული“<sup>1</sup>.

საქართველოში ცნობილი იყო ვეფხისტყაოსნის ქაჯეთის მკვიდრთა სახელებიც - როდია და როსანი, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს უკანასკნელი სპარსული როუშანიდან არის მიღებული. იგი ჩვენში „გაქართულებული“, სისინა ვარიანტითაა დამკვიდრებული. როსანი რაჭაში ცნობილ გვარსახელ როსნაძეშია შესაცნობი<sup>2</sup>. ვ. ნოზაძემ როდია სამართლიანად ახალ აღთქმაში დადასტურებულ სახელ როდის დაუკავშირდა.

ეთნონიმ ქაჯიდან უნდა იყოს მიღებული პირის სახელი ქაჯა (შდრ. ამგვარი ანთოპონიმები: კახა, ბერა, რუსა, აფშილა, აფხაზა და მათ საფუძველზე შექმნილი გვარები), რომლისგანაც არის ნაწარმოები გვარსახელი ქაჯაია. შესაძლოა, ქაჯის ზანური ვარიანტი იყოს ქუჯი. მ. ანდრონიკაშვილის მიერ გამოთქმული თვალსაზრისი ქუჯის ოსურის გზით ნასესხები სკვითური წარმოშობის ანთოპონიმის (“ძალლიკა”) შესახებ პირის სახელებისადმი მიღდვინილ ნაშრომებშიც აისახა. ძველმა ქართულმა ეთნონიმმა ქაჯმა სომხურ ენაში „მამაცის“ მნიშვნელობა შეიძინა. სომეხთა მეფეს აშოტ დვინელს (1021-1040 წწ) ქაჯ აშოტ „მამაცი აშოტი“ ეწოდებოდა.

ჩვენი აზრით, „ხელის-ხელ საგოგმანები“ ქმნილების სახელმწიფოები – ინდოეთი და არაბეთი, ისევე როგორც პოეტის ფანტაზიით დახატული ქაჯეთი და ტარიელის ქვაბები, XII-XIII საუკუნეების საქართველოს ფარგლებშია, ხოლო ზღვათა სამეფო მეფე თამარის ინიციატივით კომნენოსების დაარსებული ტრაპიზონის იმპერია უნდა იყოს, რომლის მოსახლეობის უმრავლესობას ქართული მოდგმის ლაზები შეადგენდნენ. აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ამ სამეფოს დედაქალაქი ტრაპიზონი შესაბამისად რუსთაველთან გულანბარო უნდა იყოს. მ. გაბაშვილის მოსაზრებით, ფრიდონის სამეფო მულლაზანზარი კომნენოსების სახელმწიფოს სამხრეთით მდებარეობდა<sup>3</sup>. როგორც ცნობილია, აკაკი წერეთელი ფრიდონს ზღვისპირელ ქართველად თვლიდა.

ზღვა, რომელიც ვეფხისტყაოსანში მნიშვნელოვან როლს თამაშობს, შავი ზღვა გვვონია. დავარ ქაჯი მონებს ნესტანდარეჯანის ზღვათა ჭიპი პონტოსის კუნძულია.

ნესტანის გამოსახსნელად სამი მოყმის მოძრაობის მარშრუტები, რომელიც კ. ჭიჭინაძეს აქვს გადმოცემული, ამგვარად წარმოგვიდგება: ფრიდონისგან ნესტანდარეჯანის ამბავი რომ ვერ შეიტყო, ავთანდი-

<sup>1</sup> ნიკოლოზ ბერძენიშვილი, ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურებიდან, ნივნში საქართველოს ისტორიის საკითხები (თბილისი, 1990) 510.

<sup>2</sup> ილია მაისურაძე, ქართული გვარ-სახელები, რედ. ალ-დლონტი (თბილისი, 1981), 138-139.

<sup>3</sup> მანანა გაბაშვილი, ზღვაოსნობა და გულანშაროს საკითხი „ვეფხისტყაოსანში“, კრ. შოთა მესხია 90, შემდგ.- რედ. ნ. ვაჩინაძე (თბილისი, 2000) 438.

ლი ზღვის ნაპირით ფრიდონის სამეფო მულდაზანზარში გაემართა. გულანაშაროსა და ინდოეთს შორის ოკუნიმი არ ჩანს. ტარიელთან ქვაბში (ვანის ქვაბები) ტარიელი და ავთანდილი ფრიდონთან მივიღნენ.

ვეფხისტყაონის რუკაზე რომ საქართველოა, ამას პოემის ფრინველთა სამყაროც უჭერს მხარს . რ. უორდანიას და ლ. ფრუიძის გამოკვლევით, რუსთაველის ქმნილებაში 18 ფრინველიდან 16 ენდემურია<sup>1</sup>. აქვე შევნიშნავთ, რომ კატა ვ. ნოზაძის მიერ მცდარად აფრიკაში ცნობილ ფრინველად არის გაგებული. რუსთაველოგის თქმით, არაბულ ენაში კატა ( ყატა ) ერთგვარი ფრინველია.

ტარიელი თავის ბავშვობის წლებზე ამბობს:

ვბურთობდი და ვნადირობდი, ვით კატასა ვხოცდი ლომსა.– 328, 4

როგორც ცნობილია, კატა და ლომი კატისებრთა ოჯახის ცხოველებია. ვეფხისტყაონის პროტაგონისტი ამბობს - ნადირთა მეფეებსაც ისე ვხოცავდი, როგორც კატისებრთა ოჯახის კნინ წარმომადგენელს.

ქვეყანათმცოდნეობის თვალსაზრისით ვეფხისტყაონისაზე ჩვენი დაკირვება-კვლევის შედეგები რომ შევაჯამოთ, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას:

აღმოსავლეთ საქართველოში არაბთა ოთხსაუკუნოვანი ბატონობის, ქაჯების მიერ ნესტანდარეჯანის ზღვით გატაცებისა და მოყმების მიერ მისი ზღვითვე დაბრუნების გათვალისწინებით, რუსთაველის არაბეთი უფრო ამერლის საქართველოს უნდა განასახიერებდეს, ხოლო სულიერების ქვეყანა ინდოეთი ჩვენი ქვეყნის დასავლეთ ნაწილს. ინდოეთის პროტოტან დაკავშირებით შეიძლება დ.ჩუბინაშვილის საზრისიც გავიხსენოთ, რომელიც ტარიელის ქვეყანაში იმერეთს ვარაუდობდა. გენიალური შემოქმედი „მაჰმადიან არაბ“ ავთანდილს ქრისტიანულ ლოცვას აღავლენინებს:

ილოცავს: იტყვის: „მაღალო ლმერთო, ხმელთა და ცათაო,  
ზოგჯერ მომცემო პატიჟთა, ზოგჯერ კეთილთა მზადაო,  
უცნაურო და უთქმელო, უფალო უფლებათაო .

მომეც დათმობა სურვილთა, მფლობელო გულისთქმათაო! -809

ამ ტერიტორიაზე შეიძლება შეხვედროდენ ვეფხისტყაონის გმირები თურქებსა და ქურდებს (ქურთებს). ფრიდონის სამფლობელოზეა ნათქვამი:

აქამდის მზღვარი თურქთაა, მომზღვრეა ფრიდონ მზღვრებითა; - 970, 3

ამ სიტყვებში შავიზღვისპირეთში ქართველთა და თურქთა ერთმანეთის მეზობლად ცხოვრება შეიძლება იკითხებოდეს.

<sup>1</sup> რევაზ შორდანია და ლევან ფრუიძე. „ვეფხისტყაონის“ ფრინველები, საქ. სსრ ს. ჯანაშიას სახ. სახელმწიფო მუზეუმის XIV კონფერენცია (თბილისი, 1966), 14.

ვეფხისტყაოსნის გეოგრაფიული სარჩულის დადგენის თვალსაზრისით მნიშვნელოვნად გვეჩვენა შემდეგ გარემოებებზე ყურადღების შეჩერება:

ჩვენი აზრით, პოემის მთავარი გმირების – ტარიელისა და ავთანდილის პროტოტიპი ბიბლიური მეფე დავითია, რომელსაც ლეგენდა ბაგრატიონთა სამეფო გვარის ნარმომავლობას უკავშირებს. დავითთან ერთად ავთანდილის მეორე წინასახე არის წმინდა წერილის იონა-თანი - წინასწარმეტყველ დავითის ერთგული მეგობარი, ხოლო ფატმანის ძველი ალთქმისეული მეძავი ქალი რექაბი. რუსთაველთან ტარიელისა და ფარსადანის დაპირისპირება ისრაელის პირველი გვირგვინოსანის საულის დავითთან მტრობასთან შედარებით ნაკლებ მწვავეა.

მეცნიერებაში გაზიარებული თვალსაზრისით, ქართველ ბაგრატიონთა სამშობლო სპერის პროვინცია არის.

სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, რომელსაც თვალსაჩინო ადგილი უკავია ვეფხისტყაოსნის გეოგრაფიაში, არის აგრეთვე ბიბლიური ედემის ბალი:

“მდინარე მოედინება ედემის ბალის მოსარწყავად, მერე იტოტება და იქმნება ოთხი ნაკადი:

ერთის სახელია ფიშონი; იგი გარს უვლის ხავილას ქვეყანას, სადაც ოქროა”. - დაბადება თ.2, 10-11.

ვფიქრობთ, ხავილა არამეული ენის ფონოტაქტიკის მიხედვით ქართულ ეთნონიმ (ჰ)იბერის, ხოლო ფიშონი ასევე ქართულ პოტამონიმ ფასის გადმოცემას წარმოადგენს.

რუსთაველის ქმნილებაში ზღვას მნიშვნელოვანი როლი აქვს მინიჭებული გმირთა მოგზაურობაში. იგი არც ინდოეთის ოკეანე არის და არც არაბეთის თუ ხმელთაშუა ზღვა, როგორც ამას მკვლევართა ჰიპოთეტურ დასავლურ, სამხრეთულ (აფრიკა-მადაგასკარი) თუ სამხრეთ-დასავლურ გლობალურ მარმრუტებში ვხვდებით, არამედ უცხოურ წყაროებში ხშირად „ქართველთა ზღვად“ ან „სპერის ზღვად“ მოხსენიებული შავი ზღვაა.

ვფიქრობთ, დროული განზომილებით ვეფხისტყაოსანში შენივთებულად მხატვრული ნაწამოების პრიზმაში ასახულია XII-XIII სს საქართველოს ისტორიისა და ძველი ალთქმიდან უპირატესად მეფე დავითის ცხოვრების მოვლენები, ამ ეპოქების ისტორიულ პირთა ბიოგრაფიულ მოქმედები, პოემის სივრცულ განზომილებას რაც შეეხება, მასში წმინდა მინა არ ჩანს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე ვეფხისტყაოსნის „ინდოელები“ და „არაბები“ ეთნიკურად ქართველები არიან. რუსთაველთან ავთანდილი ხომ „ყმა ტკბილი და ტკბილ-ქართული“ არის.

პოემის უპირველესი მოყვე ტარიელი ისტორიული საქართველოს განსახიერებაა, რომელიც ბიბლიური ჭაბუკი მწყემსი დავითის დარადღმერთის წყალობით ამარცხებს მასზე აღმატებულ მტრებს.

იმ მეცნიერებთან პოლემიკაში, რომლებიც რუსთაველის ქმნილებას ისლამური სულისკვეთების ამსახველ ნაწარმოებად თვლიდნენ, განსხვავებულ შეხედულების მქონე სხვა ქართველ სწავლულებთან

ერთად საგულისხმოა ღვაწლმოსილ მეცნიერ ვ. ნოზაძის საზრისზე რუსთველოლოგ ნ.სულავასეული გამონათქვამი: „ვეფხისტყაოსნის“ გარემო და მსოფლიხედველობა მხოლოდ გარეგნულადა აღმოსავლური კულტურის ნიშნების მატარებელი, პოემაში განვითარებული მოქმედების გეოგრაფიული არეალის წყალობით; ხოლო არსებითად იგი ქრისტიანული მხატვრული ნანარმოებია და საკუთრივ ქართული სამყაროა წარმოსახული<sup>1</sup>.“

პოემის სიუჟეტის გაშლის თვალსაზრისითაც გეოგრაფიული გარემო დიდ როლს თამაშობს. რუსთაველის გმირთა მოგზაურობებს შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინდური ეპოსის რამაიანას მთავარი გმირის რამას, ჰომეროსის ოდისევსის მსგავსად ტარიელის მიერ გავლილი შინაგანი ბრძოლის, ასკეზის, ფათერაკებთან გამკლავების და ამის შედეგად პიროვნების სულიერი სრულყოფის, ინიციაციის ეკლიანი სამეუფეო გზა, რომლის უკანასკნელი საფეხური ქართული ეპოსის უპირველესი მოყმის ქალ-ღვთაება ნესტანდარეჯანთან შეერთებაა.

დამძლიან ჩემნი კავშირი, შევპროვივარ სულთა სირასა. - 884,4

რუსთაველის ქმნილებაში ასახული სამყარო ქართულიცაა და ამავდროულად ზოგადსაკაცობრიოც.

ამ კონტექსტში საგულისხმოა, რომ ვეფხისტყაოსნაში ინდოეთის მეფის ქალიშვილს კიდობნით იტაცებენ, ძველ აღთქმაში სხვადასხვა პრედიკატით დადასტურებული კიდობანი (უფლის კიდობანი, აღთქმის კიდობანი) უფლის მყოფობას და თვით ღმერთს ნიშნავს.

აკაკი წერეთელი და ვაჟა-ფშაველა ნესტან-დარეჯანში საქართველოს ხედავდნენ. სულმნათი აკაკის სიტყვებით, „ნესტან-დარეჯანი არის ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის სიმბოლო, რომლის გამოხსნა მარტო ტარიელს უვთანდილოთ და უფრიდონოდ არ შეუძლია.“

### *Sh. Gabeskiria*

#### On the Countries in “The Knight in the Panther’s Skin”

There is a diversity of opinions in scientific literature as to the geographical environment of Rustaveli’s epic poem “The Knight in the Panther’s Skin” (Hereafter abbreviated to KPS). The scholars mainly make use of geographical and historical methods.

There is no coincidence in works to geography of KPS between identification of the poem’s studies, origin of proper names and ethnonyms of peoples, living in these countries.

Due to investigations, based on the geographical method, the journeys of Rustaveli’s characters take place on global routes. A number of questions may arise in this direction, e.g. the abduction of Nestandarejan by the Kais and crossing of the Indian Ocean in a boat and taking her to the island of Madagascar

<sup>1</sup> რუსთველოლოგიური ლიტერატურა, III, (თბილისი, 1965) 186.

or Africa, Fatman is aware of the state of Nestandarejan in Kajethi, which shows that Gulansharo and Kajeti are not far from each other.

Our paper presents an analysis of the countries of KPS. Along the known identification of countries, place names and ethnonyms a number of new ones are proposed.

In our opinion the plot of Rustaveli ' s poem has two sources: the history of XII- X III cc. Georgia and the story of the biblical king David (1 Kings, 2 Kings, Chronicls 1,2) by transferring the tale and characters of KPS to the oriental countries.

As is known, according to the legend, the Royal dynasty of Georgian kings Bagrationis originates from the biblical King David . In the present paper a suggestion is put forward according to which the biblical king David is the prototype of the major characters of KPS –Tariel and Avtandil. In the case of Avtandil not only king prophet, but his friend Jonathan is supposed to be his archetype. We consider Rahab from the Old Testament to be a model of Fatman. Thereafter the main source of the story of Rustaveli's epic poem is considered to be Old Testament story about Israel' s second king David , which is related with the events of XII - XIII centuries Georgia.

In the present paper alongside the other problems there is an attempt to show that the India and Arabia of Rustaveli, as well as Kajeti and Tariel 's caves, might have been within the borders of XII –XIII cc. Georgia.

Taking into consideration the four hundred Arab domination in Eastern Georgia in the present paper an opinion is expressed , that Arabia of Rustaveli' s epic is the Eastern part of Georgia, as to India, it is Western Georgia. An argument for the mentioned supposition is the abduction by the Kajs and the home coming of Nestandarejan by sea. Besides , it is supposed, that Kajeti (the land of Kajs) and Tariel's cave might have been located in Southern Georgia . So the main countries of the Georgian poet' s are “masked” Georgia.

The main woman character of KPS Nestandarejan was abducted in the ark, which according to our conception is the reminiscent of the the biblical ark of covenant or of the ark of the Lord.

According to our research the other countries of KPS are on the Black Sea shore. The Realm of the Seas in the epic is Trabzon Empire with its capital Gulansharo and the Kingdom of Pridon is southward of the mentioned empire, populated mainly by the Georgian tribe Lazs.

Besides those prototypes of Rustaveli's characters which are well known from the history of Georgia. in the poem , under the enemies of the Indians, represented by the peoples of Khvarazm and Khataeti, in the first half of the XIII c. Jalal ad-Din and Tatar-mongols are meant. Jalal ad-Din is the prototype of the prince of Khvarazm Khwarazmshah. The only state, which matches the historical states, is Khvarazm. The archetypes of Khatavians are the enemies of king David Philistines and Tatar-mongols in the XIII c.

The word “kaji “, mentioned in Rustaveli' s poem not only as an evil spirit, but as a warrior people, “people of wisdom”, should be associated with the name

of the Georgian tribe, living in the historical south western Georgia. This old Georgian ethnonym is preserved in the surname Kajaia and from kaj is derived also the proper name Kuji.

The name of the king (but not queen) of Kajeti is Dulardukht. In our view this name is also a Georgian composite: Dular (// Dilar) + Iranian dukht “daughter” as in other woman names: Bakurdukht, Osdukht, attested in old Georgian sources since the King woman in the Islamic world is impossible, therefore Kajeti is also in the homeland of Rustaveli, where in the XII-XIII centuries were woman kings, as Queen Tamar and her daughter Rusudan.

Tariel’s caves are supposed to be famous caves of Vani (Vahan) in Southern Georgia.

The second group of the geographical nomenclature may have been localized in the Eastern Black Sea Region. The Empire of Trapizond, founded on the initiative of Queen Tamar, may have been represented by the Realm of Seas and Trabzon by its capital Gulansharo. To the south of Gulansharo is Pridon’s kingdom Mulghazanzar, whose model is supposed to be Kingdom of Komnenos, maybe the archetype of Pridon is David Komnenos.

The province of Sper is in the historical Southern West Georgia, from where the Georgian Royal Dynasty of Bagrationi originates. According to our research, the prototype of Tariel and Avtandil is Biblical king David, who is associated with the origin of Georgian kings.

The Biblical Garden of Eden might have been in this geographical area. We think, that the land of Havilah in the Old Testament is Georgian ethnicon Hiber, potamonym Phishon maybe the Georgian hydronym Phas. “A river flowed out of Eden to water the garden, and there is divided and became four rivers . The name of the first is Pishon, it is the one which flows around the whole land of Havilah , where there is gold”-Genesis 2, 10 -11.

The flora and fauna, described in the poem, match the nature of Georgia. Taking into account the fact, that there was the four century of the Arabs rule in Eastern Georgia, we think, that the Arabia of the poem depicts this part of Georgia and India depicts Western Georgia.

The heroes of the KPS may have encountered the Turks and the Kurds on this area within the borders of Pridon ‘ s Kingdom .

In our opinion, the sea of Rustaveli’ s poem is the Black Sea, which in old foreign sources is mentioned as the Sea of Georgians or the Sper Sea.

The Georgian environment is the background against which the plot of KPS is developed. The way of Tariel’s life is that of spiritual perfection, initiation, the last step of which is the reunion with the woman-goddess Nestandarejan.

## **ნანული კაჭარავა „ვეფხისტყაოსნის“ თურქული ვარიაციები**

პირველად თურქულ ლიტერატურულ სივრცეში შოთა რუსთაველი და მისი „ვეფხისტყაოსანი“ გამოჩნდა აპმეთ ოზქან მელაშვილის ნიგნში „საქართველო“.<sup>1</sup> აპმეთ ოზქან მელაშვილი გახლდათ თურქეთელი ქართველების ლიდერი. მისი წიგნი გამოცემულია 1968 წელს სტამბოლში თურქულ ენაზე. აქ ლიტერატურის განყოფილებაში მოთავსებულია მოკლე, ფურცელნახევრიანი სტატია სახელნოდებით „შოთა რუსთაველის შესახებ“, რომელსაც მოსდევს პროლოგიდან თარგმნილი პირველი ხუთი სტროფი. სტატია და თარგმანი ეკუთვნის ქამილ ოლგუნ თავა(დი)ძეს, რომელიც აპმეთ ოზქან მელაშვილის მეგობარი და თანამოაზრე გახლავთ. თარგმანი ძირითადად ეყრდნობა „ვეფხისტყაოსნის“ აზერბაიჯანულ ენაზე არსებულ ვარიანტს.

შემდეგ უურნალში „ჩვენებური“, რომელიც თავიდან სტოკოლმში გამოდიოდა, გამოჩნდა ნაწყვეტი შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნიდან“, თარგმნილი თვით აპმეთ ოზქან მელაშვილის მიერ. პირველ ნომერში დაბეჭდილია პროლოგიდან მოყოლებული 31 სტროფი.<sup>2</sup> „ჩვენებურის“ მეორე და მესამე ნომრები გაერთიანებული გამოვიდა და აქ ვიხილეთ „ვეფხისტყაოსნის“ გაგრძელება, 32-71 სტროფები. მეოთხე და მეხუთე ნომრები ასევე გაერთიანებული გამოვიდა და აქ გამოქვეყნებულია 72-123-ე სტროფების თურქული თარგმანი.<sup>3</sup> „ჩვენებურის“ მეექვე და მეშვიდე ნომრები ისევ გაერთიანებულია, მაგრამ ამჯერად უურნალი უკვე სტამბოლში გამოიცა, სადაც „ვეფხისტყაოსნის“ თურქულად თარგმნილი 124-169-ე სტროფებია დასტამბული.<sup>4</sup> ამ შემთხვევაშიც ორიენტირი გახლდათ „ვეფხისტყაოსნის“ აზერბაიჯანულ ენაზე არსებული თარგმანი. როგორც აპმეთ ოზქან მელაშვილის ვაჟთან, იბერია ოზქან მელაშვილთან საუბრისას გაირკა, მამამისს „ვეფხისტყაოსნის“ თურქულად თარგმნა უკვე დასრულებული ჰქონდა და ცნობილი თურქი მწერალი და სატიროკოსი აზიზ ნესინი მის რედაქტირებაზეც მუშაობდა. მაგრამ შემდეგ ის ავტედითი მკვლელობა მოხდა, აპმეთ

<sup>1</sup> Ahmet Özkan (Melaşvili), *Gürcüstan (Tarih, Edebiyat, Sanat, Folklor)*, ( Istanbul, 1968), 141-144

<sup>2</sup> Şota Rustaveli, Kaplan Postlu Şövalye, Çeviren Ahmet Özkan Melaşvili, *Çveneburi Kültürel dergi*, sayı 1, İsveç Gürcü Kültür Derneği Yayın Organı, Stockholm (1977), 19-22

<sup>3</sup> Şota Rustaveli, Kaplan Postlu Şövalye, Çeviren Ahmet Özkan Melaşvili, *Çveneburi Kafkasoloji dergisi*, 4-5, Stockholm (1978), 51-56

<sup>4</sup> Şota Rustaveli, Kaplan Postlu Şövalye, Çeviren Ahmet Özkan Melaşvili, *Çveneburi Kafkasoloji dergisi*, 6-7, İstanbul (1979), 36-41

ოზქან მელაშვილი სიცოცხლეს გამოასალმეს და ეს საქმე დაუმთავრებელი დარჩა. იბერია ოზქან მელაშვილი იმედს იტოვებს, რომ გამოჩნდება სპონსორი, რომელიც ძამამისის ნამუშაკევს დღის სინათლეზე გამოიტანს.

1988 წელს სტამბოლში გამოიცა წიგნი „ეშმაკის ქვა.“<sup>1</sup> ეს გახლავთ მიხეილ ჯავახიშვილის მოთხოვნების თურქული თარგმანი, შესრულებული იბრაჟიმ იავუზ გორაძის მიერ. ან განსვენებული მთარგმნელი ეთნიკურად ქართველია, რომელიც თურქეთიდან ოჯახით გადმოსახლდა ბათუმში გასული საუკუნის 70-იან წლებში. იგი აქტიურად თარგმნიდა როგორც თურქული ლიტერატურის ნიმუშებს, ასევე ქართულისას. დასახელებული წიგნის ბოლოში, „ახლო მომავალში გამოსაქვეყნებელი წიგნები“ რუბრიკაში მოცემულია ცნობა იმის შესახებ, რომ აპერა ოზქან მელაშვილის მიერ თარგმნილია „ვეფხისტყაოსანი“, მაგრამ ჯერ არ არის გამოცემული. აქვე ვკითხულობთ, რომ თაპსინ სარაჩი ფრანგულიდან თარგმნის „ვეფხისტყაოსანს“ და დამთავრებისთანავე იგეგმება მისი გამოცემა. მოკლედ ნათქვამია შოთა რუსთაველისა და მისი პოემის მნიშვნელობის შესახებ, რომ თამარ მეფის ეპოქაში დაწერილი „ვეფხისტყაოსანი“ ეძღვნება თამარს და ეხება ისეთ თემებს, როგორიცაა სიყვარული, მეგობრობა, სამართლიანობა, მშვიდობა, პატრიოტიზმი და კაცომოყვარეობა. მთარგმნელი თაპსინ სარაჩი გახლდათ გასული საუკუნის ცნობილი თურქი პოეტი და პროფესორი, ენათმეცნიერი, ფრანგული ენის უბადლო მცოდნე. ანკარის უნივერსიტეტის ფრანგული ენისა და ლიტერატურის განყოფილების დამთავრების შემდეგ იგი ორჯერ იყო მივლინებული პარიზში, სორბონის უნივერსიტეტში, სადაც დახელოვნდა ფონეტიკის მიმართულებით. იგი ავტორია არაერთი ლექსების კრებულისა, მისი შედგენილია და გამოცემული ფრანგულ-თურქული ლექსიკონი, ენეოდა მთარგმნელობით მუშაობას. დიახ, თაპსინ სარაჩი შეეჭიდა ისეთ ტიტანურ საქმეს, რასაც ფრანგულიდან თურქულად „ვეფხისტყაოსანის“ თარგმნა ჰქვია. მაგრამ, სამწუხაროდ, მას არ დასცალდა, 59 წლის ასაქში გარდაიცვალა და ეს საქმეც დაუმთავრებელი დარჩა.

თურქულად თარგმნილი სრული „ვეფხისტყაოსანი“ პირველად გამოიცა 1991 წელს ქ. სამსუნში. მთარგმნელი გახლავთ სამსუნის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეთნიკური ქართველი პილალ დინდარი, რომელმაც შოთა რუსთაველისა და მისი განთქმული პოემის სახელი პირველად მხოლოდ 1970 წელს შეიტყო სორბონის უნივერსიტეტის პროფესორ, გიორგი შარაშიძე სორბონის უნივერსიტეტის მაგისტრანტებს უკითხავდა ლექციების კურსს „კავკასიური ენები და დიალექტები“. ბილალ დინდარი კი იმხანად სორბონაში დასავლეთის

<sup>1</sup> Miheil Cavahisvili, *Seytanın Taşı, Hikâyeler*, Gürcüceden Çeviren İbrahim Yavuz Goradze (İstanbul, 1988)

ფილოსოფიის ისტორიის განცყოფილების დოქტორანტი ყოფილა და ამ-დენად კავკასიისა და მისი კულტურისათვის სათანადო დრო ვეღარ და-უთმია. მხოლოდ 20 წლის შემდეგ 1990 წელს ოფიციალური მოწვევით იგი ჩამოვიდა საქართველოში სამეცნიერო კონფერენციაზე და თბილი-სის სახელმწიფო უნივერსიტეტსაც ეწვია. აქ მან რუსთაველის კაბი-ნეტში (მაშინ უნივერსიტეტში ჯერ კიდევ კაბინეტური სისტემა იყო) იხილა მსოფლიოს მრავალ ენაზე თარგმნილი შოთა რუსთაველის „ვეფ-ხისტყაოსანი“. მათ შორის ცალი თვალით პოემის თურქულ თარგმანს ვეძებდიო, იხსენებს პროფესორი, მაგრამ ამაოდ აღმოჩნდა, რომ იმ ხა-ნად „ვეფხისტყაოსანის“ თურქული თარგმანი არც არსებობდა. სარფის კარი უკვე გახსნილი იყო და კარის მეზობელი ქართველი ხალხის კულ-ტურისა და ლიტერატურის თავისი ქვეყნისათვის გაცნობა მეცნიერმა უსათურ საქმედ მიიჩნია. საჭირო იყო ახლადდაწყებული ურთიერთო-ბების გაღრმავება, განვითარება და ამიტომაც პროფ. ბილალ დინდარ-მა საპატიო მოვალეობად ჩათვალა „ვეფხისტყაოსანის“ თურქულად თარგმნა. მაგრამ როგორ? იგი მეტ-ნაკლებად მეტყველებდა ქართუ-ლი ენის აჭარულ დიალექტზე. თვითონაც კარგად ესმოდა, რომ პოემის თარგმნისათვის მისი ქართულის ცოდნა ზღვაში წვეთი იყო. ამიტომაც თარგმნისას ისარგებლა სერგი წულაძის მიერ თარგმნილი „ვეფხისტყა-ოსანის“ ფრანგული ვარიანტით და დახმარა აზერბაიჯანული ენისა და ლიტერატურის სპეციალისტი პრივატ-დოკუმენტი ზეინელაბიდინ მაკასი. ამ უკანასკნელმა კი გამოიყენა აპმედ ჯევადის მიერ თარგმნილი „ვეფ-ხისტყაოსანის“ აზერბაიჯანული ვერსია.

„ვეფხისტყაოსანი“ რომ ურთულესი სათარგმნია, ეს „არ ახალია, ძველია.“ მითუმეტეს ცნობილია, მესამე ენიდან თარგმნა არასოდეს გა-მოდის სრულყოფილი და მოსაწონი. ცოდვა გამხელილი ჯობია და „ვეფხისტყაოსანის“ ჩვენს ხელთარსებული თურქული თარგმანი უკეთე-სის სურვილს გვიტოვებს. ჩვენ აქ არ შევუდგებით თარგმანის ავკარგი-ანობაზე საუბარს.<sup>1</sup> ეს უზარმაზარი თემაა და სცილდება ჩვეულებრივი სტატიის ფარგლებს. მხოლოდ შევნიშნავთ, რომ თარგმნისას არის მთელი რიგი მცდარად გაგებული ნიუანსები. ნინასიტყვაობაშიც კი როცა ავტორი პოემის შინაარსს ჰყვება, შეცდომებს უშვებს. გარდა ამისა, პოემის გმირთა ზოგი სახელი უცვლელად და სწორად არის გა-დატანილი თარგმანში, ზოგი (რესტევან, ფერიდუნ) - აღმოსავლურ ყაი-დაზეა მოცემული, მაგრამ გაუგებარია თინათინი რატომ იქცა თანთა-ნად? და მაინც თარგმანს ატყვია აზერბაიჯანული ვერსიის დაღი. მაგ-რამ ყველაფერი ზემოთ თქმულის მიუხედავად ფრიად დასაფასებელია პროფ. ბილალ დინდარის მონდომება, გულმოდგინება და ის სიყვარუ-

<sup>1</sup> იხ. ასმათ ჯაფარიძე, ვეფხისტყაოსანის თურქული თარგმანი, აღმოსავ-ლეთმცოდნება, თსუ გამომცემლობა, რედაქტორი მ. ინასარიძე, ლ. ბუა-შვილი (თბილისი, 2004), 264-274

ლი, რომლითაც იგი შეეჭიდა „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანს. მაგალითი თურქული თარგმანიდან:

ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა!  
ყოვლი შენი მონდობილი ნიადაგმცა ჩემებრ ტირსა;  
სად წაიყვან სადაურსა, სად აღუფხვრი სადით ძირსა?  
მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა, შენგან განაწირსა!

Bu halin nedir ey dünya, attin beni bir girdaba,

Benim gibi zillet çeker bağlanlanlar bu cihana.

Bilmiyorum, insanlığı çekiyorsun ne tarafa?!

Senin azab çektirdiklerin sığınsımlar yaratana!<sup>1</sup>

ახალგაზრდებიც ვალში არ რჩებიან და ისინიც ცდილობენ ამ საქმეში თავიანთი წვლილის შეტანას. ინტერნეტის ქსელში ხმირად ჩნდება ხოლმე ჩვენთვის კარგად ცნობილი მწერლის, ეთნიკური ქართველის, ფარნა-ბექა ჩილაშვილის) მიერ თარგმნილი ნაწყვეტები „ვეფხისტყაოსნიდან“. იმედია, იგი თავს მოუყრის თავის თარგმანებს და ერთ დღესაც ერთად აკინძულს გამოსცემს. მაგალითები ფარნასეული თარგმანიდან:

\*  
„მიჯნური შმაგსა გვიქვიან არაბულისა ენითა,  
მით რომე შმაგობს მისისა ვერ-მიხვდომისა წყენითა,  
ზოგთა აქეს საღმრთო სიახლე, დაშვრების აღმაფრენითა,  
კვლა ზოგთა ქვეუც ბუნება კეკლუცთა ზედა ფრფენითა.“

-Mecnun derler Arap dilinde divane aşağı,

O ki deli divane olur maşukundan uzak kaldııkça,

Kimi tanrıya yakınışır, bu yolda yoruldukça,

Kimi ise yine esiri olur tutkularının güzellere yakındıktıça.

\*  
„ხამს მიჯნური ხანიერი, არმექავი, ბილნი, მრუში,  
რა მოშორდეს მოყვარესა, გაამრავლოს სულთქმა, უში,  
გული ერთსა დააჯეროს, კუშტი მიპევდეს, გინდა ქუში;  
მძულს უგულო სიყვარული, ხვევნა, კოცნა, მტლაში-მტლუში“.  
Her daim aşık, şehvetten, içgencilikten, kabaliktan uzak durmali,  
Uzak düşse de sevgilisinden, ah çekmeden nefes alıp vermelii,  
Kalpten inanmalı ona, aşık yüzle karşılaşsa da, somurtsa bile;  
Nefret ederim ruhsuz aşktan, sarılıp şap şup öpüşmekten.<sup>2</sup>

<sup>1</sup> Şota Rustaveli, *Kaplan Postlu Şövalye*, çevirenler Prof. Dr. Bilal, Yrd. Dr. Zeynelabidin Makas (Samsun, 1991), 168

<sup>2</sup> Fahrettin Çiloğlu, [www.facebook.com/pages/Fahrettin-Çiloğlu/531786963575316?ref=ts](http://www.facebook.com/pages/Fahrettin-Çiloğlu/531786963575316?ref=ts)

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ჰასან ჩელიქს დიდი ხანია დას-რულებული აქვს „ვეფხისტყაოსნის“ პნკარედული თარგმანი (ჯერ კი-დევ თბილისში ყოფნისას, ქალბატონ ლია ჩლაიძესთან ერთად). იგი ახ-ლა გულმოდგინედ და ბეჯითად პოემის პოეტურ თარგმანზე მუშაობს. ჰასან ჩელიქი გახლავთ ეთნიკური ქართველი და ქართული ლიტერა-ტურის შესანიშნავი მთარგმნელი. მას ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდის საქართველოში აქვს მიღებული სამედიცინო განათლება, კარგად ფლობს ქართულ ენას. ამჟამად ცხოვრობს და მუშაობს ანკარაში, თარ-გმნილი აქვს ილია ჭავჭავაძის, გალაკტიონის, ანა კალანდაძის, მუხრან მაჭავარიანის, ირაკლი აბაშიძის, ოთარ და თამაზ ჭილაძეების, ეკა ბაქ-რაძის ლექსები, გურამ რჩეულიშვილის, გურამ გეგეშიძის, თამაზ ჭი-ლაძისა და სხვათა მოთხრობები. თუ მისი მშვენიერი და პოეტური თარგმანების მიხედვით ვიმსჯელებთ, იმედს ვიტოვებთ, რომ იმ დიდ, საპატიო და საპასუხისმგებლო საქმეს, რომელსაც „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა ჰქვია, წარმატებით დააგვირვენებს. მაგრამ სამუშაოს სრუ-ლად დამთავრებამდე მთარგმნელს არ სურს თუნდაც ერთი სტრიქონის გამოქვეყნება.

გვსურს მკითხველს წავაკითხოთ „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმე-ბის ჩვენებული თარგმანი თურქულ ენაზე. ამ აფორიზმების უმრავლე-სობა გამოყენებული გვქონდა საავტორო გადაცემაში „ვისწავლოთ ქართული“ (თურქებისათვის). გადაცემა 2007-2008 წლებში გადიოდა საქართველოს ტელევიზიის საზოგადოებრივი მაუნიკებლის არხზე.

აქსა კარგად ვერვინ შეცვლის, თავსა ახლად ვერვინ იშობს.<sup>1</sup>

**Kötüy kimse iyiye dönüştüremez, kimse kendini baştan yaratamaz.**  
avsa kacsa avi sityva urCevnia sulsa, gulsa.

**Kötü insan, kötü sözünü kendi canından, kalbinden üstün tatar.**

არ დავიწყება მოყვრისა, აროდეს გვიზამს ზიანსა.

**Dostumuzu unutmamak hiç bir zaman zarar vermez.**

არ იცი, ვარდნი უეკლოდ არავის მოუკრებიან.

**Bilmez misin, gülleri dikensiz toplayan kimse yoktur.**

ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია.

**Kötülüğü yenen iyiliğin ömrü, uzundur.**

გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტებილად მოუბარი.

**Tatlı dil yılancı deliğinden çıkarır.**

დიდთა ხეთა მოერევის, მცირე დასწვავს ნაბერწკალი.

**Küçük bir kıvılcım koskocaman ağaçları yakar, kül eder.**

ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია.

**Kim dostunu aramazsa kendisine düşman olur.**

<sup>1</sup>შოთა რუსთაველი, აფორიზმები, გამომცემლობა ნაკადული (თბილისი, 1966)  
შოთა რუსთაველი, აფორიზმები, გამომცემლობა ლიტერატურა და ხელოვნება  
(თბილისი, 1966)

**(Dostunu aramayan kendine düşmandır.)**

**ზოგჯერ თქმა სჯობს არათქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების.**

**Bazen söylemek söylememekten daha iyidir, ama bazen söylemekten de zarar gelir.**

თუ თავი შენი შენ გახლავს, ღარიბად არ იხსენები.

**Eğer özgürlüğünə sahipsən sənə fakir denmez.**

კაცი ბრძენი ვერ გასწირავს მოყვარესა მოყვარულსა.

**Akılı adam sevdiklerini elinden kaçırmasın.**

კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე ნარმოდინდების.

**Testinin içinde ne varsa o dökülür.**

ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს თუნდა ხვადია.

**Diş aslan da aslandır, böyle söylemiş atalar.**

**(Erkek aslan aslan da, dişi aslan aslan değil mi?)**

მაგრა თქმულა: „კარგის მქმნელი კაცი ბოლოდ არ ნახდების.“

**Ama söyle bir söz denmiş: „İyiliği yapanın sonu kötü olmaz.“**

მართლად იტყვის მოციქული: „შიში შეიქმს სიყვარულსა.“

**Havari doğru söylemiş: „Korkudan sevgi doğar.“**

ოდეს კაცსა დაეჭირვოს, მაშინ უნდა ძმა და თვისი.

**İnsan dara düşerse, işte o zaman dost ve kardeşe ihtiyaç duyar.**

რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია.

**Ne verirsen senindir, vermediğin kayıptır.**

რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია?!?

**Karanlık tarafından takip edilen aydınlık aydınlık mıdır?**

რაცა არ გნადდეს, იგი ქმენ, ნუ სდევ ნადილთა ნებასა!

**İstemediğini yap, nefrine mağlup olma!**

საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს.

**Kaybedeceğini anladığında bazen vazgeçmek iyidir.**

სიცრუე და ორპირობა ავნებს ხორცსა, მერმე სულსა.

**Yalan ve ikiyüzlülük ilk önce bedene, sonra da ruha zarar verir.**

სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსა.

**Mal mülk kazanacağına isim kazanmak yeğdir.**

სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი.

**Şerefsizce yaşamaktan ölüm yeğdir şereflice.**

სჯობს უყოლობა კაცისა მომდურავისა ყოლასა.

**Kavgalı bir yakının olacağına hiç olmaması daha iyidir.**

ყვავი რომ ვარდსა იშოვნის, თავი ბულბული ჰგონია.

**Karga gülü bulursa, kendini bülbül sanır.**

ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა, ვით ქვითკირსა.

**Dara düştüğünde bir kaya gibi güclü durmasını bileceksin.**

Shota Rustaveli's "The Knight in the Panther's Skin" has appeared for the first time in the Turkish literature through Ahmet Ozkan Melashvili's book - "Georgia". The book has been published on the Turkish language in Istanbul, in 1968. Herewith, a small article has been also published regarding Shota Rustaveli and his poem and the first 5 stanzas have been translated from its prologue. The article and the translation belongs to Kamil Olgun Tava(di)dze.

In the next consecutive journal of "Chveneburi", which was in the beginning published in Stockholm and later on, in Istanbul, appeared the excerpt from the Turkish translation of "The Knight in the Panther's Skin" made by Ahmet Ozkan Melashvili. In the first 7 issues of the journal, the extracts from the translated work was regularly published with beginning at its prologue till the 169 stanzas. To the same Melashvili's pen belongs the complete translation of the poem, however, it has not seen the day light up till now.

In the 1980s the famous Turkish poet and professor, linguist and incomparable expert of the French Language, Tahsin Sarach began with translating "The Knight in the Panther's Skin" from French into Turkish. However, unfortunately he was unable to finish the work due to his untimely death.

The complete translation of the "The Knight in the Panther's Skin" has been firstly published in 1991 in Samsun. The translator was the professor of Samsun State University, Bilal Dindar, Georgian by ethnic origin. During his translation work he employed the French version of poem translated by Sergi Tsuladze and was assisted by the expert of the Azeri Language and literature, private-docent, Zeinelabidin Makas. The latter himself was applying to the Azeri version of "The Knight in the Panther's Skin" translated by Ahmed Jevad.

The excerpts from "The Knight in the Panther's Skin" translated from Georgian into English by Fahrettin Chiloglu (aka Parna-Beka Chilashvili) who has also Georgian origin appears in the internet quite often.

As it is known to us by now, Hasan Chelik has also finished the verse by verse translation of "The Knight in the Panther's Skin" (which he has done together with Prof. Lia Chlaidze while he still resided in Tbilisi) and now he continues working on its poetic translation.

At the end of the article we provide the reader with our own translations of aphorisms from "The Knight in the Panther's Skin". The translation was made into Turkish from Georgian and most of them were utilized in an author's TV project – "Let's Study Georgian" designed for Turkish people. The project was on Georgia's public broadcaster's TV channel in 2007-2008.

## **მანანა კვაჭაძე „ვეფხისტყაოსანი“ ირანულ ენებზე**

ვეფხისტყაოსანი გადათარგმნილია მრავალ ენაზე და დღეს მას მსოფლიო მნიშვნელობის პოეტურ ნაწარმოებთა შორის, შეიძლება ითქვას, სათანადო ადგილი უკავია; თუმცა ვეფხისტყაოსნის თარგმნას, ისევე, როგორც საერთოდ ქართული მწერლობის ნიმუშთა თარგმნას, მცირე ხნის ისტორია აქვს – არაქართველმა მკითხველმა ორიოდ საუკუნის წინ შეიტყო XII საუკუნეში მოღვაწე გენიალური ქართველი პოეტის – შოთა რუსთველისა და მისი უკვდავი შედევრის, „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ.

- რუსთველის ხსენებას ევროპაში XIX საუკუნის დამდეგიდან ვხვდებით, აზის სახელმწიფო ობში – XX საუკუნის 30-იანი წლებიდან.<sup>1</sup>

რუსთველსა და მის პოემას აღმოსავლეთის კვეყნებიდან პირველად ირანში გამოეხმაურნენ. ეს წამოწყება იური მარის, ვლადიმერ ფუთურიძის, საიდ წაფისისა და ჰამზე სარდადვარის სახელებს უკავშირდება.

გასული საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისიდან ირანის პერიოდიკაში ქვეყნდება მასალები რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ. ირანელი მოღვაწენი, ძირითადად, იზიარებენ მაშინ ჩვენსავე სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებულ შეხედულებებს ფაბულის წყაროსთან („ეს ამბავი სპარსული“), თუ სხვა საკითხებთან დაკავშირდებით და რამდენადმე აზვიადებენ სპარსული პოეზიის როლისა და გავლენის მნიშვნელობას.

- პირველ რიგში უნდა მოვიხსენიოთ ცნობილი ირანელი მწერალი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, თეირანის უნივერსიტეტის პრო-

<sup>1</sup> იხ. რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში, თსუ რუსთველის კაბინეტი, I-IV. (თბილისი, 1976-1988); ალექსანდრე ბარამიძე, ვეფხისტყაოსნის თარგმანები. შოთა რუსთაველი (თბილისი, 1975), 324-348; ლია ანდლულაძე, ვეფხისტყაოსნის პირველი რუსული თარგმანი, ძველი ქართული მწერლობის საკითხები, კრებული პირველი (თბილისი, 1962), 201-221; ლეილა თაქთაქიშვილი-ურუმაძე, „ვეფხისტყაოსანი“. მარჯორი უორდორპი (თბილისი, 1965), 90-120; ზვიად გამსახურდია, „ვეფხისტყაოსანი“ ინკლისურ ენაზე (თბილისი, 1984); ლევან მენაბდე, რუსთველი ირანში. თსუ შრომები 241 (თბილისი, 1983), 129-134; მისივე, რუსთაველი აღმოსავლეთის ქვეყნებში. „მაცნე“, ენისა და ლიტერატურის სერია, №2 (თბილისი, 1987), 71-91; ჯემშიდ გიუნაშვილი, შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსანი ირანში. ქართულ-ირანული ურთიერთობანი, საერთაშორისო კონფერენცია, II (ქუთაისი, 2005), 38-44. იხ. აგრეთვე მამუკა ჩხეიძე, ლევან თაქთაქიშვილი, „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემათა ბიბლიოგრაფია 1712-2015 (თბილისი, 2016).

ფესორი საიდ ნაფისი<sup>1</sup> (1895-1966). მან რამდენიმე წერილი უძღვნა რუსთველსა და მის პოემას,<sup>2,3</sup> ზოგი მათგანი ქართულადაც დაიბეჭდა.<sup>4</sup> თავის ნაშრომებში საიდ ნაფისი პატივით მოიხსენიებს საქართველოს უდიდეს პოეტს, მის ცნობილსა და სახელგანთქმულ პოემას, ქართული პოეზიის შედევრს „ვეფხისტყაოსანს“, მაგრამ მეტნილად ყურადღებას ამახვილებს ირანული კულტურის გავლენაზე, იმ გამონათქვამეზე, რომელიც „ირანელ პოეტთა მიერაა შთაგონებული“ (1934); საკუთრივ ირანის გავლენას ხედავს იგი პოემის ავტორის სიტყვებში, მთავარი გმირის ვეფხის ტყავით შემოსვის ფაქტში, გმირთა საკუთარ სახელებში, მათ აღმსარებლობაში, ისლამურ ტერმინთა სიმრავლეში, ვარსკვლავთა სახელებში (1951).

ს. ნაფისი ახლოს იცნობდა ქართველ მწერლებსა და მეცნიერებსა, არაერთხელ იყო საქართველოში, ინტერესდებოდა ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობებით. მას კარგად ესმოდა „ვეფხისტყაოსანის“, როგორც ლიტერატურული ძეგლის, მნიშვნელობა, პოემის თარგმნა სპარსულ ენაზე ძალზე მნიშვნელოვან მოვლენად მიაჩნდა, განზრახული ჰქონდა თავისი წვლილი შეეტანა „ვეფხისტყაოსანის“ სპარსულად ამეტყველების საქმეში, მაგრამ არ დასცალდა.

• თეირანის უურნალ „არმალანში“ 1934 წელს ცნობილმა ირანელ-მა ლიტერატურათმცოდნემ პამზა სარდადვარმა (თალებ-ზადემ) გამოაქვეყნა წერილი „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც წინასიტყვაობის სახით წინ უძლოდა პოემის მოკლე შინაარსს.

ჰ. სარდადვარი წერს: „ქართული პოეზიის უბრძყინვალესი შედევრია პოემა „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც ეკუთვნის ქართველი ხალხის უდიდეს პოეტს მოთა რუსთაველს. მიუხედავად იმისა, რომ ამ პოემის შექმნის დღიდან საუკუნეები გავიდა, ჯერაც არავის დაუწერია მისი მსგავსი რამ. ეს პოემა მსოფლიო ლიტერატურის საგანძურშია შესული“<sup>5</sup>.

<sup>1</sup> იხ. მაგალი თოდუა, საიდ ნაფისი. ლიტერატურული საქართველო, 16. XII, 1966, 51 (1532); D. Kobidze, *Said Naficy et la Géorgie. Mélange d'iranologie en mémoire de l'iranologue en mémoire de feu Said Naficy* (Teheran, 1972), 110-112; Л. Гиунашвили, Творческий путь Саида Нафиси (Тбилиси, 1976).

<sup>2</sup> ۱۳۱۳، ۷ س. نفیسی، ادبیات فارسی در گرجستان، "مهر" سال دوم، شماره سპარსული ლიტერატურა საქართველოში، - ჟურნ. „میرزا“ (თეირანი, 1934), 746-749.

<sup>3</sup> ۱۳۲۰ س. نفیسی، رستم پهلوان جهان، در کتاب: "نشر فارسی معاصر"، تهران - როსტომი გმირი - - თანამედროვე სპარსული პროზა (თეირანი, 1951).

<sup>4</sup> საიდ ნაფისი, „საქართველოსა და ირანის ლიტერატურული ურთიერთობისათვის (სპარსულ და ქართულ ენებზე), თსუ შრომები, 108 (თბილისი, 1964), მისივე „ვეფხისტყაოსანი“ სპარსულ ენაზე. „ლიტერატურული საქართველო“. 24, VII. 1964, 30 (1407).

<sup>5</sup> ح. سر دادور (طالب زاده)، "پهلوان پلنگینه یوش"، "ارمغان"، سال پانزدهم شماره ۱۳۱۳، ۱۰، ۹، ۸

იხ. აგრეთვე, რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში, II (თბილისი, 1978), 326-327.

შემდეგ მკვლევარი მოკლედ ახასიათებს რუსთველის პოემას. აღნიშნავს მის სიდანადეს, განსაკუთრებულ პოპულარობას ქართველ საზოგადოებრიობაში, მკითხველს აწვდის ცნობებს პოემის დაწერის თარიღისა და ავტორის თაობაზე; ესება ავტორობის საკითხს: „არსებობს მოსაზრება, რომელსაც ჰყავს თავისი მომხრეები, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ნამდვილად სპარსული პოემაა და ქართველმა პოეტმა, რომელიც კარგად იცნობდა სპარსულ ლიტერატურას, იგი ქართულად თარგმნა. პროფ. ნ. მარი ფიქრობს, რომ პოემა „ვეფხისტყაოსანი“, შესაძლოა. ცნობილი პოეტის ონსორის დაკარგული მესანევი იყოს, რომლისგანაც დღესდღეობით მხოლოდ სახელიდა შემოგვრჩაო.“

აღსანიშნავია ჸ. სარდადვარის ცდა რუსთველოლოგიის საკითხთა გარკვევაში ფართო მასების ჩაბმისა. იგი თხოვნით მიმართავს ჟურნალის მკითხველებს: „...გთავაზობთ პოემა „ვეფხისტყაოსანის“ მოკლე შინაარსს და პატივცემულ მეცნიერთ და „არმალანის“ ყველა მკითხველს ვთხოვთ, რომ თუ სადმე – სპარსულ ლიტერატურაში ან ზეპირ-სიტყვიერებაში, – წაიკითხავენ ან მოისმენენ „ვეფხისტყაოსანის“ მსგავს პოემას, მოიღონ მოწყალება და „არმალანის“ რედაქციას აცნობონ, რათა გარკვეულ იქნეს პოემის სადაურობის საკითხი“<sup>1</sup>.

ჟურნალის თხოვნას არავინ გმოხმაურებია. სარდადვარს სათანადო მასალა არ მიუღია... ამ შეხედულების მომხრე მეცნიერები ადრეც და შემდეგშიც ეძებდნენ ირანულ სამყაროში „ვეფხისტყაოსანის“ დედანს, მაგრამ ვერ მიაკვლიეს. ჯერ კიდევ ვეხტანგ მეექვსემ (XVII-XVIII სს.) „ვეფხისტყაოსანის“ პირველმა მკვლევარმა და გამომცემელმა, სპარსული ენისა და კულტურის უბადლო მცირდნემ, პოემის წყაროთა ხანგრძლივი ძიების შემდეგ განაცხადა: „სპარსში ასეთი ამბავი არ არისო“.

და რომელ იყოს?!<sup>2</sup>

ანალოგიების, პარალელების თუ მაგალითების მოხმობას თავს ავარიდებ, სრულიად მიუკერძოებელი პირის მოსაზრებას მოვიხმობ.

„ვეფხისტყაოსანის“ მარჯორი უორდროპისეული თარგმანის წინა-სიტყვაობაში ოლივერ უორდროპი, სხვა მრავალ საკითხთა შორის, პოემის ორიგინალურობის საკითხსაც ეხება. „ვეფხისტყაოსანის“ ინგლისური თარგმანის გამოქვეყნება დაემთხვა პერიოდს, როდესაც ჩვენში ცდილობდნენ დაემტკიცებინათ, რომ პოემა თარგმნილია სპარსული „შარიან-ნამედან“, რომელიც ბრიტანეთის მუზეუმში ინახება. ამასთან დაკავშირებით ო. უორდროპი წერს:

„დღემდე ამის მსგავსი ამბის კვალიც კი არ აღმოუჩენიათ და აღმოჩენილიც რომ იყოს, ჩვენი ავტორის სახელსა და დიდებას ისევე ვერაფერს დააკლებდა, როგორც შექსპირისას არა დაპკლებია ლუიჯი და პორტოს ამბის გამო“<sup>2</sup>.

<sup>1</sup> იქვე.

<sup>2</sup> Rust'haveli, *The Man in the Panther's Skin* (London, 1912), XI, ციტ.: ლ. თაქთაქიშვილი-ურუშაძე, მარჯორი უორდროპი, 95.

მოგვიანებით, 1970 წელს მეშვედის უნივერსიტეტის ლიტერატურისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პრომების მექანიკურისა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის პრომების მეცნიერების გამოქვეყნდა ამავე უნივერსიტეტის პროფესიული პრინციპის „ვეფხისტყაოსნის“ ამბავი“<sup>1</sup>.

ირანის საზოგადოებრიობისათვის „ვეფხისტყაოსნის“ და ქართული კულტურის ისტორიის შესახებ სათანადო ინფორმაციის მიწოდების თვალსაზრისით, ამ წერილის გამოქვეყნება მეტად მნიშვნელოვან ფაქტად არის მიჩნეული. „მნიშვნელოვანი ის გახლავთ, რომ ირანელი მეცნიერის აზრით, რუსთაველის მიერ შექმნილი მსოფლიო მნიშვნელობის შედევრი კანონზომიერი შედეგია საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის, ქართული კულტურის და საზოგადოებრივი აზრის განვითარებისა, ეს გახლავთ ადგილობრივი, თვითმყოფადი ქართული შემოქმედებითი ენერგიის, ბერძნულ-ბიზანტიურ, ირანულ-მუსლიმური კულტურების მონაპოვართა მაღალი სინჯის სინთეზი. პროფ. ჰ. ზარიქ-რუბი სწორედ ამ ფენომენს უკავშირებს იმ ფაქტს, რომ იმდროინდელ საქართველოში მაღალ პროფესიულ დონეზე იყო შემუშავებული ფილოსოფიური ტერმინოლოგია“<sup>2</sup>.

- სპარსულენოვანი მეცნიერებისათვის რუსთველისა და მისი პოემის გაცნობის საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქართველ მეცნიერთა მიერ სპარსულ ენაზე გამოქვეყნებულმა წერილებმა. რუსთველის 800 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო ღონისძიებათა ფარგლებში პროფ. ჯემშიდ გიუნაშვილის ინიციატივითა და ძალისხმევით უურნალ „ფეიამე ნოვინში“ 1966 წლის მებუთე ნომერში გამოქვეყნდა აკად. ალექსანდრე ბარამიძის წერილი „შოთა რუსთაველი“,<sup>3</sup> ხოლო მექქსე ნომერში – პროფ. დავით კობიძის სტატია „რუსთაველი და სპარსული ლიტერატურა“.<sup>4</sup>

ყოველივე ამან გააძლიერა და აამაღლა ინტერესი „ვეფხისტყაოსნის“ მიმართ. თანდათანობით მომწიფდა საკითხი პოემის სპარსულად თარგმნის შესახებ.

<sup>1</sup> ح. زرین کوب، "دانستان پلنگیه پوش"، مجله دانشکده ادبیات و علوم انسانی مشهد، سال ششم، ۱۳۴۹، ۴، شماره ۱۳۴۹، ۲.

იხ. აგრეთვე, რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში, II, 328-332; ზარინქუბის ამ წერილის შესახებ იხ. Л. Гиунашвили, Иранский учёный о поэме Руставели. «Вечерний Тбилиси», 16. VI, 1971, 140 (5507).

<sup>2</sup> ჯ. გიუნაშვილი, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნი“ ირანში, 40.

<sup>3</sup> ا. بارامیدزه، شوتا روستاوه لى و ادبیات فارسی، "پیام نوین"، شماره ۱۳۴۵، ۵

<sup>4</sup> د. کوبیدزه، روستاوه لى و ادبیات فارسی، "پیام نوین"، شماره ۱۳۴۵، ۶،

მოგვიანებით, ეს სტატია დაიბეჭდა ქართულ და რუსულ ენებზე. იხ. დ. კობიძე, ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი, II (თბილისი, 1969), 93-100.

• „ვეფხისტყაოსანთან“ დაკავშირებით თავს იყრის საკითხთა დიდი სიმრავლე, რომელთა კვლევა და ანალიზი რუსთველოლოგების განსჯისა და განხილვის საგანია. ძირეულ და აქტუალურ პრობლემად რჩება რუსთველოლოგის, როგორც სამეცნიერო დარგის, სტრატეგიული ხაზის განსაზღვრა, პოემის ტექსტის კომპლექსური, ისტორიულ-შედარებითი მეთოდით კვლევა, მეცნიერული ტექსტის დადგენა, თითოეული სტროფისა თუ სტრიქონის სათანადო გააზრება და ა.შ. ერთ-ერთ ურთულეს პრობლემას წარმოადგენს პოემის თარგმნა უცხოურ ენებზე. აზრთა სხვადასხვაობით გამოწვეული პრობლემების მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ტექსტის თარგმნისას ვლინდება მთელი სიმწვავით.

ნიშანდობლივია, რომ განსაკუთრებით სათუთ და საფრთხილო საქმედ არის მიჩნეული „ვეფხისტყაოსანის“ აღმოსავლურ ენებზე, კერძოდ, სპარსულ ენაზე თარგმნა. ზოგადაღმოსავლურმა კონტექსტმა, ლიტერატურათა, ერთგვარი აზრით, სიახლოვებ, ენობრივი ქსოვილის, ერთი შეხედვით, მსგავსებამ, ამ რიგის ზოგიერთმა სხვა ფაქტორმა და საკითხისადმი სუბიექტურმა მიდგომამ შესაძლოა, შეცდომაში შეიყვანოს მთარგმნელიცა და მკითხველიც. „აქ დიდი სიფრთხილეა საჭირო. საქმე ისაა, რომ სპარსული ლიტერატურის დიდი წარმომადგენლების თხზულებებზე აღზრდილ მკითხველს ერთი შეხედვით „ვეფხისტყაოსანის“ მთელი რიგი მხატვრული სამკაულები (შედარება-მეტაფორები და სხვ.) ნაცხობ სამკაულებად წარმოუდგება, მაგრამ როცა ის ღრმად გაეცნობა საქმის ვითარებას, დაინახავს, რომ რუსთაველის მიერ საგნები და მოვლენები სულ სხვაგვარადაა აღქმული და გააზრებული. ეს კარგად უნდა შევიგნოთ და გავითვალისწინოთ, რომ თარგმანში რუსთაველისათვის არადამახასაითებელი მხატვრული სახეების, მეტაფორების, შედარებების და ეპითეტების გამოყენებით მისი სპარსული პოეზიის წარმომადგენლებთან დაახლოება ან გაიგივება არ გამოგვივიდეს“, – წერდა ცნობილი ირანისტი, ფართო დიაპაზონის ფილოლოგი, პროფესორი დავით კობიძე.<sup>1</sup>

იმავე წერილში ვკითხულობთ: „რუსთველის პოემის სპარსულად თარგმნის დაწყებამდე მთელი რიგი საკითხები უნდა გადაწყდეს. ასე, მაგალითად, საჭიროა ვიფიქროთ იმის შესახებ, თუ რომელ სპარსულ ენაზე (კლასიკურსა თუ თანამედოვეზე) უნდა ითარგმნოს იგი. ლექსად აჯობებს მისი თარგმნა, თუ პროზად.“

ლექსად გადათარგმნის შემთხვევაში, ხომ არ იქნება შესაძლებელი დავარღვიოთ სპარსულ პოეზიაში განმტკაცებული ბეითური წყობა და მისთვის უჩვეულო სტროფული სისტემა შემოვიტანოთ, რომ ამით აღ-

<sup>1</sup> დ. კობიძე, ქართველი მწერლების სპარსული თარგმანები. – თსუ შრომები, ტ. 118 (აღმოსავლეთმცოდნებობის სერია, ტ. VI, თბილისი, 1967), 163-169; ჩვენ ვსარგებლობთ „ურთიერთობანის“ II ტომში დასტამბული ტექსტით, 313-319.

მოსავლელ მკითხველებს ვაგრძნობინოთ ის ჭეშმარიტება, რომ რუს-თველი და მისი ლექსი თავისი ბუნებითა და აგებულებით სულ სხვაა, ვიდრე ირანელი პოეტებისა.

აგრეთვე, მსჯელობის საგანია ისიც, თუ რომელი სალექსო საზომი (მეტრი) უნდა იქნეს შერჩეული, რომელი მათგანი გამოდგება „ვეფხის-ტყაოსნის“ ამბის, მისი დინამიკურობისა და პოეტური სამყაროს გად-მოსაცემად. დასასრულ, შესასწავლია, თუ პოემაში ხმარებული სახე-ლები სპარსულად როგორ გადმოიცეს.<sup>1</sup>

ნახევარი საუკუნე გავიდა ამ სიტყვების დაწერიდან და დასმულ საკითხთა აბსოლუტური უმრავლესობა კვლავ აქტუალურია.

• რაც შეეხება „ვეფხისტყაოსნის“ სპარსულად ამეტყველებას: „ვეფხისტყაოსნის“ ადრინდელი სპარსული თარგმანის შესახებ ძველ წყაროებში არავითარი ცნობა არ გვხვდება. ზ. ჭიჭინაძის განცხადება – „ვეფხისტყაოსანი“ სპარსულად XVIII საუკუნეში თარგმნეს ირანში მყოფმა ქართველებმა, არ დასტურდება (ყოველ შემთხვევაში, ჯერ-ჯერობით არაფერი ჩანს).<sup>2</sup>

ამდენად, „ვეფხისტყაოსნის“ სპარსულად ამეტყველების ცდანი გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან იწყება. როგორც ზემოთაც აღ-ვნიშნეთ, სპარსულებრვან ურნალ „არმალანის“ 1934 წლის მეორე ნო-მერში ირანელმა მწერალმა და მკვლევარმა ჰამზა სარდადვარმა გამო-აქვეყნა წერილი „ვეფხისტყაოსანი“, რომელსაც დართული აქვს პოემის 40 გვერდიანი შინაარსი. სარდადვარისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, „მოკლე შინაარსში დაკარგულია პოემის პოეტური ლირულებანი და რიტორიკული ფიგურები, რომელთაც განაპირობეს რუსთაველის დი-დება და მისი სახელის უკვდავება“.

1935 წელს ვლადიმერ ფუთურიძემ გამოქვეყნა „ვეფხისტყაოსნის“ პირველი თავის შემოკლებული პროზაული გარდათქმა, შესრულებული იური მარის მიერ შევრინ ბავენდის თანამშრომლობით.<sup>3</sup> ეს იყო „ვეფ-ხისტყაოსნის“ სპარსულად ამეტყველების პირველი ცდა, ამდენად, ფრიად საყურადღებო და მნიშვნელოვანი; მაგრამ აქაც მთარგმნელის ძირითადი მიზანი ტექსტის შინაარსის გადმოცემა იყო და არა მხატ-ვრული სამყაროს ნარმოჩენა.

• 1966 წელს რუსთველისადმი მიძღვნილ საიუბილეო ღონისძიე-ბათა ფარგლებში, გამომცემლობა „მეცნიერებამ“ გამოქვეყნა წიგნი – შოთა რუსთაველი, ნაწყვატები „ვეფხისტყაოსნიდან“ (სპარსულ ენა-

<sup>1</sup> იქვე, 315.

<sup>2</sup> მენაბდე, რუსთველი ირანში, 132-133. მითითებულია: ზ. მთაწმინდელი [ჭიჭინაძე], შოთა რუსთაველი (თბილისი, 1884).

<sup>3</sup> В. С. Путурдзе, *Начальная хрестоматия персидского языка* (М. – Л., 1935), 52-54.

ზე).<sup>1</sup> ეს გახლავთ, ფაქტობრივად, რუსთველის პოემის პირველი სპარსული პოეტური თარგმანი. იგი შესრულებულია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მეცნიერითანამშრომლის, ირანელი ემიგრანტის, მორთეზა ფათემის მიერ. წიგნში მოთავსებულია რამდენიმე თავის თარგმანი, სახელდობრ: 1) ამბავი როსტევან არაბთა მეფისა, 2) წიგნი ნესტან-დარეჯანისა საყვარელსა თანა მინერილი პირველი, 3) წიგნი ტარიელისა ხატაელთა თანა და კაცის გაგზავნა, 5) ნესტანისაგან ტარიელის ხმობა, 6) ტარიელისა და ნესტანის პირისპირ შეყრა, 7) ქორწილი ტარიელისა და ნესტან-დარეჯანისა და 8) დასასრული (სულ 97 სტროფი). იქვეა დაბეჭდილი ასზე მეტი სენტეცია-აფორიზმის პროზაული თარგმანიც.

წიგნი ლითოგრაფიულ გამოცემას წარმოადგენს, სპარსული ტექსტი გადაწერილია კალიგრაფ ა. მინაის მიერ. სპარსული ტექსტის პარალელურად იკითხება ქართული დედანი. სალექსო საზომად არჩეულია სრული სახის ჰეზეჯი (ოთხი მოკლე და ოორმეტი გრძელი მარცვალი). გამოცემას წამძლვარებული აქვს რედაქტორის, ჯემშიდ გიუნაშვილის ვრცელი შესავალი წერილი, რომელშიც დახასიათებულია რუსთველის ეპოქა – კულტურული გარემო, ლიტერატურული ცხოვრება. პროფესორი ჯ. გიუნაშვილი გადმოგვცემს „ვეფხისტყაოსნის“ მოელე შინაარსს, მიმოიხილავს სამეცნიერო ლიტერატურაში არსებულ მასალებს, იძლევა პოემის დახასიათებას, ავტორის შეხედულებათა ანალიზს.

ქართული პრესა აქტიურად და თბილად გამოეხმაურა ამ მეტად საინტერესო და საყურადღებო ფაქტს. იყო აღტაცებული და აღფრთოვანებული საგაზეთო რეცენზიები;<sup>2</sup> იყო კრიტიკული შეფასებებიც. მ. ფათემისეულ თარგმანს სპეციალური წერილები უძღვნეს დავით კობიძე<sup>3</sup> და მაგალი თოდუამ.<sup>4</sup> ზოგადად, დიდი კამაყოფილება გამოითქვა „ვეფხისტყაოსნის“ სპარსულად თარგმნის გამო, მთარგმნელის მონდომებული და კეთილსინდისიერი დამოკიდებულების გამო სათარგმნი ტექსტის მიმართ. აღინიშნა ღირსება-ნაკლოვანებანი, ყურადღება გამახვილდა ხარვეზებზე.<sup>5</sup> უფრო კრიტიკული იყო დავით კობიძის შეფასება. მან უშურველად გაიღო კველა საქებარი სიტყვა ბატონ მ. ფათემის, როგორც კარგი ლიტერატურული მომზადებისა და მთარგმნელებითი ნიჭით დაჯილდოებული პირის მიმართ, მაგრამ მეტად მკაცრად შეაფასა გამოქვეყნებული თარგმანი. „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანის

<sup>1</sup> შოთა რუსთავე ლი, კლემატ აზ მოცვე ი პლიუსი, თელისი, 1966

<sup>2</sup> იხ. „ესე ამბავი ქართული“, კომუნისტი, 30. IX. 1966, 223 (13607); „სპარსულად ნათარგმანები“, „თბილისი“, 1. X. 1966 (4076). შ. Тодуа, Руставели на языке Саади. – «Молодежь Грузии», 25, XI, 1967, №140, (6609).

<sup>3</sup> დ. კობიძე, ქართველი მწერლების სპარსული თარგმანები, 313-319.

<sup>4</sup> მ. თოდუა, „ვეფხისტყაოსნი“ სპარსულ ენაზე, – „მნათობი“, 1967, 6.

<sup>5</sup> იქვე, 190.

შესრულება, რომელ ენაზედაც არ უნდა იყოს ეს, ადვილი საქმე არ არის, – წერს ბატონი დავითი. მთარგმნლს ლრმად უნდა ჰქონდეს გაგებული და აღქმული ის დიდი პოეტური ტექნიკა, რითაც რუსთაველის პოემაა დამპვენებული. ამასთან, იგი ლრმად უნდა იცნობდეს „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის მხატვრული აზროვნების გზებს, გამოსახვის ხერხებს, მის მწყობრსა და ნათელ მსოფლმხედველობას“.<sup>1</sup>

ამ მოთხოვნათა ფონზე, ცხადია, მრავალი შენიშვნა ჩამოყალიბდა, მაგალითად, დ. კობიძეს რუსთველური ლექსის თარგმნისას სრულიად შეუფერებლად მიაჩნია სალექსო საზომად სრული ჰეზევის შერჩევა, ვინაიდან ამ შემთხვევაში, მთარგმნელი ხშირად იძულებული ხდება „ცარიელი ადგილები“ თავისი სიტყვებით შეავსოს და სალექსო სტრიქონები პროზის სტრიქონებს უფრო ემსგავსება, ვიდრე ლექსისას. ყოველივე ამის გამო ძნელდება რუსთაველისათვის დამახსასათებელი სხარტი, სიცოცხლითა და დინამიკურობით საგაე თხრობის გადმოცემა; რეცენზენტი წუხს, რომ აქა-იქ ძალიან ღარიბი რითმებია გამოყენებული, რომ შედარება-მეტაფორების გადმოცემის თვალსაზრისით, ზოგჯერ ძალიან მძიმე მდგომარეობა გვაქვს და რომ, საერთოდ, რუსთველის მხატვრული ფერების გამარტივება-გაუბრალოებასთან გვაქვს საქმე, მაგრამ დასძხენს: „მ. ფათემი აჩქარებულა, თარგმანის შესწავლა გვარწმუნებს იმაში, რომ მას „ვეფხისტყაოსანზე“ დინჯი და დაკვირვებული მუშაობის შედეგად უეჭველად უკეთესი თარგმანის მოცემა შეეძლო“.<sup>2</sup>

ამავე სტატიაში ბატონი დავით წერს: „ჩვენი აზრით, კარგი იქნება თუ მ. ფათემის მთარგმნელობით მუშაობას სისტემატური ხასიათი მიეცემა და მას უნივერსიტეტისა და ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის თანამშრომლები სათანადო კონსულტაციებს გაუწევენ... მ. ფათემი ... ჩინებულად ფლობს როგორც კლასიკურს, ისე თანამედროვე სპარსულს და თავდადებით ცდილობს საფუძვლიანად დაეუფლოს ქართულ ენას, საიდანაც მას, ვფიქრობთ, მრავალ თხზულებათა გადათარგმნა ელოდება. მაგრამ მის მუშაობას ... სისტემატური ხასიათი და სათანადო მიმართულება უნდა მიეცეს“.

ბ-ნი მართება ფათემი ირანის ისლამური რევოლუციის შემდეგ, გასული საუკუნის 80-იანი წლების დამდეგს სამშობლოში დაბრუნდა და იქ გარდაიცვალა.

• საეტაპო მოვლენად არის მიჩნეული, ფარშიდ დელშადის მიერ შესრულებული „ვეფხისტყაოსანის“ სრული ტექსტის სპარსული პროზაული თარგმანის გამოცემა თეირანში, 1998 წელს.<sup>3</sup>

<sup>1</sup> კობიძე, ქართველი მწერლების სპარსული თარგმანები, 314.

<sup>2</sup> იქვე, 316.

<sup>3</sup> ვეფხისტყაოსანი – შოთა რუსთაველის შედევრი – გამოკვლევა და თარგმანი ფარშიდ დელშადისა, (თეირანი, 1998).

پلنگینه پوش – شاهگار شوتا روستاولی. پژوهش و ترجمه: فرشید دلشداد. تهران ۱۳۷۷ (1998).

თეირანის ალამე თაბათაბაის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ასპირანტმა ფარშიდ დელშადმა პროფ. მაჰმუდ ებადიანის რჩევით, მოამზადა და წარმატებით დაიცვა დისერტაცია თემაზე „ვეფხისტყაოსანი – შოთა რუსთაველის შედევრი“, რომელსაც თან დაურთო პოემის სრული ტექსტის თარგმანი კომენტარებითურთ და, რომელიც საფუძლად დაედო ხსენებულ წიგნს. საქმე ის გახლავთ, რომ მ. ებადიანი ერთხანს მოღვაწეობდა ევროპაში და, თავისი კოლეგებისაგან განსხვავდით, ჰქონდა წარმოდგენა რუსთველის შემოქმედების შესახებ.<sup>1</sup>

ცხადია, გარკვეული ინიციატივა ქართული მხრიდანაც მოდიოდა, – უნდა აღინიშნოს ის ძალისბმევა, რომელსაც იჩენდა ირანში საქართველოს მაშინდელი ელჩი, საქართველო-ირანის სამეცნიერო კულტურული ურთიერთობისა და თანამშრომლობის საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარე, პროფ. ჯემშიდ გიუნაშვილი, რაც, ერთი მხრივ, ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოსთან გარკვეული „საგანმანათლებლო“ მუშაობის ჩატარებაში მდგომარეობდა, მეორე მხრივ, დისერტაციის მიმართ თანადგომაში – შეძლებისდაგვარად უზრუნველეყო იგი სათანადო წყაროებითა და ლიტერატურით.<sup>2</sup>

ფარშიდმა მაშინ ქართული არ იცოდა, საკითხის დასამუშავებლად მას მიეწოდა სპარსულ და ევროპულ ენებზე გამოქვეყნებული შრომები. კვლევით ნაწილში გამოყენებული აქეს ალ. ბარამიძის, დ. კობიძის, მ. ლორთქიფანიძის, რ. მეტრეველის, ნ. ნათაძე – ს. ცაიშვილის და სხვათა შრომები. პოემის ტექსტის თარგმნისათვის – გამოყენებულია ინგლისური (მ. უორდროპისეული და ვ. ურუშაძისეული), არაბული, ტაჯიკური თარგმანები; ნაწილობრივ – შალვა ნუცუბიძისეული რუსული თარგმანიც; ნაშრომს ახლავს პოემის არაბული თარგმანის გურამ ჩიქოვანისა და ნიზარ ხალილის წინასიტყვაობის სპარსული თარგმანი, ვენერა ურუშაძისეული ინგლისურ თარგმანზე დართული, თავად ვ. ურუშაძისა და დევიდ მარშალ ლანგის წინასიტყვაობათა სპარსული თარგმანები.

„ვეფხისტყაოსნის“ ფ. დელშადისეული თარგმანი ოთხ-ოთხ სტრიქონად არის დალაგებული, დაყოფილია დედნის სტროფული სეგმენტების მიხედვით და შესრულებულია ძარღვიანი კლასიკური სპარსული პროზით. თვალშისაცემია ზედმიწევნით დახვენილი ენობრივი სტილი, მდიდარი ლექსიკა, ენისაღმი გამორჩეულად პურიტანული დამოკიდებულება; უნდა ითქვას, რომ ახალ სპარსულ ენაში დამკვიდრებული სიტყვებისა თუ გამოთქმების ასარიდებლად, ტექსტი ზოგჯერ გადატვირთულია არქაიზმებით, თუმცა, ძირითადად, დაძლეულია სტილისტური უხერხულობა და ნაწარმოები თავისუფლად იკითხება.

<sup>1</sup> ამის შესახებ იხ. ჯ. გიუნაშვილი, შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსნიის ირანში, 38-44.

<sup>2</sup> ჯემშიდ გიუნაშვილი 1993-2004 წლებში იყო საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ირანის ისლამურ რესპუბლიკაში.

ფარშიდ დელშადის ნაშრომმა ფართო გამოხმაურება ჰპოვა, როგორც ჩვენში, <sup>1</sup> ისე საზღვარგარეთ.<sup>2</sup>

პროფესორ ალექსანდრე გვახარიას აზრით, „დელშადის თარგმანი უფრო მეცნიერულ მთაბეჭდილებას ტოვებს და ერთგვარად მ. უორდოროპის გზას მიჰყვება ... ენა თარგმანისა კლასიკურია, ზოგჯერ ზედმეტად არქაული და კლასიკურ სპარსულ ძეგლებს დასესხებული;“ ა. გვახარიას თქმით, მიუხედავად ხარვეზებისა, „ვეფხისტყაოსნის“ დელშადისეული თარგმანი არის „პირველი სერიოზული ნაბიჯი ამ მიმართულებით“. <sup>3</sup>

ფ. დელშადის თარგმანს უმაღ გამოეხმაურა ირანში საქართველოს საელჩოს მაშინდელი რეფერენტი, თეირანის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასპირანტი გიორგი ლობჟანიძე. ამ ვრცელ, მრავალმხრივ საყურადღებო წერილს იგი ასე ამთავრებს: „ფარშიდ დელშადის თარგმანის ყველაზე დიდი ლირსება ის არის, რომ მთარგმნელმა კი არ გაასპარსულა ტექსტი, არამედ ლიტერატურულ-ისტორიული და ლინგვისტური ნიუანსების გათვალისწინებით, შეეცადა მოეცა შოთა რუსთაველის – ქართველი პოეტის – „ვეფხისტყაოსნის“ სპარსული ადეკვატი.“ <sup>4</sup>

„ქართულ ენაზე არსებული უხვი მასალის გამოუყენებლობამ განაპირობა ის გარემოება, რომ პოემის ზოგიერთი სტროფის გაგებისას, ამა თუ იმ ტერმინის, პოემაში ასახული ყოფითი ან კულტურული მოვლენის ბ-ნ დელშადისეულ ინტერპრეტაციაში დაშვებულია უზუსტონბა, – წერს წიგნის ნინასიტყვაობაში ჯ. გიუნაშვილი, და განაგრძობს: „ვფირობთ, ქართველმა სპეციალისტებმა ამჯერად თვალი უნდა დახუჭონ ამაზე... მისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნის შემთხვევაში ბ-ნი დელშადი შეისწავლის ქართულ ენას, ღრმად გაეცნობა ქართულ წყაროებსა და ლიტერატურას, დაეუფლება ქართველ მეცნიერთა კვლევის მეთოდოლოგიას. ამრიგად, 2-3 წელინადში ირანის ისლამურ რსპუბლიკაში გვეყოლება ქართული ლიტერატურის სპეციალისტი,

<sup>1</sup> იხ. ლ. მენაბდე. „საქართველოს რესპუბლიკა“, 21.05.1998; ლ. ჩლაიძე. საქართველოს რესპუბლიკა, 15.09.1998; გაზ. „კავკასიონი“, 21-27.08.1998; გ. ლობჟანიძე, გაზ. „სამშობლო“, 4. 1998; ნ. ბართაა, „დილის გაზეთი“, 22.10.1998 და სხვ.

<sup>2</sup> იხ. გაზ. „Farhang-e āfrinash“, Tehran, 22.9.1998. გაზ. „Iran News“, Tehran, 01.03.1999; Комиссаров Д. С. «Восток», №3, М., 1999; Bečka J. Archiv Orientalní, 67, Praha, 1999; და სხვ.

<sup>3</sup> ალექსანდრე გვახარია, „ვეფხისტყაოსნის“ ახალი სპარსული თარგმანი. ლიტერატული საქართველო, 48 (3360), 2001, 14.

<sup>4</sup> გიორგი ლობჟანიძე, ესე ამბავი – სპარსულად. „სამშობლო“, №4 (26/839), ოქტომბერი, 1998.

<sup>5</sup> ჯიმშიდ გიუნაშვილი, ბატონ ფარშიდ დელშადის წიგნის შესახებ. „ვეფხისტყაოსნი“ – შოთა რუსთაველის შედევრი. გამოკვლევა და თარგმანი ფარშიდ დელშადისა, თეირანი, 1998.

რომელიც პირველწყაროებზე დაყრდნობით ქართული ლიტერატურის შესახებ შექმნის სპეციალურ ლიტერატურას სპარსულ ენაზე – და დასძენს: „ვფიქრობთ, ჩვენთვის ეს იქნება დიდი მნიშვნელობის მქონე ფაქტი... ბატონ ფარშიდ დელშადის მოღვაწეობა წასახალისებელია.“<sup>1</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატმა და მაშინდელი ფილოლოგიის ფაკულტეტის ხელმძღვანელობამ უმაღ განაცხადეს თანხმობა და მზად-ყოფნა ფარშიდ დელშადისათვის ყოველმხრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ. ფარშიდი ერთხანს ცხოვრობდა და სწავლობდა თბილისში, ეუფ-ლებოდა ქართულ ენასა და ლიტერატურას პროფ. რამაზ ქურდაძის ხელ-მძღვანელობით, ეცნობოდა ქართულ-სპარსულ ენობრივ და ლიტერატუ-რულ ურთიერთობათა საკითხებს ალექსანდრე გვახარიას, ინგა კალაძისა და სხვა ირანისტთა ხელმძღვანელობითა და თანადღომით ...

ამჟამად ფარშიდ დელშადი ცხოვრობს და მოღვაწეობს გერმანიაში.

- 2000 წელს გელათის მეცნიერებათა აკადემიისა და გილანის უნივერსიტეტის გრიფით გამოქვეყნდა „ვეფხისტყაოსნის“ დ-რ მოპა-მიძან-ქაზემ იუსუფ-ფურის მიერ შესარულებული პროზაული თარგმანი.<sup>2</sup>

დოქტორ იუსეფ-ფურის თარგმანს საფუძვლად უდევს აკადემიკოს მაგალითობული პიერ მინდებული პეტერ ვენერა ურუშაძისეული ინგლისური თარგმანი, ჩიქოვან-ხალილისეული არაბული თარგმანი და ფარაშიდ დელშადისეული სპარსული თარგმანი.

თარგმანს წინ უძლვის იუსეფ-ფურისა და მაგალი თოლდუას წინა-სიტყვაობანი. იუსეფ-ფური მოგვითხრობს პოემით დაინტერესების შე-სახებ, თარგმნისას წარმოშობილი პრობლემებისა და მათი დაძლევის გზათა ძიების შესახებ; მაგალი თოლდუა ირანელ მკითხველს აწვდის ცნობებს რუსთველისა და მისი პოემის შესახებ; გამოკვეთს „ვეფხის-ტყაოსნის“ ადგილს მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში, განიხილავს რენესანსთან მიმართებას და სხვა. თარგმანს დართული აქვს საკუთარ და გეოგრაფიულ სახელთა საძიებლები.

- გილანის უნივერსიტეტის პროფესორი იუსეფ-ფური ქართული კულტურის მოყვარე და დამფასებელი მოღვაწეა. იგი ადრევე კარგად იცნობდა პოემის ინგლისურ, ფრანგულ და არაბულ გამოცემებს, დღიდი ხანის განმავლობაში ფიქრობდა „ვეზნისტყაოსნის“ პოეტური

1 2d30.

<sup>2</sup> შოთა რუსთაველი, კეტჩხისტყაოსანი. ქართულიდან სპარსულად თარგმნილი და მოჰკმდებად-ქაზემ იუსეფ-ფურის მიერ მაგალითობურას რედაქციით (რაჭა, 2000).

پانزگاهه بوش - اثر شوشا روستاولی. بر گردان فارسی به نگارش دکتر محمد کاظم یوسف پور. زیر نظر پروفسور مکالی تودوآ. رشت: دانشگاه گلستان ۱۳۷۹ (2000)

თარგმანის შესრულებაზე და ბოლოს, დახმარებისათვის პროფესორ მაგალი თოდუას მიმართა. აქედან დაიწყო მათი ხანგრძლივი, დაუღალალავი თანამშრომლობა. ბატონშიმა მაგალიმ მოამზადა მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული პწკარედი თარგმანი, თავი მოუყარა საკომენტარო მასალებს და ... ბევრი სჯა-ბაასის შემდეგ, გადაულახავ დაბრკოლებათა წინაშე მდგარ ბატონ იუსეფ-ფურს პოეტური თარგმანის შესრულება გადააფიქრებინა; ყოველივე ამასთან დაკავშირებით ბნი მაგალი თავის ერთ-ერთ ინტერვიუში აღნიშნავს:

„მოგეხსენებათ, „ვეფხისტყაოსნის“ ფორმა სტროფიკაზეა აგებული, მისი საყრდენი კომპონენტი ერთიანი რითმით გაწყობილი ოთხტაებიანი კატერინა. ეს იმას ნიშნავს, რომ პოემის ერთი კუპლეტი, თუ შეიძლება ასე ითქვას, მისი ავტორის ერთი ამოსუნთქვაა. ამ მონოლითის დანაწევრება ან გაზრდა ნაწარმოების სტილს ძირფესვიანად ცვლის. და აი, ქართული ეპიკისთვის, ამ შემთხვევაში კი „ვეფხისტყაოსნის-თვის“ ბუნებრივი ფორმა არაფრით არ ესადაგება სპარსული პოემებისათვის დამახასიათებელ ერთადერთ, მთელს მის კლასიკურ პერიოდში დომინირებულ ფორმას – მრჩობლებს, ერთი რითმით გაწყობილ ორტაეპიან ერთეულს (ბეითს).<sup>1</sup>

ბატონმა იუსეფ-ფურმა ყურად იღო ამ და სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი არგუმენტებით გაჯერებული რჩევანი, გაითვალისწინა მსოფლიო პოეზიის შედევრთა პროზით თარგმნის აპრობირებული პრაქტიკა და გამოცდილება და მოგვცა შესანიშნავი თარგმანი. თარგმანი წარმოადგენს გაბმულ პროზას; უარყოფილია ტექსტის კატრენებად დალაგების მეთოდი, თუმცა შენარჩუნებულია პოემის თავებად დაყოფის პრინციპი. დელმადისეული თარგმანისგან განსხვავებით, იუსუფ-ფურის თარგმანში შესულია ინდოხატაელთა ამბავი. იგი შესრულებულია დახვეწილი თანამედოვე სალიტერატურო სპარსულით, რომელშიც პროზის ქსოვილისათვის შესაფერი ზომიერებით არის მისადაგებული რუსთველური მხატვრული სახეები. თარგმანის ენა სადაა და მკითხველისათვის ადვილად მისაწვდომი, რაშიც, ცხადია, ლომის წილი აკად დ. თოდუას მიერ შესრულებულ პწკარებულ თარგმანზე მოდის. „მე მქონდა ბედნიერება, წამეკითხა პწკარედი და პირველი სიამოვნებაც მიმელო „ვეფხისტყაოსნის“ ახალი თარგმანისაგან. სიამოვნების უპირველესი წყარო კი ტექსტის ხვეულებში მთარგმნელის, როგორც მეცნიერისა და პოეტის გაგნებისა და სპარსულად მისი გადმოცემის უნარი იყო“, – წერდა ამის შესახებ პროფ. ნომადი ბართაია.<sup>2</sup>

<sup>1</sup> „ირანელი ხალხის საკითხავ ძეგლად დარჩება: „ვეფხისტყაოსანი“ სპარსულ ენაზე“. „საქართველოს რესპუბლიკა“, №144, 14 ივნისი, 2001 (ინტერვიუერი ნათელა ფაილოდე)

<sup>2</sup> ნომადი ბართაია, „ვეფხისტყაოსნის“ ახალი თარგმანი. – გელათის მეცნიერებათა აკადემიის ჟურნალი, №4 (2002), 19-25; მისივე, „ესე ამბავი სპარსულის“ ახალი სპარსული თარგმანი, – „ახალი ქუთაისი“, 24 სექ-

საგულისხმოა, რომ ორ წელიწადში ზედიზედ ორჯერ დაისტამბა პოემის ორი სხვადასხვა სპარსული თარგმანი. ბუნებრივია, ისინი რამდენადმე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თარგმანისადმი მიღების თვალსაზრისით, რაც მკითხველს შესაძლებლობას აძლევს, სხვა თვალი-თაც წაიკითხოს ნაწარმოები.

ამ თარგმანებს დიდი რეზონანსი ჰქონდა და დიდი გამოძახილი მოჰყვა. პოემა მართლაც იქცა განათლებულ ირანელთა საყვარელ საკითხავ წიგნად, ერთი მხრივ, და მეცნიერული კვლევის ობიექტად, მეორე მხრივ.<sup>1</sup>

პროფ. ალექსანდრე გვახარიას აზრით, იუსეფ-ფურისეული თარგმანი გამოიჩინა „ვეფხისტყაოსნისადმი“ შემოქმედებითი მიღობით, შინაარსის სულისკვეთებისა და მხატვრული სახისმეტყველების ბუნებრივი (ზოგჯერ გამარტივებული) შერწყმით. მან მოახერხა დღევანდელი სპარსული ენის ფარგლებში ზომიერი არქაული იერის დაცვა და მშობლიური კლასიკურ მნერლობის საგანძურის ოსტატური გამოყენება... ეს თარგმანი უდაოდ წინგადაგმული ნაბიჯია ... და ხელს შეუწყობს ირანელ მკითხველს, კიდევ უფრო ახლოს გაიცნოს ქართული პოეზიის შედევრი.“<sup>2</sup>

იუსეფ-ფურის შრომა უმაღლეს დონეზე დაფასდა: მთარგმნელს მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემიის ლაურეატის საპატიო წოდება.

• „ვეფხისტყაოსნი“ სხვადასხვა დროს ითარგმნა რამდენიმე სხვა ირანულ ენაზეც: ტაჯიკურზე, ოსურზე, ქურთულზე.

ტაჯიკეთის პრესის ფურცლებზე საქართველოს ხელნებას პირველად დავით კობიძისა (1936 წ.) და ალექსანდრე ბარამიძის (1937 წ.) წერილებში ვხვდებით. ამ წერილებით მიიღეს ტაჯიკმა მკითხველებმა ცნობები რუსთაველზე და მის „ვეფხისტყაოსნზე“.<sup>3</sup> პოემის 750 წლისთავის აღსანიშნავად გაშლილი საქმიანობის ფარგლებში ტაჯიკურ და რუსულ ენებზე გამოქვეყნდა მრავალი წერილი თუ შენიშვნა, რომელთაც წარმოაჩინეს „ვეფხისტყაოსნის“ ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა.<sup>4</sup>

---

ტემბერი, 2001. აქვე შენიშნავთ, რომ რეგიონული პრესა აქტიურად გამოეხმაურა იუსეფ-ფურის თარგმანს. იხ. მაგდა ჩინიჯიშვილი, „სპარსულად ნათარგმანები“ ... - „მძერეთის მოამბე“, 12 ოქტომბერი, 2001; ნელი უგრეხელიძე, „ვეფხისტყაოსნის“ ახალი თარგმანები, იქვე.

<sup>1</sup> იხ. Dr. Fazeli, *A glance at the Persian translation of "The Man in the Panther's Skin"* By Dr/ Mohammad Kazem Yusoff Pur. Georgian-Irannian Relations, International Conference, II, Kutaisi, 2005, 9-19.

Ali Taslimi, *Translatability of the "Man in the Panter's Skin" into Persian: Love, oქვე, 34-37.*

Abbas Khaefi, *Translatability of the "Knight in the Panter's Skin"*, იქვე, 45-48.

<sup>2</sup> გვახარია, დასახ. ნაშრომი, 43.

<sup>3</sup> Sota Rustaveli va Dorulfununi davlatiji Tiflis. – Baroji Adabijot Sotsialisti, 1936, №10. 1937. №9-10.

<sup>4</sup> დაწვრილებით ამის შესახებ იხ. რუსთველი მხოფლიო ლიტერატურაში, IV. (თბილისი, 1985), 46-48; 513-514.

„ვეფხისტყაოსნის“ ტაჯიკური პოეტური თარგმანის ნაწყვეტები გამოაქვეყნეს მ. თურსუნ-ზადემ, მ. ამინ-ზადემ, ა. დეპოთიმ, რ. ჯალილმა და ჯ. სუჰაილიმ. პრესაში დაიბეჭდა „ვეფხისტყაოსნის“ შინაარსი (1938 წ.). პოემის ტაჯიკური პოეტური თარგმანის ნაწყვეტები და მოკლე შინაარსი გამოქვეყნდა ცალკე წიგნის სახითაც.<sup>1</sup>

რუსთველის 800 წლის საიუბილეო დღესასწაულის მომზადებისა და ჩატარების პერიოდში გაჩაღდა მრვალმხრივი საქმიანობა, გამოქვეყნდა საიუბილეო პათოსით გაუდენთილი მრავალი წერილი.<sup>2</sup> კვლავ გაიშალა მთარგმნელობითი მუშაობა, გამოქვეყნდა „ვეფხისტყაოსნის“ ტაჯიკური პოეტური თარგმანის ნაწყვეტები და პოემის მოკლე შინაარსი.<sup>3</sup> ეს თარგმანები მკითხველმა საზოგადოებრიობამ დიდი ინტერესითა და კმაყოფილებით მიიღო.<sup>4</sup> რუსთველისადმი მიძღვნილი მრავალი წერილი გამოაქვეყნეს ტაჯიკმა მწერლებმა და მეცნიერებმა, ჩატარდა არაერთი ღონისძიება, რომელთა ორგანიზებაში აღსანიშნავია ქართველ მოღვაწეთა, განსაკუთრებით კი, ტაჯიკეთში მცხოვრები ქართველი მეცნიერის, ბატონ ჯემალ ცერცვაძის როლი.

წერილებში საუბარია XII-XIII საუკუნეთა საქართველოს პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ ძლიერებაზე, ქართული კულტურის მაღალ დონეზე, რუსთველის ბიოგრაფიის ცალკეულ საკითხებზე, „ვეფხისტყაოსნის“ ძირითად იდეებზე, პოემის მხატვრულ ღირსებებზე და სხვა. რუსთველი წარმოდგენილი და დახასიათებულია როგორც უდიდესი მოაზროვნე და სიტყვის ოსტატი, ხოლო „ვეფხისტყაოსანი“, როგორც XII საუკუნის საქართველოს კულტურის მწვერვალი; განსაკუთრებით მნიშვნელოვან მოვლენად არის მიჩნეული ის ფაქტი, რომ რუსთველმა ევროპულ რენესანსზე 200 წლით ადრე უმღერა ადამიანს, მის პიროვნულ ღირსებებს.

<sup>1</sup> Sota Rustaveli, *Pahlavoni pusti palangpus* (Tarcumaji M. Tursun-Zoda, Dehoti, R. Calil, Amin-Zoda, Suhajli), Stalinobod, 1938).

<sup>2</sup> «Маориф ва маданият», 11.06.1966; «Садои шарқ», 1966, №9. (138-142); «Точкистони Совети», 28.08.1966; «Комсомоли Точкистони», 28.08.1966, «Точкистони Совети», 25.09.1966 და სხვ.

<sup>3</sup> Шота Руставели, *Пахлавони пусты палангпуш* (Порчахо аз достон), Душанбе, 1966.

<sup>4</sup> იხ. *Асари Руставели ба забони Фирдавси*, «Точкистони Совети», 17.09. 1966, В. Пилинიკ, *Шота Руставели в Таджикистане*, «Комсомолец Таджикистана», 30.09.1966; «Витязь» на языке Фирдоуси, «Вечерний Тбилиси», 20.09.1966, №221 (4059); В. Кириллов, *На языке Рудаки и Фирдоуси*, «Коммунист Таджикистана», 25.09.1966; *На Таджикском и якутском языках*, «Заря Востока», 2.10.1966, №227 (12771); რუსთაველი ფირდოუსის ებაზე, „ახალგაზრდა კომუნისტი“, 17.11.1966. 136 (7894), „თბილისი“, 19.11.1966, 271 (4116). *Руставели на языке Фирдоуси*, «Заря Востока», 20.11.1966, №267 (1811) და სხვ.

„ვეფხისტყაოსნისადმი“ ინტერესი ტაჯიკეთში რუსთველის იუბილეს შემდეგაც გაგრძელდა. გამოჩენილი ტაჯიკი მთარგმნელი ა. ადჰამი აღნიშნავს, რომ მისი სურვილი იყო „უდიდესი პოეტის ფილოსოფიური ზრახვანი, ნათელი სახეები მთელი სიგრძე-სიგანითა და სილრმით შეეცნო, მკითხველისათვის სრულად ეგრძნობინებინა მისი სურნელი, ჯეროვნად ნარმოეჩინა პოემის იდეური სილრმე და მხატვრული ელვარება. მან თითქმის ათი წელი მოანდომა რუსთველის პოემის ტაჯიკურ ენაზე ამეტყველებას და 1979 წელს გამოაქვეყნა „ვეფხისტყაოსნის“ სრული პოეტური თარგმანი,<sup>1</sup> რომელსაც სამეცნიერო-ლიტერატურული საზოგადებრიობის დიდი ინტერესი და კმაყოფილება მოჰყვა.<sup>2</sup>

„ვეფხისტყაოსნი“, როგორც ლიტერატურული ძეგლი, ძალზე ახლობელი აღმოჩნდა ტაჯიკებისათვის. ტაჯიკი მკითხველი გულნრფელი აღტაცებით განადიდებდა გენიოს ქართველ პოეტს, რომელიც ახლოს იყო აღმოსავლურ კულტურასთან, იცნობდა სპარსულ-ტაჯიკურ ლიტერატურას.

- ოსმა მკითხველმა ქართული ენის მეშვეობით ადრევე გაიცნო რუსთველის პოემა, ხოლო გასული საუკუნის 30-იან წლებში, „ვეფხისტყაოსნის“ 750 წლისთავის საიუბილეო დღესასწაულისათვის მზადების პერიოდიში, ოსმა მწერლებმა მთარგმნელობითი მუშაობა წამოიწყეს. პოემის ნაწყვეტის პირველი თარგმანი ეკუთვნის ი. ხოზითის, რომელიც, როგორც ირკვევა, რუსთველს თარგმნიდა კ. ბალმონტისეული რუსული თარგმანიდან.<sup>3</sup> რუსულიდანვე თარგმნეს პოემის ცალკეული სტროფები და აფორიზმები თ. ხოზითიმ, ხ. ფლითიმ, გ. ყაიყოთიმ, ხ. არდასენთიმ, ი. კავკაზაგმნა და სხვებმა.<sup>4</sup>

1943 წელს „ვეფხისტყაოსნის“ სრული ოსური თარგმანი გამოაქვეყნა პოეტმა მ. შავლოხთიმ, რომელიც ემყარებოდა პ. სანაყოთის მიერ შესრულებულ პრკარედს.<sup>5</sup>

ამ თარგმანმა, რომლის პირველი გამოცემა ქართული გრაფიკით არის შესრულებული, თავის დროზე, გარკვეული როლი შეასრულა ოს მკითხველთა შორის „ვეფხისტყაოსნის“ პოპულარიზაციის საქმეში. პრესა გულთბილად შეხვდა თარგმანის გამოსვლას, იყო გამოხმაურებები, რომლებშიც აღინიშნებოდა თარგმანის ნაკლიცა და ლირსებაც.<sup>6</sup> იყო სერიოზული კრიტიკა.

<sup>1</sup> Шота Руставели, *Палангуш*. Аз гурчи тарчуман Аслам Адхам, Душанбе, 1979.

<sup>2</sup> იხ. რუსთველი მსოფლიო ლიტერატურაში, III, 56-57.

<sup>3</sup> იხ. "Max Dug", 1938, №1, 16-18; 19; 20-21.

<sup>4</sup> "Fidiuæg", 1938, №1, 30; 35; 37-45; 52; 68; 74.

<sup>5</sup> შოთა რუსთაველი, სთავ ცარმდარავ, პოემა ჩმძვეგ ბთავ გვვრძიავ ნეზაგავ და რათბომაცემდთა საკლოხთვ მუხტარ, სტალინირ, 1943. მეორედ გამოიცა 1960 წელს. Шота Руставели, Стайи цармдарег, Сталинир, 1960.

<sup>6</sup> იხ. Б. Борисов, Пoэма Руставели и сборник «Нарты» на осетинском языке, 3B, 23.IV, 1944, №82. ა. ბინიაშვილი, ვეფხისტყაოსნი "ოსურ ენაზე. ხმ, VI.

1944 წელს სოლომონ იორდანიშვილმა, ცნობილმა ქართვლმა ენათმეცნიერმა, რუსთველოლოგმა და მთარგმნელმა შეისწავლა „ვეფხისტყაოსანის“ ოსური თარგმანი და რეცენზია დაწერა მასზე. ს. იორდანიშვილი ძალზე მეაცრ შეფასებას აძლევს თარგმანს და სრულიად არადამაკმაყოფილებლად მიიჩნევს მ. შავლობთის მიერ გაწეულ შრომას. ეს რეცენზია თავის დროზე არ გამოქვეყნებულა და ინახებოდა ს. იორდანიშვილის არქივში. მისი შემოკლებული ვარიანტი ლალი იორდანიშვილის წინასიტყვაობითა და კომენტარებით პირველად დაიბეჭდა 2000 წელს.<sup>1</sup>

მოგვიანებით, „ვეფხისტყაოსანი“ უშუალოდ ქართული ენიდან თარგმანა ოსმა პოეტმა, ქართული ენისა და ლიტერატურის შესანიშნავმა მცოდნემ, გიორგი ბესთაუთიმ. გიორგი ბესთაუთისეული თარგმანის პირველი ნაწყვეტები გამოქვეყნდა 1966 წელს<sup>2</sup>, ხოლო 1975 წელს მკითხველმა მიიღო პოემის სრული პოეტური თარგმანი,<sup>3</sup> რომელმაც საყოველთაო მონობება დაიმსახურა. თარგმანმა მაშინვე მიიპყრო სამეცნიერო-ლიტერატურული საზოგადოებრიობის ყურადღება.<sup>4</sup> იგი მიჩნეულ იქნა მთარგმნლის დიდ გამარჯვებად და მას ივანე მაჩაბლის სახელობის პრემია მიენიჭა 1978 წელს.

• 2007 წელს რუსთველის პოემას მშობლიურ ენაზე გაეცნო ირანულენოვანი სამყაროს კიდევ ერთი მკითხველი საზოგადოება – „ვეფხისტყაოსანი“ გამოქვეყნდა მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს ენაზე – ქურთულზე.<sup>5</sup> წიგნი გამოცემულია მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე. წამდლვარეული აქვს რედაქტორის ბ-ნი ქარიმ ანუსის შესავალი წერი-

1944. 113. მეორე გამოცემა – „ვეფხისტყაოსანი“ ოსურად, ხო, 18. XI. 1960. 228; ი. თედაბეშვილი, ხეთაგუროვს ენაზე, „კომუნისტი“, 2. IX. 1960, 200.

<sup>1</sup> იხ. სოლომონ იორდანიშვილი, რეცენზია: მუხტარ შავლობოვისეულ „ვეფხისტყაოსანის“ ოსურ თარგმანზე“. შოთა რუსთაველი, სამეცნიერო შრომების კრებული, I (თბილისი, 2000), 329-339

<sup>2</sup> იხ. «Фидиуэт», 1966, №3, 3-4; №5, 29-31; №7, 23-27, №8, 20-21; №9, 7-10

<sup>3</sup> Шота Руставели, *Стайи Цармадарег, Телмацгаснамет*, Г. Бестауты, Цхинвал, 1975. მეორე გამოცემა 1986 წელს.

<sup>4</sup> იხ. ა. ჟაჟიევი, „ვეფხისტყაოსანი“ ახალი თარგმანი ოსურ ენაზე, „თბილისი“, 6.1.1970, 3; ლიტერატურული საქართველო, 30.01. 1970. 5. „ვეფხისტყაოსანი“ ოსურად, „სამშობლო“, 13.02.1970, 3; С. Чиаева, Поззия сердца и времени, 3В, 4.1.1973, 3; „ვეფხისტყაოსანი“ ოსურ ენაზე, „კომუნისტი“, 24.IV.1976, 95; ლხ, 25.IV.1976, 17; გაფეზი, დიდი სიყვარულით, ოსტატობით, ხო, 22, V. 1976, 6. ჯუსოითი, ფასდაუდებელი საჩუქარი, იქვე; თ. ჯანგულაშვილი, მან თარგმნა ვეფხისტყაოსანი, ხს, 23.VIII, 1978, 16. მ. ლაფერაძე, „ვეფხისტყაოსანი“ ირსთონის ენაზე, ახ. 16. (1979), 16; ა. ცოტნიაშვილი, „ვეფხისტყაოსანი“ ნართების ენაზე აუდერდა. ხს, 22.IV.1981, 8 და სხვ.

<sup>5</sup> შოთა R'ust'avêlî, Wergirê p'ostê piling, Mala Qavkasiye”, T'ibîlisî, 2007.

ლი ქურთულ, ქართულ და ინგლისურ ენებზე<sup>1</sup> და მთარგმნელის წინათქმა ქურთულ ენაზე.<sup>2</sup>

შესავალ წერილში რედაქტორი საუბრობს საქართველოს შესახებ, მისი ისტორიისა და მეზობელ ხალხებთან ურთიერთობის შესახებ; ტრადიციების, ენის, კულტურის შესახებ და სხვა. აღნიშნავს რუსთველის როლსა და მნიშვნელობას ქართულ და მსოფლიო პოეზიაში.

„ქურთი მკითხველი საზოგადოება, განსაკუთრებით კი კავკასიის რეგიონში მცხოვრები ქურთები, დიდი ხანია მოუთმენლად ელოდებოდნენ „ვეფხისტყაოსნის“ ქურთულ ენაზე თარგმნას და გამოცემას. დღეს ამ ოცნებისა და სურვილის განხორციელება შესაძლებელი გახდა,“ – წერს ქ. ანყოსი.<sup>3</sup> პოემა ქურთულ ენაზე თარგმნა ჯარდოვ ასადმა.

ჯარდოვ ასადი (არტო ოზმანიანი) ცხოვრობდა და მოღვაწეობდა თბილისში (1929-1993 წწ.) იყო საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი. მას იცნობდნენ, როგორც მშობლიური ქურთული ენის, ლიტერატურის, ფოლკლორისა და ხალხური ტრადიციების კარგ მცოდნეს, ნიჭიერ პოეტსა და გამოცდილ მთარგმნელს.

ყოველივე ამან განაპირობა, რომ მას ეთავა ისეთი საპასუხისმგებლო საქმის წამოწყება, როგორიც არის რუსთველის პოემის თარგმნა. „ვეფხისტყაოსნის“ ქურთულ ენაზე სრული თარგმანის შესრულებას ქ. ასადმა 25 წელი მოანდომა. სამწუხაროდ, წიგნის გამოცემას ვეღარ მოესწრო.

ჯარდოვ ასადი თავისი თარგმანის წინათქმაში მადლიერებით მოიხსენიებს იმ ქართველ რუსთველოლოგებსა და პოეტებს, რომელნიც სათანადო კონსულტაციებს უწევდნენ და ეხმარებოდნენ მუშაობის პროცესში. პოემის თარგმნისას, როგორც თავად აღნიშნავს, გარდა ქართული დედნისა, იყენებდა სომხურ და რუსულ თარგმანებსაც.

ჯარდოვ ასადის მიერ „ვეფხისტყაოსნი“ თარგმნილია ქურთული ენის „კურმანჯის“ დიალექტზე, რომელზედაც ლაპარაკობს მრავალმილიონიანი ქურთი ხალხის უმრავლესობა, რომელზეც შექმნილია ქურთული კლასიკური პოეზია და თანამედროვე ლიტერატურის დიდი ნანილი.

თარგმანის შეფასებისას ქარიმ ანყოსი წერს:

„...ჯარდოვ ასადს არ დაუკლია მცდელობა, რათა მაქსიმალურად ახლოს ყოფილიყო ქართული პოემის შინაარსთან... ქართული დედნის მსგავსად, ჯარდოვ ასადს პოემა თარგმნილი აქვს თექვსმეტმარცვლიანი შაირი, რომელიც არც ქურთული კლასიკური და ხალხური საგმირო და სამიჯნურო პოეზისთვისაა უცხო, – და იქვე შენიშნავს: რასაკ-

<sup>1</sup> იხ. ქარიმ ანყოსი, რამდენიმე სიტყვა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ და მისი ქურთულ ენაზე მთარგმნელის შესახებ. იქვე, 5-9; 10-15; 16-20.

<sup>2</sup> იქვე, 21.

<sup>3</sup> იქვე, 13.

ვირველია, თარგმანში ამ მხრივ გამონაკლისებიც გვხვდება, რაც სრულიად დასაშვებია პოეტურად რთული და დიდი მოცულობის ისეთი ნაწარმოების თარგმნის დროს, როგორსაც ნაწარმოადგენს შოთა რუსთაველის პოემა ... მთარგმნელს გამოყენებული აქვს ქურთული ლექსისათვის დამახასიათებელი მდიდარი მხატვრული ფორმები. მთარგმნელი უხვად იყენებს რაინდულ და სამიჯნურო ცხოვრებასთან დაკავშირებულ ქურთულ ტერმინებს... თარგმანი იკითხება როგორც ქურთული პოეზიის საუკეთესო ნიმუში, – დასძენს ქ. ანყოსი, თუმცა იქვე შენიშნავს, რომ ეს გენიალური პოემის ქურთულად თარგმნის პირველი ცდაა და, ცხადია, უნაკლო ვერ იქნებაო.<sup>1</sup>

წიგნის რედაქტორი, ბ-ნი ქარიმ ანყოსი თავს მოვალედ თვლის, დიდი მადლიერების გრძნობით, აღნიშნოს ცნობილი ქართველი მწერლის, მთარგმნელისა და საზოგადო მოღვაწის, კულტურულ ურთიერთობათა ცენტრ „კავკასური სახლის“ დირექტორის, ქალბატონ ნაირა გელაშვილის დიდი დამსახურება ამ, ოციოდე წლით ადრე მომზადებული და ვერგამოცემული, წიგნის გამოქვეყნების საქმეში.

აქვე ორიოდე სიტყვა თავად ბატონ ქარიმ ანყოსზე, – მას, როგორც რედაქტორს, მრავალი პრობლემის გადალახვა მოუხდა ქურთულ ენაზე თარგმნილი „ვეფხისტყაოსნის“ თანამედროვე სახით გამოცემისთვის. ეს ეხება, როგორც საბჭოეთში მიღებული რუსული ანბანის ჩანაცვლებას ქურთულისათვის საყოველთაოდ მიღებული ლათინური ანბანით, ისე სხვა – ტექსტობრივი, გრამატიკული თუ ფონეტიკური ხასიათის ახალ მოთხოვნათა გათვალისწინებას. თარგმანს, დამატების სახით, დართული აქვს რედაქტორის მიერ შედგენილი ლექსიკონი იმ ზოგიერთი ტერმინის, საკუთარი და გეოგრაფიული სახელის განმარტებისათვის, რომლებიც გვხვდება პოემაში.

„ვეფხისტყაოსნის“ ქურთული თარგმანი უდაოდ ძვირფასი შენაძენია მკითხველისათვის. მსოფლიოს მრავალ ენაზე არსებულ თარგმანებს შორის ჯარდოე ასადის თარგმანმა უკვე დაიკავა სათანადო ადგილი.

- ამრიგად, დღეისათვის „ვეფხისტყაოსნი“ გადათარგმნილია მსოფლიოს მრგვალ ენაზე, მათ შორის, რამდენიმე ირანულ (სპარსულ, ტაჯიკურ, ოსურ, ქურთულ) ენაზეც. გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან მოყოლებული, გვაქვს ე.წ. გარდათქმა-გადათხრობის ცდანი; გვაქვს ნაწილობრივი და სრული თარგმანება, პოეტური და პროზაული ვერსიები. ისტერესი „ვეფხისტყაოსნის“ მიმართ იზრდება. როგორც მკითხველთა, ისე მკვლევართა მხრიდან. ფასდაუდებელია ქართველ მეცნიერ-ირანისტთა ღვანლი და დამსახურება აღმოსავლური რეალიებისა თუ ტერმინოლოგიის გარკვევისა და დაფენის საქმეში; პოემის შესწავლის, დამუშავებისა და გამოცემის საქმეში.

<sup>1</sup> იქვე, 14.

## „ვეფხისტყაოსნის“ ირანულენოვანი გამოცემები სპარსულ ენაზე



### ტაჯიკურ ენაზე



**შოთა რუსთაველი.** ნაწყვეტები ვეფხისტყაოსნიდან: / თარგმ. მორთეზა ფათემისა; რედაქცია და ნინასიტყვაობა ჯემშიდ გიუნაშვილისა; მხატვ. გ. ნადირაძე. – თბილისი: მეცნიერება, 1966. – 216 გვ.; 29 სმ., ტირაჟი 500 ც. პარალელური ტექსტი ქართულ ენაზე.

**ვეფხისტყაოსნი:** შოთა რუსთაველის შედევრი /გამოკვლევა და თარგმანი ფარშიდ დელშადისა; [იღ.: ს. ქობულაძის; ნინასიტყვ. ავტ. ჯემშიდ გიუნაშვილი. – თეირანი, 1998. – 316 გვ.

**შოთა რუსთაველი.** ვეფხისტყაოსანი/ ქართულიდან სპარსულად თარგმნილი ღ-რ მოპამმად-ქაზემ იუსეფ-ფურის მიერ მაგალი თოდუას რედაქციით. იღ.: XVII ს. უცნობი მხატვრის. – რაშთი, 2000. 247 გვ. – 23 სმ.

**Sota Rustaveli. Pahlavoni pusti palangpus / Tarçumaji: M. Tursun-Zoda, A. Dehoti, R. Calil, M. Amin-Zoda, Suhajli. – Stalinobod: Nasrijot davlatili Toçikiston, 1938. – 36 გვ., 20 სმ., ტირაჟი 4 000 ც.**

**Шота Руставели. Пахлавони пусты палангпуш / Тарч. А. Аслам, Ш. Нодир, Ш. Мастон, М. Турсунзода, А. Дехоти, Р. Чалил. М. Аминзода, Ч. Сухайли. – Душанбе: Ирфон, 1966. – 148 გვ., 17 სმ. ტირაჟი 5000 ც. იღ.: ლ. არზუმანოვის.**

**Шота Руставели. Палангнапуш / Аз турчи тарчумай Аслам Адхам; Рассом И. Ганиев. – Душанбе: Ирфон, 1979. – 264 გვ.; 22 სმ. ტირაჟი 5000 ც.**

## ოსურ ენაზე

შოთა რუსთაველი. სთაგ ცარმდარნგ, პოემა ჯმდვერთნებ გვერძიაგ წეზაგად და რათქმდაც-ქოდთა საკლოხთვ მუხტარ. – სტალინირ: ხუსასარ ირგსონგ ფაფცახახადონ რააღდად, 1943. – 369 გვ., 25 სმ. ტირუჟი 1500 ც.




Шота Руставели. Стайы цармдарæг / Гуырдзиаг ავзагæй იæ რათæლмац კითა M. Саулохты; Илл. М. Зичийы. – Сталинри: Хуссар Ирыстони паддаз-ხадон ရაუგაძა, 1960. – 308 გვ. 27 სმ. ტირუჟი 1500 ც. ტექსტის შემდეგ მცირე ლექსიკონი. ოლ.: მ. ზიჩის.

Стайы цармдарæг/Тæлмацгæнæг Г. Бестаут; Ил.: М. Зичийы. – Цхинвал: Ирыстон, 1975. – 282 გვ.; 30 სმ. ტირუჟი 2000 ც. პარალელური თავფურ-ცელი ქართულ ენაზე. რუსთაველის პორტრეტით. მხატვრული გაფორმება ა. ვანიევის. ტექსტის ნინ «Тæлмацгæнæгай», ტექსტის შემდეგ: მცირე ლექსიკონი. ოლ.: მ. ზიჩის.

Шота Руставели. Стайы цармдарæг/Тæлмацгæнæг Г. Бестауты. Илл. С. Кобуладзе.- მეორე გამოცემა. – Цхинвал: Ирыстон, 1986. – 282 გვ.; 27 სმ. ტირუჟი 5 000 ც. პარალელური თავფურ-ცელი ქართულ ენაზე; მხატვრ. გაფორმება ა. ვანიევის. ტექსტის ნინ «Тæлмацгæнæгай», ტექსტის შემდეგ მცირე ლექსიკონი.

## ქურთულ ენაზე



Sot'a R'ust'aveli Wergire p'oste piling = ვეგინის-ტყაოსანი/Xudana piroje Nayira Gelasvili; Bi k'urdi t'ereme kir Cerdöe Esed; Berpirsiyar (red.) K'ereme Anqosi; Neqs'kar Kote Sulaberize; Forew. by K'ereme Anqosil. –Tbilisi: Mala Qavkasiye, 2007. – 300 p.; 30 cm. – Forew. in Kur. Georg. Engl. რედაქტორის ნინასიტყვაობა ქურთულ, ქართულ და ინგლი-სურ ენებზე.

<sup>1</sup> იხ. ლევან თაქთაქიშვილი, მამუკა ჩხეიძე, „ვეფხისტყაოსნის“ გამოცემათა ბიბლიოგრაფია 1712-2015 (თბილისი, 2016); აქვე – ულრემეს მადლობას მოვახსენებ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის იშვიათ გამოცემათა განყოფილების უფროსს, ქალბატონ დალი მაჩაიძეს და განყოფილების თანამ-შრომელს, ქალბატონ ლიზა ცავას, რომელთა ხელშეწყობითაც უშუალო შეხება მქონდა განყოფილებაში დაცულ გამოცემებთან; განსაკუთრებული მადლობა ქალბატონ ლოლა სანაიას, რომლის ძალისხმევითაც მოგვენდა საილუს-ტრაციო მასალის ელექტრონული ვერსია.

„Vepkhistqaosani“ has been translated into numerous languages. Currently it is listed among poetic works of worldwide importance. Yet, the translation of “Vepkhistqaosani“ has a relatively short history, like the translation of other Georgian literary works – non-Georgian readers learned about this immortal masterpiece of XII century Georgian poet Shota Rustaveli only two centuries ago.

- Rustaveli was first mentioned in Europe in the beginning of the XIX century. The Asian readers became familiar with the great poem only in the 30s of the XX century.

Iran was the first oriental country to study Rustaveli and his poem. The initiative came from Yuri Marr, Vladimer Puturidze, Said Naficy and Hamzeh Sardadvar.

In the beginning of the 30s of the past century Iranian periodicals published materials concerning „Vepkhistqaosani“. Iranian scholars mentioned „The Greatest Georgian Poet“ and „The Masterpiece of Georgian Poetry“ with great respect. However, they underlined the Iranian influence on the poem and slightly exaggerated the role and importance of Iranian culture in the creation of „Vepkhistqaosani“. They stress the issue of the source of the subject line (a tale from Persia). In this connection, mention should be made of the attempt of Iranian literary critic Hamza Sardadvar to involve the public in the search of the literary source of „Vepkhistqaosani“. In the second issue of Tehran journal „Armaghan“, 1934, he published an article called „Vepkhistqaosani“ attached with short contents of the poem. He also addressed the society with a request to inform the editorial if they had read or heard of something similar.

No one replied to the request either at that time or ever after...

- Numerous issues regarding „Vepkhistqaosani“ are still debated and discussed by scholars. One of the major problems is related to the translation of the poem, as many unstudied issues are acutely revealed in the process of translation.

The translation of „Vepkhistqaosani“ into oriental languages, namely, into Persian, is considered a specially vulnerable issue that must be treated with great care. General oriental context, the close links between Georgian and oriental literatures, the seeming similarity of the language tissues and the subjective attitudes to the issue might mislead the translator as well as the reader.

- The first attempt of Persian translation of „Vepkhistqaosani“ was made in the 30s of the past century.

As it was mentioned, in the second issue of „Armaghan“ journal, published in 1934, Iranian writer and scholar H. Sardadvar published an article called „Vepkhistqaosani“. The article was attached with 40 pages of contents of the poem.

According to Sardadvar, the poetic merits and rhetorical figures of the poem, which caused Rustaveli's glory and immortality, are lost in the short contents published in the journal.

In 1935 Georgian scholar, specialist in Iranian literature, Vladimer Puturidze, published an abridged prosaic version of the first chapter of „Vepkhistqaosani”. The authors of this version were Yuri Marr and Shervin Bavendi. This was the first attempt of translation of „Vepkhistqaosani”. The main aim of the translators was to focus on the contents rather than the artistic merits of the poem.

- In 1966, within the framework of the 800<sup>th</sup> anniversary of Rustaveli, „Metsniereba” publishing-house issued a book – Shota Rustaveli, fragments from „Vepkhistqaosani” (in Persian). This is in fact the first published poetic translation of Rustaveli's poem in Persian. The translator is Morteza Fathemi, Iranian emigrant, scholar of the Institute of Oriental Studies of Georgian Academy of Sciences. The book includes a poetic translation of several chapters (97 verses) and prosaic translation of more than a hundred sentence-aphorisms.

The book is a lithographic edition. Parallel to the Persian text, Georgian original is given. The metric rhyme is complete Hazaj (four short and twelve long syllables).

The edition has a preface of the editor – prof. Jemshid Giunashvili, who speaks about Rustaveli's epoch – the cultural environment and literary life; J. Giunashvili tells the contents of „Vepkhistqaosani”, discusses scholarly literature related to the poem and analyzes the opinions of various authors.

The press actively and positively reacted to this fact. Prof. David Kobidze and prof. Magali Todua wrote articles about Fathemi's translation. In general, the society was very content with the Persian translation of Rustaveli's masterpiece and the scrupulous and careful attitude of the translator to the text of the poem. The merits and shortcomings of the translation were discussed in different articles.

- Special mention should be made of the publication of the Persian prosaic version of the complete text of „Vepkhistqaosani” by Farshid Delshad. The text was published in Tehran in 1998. The doctoral student of the Department of Philology of Allameh Tabatabai University - Farshid Delshad - wrote a PhD thesis called „Vepkhistqaosani” – the Masterpiece of Shota Rustaveli”. The thesis was attached with the translation of the complete text of the poem as well as comments. This thesis formed basis for the above-mentioned book. It should be underlined that J. Giunashvili, who was Georgain Ambassador in Iran at that time, made great efforts to support the publication of the book.

Farshid Delshad's research includes the analysis of works by Georgian and foreign scholars. The translation of the poem is based on English, Arabic, Tajik and Russian versions of „Vepkhistqaosani”.

Farshid Delshad's translation is divided into segments, based on the original division of the poem. The language of the translation is that of the classical Persian

prose; the style is strikingly refined and the vocabulary is rich. However, due to the Puritan inclinations of the translator, the text abounds in archaisms to a certain extent.

The translation gained popularity both in our country and elsewhere. According to reviewers, this was the first important step in the given field.

- In 2000 prosaic translation of „Vepkhistqaosani“ by Dr. Mohammad Kazem Yusoof-Pur was published in Rasht.

This translation is based on the word-for-word translation provided by Prof. Magali Todua, Venera Urushadze's English translation, Arabic version by Chikovani-Khalili and Persian translation by Farshid Delshad.

Professor of Guilan University – Yussoof-Pur was well aware of the translations of „Vepkhistqaosani“ and intended to make a poetic version of the translation. Finally, he requested Academician Magali Todua to assist him. Thus, their longstanding and fruitful cooperation started. Magali Todua made a word-for-word translation, collected materials for the comments and, after a thorough discussion of the matter, persuaded Dr. Yussoof-Pur to change his mind about the poetic version of the translation of „Vepkhistqaosani“... Based on the widespread practices and methods of prosaic translation of poetic works, Dr. Yussoof-Pur made a wonderful translation. This work represents a continuous narrative, written in refined contemporary literary Persian. The language is simple and easy to understand.

The translation caused significant feedback and was highly evaluated. The translator was awarded the Georgian State Prize.

The above-mentioned two versions of the Persian translation of the poem were issued twice in two years. Naturally, the two versions are different, and the reader can perceive the great poem from different viewpoints.

- „Vepkhistqaosani“ has been translated into other Iranian languages, namely, Tajik, Ossetic and Kurdish.

The Tajik press made mention of Rustaveli based on articles by David Kobidze (1936) and Alexandre Baramidze (1937).

Within the framework of the 750<sup>th</sup> anniversary of Rustaveli, numerous articles were published in Tajik language, dedicated to the great poem and its worldwide importance. Fragments of the poetic translation of the poem into Tajik were published, the short contents of „Vepkhistqaosani“ were published in the media (1938), fragments of the Tajik poetic version and the short contents were issued in the form of a separate book.

Within the framework of the 800<sup>th</sup> anniversary of Rustaveli, numerous articles, letters and scholarly works were published focusing on the main ideas of the poem, its artistic merits, its relation to Renaissance and so on. Later, in 1979, a complete poetic version of „Vepkhistqaosani“, translated into Tajik by A. Adham, was published, to the great interest and satisfaction of the society at large.

- The Ossetian reader initially became familiar with „Vepkhistqaosani“ via the Georgian language. In the 30s of the past century, within the framework of the

750<sup>th</sup> anniversary of the great poem, Ossetian writers started to work on the translation of „Vepkhistqaosani”. Some fragments of translations were published in newspapers and magazines. Certain verses and aphorisms of the poem were translated.

In 1943 a complete translation of „Vepkhistqaosani” into Ossetic was made by M. Shavlokhti, based on the word-for-word translation by P. Sanaqoti. M. Shavlokhti's translation promoted the poem among the Ossetian readers. There was significant feedback, making mention of the merits and shortcomings of the translation.

Later, „Vepkhistqaosani” was translated directly from the Georgian original. The author of the translation was Ossetian poet Giorgi Bestauri who was well aware of Georgian language and literature. After long, strenuous work, G. Bestauri made a brilliant translation which was highly evaluated by reviewers. The first fragments of Bestauri's translation were published in 1966. The complete version of the poetic translation was published in 1975. The reader was delighted with the translation, and the translator was awarded Ivane Machabeli prize in 1978.

- In 2007 “Vepkhistqaosani” was translated into one of the most ancient Iranian languages – Kurdish. The publication is of high quality. The preface of the editor – Karim Anqos – is given in Kurdish, Georgian and English languages and focuses on Rustaveli's epoch, cultural life, Georgia's relations with the neighbouring states etc.

„Vepkhistqaosani” was translated into Kurdish by a famous poet and translator Jardoe Asad, who lived and worked in Tbilisi and spoke fluent Georgian. He was well-known in the Kurdish society, as a specialist in Kurdish language, literature, folklore and native traditions. „Due to his broad knowledge and strenuous efforts of 25 years, Jardoe Asad made a high quality translation, rich in stylistic devices of the Kurdish language and the terms related to chivalry and romance”, - writes the editor K. Anqos in the preface of the book.

The translation is highly evaluated by specialists and it is considered as one of the best translations of “Vepkhistqaosani”.

- Thus, „Vepkhistqaosani” has been translated into numerous languages, including several Iranic languages – Persian, Tajik, Ossetic and Kurdish.

Beginning from the 30s of the XX century, attempts have been made in order to narrate Rustaveli's poem either completely or partially, in prose or in poetry.

The interest of the readers and scholars towards „Vepkhistqaosani” is still increasing. Special mention should be made of the contribution of Georgian specialists in Iranian literature to the study, translation and publication of the great poem.

## ნანა ფურცელაძე

რუსთველის ზოგიერთი აფორიზმის პარალელებისათვის არაბულ პოეზიაში

შუა საუკუნეების სპარსული ლიტერატურის მკვლევარებს არაერთხელ დაუფიქსირებიათ რუსთაველის ზოგიერთი გამონათქვამის პარალელები სპარსულ ლიტერატურასა<sup>1</sup> თუ სპარსულ პარემიოლოგიაში.<sup>2</sup> შუა საუკუნეების არაბულ ტექსტებზე მუშაობისას წავაწყდით რიგ სენტინციას, ბრძნულ გამონათქვამს (ე.ნ. ჰ. ი. იუბას არაბულად), რომელიც გარკვეულ სემანტიკურ სიახლოვეს ამჟღავნებს რუსთაველის ზოგიერთ აფორიზმთან. შევეცდებით, გავაანალიზოთ ეს აფორიზმები და გავხაზოთ მსგავსება თუ განსხვავება მათ შორის. შევეცდებით, ავსნათ ეს ყოველივე.

შუა საუკუნეების არაბულ პოეზიას, როგორც ცნობილია, ახასიათებს გამომსახველ ხერხთა ერთგვარად მუდმივი, მყარი რეპერტუარი ისევე, როგორც ამ ეპოქის სხვა ლიტერატურებსაც. ეს ეხება არა მხოლოდ ნაწარმოებთა სიუჟეტებსა და მათ კომპოზიციას, არამედ პოეტურ ხატებს, პოეტურ ლექსიკას, კლიშეებს, რომელსაც ფლობს ავტორი და გასაგებია და ნაცნობი მისი აუდიტორიისთვის –ტოპოსები, ანდაზები, არაკები, აფორიზმები, ბრძნული გამონათქვამები (ე.ნ. ჰ. ი. იუბა არაბულად).

ამჯერად ჩვენი ყურადღება მიიპყრო რუსთაველის რამდენიმე აფორიზმა – მათ შორის აფორიზმა: „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი.“ ეს აფორიზმი რუსთაველთან გეხვდება სხვა სტროფშიც სხვა ვარიანტით – „თავს უთხრა: გიჯობს მოკვდეო სიცოცხლეს აუგიანსა.“ ე.ი. შინაარსი ამ აფორიზმებისა არის ერთი, ხოლო შინაარსის გამოხატულება, ფორმა – სხვადასხვა. ეს გარემოება, როგორც ჩანს, განპირობებულია ამ სტროფების სხვადასხვა რითმით. პირველ შემთხვევაში რითმაა „ოვანი“.

„ვერ დაიჭირავს სიკვდილსა გზა ვიწრო, ვერცა კლდოვანი;

მისგან ყოველი გასწორდეს სუსტი და ძალგულოვანი;

ბოლოს შეყარნეს მიწამან ერთგან მოყმე და მხცოვანი,

სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა სიკვდილი სახელოვანი.“<sup>3</sup>

<sup>1</sup> ილია აბულაძე, რუსთველოლოგიური ნაშრომები (თბილისი, 1967)

<sup>2</sup> თეა შურლაია, სპარსული პარემიოლოგრაფია და სპარსული ანდაზის აზრობრივი სტრუქტურა, სადისერტაციო ნაშრომი (თბილისი, 2003)

<sup>3</sup> შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (თბილისი, 1966), 185.

მეორე შემთხვევაში რითმაა „იანსა“:

„თავს უთხრა: მოჰკვდე გიჯობსო სიცოცხლეს აუგიანსა,  
მიხვალ, დაგხვდების თინათინ, — ანათებს დღესა მზიანსა.“<sup>1</sup> და  
სხვ.

ეს აფორიზმი სპარსულ ფოლკლორშიც არის დაფიქსირებული:  
„კეთილი სახელით სიკვდილი სჯობს სირცხვილიან სიცოცხლეს“<sup>2</sup>.

არსებობს არაბული გადმოცემები ისლამამდელი არაბების, ძირი-  
თადად ბედუინების ომებისა, ცალკეული ბრძოლებისა თუ შეტაკებების  
შესახებ. ეს გადმოცემები ჩაწერილია ისლამის შემდეგ ჩვ.წ.აღ.-ით VIII-  
IX საუკუნეებში სხვადასხვა არაბ ფილოლოგთა ანთოლოგიებში.  
შემდეგ ეს გადმოცემები შეკრიბეს და გააერთიანეს სახელით აერტუ ლ-  
არაბი, სიტყვა-სიტყვით „არაბთა დღეები“. „არაბთა დღეები“ ამ გად-  
მოცემებს ენოდა ამა თუ იმ დღისა და ხშირად ადგილის მიხედვით, სა-  
დაც მომხდარა ესა თუ ის ბრძოლა. ეს არის პროზაული ტექსტი, რო-  
მელშიც ჩართულია სხვადასხვა ლექსი თუ ლექსის ნაწყვეტი. საბოლოო  
რედაქცია ამ კრებულისა ეკუთვნის სავარაუდო X საუკუნეს. ამ  
კრებულის ერთ-ერთ მაგმები ანუ „ბრძოლის დღეში“ ჩართული ლექსის  
ერთ-ერთ ბეითში ვკითხულობთ შემდეგს:

أجمل من حياة الذل موت وبعض العاري لا يمحو ماح<sup>3</sup>

„ნაზრახ (სამარცხვინო) სიცოცხლეს სჯობს სიკვდილი  
და ზოგიერთ სირცხვილს ვერავინ ნაშლის.“

ამ გამონათქვამის ძირითადი აზრი ემთხვევა რუსთაველის ზემო-  
ალნიშნულ აფორიზმს. ანუ შინაარსი ერთია და გამოხატულება – გან-  
სხვავებული.

შემდეგი აფორიზმი ამავე სტროფში: „მისგან (=სიკვდილისგან)  
ყოველი გასწორდეს, სუსტი და ძალგულოვანი“ ნიზარ ხალილის თა-  
ნამედროვე არაბულ თარგმანში (ტექსტი თარგმნილია ფრანგულიდან)  
თარგმნილია, როგორც სიდიوق ანსა მოთა ფია კან აუ სუსტი კან აუ სუსტი<sup>4</sup>“

აქ უნდა იყოს აღმოსავლურ ლიტერატურაში გავრცელებული  
ტოპოსი – „სიკვდილი ყველას ათანაბრებს და საფლავში აღარ ჩანს, ვინ  
იყო მეფე, ვინ მონა, გმირი თუ მხდალი, ღარიბი თუ მდიდარი. იქ ყველა  
მტვრად და ნაცრად, თიხად გადაქცეულა და ყველა თანასწორია“. ეს

<sup>1</sup> შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი (თბილისი, 1966), 49.

<sup>2</sup> თეა შურლაია, სპარსული პარემიოვრაფია და სპარსული ანდაზის  
აზრობრივი სტრუქტურა, 124.

<sup>3</sup> أيام العرب في الجاهلية، دار إحياء التراث، بيروت، 148

<sup>4</sup> شوتا روستافيلي، الفارس في إهاب النمر، الهيئة المصرية العامة للكتاب، 2016، 208.

მოტივი გვხვდება ჯერ კიდევ ძველ შუმერულ მწერლობაში. მოგვაქვს ზურაბ კიკნაძის თარგმანი:

„არ ქმნა ბატონო ჩემო სიკეთე. შედექ ძველ ბორცვზე, გაიარე.  
იხილე ბორცვები ჩინებულთა და უჩინოთა.“

და კითხულობს:

„ვინ უკეთურია, ვინ ქველმოქმედი?“<sup>1</sup>

ანუ სიკვდილმა ისინი გაათანასწორა, გაათანაბრა და საფლავში ვეღარ გაარჩევ ერთს მეორისაგან.

ერთ-ერთ არაბულ ლექსში (აბუ-ლ-ათაჰია, IX ს.) ნათქვამია: „სიკვდილი მდაბალს დიდებულთან გააერთიანებს და კაცთა შორის დიდებასაც არვის შეარჩენს.<sup>2</sup> იგივე მოტივია იოანე დამასკელის ლექსში (ქართული თარგმანი მიენ്റერება ეფრემ მცირეს), „დასდებულნი მიცვალებულსა ზედა“: „ვიხილე ძვალნი განშიშვლებულნი და ვთქუ: ვინმე არს მეფე ანუ მხედარი, მდიდარი ანუ გლახაკი, მართალი ანუ ცოდვილი.<sup>3</sup> ანუ სიკვდილმა ყველა გაათანაბრა და ასეთია ამ მოტივის გავრცელების დიაპაზონი – სხვადასხვა ფორმით, სხვადასხვა ვარიაციითა და უცვლელი შინაარსით.

რუსთაველის ასევე ერთ-ერთი აფორიზმია „შიში ვერ იხნის სიკვდილსა.<sup>4</sup> VI ს. არაბი პოეტის ზუპაირის მუალაკაში ის წარმოდგენილია როგორც:

وَمِنْ هَابُ أَسْبَابُ الْمَنِيَا يَنْلَهُ وَانْ يَرْقَى السَّمَاءَ بِالسَّلْمِ

„შიში ვერ იხსნის მას, სიკვდილი ვისაც აშინებს  
და მიენევა თუნდ ზეცაში კიბით ავიდეს.“<sup>5</sup>

ამ შემთხვევაში დაფიქსირებულია არა მხოლოდ არაბული ანდაზა „შიში ვერ იხსნის სიკვდილსა“, არამედ ტრანსფორმირებული სპარსული ანდაზაც: „ცაში კიბით ვერ ახვალ“<sup>6</sup> ანუ კიდეც რომ ახვიდე, სიკვდილს მაინც ვერ გადაურჩები.

<sup>1</sup> ძველი შუამდინარული პოეზია, ზურაბ კიკნაძის თარგმანი შუმერულიდან და აქადურიდან (თბილისი 2009), 73.

<sup>2</sup> أبو العناية، أشعاره وأخباره، دمشق، د.ت.، 33.

<sup>3</sup> იოანე დამასკელი, დასდებულნი მიცვალებულსა ზედა, დაცულია ხელნაწერთა ინსტიტუტში, 162, 92-101.

<sup>4</sup> რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, 323.

<sup>5</sup> მუალაკები, არაბულიდან თარგმნა ნანა ფურცელაძემ (თბილისი, 1985), 52.

<sup>6</sup> თეა შურლაია, სპარსული პარემიოგრაფია და სპარსული ანდაზის აზრობრივი სტრუქტურა, 105.

შემდეგი აფორიზმია: „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მო-  
სახევეჭელსა“<sup>1</sup>. ამ აფორიზმის პარალელს ვპოულობთ VI ს. არაბი პოე-  
ტის ამრ იბნ ქულსუმის მუალაკაში:

ورثت مهلها والخير منه زهيرا انعم ذخر الذاخرين

„مَرْثَةُ مَهْلَكَةِ الْجَوَادِ رَجُلُكَ الْمُؤْمِنُ الْمُؤْمِنُ وَدُوَّانُهُ الْمُؤْمِنُ،  
مَوْهِبَةُ مَهْلَكَةِ الْجَوَادِ سَعْيُكَ الْمُؤْمِنُ الْمُؤْمِنُ.“<sup>2</sup>

ამ ბეითს ახლავს არაბი კომენტატორის აზ-ზავზანის განმარტება,  
სადაც „საუკეთესო მოსახვეჭელი“ განმარტებულია, როგორც ანუ  
სახელი, დიდება და შრფ – ღირსება. საბოლოოდ მისი შინაარსია: „მათი  
საუკეთესო მოსახვეჭელის ანუ სახელისა და დიდებისა.“ იგივე აფო-  
რიზმი დადასტურებულია VII ს. არაბი პოეტი ქალის ალ-ხანსა მარ-  
სიაში<sup>3</sup>, რომელიც მიძღვნილია მისი გარდაცვლილი ძმის სახრისადმი:

تَرَى الْحَمْدَ يَحْوِي إِلَى بَيْتِهِ يَرِى أَفْضَلُ الْكَسْبِ أَنْ يَحْمَدَا<sup>4</sup>

„بَعْدَهَا زَلْجَانٌ (دِيَدِرْبَادُ، چَهَّادُ)  
سَاعْيُكَ الْمُؤْمِنُ وَدُوَّانُهُ  
(دِيَدِرْبَادُ، چَهَّادُ).“<sup>5</sup>

რუსთაველის ტექსტში გვხვდება ერთ-ერთი ცნობილი აფორიზ-  
მიც, კერძოდ, „გველსა ხვრელით აღმოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი.“<sup>6</sup>  
ის დაფიქსირებული გვაქვს „ათას ერთი ღამის“ პროზაში: დალილა  
„ისეთი მზაკვარი იყო, რომ გველსაც კი ხვრელიდან ამოიყვანდა თავისი  
მოხერხებით.“<sup>7</sup> ეს გამონათქვამი გვხვდება სპარსულ ანდაზებში<sup>7</sup> და  
ქართულ „ვისრამიანშიც“.

რას ნიშნავს და როგორ უნდა აიხსნას ეს ფაქტები? აქ მოტანილ  
ნიმუშებში საერთოა შინაარსი (არაბულად მან) და განსხვავებულია ამ  
შინაარსის სხვადასხვა მანიფესტაციია (არაბულად ლაჭე) – ანუ სიტყვა,  
გამოხატულება. შეუ საკუნძების არაბულ პოეზიაში ხშირია ერთი და  
იმავე მანას ანუ შინაარსის სხვადასხვა გამოხატულება, როგორც  
სხვადასხვა ავტორთან, ისე ერთსა და იმავე ავტორის სხვადასხვა ნანარ-  
მოებში ისევე, როგორც ეს არის, და ზემოთაც აღვნიშნეთ, რუსთაველის

<sup>1</sup> რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, 185.

<sup>2</sup> მუალაკები, არაბულიდან თარგმნა ნანა ფურცელაძემ, 68.

<sup>3</sup> ნატირალი.

<sup>4</sup> ალექსი ლეკიაშვილი, საკითხავი წიგნი არაბულში (თბილისი, 1979), 270.

<sup>5</sup> რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, 207.

<sup>6</sup> ათას ერთი ღამე, არაბულიდან თარგმნა ნანა ფურცელაძემ, ტ. 6 (თბილისი, 1984), 4.

<sup>7</sup> თეა შურლაია, სპარსული პარემიოვრაფია და სპარსული ანდაზის აზრობ-  
რივი სტრუქტურა, 126.

ერთ-ერთ აფორიზმთან დაკავშირებით. არაბულში ეს ჩვეულებრივი პრაქტიკა იყო. ძველი არაბი ფილოლოგები ამ საერთო შინაარსების ერთგვარ კატალოგებსაც ადგენდნენ – ე.წ. „ქითაპ ალ-მაჰნი“. ეს თავი-სებურება დაწვრილებით შესწავლილი აქვს ა. კუდელინს.<sup>1</sup>

როგორ უნდა აიხსნას ეს ზოგიერთი დამთხვევა თუ პარალელი რუსთაველის ტექსტთან? რა თქმა უნდა, აქედან არ ჩანს უთუოდ, რომ რუსთაველი ფლობდა არაბულს, სპარსულს, არაბულ სენტენციებს თუ აფორიზმებს იყენებდა თავის პოემაში. თვითონ ეს სენტენციები, აფორიზმები და ა.შ. უნდა მიეკუთვნებოდეს იმ ე.წ. მოხეტიალე გამონათქვამების რიცხვს – ანდაზებს, აფორიზმებს, რომელიც ხშირად იყო ძველსა და შუა საუკუნეების კულტურაში, რასაც თანამედროვე მკვლევარები იკვლევენ და აფიქსირებენ, ხოლო ახალ ეპოქაში, მას მერე, რაც ახალ ლიტერატურაში უპირატესობა მიეცა ე.წ. ინდივიდუალურ საავტორო სტილს, ასეთი შემთხვევები თითქოს გაქრა. რა გვაძლევს ასეთი ვარაუდის უფლებას? ამ საერთო აფორიზმებს, სენტენციებს, მოტივებს იკვლევენ ახალი ეპოქის მკვლევარები, რომელთაც დაადგინეს ამ თვალსაზრისის უტყუარობა. ერთ-ერთი ასეთი ნაშრომია გერმანელი მეცნიერის, ბეკერის *Ubi sunt que ante nos in mundo fuere* („სადღა არიან ისინი ვინც ჩვენამდე იყვნენ ამქვეყნად“)<sup>2</sup>. ამ შეკითხვას ჩვეულებრივ მოსდევს პასუხი: აღარ არიან ამქვეყნად. ისინი იმქვეყნად მტვრად და ნაცრად, თიხად გარდაიქცნენ. სიკვდილმა ისინი „გაათანასწორა“ ანუ გაათანაბრა და მინაში აღარ ჩანს, ვინ იყო ძლევამოსილი ხელმწიფე, ვინ მონა და ვინ უპოვარი. ამ ფორმულის გენეზისის ძიებამ ბეკერი მიიყვანა ასურბანიპალის თიხის ფირფიტის ნარჩერამდე ძვ. წელთაღრიცხვის VII ს-ში: „მეც მტვრად ვიქეცი მბრძანებელი დიდებული ნინევიისა.“ მისი აზრით, ამ ტიპის უძველესი ნიმუში არის ძველ ევგიპტურ პოეზიაშიც, სახელდობრ, უძველესი პირამიდის ნეფერხოტების აკლდამის კედელზე. მეორე მხრივ, ის დაფიქსირებული აქვს მას ახალ ლიტერატურაში შექსპირთან, ბაირონთან. ჩვენის მხრივ, დავუმატებდით, რომ ეს ფორმულა გვხვდება XV ს-ის ფრანგი პოეტის ფრანსუა ვიონინის შემოქმედებაში, რომელიც ქართულად თარგმნა დ. წერედიანმა.<sup>3</sup> და, რაოდენ საოცარიც არ უნდა იყოს – გალაკტიონთან, რომელსაც სახელები ფრანსუა ვიონინის ლექსის თარგმანში ჩაუნაცვლებია სახელებით პუშკინის სამყაროდან. ანუ ისე ჩანს, რომ ამ ფორმულის გავრცელების დიაპაზონია მეორე ათასწლეულიდან XX საუკუნემდე.

უნდა ითქვას, რომ არსებობს სხვა სენტენციები თუ მოტივები, რომელსაც შეიძლება თვალი გადავავლოთ საუკუნეთა მანძილზე. ერთ-

<sup>1</sup> Александр Куделин, *Средневековая арабская поэтика* (Москва, 1983)

<sup>2</sup> Carl Heinrich Becker, *Ubi sunt que ante nos in mundo fuere*, Islamstudien (Leipzig, 1924)

<sup>3</sup> ფრანსუა ვიონინი, ლექსები, ფრანგულიდან თარგმნა დავით წერედიანმა (თბილისი, 1986)

ერთი ასეთი უნდა იყოს „წუთისოფელი, სიცოცხლე სიზმარია“, რომელიც წარწერილია ასევე ეგვიპტური პირამიდის კედელზე. ეს არის ე.ნ. არფისატის სიმღერა. მოვიტანთ მატიეს თარგმანის მიხედვით: Время которое проводится на земле это сон<sup>1</sup>, а ну წუთისოფელი სიზმარია. ეს სენტერცია დაფიქსირებული გვაქვს IX ს. არაბ პოეტთან აბუ-ლ-ათა-ჰისათან:

أراك وإن طلبت بكل وجه كحلم النوم وظل السحاب  
أو الأمس الذي ولى ذهاباً فليس يعود ولمع السراب

„თუ მცა გელტვიან ყოველი მხრით, ვხედავ (სოფელი),  
შენ სიზმარი ხარ, ღრუბლის ჩრდილი ან მირაჟის გაელვარება,  
გუშანდელი დღე რომ გავა და არ დაბრუნდება.“

„წუთისოფელი სიზმარია“ გვხვდება აგრეთვე ქართულ ლიტერატურაში ითანა მინჩხთან: „უამნი ჩვენი ვითარცა რად სიზმარი ღამისანი განქარდებიან.“<sup>2</sup> ახალ ლიტერატურაში ამ სენტერციას ვხვდებით გალაკტიონთან: „ჩვენი ცხოვრების გზა სიზმარია და შორეული ცის სილაუგარდე.<sup>3</sup> ანუ შეიძლება ითქვას, რომ „ადამიანის ცხოვრება წუთისოფელი – სიზმარია“ სხვადასხვა ხალხსა, სხვადასხვა ეპოქასა თუ კულტურაში გავრცელებული სენტერციაა. ასეთი მაგალითი სხვაც ბევრია.

დავასახელებთ კიდევ ერთს – საიქიონ სახლია, ქვეყანაა, საიდანაც აღარავინ ბრუნდება. ძველი შუამდინარული პოეზიიდან: „უკანმოუქცეველ ქვეყნად რად მიდიხარ“<sup>4</sup>, „სახლად სად შემსვლელი უკან ვერ გამოდის, გზად, რომლის ბილიკი უკან არ ბრუნდება“<sup>5</sup>; ძველ ეგვიპტური პოეზიიდან: „И плач не вернет никого из могилы. И никто из тех кто ушел труда еще не вернулся оттуда.“<sup>6</sup> (მდრ. აგრეთვე იგივე ე.ნ. არფისატის სიმღერა „არავინ დაბრუნებულა გარდაცვლილთა ქვეყნიდან“<sup>7</sup>), არაბული პოეზიიდან კი აბიდ იბნ ალ-აბრასის (VI-VII ს.) მუალაკა:

كل ذو غيبة يؤوب وغائب الموت لا يؤوب  
”ყველა ნასული ხომ ოდესმე უკან ბრუნდება –

<sup>1</sup> Милица Матея, Древнеегипетские мифы (Ленинград, 1956),78.

<sup>2</sup> ითანა მინჩხი, პოეზია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ლელა ხაჩიძემ (თბილისი, 1987), 23.

<sup>3</sup> გალაკტიონი, ლექსიტი (თბილისი, 1973 ), 140.

<sup>4</sup> ძველი შუამდინარული პოეზია, შუმერულიდან და აქადურიდან თარგმნა ზურაბ კიკნაძემ, 75.

<sup>5</sup> იქვე, 245.

<sup>6</sup> Матея, Древнеегипетские мифы,78.

<sup>7</sup> მანანა ხვედელიძე, ძველი ევვიპტის ენციკლოპედია (თბილისი, 2013), 118.

და სიკვდილს წასული (არასოდეს) მოპრუნებულა.<sup>“1</sup>

იგივე გამონათქვამია სიტყვა-სიტყვით ლაპიდის მარსიაში VI-VII სა. (ნატირალი მიძღვნილი მისი ძმის არბადისადმი): „ჩემო მკიცხველო, შენ რა იცი, თუ არ ვუმანით, იმ ვაუკაცთაგან, ვინც წავიდა, ვინმე მოპრუნდა?“<sup>“2</sup> (შდრ. აგრეთვე ქართული „მოუსავლეთი“).

რისთვის დაგვჭირდა ეს წიაღსვლა? რუსთაველის ზოგიერთი აფორიზმის პარალელები არაბულ ლიტერატურაში არ უნდა ნიშნავდეს უთუოდ იმას, რომ პოეტი ფლობდა სპარსულს, არაბულს, ძველ ეგვიპტურს, აქადურსა და ა.შ. და რომ ის აფორიზმები არაბულიდან ან სპარსულიდან აქვს წამოღებული. ისინი მრავალ ლიტერატურასა თუ კულტურაში გავრცელებული ე.ნ. მოხეტიალე მოტივები და სენტენციები უნდა იყოს, რომელსაც ხმირად უძველეს ცივილიზაციებსა და სხვადასხვა ქვეყნებამდე მივყავართ. ისე ჩანს, რომ ზოგიერთი მათგანი საკაცობრიო კულტურის საერთო საკუთრებაა. როგორც ჩანს, ამ საერთო ფონდიდან იღებდნენ სხვადასხვა დროისა თუ სხვადასხვა ქვეყნის შემოქმედები გამონათქვამებს და თავიანთი ნანარმოებების შინაარსისა და ფორმის, რიტმისა და რითმის მიხედვით გარდაქმნიდნენ მათ. რუსთაველთანაც, ჩვენი აზრით, საქმე უნდა გვქონდეს ამ მოვლენასთან.

### *Nana Purtseladze*

### **On Parallels of Rustaveli's Some Aphorisms in Arabic Poetry**

There are some maxims and wise sayings in Arabic texts of the Middle Ages, which are semantically very close to the aphorisms of “The Knight in the Panther’s Skin” (12<sup>th</sup> cent.) by Shota Rustaveli.

It is well known that Arabic poetry of the Middle Ages, like other Literatures of that epoch, is characterized by fixed repertoire of the expressional modes. We can find not only the same topics or compositions in them, but also the same poetical images, poetical lexis, clichés. Among them are aphorisms, proverbs, parables, which were usually familiar to the auditory.

One of the wide spread formulas in the Eastern Literatures was: “*Everybody is equal to the death – a rich and a poor, a king and a slave, a hero and a coward*”. Searching the Formula’s genesis brings us to the Ashurbanipal’s plate dated on the 7<sup>th</sup> century BC: “Even I’ve become a dust, the great Lord of

<sup>1</sup> მუალაკები, არაბულიდან თარგმნა ნანა ფურცელაძემ, 102.

<sup>2</sup> არაბი პოეტები V-XX სს., არაბულიდან თარგმნა ნანა ფურცელაძემ (თბილისი, 2013), 46.

Nineveh.” The theme of death was so important from the ancients that Carl Heinrich Becker wrote special research “*Ubi sunt que ante nos in mundo fuere*” about it.

In the Poem of Rustaveli there are several occasions when one idea/or content is expressed in different forms. For example, the idea that “*if any man anyway would die, isn't it better to die and leave good name behind you than to live in a wrong way?*” is expressed in different aphorisms. In Rustaveli's poem as well as in Arabic poetry we can find the same *ma'nā* (meaning) in different manifestations. It is also well known that old Arab philologists made up special catalogs (like *Kitāb al-Ma'āni*) where this kind of expressions were gathered.

We cannot insist that Rustaveli necessarily knew Arabic or Persian Languages and used Arabic maxims or aphorisms in his poem. All these expressions must be a part of so called wandering themes, adages and motives that had been spreading for the centuries from the earliest civilizations. It is obvious that Rustaveli, like other authors of that period, also used this common fund.

In modern times we cannot find such examples because priority inclines to the individual style of creation.



**ენა და ლიტერატურა**  
**Language and Literature**



**მაგა ანდრონიკაშვილი  
არაბული ენის მორფოლოგიის  
ტიპოლოგიურ კვლევასთან დაკავშირებული  
რამდენიმე შენიშვნა**

ცნობილია, რომ ტრადიციული არაბული გრამატიკა ისევე, როგორც ბერძნული, ინდური და სხვა უძველესი სკოლები (უძველესი ისტორიისა და კულტურის მქონე ხალხთაგან მხოლოდ ჩინელებს არ ჰქონდათ გრამატიკა XIX საუკუნეებდე), ჩანასახოვანი სახით შეიცავენ არაერთ ლინგვისტურ მიგნებასა და ენის კვლევის შედეგიან მეთოდს, რომელიც შემდგომ გამოყენებული იყო როგორც კომპარატივისტული გრამატიკის მიერ, ასევე თანამედროვე ტიპოლოგიური ლინგვისტიკის მიერაც.

რადგან ჩვენი სტატია ამჯერად მორფოლოგიის ფარგლებს არ სცილდება, შევნიშნავთ მხოლოდ, რომ ტრანსფორმაციული გრამატიკა თავისი არსით – სილრმივი და ზედაპირული სტრუქტურით, რომელთა სისტემური ანალიზი ჰქონისმა (1957), ჰოქეტმა (1958) და ჩომსკიმ (ყოფილმა ხომსკიმ) შემოგვთავაზეს, ევროპაში პოპულარული ნაშრომის ავტორის ჯონ ლაიონზის აზრით, „პრინციპულ სიახლეს არ შეიცავდა, რადგან ტრანსფორმაციულ ურთიერთობებს კარგად მცნობდნენ ტრადიციულ გრამატიკაში“ (ხაზი ჩვენია მ. ა.), მაგრამ პროგრესი, რაც მდგომარეობდა იმაში, რომ ეს გამხდარიყო ექსპლიციტური გენერაციული ალწერის საგანი, მიღწეულია მხოლოდ ცოტა ხნის წინ, როდესაც ამოცანად დაისახეს ყოველ ნარმოშობილ წინადადებას მიეწეროს როგორც სილრმივი, ისე ზედაპირული სტრუქტურის ანალიზი და დადგინდეს სისტემური ურთიერთობანი ამ ანალიზებს შორის“. ჩომსკის თეორია ჯ. ლაიონზის კველაზე კარგად დამუშავებულად მიაჩნია,<sup>1</sup> მიუხედავად ზოგიერთი ნაკლისა.

ჯ. ლაიონზი არ მიუთითებს, რომელი ტრადიციული გრამატიკები აქვს მხედველობაში, ამიტომ ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია, დავაკონკრეტოთ, რომ შუასაუკუნოვან არაბულ გრამატიკაში იხმარებოდა სინტაქსური სტრუქტურების ანალიზის მეთოდი (ფაქტიურად ვირტუალური) *taqdīr*-ი ჯერ კიდევ სიბავეიპის (VIII ს.) დროიდან. ეს მეთოდი ნარმატებით ოპერირებს სილრმივი და ზედაპირული სტრუქტურებით არაბული სინტაქსის რამდენიმე პრობლემის გადასასაწყვეტად.

ასევე საკითხავია, გააზრებულია თუ არა ტრადიციულ არაბულ გრამატიკაში ის ძირითადი ცნებები, რომლებითაც ამჟამად ხდება ოპერირება მორფოლოგიის სფეროში, ეს ცნებებია: მორფი (ალომორფი), დამხმარემოფენა, გრამემა და ძირეული მორფი. დადებითი პასუხი მარტივად შეიძლება გავცეთ მხოლოდ ერთ კითხვას – ტრადიციული არაბული გრამატიკა იცნობს ნულოვან მორფს. ალ-ანბარი, XIV საუკუნის გრამატიკოსი,

<sup>1</sup> John Lyons, *Introduction to Theoretical Linguistics* (Cambridge, 1978), p. 263.

ცნობილი თავისი ტრაქტატით ბასრისა და ქუფის სკოლების გრამატიკო-სების აზრთა სხვადასხვაობის შესახებ, წერს: „უნიშნობა ნიშანია.<sup>1</sup>

ზემოთ დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა მივმართოთ არაბული *i'rāb*-ის თეორიას. *i'rāb*-ს ევროპელები თარგმნიან, როგორც „ფლექსიას“. რა თქმა უნდა, ფლექსიის მრავალი მნიშვნელობიდან *i'rāb*-ს შეეფარდება (შეესაბამება) მხოლოდ ერთი: სიტყვათმცვლელი აფიქსი ანუ სიტყვის მორფოლოგიური სტრუქტურის ავტონომიური ბოლო კომპონენტი. არაპი გრამატიკასებისათვის იგი უპირისპირდება ფუძეს და ანარმოებს რთულ ფორმას მარტივისაგან (იმავე არაბული-სათვის დამახასიათებელი შინაგანი ფლექსია არსებითად სხვაგვარია).

ტრადიციულ არაბულ გრამატიკებში *i'rāb*-ი ახსნილია, როგორც „განმარტება“. *i'rāb*-ად ინოდება „ის ხმოვნები, რომლებიც მოსდევს სახელისა და ზმინის ბოლო თანხმოვანს“. XIV საუკუნის მოაზროვნე და გრამატიკოსი იბნ ჯინი *a'raba* ფორმის მნიშვნელობას აკავშირებს გამონათქვამის სიზუსტესთან, აზრის მეაფიოდ გამოხატვის უნართან. იგი წერს: „*i'rāb*-ი არის ფაქტი, გამოხატული სიტყვების მეშვეობით, და იმ პროცესთა ერთიანობა, რომლებიც საშუალებას იძლევიან, ესა თუ ის გამოთქმა მივიღოთ იმ მნიშვნელობით, რომელიც ჩვეულია არაბებისთვის. *i'rāb*-ის კონკრეტული მნიშვნელობა სინტაქსისა და მორფოლოგიური ფორმების ერთიანობაა“.<sup>2</sup>

ფაქტი ერთია – შუასაუკუნოვან არაბულ გრამატიკებში *i'rāb*-ს ეთმობა ცალკე თავი, რომელიც არ შედის არც სინტაქსში (*naḥiṣ*) და არც მორფოლოგიაში (*taṣrīf*). არსებობს ხოლმე კიდევ ერთი თავი – *bābu 'alāmāti-l-i'rābi*, სადაც განიხილება *i'rāb*-ის ნიშნები.

ევროპულ არაბისტიკაში მიღებულია აზრი, რომ *i'rāb*-ის თეორია არაბული სინტაქსის საფუძველია,<sup>3</sup> მაგრამ ამ ტერმინს თარგმნიან, როგორც „ფლექსიას“, რადგან მორფოლოგიაში (*taṣrīf*-ში) სინტაქსის საპირისპიროდ არაბები განიხილავნ მეტყველების ნაწილებს და მათი ფორმანარმოების იმ თავისებურებებს, რომლებიც არ არის განპირობებული სინტაქსური ურთიერთობებით. *i'rāb*-ი, როგორც სინტაქსი, განისაზღვრება იმის საფუძველზე, რომ სხვადასხვა მეტყველების ნაწილებს – სახელსა და ზმანს – აერთიანებს ერთ თეორიაში პოზიციების და მმართველი წევრების იდენტურობისა<sup>4</sup> და მორფემათა, *i'rāb*-ის დაბოლოებათა (სახელობითი ბრუნვა და თხრობითი კილო, ბრალდები-

<sup>1</sup> Al-Anbari, *Die grammatischen Streitfragen der Basrer und Kufer*, herg. Von Gotthold Weil (Leiden, 1913).

<sup>2</sup> Ibn Ḡinni, *Sirr Sinā'a al-i'rāb* (al-Qāhira, 1954), 83.

<sup>3</sup> Вл. Ахвледiani, *Арабское языкоизнание средних веков*, сб. История лингвистических учений (Ленинград, 1981), стр. 71.

<sup>4</sup> მმართველების ტრადიციული თეორია ითვალისწინებს სტრუქტურის სრულფასოვან წევრებს: კავშირებს, ნაწილაკებს, პოზიციას (*Mawdi', Mahall*) და ფუნქციას (*Ibtidā'*).

თი ბრუნვა და კავშირებითი კილი), ნაწილობრივი ომონიმურობის<sup>1</sup> საფუძველზე.<sup>2</sup> ხდება არა მარტო ბრუნებისა და კილოს კატეგორიების გაერთიანება, არამედ მეტყველების საპირისპირო ნაწილთა ერთიანი ფორმალური განხილვა. უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთი კვალიფიკაცია სტრუქტურული მიდგომის ნიმუშია, რადგან ამუამად დასაშვებია სხვა-დასხვა კლასებში შემავალ სიტყვათა პოზიციების შედარება.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამგვარი დაჯგუფება (ორ პარადიგმაში იდენტური, ომონიმური მორფები და განსხვავებული – მესამეში) არა-ბულში შემჩნეული აქვს ჯ. გრინბერგს, როგორც ძირეული მორფების-თვის სპეციფიური მოვლენა. მას მხედველობაში აქვს ნაცვალსახელური სუფიქსები (ძირეული მორფები), რომლებიც უკავშირდება როგორც ზმნა-თა კლასს, ისე სახელთა კლასსაც. იგი წერს: „-ka საერთოა ზმნისა და სახე-ლისათვის“. ის აღნიშნავს, რომ განსხვავებული, მორფოლოგიურად შეპი-რობებული ალომორფები გვაქვს მხოლოდ პირველ პირში (-, -ii).<sup>3</sup>

ჩანს, არაპ გრამატიკოსთა შრომებში სხვადასხვა მეტყველების ნაწილებში მოქმედ ნიშანთა ერთ სისტემაში (*i'rāb*-ში) გაერთიანება ენის სპეციფიურობითაა გამოწვეული.

*i'rāb*-ის თეორიას და *mu'rāb* ფორმებს არაბულ გრამატიკებში უპი-რისპირდება *binā'*-ის ცნება (ძირითადად ფორმაუცვლელი სახელები), სხვადასხვა ბრუნვებში ერთნაირი დაბოლოების მქონე ფორმები. ე. წ. „უბრუნველობის“ და ფონეტიკურ ნიადაგზე ნარმოქმნილი ე. წ. „ორ-ბრუნვიანობის“ გენეზისი, ახსნილი არაბულ გრამატიკებში, დღესაც მიჩნეულია საფუძვლიანად. რაც შეეხება უთენვინო ორბრუნვიან სახელებს, მათი დაყოფა საკუთარ და საზოგადო არსებითებად ასევე მოცემულია არაბულ გრამატიკებში.<sup>4</sup> არაბების მიერ შემჩნეულია

<sup>1</sup> თანამედროვე ენათმეცნიერებაში ჯერ კიდევ საკამათოა ტერმინ ომონიმურის მნიშვნელობა. ნაწილი ლინგვისტებისა ფიქრობს, რომ ომონიმია ძნელი გასამიჯნია პოლისემისაგან. ომონიმური მხოლოდ ის ფორმები, რომელთა ნარმოშობა ცნობილია, თუმცა გასათვალისწინებელია ისიც, რომ ნარმოშობის დადგენა ყოველთვის არ ხერხდება. კიდევ უფრო დიდი ბუნდოვანება გრამატიკული ომონიმების განსაზღვრებაში, მაგ.: კაც-ქ-ი, ა-კეთ-ებ-ს, ი-კეთ-ებ-ს და სხვ.

<sup>2</sup> ეს სუფიქსები ინვენტარის სიმწირის (ვ ვოკალი) გამო პოლისემანტიკიური აღმოჩნდა და, შესაბამისად, ომონიმურიც სახელობით ბრუნვასა და თხრო-ბით კილოში, ბრალდებითსა და კავშირებითში, მხოლობით რიცხვში და ზმნის I პირში მხოლობით რიცხვში.

<sup>3</sup> Joseph Greenberg, *Language Universals* (Hague Mouton, 1966); შევნიშნავთ, რომ ჯ. გრინბერგს გამორჩა ფონოლოგიურად შეპირობებული ალომორფი *yā* (*ilayya*, *kitābāya* და სხვ.). ხომ არ უნდა გავითვალისწინოთ აგრეთვე მესამე წევრიც – ნაწილაკები და კავშირები, რომლებიც არ მოუხსენიებიათ არც არაბებსა და არც ჯ. გრინბერგს?

<sup>4</sup> ეს დაადასტურა ი. კურილოვიჩმა (I. Kurylowicz, *Le diptotisme et la construction des noms de nombre en arabe* (Word, VII, 1941). აღნიშნული სახელები ორ ტიპად გააერთიანა ნ. იუშმანოვმაც (Н. В. Юшманов, Загадка

სქესის კატეგორიის გავლენა *munṣarif* და *ġair Munṣarif* სახელებზე. გათვალისწინებულია უფრო წვრილი სემანტიკური დეტალებიც, მაგალითად, განსხვავების არსებობა ბრუნების ტიპის მხრივ ქალაქებისა და დაბების სახელწოდებებს შორის.<sup>1</sup>

არაბი ფილოლოგების წარმოდგენით, *i'rāb*-ში არ შედის მიმართვის ფორმა, რაც შემდგომ ა. ლეკიამვილმაც გაიზიარა,<sup>2</sup> თუმცა არსებობდა ევროპული გრამატიკები, რომლებშიც მიმართვის დაბოლოებები ბრუნების სისტემაში შეჰქონდათ.

ფლექსივისთვის დამახასიათებელი ფუზიური მოვლენა – ფუზიონის შოვ იли სტყი – არაბი გრამატიკოსების მიერ არ არის ცალკე გამოყოფილი, მაგრამ ფუძის ანუ ძირეული მორფის და დამხმარე მორფის ზღვარზე წამოჭრილი პრობლემა შეუმჩნეველი არ დარჩა არაბულ გრამატიკებში, რაც აისახა ბასრისა და ქუფის სკოლების წარმომადგენელთა კამათში შემდეგ საკითხზე: ფუძის გამოყოფა *i'rāb*-ის ხმოვნისგან. ეს ეხება იმ სახელებს, სადაც R<sub>3</sub> არის w ან y ან ძირი ორთანხმოვნიანია. ბასრელთა თანახმად, *i'rāb*-ის ნიშანი მხოლოდ თანხმოვანზე დაბოლოებულ ფუძეებს ერთვის. ანალიზი ხელოვნურად გადაიტანება გრაფიკულ დონეზე.

„ფონოლოგიურ საშუალებათა გამოყენების ასიმეტრია მორფემათა სხვადასხვა კლასის ფუნქციური სხვაობის გამოსახატავად გასათვალისწინებელია ენათა ტიპოლოგიური დახასიათების დროს, რადგან ენათა უმეტესობაში ძირეული მორფების აგებაში მონაწილეობს მთელი ფონემური შემადგენლობა მაშინ, როდესაც აფიქსურ მორფემებში გამოიყენება მხოლოდ შეზღუდული ნაწილი არსებული ფონემებისა“.<sup>3</sup>

არის თუ არა ტრადიციულ არაბულ გრამატიკაში მსგავსი მიდგომა? აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ლინგვისტური ანალიზის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანი – დამხმარე მორფემათა გამოყოფა და მათი ინვენტარიზაცია – განხორციელებულია ბალდადის სკოლის წარმომადგენელთან აზ-ზაჯაჯისთან მის „al-Ǧumal“-ში. სხვადასხვა მეტყველების ნაწილებთან ხმარებული მორფები გაერთიანებულია მნემონურ სიტყვაში: سأَلْتُمُنِيْهَا (*sa'altumniħā*), რომელშიც გათვალისწინებულია მორფემათა სეგმენტებიც. ამ სიტყვის დაშლით მიიღება:

- 1) *s* – მომავლის პრეფიქსი; X თემის მანარმოებლის სეგმენტი;
- 2) ‘ – IV თემის პრეფიქსი;

„двуходежных имен“ арабского классического языка, сб. *Труды второй сессии Ассоциации арабистов* (М.-Л., 1941), 149-159.

<sup>1</sup> იხ. მაგ.: az-Zaḡaġī, al-Ǧumal, ed. M. Ben – Cheneb (Alger –Paris, 1957).

<sup>2</sup> ა. ლეკიამვილი, ვოკატივის ფორმის შესახებ არაბულში, საქ. სსრ მეცნ. აკად. ენათმეცნ. ინსტიტ. მომზები, II (1957), 73-93.

<sup>3</sup> С. Кубрякова, *Морфологические характеристики и их роль в типологическом описании языков*, сб. *Лингвистическая типология* (М., 1985), стр. 59.

- 3) *l* – არტიკულის ძირითადი სეგმენტი (გრაფიკული ან ჰაშჩიანი ალიფი დემარკაციული ელემენტია);
- 4) *ø* (სუეუნი, ი) პირობითი და ბრძანებითი კილოების სუფიქსი;
- 5) *t* – პირისა და მდედრობითი სქესის ნიშანი იმპერატივში; *V* და *VI* თემბის მანარმოებელი პრეფიქსი; *VIII* თემის ინფიქსი; *X* თემის მანარმოებელი პრეფიქსის სეგმენტი;
- 6) *m* – მიმღეობის, მასდარის, ადგილისა და დროის სახელის, იარაღისა და ჭურჭლის სახელის მანარმოებელი;
- 7) *ñ* – მრავლობითი რიცხვის მანარმოებელი სახელთა სწორ მრავლობითსა და ზმნებში (პერფექტივსა და იმპერატივში), სახელობითი ბრუნვის ნიშანი 5 სახელის მხოლობით რიცხვში;
- 8) *n* – სეგმენტი იმპერატივის რამდენიმე ფორმაში; პერფექტივის I პირში მრავლობითი რიცხვის სუფიქსი; პერფექტივის მდედრობითი სქესის 2 ფორმაში მრავლობითი რიცხვის სუფიქსი; VII თემის მანარმოებელი;
- 9) *ñ* – პირის ნიშნის სეგმენტი იმპერატივის მხოლობითი რიცხვის II პირის მდედრობითი სქესის ფორმაში; ირიბი ბრუნვების პირის ნიშნის სეგმენტი ორობით რიცხვსა და მამრობითი სქესის სწორ მრავლობითში;
- 10) *h* – სუფიქსი ე. წ. გაძლიერებულ მიმართვაში;
- 11) *ã* – ორობითი რიცხვის მანარმოებელი სახელებში; აკუზატივის ნიშანი 5 სახელში; მდედრობითი სქესის ნიშანი; ე. წ. უბრუნველ სახელთა დაბოლოება.
- ა. ლეკიაშვილის მიხედვით, სემიტოლოგები სემიტური ენების ისტორიულ პერიოდში რიცხვის, ბრუნვის და სტატუსის მაჩვენებელთა სხვადასხვა პრინციპისა და თანმიმდევრობას აღადგენენ (ლ. გრეი, კ. ჰეტრაჩეკი და სხვები).
- W. Vycichl-ი ასეთ განლაგებას ვარაუდობს – 1) ფუძე; 2) რიცხვის ნიშანი; 3) ბრუნვის მაჩვენებელი; 4) დეტერმინაციის ელემენტი – დაწარმოადგენს ამოსავალ ფორმებს.

ორობითი

მრავლობითი

	მამრ. სქ.	მდ. სქ.
ს.	-āi-u-ni	-ū-u-na
ბრ.	-āi-i-ni	-ū-i-na
ნათ.	-āi-i-ni	-ū-i-na

ბასრის სკოლის წარმომადგენლები გამოყოფილნენ *i'rāb*-ის ნიშანს (ბოლო ხმოვანს) და *i'rāb*-ის თანხმოვანს (ფუძის ბოლო თანხმოვანს),

<sup>1</sup> ა. ლეკიაშვილი, ბრუნვათა ხისტემა სემიტურ ენებში (თბ. 1970), გვ. 53.

რომელსაც, მათი აზრით, „ეყრდნობოდა“ *i'rāb*-ის ხმოვანი. ამასთან დაკავშირებით მათთვის პრობლემური აღმოჩნდა *i'rāb*-ის ნიშნის საკითხი იმ ფორმებში, სადაც R<sub>3</sub> „სუსტი“ თანხმოვანია, აგრეთვე ორობითსა და მრავლობითში, სადაც ეს ნიშნები გრძელ ხმოვანს წარმოადგენენ. ბასრელებისთვის *i'rāb*-ის ნიშანი შეიძლება დაერთოს მხოლოდ თანხმოვანზე დასრულებულ ფუძეს, თუ R<sub>3</sub> მოიკვეცა თავისი „სისუსტის“ გამო და ამ მიზეზით *i'rāb*-ის ხმოვნის „საყრდენად არ გამოდგებოდა“, თვით ალ-ანბარი *ū*, *ā* და *ī* (*ī*-ს განაკუთვნებს ის დიფ-თონგსაც) ხმოვნებში ორ ელემენტს გამოყოფს, ასეთებია: *wāw*, *alif* და *yā*<sup>1</sup>. მას სამივე ფუძის ნაწილად მიაჩნია, ხოლო *i'rāb*-ში შეაქვს მხოლოდ მოკლე ხმოვნების ნიშნები. გრაფიკის დონეზე ჩატარებული ასეთი ანალიზის საშუალებას იძლევა გრძელი ხმოვნების გამოხატვა ორი ნიშნით. ი. კოშუტის აზრით, აქ ადგილი აქვს ერთი ფუნქციის ორი ნიშნით გადმოცემას. მუბარადისა და აზ-ზაჯაჯის აზრით, ორობითისა და მრავლობითის ფორმები არის *mabnī* (ფორმაუცვლელი). ა. ლეკიაშვილის მიხედვით კი ისინი დერივაციული ხასიათის მქონე ელემენტებია, ხოლო არაბ გრამატიკოსთა შეხედულებები მოკლებულია სისრულეს. ა. ლეკიაშვილს მოჰყავს ჟ. კანტინოს ინფორმაცია, რომ ზოგი თანამდეროვე ენათმეცნიერი ამ დაბოლოებებში ხედავს სამი კატეგორიის ელემენტებს: ბრუნვა, რიცხვი და სტატუსი.<sup>2</sup>

რაც შეეხება ორობითისა და მრავლობითის პოლისემიური სუფიქსების სეგმენტაციას როგორც ზმნაში, ასევე სახელში, ეს პროცესი განხორციელებული აქვს ვ. სტარინინს თავის ცნობილ გამოკვლევაში „Структура семитского слова“. ზმნის იმპერფექტივის მრავლობითის ფორმაში იგი კონფიქსს (პრეფიქს-სუფიქსს) ყოფს შემდეგნაირად: *y-ფუნქ-ū//na*. სუფიქსი *-na* მისთვის ცალკე მორფემაა, რომელიც მამრობითი სქესის ფორმაში გამოიყოფა წინამაგალი ឬ მორფემისგან, ხოლო მდედრობითი სქესის 2 ფორმაში (*yaf'alna*, *taf'alna*) გამოყოფილია ფუნქისაგან.<sup>3</sup> ავტორი არ ეხება ფუძის ვოკალიზმს, იმპერფექტივს კი ცოდნილი კონფიქსის არა მონიშვნების განსხვავებით ჟ. კანტინოსა და ა. ლეკიაშვილისაგან, სახელებისა და ზმნების ომონიმური (*-ūna*) სუფიქსი არ მოიხსენიება, ხოლო მისი სეგმენტი *-na* მთლიანად განიხილება დემარკაციული *a* ელემენტის გამოყოფის გარეშე და ის არ არის კვალიფიცირებული სახელებში, როგორც სტატუსის ნიშანი. გაუგებარია, რა გრამეტის წარმოადგენს იგი ზმნებში.<sup>4</sup> არ მოიხსენიება *-ūna*-ს ალომორფი *-awna*-ც. ვ. სტარინინი ნიმუშის სახით შლის სიტყვას *mu-qīm(qwm)-iy-at-u-n* „რეზიდენტული“.

<sup>1</sup> ტერმინით „დერივატი“ ა. ლეკიაშვილი აღნიშნავს ნებისმიერ ნაწარმოებ, მეორად ფორმას, მაგ.: *ktb* – ძირი, *katab* – ფუძე, *katabta* – დერივატი.

<sup>2</sup> В. П. Старинин, „Структура семитского слова“ (М. 1963), стр. 10.

<sup>3</sup> იქვე, стр. 8.

<sup>4</sup> იქვე, стр. 16.

განსხვავდება თუ არა არაბული ტიპოლოგიურად სხვა სემიტური ენებისგან? როგორც ეს ცოტა ხნის წინ დადგინდა ქართულისა და სვანურისათვის, ქართული და სვანური ტიპოლოგიურად უფრო შორს აღმოჩნდნენ ერთმანეთისგან, ვიდრე ეს ადრე იყო მიღებული – სვანური უფრო მეტად იხრება ფუზიური ტიპისკენ.<sup>1</sup>

ჯ. გრინბერგის მიხედვით, მორფემა ავტომატურია, თუ ალო-მორფი მარტივი წესების მეშვეობით გამოიყვანება (მაგ. *āna* → *awna*) ძირითადი ფორმიდან, ხოლო თუ ავტომატურ მორფემათა რიცხვი დი-დია, ენაში მაღალია აგლუტინაციური ინდექსი.

ამასთან დაკავშირებით გასარკვევია არაბულში არა მარტო მარტივი აგლუტინაციური ინდექსის სიდენტურობის (ეს ტერმინი სჯობს ორაზროვან „ფლექსიურს“) ხარისხიც, რადგან აქ გვაქვს რთული მორფოლოგიური ცვლილებები (გართულებული სეგმენტაციით), ასევე გვაქვს მორფემათა მარტივი ჯაჭვებიც. ამასთან, თუ არსებობს ავტომატური მორფემები, მათ შორის იქნება დერივაციული ტიპისაც, რასაც ადასტურებს ა. ლეკიაშვილი, რომელიც აღნიშნავს, რომ „დერივაციულ კონსტრუქციებს არაბულშიც ახასიათებთ მკვეთრი აგლუტინაციური ტენდენცია“.<sup>2</sup>

ა. ლეკიაშვილის მიხედვით, მორფოლოგიური ელემენტი არაბულს ახასიათებს შეფარდებით 2:1 (8:4) – აფიქსაციით ნაწარმოებ ყოველ ორ გრამატიკულ კატეგორიაზე მოდის შინაგანი ვოკალიზმით ნაწარმოები ერთი კატეგორია. აგლუტინაციის ხარისხი მაღალია ჯ. გრინბერგის მეთოდის გათვალისწინებითაც.

(ცნობილია ე. სეპირის დაპირისპირება (აგლუტინაცია/ფლექსია-ფუზიურობა), რომელსაც ჯ. გრინბერგმა კვანტიტეტური სიზუსტე დაუმატა, მაგრამ არაბულისთვის რელევანტური ჩანს ნ. ფინკის ენათა ძირითადი ტიპოლოგიური კლასების კონცეფცია, სადაც არაბული ხასიათდება, როგორც ძირის ფლექსიური (*Wurzelflektierend*) ენა, ხოლო ბერძნული იწოდება „ფუძის ფლექსის მქონედ“ (*Stammflektierend*).

ა. ლეკიაშვილის აზრით, „არაბულ ... ძირის ახასიათებს სამი მთავარი ნიშანი: ა) კონსონანტური სტრუქტურა; ბ) აფიქსებთან შეუთავსებლობა; გ) უცვლელობა; ... აფიქსი აუცილებლად ფუძეს ერთვის. ... არაბულში ერთი და იმავე ძირისგან ნაწარმოებ სიტყვათა ზოგადი მნიშვნელობა ძირებით თანხმოვნებით გამოიხატება, კონკრეტული კი – ვოკალიზმით, ... რომელიც დერივატის მანარმოებელია, ... გამოხატავს სინონიმთა ურთიერთობას ან გრამატიკულ კატეგორიას, ... ერთდროულად ანარმოებს სემანტიმას, დერივატივს და ფორმას. არსებითად განსხვავდება აფიქსისაგან. სხვა ენათა ძირს არაბულში შეეფარდება პირველადი ფუძე (სხვა ენებში ძირი ითავსებს მაჩვენებელს და შეიძლება შეგვხვდეს მის გარეშეც მაგ.: *Baum*). არაბული ძირი ნულოვანი მორფით

<sup>1</sup> იხ. ი. მელიქიშვილი, ფლექსიურობის (ფუზიურობის) შესახებ ქართველურ ენებში, ენათმეცნიერების საკითხები, I და II (თბ., 2010), 84-104.

<sup>2</sup> ა. ლეკიაშვილი, არაბული ენა (თბ., 1971), 69.

არ გვხვდება<sup>1</sup>. ა. ლეკიაშვილი არაბულში მიჯნავს შინაგან დერივაციას და ფლექსიას აფიქსური დერივაციისა და ფლექსიისაგან.

ძირი	ფუძე	ძირი	ფუძე
<i>ktb</i>	<i>katb</i> წერა (სახელი)	<i>kbr</i>	<i>kibr</i> სიამაყე
	<i>katab</i> წერა (ზმნა)	<i>kubr</i> სიდიადე	<i>kibar</i> სიბერე

გამოყოფილია ფუძეთა 6 ძირითადი ტიპი და მეშვიდე – ნარევი. უცვლელი ძირის აღიარებიდან გამომდინარეობს ფუზიის უარყოფა „... ბუნდოვანია ამ დუბლეტთა საკითხი: *waṣala* – *jaṣilu*, *madda* – *madadtu*, *qāla* – *qawl*, *nadā* – *nadawtu*, *ramā* – *ramaytu*, *wafā* – *fi*. ამ შემთხვევაში შეიძლება მხოლოდ პარალელიზმის კონსტატაცია“<sup>2</sup>.

ვფიქრობთ, ჩამოთვლილი მაგალითებიდან ერთ-ერთი განსაკუთრებითაა აღსანიშნავი. ეს ეხება *waṣala* – *jaṣilu* ტიპის ზმნებს. დიალექტებში დასტურდება *iewsel* ფორმა, რაც იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ იდესლაც აგლუტინაციური კონსტრუქცია სალიტერატურო არაბულში გამხდარა სინთეზურ-ფუზიური მორფემათა შერწყმის საფუძველზე, ხოლო დიალექტში ენაშ აირჩია უფრო გამჭვირვალე კონსტრუქცია – ანალიზური (*iewsel*).

არაბულში ფუზიური ფორმები გვაქვს ზმნებში R<sub>1</sub> *Ya'*-თი, ჰამზით, IV და VIII თემებში, ზმნებში R<sub>3</sub> სუსტი თანხმოვნით, ე. წ. ცარიელ ზმნებში IV, VII, VIII და X თემების ფორმებში, ე. წ. ორმაგად და სამმაგად სუსტ ზმნებში და მათ მასდარებსა და მიმღეობებში. ასევე ფართოდაა გავრცელებული ფუზია თანამედროვე არაბულ დიალექტებში.<sup>3</sup>

გარდა იმისა, რომ არაბულ გრამემებს ომონიშური მორფები და მათი სეგმენტები ახასიათებთ (*mu'allimūna*, *yaktubūna*, *taktubu*, *tatakal-lamu*), პოლიფუნქციურია სიტყვის ყალიბიც (მოდელი), შექმნილი შინაგანი ვოკალიზმით (მაგ. *balad* : *bilād*, *bilād* : *buldān* – პირველი წევრი – მხოლობითი, მეორე – მრავლობითი; *sakrān* : *sakrā* – მხოლობითი : მრავლობითი; *sakrān* : *sakrā* – მამრობითი : მდედრობითი; *rāmīḥ* : *rāmīḥat* – მხოლობითი : მრავლობითი; *šağar* : *šağarat* – მამრობითი : მდედრობითი; აგრეთვე, კრებითი : კერძოობითი).

ფუზიურ ენებში ფონეტიკური პროცესები უმეტესად რეგრესულია. ამის ნიმუშია *al-* არტიკულის მრავალრიცხოვანი ალომორფები, მიღებული თანხმოვანთა რეგრესული ასიმილაციის შედეგად, მაგრამ გვაქვს პროგრესული ასიმილაციაც, როგორც სრული, ასევე ნაწილობრივი (VIII თემის ინფიქსი).<sup>4</sup>

<sup>1</sup> ა. ლეკიაშვილი, არაბული ენა (თბ., 1971), 78.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 76.

<sup>3</sup> იხ. მ. ანდრონიკაშვილი, სალიტერატურო არაბულისა და არაბული დიალექტების ტიპოლოგიური მოდელის ვანგითარების ტენდენციები, კრებ. კონსტანტინე ფალაგა 90 (თბ., 2012), 54-63.

<sup>4</sup> შუასაუკუნოვან არაბულ გრამატიკებში გამოუყენებიათ ფონოლოგიური პრინციპი და მოვლენა *Iddigām*-ში – ფონეტიკაში განუხილავთ.

არაბულში დასტურდება აგრეთვე აგლუტინაციური ენებისთვის დამახასიათებელი სინჰარმონიზმიც, როგორც პროგრესული (*fi bayti-himi-l-ğadidi*), ასევე რეგრესულიც (პრძანებითში: *uktub, iğlis*), რომელიც ნარმოშობით რეგრესული უმლაუტია და ფუზიურ ენებს ახასიათებს.

ცნობილია, რომ ანალიზური ენებიდან პოლისინთეზურისაკენ იზრდება სიტყვათა საშუალო ფონემური სიგრძე. არაბული სიტყვა მრავალმარცვლიანია (*sayastaqtibünani*), თუმცა კლასიკური არაბულისთვის კომპოზიცია არ იყო დამახასიათებელი (მის ნაცვლად არსებობდა კომპოზიციასთან მიახლოვებული სტრუქტურები, ბინარული გამოთქმები და სხვ.), ამჟამად თანამედროვე სალიტერატურო არაბული ფართოდ იყენებს კომპოზიციას ტერმინოლოგიური შემოქმედებისათვის. შემდეგი ეტაპია კომპრესია მარცვლების ამოვარდნით და შედეგად სიტყვათა საზღვრების გაერთიანება, რაც არაბულს ადრეც ახასიათებდა (ვასლის წესი). კომპოზიციის ინდექსის (ჯ. გრინბერგის მიხედვით R/W, სადაც R ძირული მორფების რიცხვია, ხოლო W სიტყვების საერთო რაოდენობა<sup>1</sup>) ზრდა უფრო აქტიურად ვლინდება დიალექტებში. ეგვიპტური გვიჩვენებს შერწყმით დაწერილ რიცხვითა და ალსარიცხს, სახელს ნაცვალსახელით (ნებისმიერი თანმიმდევრობით), გენიტიურ კონსტრუქციებს, მთელ წინადაღებებს, როგორც ნომინალს, ისევე ვერბალს (ზმას დამატებასთან ერთად).<sup>2</sup>

და ბოლოს, რაც შეეხება მეთოდოლოგიურ და, განსაკუთრებით, ტერმინოლოგიურ სიზუსტეს და თანმიმდევრულობას, ყოველგვარი ლინგვისტური კვლევისას სასურველია და ალბათ სავალდებულოც გათვალისწინებული იქნეს ნ. ალიევას ფუძემდებლური სტატია „О принципах сравнительно-типологического исследования морфемного состава языков“<sup>3</sup>, რადგან აქ შემოთავაზებული პრინციპების გამოყენება უზრუნველყოფს პასუხს ტიპოლოგიური კვლევის დროს აღმოცენებულ ყველა კითხვაზე, ვინაიდან მოცემული სისტემა აბსოლუტურად სრულია, ოპტიმალური და არ შეიცავს პარამეტრთა მრავალრიცხოვნობისა და მრავალგვარობის გამო აღმოცენებულ თეთრ ლაქებს. აქ მასზე დაწვრილებით ვერ შევჩერდებით, რადგან გასათვალისწინებელ პარამეტრთა რაოდენობა 80-ზე მეტია.

აღვნიშნავთ მხოლოდ ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან რამდენიმე პრინციპს:

1) მორფების იყოფა (150) ან არ იყოფა ნაწილებად (151);

<sup>1</sup> Дж. Гринберг, *Квантитативный подход к морфологической классификации языков. Новое в лингвистике*, З (М., 1963).

<sup>2</sup> მ. ანდრონიკაშვილი, დასახ. ნამრობი.

<sup>3</sup> Н. Алиева, *О принципах сравнительно-типологического исследования морфемного состава языков*, сб. *Лингвистическая типология* (М., 1985), 81-90.

2) ერთმნიშვნელოვანია (221) ან პოლისემიურია<sup>1</sup> (2221), დამხმარე მორფი ორ ან მეტ მნიშვნელობას გადმოსცემს (2224).<sup>2</sup>

6. ალიევას მეთოდით შესაძლებელია იმის დადგენა, რა ფორმალური გამოხატულება აქვთ მორფემების სეგმენტებს, როდესაც ისინი ბმული გრამემების შემადგენლობაში შედიან, და არის თუ არა სეგმენტთა მნიშვნელობა მუდმივი.

როგორც ჩანს, არაბულისთვის ეტალონ ენად გამოყენებული უნდა იქნეს აგლუტინაციური ენა (ანალიზური დამხმარე ელემენტებით), რადგან მარტივად გამოსაყოფი ელემენტების დიდი რაოდენობა მეტყველებს აგლუტინაციურობაზე, შინაგანი ფლექსის (ვოკალიზმის) გავრცელება ფუზიასთან ერთად კი მხარს უჭერს ფინკის თეორიას, ამასთან, ინკორპორაციული ელემენტიც არ უნდა გამოვრჩეს მხედველობიდან.

### *Maia Andronikashvili*

#### **Some Remarks towards the Typological Research of the Arabic Language Morphology**

Traditional Arabic grammar contains in the rudimentary form quite a number of linguistic findings and effective methods of language research, that were further used in both, comparative grammar and contemporary typological linguistics. It must be mentioned, that transformative grammar with its deep and superficial structure, according to John Lyons' opinion, 'didn't contain any principal novelty, as the transformative relationships were well known in traditional grammar'. J. Lyons doesn't indicate, which traditional grammars he means. In the medieval Arabic grammars was used in fact a virtual method of the analysis of syntactical structures, *Taqdīr*, which contained the notions of deep and superficial structures.

It is also interesting whether traditional Arabic grammar gives meaning of the main notions, by which researchers operate in morphology: morph (allomorph), auxiliary morpheme, main morph, grammem. Traditional Arabic grammar knows zero morph, according to Arab grammarians, the absence of a sign is a sign. The special chapter of *I'rāb* will also give us possibility to answer the above given question. It doesn't belong either to syntax (*nahw*) or morphology (*tasrif*). It is titled *Bābu 'Alāmāti-l-I'rābi*, in which the signs of *i'rāb* are discussed. It is known, that *I'rāb* unites parts of speech of different classes (names and verbs) into one theory, according to the fact, that governing members and morphemes are identical (partially homonymic). As a result of this, the categories of declination and mood are formally discussed together. It must be mentioned, that such a qualification is

<sup>1</sup> მრავალი მნიშვნელობის გადმოცემა სხვა ნიშანია, პოლისემიურობა – სხვა. ბევრ სემიტოლოგიურ და ზოგადსაენათმეცნიერო ნაშრომში ეს ტერმინები სინონიმურია.

<sup>2</sup> Н. Алиева, დასახ. ნაშრ., стр. 85.

the example of a structural approach, as nowadays it is allowed to analyze together the entities, belonging to different classes, in the case of the existence of common positions. It is also noteworthy, that as an example of such grouping (homonymic morpheme in two paradigms and different in the third) J. Greenberg uses just the case of Arabic, when he writes about this phenomenon, specific for the main morphemes (“-ka is common for a verb and a name; different, morphologically caused morphs are only in the first person – *ī* and *nī*”).

The Arabs oppose to the forms of *i'rāb* the so called *binā'*, the forms which have the same endings in different cases. The genesis of the so called ‘non-declination’ and diptote, formed on phonetical basis, explained by the Arabs, is considered reasonable up today. As for the names of diptote without *tanwīn*, it is mentioned the influence of the category of sex on them, as well as grouping according to common and proper meaning and also more precise semantic nuances (e. g. names of towns and villages).

The problem, that emerged on the border of stem and auxiliary morph, was reflected in the controversy of Arabic grammar schools about the so called consonant of *i'rāb* in the so called weak roots, the analysis of which was transferred on the graphic level not without reason.

In the majority of languages whole phonemic composition takes place in the formation of main morph, while in the affix morphemes only restricted part is used. In Arabic grammars it is realized the separation of auxiliary morphemes and their inventarization, one of the most important purposes of linguistic analysis, besides, the whole consonant composition of morphs is united into a mnemonic word. Its decomposition gives 30 different affix morphs.

Is Arabic typologically different from other Semitic languages, as it became clear about the Georgian and Svan languages?

According to J. Greenberg, if the number of automatic morphemes (e.g. *ūna* > *awna*) is big, the agglutination index is high in the language.

According to A. Lekashvili, morphological element is characteristic to Arabic with the proportion 2:1 – each two grammatical category, formed by affixation, corresponds to one grammatical category, formed by inner vocalism.

In addition, for Arabic it seems relevant N. Fynck’s concept about the main typological classes of languages, where Arabic is characterized as *Wurzelflektierend* language.

As a preliminary note, at the moment it can be mentioned, that in the dialect it is chosen clearer analytic (agglutinative) construction (*yewsel*), which has synthetic-fusion form (*yasilu*) in Standard Arabic.

In Standard Arabic as well as in modern Arabic dialects there are a number of fusion forms in the levels, which contain the so called weak consonants, their derived stems, infinitives and participles.

Arabic grammemes are characterized by homonymic morphs and such segments, the word models, formed by inner vocalism, are also multifunctional (identical oppositions – masculine : feminine and singular : plural; masculine : feminine and collective : singulative).

In fusion languages the phonetical processes are mainly regressive. As an example of this serve numerous allomorphs of the article *-al*, formed as a result of regressive assimilation of consonants, but there is also progressive assimilation, both, full and partial (infix of the 8<sup>th</sup> stem).

In Arabic also occurs synharmonism, characteristic to agglutinative languages, both, progressive (*fī baytihimi-l-ğadīdī*) and regressive (in imperative: *uktub, iğlis*), which in its origin is regressive umlaut and it is characteristic to fusion languages.

It is known that from analytic languages to polysynthetic the average phonemic length of words increases. Arabic word is multi syllabic (*sayastaqbilūnātī*), but composition was not characteristic for Classical Arabic (instead of this there existed the structures, close to composition, binary expressions, etc). Nowadays Modern Standard Arabic vastly uses composition for creating the terms. Next stage is the compression with the elimination of syllables, as a result of which, the words' borders are united, that was characteristic to Arabic also earlier (the rule of *la*  $\square$  *Was*). The increase of composition index is more actively revealed in dialects (according to J. Greenberg, R/W, where R is the number of main morphs, while W is the entire number of words). Egyptian shows together written numeral and its noun, noun with pronoun (with any pattern), genitive constructions, whole sentences, both, nominal and verbal (verb together with object complement).

Finally, what concerns methodological and, especially, terminological exactness and order, for any linguistic research it is desirable and probably also necessary to take into consideration a fundamental article by N. Alieva – ‘Towards the principles of comparative-typological research of the morpheme composition of languages’, as far as the use of the principles, given there guarantees answers to any questions, raised during typological research, because the given system is absolutely perfect, optimal and it doesn’t contain the lacunas, caused by the multiplicity and variety of parameters. We can’t deal with it in more details, as the number of the parameters, which must be taken into consideration, is more than 80.

We will mention only some of the principles, which are especially important for us:

- 1) morpheme can be divided (150) or can not be divided into parts (151);
- 2) it is monosemantic (221) or polysemantic (2221), auxiliary morph expresses two or more meanings (2224).

Using the method of N. Alieva, it is possible to determine, what formal expression have the segments of morphemes, when they are included into the chained grammemes, and whether the meaning of segments is constant.

It seems that for Arabic as an etalon language must be used agglutinative language (with auxiliary elements), as far as a great number of elements, which can be easily separated and indicated, shows that the speech is agglutinative, while the inner flexion (vocalism) spreading together with fusion supports the theory of Fynck, besides, one mustn’t ignore incorporative element.

## **ფატი ანთაძე-მალაშხია სპარსულისა და ქართულის მიმართებისთვის ლინგვოდიდაქტიკაში**

ლინგვოდიდაქტიკაში განახლდა ინტერესი მშობლიური და უცხო ენის ერთეულთა და სტრუქტურათა შორის შესატყვისობათა მოძიების მიმართ. კორპუსული ლინგვისტიკის განვითარებამ ენათმეცნიერებს კვლავ მიაპყრობინა ყურადღება უცხო ენის მშობლიურ ენასთან შეთანადებით სწავლების მეთოდისათვის. სხვადასხვა ენებზე წარმოდგენილ პარალელურ ტექსტთა დიდი ელექტრონული ბაზების შექმნამ მკაფიოდ წარმოაჩინა მთარგმნელობით მიდგომაზე დამყარებული ტრადიციული ლინგვოდიდაქტიკის ლირსებები, კერძოდ, ის ფაქტი, რომ შესასწავლი ენის წყობა უკეთ მოიაზრება მშობლიური ენის მოხაცემებთან შეპირისპირების ფონზე. ამგვარი პრობლემატიკა იქცა როგორც ზოგადთეორიული განსჯის,<sup>1</sup> ასევე უცხო ენის სწავლების პრაქტიკულ შედეგებზე დაფუძნებული კვლევის საგნად.<sup>2</sup> ექსპერტთა მიერ უპირატესობის მინიჭებას უცხო ენის სწავლების სრულიად ერთენოვანი ან მის საპირისპიროდ ამ სწავლებისას მშობლიური ენის მოშველიების მიმართ ციკლური ხასიათი აქვს. გერმანული სამეცნიერო სკოლისათვის ტრადიციული და ფართოდ გავრცელებული გრამატიკულ-მთარგმნელობითი მეთოდი, რომელიც უცხო ენის შესწავლისას ათვლის სისტემად მშობლიურ ენას მოიაზრებდა,<sup>3</sup> XIX საუკუნის 60-იანი წლების დასასრულისათვის ლ. სუვერისა (L. Sauver) და მის მიმდევართა მიერ დანუნებულ იქნა როგორც ამეტყველებისა და კომუნიკაციური მიზნებისთვის გამოუსადეგარი და ჩანაცვლდა პირდაპირი/ბუნებრივი მეთოდით (Direct/Natural Method).<sup>4</sup>

ეს მეთოდი ფართოდ დაინერგა საფრანგეთსა და გერმანიაში, შემდგომ კი თავად ლ. სუვერისა (L. Sauver) და მ. ბერლიცის (M. Berlitz) მიერ ამერიკის შეერთებულ შტატებში.<sup>5</sup>

<sup>1</sup> M. Barlow, *Parallel Texts in Language Teaching – Proceedings of Teaching and Language Corpora*, eds. S. Botlex, J. Glass, T. Mc. Enery and A. Wiesen (Lancaster, 1996), 35-36; J. Nerbonne, Parallel Texts in Computer Assisted Language Learning. – Parallel Texts Processing Alignment and Use of Translation in Computer Assisted Language Corpora, ed. J. Veronics (Dordrecht, 2000), 229-311.

<sup>2</sup> J. Shepherd, *Bilingual Texts and Vocabulary Proficiency: Practice, Methodology and Linguistic Issues* (2001), eleqtr. versia:<http://Marifa.hct.ac.al>, pp.71-81. E. ST. John, A Base Using a Parallel Corpora and Concordance for Beginners of a Foreign Language. – Language Learning and Technology, Vol. 5. Num 3 (2001), 185-2013.

<sup>3</sup> J. Richards and T. Rodgers, *Approaches and Methods in Language Teaching* (Cambridge, 2001), 5 H. Stern, Fundamental Concepts of Language Teaching (Oxford, 1983), 455.

<sup>4</sup> J. Richards and T. Rodgers, *Approaches and Methods in Language Teaching*.

<sup>5</sup> იქვე, 12

უთარგმნელობასა და გრამატიკის ინდუქციურ სწავლებაზე დაფუძნებული პირდაპირი მეთოდი გადაიხედა XX საუკუნის 20-იან წლებში. აღმოჩნდა, რომ პირდაპირ მეთოდზე სრული მიჯაჭვულობა ხშირად კონტრპროდუქტიული იყო და მშობლიურ ენაზე მცირე განმარტების მიცემა დააჩქარებდა უცხო ენის გაგებისა და მისი შეთვისების პროცესს.<sup>1</sup> შემდგომ, მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობისას სამხედრო თარჯიმნების ინტენსიური და დაჩქარებული მომზადების აუცილებლობამ კვლავ ააღმორდინა ერთენოვანი მეთოდიკა აუდიოლინგვური მიმდინარეობის ფორმით,<sup>2</sup> თუმცა მომდევნო ათწლეულებში მიდგომები კვლავ იცვლებოდა.

უცხო ენის ერთენოვანი სწავლების პრობლემატიკას ყურადღება ფსიქოლინგვისტებმაც მიაპყრეს, რ. ბარუნმა აღწერა მარცხი, რომელსაც ის აკვირდებოდა ინგლისურენოვანთათვის იაპონური სიტყვების მნიშვნელობის იაპონურადვე ახსნისას და მიუთითა, რომ ამ შემთხვევაში თარგმანი ბევრად უფრო ეფექტური იქნებოდა.<sup>3</sup>

სადღეისოდ მეცნიერები უფრო მეტად იხრებიან იმ მოსაზრებისკენ, რომ არაა გამართლებული რომელიმე კონკრეტული მეთოდის აბსოლუტიზაცია და საჭიროა სხვადასხვა მიდგომათა კომბინირება. საუბრობენ რა უცხო ენის სწავლებაში პოსტმეთოდური ხანის დადგომაზე, რიჩარდსი და როჯერსი მიუთითებენ, რომ ეს სწავლება სხვადასხვაგვარი მეთოდისა თუ მიდგომის გამოყენებას, პრაქტიკისა და თეორიის სხვადასხვა პერსპექტივებიდან შეკვეთირებას უნდა ეფუძნებოდეს.<sup>4</sup>

ყურადსალებია, რომ ბრიტანულ მეცნიერთა (D. Vilkins, H. Widowson, C. Candlin, C. Brumfit, K. Johnson) მიერ შემუშავებული უცხო ენის სწავლების კომუნიკაციური მიმართულებაც, რომელმაც დიდწილად განაპირობა ევროსაბჭოს ლინგვოლიდაქტიური ხედვა,<sup>5</sup> გამართლებულად მიიჩნევს მშობლიური ენისა და თარგმანის საჭიროებისამებრ გამოყენებას უცხო ენის სწავლებისას.<sup>6</sup> ასევე ეფექტურად მიიჩნევა უცხო ენის შედარება სტუდენტისთვის ნაცნობ სხვა ენებთან. ამის მაგალითად შეიძლება მოვიტანოთ რუსული უნივერსიტეტებისათვის განკუთვნილი სპარსული ენის საბაზისო სახელმძღვანელო (სწავლების I კურსი), სადაც სპარსული გრამატიკა შეთანადებულია არა მხოლოდ რუსულ, არამედ ტაჯიკურ, არაბულ და ინგლისურ ენობრივ მასალასთან. სახელმძღვანელოს ავტორის თქმით, ამგვარი მიდგომა პირველ რიგში, ხელს უწყობს ენათა შორის ტიპოლოგიურ მსგავსება-განსხვავებათა

<sup>1</sup> J. Richards and T. Rodgers, *Approaches and Methods in Language Teaching*, 13

<sup>2</sup> იქვე, 67

<sup>3</sup> იქვე, 250.

<sup>4</sup> R. Brown, A. *First Language* (Cambridge. 1973), 5.

<sup>5</sup> J. Richards and T. Rodgers, *Approaches and Methods in Languge Teaching*, 154.

<sup>6</sup> იქვე, 156

აღქმას და ასევე ეხმარება სხვა უცხო ენებს დაუფლებულ პირებს ანალოგიის პრინციპით სპარსული გრამატიკის ათვისებაში.<sup>1</sup>

უცხო ენის შესწავლისას ათვლის წერტილად მშობლიური ან სხვა ნაცნობი ენის მოაზრება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ზრდასრულ პირთა სწავლებისას, რადგან ზრდასრულები სრულიად ახალ და უცნობ ინფორმაციას უმეტესწილად გაცნობიერებული გზით აღიქვამენ. ამგვარი აღქმის საუკეთესო ხელშემწყობი პირობა ახალი მასალის კარგად ნაცნობ ფაქტებთან შეპირისპირებაა. უცხო ენის მშობლიურ/კარგად ნაცნობ ენასთან შეთანადებული გაცნობიერებული სწავლება მით უფრო გამართლებულია უმაღლესი სკოლის სტუდენტთათვის, რომლებმაც ენა უნდა აითვისონ არა სტიქიურად, როგორც ეს ხშირად ბავშვებთან ხდება ან მხოლოდ კომუნიკაციური მიზნებისათვის, არამედ სტრუქტურირებულად და მაქსიმალური გააზრებით. ბუნებრივია, რომ ამ ტიპის, ანუ ენის წყობის უფრო ღრმა წვდომაზე ორიენტირებული სწავლების მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება მაშინ, როცა შესასწავლი უცხო ენა სტუდენტის მომავალი პროფესიაა ან ამ პროფესიის ნაწილი, ვთქვათ, ირანისტისთვის სპარსული.

ჩვენი გამოცდილებიდან გამომდინარე მივიჩნევთ, რომ უნივერსიტეტში მშობლიურ ენასთან მიმართებით უცხო ენის ნულოვანი დონიდან შესწავლა ერთი სემესტრით უნდა შემოიფარგლებოდეს და მყარ ბაზას ქმნიდეს ერთენოვან სწავლებაზე გადასასვლელად. აქვე დავძენთ, რომ თარგმანის გამოყენება და მშობლიურ ენასთან შეპარისპირება სწავლების შემდგომ საფეხურებზეც არ უნდა იყოს უგულებელყოფილი, რადგან ახალი ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ერთეულისა თუ გრამატიკული სტრუქტურის შესასწავლ ენაზევე მოცემული განმარტების გაგება სტუდენტისგან ამ ენის არცთუ მცირე ცოდნას მოითხოვს და შესაბამისად ეფექტურია იმ ეტაპზე, როცა სტუდენტის ენობრივი კომპეტენცია არ აბრკოლებს მშობლიური ენის სრული გამორიცხვით ახსნის პროცესს.

წინამდებარე სტატია ეხება ქართულენოვან სტუდენტთა საუნივერსიტეტო სწავლებისთვის განკუთვნილი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სპარსული ენის საბაზისო სახელმძღვანელოს შედგენის პრინციპებს. XX საუკუნის 30-იანი წლებიდან დღემდე გრამატიკის, საკითხავი წიგნის, ქრესტომათისა თუ სასაუბრის სახით ქართველ ავტორთა მიერ გამოცემულია სპარსული ენის არაერთი ძირითადი თუ დამხმარე კარგი სახელმძღვანელო, მაგრამ ენობრივი კომპეტენციის შეფასების თანამედროვე კრიტერიუმები და ლინგვოდიდაქტიკის სადღეისო დონე გვკარნახობს მეტი დეტალიზებით კომენტირებული ახალი სასწავლო ლიტერატურის მომზადებას. პირველ რიგში, ეს ეხება ქართულთან მიმართებაზე აგებულ და ნულოვანი დონისთვის გამიზულ სახელმძღვანელოს.

<sup>1</sup> В. Б. Иванов, Учебник персидского языка (Москва, 2015), 3.

ირანელ ავტორთა მიერ არასპარსულენოვანთათვის მომზადებულ და ქართულ უნივერსიტეტებში სადღეისოდ წარმატებით გამოყენებულ ოთხობიას სახელმძღვანელოებში<sup>1</sup> გათვალისწინებულია ნაცნობ ენასთან შეპირისპირების ფაქტორი და შესაპირისპირებელ ენად ინგლისურია წარმოდგენილი მისი საერთაშორისო სტატუსის გამო. მეორე ტომიდან ინგლისურს განმარტებისა და კომენტირებისას თანდათანობით ანაცვლებს სპარსული, ოთხივე ტომზე დართული ლექსიკონი სპარსულ-ინგლისურ-სპარსულია. ამგვარი მიდგომა სავსებით სწორია, რადგან განმარტებითი ტიპის (სპარსულ-სპარსული) ლექსიკონის სასწავლო მიზნით გამოსაყენებლად ხსენებულ სახელ-მძღვანელოთა მომხმარებელ სტუდენტს ჯერ კიდევ არა აქვს სპარსულის სათანადო ცოდნა.

საწყისი დონიდან სპარსულის საწავლებისას შესაპირისპირებლად ინგლისურის გამოყენება გამართლებულია სტუდენტთა ინტერნაციონალურ ჯგუფებში, როცა პრაქტიკულად გამოირიცხება თითოეული სტუდენტის მშობლიური ენის გათვალისწინება, მაგრამ თუ ჯგუფის ყველა წევრისათვის ერთი და იგივე ენაა მშობლიური, ბუნებრივია, მასზე ორიენტირება გააუმჯობესებს საწავლების ხარისხს.

უცხო ენის სწავლებისას უსათუოდ გასათვალისწინებულია გარე-მოება, როცა მშობლიურ და შესასწავლ ენას ხანგრძლივი ისტორიული ურთიერთობები აკავშირებს,<sup>2</sup> ამგვარი ურთიერთობის შედეგად შემოსულ ენობრივ ნასესხობათა რესურსის სასწავლო მიზნით გამოყენება, ხელს უწყობს სტუდენტის ადაპტირებას სრულიად ახალ ენობრივ გარემოსთან. ამ თვალსაზრისით, ქართულენოვანი სტუდენტებისათვის სპარსული ენის სწავლებას კარგი ნიადაგი აქვს, რადგან ქართულს ყველაზე ხანგრძლივი ურთიერთობები ირანულ ენობრივ სამყაროსთან აკავშირებს. ეს ურთიერთობები მოიცავს როგორც ზოგადად ირანულ ენათა, ასევე კერძოდ სპარსული ენის განვითარების სამივე (ძველ, საშუალო, ახალ) საფეხურს და გულისხმობს პერიოდს ჩვენი წელთაღრიცხვამდელი პერიოდიდან თითქმის XIX საუკუნის ჩათვლით.<sup>3</sup>

ცხადია, ქართულ უნივერსიტეტში სპარსული ენის სწავლებისას სპარსულისა და ქართულის მიმართებათა მხოლოდ ნასესხობების კუთხით გათვალისწინება არასაკმარისია. უმთავრესია სწავლებისათვის ტიპოლოგიური ხასიათის მინიჭებასა და შესაბამისად, შესასწავლ

<sup>1</sup> Y. Samareh, *Persian Language Teaching*. Vol. 1-4 (Teacher, 2005/1384)

<sup>2</sup> ფ. ანთაძე, ენებს შორის ისტორიული ურთიერთობის ფაქტორისათვის ლინგვისტიდაქტიკაში. - საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია – სახელმწიფო ენის სწავლების საკითხები, პრობლემები და გამოწვევები (ბათუმი, საქართველო, ივლისი 14-15, 2011), 31.

<sup>3</sup> მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობებიდან, ტ. I (თბილისი, 1966); მ. ანდრონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობებიდან, ტ. II (თბილისი, 1996); ნ. ბართაია, ქართულში შემოსული სპარსული ლექსიკა (თბილისი, 2011).

და მშობლიურ ენათა შორის მსგავსება-სხვაობათა წარმოჩინებაზე გენის აღება. საბაზისო სახელმძღვანელოში სპარსულ და ქართულ ენათა შეპირისპირებამ ელემენტარულ დოხეზე უნდა მოიცვას ფონეტიკურ-ფონოლოგიური, ანბანური, მორფოლოგიურ-სინტაქსური და ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური ასპექტები.

სპარსულის საბაზისო სახელმძღვანელოს მიმართ სტატიაში წარმოდგენილი მიდგომა ეფუძნება ჩვენ მიერ შემუშავებულ ერთსემესტრიან კურსს, რომელიც ორგზისაა (2014; 2016 წლებში) აპრობირებული ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ირანისტიკის საბაკალავრო პროგრამის პირველი კურსის სტუდენტებთან.<sup>1</sup> ჩვენი მიდგომა გარკვეულწილად კორექტირებულია გავლილი სასწავლო კურსის მიმართ სტუდენტთა მიერ გამოხატული მოსაზრებებისა და შეფასებების გათვალისწინებით.

სპარსულის, როგორც უცხო ენის საუნივერსიტეტო პროგრამა აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს ირანში საადის ფონდის მიერ 2015 წელს შემუშავებული სპარსული ენის ძირითადი დოკუმენტს (CIFT),<sup>2</sup> რომლის შედეგენისას მხედველობაში მიღებულია ენობრივი კომპეტენციის შეფასების შვიდი სისტემა.<sup>3</sup> ამ სისტემათაგან CIFT მნიშვნელოვანი და ეფუძნება ევროსაბჭოს სტრატეგიის ძირითად დოკუმენტში (CEFR)<sup>4</sup> წარმოდგენილ სტანდარტებს და მათ სხვა სისტემებთან შეჯრების შედეგად გარკვეული სახეცვლილებით უსადაგებს სპარსულის ფლობის შეფასებით მოდელს.<sup>5</sup>

CETR-ის მიხედვით, ენობრივი კომპეტენცია მოიცავს სამ ძირითად დონეს (A - ენის ელემენტარული ფლობა; B - ენის თვითკმარი ფლობა; C - ენის თავისუფალი ფლობაა). თავისი ქვედონებითურთ(A1, A2, B1, B2, C1, C2) და გულისხმობს ოთხ უნარს- მოსმენას, კითხვას, საუბარსა და წერას.<sup>6</sup> საადის ფონდის დოკუმენტში (CIFT) ზემოხსენებულ სამ დონეს ემატება ერთი საწყისი დონე N (Novice),<sup>7</sup> რომელიც წინ უსწრებს ელემენტარულ A (A1; A2) დონეს და საკმაოდ მცირე ცოდნას გულისხმობს.

ამრიგად, CIFT-ის სპარსული ენის სწავლების პროგრამა წარმოდგენილია ოთხი დონითა (N; A; B; C) და შესაბამისად, რვა ქვედონით (N1,

<sup>1</sup> ამ პროგრამაში სპარსულის სწავლება შვიდ სემესტრზეა განაწილებული და იწყება პირველი სასწავლო წლის მეორე სემესტრში.

<sup>2</sup> Common Iranian Framework for Teaching Persian ელექტრ. ვერსია <http://www.boniyâd/saadi@gmail.com> (2016)

<sup>3</sup> იქვე ,11

<sup>4</sup> Common European Framework of reference for languages. Learning.Teaching. Assessment. ელექტრ. ვერსია <http://www.coe.int/dg4/linguistic/source/Framework-EN.pdf>

<sup>5</sup> Common Iranian Framework,26-27

<sup>6</sup> Common European Framework,24-26

<sup>7</sup> Common Iranian Framework, 26

N2, A1, A2, B1, B2, C1, C2). თითოეული ქვედონე ცალკეულ საფეხურებად იყოფა – N დონე მხოლოდ ორ- N<sub>1</sub> და N<sub>2</sub> ქვედონეს მოიცავს; A1, A2, B1, B2, C1 ქვედონეები ოთხ საფეხურს, C2 კი ხუთს. CIFT-is საათობრივი ბადე შემდეგნაირადაა გადანაწილებული: N- 80 საათი (N1 – 40 სთ, N2 – 40 სთ); A1 – 160 საათი (A1-1- 40 სთ, A1-2- 40 სთ, A1-3- 40 სთ, A1-4-40 სთ); 160 (40 + 40 + 40 + 40) სასწავლო საათია ასევე განკუთვნილი A2, B1, B2 და C1 ქვედონეებისთვის, ხოლო C2 ქვედონე ხუთ საფეხურად იყოფა. თითოეული საფეხური ორმოც-ორმოც სასწავლო საათს საჭიროებს, მთლიანობაში კი C2 ქვედონე – 200 საათს, ასე რომ, სასწავლო საათების ყველაზე მცირე რაოდენობა შეესაბამება N დონეს (80 სთ), ყველაზე დიდი – C დონეს (360 სთ – 160 + 200), A და B დონეებისთვის კი განერილია თითოეულზე 320 (160 + 160) საათი. სასწავლო საათების ერთიანი რაოდენობა N დონიდან C-ს ჩათვლით 1080-ია. ერთი სასწავლო საათი ასწუთიანია.<sup>1</sup> ამგვარი საკმაოდ რეალისტური დაგეგმარება შეუსაბამობაშია სპარსული ენის პროგრამის საათობრივ ბადესთან ქართულ უნივერსიტეტებში, სადაც სასწავლო საათი 50 ან 60-წუთიანია, ხოლო სპარსულის სასწავლო პროგრამისთვის განკუთვნილი დრო მერყეობს 570-დან 1024 სასწავლო საათამდე.<sup>2</sup>

რამდენადაც ქართველ სტუდენტებს უფრო მცირე დროში უწევთ სპარსული ენის შეთვისება, ირანისტების საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სპარსულის ცოდნის მაქსიმალური ნიშნული უკეთეს შემთხვევაში C1 ქვედონეა. C2-ის ფორმატის დაძლევა რეალურია სამაგისტრო პროგრამაში. ჩვენ უნივერსიტეტებში წარმოდგენილი სპარსული სასწავლო პროგრამის შედარებით მცირე საათობრივი ბადე გვკარნახობს უფრო შემჭიდროებული და ინტენსიური სწავლების აუცილებლობას. ამავდროულად პროფესიონალი ირანისტის მომზადებისას გეზი ასაღებია სხვადასხვა ენობრივი ასპექტის (ფონეტიკურ-ფონოლოგიური, ანბანური, მორფოლოგიურ-სინტაქსური, ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური, სტილისტური) უფრო სტრუქტურირებულ სწავლებაზე.

ვფიქრობთ, მეტი სტრუქტურირებულობისადმი სწრაფვა მაქსიმალურად უნდა აისახოს პირველი სემესტრისთვის გამიზნულ საბაზისო სახელმძღვანელოში. ამ სახელმძღვანელომ უნდა მოიცვას N(N<sub>1</sub>, N<sub>2</sub>) საწყისი დონე, მაგრამ CIFT-ში წარმოდგენილი ამ დონის შესაბამისი

<sup>1</sup> Common Iranian Framework. 26-27; 61

<sup>2</sup> აკაკი წერეთლის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში - 570 სასწავლო საათი 8 სემესტრის განმავლობაში (თითოეული სემესტრი 15 კვირიანა); საქართველოს უნივერსიტეტში - 576 სასწავლო საათი (რვასემესტრიანი პროგრამა), თითოეული სემესტრი 15 კვირიანა; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 780 სასწავლო საათი (შვიდსემესტრიანი პროგრამა, თითოეული სემესტრი 15 კვირიანა), თავისუფალ უნივერსიტეტში 1024 სასწავლო საათი (რვასემესტრიანი პროგრამა, თითოეული სემესტრი 16 კვირიანა).

სტანდარტის გარკვეული გადააზრებით, კერძოდ, გრამატიკაზე აქცენტირებით. აქვე დავძენთ, რომ გრამატიკაზე აქცენტირებისა და მისი გაფართოებული სწავლების პრინციპითაა ასევე აგებული ირანისტიკის მიმართულების რუსულენოვანი სტუდენტებისათვის განკუთვნილი პირველი კურსის თანამედროვე საუნივერსიტეტო სახელმძღვანელო, რომელიც ირანელ ექსპრტთა რჩევების გათვალისწინებითაა დაწერილი.<sup>1</sup> ავტორები მიუთითებენ, რომ წიგნში წარმოდგენილი გრამატიკული მასალა ფაქტობრივად ასახავს სპარსული ნორმატიული გრამატიკის თითქმის ნახევარს.<sup>2</sup> ამგვარი მიდგომა ნაკარნახევი უნდა იყოს მომავალი ირანისტისათვის სპარსულის საწყისი ეტაპიდანვე სტრუქტურირებული სწავლების საჭიროებით, რადგან პროფესიონალის მომზადებისას ძირითადი ორიენტაცია ვერ იქნება აღებული ენის მხოლოდ კომუნიკაციურ ასპექტზე.

ჩვენ მიერ შემუშავებული საცდელი კურსის გავლისას სტუდენტებმა ადვილად დაძლიერს იმ გრამატიკული მასალის ნაწილი, რომელიც მოყადამისა და სამარეპის სახელმძღვანელოებში ორ ტომზეა განაწილებული. საადის ფონდის რეკომენდაციის მიხედვით კი, ჩვენ მიერ დაწყებით კურსში მოცემული ზოგიერთი საკითხის, კერძოდ, გრამატიკულ დროთა უმეტესი ნაწილის გავლა B დონეზეც გრძელდება.<sup>3</sup> რაც შეეხება ლექსიკურ-ფრაზეოლოგიურ მარაგს, სტუდენტებმა შეითვისეს 600-ზე მეტი ერთეული, თუმცა ეს ჯგუფები ჩვენი პროგრამის პარალელურად სხვა პროფესორთან მოყადამის პირველ ტომს გადიოდნენ, რომლის ლექსიკონი 350 სიტყვისგან შედგება. შესაბამისად, შეთვისებული 600-ზე მეტი ერთეულიდან ნახევარზე მეტი მოყადამის სახელმძღვანელოდან იყო ნასწავლი. პირველივე მეცადინეობიდანვე ჩვენ მიერ მიწოდებული ლექსიკა შერჩეული იყო ლემენტარული გრამატიკისთვის რელევანტური სიტყვების, უმარტივესი კომუნიკაციური ერთეულებისა და ქართულში ხშირად გამოყენებულ სპარსულ ნასესხობათა ეტიმონების ბაზაზე, ვითვალისწინებდით ასევე ლექსიკის თემატური დიფერენცირების პრინციპს. თავიდანვე მივუთითებდით სალიტერატურო და სასაუბრო სპარსულის განმასხვავებელ მარტივ სტილისტურ მახასიათებლებზე.

სტუდენტები აღნიშნავენ, რომ საცდელი კურსის გავლისას გრამატიკის გარკვეულნილად ნინსნრებით სწავლამ და სისტემური პრინციპით შერჩეული ლექსიკისა და ფრაზეოლოგიის შეთვისებამ მათ გაუადვილა სწავლების შემდგომი ეტაპის (II სემესტრის პროგრამის) დაძლევა. ეს ეტაპი მოიცავდა მოყადამის სახელმძღვანელოს მეორე ტომსა და ენობრივი თვალსაზრისით შედარებით მარტივ ნიმუშებს სპარსული

<sup>1</sup> В. Б. Иванов, З. Абольхасани, Учебник персидского языка (для I года обучения) (Москва, 2014).

<sup>2</sup> იქვე, 2.

<sup>3</sup> Common Iranian Framework, 54-55.

კლასიკური პოეზიიდან (რუდაქი, ხაიამი). სტუდენტების აზრით, უმჯობესი იქნება პირველ სემესტრში მხოლოდ საბაზისო ქართულთან მიმართებაში შედგებილი სახელმძღვანელოს გამოყენება და მოყადამის ან სხვა ერთეულგან სახელმძღვანელოზე მეორე სემესტრში გადასცლა. ისინი იზიარებენ ჩვენს მოსაზრებას, რომ მოყადამის მეორე ტომამდე მანიც საჭიროა პირველი ტომის დაჩქარებულად გავლა მიუხედავად მისი სანციისი ნულოვანი დონისა. პირველ სემესტრში მიღებული ცოდნის საფუძველზე ამას დასჭირდება არა უმეტეს ერთი თვისა (32 სასწავლო საათი ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის სპარსული ენის პროგრამის 120-სათიანი ბადიდან). სანციისი პირველი ტომის გავლას ნაწილობრივ გამეორებითი ხასიათი ექნება. სტუდენტი განიმტკიცებს პირველ სემესტრში მიღებულ ცოდნას და ლექსიკურ-ფრაზოლოგიური თეალსაზრისით გარკვეულნილად შეაქებს მას. რაც მთავარია, ის გამოიმუშავებს სრულიად ახლებური ტიპის არამთარგმნელობით მიდგომაზე აგებული სავარჯიშოების შესასრულებელ უნარ-ჩვევებს. ამგვარ სავარჯიშოებში იგულისხმება აუდირებაზე დაფუძნებული დავალებები, წინადადებაში გამოტოვებული სიტყვების ჩასმა, სწორი და მცდარი ფორმების გარჩევა, სპარსულად დასმული შეკითხვები-სათვის სრული პასუხის გაცემა, მარტივი ენით მცირე თხზულების დაწერა. სტუდენტისთვის ჩვეული გახდება სავარჯიშოების მითითებათა სპარსული კლიშეები. ამგვარი მითითებები თავიდან ინგლისურადა მოცემული, პირველი ტომის მეათე გაკვეთილიდან მითითებების ენა სპარსულით ნაცვლდება. ჩვენ მიერ მოსამზადებელ საბაზისო სახელმძღვანელოში წარმოდგენილმა შედარებით ფართო გრამატიკულმა ფორმატმა უნდა დაფაროს მოყადამის მეორე ტომის მასალა, რაც ამ ტომის გავლასაც დააჩქარებს. ამრიგად, მეორე სემესტრში სტუდენტებისთვის პრიორიტეტული ხდება არა მთარგმნელობით-გრამატიკული, არამედ კომუნიკაციურ პრინციპზე აგებული სახელმძღვანელოები, თუმცა მათ პარალელურად ეფექტური იქნება პარალელური (სპარსულ-ქართული) ტექსტების გამოყენება. ეს თემა ცალკეულ განხილვას საჭიროებს და მას წარმოდგენილ სტატიაში არ შევვხებით.

პირველივე ლექციაზე სპარსული ენისა და მისი ისტორიის შესახებ მოკლე ცნობების მიღების შემდეგ სტუდენტები უნდა შეუდგნენ როგორც ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური, ასევე გრამატიკული ელემენტებისა და ანბანის დაუფლებას. არაბული დამწერლობის მცირედი მოდიფიცირებით შემუშავებული სპარსული ანბანი ქართველი სტუდენტისთვის საკმაოდ უჩვეულოა, ვგულისხმობთ მარჯვნიდან მარცხნივ წერას, ნაწილობრივ გაუხმოვანებლობას (ინერება მხოლოდ თანხმოვნები და გრძელი ხმოვნები), ასოებს ზემოთ გამოსახული გასახმოვანებელი და სხვა დიაკრიტიკული ნიშნების არსებობას, ასოსა და ბგერის სპარსულ შესაბამისობას, კერძოდ, ერთი და იმავე ბგერის, მაგალითად, z-ს გამოსახვას ოთხი სხვადასხვა ასოთი. სირთულეს ქმნის ასევე ერთი

და იმავე ასოს სხვადასხვაგვარი გამოსახვის საჭიროება ასოს პოზიციის (თავკიდური, შუალედური, ბოლოკიდური) მიხედვით სიტყვაში. ზე-მოთქმულის ფონზე, ქართველი სტუდენტის მიერ ამ სპეციფიკური ან-ბანის შესათვისებლად, საჭიროდ მივიჩნევთ სწავლების ოდნავ გახან-გრძლივებულ ორკვირიან ფორმატს, რაც შეესაბამება 16-18 საათს ივა-ნე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპარსული ენის საბაკალავრო პროგრამის 120 - საათიან ბადეში.

ანბანის შესწავლასთან შედარებით, სპარსული ბგერითი სისტემის დაუფლებისას ქართველი სტუდენტები ბევრად უფრო კომფორტულ მდგომარეობაში არიან, რადგან მათ არ უცხოებათ სპარსულ ბგერათა უმეტესი ნანილი. სტუდენტები, რაც შეიძლება მარტივი სახით, პირ-ველ-მეორე მეცადინეობაზევე უნდა გაეცნონ სპარსულ და ქართულ ფონეტიკურ სისტემათა მიმართებებს. პირველ რიგში, მისათითებელია სტანდარტულ ქართულში არარსებული თანხმოვნები, ესენია ნაპრა-ლოვანი კბილბაგისმიერი I, ნაპრალოვანი შუაენისმიერი სონორი y, რომელსაც ქართული ფონეტიკური ტრადიცია **ა** ნიშნით გამოსახავს და ხმული ხორხისმიერი მსკდომი ’ქართული ფონეტიკური ტრადიციით **ც**-თი გამოხატული. ორი უკანასკნელი ბგერა არაა უცხო ქართველურ ფონეტიკური სისტემისთვის, **ა** გვხვდება რიგ დიალექტებში, **ც** კი მეგ-რულში. და **ც** ენათმეცნიერებს შეტანილი აქვთ ქართულ თანხმოვანთა ცხრილში.<sup>1</sup>

ყურადღება გასამახვილებელია იმ სპარსულ ბგერათა წარმოთქმის წესზე, რომლებიც ერთი შეხედვით ჰგვანან ქართულში არსებულ შესატყვის ბგერებს, მაგრამ სინამდვილეში არსებითად განსხვავდებიან მათგან, ეს სხვაობა ძალიან მკვეთრად ჩანს ხმოვანთაგან ქართული **ა-სა** და სპარსულ ე.ნ. მოკლე **ა-სა** და გრძელი **ა/ა-ს**<sup>2</sup> მიმართების ფონზე.

შუა რიგის ქართული **ა-სგან** განსხვავებით, ნინა რიგისმიერობის-კენა მიდრეეკილი სპარსული **ა**,<sup>3</sup> რომლის წარმოთქმისას ენა ქვედა კბილებს ებჯინება,<sup>4</sup> ხოლო **ა/ა** უკანა რიგის ოდნავ ლაბიალიზებული ხმოვანია.<sup>5</sup>

თანხმოვანთაგან ყველაზე მეტად თვალშისაცემია განსხვავება **ლ/ლ-ს**, **ქ/ქ-სა** და **გ/გ-ს** ქართულ და სპარსულ ვარიანტებს შორის.

<sup>1</sup> გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები (თბილისი, 1999), 91; ს. ულენტი, ქართული ენის ფონეტიკა (თბილისი, 1958), 182.

<sup>2</sup> ეს ხმოვანი ტრადიციულად ლათინური ტრანსკრიფიით **ჲ** ნიშნით გამოიხატება, თუმცა შემდგომ საერთაშორისო ირანულ ტრანსკრიფიამ მის აღსანიშნად **ჲ** გამოიყენა.

<sup>3</sup> ჯ. გოუნაშვილი, სპარსული ენის სახელმძღვანელო (თბილისი, 1987), 10.

<sup>4</sup> Ю. Рубинчик, *Грамматической очерк персидского языка – Персидско-русский словарь*, I-II том (Москва, 1970) II том, 795.

<sup>5</sup> იქვე, 794-795.

ქართულ ლ-სა და სპარსულ I-ს ნარმოთქმის ადგილი განასხვავებთ. სტანდარტული ქართული ლ ენაკბილისმიერია.<sup>1</sup> სპარსული I კი წინა-ენისმიერ-ნუნისმიერი, რომლის ნარმოთქმისას ენა ნუნებს ებჯინება, რაც არბილებს ამ ბგერას.<sup>2</sup> სირბილის ხარისხით სპარსული I ჰგავს არაძლიერად პალატალიზებულ მეგრულ ლ-ს, არამედ უფრო ზომიერად რბილ „სოციალურ“ ქართულ ლ-ს, რომელიც დამახსასიათებელია არც-თუ წიგნიერი მეტყველებისათვის.

ქართული უკანაენისმიერი ქ-სა და გ-სგან განსხვავებით სპარსული შუა ენისმიერი k და g სირბილით განირჩევა, თუმცა უკანა რიგის ხმოვნების (å/ä, o, ü) წინ უკანაენისმიერ და შესაბამისად მაგარ ბგერებად გვევლინება.<sup>3</sup> სპარსული k და g რბილ და მაგარ ვარიანტებს შორის სხვაობას სტუდენტები ადვილად აღიქვამენ k-სა და g-ს მომდევნო ე.წ. მოკლე ä-სა და გრძელი å/ä-ს მიხედვით მინიმალურად დაპირისპირებული წყვილების მაგალითზე. (იხ. gäz-1., სიგრძის საზომი ერთეული, 2. „ჰალვის სახეობა“ და gáz I. „გაზი“; II. „ნაკბენი, კბენა“ ან käm „მცირე(დ)“ და käm „სურვილი“).

წინა ენისმიერი აფრიკატების č და j სპარსულში ქართული ჩ-სა და ჯ-სგან განსხვავებით რბილად წარმოითქმის.<sup>4</sup> ცხადია, განსხვავებები არის სხვა სპარსულ და ქართულ ბგერებს შორისაც, მაგრამ სწავლების საწყის ეტაპზე ყურადღებას ვამახვილებთ კველაზე არსებითი სხვაობების მიმართ.

სპარსულ და ქართულ ბგერებს შორის ზემოთ მითითებული განსხვავების ასათვისებლად, როგორც უკვე ალვნიშნეთ, ორი მეცადინეობა სავსებით საკმარისია. ამ ორ მეცადინეობაშივეა განმარტებული სპარსული პროსოდიკის ერთ-ერთი უმთავრესი წესი - უმეტესწილად სიტყვის ბოლო მარცვლის მახვილიანობა. ამ წესიდან გრატიკულად განპირობებული გამონაკლისის ორი მაგალითიც (იზაფეთური e/ye -სა და განუსაზღვრელ -i არტიკლის უმახვილობა) პირველივე სასწავლო კვირაშია მიწოდებული. დროის ამ მონაკვეთშივე სტუდენტი ე.წ. ფრაზული პროსოდიკის ელემენტებსაც ეცნობა განასხვავებს რა უმახვილობის მიხედვით, äst „არის“ ფორმას მახვილიანი nist „არ არის“ ფორმისგან. ამავდროულად სტუდენტს ეძლევა განმარტებები სპარსული თხრობითი და კითხვითი წინადადებებისა ინტონაციური კონტურის ადგილზე მარტივი წესების შესახებ. როგორც სიტყვის, ასევე ფრაზული მახვილი შეპირისპირებულია ანალოგიურ კატეგორიებთან ქართულში.

<sup>1</sup> გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, 91; ს. უდენტი, ქართული ენის ფონეტიკა, 182.

<sup>2</sup> Ю. Рубинчик, Грамматический очерк, 797.

<sup>3</sup> იქვე, 797.

<sup>4</sup> იქვე, 797.

<sup>5</sup> ი. თევდორაძე, ქართული ენის პროსოდიის საკითხები (თბილისი, 1978), 110-112.

ამრიგად, ქართულთან შეპირისპირების ფონზე სპარსული ფონეტიკური სისტემა და პროსოდიის პირველადი მონახაზის გაცნობას, ჩვენი დაკვირვებით, ორი-სამი ლექცია სჭირდება. ამ საკითხების შესახებ დამატებითი ინფორმაცია სტუდენტებს საჭიროებისამებრ მიენოდება სემესტრის განმავლობაში, რაც შესაბამისად აისახება სახელმძღვანელოში. ბუნებრივ სპარსულთან მაქსიმალურად მიახლოებული წარმოთქმისა და ინტონაციური კონტურის დაუფლებას ხელს შეუწყობს სახელმძღვანელოსათვის CD-ის დართვა, სადაც წიგნის პრაქტიკულად მთელი სპარსულენოვანი ნაწილი ენის მატარებლის მიერ იქნება გახმოვანებული.

სასწავლო მიზნით სპარსულ და ქართულ ბგერათა შეპირისპირებისა და სპარსული პროსოდიის გადმოცემის პირველი მცდელობა წარმოდგენილია ეკონომიკური გეოგრაფიის მიმართულების სტუდენტთათვის განკუთვნილ სპარსული ენის სახელმძღვანელოში,<sup>1</sup> რომლის გაკვეთილების მიხედვით ასევე მომზადებული იყო ლინგაფონის სავალდებულო კურსი. ამ სახელმძღვანელოს სპეციფიკა სპარსული მასალის ძირითადი ნაწილის ოდნავ მოდიფიცირებული ქართული ანბანით გადმოცემაა, რომელიც ავტორის თქმით, „ზედმინევნით ასახავს სპარსულ მეტყველებას“.<sup>2</sup> ამ 55-გაკვეთილიან სახელმძღვანელოში სპარსულ-არაბული გრაფიკის შესწავლა მხოლოდ 46-ე გაკვეთილიდან იწყება.

ჩვენ ვიზიარებთ მშობლიური ანბანის მეშვეობით ქართველი სტუდენტისათვის სპარსულის უფრო გაადვილებული სწავლების პრინციპს, თუმცა საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე ვთვლით, რომ ამგვარი პრაქტიკა 16-18 სასწავლო საათით უნდა შემოიფარგლებოდეს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჩვენი მიდგომა გულისხმობს ლექსიკურ-გრამატიკული ერთეულების პარალელურად ანბანის შეთვისებას. ამგვარი სწავლებისას სტუდენტი დროის იგებს და ეუფლება ელემენტარული სპარსული ლექსიკა-ფრაზეოლოგიისა და ფონეტიკური, პროსოდიული, ფონოსტილისტური და გრამატიკული წესების თუნდაც მწირ ცოდნას. ანბანის შესწავლის შემდეგ მომდევნო ორი გაკვეთილის ტექსტები და სავარჯიშოები ძირითადად უნდა ეფუძნებოდეს სტუდენტისათვის ნაცნობ მასალას, რომელიც უკვე ტრადიციული სპარსულ-არაბული გრაფიკით იქნება წარმოიდგენილი გრაფიკული ფორმით.

ყოველი გაკვეთილისა და ასევე სახელმძღვანელოს ბოლოს დართულ ლექსიკონში სიტყვებს თან უნდა ახლდეს ქართული ანბანის მიხედვით წარმოდგენილი ტრანსკრიფცია. სტუდენტები ასევე გაეცნობიან ბოლო პერიოდის ირანულ სახელმძღვანელოებში გამოყენებულ ლათინურ ანბანზე დაფუძნებულ ტრანსკრიფციასაც, რომელიც წიგნის ბოლოს დანართის სახით იქნება წარმოდგენილი.

<sup>1</sup> ჯ. გიუნაშვილი, სპარსული ენის სახელმძღვანელო. (თბილისი, 1987), 10.

<sup>2</sup> იქვე, 5.

მოკლედ წარმოგიდგენთ სახელმძღვანელოს პირველი ნაწილის შინაარსს, რომელშიც ლექსიკურ-გრაფიკული მასალა მხოლოდ ქართული გრაფიკით იქნება მოცემული.

სწავლების ამ ეტაპზე სტუდენტი ეუფლება როგორც წარმოთქმისა და ინტონაციის, ასევე გრამატიკის ელემენტებულ წესებს ძალზე შეზღუდული ლექსიკის ბაზაზე. ეს ლექსიკა ძირითადად სახელადი ლექსიკითა და დროისა და ადგილის ხშირად გამოყენებული რამდენიმე ზმნიზედითაა წარმოდგენილი, რომლებიც ქმნიან ანტონიმურ წყვილებს (მაგალითად, **håla** „ეხლა“ - **ånväqt** „მაშინ“; **injå** „აქ“- **ånjå** „იქ“) ან მნერივებს (მაგალითად, **päriruz** „გუშინ“- **diruz** „გუშინ“- **emruz** „დღეს“ - **färdå** „ხვალ“ - **päsfärdå** „ზეგ“). ამ ზმნიზედათა უმეტესობა კომპოზიციური ან სხვა ტიპის დერივატია, რომელთა ორივე ან ერთი კომპონენტი დამოუკიდებელი სიტყვაა (იხ. **in** „ეს“ + **jå** „ადგილი“ > „აქ“ ან **di+ruz**, II კომპონენტი „დღე“ > „გუშინ“), რაც სიტყვითა მარაგის მცირედ ზრდის საშუალებას იძლევა.

ანტონიმურობისა და ხშირი გამოყენების პრინციპითაა ასევე შერჩეული ზედსართავები (მაგალითად, **xub** „კარგი“- **bäd** „ავი, ცუდი“), ჩვენებითი (**in-** „ეს“ **ån** „ის“), კითხვითი (**če/či** „რა“; **ke/ki** „ვინ“) ან სხვა ტიპის ნაცვალსახელები. გამოყენების სიხშირისა და ანტონიმის მსგავსი შინაარსობრივი დაპირისპირების მიხედვითაა დაწყვილებული რიგი არსებითი სახელებისა (მაგალითად, **märd** „კაცი“ **zän** „ქალი“, **xoršid** „მზე“, **måh** „მთვარე“).

ლექსიკის სხვა სისტემური მახასიათებლები, კერძოდ, სინონიმია და პოლისემია ნაკლებადაა გათვალისწინებული დასასწავლი სიტყვების შერჩევისას. რამდენადაც სინონიმებისა და პოლისემანტის სიტყვათმნიშვნელობათა დასწავლა უფრო ეფექტურია საკმაოდ სავსე ლექსიკური მარაგის ფონზე, სინონიმებიცა და პოლისემანტებიც ძალზე მცირედ იქნება წარმოდგენილი სახელმძღვანელოს არა მხოლოდ საწყის, არამედ შემდგომ გაკვეთილებშიც. მათი მითითებისას ამოსავალი წერტილი იქნება სხვადასხვა სიტყვათმნიშვნელობისა და სინონიმთა გამოყენების ფაქტობრივად ერთნაირი სიხშირე (იხ. **måh** 1. „მთვარე“; 2. „ოვე“; **ämma,väli** „მაგრამ“). სინონიმთა შემთხვევაში მნიშვნელოვანია ასევე მაქსიმალური შინაარსობრივი იგივეობა და ნიუანსური განსხვავებების ფაქტობრივად არარსებობა.

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ ქართულენოვან სტუდენტთათვის სპარსულთან ადაპტაციის გასაადვილებლად გამოსაყენებელია სპარსული-დან ქართულში შემოსულ ნასესხობათა რესურსი. ამ ნასესხობებსა და

<sup>1</sup> ანბანის სწავლისას სპარსულ-არაბული გრაფიკით სტუდენტებს შეხვდება მხოლოდ ის სიტყვები, რომლებიც წარმოდგენილი იქნება როგორც ასოთა ურთიერთგანლაგების „გადაბმის საილუსტრაციო მაგალითები. შესწავლით ასოთა შესაბამისად, სტუდენტები ასევე გაეცნობიან ქართული ტრანსკრიფციით ნასწავლ სიტყვათა სპარსულ დაწერილობასაც.

მათ ეტიმონებზე ყურადღება პირველ ლექციებზე, ანბანის სწავლის პროცესში უნდა გამახვილდეს, რაც ხელს შეუწყობს და დააჩქარებს სტუდენტის მიერ სპარსულის გათავისების პროცესს. სასწავლო მიზნებით ძველ და საშუალო ირანულ ენობრივ პერიოდში შემოსულ ნასესხობათა გამოყენებას აზრი არა აქვს, რადგან ამ ნასესხობათა ეტიმონები თანამედროვე სპარსულში აღარ არსებობს ან ფონეტიკურად და სემანტიკურად სახეცვლილია.

სახელმძღვანელოში გამოყენებულ ნასესხობათა ქრონოლოგიური ჩარჩო ახალ ირანულ ენათა პერიოდით (დასაწყისი IX საუკუნე) უნდა შემოიფარგლოს. ახალი სპარსული სიტყვების ქართულში სესხების პროცესი თითქმის 10 საუკუნის განმავლობაში ინტენსიურად მიმდინარეობდა. ამ ნასესხობებმა მოიცვა მეტყველების თითქმის ყველა ნაწილი, პირველ რიგში არსებობი სახელები. საგანგებო კვლევები ქართულში შემოსული სპარსულ სუბსტანტივურ ნასესხობათა ლექსიკურ ჯგუფებშიგადანანილების მიხედვით, ჯერჯერობით არ ჩატარებულა, მაგრამ ზერელე დაკაირვებით ჩანს, რომ სესხების პროცესი დიდილად კონკრეტულ ლექსიკას შეეხო. საცდელი კურსის გავლისას ჩვენ სწორედ კონკრეტულ, სპარსულსა და ქართულში ხშირად გამოყენებულ, სტილისტირად ნეიტრალურ და შინაარსობრივად უცვლელ ლექსიკას ვარჩევდით. იხილეთ მაგალითად, **båq** „ბალი“, **ålubålu** „ალუბალი“, **šekär** „შაქარი“. ამგვარ მკაფიო და გაურთულებულ შესატყვისობებზე გეზის ალება სწავლებას ამსუბუქებდა და სპარსულის სრულიად უცოდინარ სტუდენტს უმცირებდა ენისაბმი უცხოობის გრძნობას. ამავე მიზნებს ემსახურებოდა ენობრივად მარტივი და ქართულში სპარსულიდან კალკირებული იდიომური გამოთქმების გამოიყენება, მაგალითად, **in gui vä, in meidân** „ჰა, ბურთი და მოედანი“.

ეთნონიმების, ენათა სახელნოდებებისა და სხვადასხვაგვარ ტოპონიმთა მაგალითად, ქვეყნებისა და მათი დედაქალაქების დასახელებათა თავიდანვე სწავლება ასევე მკვეთრად ნარმოაჩენს მიმართებებსა და გარკვეულ მსგავსებებს მშობლიურ და შესასწავლ ენებს შორის, მით უფრო, რომ რიგი ეთნონიმებისა თუ ტოპონიმებისა ქართულში სწორედ სპარსულიდან ჩანს შემოსული, მაგალითად, **rus** „რუსი“, **eng(e)lis**, „englestan“, „ინგლისი“, **moskou** „მოსკოვი“. შესაბამისად, ამ ტიპის ლექსიკის ენის სწავლის სასტარტო ეტაპზე შეთვისება ძალიან გაუადვილდათ სტუდენტებს.

ენობრივი გაუცხოების გრძნობის შესამცირებლად საილუსტრაციო მაგალითებში ვიყენებდით ასევე იმ სპარსულ ანთროპონიმებს, რომლებიც ქართულშიც დამკვიდრდა, ძირითადად ეს „შაპ-ნამეს“ პერსონაჟთა სახელებია, მაგალითად, **mehrâb** - მერაბი, **zâl** - ზაალი, **rostom** - როსტომი, **bîzän** - ბეჟანი, **giv** - გივი.

პირველივე ლექციებიდან ისწავლება ასევე რაოდენობითი რიცხვითი სახელები 1-დან 10-ის ჩათვლით. ეს სახელმძღვანელოშიც ქართულე-

ნოვან სტუდენტს ნაკლებად ეუცხოება, რამდენადაც ისინი წარმოადგენენ შეზღუდული ვალენტინის ნასესხობებს ქართულში გვევლინებიან რა ერთიდან ექვსის ჩათვლით ნარდის თამაშის ტერმინებად. იხ.**do - დო** „ორი“; **se - სე** „სამი“; **čähär/čär - ჩარი** „ოთხი“; **pänj - ფანჯი** „ხუთი“; **šeš/ šis - შაში** „ექვსი“. **yek** „ერთ“ – ის მაგივრად, ქართულ სანარდო ტერმინოლოგიაში გვხვდება **იაგანი**, რომლის ეტიმონია **yägåne** „ერთადერთი“, თუმცა ქართულში შემოსულია **იაქე**-ს ფორმით **yek**-იდან ნანარმოები დერივატი **yeke** „მარტო, მარტოსული“. იხ. **დარჩა იაქესავით**, ანუ „მარტო დარჩა“.

ფაქტობრივად, პირველ სამ-ოთხ ლექციაზევე ისწავლება სპარსულში მსაზღვრელ-საზღვრულის შეთანხმების წესები ქართულ მასალასთან შეპირისპირების ფონზე. ქართულის მსგავსად, ჩვენებითი ნაცვალსახელები და რაოდენობითი რიცხვითი სახელები მსაზღვრელებად გვევლინებიან პრეპოზიციურ წყობაში უსწრებენ რა წინ საზღვრულის, იხ. **in märd** „ეს კაცი“ ან **häft zän** „შვიდი ქალი“. რიცხვით და არსებით სახელთა რიცხვში შეთანხმების წესიც ქართულის ანალოგიურია - რაოდენობითი რიცხვითი სახელით განსაზღვრული არსებითი ყოველთვის მხოლობითის ფორმით გვხვდება, იხ. ზემოთ მოტანილი **häft zän** „შვიდი ქალი“.

სტუდენტები თავიდანვე ეცნობიან თანამედროვე ქართულისთვის არატიპიურ პოსტპოზიციურ წყობასაც, როცა საზღვრულს მოსდევს მსაზღვრელი. ამგვარი სტრუქტურა აიგება საზღვრულზე იზაფეთად წოდებული სპეციფიკური მორფების დართვით, რომელიც **e/ye** ალომორფების სახით გვხვდება. იზაფეთური პოსტპოზიციური წყობა ახასიათებს იმ სტრუქტურებს, სადაც მსაზღვრელი წარმოდგენილია არსებითით, ზედსართავით ან კუთვნილებითი ნაცვალსახელით.

სპარსულში კუთვნილებითი ნაცვალსახელები ცალკეულ ჯგუფებად არ გვხვდება. მათ ფუნქციას იზაფეთურ სტრუქტურაში ითავსებენ პირის ნაცვალსახელები **män** „მე“, **to** „შენ“, **u/un/vei** „ის“, **må** „ჩვენ“, **šomå** „თქვენ“, **ānhå/unå/išan/išun** „ისინი“ და უკუქცევითი ნაცვალსახელი **xod** „თვითონ“, რომლის მნიშვნელობაა „თავისი“, როცა ის მსაზღვრელად გვევილება. იხ. ზოგიერთი მაგალითი: **qähve-ye män** „ჩემი ყავა“, **däftär-e to** „შენი რვეული/დავთარი“, **åb-e šoma** „თქვენი წყალი“; **kårxâne-ye xod** „თავისი/საკუთარი ქარხანა“.

იზაფეთურ წყობასთან ერთად ისწავლება უმახვილო განუსაზღვრელი არტიკლი, რომლის მსგავსი ფუნქცია ქართულში აქვს განუსაზღვრელ ნაცვალსახელებს **ვილაც**, **რალაც** და განუსაზღვრელი ნაცვალსახელთა კატეგორიაში გადასულ რიცხვით სახელს „ერთი“, იხ. **märd-I** „ვილაც/ერთი კაცი“, **otäq-I** „რალაც/ერთი ოთახი“.

ანბანის შეთვისების პარალელურად მიმდინარე სწავლების საწყის ეტაპზე ზმნათა რაოდენობა მინიმალიზებულია. ისინი წარმოდგენილია მხოლოდ „ყოფნა“ და „ქონა-ყოლა“ ზმნების III პირის მხოლობითის

მტკიცებითი და უარყოფითი ფორმებით ანმყოსა და ნამყო დროში: **äst/e** „არის“ და **nist** „არ არის“; **(nä) bud** „(არ)იყო“ და **(nä)dåräd** „(არ) აქვს/(არ) ჰყავს“; „**(nä) dåst**“ (არ) ჰქონდა/(არ) ჰყავდა“<sup>1</sup>. მოცემულია ასევე **ki/ke** „ვინ“ და „**či/če** „რა“ კითხვით ნაცვალსახელებთან **äst/e-s** შერწყმით მიღებული ზმნური ფორმები **kist/kie?** „ვინ არის/ვინა?“ და **čist/čie?** „რა არის/რა“. განიხილება ასევე **äst**-ისა და მის სასაუბრო ვარიანტ ე-ს მორფონოლოგიური მხარე, კერძოდ, მათი შეერთების წესები თანხმოვნებზე, სხვადასხვა ხმოვნებსა და დიფთონგებზე დაბოლოებულ სიტყვებთან.

უცხო ენის სწავლება თითქმის ნულოვანი დონიდანვე ორიენტირებული უნდა იყოს კომუნიკაციური ერთეულების, პირველ რიგში, წინადადებების გენერირებაზე. ზემოთ მოტანილი ზმნური ფორმები იძლევა პრედიკატული, ანუ სახელადშემასმენლიანი მტკიცებითი და კითხვითი წინადადებების აგების საშუალებას. ამგვარ წინადადებათა გასამრავალფეროვნებლად და მათ ბაზაზე, რაც შეიძლება მეტი სათარგმნი სავარჯიშოს შესასრულებლად და მარტივი კომუნიკაციური მოდელების ასაგებად სტუდენტმა უნდა შეითვისოს მეტყველების სხვადასხვა ნაწილის მიკუთვნებული კომუნიკაციური ლირებულების ხშირად გამოყენებული ერთეულები, მაგალითად:

- ზემოთ მოტანილი დროისა და ადგილის აღმნიშვნელი და ამავე შინაარსის კითხვითი ზმნიზედები, ვთქვათ, **kei?** „როდის“, **koja/ku?**<sup>2</sup> „სად?“; ზომა-ოდენობის ზმნიზედა **xéili**, „ძალიან“;
- დროისა და ადგილის წინდებულები **tä** „-მდე“ (დროსთან და ადგილთან მიმართებაში); **där, tu(-ye)**, „-ში -ru(-ye)“, „-ზე“;
- კითხვითი ფუნქციით გამოყენებული რიცხვითი სახელი **čänd** „რამდენი?“ ან **če-qädr?** „რამდენი?“ (თვლად სახელებთან). ამ ერთეულთა გამოყენებით სტუდენტებს პრაქტიკული შემასმენლის შესახებ თუნდაც მნირი ცოდნითაც კი შეუძლიათ ააგონ კითხვა-პასუხზე დაფუძნებული უმარტივესი დიალოგები.
- მაერთებელი კავშირები **vä** „და“; **häm**, **niz** „-ც, „ასევე, აგრეთვე“; **häm.....häm** „...ც-ც“; **nä..nä** „არცარც“, **yå..yå** „ან...ან“ მაპირისპირებელი კავშირები **ämmä**, **likän**, **väli** „მაგრამ, თუმცა“; დამაზუსტებელი კავშირი **yå’ni** „ანუ“;

<sup>1</sup> რამდენადაც სწავლების ამ ეტაპზე მითითებული ზმნათა პირიელი ფორმები მხოლოდ III პირის მხოლობითი ფორმით გვხვდება, I და II პირის მხოლობითი და მრავლობითი და III პირის მრავლობითი ფორმის ნაცვალსახელები ანბანის შესწავლის დასრულებამდე საილუსტრაციო მაგალითებში მხოლოდ კუთვნილებითი ნაცვალსახელების ფუნქციით იქნება გამოყენებული.

<sup>2</sup> **koja**-სგან განსხვავებით, **ku** გამოიყენება ზმნის გარეშე, შდრ. სინონიმური **u(n) kojä-st?da/ u(n) ku?** „ის სადაა?“

- მტკიცებითი ნაწილაკები **bäli<sup>1</sup>/bäli/årce/åri** „დიახ“; უარყოფითი ნაწილაკები **nä/xer/na-xer** „არა“; **čera<sup>2</sup>**, როგორ არა“; მტკიცებით-უარყოფითი ნაწილაკი **nä čändån** „არც ისე“; გამაძლიერებელი ნაწილაკი **hättä** „-ცკი“; კითხვითი ნაწილაკები **magär?** აკა? „განა? განა კი? კი?“; **yå nä?** „თუ არა?“, რომელიც ალტერნატიულ შეკითხვებში გამოიყენება.

ზმნურ სტრუქტურათა შესახებ უკიდურესად შეზღუდული ცოდნის ფონზე მიზანშენონილია ისეთი კომუნიკაციური ერთეულების სწავლებაც, როგორიცაა უზმნო სიტყვა-წინადადებები, მაგალითად, **bäs!** „კმარა!“; **yävåš!** „წყნარად!, ხმადაბლა!“; **såket!** „ჩუმად!“.

რამდენადაც ანბანის შესწავლის დასრულებამდე სტუდენტი ძალზე მცირედ იცნობს ზმნის პირიელ ფორმებს, მის მიერ სპარსულის სოციოლინგვისტური ასპექტების დაუფლება გაძნელებულია. პირველ რიგში, ეს ეხება მოკითხვას, სადაც ზმნის პირიელი ფორმების გარეშე რთულია ფონს გასვლა. ამიტომაც ენის ელემენტარული ფლობის დონეზე გონივრულია მისალმებისა და გამომშვიდობების მოკლე ვარიანტებით შემოფარგვლა. ენობრივი ეტიკეტის საკითხები უფრო ვრცლად იქნება განხილული სახელმძღვანელოს მეორე ნაწილში, სადაც მეტი დეტალიზებით მივუბრუნდებით გავლილი მასალის სხვა საკითხებსაც.

მართებულად მივიჩნევთ სწავლების ნულოვანი საფეხურიდანვე სპარსულის სტილისტური თავისისტურებებზე ყურადღების გამახვილებას, კერძოდ, სამწერლობო და სასაუბრო ფორმებს შორის სხვაობათა წარმოჩენას. სპარსულში ქართულთან შედარებით ბევრად უფრო დიდია სხვაობა სამწერლობო და სასაუბრო სტილისტურ რეესტრებს შორის. ეს სხვაობა მოიცავს ლექსიკის, ფონეტიკის, მორფოლოგისა და და სინტაქსის სფეროს. ამ სხვაობებში ადრიდანვე გარკვევა კარგი წინაპირობაა ზეპირმეტყველების შეუფერხებელი აღქმისა და ადეკვატური ზეპირი ურთიერთობების დასამყარებლად. შესავალ (ანბანამდელ) ნაწილში სტუდენტი სწავლობს ა) **n**-სა და **m**-ს წინ გრძელი **å**-ს **u**-ში გადასვლის წესს (იხ. სამწერლობო **nän** / სასაუბრო **nun** „პური“, სამწერლ. **kodäm**/სასაუბრო **kodum** „რომელი“). ამ წესს აქვს გამონაკლისები, რომლებსაც სტუდენტი თანდათან ეცნობა; ბ)კოპულა **äst** „არის“ სასაუბრო ფორმით გარკვეულ პოზიციებში **e**-დ გვევლინება. იგივე ვითარებაა მესამე პირის მხოლობითი რიცხვის - **äd** დაბოლოების შემთხვევაში, რომელიც ასევე **e**-ს ფორმით გვხვდება არაოფიციალურ

<sup>1</sup> **čerå-s** დანიშნულება უარყოფის უარყოფაა, იხ. **oståd injā nä-bud?** **čerå,bud.** „პროფესორი აქ არ ყოფილა? როგორ არა, იყო“.

<sup>2</sup> **båle-s** ასევე აქვს კითხვითი შინაარსის გამომხატველი მნიშვნელობები: ა) გაოცების გამომხატველი „მართლა?“ და ბ)კარგად ვერ გაგონილი ნათექვამის დასაზუსტებელი „ბატონო?“. ორივე მნიშვნელობა ადრევეა დასასწავლი მათი ხშირი გამოყენების მიზეზით.

მეტყველებაში (იხ. სამწერლობო **in ketåb äst**/ სასაუბრო **in ketåb-e** „ეს ნიგნია“ და სამწერლ. **in zän xåne där-äd** და სასაუბრო **in zän xune där-e** „ამ ქალს სახლი აქვს“).

ამრიგად, ანბანის დაუფლება და ზემოთ მითითებული საპაზისო ფონეტიკურ-პროსოდიული, ლექსიკურ-გრამატიკული და სტილისტური საკითხები იქნება სახელმძღვანელოს პირველი ნაწილის შინაარსი. ეს ნაწილი ქმნის საწყის პაზასა და აუცილებელ ნანამძღვრებს სპარსული ენის სტრუქტურაში უფრო ღრმად გასარკვევად და ამ ენაზე ელემენტარული კითხვით, წერით, სმენით და ზეპირმეტყველებით ჩვევათა გამოსამუშავებლად.

სახელმძღვანელოს მეორე ნაწილში გარკვეულწილად გამარტივებული სახით იქნება მოცემული სპარსული ენის ნორმატიული გრამატიკის მონახაზი. საკითხთა თანმიმდევრობა დაეფუძნება როგორც მარტივიდან რთულისკენ სვლის, ასევე გრამატიკულ ფორმათა სტრუქტურული მსგავსების მიხედვით დაჯგუფების პრინციპს. ერთი და იმავე ფორმის ფუნქციათა განხილვა შეიძლება ორ-სამ გაკვეთილზე გადანაწილდეს, რაც უფრო მყარად შეათვისებინებს სტუდენტს ახალ მასალას. საჭიროებისამებრ გათვალისწინებულ იქნება ენობრივი მიმართებები. სპარსული მოდელები შეუპირისისპირდება ძირითადად ქართულ, ზოგჯერ კი სხვა ენათა მონაცემებს. შეპირისისპირებისას სპარსული მასალა განხილული იქნება უფრო დეტალურად, ხოლო სხვა ენათა მონაცემები მოკლედ და რეფერატულად.

ყოველ გაკვეთილში ჯერ მოცემული იქნება გრამატიკული წესები და ლექსიკურ-ფრაზეოლოგიური მოდელები, შემდეგ კი ამ წესებსა და მოდელებზე დაფუძნებული ლექსიკური მასალა, რომელიც წარმოდგენილი იქნება ცალკეული წინადადებებითა და არა სიუჟეტურად შეკავშირებული ტექსტებით.<sup>1</sup>

గ్రామాత్మిక్యుల్ కూతురోవితాగాన్ చ్యెంట్రాల్యూర్ ల డాడ్గిల్లి డాఎంబోదా ఖమ్మాస్. సాక్షేపమధ్వాన్మేల్పుల్ దిరింతాఫ్ఫి నాంబొల్పి తిర్ముంప్లోస్సావ్యే గాక్కెతిల్లశ్మి మంచ్యెమ్ముల్లి ఐంబ్రో సభ్యుద్దేంత్తాత్విస్ మెత్-బాక్లోబాడ చ్యెంబొల్లి **budän**/\***hästän** „ప్రమాదం“ లు **dåشتän** „జ్ఞానా,ప్రమాదా“ భమ్మిస్ జ్ఞాన్లోబా అభ్యుమంమావాల్సా రూ జ్ఞానాల్ప నామపుశ్మి. శ్యేమండగమ గాక్కెతిల్లశ్మి మితిత్తాభ్యుల్లి ఐంబ్రోబా అభ్యుమ-మంమావుల్పిస్ నారమోబిస్ థోగాడి న్యోసి, రమమ్లిస్గానాచ్ గాఫాబ్రోల్పిస్ థేమంత మితిత్తాభ్యుల్లి **budän**/\***hästän** „ప్రమాదం“ లు **dåشتän** „జ్ఞానా,ప్రమాదా“ భమ్మిబిస్ అభ్యుమ-మంమావుల్పిస్ త్యాంమర్మేబి. శ్యేమండగమ మంచ్యెమ్ముల్లి ఐంబ్రోబా ఇమ భమ్మాతా అభ్యుమిస్ త్యుమ్మేబి, రమమ్లితా సామ్మేర్లంబం రూ సాసామ్మార్ త్యాంమర్మేబి గ్రంథమాన్మేతిస్గాన్ గాన్సిశ్వామింప్రోబా, మాగాల్పితాడ, **räftän** „న్యాసాల్పా“, అభ్యుమిస్ త్యుమ్మేబి **rou** (సామ్మేర్లంబం)/**r** (సాసామ్మార్). రామాత్మిక్యు-

ლად პოლისემიური სპარსული ანტყო-მომავლის დრო შეუბირის-პირდება ქართულ ანალოგს, რომელიც ასევე ზმნიზედის მიხედვით იღებს ანტყოს ან მომავლის მნიშვნელობას, მაგალითად **emruz mi-räv-äm** (სამწერლობო)/**mi-r-äm** (სასაუბრო) „დღეს მივდივარ“ და **färdå mi-räv-äm/ mi-r-äm** „ხვალ მივდივარ“.

გრამატიკული დროის შემდგომ ფორმად მოცემული იქნება ნამყო განგრძობითი, რომელიც უბრალო ნამყოს მსგავსად იწარმოება ნამყოს ფუძეზე პირის ნიშნების დართვით და მას უბრალო ნამყოსგან სტრუქტურულად მხოლოდ **mi-** პრეფიქსი განასხვავებს, მაგალითად, **raft-äm** „ნავედი“ და **mi-raft-äm** „მივდიოდი“. მითითებული იქნება უბრალო ნამყოს შესაბამისობა ქართულ წყვეტილთან და ინგლისურ Simple Past-თან და ნამყო განგრძობითის შესაბამისობა ქართულ წყვეტელთან და ინგლისურ Present Continuous -თან.

სტუდენტებს ძალიან გაუადვილდათ ნამყო განგრძობითის საშუალებით ნატურითი ფორმების (მაგალითად, **käš mi-raft-äm** „ნეტავ ნავსულიყავი“) ნარმოება და ირეალური პირობითი წინადადების (**ägär mi-raft-i, u-rå mi-did-i** „რომ ნასულიყავი, მას ნახავდი“) აგება, რის გამოც მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ნამყო განგრძობითის ამ ფუნქციათა სახელმძღვანელოში შეტანა.

სასწავლად მარტივი აღმოჩნდა ასევე დამხმარე ზმნად გამოყენებული **dåشتän** „ქონა-ყოლა“ ზმნის ანტყო და ნამყო დროის პირიელი ფორმებით ნაწარმოები კონკრეტული ანტყოსა და კონკრეტული ნამყოს ფორმები, რომელთაც ქართულში ანალოგი მოეპოვებათ შემდეგი სტრუქტურის სახით – „ზმნის საწყის ფორმას + თანდ. „-ში“ + „ყოფნა“ ზმნის პირიელი ფორმა (მაგალითად, **dår-äm mi-nevis-äm** „ვჩერ, წერაში ვარ და **dåşt-äm mi-nevešt-äm** „ვწერდი, წერაში ვიყავი“).

ზემოთ ჩამოთვლილ გრამატიკულ დროთა გავლის ფონზე სტუდენტი თანდათან ეცნობა:

ზმნური მართვის წესებს, რომლის მიხედვით ზმნა საჭიროებს ამათუ იმ წინდებულს, ასე მაგალითად, **rafftän** „ნასვლა“ ზმნასთან გამოიყენება **äz** „-გან“, -იდან“, **be** „-კენ“, **piš-e** „- თან“, **tå** „-მდე“ წინდებულები.

ზმნათა ტიპებს, კერძოდ, მარტივ (იხ.ზემოთ მოტანილი ზმნები), პრეფიქსულ (მაგალითად, **bär gästän** „დაბრუნება“), სახელად და ზმნურ ნაწილთა შემცველ ორკომპონენტიან შედგენილ (მაგალითად, **kår kärdän** „მუშაობა“) ზმნებს.

გარდაუვალ და გარდამავალ ზმნებს, რამდენადაც გარდამავალი ზმნა თავის თავში მოიცავს პირდაპირ დამატებას, სახელმძღვანელოში განმარტებულია პირდაპირი დამატების უთანდებულოდ და **rå** თანდებულით გამოყენების წესები, რომელიც ასევე ორ-სამ გაკვეთილზეა გადანაწილებული.

სპარსულ ზმნასთან გაცნობის შემდგომი საფეხური აწმყოს კავშირებით და ბრძანებით კილოთა შეთვისებაა ამ ფორმათა შედარებითი სტრუქტურული სიმარტივისა და კომუნიკაციურობის მაღალი ხარისხის გამო. აწმყოს კავშირებითის კომუნიკაციური ლირებულება კარგად ჩანს მის მოწოდებით და კითხვით ფუნქციებში, რომელიც ქართულ აწმყოს კავშირებითის ანალოგიურა (მაგალითად, **be-räv-äd/be-r-e**, „ნავიდეს“ და **be-räv-äm/be-r-äm**, „ნავიდე?“).

ზმნის ამ მორფოლოგიურ კატეგორიებში გათვიცნობიერებული სტუდენტი ეცნობა აწმყოს კავშირებითის საფუძველზე რეალური პირობითი წინადადების აგების წესს (მაგალითად, **ägar be-räv-äm/be-r-äm, u-rå mi-bin-äm**, „თუ წავალ, მას ვნახავ“).

აწმყო და ნამყო შედეგობით დროთა შესწავლას წინ უძღვის სპარსულ მიმღეობათა სახეობების გაცნობა. განმარტებულია როგორც შედეგობითი დროებისთვის ამოსავალი ნამყოს მიმღეობის, ასევე აწმყოსა და მომავლის მიმღეობის წარმოების წესები.

მითითებული იქნება სპარსული აწმყო და ნამყო შედეგობითების სტრუქტურულ-შინაარსობლივი შესაბამისობა ინგლისურ Present Perfect-თან და Past Perfect-თან და ქართული შედეგობითის „პერფექტის ალნერით და უფრო ნაკლებად თურმეობით ფორმებთან (მაგალითად, აწმყოს შედარებითი **nevešte-äm** (ალნერითი პერფექტი) „დანერილი მაქვს“, შეადარეთ I თურმეობითი „დამიწერია“ და ნამყოს შედეგობითი **nevešte bud-äm** „დანერილი მქონდა“, შეადარეთ II თურმეობითი „დამერია“).

მოცემული იქნება ასევე ინგლისური Present Perfect continuous-ის ანალოგიური შედეგობით განგრძობითი დრო, რომელსაც ქართულში ზუსტი შესატყვისი არ მოეპოვება და ის მეტ-ნაკლებად შეესაბამება ხოლმეობითს (მაგალითად, **mi-nevešte-äm/I have been writing**, „ვწერდი ხოლმე“)

ნამყოს მიმღეობის ბაზაზე ასევე იწარმოება ნამყოს კავშირებითი, რომელიც სახელმძღვანელოში შედეგობითების შემდეგ იქნება მოცემული (მაგალითად, **nevešte bås-äm**, „დანერილი მქონდეს“).

კავშირებითის ფორმები ხშირად საჭიროებს სხვადასხვა მოდალურ ზმნასთან შეწყვილებას, რაც ასევე უნდა აისახოს სახელმძღვანელოში (მაგალითად, **šayåd be-nevis-äm**, „იქნება დავწერო“, **šayåd nevešte bås-äm**, „იქნება დანერილი მქონდეს“).

ზმნის დროებთან გაცნობა დასრულდება კატეგორიული მომავლით, რომელიც რთული სტრუქტურული ფორმისაა და იწარმოება **xåstän** ზმნის აწმყოს ფუძე **xåh**-ის პირიელი ფორმითა და ძირითადი ზმნის შეკვეცილი ინფინიტივით. ამ ფორმის ქართულ ანალოგად ძირითადად ზმნისნინით ნაწარმოები მყოფადი გვეგულება (მაგალითად, **xåh-äm nevest**, „დავწერ“).

შეთვისებული ზმნური დროები გარკვეულწილად გამეორდება იქნება ვნებითი გვარის ფორმებთან მიმართებაში.

მეტყველების სახელად ნაწილებთან დაკავშირებული გრამატიკული ფორმატი სახელმძღვანელოში ძირითადად შემდეგი მოცულობით იქნება წარმოდგენილი:

- მრავლობითი რიცხვის წარმოების სხვადასხვა საშუალებები;
- არტიკლისა და იზაფეთის მიმართებები;
- კუთვნილების გამოხატვის საშუალებები;
- ნაცვალსახელური ენკლიტიკები, როგორც კუთვნილებისა და პირდაპირი თუ ირიბი ობიექტის გამოხატვის საშუალება;
- რიგობითი რიცხვითი სახელების წარმოების წესები;
- ზედსართავ სახელთა ხარისხები;
- სახელთა წარმოების ზოგიერთი მოდელი.

სინტაქსური მხარე წიგნში ძირითადად მიმართული იქნება წინადადების წყობასა და ქვემდებარისა და შემასმენლის რიცხვში შეთანხმებაზე. სტუდენტი დაეუფლება სპარსულისტვის სტანდარტულ წინადადების სტრუქტურასა და მის სახეცვლილებებს სასაუბრო სპარსულში.

ყველა ზემოხსენებული საკითხი შეძლებისდაგვარად შეუპირის-პირდება ქართულისა და ზოგჯერ სხვა ენათა, ძირითადად ინგლისურის მასალას ამ უკანასკნელის სპარსულთან მორფოსინტაქსური მსგავსებისა და უმრავლეს შემთხვევაში ქართველი სტუდენტების ინგლისურ გრამატიკაში მეტ-ნაკლები გათვიცნობიერების გამო.

თემატური თვალსაზრისით, სახელმძღვანელოს ლექსიკამ და შედარებით მცირედ მოცემულმა ფრაზეოლოგიამ უნდა დაფაროს შემდეგი სფეროები: ვინაობა; ასაკი; ოჯახური მდგომარეობა, ნათესაური ურთიერთობები; პროფესიები; სახლი; ავეჯი; სამოსი, საკვები; ფერები; კვირის დღეები; საათის ცნობა. რა თქმა უნდა, ყველა ამ თემატური ჯგუფიდან ლექსიკა შეზღუდულად იქნება წარმოდგენილი. სტუდენტი ასევე გაეცნობა ეტიკეტური მეტყველების ძირითად ფორმულებს. ყველა გაკვეთილში მოცემული იქნება თითო ხატოვანი გამოთქმა ან ანდაზა.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია ზოგიერთი გრამატიკული ტერმინის სწავლება, რაც სტუდენტს შემდგომ ეტაპზე შეუმსუბუქებს ერთენოვან სპარსულ სახელმძღვანელოთ მუშაობას. სავარჯიშოები მხოლოდ ქართულიდან სპარსულად სათარგმნი წინადადებითან იქნება წარმოდგენილი.

თითოეული გაკვეთილს თან უნდა დაერთოს სპარსულ-ქართული ლექსიკონი, წიგნის საბოლოო დანართი კი როგორც სპარსულ-ქართული, ასევე ქართულ-სპარსული ლექსიკონი იქნება.

სახელმძღვანელოს სავარაუდო გრამატიკული ფორმატი საკმაოდ ალემატება CIFT-ში წარმოდგენილ დაწყებითი N დონისთვის განკუთვნილ მოცულობას.<sup>1</sup> ლექსიკის თვალსაზრისით, მიუხედავად სახელმძღვანელოსტვის ნავარაუდევი შედარებით ვრცელი სიტყვათა მარა-

<sup>1</sup> Common Iranian Framework, 49.

გისა, სხვაობა საადის ფონდის ფორმატთან<sup>1</sup> შედარებით არც თუ დიდი იქნება.

ჩვენ მიერ ორგზის აპრობირებული სპარსული ენის ცოდნის ნულოვანი დონისთვის განკუთვნილი საცდელი ინტენსიური სასწავლო კურსი წარმატებული გამოდგა. სტუდენტებმა ის განსაკუთრებული დაბრკოლებების გარეშე დაძლიერ, რამაც შეუმსუბუქათ სწავლების შემდგომ საფეხურებზე განსხვავებული ტიპის სასწავლო მასალის შეთვისება. ამგვარი გამოცდილების საფუძველზე საჭიროდ მივიჩნევთ გრამატიკულად ორიენტირებული, კომუნიკაციური მოდელებით შევსებული და სპარსულ-ქართულ ენობრივ მიმართებათა და ურთიერთობათა გათვალისწინებით შედგენილი სახელმძღვანელოს მომზადებას.

### *Fati Antadze-Malashkhia*

### **On the Relationship Between Persian and Georgian in Language Teaching**

The given paper focuses on the principles of compiling the basic manual for Georgian-speaking students at their University course.

The principles are based on the course elaborated by us and tested twice with our students. The course is focused on typological approach and, therefore, the outline of the similarities and differences between Persian and Georgian languages. Linguistic contrast embraced phonetic-prosodic, morphological-syntactic and lexical-phraseological aspects. The resource of loan words, borrowed as a result of longstanding Georgian-Persian language contacts, was also used. This supported the students in their adaptation to a completely alien language environment.

The adaptation during the first two weeks was also facilitated by transcription of Persian words into slightly modified Georgian alphabet, which was precisely adjusted to the Persian system of sound. In parallel, the students studied the Persian alphabet based on Arabic graphics, which was completely unfamiliar to them, as it does not reflect certain vowels and sometimes uses several characters to denote one and the same sound. At the initial stage of studies, the teaching of the alphabet alongside with phonetic and lexicogrammatical elements saved time and facilitated the process of foreign language acquisition. Meanwhile, the students mastered simple communication models.

After mastering the alphabet, the efforts of the students were aimed at mastering the essential rules of the normative grammar of the Persian language, acquisition of vocabulary and, to a certain extent, phraseology, based on thematic differentiation and communicative value. The vocabulary was selected based on the principle of systemic characteristics. This, above all, implied the

---

<sup>1</sup> Common Iranian Framework, 50.

study of antonymic pairs, which is especially efficient on the initial stage of foreign language acquisition. Less focus was made on synonymy and polysemy, because, in order to achieve sufficient results in this field, a student has to master significant lexical resources.

Almost from the initial level, the students were taught the stylistic differences between literary and colloquial Persian. These differences embrace not only lexical but also phonetic, morphological and syntactic aspects.

The students easily dealt with the pilot course as well as the following one-year courses.

Taking into account the above-mentioned results, we consider it necessary to compile a basic manual of Persian language based on the above principles. The manual should be accompanied by audio record.

Each lesson of the manual will be appended by Persian-Georgian glossary of new words. The entire book will be appended by both Persian-Georgian and Georgian-Persian glossaries. The majority of exercises will focus on translation from Georgian into Persian.

The author of this typologically and structurally-oriented textbook shares the main principles of the newly created guideline **Common Iranian Framework for teaching Persian** but expands the volume of grammar material at the very initial stage. Such an attitude helped students to cope successfully with acquisition of Persian at the following levels.

## ელენე გიუნაშვილი, რამაზ გორგაძე ტერმინ „არჯასპის“ წარმომავლობისათვის

სტატიაში განიხილება ქიმიური ტერმინი **არჯასპი**, რომელიც სა-ერთო ლექსიკურ ერთეულს წარმოადგენს ქართულსა და სომხურში.

საკვლევი სიტყვა ქართულში გეხვდება რამდენიმე ფორმით: **არ-ჯასპი**, **აჯასფი** და **აჯასპი**. ეს უკანასკნელი პრიორიტეტულად გამოიყენება.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ქიმიური ტერმინი **აჯას-პი** განმარტებულია, როგორც „მძიმე ლითონების გოგირდმჟავა მარილი. არსებობს თუთიის აჯასპი, რკინის აჯასპი“<sup>1</sup>. ეს უკანასკნელი ქართულში გამოიხატება „ძაღა“ სიტყვითაც (შდრ. ჯელезнიქ კუპორი). ჩვენთვის საინტერესო სიტყვა ასევე განმარტება, როგორც **მინალები** (მინის საპონი), შაბიამანი, **კუპორი**.<sup>2</sup>

ქართულ საენციკლოპედიო გამოცემაშიც აგრეთვე აღნიშნულია „არჯასპები // აჯასპები“, როგორც „ზოგიერთი მძიმე ლითონის გოგირდმჟავა მარილების (სულფატების) კრისტალპიდრატთა ტექნიკური სახელწოდება. მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მედიცინაში იყენებენ სპილენძის, რკინის, თუთიის, კობალტისა და ნიკელის არჯასპს. არსებობს ცნება „აჯასპის ზეთი“ (კონცენტრირებული გოგირდმჟავას მოძველებული სახელი) და „აჯასპის მჟავა“.<sup>3</sup>

უძველესი ქართული ძეგლი, რომელშიც მოხსენიებულია **არჯასპი**, როგორც სამკურნალო საშუალებებში შემავალი კომპონენტი, არის XI საუკუნის „უსწორო კარაბადინი“<sup>4</sup>. ეს სიტყვა ხშირად დასტურდება

<sup>1</sup> ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, (თბილისი, 1950), ტ. I, 930. შდრ. ახალ გამოცემაში: „არჯასპი“ იგივეა, რაც მართებული აჯასპი. ლვინის ფერის მისაცემად უშვებიან წიაფერს,.. შაბსა, რკინის არჯასპსა (იღია), ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ახალი რედაქცია, ტ. I, (თბილისი, 2008), 653.

<sup>2</sup> დავით ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, (თბილისი, 1984), გვ.47; ნიკო ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, (თბილისი, 1961), 140; სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, (თბილისი, 1991), I, 68; რუსულ-ქართული ლექსიკონი, სსსრ მეცნიერებათა აკადემია, (თბილისი, 1956), I, 660. შდრ. *A Comprehensive Georgian-English Dictionary*, Donald Rayfield (editor-in-chief), vol. 1 (London, 2006), 95: **არჯასპი**-copperas, (green vitriol, iron sulphate).

<sup>3</sup> ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, (თბილისი, 1977), II, 111.

<sup>4</sup> ქანანელი, უსწორო კარაბადინი, ლადო კოტეტემვილის გამოცემა, (თბილისი, 1940), 201, 11; 204, 25; 231, 3; 356, 16 და სხვ.

სხვა სამედიცინო წიგნებშიც, როგორიცაა „წიგნი სააქიმოა“ (XIII ს.) და „სამკურნალო წიგნი კარაბადინი“ (XV ს.).<sup>1</sup>

ამ წიგნების მიხედვით ვიგებთ, რომ **არჯასპი** გამოიყენებოდა სხვა-დასხვა ანთებითი დაავადების სამკურნალოდ (კბილის, მუცლისა და სხვათა ტკივილის დროს). საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ აღნიშნულ წიგნებში გარკვეული სახის რეცეპტებიც იყო მოცემული ჩვენთვის სა-ინტერესო ქიმიური ელემენტის გამოიყენებით. ასე მაგალითად: „აიღე მდოგული და თაფლი, და სამი გუნდა ცოტა ენდრო, და **არჯასპი**, ცოტა ნინმატი, ქონდარი და ბორაკი, ყუელა დანაყე და გაურიე, და კარგითა ძმრითა აადულე“ (კბილის ტკივილის სანინაალმდეგოდ);<sup>2</sup> „სატომაქისა ტკივილისა და კიდურთა მუცლისათა, რომელსა შიგან აშფოთდებიან ქარნი შავისა ნ[ა]ლვლისანი და გაბერ[ა]ვს მას. მაშა სცხო არჯასპთაგა-ნი დაგლილი ძმრითა ცხ[ა]რითა“.<sup>3</sup>

ქართულ სამეცნიერო ტრადიციაში არჯასპების შესახებ დაწვრი-ლებითი ცნობები შემონახულია ვახტანგ VI-ის ნაშრომში „წიგნი ზეთე-ბის შეზავებისა და ქიმიისა ქმნის“. ვახტანგი დაეყრდნო ცნობილი ირა-ნელი ალქიმიკოსის **არ-რაზის** შრომას „საიდუმლოებათა წიგნი“, რომე-ლიც არაბულიდან გადათარგმნილი იყო სპარსულსა და სხვა ენებზე.<sup>4</sup>

თავის წიგნში ვახტანგ VI ვანსაკუთრებით დაწვრილებით განიხი-ლავს ნივთიერებებს, რომლებიც მინერალურ სამყაროდან მიიღება. ეს არაორგანული ნივთიერებებია, ძირითადად მეტალები, მეტალოიდები, მათი ჟანგებულები, მჟავები, ტუტები და მარილები. არჯასპი (განსხვა-ვებით არ-რაზისა, რომელსაც 6 სახეობა აქვს) ვახტანგ VI ტექსტში შვი-დია: **შავი არჯასპი, ყვითელი არჯასპი, შაბი, ხალაყანდუს** (მწვანე არჯასპი), **ყალაყანდუ** (თეთრი არჯასპი), **ყალაყანდუს** (ყვითელი არ-ჯასპი) და **ზაჯისურხი** (წითელი არჯასპი).<sup>5</sup>

ვახტანგ VI-ის წიგნი კარგად ასახავს ქიმიის განვითარების მთავარ პე-რიოდებს, და, განსაკუთრებით, ალქიმიის შემდგომ პერიოდს, როდესაც

<sup>1</sup> „წიგნი სააქიმოა“, ლადონ კოტეტიშვილის გამოცემა, მედიცინა ძველ საქარ-თველოში, XIII ს. (თბილისი, 1936); ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილი, სამკურ-ნალო წიგნი კარაბადინი. ტექსტი დაამუშავა გამოსაცემად, გამოკვლევები და ლექსიკონი დაურთეს თინა ენუქიძემ და ვიქტორ კოკოჩაშვილმა (თბილისი, 1959); ზაზა ფანას-კერტელი, სამკურნალო წიგნი კარაბადინი, მიხეილ სააკამპვილის რედაქცი-ით, (თბილისი, 1950).

<sup>2</sup> „სამკურნალო წიგნი კარაბადინი“, 92, 2.

<sup>3</sup> იქვე 136, 7-11.

<sup>4</sup> ვახტანგ VI, წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნის, ტექსტი გამოსა-ცემად მოამზადეს, შესავალი, კომენტარი, ტერმინთა საძიებელი და ლექ-სიკონი დაურთეს თინა ენუქიძემ და ვიქტორ კოკოჩაშვილმა (თბილისი, 1981). ვახტანგ VI-ის სამეცნიერო თარგმანების შესახებ იხ. თამარ აბულაძე, ვახტანგ მეუქვესის მთარგმნელობითი მოღვაწეობა (თბილისი, 1990), 41-76.

<sup>5</sup> ვახტანგ VI, წიგნი ზეთების შეზავებისა და ქიმიისა ქმნის, 12. შდრ. აგ-რეთვე ტერმინი ყიბრუსი – „შაბი მწვანე; რკინის კუპაროსი, რკინის არჯასპი“; იქვე, 89, 235.

გამრავლდა ცნობები სხვადასხვა ქიმიურ ნაერთებზე, გაუმჯობესდა მათი მიღების მეთოდები და აღმოჩენილ იქნა ახალი ნაერთები.

ცნობილია, რომ ძველი დროიდან დიდ ყურადღებას უთმობდნენ, მაგალითად, გოგირდს, რადგან მან და მისმა ნაერთებმა დიდი გამოყენება პოვა თოფის წამლის მომზადებაში, მედიცინასა და საყოფაცხოვრებო საქმიანობაში. ამიტომ გასაგებია, რომ ამ წიგნში დიდი ყურადღება დაეთმო გოგირდის თვისებების აღწერას, მის მოპოვების ადგილებს და, რაც მთავარია, მისი განშენდის მეთოდებს და მასთან დაკავშირებულ ქიმიურ-ტექნოლოგიურ პროცესებს, ე. ი. გარკვეულ, წინასწარ მოფიქრებულ „საქმის“ გადმოცემას. გოგირდის განმენდის ერთ-ერთი მეთოდია სუბლიმაცია, მეორე-გადნობა, რის შედეგადაც ადვილია მექანიკური ნარევების, მინარევების მოცილება.

გოგირდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაერთია გოგირდმჟავა, რომლის მიღების ადრინდელი მეთოდები ალქიმიურ ლაბორატორიებში იქნა შემუშავებული ჯაბირ-იბნ ჰაიანას (გებერის) მიერ მეცხრე საუკუნეში და ვინცეტ დებოკეს მიერ მეცამეტე საუკუნეში. აღწერილია შაბის გამოხდით მიღებული გოგირდის „არაყის“ – გოგირდმჟავას თვისებები.

ნივთიერებებს, რომლებსაც ძელგი (მწკლარტე) გემო აქვს, ძელთა-განვე შაბებს უწოდებენ. შაბიამანი, რომელიც რკინის კუპაროსს შეიცავს (*chalconthum*) გამოიყენებოდა მედიცინაში ჯერ კიდევ 1 ს-ში ჩვ. წ-მდე.

შაბების მოპოვებისათვის იყენებდნენ შაბის ფიქალებს, ხოლო სუფთა შაბის მისაღებად მას აკრისტალებდნენ. შაბების და კუპაროსების ანუ აჯასაბების სახელწოდებით ძველად გაერთიანებული იყო გოგირდმჟავას მარილები, რომლებსაც ერთმანეთისგან ფერის მიხედვით არჩევდნენ. თეთრი შაბი არის  $KAl(SO_4)_2 \cdot 12H_2O$ , მწვანე შაბი – არის რკინის ქვეუანგის სულფატი  $FeSO_4 \cdot 7H_2O$ , ნითელი შაბი – რკინის ქანგის სულფატი  $Fe(SO_4)_3$ . ლურჯი შაბი შაბიამანია, თეთრი შაბია აგრეთვე თუთიის კუპაროს.<sup>1</sup>

ვახტანგ VI-ის მიერ წარმოდგენილი არჯასპისა და მისი სინონიმების – შაბისა და ზაჯის მრავალი სახეობები ერთგვარი შეჯამებაა მათი გამოყენების მრავალსაუკუნოვანი ტრადიციისა ქართულ სამკურნალო წიგნებში, რომელთაგან ზოგიერთი აღმოსავლურიდან თარგნილადაა მიჩნეული.

სომხურ წყაროებში ჩვენთვის საინტერესო სიტყვა დასტურდება VII საუკუნიდან (ვრთანეს ქერთოლი). გვხვდება ჰოვპანეს ერზინკელის (XIII ს.), მხითარ აპარანელის (XV ს.), გრიგორ ტათეველის (XVI ს.) თხზულებებში<sup>2</sup>, აგრეთვე შემდგომი პერიოდის ავტორებთან სხვადასხვა სახის ტრაქტატებში, წიგნებში, ლექსიკონებში არჯასप [arjasp] // არჯასაპ [arjaspn] ფორმებითა და „შაბის, სპილენძისა თუ რკინის სულფატის“ მნიშ-

<sup>1</sup> იქვე, 23.

<sup>2</sup> Հրայր Աձարյան, Հայերէնի արմատական բառարան, 1, (Երևան, 1971, 335); იხ. ასევე Hrach K. Martirosyan, *Etymological Dictionary of the Armenian Inherited Lexicon*, ( Leiden, Boston, Brill, 2010), 144.

շնչողօծոտ. ցամուպենցիօծոդա ժորոտագագ մազո սալեօձազուս, մյունուս դա նամ-  
լյոծուս ճասամթագուցուագ.

Ես լեյքսոյուրու յըրտյուլո մազո մնովնելոնօծոտ ցանամյուրո-  
ցը սալուգուրագուրու սոմեյրոն դա մուս գուալյությունոծո, նոր. արձասպ  
[arčaps], արջասպ [arjaps], առձապս [arčaps] դա սեզա. ամ յիմուրու քըրմո-  
նուտ ցամուխագուլո նուզուրուրցի ուարտուգ ցամուպենցիօձա մրցնցուոծածո, եռ-  
լու սոյլուս մյուրնեյոծածո ծալ-ցենաեցու նշանամլ սամյալուցօձագ.

Սայցլեցո սուգցուս նարմոմացլոնօծոս սակուտետան դայազմուրյոծոտ յար-  
տուլոծո, նշեցնոմնացու, րոմ դ. հյուծոնամցուուս, սյուլիան-սածա որնծուունուս  
լեյքսոյուրոնցու դա პէր. աֆարուանտան (դ. հյուծոնամցուլնց մուուույոծոտ) յարտու-  
լու սուգցուս սոմեյր նայեսերոծագ արուս նարմուցցենուուս, եռլու տացագ սոմ-  
եյրուուսատցուս ցումուլոցու նշունոծուա.

Սոմեյր սամեցնուրու լուգուրագուրամուց ու աթրու ցածագուրնեցուլո,  
րոմուլուց პըրու. პէր. աֆարուանս ցամուուլու յայց տացուս ցումուլոցու-  
յուր լեյքսոյուրոնցու. սայցուրագուցու ուսա, րոմ ալնումնուլ նամրոմնու սայ-  
ցլեցո սուգցուս նարմուցցենուուս րոցուրու սոմեյրուուսատցուս նայեսեցու  
ցումբութուցու, րոմուլուց ուլուց արջ-ն [arj-n] „մազո“ դա ասպ [asp] նշու-  
նոծու մնովնելոնօծոս սուգցուցուագ (անալոցուրագ լատունյուրուսա աter  
„մազո“ > **ātramentum** „սանցրու մյուլանո; զայսոն“)<sup>3</sup>. ցամուցուս, րոմ իշենտցուս  
սակունցուրու սուգցուս նշունոծու նարմոմացլոնօծուսա դա սոմեյրուուսատցուս  
մկանցու ցումբութուցու ար նարմուցցենուուս.

Ալսանումնացուս ու յայցուցու, րոմ նշեմուտ մոեսենուցու սոմեյրու յնուս  
ցումուլոցուր լեյքսոյուրոնցու ազգուրս սայցլեցո սուգցուս արջասպ  
[arjasp] პըրցուլու ցումբունցու արջ- [arj-] „մազո“ ցալցու լեյքսոյուր  
յըրտյուլագ, նայեսեցու, նշունոծու նարմոմացլոնօծոս սուգցուագ դա արջն  
[arjn] ցուրմուտ յայց ցանեսուլուցու. մուուցու տէմուտ, յըս սուգցու մեռլուց  
յըրտեցու ուոյքսուրցու սոմեյրու ուսգուրուցուուս ծոյթանցու նշունոծուլ նամ-  
րոմնու (V և.), սամացուրու, մուցան նանարմուց պայլա ցումբութուցու, „մա-

<sup>1</sup> Նոր Բառզիրք Հայկակեան Լեզուի, (Երևան, 1979), թ. 1, 375; Բժշկարան ձիոց  
եվ առհասարակ գրաստնոց (ԺԳ) դպր, ՀՍՍՀ ԳԱ հրատարակություն,  
(Երևան, 1980), 105, 131, 144, 159 դա սեզ. (գյույսու, նոնասությունոծու դա լեյք-  
սոյուրու ծ. ինցանցանուսա); Կհող երածինու արականություն (XVI-XVII թ.в.), Իզда-  
տելյուստ ՀԱՀ Արմենի, (Երևան. 1993), 328, 336 (գյույսու, նոնասությունոծու դա  
լեյքսոյուրու գ. յարաձեցունուսա).

<sup>2</sup> Ստեփան Մալխասեանց, Հայերեն բացատրական բառարան, (Երևան, 1944)  
1, 280; Էլուարդ Արդյան, Արդի Հայերենի բացատրական բառարան,  
(Երևան, 1972), I, 141; Hrach K. Martirosyan, *Etymological Dictionary of the Armenian Inherited Lexicon*, 144.

<sup>3</sup> Հրայր Աճառյան, Հայերենի արմատական բառարան, 1, 335; նոր. Գնորդ  
Զահուլյան, Հայ-իրանական զուգադիպումեր, Բանբեր Երիամալսարան,  
(Երևան, 1981), N 2, 21-29; Գնորդ Զահուլյան, հայոց Լեզվի Պատմություն,  
նախագրային ժամանակաշրջան, (Երևան, 1987), 517, 609.

Յո“, „մշյօ“ ոյերու ալմնի՛մբնելուա. ասե, մագալուտագ: արջնապռավ [arjnad̪av] „մազո պռանանո“, արջնապքեստ [arjnazgest] „մազոսանո, մազեթու հիալուլո“, արջնատեսակ [arjnatesak] „մազո սակեղօծուս“ արջնապյն [arjnaguin] „մշյօ ոյերուս“, արջնաբռլոր [arjnabolor] „մտլուանաց ծերուու“ դա սեզ. սակավազու լոյքիսոյշուրո երտեղուունուս նարմոմազլոնուս սազուտան դաշաբնուրեցու մշնունազա, րոմ հիրդուլուր կազյասուս յենօնացու սամպարու նասեսենածա. մշյագանագ մուշյազ հիեհնուրու ‘ärži „մազո“, ‘rzin „մազո, ծերուու“, ‘aržulla „սոմազու; ինչումնուրու arj̪i „մազո“; տոյշուրու արջո, ‘արժո „մազո“, ‘արժո գատյեծ „մազո ոյուլո, սէուլունուս դրամի“!»

ոնճուրագրությունութեածուան პորտելու ոյու ჰարուլու ծերուլո<sup>2</sup>, րոմը լումաց պյուրագլու մուայցու սոմեյր-յարտուլ ոյորմեծու դա սակավազու կոմքոնութու პորտելու կոմքոնենցու (arj̪-) դաշյագնուրու մշյել որանուլ ոյումյես, սազարացու մոմքունարյու ոնճու-ըզրությունու մուրունու արժուան արժուան \*arg-, \*arg<sup>4</sup>, սա-ձաց ծոլուցուցուրու g տանեմուցանու პալացալու ծիրեցուլուա. ქարտուլ-սոմեյր ոյորմածու (arj̪asp-) յը սությազ ասաեյլուա „մազու“ ցացյուտ. որանուլու ոյումյես arj̪ մշյասդլու վլունցուցու մշյել սպրսուլ լոյքիսեմածու

<sup>1</sup> Հրաշյա Աճառյան, Հայերևնի արմատական բառարան, 1, 335-6; ծգր. John A. C. Greppin, An Etymological Dictionary of the Indo-European Components of Armenian. – *Bazmavēp* 141, 1-4 (1983), 315-316; սոմեյրու arjn-ի ստուուս ալճյունու ոնճու-ըզրությունու մուրունու ամատան դաշյագնուրությունու პորտելունցու մշյասդու, օհ. Hrach K. Martirosyan, *Etymological Dictionary of the Armenian Inherited Lexicon*, 145.

<sup>2</sup> Harold Walter Bailey, Indagatio Indo-Iranica. – *Transactions of the Philological Society*, (1960-61), 62-86; 78.

Ք. ծերուուս թուրություն կարտուլ դա սոմեյր գրմուն, „արջասպտան“ մոմարտյենու տազդապորտելու նարմուցընունու ոյու մոեսենենածու: յլունյ ցոյնամշունու, գրմուն արջասպու նարմոմազլոնուտուու. – արծուլու հոյշութաս ցեատմյունու-ցրյածու մինչգությունու 53-ց կյանուս մասալցի (տօնուու, 1994), 9-10.

Ք. ծերուու տալուգա, րոմ arz- դա arj̪ մշյօ ոյերու ալմնի՛մբնելու լոյքիսոյշուրո երտեղուլուա, րոմլուցու սեցագասեցա ոյորմուտան նարմուցընունու որանուլ յենենա դա օրանուլ նասեսենենունու. մշ. ազյելուրու arəzah, arzah „ծերուու ըցուոնու“, „սալամոն“, սազարացու, ամազյ չշյույս մույշյունյենու ազգուրու անալ սեարսուլ arzah-ս “տեցագու կյալու, յունու; յուշուու (ծետու). ամ ոյումյետա პարալուցուցու գանենունու սագյումբելու սեզա նուգու-ըզրություն յենենու (սոմեյրունու, ցոտուրունու, մշյել նորդուլսա դա ծերունունու) ք. ծերուու ցամույս մատու արյեցունու \*reg-, \*reg<sup>4</sup> օհ. Harold Walter Bailey, Indagatio Indo-Iranica, 76-79.

Ծգր. ք. մարդուրուսունու ցանեսեազյենու ոյու ամաստա մատ, սոմեյրունու դագասգուրյունու ոյումյես arj̪- սնբա ասաեազդյու կյանու ոնճու-ըզրություն յենենունու (սոմեյրունու, օպրություն \*Hrg<sup>w</sup>-e-, \*Hrd<sup>w</sup>-i- ան \*Hr-i -ս; մշյասդլու սոմեյրու arjn- դա ծերունուլու օպրոնուс „մշյօ, մազենելու“ մոմքունարյունու մուրունու արժուան \*hrg<sup>w</sup>-e(n), օհ. K. Martirosyan, *Etymological Dictionary of the Armenian Inherited Lexicon*, 145.

**arjnm (arjanam** –აუზატივი სახელისა **arjana**–), რომელიც დასტურდება მეფე დარიოს I-ის (ძვ. წ. 521-486) ერთ-ერთ სამენოვან წარწერაში და ეძღვნება სუზის სასახლის მშენებლობას. **arjnm** მოიხსენიება სამშენებლო მასალათა რიგში, რომლებიც ჩამოჰქონდათ ონიიდან: **arjanam tyanā didā pištā ava hacā Yaunā abariya** (DSF 41-43)<sup>1</sup>. ვინაიდან წარწერის აქადურ ვერსიაში **arjanam**-ს შეესატყვისება **simannu** „ორნამენტაცია, დეკორაცია“, ზოგი მკვლევარი **arjanam**-ს იმავე მნიშვნელობით განმარტავდა<sup>2</sup>. ძველი სპარსული წარწერების კორპუსის ერთ-ერთი პირველი გამომცემელი, ერნსტ ჰერცფელდი **arjanam**-ს თარგმნიდა, როგორც „კირქვა“, „კირდულაბი, როდინი, ფილი, ქვიჯა“, „სამშენებლო მასალა“.<sup>3</sup> ამ განმარტებას იზიარებდა ჰ.ბეილიცი.<sup>4</sup> შესაძლოა, **arjnm** გადმოსცემდა ისეთი ქვა-მასალის სემანტიკას, რომელსაც მუქი ფერი ჰქონდა.

ირანულიდან მომდინარე **arj** ფუძეს უკავშირებდა ჰ.ბეილიც ჩეჩენურ, ინგუშურ და ბაკვეურ პირველად ზედასართავ სახელს **arji** „შავი“, რომელიც ზემოთ იყო მოხსენიებული ჰერაკლიანის მოსაზრებასთან დაკავშირებით (მდრ. გვიანდელი ფორმები – ჩეჩენური **ärža** „შავი“, **yärzinig, härzuon** „მოშავო“, ინგუშური **ärjə, haržə, haržəc** cogəl „მუქი მელია“, **haržuon** „მოშავო“, ბაკვეური **arč'i** „შავი“).

**არჯასპის მეორე კომპონენტი რჩებოდა უცნობი. ბოლო ეტიმოლოგის მიხედვით, **asp(n)** მომდინარეობს საშუალო ირანული **\*aspa(n)****

<sup>1</sup> Roland Kent, *Old Persian, Grammar, Texts, Lexicon* (New Haven, 1953), 142-143, 170; შდრ განსხვავებული წაკითხვა: **arjanam, tayanā didā dištā, ava hača Yaunā abariya**, იხ. Wilhelm Brandenstein, Manfred Mayrhofer, *Handbuch des Altpersischen* (Wiesbaden, 1964), 87; შდრ. ასევე იმავე წარწერაში დადასტურებული მესამე პირის ენკლიტიკანი ფორმა: hadiš tyā Çūšāyā akunavam hacāci dūradaša **arjanamšai** abariya“ ამ სასახლისათვის, რომელიც მე ავაგე სუზაში, მისი ორნამენტაცია ჩამოტანილია შორიდა“ (DSf 22-23), იხ. Roland Kent, *Old Persian, Grammar, Text, Lexicon*, 142, 144, 170; შდრ. ასევე Wilhelm Brandenstein, Manfred Mayrhofer, *Handbuch des Altpersischen*, 86. დარიოს I-ის ამ წარწერის ელექტრონული ვერსია თავისი ფაქსიმილიეთი იხ. <http://titus.uni-frankfurt.de/indexe.htm>.

<sup>2</sup> Roland Kent, *Old Persian, Grammar, Texts, Lexicon*, 170; ՖՈՐ. ՏԵՂՅԱՅ Հետապնդությունները Պարսկական առաջնաւոր գրաւածքների վերաբերյալ. Տարբերակ 236, 244.

<sup>4</sup> Harold Walter Bailey, *Indigatio Indo-Iranica*, 77. საგულისხმოა, რომ თავისი ერთ-ერთ ადრეულ პუბლიკაციაში ჰ. ბეილი ძველ სპარსულ **arjnm**-ს კითხულობდა, როგორც **ārājanam**-ს და უკავშირებდა ახალ სპარსულ **ārang**-ს “ფერი, ფორმა”: To the Žamasp-namak, Harold W. Bailey, *Opera Minora*, vol.1, ed. by M. Navabi (Shiraz, 1981), 74. ეს თვალსაზრისი, როგორც ჩანს, ავტორმა შემდგომ შეცვალა.

„րկոնա“<sup>1</sup> և սուբյուլան, ռոմելուց տաճածքադ դաստիւրդեბա սամյալո და տաճամյեթրուզ օրանուլ ենեծի – սოլդուրո ՚spn, შდր. ქրուստիւնուլո սոլդուրո: *sfnyq-sfanik* „րկոնա, րկոնուն“, შდր. աշեզը *spnyq - spanik*< \*aspanya; *spyn-spen, span, spən* <\*aspanya „րկոնա, րկոնուն, չափու, ծորյուլո“; *spnyqry-spanēkarē* „մժեցելո“<sup>2</sup>; ծուգուստիւրո սոլդուրո ՚spn’yn-(ə)spanēn (?) , ’spnyn”y-(ə)spanēnē, ’spnyn’nk -əspanēnē (?) „րկոնա, րկոնուն“<sup>3</sup>; ხოրეზմուլո ՚spny „րկոնա, րկոնուն“, ուսուրո ՚efsæn „սաենունուն; րկոնա“; ფալուրո ՚asın, ՚asen, ՚asalno սպարսուլո ՚ahan „րկոնա“ (<\*ā-sana), մոմցոնարյ էց. օրանուլո ՚spana-დაն < արուլո ՚səvana-.<sup>4</sup>

**arjasp**-ის ეტიმონი უნდა ყოფილուყ սամյալո օրանուլո (პარտული) \*arjāspan ან \*arjāspan (სოմեურში, სავარაუდოდ ანაპტიკური **a**-თი).<sup>5</sup>

საკვლევი სიტყვის ეტიმოლოგიაზე ჰ.ბეილისა და ჰ.მარტიროսიანის მოსაზრებების გათვალისწინებით, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ სიტყვა **არჯასპი** օრანուლ ნიადაგზე შექმნილი [\*arjāspan / \*arjāspan], მაგრამ ირანულშივე დაკარგული კომპოზიტია, რომელიც ქართულმა და სომხურმა ენებმა შემოინახა ბოლოցიდური -n-ს დაკარგვით.<sup>6</sup> სომხურში მისი სპარსული ნასესხობის საკითხი ეჭეს არ უნდა იწვევდეს, მაგრამ იმის მტკიცება, რომ აღნიშნული ირანული კომპოზიტი სომხური გზით დამკვიდრდა ქართულში, როგორც ამას ფიქრობდა პროფ. აჭარიანი და ზოგიერთი სხვა მეცნიერიც, აუცილებლობას არ წარმოადგენს. სავარაუდოდ ქართულში ეს სიტყვა დამოუკიდებლად დამკვიდრდა, რაზეც მეტყველებს ბევრი სხვა შემთხვევა<sup>7</sup>, რომელიც օրაնուლ-ქართულ უშუ-

<sup>1</sup> Hrach K. Martirosyan, *Etymological Dictionary of the Armenian Inherited Lexicon*, 144.

<sup>2</sup> Badralzaman Gharib, *Sogdian Dictionary* (Tehran, 1995), 8737, 8899, 8921, 8900.

<sup>3</sup> Badralzaman Gharib, *Sogdian Dictionary*, 1624, 1631, 1625, 1664.

<sup>4</sup> Hrach K. Martirosyan, *Etymological Dictionary of the Armenian Inherited Lexicon*, 144-145. ავესტურისთვის ე. ბენცენისტი და შემდევ ვ.აბაევი აღადგენიდნენ ფორმას \*hu-safna „ფოლადი“, რომელიც მეტათეზაა ფორმისა \*hu-spna, შდრ. ուսուրი ՚efsæn, პაშტო ՚spana, ՚spina „րկոնა“; იხ. Hrach K. Martirosyan, *Etymological Dictionary of the Armenian Inherited Lexicon*, 145.

<sup>5</sup> იქნე, 145.

<sup>6</sup> პრაჩ. მარტიროსიანის თვალსაზრისით, სომხური **arjasp**-ის ამოსავალი ფორმა **arjaspn**, რომლის ბოლოցიდური -n- დაიკარგა მე-7 საუკუნიდან. მაგრამ, საგულისხმოა, რომ მთელ რიგ სამედიცინო ტრაქტატებში, მათ შორის გალენთან (129 ჩ. 6. – 200/21 66.), იხ. Barrk' Galianosi: *The Greek-Armenian Dictionary to Galen by John A. C. Greppin* (New York, 1985), 137 და ასევე სომხურ სამედიცინო თხზულებებში, როგორიცაა “Bžškaran jioy” („ცხენების სამკურნალო წიგნი“) (XIII ს.) და XV-XVI საუკუნეების ავტორებთან (როგორიცაა, მაგალითად, ასარ სეპასტაცი, იხ. სქოლიო 12), დასტურდება ხშირად ფორმა **arjaspn**. (ინფორმაცია მოგვაწოდა პრაჩ მარტიროსიანმა, პირადი მიმოწერა).

<sup>7</sup> ილია აბულაძე, Հայկական ՍՍՀ Գիտությունների Ակադեմիա, *Տեղեկագիր*, Երևան, 1944, № 1-2; მზია ანდրონიკշვილი, ნաշվազյան օրանուლ-ქართული

ალო ენობრივ ნასესხობებზე მეტყველებს. აღნიშნულ პროცესს ხელს უწყობდა როგორც სპარსულიდან ქართულზე მთარგმნელობითი საქ-მანობა, ასევე კავკასიის ტრადიციული კულტურულ-პოლიტიკური და ენობრივი მჭიდრო კავშირები ირანულ სამყაროსთან, რის შედეგადაც სახეზეა სპარსული ცივილიზაციის კვალი როგორც საქართველოში, ასევე ზოგადად კავკასიაში და რომელმაც თავისი ასახვა პოვა კავკასიის სხვადასხვა ენებში.

**Helen Giunashvili, Ramaz Gorgadze**  
**On the Origin of the Term “*arjasp’i*” in Georgian**

The article deals with the chemical term ***arjasp’i***, being a common lexical unit in Georgian and Armenian.

In Georgian the considered word occurs in several forms: ***arjasp’i***, ***ajaspi*** and ***aļasp’i***. The latter is used predominantly.

In Georgian concise dictionaries ***arjasp’i*** and its varieties were interpreted as „heavy metal sulphate”, „copperas, green vitriol, iron sulphate”. It was widely used in industry, farming and medicine. Terms like „***aļasp’i oil*** (concentrated sulphate)”, „***aļasp’i acid***” are very common in Modern Georgian.

The most ancient written monument, attesting ***arjasp’i*** as a remedy component, is the 11<sup>th</sup> century Georgian medical book „Usc’oro K’arabadini”. The term also occurs in some other medical treatises, such as „C’igni Saakimoi” (13<sup>th</sup> c) and „Samk’urnalo C’igni K’arabadini” (15<sup>th</sup> c).

According to these works, ***arjasp’i*** was used as a treatment of different inflammatory illnesses. It is significant, that these medical treatises also mention prescriptions, where this chemical element was widely used.

In the Georgian scientific tradition, the most comprehensive survey of ***arjasp’is*** was presented in the work „The Book of Oil Blending and Making Chemistry” by King Vakhtang VI (1675-1737), the famous scholar, translator and poet. This work was based on Abū Bakr Muhammad ibn Zakariyyā al-Rāzī’s „The Book of Mysteries”, having been translated from Arabic into Persian and some other languages.

Vakhtang VI distinguished seven types of ***arjasp’i*** along with their chemical functions (unlike al-Rāzī, who named six categories of this substance), classifying them by their colour, often referring to their original (Oriental) titles: **black arjasp’i**, **yellow arjasp’i**, **šabi**, **yalaqandus** (**qalaqanda – green ar-**

---

ენობრივი ურთიერთობიდან (თბილისი, 1966); Հրաչյա Աճայիսն, *Հայկենի արևատպական բառարան*, (Երևան, 1979), IV, 625-6; Jost Gippert, *Iranica. Armeno-Iberica Studien zu den iranischen Lehnwörtern im Armenischen und Georgischen* I-II (Wien, 1993).

*յափ’ի*, **qalaqandu** (white *arjasp’i*), **qalaqatar** (yellow *arjasp’i*), **zajisurx** (red *arjasp’i*).

Vakhtang VI classification of different *arjasp’i* types (*šabi* and *zaji* are the Arabic synonyms) has summarized centuries-old tradition of their scientific usage in Georgian medicinal works, some of which were direct translations from Oriental sources.

In Armenian this term has been attested since the 7<sup>th</sup> century (by Vrt’anēs K’ert’of), occurring subsequently in the 13<sup>th</sup> and 14-15<sup>th</sup> centuries works. The forms **arjasp**, **arjaspn** were preserved in later monuments as well, denoting „vitriol, sulphate of iron or copper”. It was mainly used as black colorant, ink, and remedy component. The word is attested in Modern Armenian and its dialect with the same meaning.

According to H. Ačaryan’s etymology, Armenian **arjn** „black” was assumed as a borrowing from North Caucasian languages: Chechen ‘ärži, Ingush **arji**, cf. Tušian **arji**, ‘arči „black”, while the second component **asp** remained unknown. Georgian **arjasp’i** was considered as an Armenian loan.

H. W. Bailey was first, who hypothetically connected **arj-** in Armenian and Veinax Caucasian languages with Iranian **\*arj-**, coming from Indo-European **\*arg-** or **\*argʷ-** with palatalized **g**. H. Martirosyan considered Armenian **arj-** as reflecting Quasi-Indo-European **\*Hrg<sup>wh</sup>-e-**; **\*Hrd<sup>h</sup>-j-**, or **\*Hr-j-**.

The second part of **arjasp(n)** H. Martirosyan derived from Middle Iranian **\*span** „iron“, attested in Eastern Iranian languages, stemming from Ancient Iranian **\*spana**.

The archetype of **arjasp(n)** could be **\*arjaspan** (with anaptyctic **-a** in Armenian) or **\*arjāspan**, the compound, presumably denoting „dark/black iron (sulphate)”, lost in Middle Iranian and preserved in South Caucasian languages.

It is significant, that in Georgian this term was transferred without final **-n**, while in Armenian forms ending in **-n** were frequent. It could be assumed that the final **-n** was not lost in the 7<sup>th</sup> century, as H. Martirosyan supposed, but remained in use, as later Armenian medical treatises – „The Book of Healing Horses” (13<sup>th</sup> c) and „The Book of Medical Art” by Asar Sebastac’i (16-17<sup>th</sup> cc) attest.

In our opinion, **arjasp**, **arjaspn** could be an independent Middle Iranian borrowing, both in Armenian and Georgian, as a result of multifarious scientific and literary contacts with Iranian commonwealth, representing one of remarkable examples of South Caucasian-Iranian cultural-linguistic interference.

## **თინათინ ევდოშვილი ძველი სომხური ოთხთავის უცნობი ფრაგმენტი**

სომხურ ხელნაწერთა ყველაზე დიდი კოლექციები მატენადარანის გარდა სომხეთისა და უცოხეთის სხვადასხვა მუზეუმებსა თუ სიძველეთსაცავებში ინახება, თუმცა ცალეკული ხელნაწერი წიგნები კერძო კოლექციებშიც გვხვდება. დღეს სწორედ ერთ-ერთ ასეთ წიგნში წარმოგიდგენთ.

თბილისში, კერძო კოლექციაში სხვა ძველნაბეჭდ წიგნებთან და ხელნაწერებთან ერთად მცირე ფორმატის ძველი სომხური ხელნაწერი წიგნი ინახება. ხელნაწერის პალეოგრაფიასა და კოდიკოლოგიაზე დაყრდნობით ვარაუდობთ, რომ იგი XV საუკუნეში უნდა იყოს შექმნილი. შინაარსით ეს არის „ფსალმუნი“. ხელნაწერ წიგნს არ აქვს ყდა და აკლია დასაწყისი და ბოლო რამდენიმე ფურცელი, სადაც, შესაძლოა, ყოფილიყო ანდერძი ინფორმაციით თუ ვინ, სად, როდის, რა მიზეზითა და ვისი დაკვეთით გადაწერა და შეამკო იგი. ამ მნიშვნელოვანი დანაკლისის მიუხედავად ხელნაწერი მრავალმხრივ არის საინტერესო.

პირველ რიგში ყურადღებას იპყრობს ძირითად ხელნაწერთან შეკინძული საცავი ფურცელი, რომელიც თავდაპირველად წიგნის ყდასა და ძირითად ხელნაწერს შორის იქნებოდა მოთავსებული. ხელნაწერი წიგნების საცავი ფურცლები, ძვირფასი მასალის ეკონომიკის მიზნით, ხშირად, კიდევ უფრო ძველი და რაიმე მიზეზით გამოუსადეგრად მიჩნეული ფურცლებისაგან მზადდებოდა. ამჯერად ჩვენი ინტერესის საგანი სწორედ ფსალმუნის საცავი ფურცელია.

საცავი ფურცელი არის ეტრატი, ზომა 120 x 95 მმ. იგი გაკეცილია შუაზე და ძირითადი ხელნაწერის ფორმატის ორ ფურცელს ქმნის. ეტრატს ხელნაწერის ზომაზე მოსარგებად გადაჭრილი აქვს თავი და ბოლო, გვერდებიც შემოჭრილია. გვერდებს პრაქტიკულად შხოლოდ არ-შეიძი აქვს ჩამოჭრილი. საცავი ფურცლის ზედა ნაწილს განსაკუთრებით ეტყობა ცეცხლის კვალი. ამის გამო არ იკითხება ან დაზიანებულია სტრიქნის დასაწყისი და ბოლო გრაფემები. მცირე ზომისა და დაზიანების მიუხედავად, სრულებით აშკარაა, რომ ეტრატი შეიცავს მათეს სახარების ფრაგმენტს, კერძოდ თავი 10-ის 3,4 და 6,7 მუხლებს. მათგან 1r გვერდზე მოთავსაბულია 10. 3, 4; ხოლო 2v გვერდზე -10. 6,7.

ტექსტი დაწერილია ყავისფერი მელნით, ლამაზი, მსხვილი, მრგვლოვანი ერკათაგირით (ასომთავრული), ერთ სვეტად. გრაფემები ვერტიკალურია, არ არის დახრილი. სტრიქნებს შორის მანძილი 17 მმ. არის; გრაფემების ზომა: სიმაღლე - 6 მმ.; სიგანე - 5-6 მმ.; მათ შორის მანძილი 1-2 მმ.; ზომის თვალსაზრისით გამონაკლისს წარმოადგენს ჭ (ქ), Փ (ფ) და ღ (გ) ასოები. ჭ-ს ბუნი ჩამოგრძელებულია და ბოლოსკენ

სოლივით წვრილდება. ის მომდევნო სტრიქონის გრაფემისგან 2 მმ.-ით არის დაშორებული, ხოლო Φ-ს (ფ) ღერძი ზედა სტრიქონისკენ ადის და მისგან 2 მმ.-ით არის დაშორებული. ღერძის ქვედა ნაწილი კი მისი სრული სიგრძის 1/3-ით სცდება სტრიქონს და სოლისებრ წვრილდება. გრაფემის ოვალური ფორმის ნაწილი მუცლით განკანონების ხაზზე ძევს, რაც გრაფემას პროპორციულს ხდის. გ (გ) გრაფემის თავი შეკრული წრეა, მარცხენა და მარჯვენა კიდეები მსხვილია ზედა და ქვედა კი ძალიან წვრილი. გრაფემა მუცლით განკანონების ხაზზე ძევს. გრაფემის ფეხი კი ქვემოთ ჩამოდის და საკმაოდ გრძელი, ჰორიზონტალური კუდით სრულდება. გრაფემის ეს ნაწილები ძალიან წვრილია.

დანარჩენი გრაფემები თითქმის ერთი სიმაღლისაა. მათი პალეოგრაფიული მახასიათებლები შეიძლება რამდენიმე ჯგუფად გაერთიანდეს:

ვერტიკალურ ხაზზე აგებული გრაფემების ღერძები ყოველთვის სწორია და მსხვილად არის გამოხაზული.

ვერტიკალურ ხაზზე აგებული გრაფემების მორკალული ნაწილების დასაწყისი ყოველთვის წვრილია, ბოლოს კი მსხვილდება და გრაფემის ღერძის სიმსხო ხდება. მორკალული ნაწილები საკმაოდ დახურულია, უმეტესად მათი სიმაღლე გრაფემის სრული სიმაღლის მინიმუმ 1/3 შეადგენს, ხოლო Γ (რ) და S (ტ) გრაფემების შემთხვევაში ნახევარს. ალსანიშნავია, რომ S (ტ) გრაფემის თავი და ბოლო ერთნაირად არის მორკალული. გრაფემა სიმაღლესა და სიგანეში პრაქტიკულად ერთი ზომისაა. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მ (თ) გრაფემაც. მისი მარჯვნივ მორკალული ნაწილი მარცხენა ვერტიკალური ხაზის სიმაღლისაა. რკალის ქვედა ბოლო ხვეულში გადადის, ის ძალიან უახლოვდება მარცხენა შვეულ ხაზს და ოდნავ შესამჩნევი მარჯვნივ ორიენტირებული ჰორიზონტალური ხაზით სრულდება. მ (თ) გრაფემაც სიმაღლესა და სიგანეში ერთი ზომის არის.

გრაფემების ჰორიზონტალური შვერილები დამოუკიდებლად მათი ორიენტაციისა (მარჯვნივ/მარცხნივ) და მდებარეობისაგან - ღერძის თავშია ს (ს), უ (მ), ბოლოსა ე (ე-მეშვიდე), ი (ლ), ლ (ლ) თუ შუაში ჭ (ბ), ჭ (დ), ჭ (რ-მაგარი), წ (ვიე), ყოველთვის წვრილია. ზოგ შემთხვევაში თითქმის შეუმჩნეველიც კი. მათი გამოკვეთა შვერილის ბოლოს შემსხვილების ხარჯზე ხერხდება. ჭ (ბ), ლ (ე-მებუთე) გრაფემების ჰორიზონტალური შვერილები ოდნავ ნინ არის განეული მორკალულ ნაწილებთან შედარებით. ე (ე-მეშვიდე) გრაფემის ღერძის შუიდან გამოსული შვერილიც ოდნავ უფრო გრძელია ვიდრე ღერძის ბოლოდან გამოსული შვერილი. ლ (ლ), ი (ლ) და ყ (ვ) გრაფემების ჰორიზონტალური შვერილები გრძელია და მომდევნო გრაფემის ქვეშ სრულდება. ს (ს) გრაფემის მოკლე, წვრილ შვერილს კი მსხვილი ზემოთ გახსნილი რკალი ასრულებს.

ორი მსხვილად გამოხაზული ვერტიკალური ხაზის საშუალებით აგებულ გრაფემებს წვრილი რკალი აერთებს. უ (მ), უ (ო), უ (ს) გრაფემების მარცხენა და მარჯვენა ხაზი მხვილია, ასეთივეა მარჯვენა ხაზის ზედა ნაწილიც, თუმცა შუისკენ წვრილდება, გრაფემის კუდი კი ისევ მსხვილია, ის რომბის ფორმისა და ცალი გვერდით ეკვრის მარჯვენა ხაზის ქვედა ნაწილს. ყ (ვ) გრაფემის მარჯვენა ხაზი ოდნავ ქვემოთაა დაწეული ისე, რომ სვეტების რკალით შეერთების ადგილთან მოკლე ფეხი ჩნდება, რომელიც ჰორიზონტალური შვერილით სრულდება. ყ (კ) გრაფემის მარცხენა სვეტი უფრო გრძელია ვიდრე მარჯვენა. მათი რკალით შეერთების ადგილას გრაფემის მოკლე, სოლისებრ დაწვრილებული ფეხი გამოიყოფა.

ცალკე შეიძლება გამოვყოთ წრიულ-რკალური მოხაზულობის გრაფემები, რომლებიც სიმაღლესა და სიგანეში ერთი ზომის არის. ვ (ც) გრაფემა სწორია. იგი ერთმანეთისგან გაცალკევებული ორი ნაწილისაგან შედგება. გრაფემის თავი ქვედა მხრიდან გახსნილი მომცრო ოვალია. მისი მარჯვენა ქვედა კიდიდან მარცხნივ ორიენტირებული ჰორიზონტალური შვერილი გამოდის და ქვემოთ დახრილი შემსხვილებით სრულდება. ის გრაფემის შედარებით დიდ, მარცხნივ გახსნილ ნახევარწრიულ მუცელს ისე ეფარება, რომ გრაფემის ორივე ნაწილის ერთ მთლიანობად აღქმას განაპირობებს. ვ (იოტა) ორი ერთმანეთზე დასმული მარცხნივ გახსნილი ნახევარწრეა. გრაფემის მომცრო თავი და უფრო დიდი მუცელი ერთმანეთისგან წვრილი, ჰორიზონტალური შვერილით გამოიყოფა და ქვემოთ ორიენტირებული შემსხვილებით სრულდება. იგი გრაფემის მუცლის მორკალული ნაწილის პარალელურია. 2 (ძ) გრაფემა ცუდად იყითხება, ვინაიდან, ერთის მხრივ მელანი ძალიან გაფერმკრთალებულია, მეორე მხრივ, კი გრაფემის ქვედა მარცხენა ფრაგმენტი ეტრატის დაწვის შედეგად არის გამუქებული. ამის მიუხედავად გრაფემის კონტურები მოხაზულობის აღდგენის საშუალებას მაინც იძლევა. გრაფემის თავი მარცხნივ გახსნილი რკალია. მის ზედა ბოლოზე ოდნავი შემსხვილება ქვემოთ არის ორიენტირებული. რკალის ქვედა ბოლო კი უფრო დახურულია და მსხვილი ხვეულით სრულდება, რომელიც გრაფემის კუდში გადადის და განკანონების ხაზისკენ დახრილი კუთხით ეჭვება. 2 (ჩ) გრაფემაც ძალიან გაფერმკრთალებულია. მაგრამ 2 (ძ-სთან) შედარებით უკეთ იყითხება. გრაფემის თავი მარცხნივ გახსნილი რკალია მისი ზედა ნაწილი ქვემოთ არის დახრილი და შემსხვილებით სრულდება. რკალის ქვედა ბოლო კი ტალღოვანი ხვეულია, რომელიც გრაფემის მოკლე კუდად გარდაიქმნება და განკანონების ხაზები ძევს.

საზედაო ასო მხოლოდ ერთ შემთხვევაში – 2v გვერდის მე-4 სტრიქონზე გვხვდება. ეს არის Եჩ (და) კავშირის პირველი გრაფემა. ის განკანონების ხაზებს შორის არსებულ მთელ სიმაღლეს მოიცავს.

გრაფემის დერძის შემჩნევა საკმაოდ რთულია, ვინაიდან მისი კონტურის გარე კიდის 2/3 ფურცლის შემომწვარ კიდეს ემთხვევა. დერძის ქვედა ხაწილი რკალითურთ, კი უკვე მკაფიოდ ჩანს. გრაფემის ჰორიზონტალური შვერილი ძალიან წვრილი და ფერმერთალია. ის გრაფემის დერძის შუა ნაწილიდან გამოდის და 20 მმ. სიგრძისაა. შვერილი სიტყვის მეორე გრაფემამდე არსებულ მთელ ინტერვალს აცსებს და ჩვენს ხელთ არსებული ფრაგმენტის ერთადერთ დეკორატიულ ელემენტს წარმოადგენს.

ზემოაღნიშნული პალეოგრაფიული ნიშნები ჩვენი ფრაგმენტის სიძველეზე მიუთითებს,<sup>1</sup> მაგრამ მისი დაწერის დროის შესახებ უფრო ნათელ წარმოდგენას თარიღიან ხელნაწერთან შედარება შეგვიქმნის. ჩვენამდე შემონახული უძველესი სომხური თარიღიანი ხელნაწერი ლაზარიანის სახარება (887წ).<sup>2</sup> შედარებისათვის პარალელურ სვეტებში წარმოვადგენთ ჩვენს ხელნაწერში დადასტურებულ ყველა გრაფემასა (სულ 27 გრაფემა) და ლაზარიანის ხელნაწერის შესაბამის გრაფემებს:

საცავი ფურცელი	აზარიანის სახარება
Ա	Ա
Բ	Բ
Գ	Գ
Դ	Դ
Ե	Ե
Զ	Զ

<sup>1</sup> სომხური გრაფემების პალეოგრაფიული მახასიათებლების შესახებ იხ. Ա. Գ. Աբրահაմյան, *Հայոց գիր և վարչական գրառարկություն*, (Երևան, 1973), 61-69.

<sup>2</sup> ლაზარიანის სახარების სახელით ცნობილი ხელნაწერი ჩვენამდე მოლენულ სომხურ თარიღიან ხელნაწერებს შორის უძველესია. იგი 1847 -1925 წლებში მოსკოვში ლაზარიანის სასწავლებლის ხელნაწერთა ფონდში ინახებოდა 68. 1925 წელს ხელნაწერი მაშტოცის სახელობის მატენადარაնს გადაეცა 6200. იხ. Ա. Ս. Մաթևոսյան, Լազարյան ճեմարանի հնագույն ձեռագիրը, *ՊԲՀ*, 1, (Երևան 1973), 123; ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში ინახება ლაზარიანის სახარების ფოტოტიპური გამოცემა - *Աւետարան, ըստ թարգմանութեան նախնեաց մերոց, գրեալ ՅՆ.ՁԹ. Հայոց և Յամի Տեառն 887*. Լուսատիպ հրատարակութիւն գրչագրի, Լազարեան ճեմարանի արեւելեան լեզուաց, (Մոսկվա, 1899).

Ճ	Ճ
Ի	Ի
Լ	Լ
Ւ	Ւ
Ե	Ե
Չ	Չ
Ր	Ր
Ղ	Ղ
Մ	Մ
Յ	Յ
Ե	Ե
Ո	Ո
Չ	Չ
Շ	Շ
Ո	Ո
Ս	Ս
Վ	Վ
Ֆ	Ֆ
Բ	Բ
Յ	Յ
Ւ	Ւ
Շ	Շ

გრაფემების მოხაზულობით ჩვენი ფრაგმენტი წააგავს ლაზარიანის სახარებას, მაგრამ განსხვავებაც თვალსაჩინოა. გრაფემები სწორი და უფრო შსხვილია, უკეთ ეწერება კვადრატში. გრაფემების მორკალული ნაწილები უფრო დახურულია, შვერილები კი არ არის ქვემოთ დახრილი, ვერტიკალური ხაზის შუა ნაწილიდან გამოსული შვერილებიც უფრო მოკლეა ვიდრე ლაზარიანის სახარებაში.

ხელნაწერების შედარება საინტერესოა განკვეთილობის ნიშნების თვალსაზრისითაც. ჩვენს ფრაგმენტში ორ ადგილას არის გამოყენებული განკვეთილობის ნიშანი :: (სამივე წერტილი ოდნავ წაგრელებულია). ეს ნიშანი ორივე შემთხვევაში ერთდღოულად მუხლისა და სტრიქონის ბოლოს არის დასმული და მოთავსებულია სტრიქონის ზედა ნაწილში ბოლო გრაფემისაგან მოშორებით. ჩვენი ხელნაწერისგან განსხვავებით, ლაზარიანის სახარებაში განკვეთილობის ნიშანი უფრო ხშირად არის გამოყენებული. აქ განკვეთილობის ნიშნად წერტილია გამოყენებული, რომელიც წაგრელებული მოყვანილობისაა და სტრიქონის ზედა ნაწილში, გრაფემისგან მოშორებით არის დასმული. წერტილი არამხოლოდ მუხლებს გამოჰყოფს ერთმანეთისგან, არამედ ხშირად სტრიქონშიც აშორიშორებს სიტყვებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ განკვეთილობის ნიშნის გამოყენებას სიტყვებს გაცალკევების მიზნით, არც ლაზარიანის სახარებაში აქეს რეგულარული ხასიათი.

ჩვენს ფრაგმენტში სტრიქონებზე გრაფემების მაქსიმალური რაოდენობაა 14. სტრიქონში სიტყვები თითქმის არ არის გამოყოფილი. თუ სიტყვის გაცალკევება მაინც ხდება (2 შემთხვევა), ვფიქრობთ, ეს ნაკარნახევია სტრიქონზე გრაფემების განაწილების საჭიროებით, რათა არ დაირღვეს სვეტის სისწორე. გამონაკლისს წარმოადგენს ΠΓ/ვორ/ (რომელიც) – მიმართებითი ნაცვალსახელის, ასევე მნ/თე/ (რომ) და ძ/ევ/ (და), – კავშირების გამოყოფა წინა სიტყვისაგან. ΠΓ-ის გამოყოფის ორი შემთხვევაა, ძ-სი – ერთი, მნ-სი – ერთი. სვეტში ტექსტის სწორად განლაგების მიზნით სტრიქონის ბოლო სიტყვის ერთი ან რამდენიმე ასო დაშორებულია და გატანილია სვეტის გარე კიდისაკენ. დაქარაგმებულია ნათესაობით ბრუნვაში ჩასმული ერთი სიტყვა ჩ-ზ (იღი) - ისრაელის.

პალეოგრაფიული მონაცემები: გრაფემების მოხაზულობა, მათი სიდიდე, სტრიქონებს შორის მანძილი, დაქარაგმებული სიტყვების, განკვეთილობის ნიშნებისა და დეკორატიული ელემენტების იშვიათობა გვაფიქრებინებს, რომ საცავ ფურცელზე შემორჩენილი ტექსტი უფრო ადრე უნდა იყოს დაწერილი ვიდრე ლაზარიანის სახარება.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ეტრატი ძირითადი ხელნაწერის ზომას შეესაბამება (120 x 95 მმ.) და თავ-ბოლო გადაჭრილია. იმისათვის, რომ პირველი და ბოლო სტრიქონების გადაჭრილი გრაფემების სრული ზომა აღვადგინოთ ზემოთაც და ქვემოთაც სამ-სამი მმ. უნდა მივუმატოთ. ამ შემთხვევაში 8 სტრიქონის სრული სიმაღლე 126 მმ.

გამოვა. თუ 1r და 2v გვერდებზე პარალელურად განლაგებულ მუხ-ლებში გრაფემების რაოდენობასა და სვეტის თითოეულ სტრიქონზე მათ რაოდენობრივ განაწილებას გავითვალისწინებთ, ასევე დავით-ვლით მათ შორის ნაკლული მე-5 მუხლის გრაფემების რაოდენობას ( $102+3$  / მუხლი 6-ის დასაწყისი/) და მათ ისევე გავანაწილებთ სტრიქონებზე (12-14 გრაფემა), აღმოჩნდება, რომ 1r და 2v გვერდებზე არსებულ ტექსტებს შორის კიდევ 9 სტრიქონი უნდა იყოს. თუ როგორ იყო განაწილებული ეს 9 სტრიქონი 1r და 2v გვერდებზე დანამ-დვილებით თქმა შეუძლებელია. თუმცა, ჩვენი ვარაუდით 1r გვერდის ბოლო სტრიქონი, რომელიც სვეტის შუისკენ არის შემოწეული და განკვეთილობის ნიშნით სრულდება, ერთდროულად ამ სვეტისა და გვერდის დასასრული უნდა იყოს. მე-5 მუხლის შემადგენელი 9 სტრიქონი, ჩვენი აზრით, 2v გვერდზე უნდა ყოფილიყო მოთავსებული. გამოდის, რომ 2v გვერდზე სვეტის სტრიქონების რაოდენობა 17 იქ-ნება. ასეთივე ვითარება იქნებოდა 1r გვერდზეც. 17 სტრიქონის შემ-თხევაში სვეტის სიმაღლე იქნებოდა 280 მმ.

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ სვეტის შემორჩენილი სტრიქონები პრაქტიკულად სრულად იყოთხება, რაც იმას უნდა ნიშნავდეს, რომ გვერდებიდან მხოლოდ არშიებია ჩამოჭრილი. დაწერილი სვეტის ზომა 280 x 95 მმ. გამოდის.

ტექსტის ასეთი განლაგება 1r და 2v გვერდებზე შეიძლება მხო-ლოდ ორ შემთხვევაში მიგველო: а) თუ ტექსტი იმთავითვე ერთ სვეტად იყო დაწერილი. 280 x 95 + არშიები - ასეთ შემთხვევაში ფორმატი მეტად ვიწრო და გრძელია, თანაც, დღემდე არ გამოვლენილა ჩვენთვის საინტერესო პერიოდის (IX საუკუნის ან უფრო ადრინდელი) არც ერთი სომხური სახარება, რომელიც ერთ სვეტად იქნებოდა დაწერილი; ბ) თავდაპირველად ტექსტი ორ სვეტად იყო დაწერილი და ჩვენს ხელთ არსებული ფრაგმენტის 1r გვერდი თავდაპირველი ფურცლის 1 გვერდის მარჯვენა სვეტის ბოლოა, ხოლო 2v - v გვერდის მარცხენა სვეტის ბოლო. ვფიქრობთ, ასთი ვარაუდი უფრო მისაღებია.

რა ფორმატის უნდა ყოფილიყო თავდაპირველად ჩვენი ფრა-გმენტის შემცველი ფურცელი თუ ტექსტი ორ სვეტად იყო დაწერილი? სანიმუშობრივი კვლავ ლაზარიანის 887 წლის სახარების ზომებსა ( $\text{ზედა} - 30 \text{ მმ.}; \text{ქვედა} - 60 \text{ მმ.}; \text{მარცხენა} - 23 \text{ მმ.}; \text{მარჯვენა} - 42 \text{ მმ.})$  და სვეტებს შორის მანძილს ( $30 \text{ მმ.}$ )<sup>1</sup> ავიღებთ და სვეტების ზომას -  $280 \times 95+95$  მმ. მივუმატებთ ფურცლის თავდაპირველი ფორმატი დაახ-ლოებით  $370 \times 285$  მმ. გამოვა.

<sup>1</sup> Մայթի Է. Մթոռուն, Տիգրան Գույումճեան, Հեննինդ Լեմանն, Հայկական հնագրութեան ալբու, Անգլերէնից թարգմանեցին Գոհար Մուլադէան, Արամ Թոփչեան, Տիգրան մեծ հրատարակչություն փրը, (2006), 126.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ ფსალმუნის საცავი ფურცლი დამზადებულია დიდი ზომის ეტრატისგან, რომელზეც ტექსტი ორ სვეტად იყო დაწერილი; თითო სვეტის ზომა 280 x 95 მმ.-ს შეადგენდა და გაცილებით უფრო დიდი ხელნაწერის, სავარაუდოდ, სრული ოთხთავის ფურცელს წარმოადგენდა. ჩვენს ხელთ არსებული ფრაგმენტი თავდაპირველი ფურცლის I გვერდის მარჯვენა სვეტის დასასრული და V გვერდის მარცხენა სვეტის ბოლოა, რომელიც, როგორც აღვნიშნეთ, შეიცავს მათეს სახარების 10. 3-4; 10. 6-7.

I გვერდზე განლაგებული ტექსტი 8 სტრიქონისგან შედგება. სრულებით არ იკითხება პირველი სტრიქონის პირველი და ბოლო ასოები. პირველი სტრიქონის მხოლოდ ქვედა ნახევარია შემორჩენილი, მაგრამ ასოების მოხაზულობის მიხედვით Ա.Ք.Ս.Ա.Խ.Ո.Ր.Վ.Ա ადვილად აღდგება სტრიქონის როგორც პირველი სიტყვა ՄԱ.Ք.Ս.Ա.Խ.Ո.Ր., ასევე მეორე სიტყვის დასაწყისი ՅԱԿ, რომელიც მეორე სტრიქონზე გადადის. მეორე სტრიქონი სრულად იკითხება. ბოლო გრაფემა დაზიანებულია, მაგრამ ამოკითხვა შესაძლებელია. მესამე სტრიქონიც სრულად იკითხება. აქ ყურადღებას იქცევს საკუთარი სახელის - ՂԱ.Բ.Բ.Ե.Ռ.Ս დაწერილობა, სადაც F (ბ) გრაფემა გემინირებულია. მეოთხე სტრიქონი შუაზე გაკეცილი და ძირითად ხელნაწერთან შეკინძვის გამო დახვრეტილია ოთხ ადგილზე, თუმცა მაინც იკითხება. აქაც სახელ ԹԱԴ.Շ.Ո.Ս-ში გემინირებულია Դ (დ) გრაფემა. ასევე აღსანიშნავია ამ საკუთარი სახელების ბერძნული დაბოლოებების დაწერილობა - მოსალოდნელი ԷՈՒ-ის ნაცვლად ორივე შემთხვევაში გვაქვს ԵՈՒ, რაც ტექსტის სიძველის კიდევ ერთი მაჩქვენებელი უნდა იყოს. ყველაზე უკეთ არის შემონახული I გვერდის 5,6,7 სტრიქონები, რომლებიც სრულად იკითხება. ბოლო სტრიქონის მხოლოდ ზედა ნახევარია შემორჩენილი, მაგრამ მისი აღდგენა ადვილად ხერხდება. ეს სტრიქონი სვეტის შუისკენ არის შემონეული და აქვს განკვეთილობის ნიშანი ::..

საცავი ფურცლის 2v გვერდზე მელანი გაცილებით გაფერმკრთალებულია. განსაკუთრებით დაზიანებულია პირველი და მერვე სტრიქონები. აქ პრობლემას ქმნის არა მხოლოდ მელანი, არამედ ისიც, რომ ასოები გადაჭრილია. ძალიან გაღიავებულია პირველი სტრიქონის შემორჩენილი ქვედა მესამედი, თუმცა, ტექსტის აღდგენა შესაძლებელია. მეორე სტრიქონის ბოლოს არ იკითხება ერთი ასო. მესამე სტრიქონი სრულად იკითხება. აქ დაქარაგმებულია სიტყვა Ի~ՂԻ - ისრაელის, რა-საც მოსადევს განკვეთილობის ნიშანი ::.. შემდეგი ოთხი სტრიქონი სრულად იკითხება. მე-4 სტრიქონი საზედაო ასოთი ინყება, როგორც უკვე აღვნიშნეთ ეს არის ԵՒ (და) კავშირის პირველი გრაფემა. მერვე სტრიქონზე მხოლოდ რამდენიმე გრაფემის ზედა მესამადის ზუსტად იდენტიფიცირებაა შესაძლებელი. ასევე თვალსაჩინოა, რომ მერვე სტრიქონი სვეტის შუისკენ არის შემონეული, რაც მუხლის დასასრულზე მიუ-

თითებს, თუმცა განკვეთილობის ნიშანი არ ჩანს. ჩვენი ვარაუდით, ის საცავი ფურცლის დამზადებისას ჩამიოიქრა.

1r გვერდი შეიცავს მათეს სახარების ტექსტს - 10. 3-4. შედარებისათვის აქვე მოვიტანთ ლაზარიანის სახარების (887წ.) ფოტოტიპური გამოცემის, ეჯმიანინის (989 წ.) სახარების ტექსტის,<sup>1</sup> ზოპრაბის ბიბლიის<sup>2</sup> და ბერძნულ<sup>3</sup>, შესაბამის მონაკვეთებს, ასევე ქართულ თარგმანს. მსხვილად გამოყოფთ ჩვენი ფრაგმენტის ყველა იმ ლექსიკურ ერთეულს, რომელსაც პარალელურ სომხურ ტექსტებში არამხლოდ იდენტური ფორმა ექვება, არამედ ვარიანტებიც. პარალელური ტექსტების იდენტურ ფორმებსაც მსხვილად აღნიშნავთ, ვარიანტებს კი კურსივით.

მუხლი 3 არასრულია:

... [Մ]ԱՔՍԱԽՈՐ ՅԱԿՈՎԲՈՍ||ԱՂՓԵՑ ԵՒ ՂԱԲԲԵՇՈՍ

ՈՐ||ԱՆՈՒԱՆԵՑԱԿՆ||ԹԱՐԴԵՇՈՍ

ლაზარიანის სახარება:

... մաքսաւոր յակովբոս աղփեա, եւ դեպքեոս որ անուանեցաւն թաղեոս,

ეჯმიანინის სახარება:

... մաքսաւոր յակովբոս աղփեայ, եւ դաբբեոս որ անուանեցաւն թաղդեոս,

ზოპრაბი:

... մաքսաւոր. Յակովբոս աղփեայ, եւ դաբբեոս՝ որ անուանեցաւն թաղեոս:

ծერძნული:

... Մաթանօς ὁ τελώνης, Ἰάκωβος ὁ τοῦ Ἀλφαίου καὶ Θαδδαῖος,

ქართული:

... մեծնուր, օաკոծ ալფեսո და լებյոս, րოմելսა ენոდა თადეօս.

<sup>1</sup> Beda O. Künzle, *Das altarmenische Evangelium, Teil I, Edition zweier altarmenischer Handschriften, Edition nach dem Kodex Matenadaran 6200 (früher 1111 der Bibliothek des Institutes für orientalische Sprache, Lazarev, Moskau) geschrieben im Jahre 887 und nach dem Kodex Matenadaran 2374 (früher Ejmiacin 229) geschrieben im Jahre 989*, (Peter Lang, Bern-Frankfurt am Main-Nancy-New York, 1984), 23. ბედა օ. კუნცლეს გამოცემის საფუძვლად აღებული აქვს ეჯმიანინის 989 წლის სახარება, ლაზარიანის სახარების ვარიანტები კი სქოლიობშია ჩატანილი.

<sup>2</sup> Աստվածաշունչ, Մատեան Հին եւ Նոր Կոտակրանաց Յաշխատափրութէ Տն Հ. Յովհաննու Զոհրապեան Վկ պէտի, ՚ի միաբանու՞է Մեծին Միփարայ Մարունապէտի և առաջին Աբբայի, Հատոր Չորրորդ, (1805 ՚ի Վէնէտիկ), 22.

<sup>3</sup> NOVUM TESTAMENTUM, Graece, Electronical edition prepared by the Center for Computer Analysis of Texts at the University of Pennsylvania (CCAT); TITUS version by J. Gippert, Frankfurt, November 1996 / 28.2.1998 / 30.6.1998 / 1.6.2000 / 19.4.2002 / 29.1.2005 / 9.12.2008

ჩვენს ტექსტში დაფიქსირებული საკუთარი სახელი ՂԱԲԲԵՈՍ ლაზარიანის სახარებაში դեբեռი ფორმით გვაქვს, ეჯმიանինის სახარებაში დასტურდება դაწებენ, მაგრამ მას ზუსტი პარალელი არ ეძებნება ზოპრაბის ბიბლიის არც ძირითად ტექსტში არც ვარიანტები. აქ გვაქვს: դაწებენ, დაწებენ, დებენ ფორმები.

შესაბამის ბერძნულ ტექსტში საერთოდ არ გვხვდება ეს სახელი. ფორმა ԹԱԴԴԵՈՍ დაფიქსირებულია ეჯმიანინის სახარებაშიც, ლაზარიანის სახარებაში გვაქვს ზოპრაბის ბიბლიის არც ძირითად ტექსტში არც ვარიანტები.

მუხლი 4 სრულია. ის მე-5 სტრიქონზე იწყება.

ՄԻՍՈՎԱԿԱՆԱՑԻ ԵՒՅՈՒՆԱԿԱՐՔՈՎՏԱՑԻ  
ՈՐԵՒՄՈՍՏԵԱՑԶԱՑ:

ლაზარიანის სახარება:

սիմովն կանանացի, եւ յուդայ իսկարիովտացի որ մատնեացն զնա:

ეჯმიանინის სახარება:

սիմովն կանանացի, եւ յուդա իսկարիովտացի որ եւ մատնեացնենա:

ზოპრაბი:

Սիմոն Կանանաց և Իօնδաչ և Իսկարιώտի և և պարածոնց անտόն.

յարտუղություն:

Սიմոն կանանելու და იუდა օսկարություն რომելմանց გանձաւ օგո.

ფორմა ԿԱՆԱՆԱՑԻ დასტურდება ლაზარიაնուն, ეჯმიանინის სახარებაში და ზოპրაბის ბიბლიის კი ჩატაնուած ვარიანტաდ.

საკუთაրი სახელու ՅՈՒՆԱ ეჯმიանიնის სახარებაში და ზოპրաბուած օდյեნტუրո ფორმուած ճարմուգենուած, ხოლո լաზაրიանուած გვაქვს ფორմա յուդայ.

ფორմა ԻՍԿԱՐՔՈՎՏԱՑԻ ლաზարიանուած და ეჯմიանიնის სახარებაში ფიქսիრდება, ზოპրաბուած კი ზუսტი პარաლելո ვარიანტებშიც არ ეძებნება.

2v გვერდი შეიცავს მათეს სახარების ტექსტს - 10. 6 -7. 6 მუხლი არასრულია - დასახնები აკლია ერთու սიტყვա, რომեლուც ზედა სტრიქոնზე უნდა ყოფյուած լինի:

მუხლი 6:

...[ԵՐԹ]ԱՅՔ|[ԱՌԱՒ[ԵԼ]]|[ԱՌ|[ՈՉԽԱՐՄ|[ԿՈՐՈՒ]Ի]ՍԵԱԼՍ|[ՏԱՆ|[Ի

ՂԻ:

լաზაրიაնის სახარება:

...երթայք առաւել առ ոչխարս կորուսեալ տանն ի՞ղի:

ეჯմიանიնის სახარება:

...երթայք առաւել առ ոչխարս կորուսեալս տան ի՞ղի:

ზოპრაბი:

... երթայք առաւել առ ոչխարսն կորուսեալս տան իսրայէլի:  
ծերժելո:

πορεύεσθε δὲ μᾶλλον πρὸς τὰ πρόβατα τὰ ἀπολωλότα οἴκου Ἰσραὴλ.  
ქაրτული:

... մովզեգոտ պատրոս ხოლո ცხოვაրთա մատ წարճպեցողակա სახ-  
ლიսა ისრაეլიսაտა..

ჩვენ ტექსტში ფორմა ոչխարս გვաქვს, ասեցեա ლաზაրուանտանաც.  
ეჯմიաննის სახարებասա და ზოპրაბის ტექსტებში კი სიტყვաს მსაზ-  
ღვრელი ნანევრი -ն ერთვის.

ნამყო დროის მიმღება կորուսեալս განსხვავებული ფორմა მხო-  
ლოდ ლაზაրուანის ხელნაწერში აქვს. აქ ფიქსირდება կորուսեալ, -ս-  
ბრალდებითი ბრუნვის მრ. რიცხვის ნიშნის გარეშე.

მუხლი 6-ის დასასრული տանի~უ იდენტურია ეჯმიաნնის სახა-  
რებაში, ლაზარուანთან გვაქვს տանի~უ - პირველი სიტყვა მსაზღვ-  
რელი ნანევრით არის გაფორმებული, ზოპრაბთან კი տան իսրայէլի, აქ  
ქარაგმა არის გახსნილი ხოლო ვარიანტად ჩატანილია: տანი ի~უ.

მუხლი 7 სრულია. მე-7 სტრიქონის ბოლო სიტყვის ოთხი ასო და  
მუხლის ბოლო სიტყვა მე-8 გადაჭრილ სტრიქონზე უნდა ყოფილიყო  
დანერილი. ამ სტრიქონის გრაფემების შემორჩენილი ზედა ნაწილები  
მ, ს, ს, ვ გრაფემების იდენტიფიცირების, ხოლო მათ შორის დაშო-  
რებები ტექსტის აღდგენის საშუალებას გვაძლევს.

მუხლი 7:

ԵՒ||ԻԲՐԵՒ||ԵՐԹԱՅՅԵՔՔԱՐՈԶԵՑՔԵՒ||ԱՍԱՅՔԹԵ||ՄԷՐՉԵԱԼ  
||Է||ԱՐՔԱՅՈՒԹ[ԻՒ]Ն||ԵՐԿ[Վ]Ն[Ի]Յ  
ლაზარուანის სახარება:

Եւ իբրեւ երթայցէք քարոզեցէք եւ ասացէք եթէ մերձեալ է  
արքայութիւնն երկնից:  
ეჯმიաნնის სახარება:

Եւ իբրեւ երթայցէք քարոզեցէք եւ ասացէք թէ մերձեալ է  
արքայութիւն երկնից:

ზოპრაბი:

Եւ իբրեւ երթայցէք քարոզեցէք եւ ասացէք, թէ մերձեալ է  
արքայութիւն ի երկնից:

ծერժեლი:

πορευόμενοι δὲ κηρύσσετε λέγοντες ՚ոτι ՚Հիγικεν ՚իβασιλεία τῶνοὐρανῶν.

ქართული: და მი-რაღ-ხვდეთ, ქადაგებდით და იტყოდეთ, ვითარ-  
მედ: მოახლებულ არს სასუფეველი ცათამ.

ამ მუხლში განსხვავებებს მხოლოდ ლაზარուანის სახარება გვიჩ-  
ვენებს թէ (თე) მაქვემდებარებელი კავშირის ნაცვლად მისი პარალე-

լոյրո կթէ (յոյ) գորմաս, եռլո արքայութիւն գորմաս –ն մսածլզրելո նանցարն յրտավուն.

Իզեն մոյր նյեմոտ შեդարյեծուլ սոմեյր գրյելստյեծմո և յուլ 15 լոյք- սոյուրո յրտեյուլո ցամոցլոնճա, րոմելուց բամեյ սաես ցոլոլյեծաս ցանօցած ցսալմոյնուս սապազո ոյշրուլուս որացմենքտան մեդարյեծուտ. ցերոլմու A լուգերուտ ալնոնմուլուս սապազո ոյշրուլուս որացմենքտո, L- տո - լածարունունուս սաեսարյեծա, E-տո - յջմոնունուս սաեսարյեծա, Z-տո - նոշրածուս ծոնձուս մեծածած յո ցամոցպազուտ օդյենքուրո գորմեծու:

N	A	L	E	Z	մատյ
1	Աղփեայ	Աղփեա	Աղփեայ	Աղփեայ	10.3
2	Ղարբեոս	Ղերբեոս	Ղարբեոս	Ղարբեոս	
3	Անուանեցաւն	անուանեցաւն	անուանեցաւ	անուանեցաւն	
4	Թարյեոս	Թայիեոս	Թարյեոս	Թարյեոս	
5	Կանանացի	Կանանացի	Կաննացի	Կաննացի	10.4
6	Յուդա	Յուդայ	Յուդա	Յուդա	
7	Իսկարիովտացի	Իսկարիովտացի	Իսկարիովտացի	Սկարիովտացի	
8	Եւ		Եւ	Եւ	
9	Մատնեաց	Մատնեացն	Մատնեացն	Մատնեացն	
10	Ոչխարս	Ոչխարս	Ոչխարսն	Ոչխարսն	10.6
11	Կորուսեալս	Կորուսեալ	Կորուսեալս	Կորուսեալս	
12	Տան	Տանն	Տան	Տան	
13	Ի՞դի	Ի՞դի	Ի՞դի	Իսրայէլի	
14	Թէ	Եթէ	Թէ	Թէ	10. 7
15	Արքայութիւն	Արքայութիւնն	Արքայութիւն	Արքայութիւն	

Իզենո որացմենքուս, լածարունուսա դա յջմոնունուս սաեսարյեծուս Շե- սաձամուսո գրյելստյեծուս մեդարյեծամ ցորիհզենա, րոմ իզենո որացմենքտսա դա լածարունուս սաեսարյեծա մեցուա սեցառօձա զոֆրո իզենո որացմեն- քտսա դա յջմոնունուս սաեսարյեծա մորուս. յը ոռո գրյելստո პրայդուզուլագ ուցենքուրուս, ույ մեյցուլունձամո առ մովուլութ ցոֆոմուլյեծաս մսածլզրե- լու նանցարուս ցամոցյենձասա (Յ Մետեցըցա) դա սուբյուս - կանանացի (յանանցու) դանցուլունձամո, րոմելուց յջմոնունուս սաեսարյեծամո կան- նացի ցորմուտ արուս նարմուգցենուլու.

Սանդուղքուսա մյ-3 դա մյ-4 մոյելյեծուս նմնուս գորմեծու դայցուրզը- ծա մսածլզրելու նանցարուս դարտավուս տապալսաթրուսուտ դա մատու մեդարյեծա լածարունուս, յջմոնունուսա դա նոշրածուս գրյելստյեծուս Շեսաձամուս ագցո- լյեծտան. մզելու սոմեյրուսատավուս րյուլացույր նոնագագյեծամո նմնանյո մսածլզրելու նանցարուս դարտավա իզեյլյեծրուզո մովլենաա<sup>1</sup>. իզենո գրյ- ստյեծու նմնուս գորմաս անուանեցաւն (Եպ., մե. րուբեզո, III პորո, զնեծ.

<sup>1</sup> Պ. Ե. Շարաբխանյան, Գրաքարի Դասընթաց, (Երեվան, 1974), 267; Է. Գ. Տումանյան, Հրեանեարմանական լեզու, (Մ., 1971), 284.

გვარი) – ნი მესამე პირის აღმნიშვნელი მსაზღვრელი ნაწევარი ერთვის. ასეთივე ვითარებაა ლაზარიანის სახარებაშიც. კუნცლეს ტექსტში იმავე ადგილას ანთოვანება ფორმა არის დაფიქსირებული. ზორაბთან კი ანთოვანებას ფორმა. საპირისპირო ვითარება გვაქვს მე-4 მუხლში. ჩვენს ტექსტში ზმნა მათნეად (წყვ., მხ. რიცხვი, III პირი, მოქმ. გვარი) ნაწევრის გარეშეა, ხოლო ლაზარიანთან და კუნცლესთან მათნეადს ნაწევრიანი ფორმაა. ზორაბი ამ შემთხვევაშიც ნაწევრიან ფორმას უჭერს მხარს. მასალის სიმცირის გამო, მხოლოდ ფრთხილი ვარაუდი შეიძლება გამოვთქვათ, რომ IX საუკუნეში საბოლოოდ ჯერ კიდევ არა რის გაფორმებული რელაციურ წინადადებაში ზმნაზე მსაზღვრელი ნაწევრის დართვა. ჩვენს მიერ შედარებულ ტექსტებში სახელზე მსაზღვრელი ნაწევრის დართვის თვალსაზრისითაც არ არის ერთგვაროვანი სურათი.

ტექსტის სიძევლის დამადასტურებელია უკრაინული უკრაინული და უკრაინული ტექსტი. სიტყვებში უკრაინული და უკრაინული ტექსტი იმ პერიოდს განეკუთვნება, როდესაც სომხური უკრაინული, სპარსული, ქართული ლ-ს ეკვივალენტად, ან მასთან ახლომდგომ ფონემად აღიქმებოდა. ასეთი ვითარება IX საუკუნის შემდეგ აღარ არის მოსალოდნელი<sup>1</sup>.

პალეოგრაფიული, კოდიკოლოგიური და ტექსტოლოგიური კვლევის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ფსალმუნის საცავ ფურცელზე შემორჩენილი მათეს სახარების ტექსტი შესრულებულია არაუგვიანეს IX საუკუნისა, ყოველ შემთხვევაში, ქრონოლოგიურად იგი წინ უსწრებს ლაზარიანის სახარებას (878 წ.); საცავი ფურცლის ტექსტი და ეჯმიანინის სახარების (989 წ.) შესაბამისი მონაკვეთი პრაქტიკულად ერთმანეთის იდენტურია. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ გამოვლინდა ძველი სომხური ოთხთავის ერთ-ერთი უძველესი ნიმუშის ფრაგმენტი, რომელმაც ფსალმუნის საცავი ფურცლის სახით მოაღწია ჩვენამდე.


## საცავი ფურცლის ტექსტი:

1r	[ՄԱՔՍԱԽՈՐՅԱԿ]	2v	[ԵՐԴԱՅՔ]  ԱՌԱԽԵԼ]
	ՈՎԳԸՆՍ  ՍՂՓԵՑԵՒ		ԱՌ  ՈՉՏԱՐՄՍ  ԿՈՐՈՒ[Ի]
	ՂԱԲԲԵՇՈՍՈՐ  ԱՆՌԻԱ		ՍԵԱԼՍ  ՏԱՆ  Ի՞ՂԲ:
	ՆԵՑԱԻՆ  ԹԱՐԴԵՇՈՍ	7	ԵՒ  ԻԲՐԵՒ  ԵՐԹԱՅ
4	ՍԻՄՊՎՆ  ԿԱՆԱԱՑԻ		ՑԵՔ  ՔԱՌՈԶԵՑԵՔ
	ԵՒ  ՑՈՒԴԱԽՍԿԱՐ		ԵՒ  ԱԱՆՑԵՔԹԵ  ՄԵՐ
	ԻՆՎՏԱՑԻՈՐ  ԵՒ  ՄԱՏ		ԶԵԱԼ  Է  ԱՐՔԱՅՑՈՒ
	ՆԵԱՅ  ԶՆԱ:		Թ[ԻՒՆ]  [ԵՐԿ]Ն[Ի]Ց


<sup>1</sup> Ա.Ա. Աբրահամյան, *Գրաբարի Զեռնարկ*, (Երեվան, 1964), 9.

საცავი ფურცელი, ფოტოები:


1r (1)



1r (2)



2v



*Tinatin Evdoshvili*

## A Newly Found Fragment of Ancient Armenian Gospel

The largest collections of Armenian manuscripts are to be found in museums and libraries in Armenia and elsewhere, but notably in the Matenadaran in Yerevan. Some are in private ownership, and one such manuscript is the subject of this article.

It concerns a small Armenian manuscript in a private collection in Tbilisi that includes other early printed books and manuscripts. Judging by the palaeography and codicology of the manuscript—a Book of Psalms—it appears to belong to the 15<sup>th</sup> century. The cover is missing and a few folios are lacking at the beginning and the end. The missing pages probably contained a colophon that provided the name of the scribe, stating where, when and how the manuscript was copied, as well as the name of the patron who commissioned the copy. Although this important information is lost, the manuscript is nevertheless of considerable interest.

The flyleaf of the manuscript in particular attracts our attention. It would originally have been placed between the book cover and the manuscript. Due to the high cost of writing materials, flyleaves of manuscripts were often prepared from older folios that were deemed redundant. Such was the case with the flyleaf of the Book of Psalms.

The flyleaf in question is of parchment and measures 120 x 95 mm. It is folded in half and forms two leaves of the same format as is the main manuscript, but was cut at top and bottom in order to make it fit. The left and right margins were also cut, but in this case the original text is completely preserved. The upper part of the flyleaf has visible traces of fire, and for this reason it is impossible to read the first and last graphemes of the lines, even partially. The text on fol. 2v is moreover more faded than that on fol. 1r. Despite the small size of the manuscript and the damage it has suffered, it is clear that the parchment contains a fragment of the Gospel of Matthew. Fol. 1r contains Matt. 10: 3-4; and fol. 2v Matt. 10: 6-7.

The text is copied in brown ink, in beautiful, large, upright, rounded majuscule erk'at'agir script, in a single column. The lines are 17 mm apart. The letters are vertical, not slanted; letter size: height 6 mm; width 5-6 mm; the distance between the letters 1-2 mm. Only 27 graphemes of the Armenian alphabet are present on the flyleaf fragment.

Paleographical analysis of graphemes and their comparison with the corresponding graphemes of the facsimile edition of the oldest dated Armenian manuscript – Lazarian (Matenadaran ms. 6200) Gospel from 887 year, reveals that despite the similarity of the shapes of the graphemes of the two manuscripts,

they are obviously different. Letters from the flyleaf are larger and fit better into the square. The curved strokes of the graphemes appended to the stem are longer; horizontal strokes are not angled downwards. The strokes coming out of the middle part of the stems are shorter than the corresponding graphemes of the Lazarian manuscript. Paleographic data, such as the shape of graphemes, their size, line spacing, the rarity of abbreviated words, and the lack of marks denoting word divisions, suggest that the surviving text on the flyleaf was written earlier than the Lazarian Gospel.

The maximum number of graphemes per line is 14. In most cases words are not divided from each other; presumably the two cases of spaces between words were dictated by the need to ensure a regular distribution of graphemes to protecting the accuracy of the written column. The exceptions to this rule are the relative pronoun ՈՒ (or), and ԵՒ (ew) and ՔԵ (t'e) conjunctions that are separated from previous words. To keep the shape of the column, one or more letters of a word are separated from the previous part of the word and moved to the edge of the column.

In the flyleaf fragment only one word is abbreviated, Ի՞ՆԻ—Israel, and is given in the genitive case.

As mentioned above, the parchment size corresponds to that of the main manuscript (120 x 95 mm). The top and bottom of the flyleaf have been cut. In order to restore the graphemes to their full size, we should add 3 mm to the first and the last rows. In this case, the full height of 8 lines would be 126 mm. Taking into account the number of graphemes of verses laid out on fols 1r and 2v, and their distribution on each line of column, as well as having calculated the number of graphemes of the missing verse 5 (102 +3 /beginning verse 6/), and their possible distribution in the lines (between 12 and 14 graphemes), it transpires that there should be 9 more lines between the texts preserved on fols. 1r and 2v. It is impossible to say how exactly these 9 lines were distributed; however, since the final line of fol. 1r is situated in the middle of the flyleaf and ends with punctuation mark, it should be at the end of the column as well as the page. In our view, verse 5 consisting of 9 lines, should be placed on fol. 2v. It emerges that the number of lines in a column for each page is 17. In this case the height of the written column would be 280 mm.

As already noted, the left and right margins were also cut, but this did not damage the written column which is fully readable. Accordingly the full size of the written surface is 280 x 95 mm.

This kind of text layout, as on fols. 1r and 2v, is only to be found in two cases: A) If the text was written in one column, namely 280 x 95 mm. plus margins. In this case the format would be very long and narrow, but no known Armenian Gospels of the period (9<sup>th</sup> century or earlier) are written in one column. B) Alternatively, if the original text was written in two columns. In which case, fol. 1r of the flyleaf should be situated at the end of the right column

of the original recto, while fol. 2v should be at the end of the left column of the original verso. In our view the second case is the more likely.

What would have been the size of the original parchment, if the text was written in two columns? To answer this question the Lazarian Gospel of 887 will serve as a model. If we add up the dimensions of the margins of the Lazarian manuscript (upper 30 mm; lower 60 mm; right 42 mm; left 23mm) and the space between columns (30 mm) with the size of the columns on the flyleaf (280 x 95 + 95 mm), the format of the original parchment emerges as about 370 x 285 mm.

The flyleaf of the Book of Psalms was thus made from a large parchment page, where the text was written in two columns, the size of each of which was 280 x 95 mm. The page came from a much larger manuscript, most likely of the Four Gospels. The fragment containing Matt. 10: 3-4; 10: 6-7, preserved on the flyleaf, in reality represents the end of the right column of the recto and the end of left column of the verso of the original folio.

Verses 3 and 6 are incomplete. Verse 3 is missing its beginning, and verse 6 is missing the first word, while verses 4 and 7 are fully preserved.

We compared flyleaf fragment of the Gospel of Matthew with the relevant sections of Lazarian Gospel (A), the Etchmiadzin Gospel of the year 989 (E), Zohrab Bible (Z) and Greek text, as well as the Georgian translation and found 15 lexical units, which have not only identical forms, but also variations in parallel Armenian texts.

A comparative analysis of the flyleaf fragment with the Lazarian and Etchmiadzin Gospels reveals that the textual difference between our fragment and the Lazarian manuscript is greater than the difference between our fragment and the Etchmiadzin Gospel. The latter two texts are almost identical, if we do not take into account the use of -*ւ* as a demonstrative suffix (3 cases), and the word կանանցի (kananac'i), present in the Etchmiadzin Gospel in the form կաննացի (kannac'i).

The antiquity of the flyleaf text is proved by the existence of the grapheme Ղ (l) in the words ԱՂՓԵՅ, ՂԱԲԲԵՌՈՒ and in the abbreviation Ի~Ղ. The text belongs to the period when the Armenian sound Ղ (l) was equivalent or very close to the l phoneme of the Greek, Persian, and Georgian languages. This is no longer possible after the 9<sup>th</sup> century.

On the basis of palaeographical, codicological, and textual analyses, therefore, we can assume that the fragment of the Gospel of Matthew preserved in the flyleaf of this Book of Psalms was executed no later than the 9th century, and clearly earlier than the Lazarian Gospel (887). The text of the flyleaf and the corresponding part of the Etchmiadzin Gospel (989) are almost identical. We can thus conclude that the text preserved on the flyleaf of the Book of Psalms represents a fragment of one of the oldest examples of an Armenian Gospel.

## ლევან კოჭლაძა ზაშვილი

გრამატიკულ კლასთა სისტემა და მისი ასახვის თავისებურებანი  
ხათურ სახელში<sup>1</sup>

ხათურში განხორციელებული დიაქრონიული ცვლილებანი გახდა მიზეზი ენობრივი სისტემის რეპროდუქციისა, რომლის არსიც მდგომარეობს შემდეგში: მოიშალა ცალკეული მორფოლოგიური კატეგორია, თუმცა შენარჩუნებულ იქნა მისი ფორმანტი, რომელიც ახალ გრამატიკულ დატვირთვას იძენს ან ერწყმის ფუძეს.

გარევეული ხნის წინ გამოვთქვი მოსაზრება ხათურში გრამატიკული კლასის კატეგორიის არსებობის თაობაზე<sup>2</sup>; ამის საფუძველზე განვიხილე კიდეც მისი ასახვის მექანიზმი ზმნაში: უღლება კლასპიროვანი ხასიათისაა და ოდენობათა აღმნიშვნელი აფიქსები მორფოსემანტიკური ფუნქციით ნაწილდება ვერბალურ კონსტრუქციაში: სუბიექტურ პირს გამოხატავს პირის ნიშნები, ობიექტურს კი – კლასისა.

ხათურში, ჩემი დებულების მიხედვით, ორკლასოვანი სისტემა მოქმედებდა; სახელები იყოფოდა ორ კლასად: I – მამრობითი და II – საერთო.

მამრობითი კლასის სახელები w(a)- თავსართით აღინიშნებოდა: wa<sub>a</sub>-zарil „ადამიანი“, wa<sub>a</sub>-хurla „ხურული, ხურიტი“, wa<sub>a</sub>-ш̄ap „ღვთა-ებები“...

საერთო კლასი აერთიანებდა ყველა სულიერ და უსულო სახელს მამრობითის გარდა. მისი აღმნიშვნელი პრეფიქსია š-: š-a-kil „გული“, š-e-munamuna „ქვები“, e-š-wa<sub>a</sub>r „ქვეყანა“...

გრამატიკულ კლასებად სახელთა დაჯგუფება მორფოლოგიურად ყოველთვის არ ფორმდება. ხშირია შემთხვევები, როდესაც სახელი არ შეიცავს ხსენებული კატეგორიის გამომხატველ მორფემას, როგორც სტრუქტურულ ელემენტს, მაგრამ ზმნასთან შეთანხმებისას მყისიერად იჩენს თავს სემანტიკური დიფერენციაცია:

**eštan** <sup>URU</sup>laхzan le-we<sub>e</sub>l a-n-teḥ „ეშთანმა ლახცანში თავისი სახლი ააშენა“<sup>3</sup>.

როგორც ჩანს, გრამატიკული კლასები ერთი და იმავე ფორმანტებით აღინიშნებოდა სახელსა და ზმნაში. მეორე კლასის პირვანდელი ნიშანი, ჩემი შეხედულებით, \*j- პრეფიქსი უნდა ყოფილიყო. საამისო

<sup>1</sup> ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის სახ. ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი #DO/224/1-30/14).

<sup>2</sup> Levan Kotchlamazashvili, Some remarks on the Hattian verb. – 9<sup>th</sup> International congress of Hittitology (Corum, 2014), 23.

<sup>3</sup> Keilschrifttexte aus Boghazköi, 37, 1996. Vs. I, 3-4.


ვარაუდის საფუძველი გამიჩინა იმ ფონეტიკურმა ტენდენციებმა, რომელიც კლასის ნიშანთა სიმრავლეს ასახავს ზმნაში. მოხდა ისტორიული ბერათგადაწევა როგორც პოსტერიორულ, ისე ანტერიორულ რიგში: **t<š<\*j>h>k**. მართალია, სახელში უმეტესად **š(e)**- ფორმანტით გამოხატება მეორე კლასი, თუმცა არ არის გამორიცხული, ფონეტიკურ ტრანსფორმაციას თავი აქაც ეჩინა.

გრამატიკული კლასების მოშლა ხანგრძლივი პროცესი უნდა ყოფილყო ხათურში. წერილობითი ძეგლების ენა ასახავს იმ სინქრონიულ მონაკვეთს, როდესაც ხსენებული კატეგორიის ნიველირება მიმდინარეობდა და დასასრულს უახლოვდებოდა: ზემოთ როგორც აღვნიშნე, დღემდე მოღწეულ ტექსტთა მიხედვით, სახელთა დიდ ნაწილში არ აღინიშნება კლასის აღმნიშვნელი მორფემებიბი – **w(a<sub>a</sub>)**- და **š(e)**- თავსართები – და, შესაბამისად, ვერც მათი გამოყოფა ხერხდება სახელური ფუძიდან.

ხშირია შემთხვევა, როდესაც ლაბიალური **w** ბერა მონაცვლეობს ბილაბიალურ თანხმოვნებთან: **m/b/p**. შესაძლოა გვეფიქრა, რომ კლასის მოშლას სახელთა დაჯგუფების საფუძვლები შეერყია და [b] ცალკეული კლასის ამსახველად განგვეხილა; ამ გარემოებას ხელს უწყობს იბერიულ-კავკასიურ ენათა მონაცემები, სადაც [w] და [b] ორ სხვა-დასხვა სემანტიკურ კატეგორიას განსაზღვრავს მორფოლოგიურად (მაგალითად, ნახურ და ხუნძურ-ანდიურ-დიდოურ ენებში...), მაგრამ **w/m||w/b||w/p** სახის მონაცვლეობა სისტემატურად მოქმედებს სიტყვის ყველა პოზიციაში, განსაზღვრული ლოკაცია არ აქვს და, ამდენად, ორზე მეტი კლასის გამოყოფა უმართებულოდ მიმაჩნია ხათურში.


მეორე კლასის პირვანდელი ნიშანი რომ **\*j-** თავსართი იყო, ეს კარგად ჩანს იმ ბერათმონაცვლებოდან, რომელიც მას ახასიათებდა. თუ ზმნის შემთხვევაში მისი გარდაქმნა უმეტესად კონსონანტად ხდებოდა (**t<š<\*j>h>k**), სახელის შემთხვევაში ვოკალიზაციაც განიცადა და **\*j>i:** **\*jmallh>imallj „კარგი“.**

გრამატიკული კლასის აღნიშვნა ზედსართავ სახელშიც ხდებოდა. უმეტესად ასეთი ფაქტი დასტურდება მსაზღვრელ-საზღვრულის სინტაქსურ კონსტრუქციაში. მექანიზმის პრინციპი ასეთია: არსებით სახელში კლასის აფიქსი არ ჩანს, თუმცა სემანტიკურად იგულისხმება, ფორმობრივად კი გამოიხატება მსაზღვრელის ფუძეში:



<sup>1</sup> Keiltschrifturkunden aus Boghazköi, 2, 1922, 10, Nr 2, Kol III, 3-5.

გრამატიკული კლასები გარჩეულია კუთვნილებით ნაცვალსახელთა შემთხვევაშიც. პირველ კლასს გამოხატავს **le**, მეორეს კი – **še|te**. მისი ფორმობრივი რეალიზაცია, ძირითადად, მსაზღვრელ-საზღვრულის წყობისას ხდება და პრინციპი აქაც ისეთივეა, როგორიც ზედსართავ სახელებთან გვაქვს. კუთვნილებითნაცვალსახელიან შესიტყვებას ერთი სტრუქტურული სპეციფიკა ახასიათებს: მართვის დროს საზღვრული ნათესაობითის ფორმით შეკავშირებულია მსაზღვრელ სახელთან, რომელსაც წინ უძლვის კუთვნილებითი ნაცვალსახელი იმ კლასისა, რომელსაც თავად განეკუთვნება მსაზღვრელი სახელი და არა საზღვრული:



წერილობით ძეგლებში ნარმოდგენილ ფორმათა მიხედვით, კუთვნილებითი ნაცვალსახელი შერთულია საზღვრულთან და ერთად იწერება. შეიძლებოდა თავიდან გვეფიქრა, რომ იგი დამოუკიდებელ წევრად იხმარება წინადადებაში და მკაფიოდ გვიჩვენებს კუთვნილებითობის კატეგორიას; ამ მოსაზრებას უფრო განამტკიცებდა ის გარემოებაც, რომ ხათურში ორთოგრაფიული შეცდომები ხშირად გვხვდება და მკაცრად არაა დაცული სიტყვის, როგორც სემანტიკური ელემენტის, საზღვრები<sup>1</sup>, თუმცა არსებობს საპირისპირო შემთხვევებიც, როდესაც კუთვნილებითი ნაცვალსახელი საზღვრული წევრისაგან დისტანციით მდებარეობს, მაგრამ გრამატიკული ფუნქცია არ იცვლება. ჩემი დაკვირვებით, მსაზღვრელი საზღვრულ წევრს მართავს კლასის, საზღვრული მსაზღვრელს კი – ბრუნვის მიხედვით. კლასის ნიშანთა ფორმობრივი გამოხატვა მსაზღვრელ სახელში არ ხდება, თუმცა კუთვნილებითი ნაცვალსახელს აქცევს კლასის პრეფიქსად ან პროკლიტიკურ ნაწილაკად და მართულ წევრში, როგორც მის დაქვემდებარებულ უჯრედში, ფორმით გამოავლენს სემანტიკურ ბუნებას. ამ შემთხვევაში ორთოგრაფიულ შეცდომად ნაცვალსახელის საზღვრულ წევრთან შერწყმა ან ცალკე დგომა უმართებულოდ მიმაჩნია, რამეთუ საქმე გვაქვს მიმდინარე მორფოლოგიურ პროცესთან, რომელიც დასრულებული

<sup>1</sup> შდრ. O. Soysal, *Hattische Wortschatz in hettitischer Textüberlieferung* (Chicago, 2002), 71-...

არაა და, შესაბამისად, საბოლოო შედეგიც არ არის მიღებული; ამიტომ ტექსტებში ორსავე ვარიანტს ვხვდებით.

საინტერესოა, რა შედეგს მოგვცემს ორკლასოვანი სისტემის მქონე იბერიულ-კავკასიურ ენათა მონაცემების შედარება ხათურთან: რა საერთო და განსხვავებულ თვისებებს გამოამჟღავნებენ, სტრუქტურული თვალსაზრისით?

ცნობილია, რომ ორკლასოვანი სისტემები იბერიულ-კავკასიურ ენათაგან თაბასარანულსა და აფხაზურს აქვთ.

თაბასარანულში, როგორც უ. დიუმეზილი ად. დირზე დაყრდნობით წერს, „გრამატ. კლასები დაკარგვის გზაზეა. ზმნაში I და II ფორმების გვერდით (და- და ბ-იანი ფორმები) შეიძლება გამოყენებულ იქნეს 1-იანი ფორმა გამოსადეგი როგორც გონიერთა, ისე არაგონიერთა კლასი-სათვის<sup>1</sup>; აქვე მოცემული აქვთ კლასთა პარალიგმა რიცხვთა შეპირის-პირების საფუძველზე<sup>2</sup>:

I (გონ.):	მb. რ. d-; r-; r-	[	მრ. რ. d-; r-; r-
II (არაგონ.):	მb. რ. b-; u-; b-		

იმავე ნარკვევში აფხაზური ენის შესახებ ავტორი აღნიშნავს: „...მასში კლასები არსებობს, მაგრამ შეკვეცილი და სუსტად შეკავშირებული. ისინი იხმარა მხოლოდ რიცხვით სახელებში, რომელთა სუფიქსები და კონსტრუქციები განასხვავებენ გონიერ და არაგონიერ სახელებს; ისინი აგრეთვე ჩანს კუთვნილებით პრეფიქსებსა და პირის ნაცვალსახელებსა და აგრეთვე ზმნის პირის ნიშნებში. სხვაგან კი (ზედსართავთა შეხამება სუბსტანტივებთან, პირის ნაცვალსახელების გარდა სხვა ნაცვალსახელები და ყოველგვარი ნაცვალსახელოვანი გამოხატულებანი) კლასები არ თამაშობენ არავითარ როლს“<sup>3</sup>. აქვე მოცემული აქვს ერთგვარი ცხრილი, სადაც ასახულია კლასთა შეპირისპირების ფუნდამენტური ოპოზიციები.

### III პ. მb. რ.

1) კუთვნილებითი პრეფიქსი.

I (გონ. მამრ. სქ.): i-; y-

II (გონ. მდ. სქ.) l(ə)-

III (არაგონ.) a

2) ზმნის პირის ნიშანი პირველი ნიშნის პოზიციაში:

<sup>1</sup> უ. დიუმეზილი, შესაგალი ჩრდილო-კავკასიურ ენათა შედარებით გრამატიკაში (თბილისი, 2015), 25.

<sup>2</sup> იხ. იქვე, გვ. 24.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 16.

I (გონ. მამრ. და მდ. სქ.) d(ə)-

II (არაგონ.)

i-; y-; ნული

3) ზმნის პირის ნიშანი მეორე და მესამე ნიშნის პოზიციაში.

I (გონ. მამრ. სქ.):

y-; i-;

II (გონ. მდ. სქ.)

-l(ə)

III (არაგონ.)

$$\begin{cases} -a- & (\text{მეორე ნიშანი}) \\ -na- & (\text{მესამე ნიშანი}) \end{cases}$$

III პ. მრ. რიცხვში მოვლენები კომპლექსურია, მაგრამ კლასები არ მონაწილეობენ:

- 1) კუთვნილებითი პრეფიქსი: r-.
- 2) ზმნის პირის ნიშანი პირველი ნიშნის პოზიციაში: i-; y-; 0.
- 3) ზმნის პირის ნიშანი მეორე და მესამე ნიშნის პოზიციაში: -t- (-d- კაუზატივებში)<sup>1</sup>.

როგორც ვნახეთ, გრამატიკულ კლასთა სისტემის მოდელები ხა-  
თურს, აფხაზურსა და თაბასარანულს ერთნაირი აქვს: სამივეგან ორ  
კლასად ჯვეფდება სახელები, თუმცა სემანტიკური დაჯვეფებს  
პრინციპები, სახელთა შეკავშირების წესები და მორფოლოგიური ფუნ-  
ქციები განსხვავებულია. ვფიქრობ, ხათური ენის მონაცემთა გათვა-  
ლისნინება გარკვეულ სარგებელს მოუტანს იბერიულ-კავკასიურ ენა-  
თა შედარებით გრამატიკას კლასის კატეგორიის ისტორიული სურათის  
რეკონსტრუქციის საქმეში, როგორც ამ ოდენობის მქონე ერთ-ერთი  
უძველესი ენა.

*Levan Kochlamazashvili*

**Grammatical Class System and its Marking Peculiarities in the Hattian Nomina**

This article discusses the issue of the existence of grammatical class in Hattian language. Apparently the nouns were divided in two groups. The 1<sup>st</sup> class marker is |wa<sup>a</sup>-| prefix and |eš-| is of 2<sup>nd</sup> class nouns prefix. The diachronic transformation of morphological system caused an abolition of grammatical class category. The language of Hattian written texts, of the boundary of III-II millenniums BC, includes the synchronic period of the language system

<sup>1</sup> ჟ. დიუმეზილი, შესავალი ჩრდილო-კავკასიურ ენათა შედარებით გრამატი-  
კაში (თბილისი, 2015), გვ. 17.

transformation, when the process of class leveling is coming to an end and quantitative formant is being merged with the noun root.

1<sup>st</sup> class nouns

**wa-š̥ap** ‘God’

**wa-zaril** ‘man’

**wa-ħurla** ‘Hurrian’

2<sup>nd</sup> class nouns

**eš-wu<sub>u</sub>r** ‘country’

**še-munamuna** ‘stone’

**ša-kil** ‘heart’

It seems grammatical classes historically undermined. Its morphological marking was not been happened in the noun root. Then it makes a semantic distinction between the names by the result of diachronic transformation.

Grammatical class mark will appear in the nominalsyntactic pair:

If determinant noun belongs 1<sup>st</sup> class group, the determined noun divorced a possessive prefix of I class.

**tabarna-n le-wu<sub>u</sub>r** ‘country of kings’



**le-** possessive prefix st cl.

If determinant noun belongs 2<sup>nd</sup> class group, the determined noun divorced a possessive prefix of 2<sup>nd</sup> class.

**D<sup>h</sup>attus-in te-š̥ap** ‘the god of Hattusa’



**wu<sub>u</sub>r-un te-wa<sub>a</sub>-katti** ‘King of the country’

**te-** possessive prefix of 2<sup>nd</sup> cl.

Grammatical class was been marking in the Adjective only in the syntactic pair construction, when it was determinant noun:

**i-malħibi zihar** ‘the best firewood’



**i-malħib biib** ‘the best stone’



The opinion about classifying nouns in two groups is also put forth. I make parallels with the Iberian-Caucasian languages (Abkhazian, Tabasaran, etc.) which have two-element system of grammatical classes.

## **ბაზისურ ფერთა ტერმინები ეთიოსემიტურ ენა ჰარარიში**

ნაშრომის მიზანია ბაზისურ ფერთა კატეგორიების გამოვლენა და ამ კატეგორიათა შესატყვისი ბაზისურ ფერთა ტერმინების დადგენა ეთიოპურ ენა ჰარარიში. პრობლემა განხილულია ბ.ბერლინისა და პ.კე-ის მიერ შემოთავაზებული და ენათმეცნიერებაში დამკვიდრებული ბაზისურ ფერთა კატეგორიების უნივერსალური მოდელის თეორიის საფუძველზე. სტატიაში ზემოაღნიშნული თვალსაზრისით საგანგებოდაა შესწავლილი სამხრეთეთიოპური ქვეჯგუფის ერთ-ერთი ენის, ჰარარის, მონაცემები. სტატიის ბოლოს მიღებული დასკვნები შედარებულია სამხრეთსემიტური შტოს დანარჩენი ორი ჯგუფის, კერძოდ, არა-ბულისა და ახალი სამხრეთარაბული ენების მონაცემებთან.

სანამ უშუალოდ ჰარარი ენობრივი მასალის ანალიზზე გადავიდოდეთ, მოელედ შევეხოთ ბერლინისა და კეის თეორიის ზოგად საფუძვლებს. ვიდრე დასახელებული ავტორების წყალობით დამკვიდრდებოდა სემანტიკური უნივერსალიების თეორია, ენათმეცნიერებაში ბატონობდა სეპირ-უორფის ჰიპოთეზა, რომლის მიხედვითაც, ფერის ლექსიკური კატეგორიზაცია განიხილებოდა და აიხსნებოდა მხოლოდ მოცემული ენისათვის დამასასათებელი სემანტიკური სტრუქტურის ზეგავლენით<sup>1</sup> ამის საწინააღმდეგოდ, ბერლინისა და კეის თეორიის თანახმად, არსებობს ფერთა კატეგორიზაციის უნივერსალური მოდელები, საიდანაც გამოიყვანება კონკრეტულ ენაში ნარმოდგენილი ბაზისურ ფერთა სისტემა. მათ გამოავლინეს ბაზისურ ფერთა 11 უნივერსალური კატეგორია, ესენია: White, Black, Red, Green, Yellow, Blue, Broun, Orange, Purple, Pink, Grey. კონკრეტულ ენაში ნარმოდგენილი ტერმინების რაოდენობა 11-ზე გაცილებით ნაკლებია, ამასთანავე, უნდა აღინიშნოს, რომ დადასტურებული ტერმინების თანმიმდევრობაც განსაზღვრულია და მისდევს ზემოთ მოცემულ რიგს. დავამატებთ, რომ Green და Yellow ადგილმონაცვლენი არიან; ზოგ ენაში Green არის მეოთხე, ხოლო Yellow მეხუთე ადგილზე, ენათა სხვა რიგში კი - პირიქით.

ფერთა უნივერსალურ კატეგორიებზე მსჯელობა ეფუძნება ბაზისურ ფერთა ტერმინების განსაზღვრის საკითხს. ბერლინშა და კეიმ შეიმუშავეს მათი დადგენის 4 ძირითადი და 4 დამატებითი

<sup>1</sup> ეთერ სოსელია, სემანტიკური უნივერსალიები და ქართველური ენები/ფერთა კატეგორიზაციის მოდელები, (თბილისი, 2009), 7-8. Berlin B. and Key P., Basic Color Terms; Their Universality and Evolution, (Berklay& Los Angeles, 1969), 90-94.

კრიტერიუმი. ძირითადი კრიტერიუმებია: 1. ტერმინი მონოლექსემური უნდა იყოს; 2. მისი სიგნიფიკაცი არ უნდა შედიოდეს სხვა ტერმინის სიგნიფიკაციში; 3. მისი გამოყენება არ უნდა შემოიფარგლოს ობიექტთა ვინრო კლასით; 4. უნდა იყოს შედარებით თვალსაჩინო, წმირი და საზოგადო. დამატებითი ნიშნებიდან აღვნიშნავთ იმას, რომ გამოსარიცხია ნასესხები სიტყვების ბაზისურობა (მე-7 ნიშანი), ასევე საეჭვოა ტერმინის ბაზისურობა, თუ იგი იმ საგნის სახელია, რომელსაც ეს ფერი ახასიათებს (მე-6 ნიშანი)<sup>1</sup>.

თეორიულ საკითხებზე მსჯელობას დავასრულებთ იმის აღნიშვნით, რომ შემდგომში კეიმ და მაკდენიელმა დახვეწეს და განავითარეს კატეგორიზაციის თეორიული საფუძვლები და დაადგინეს, რომ ფერის სემანტიკა მოდელირებულია არამკაფიო სიმრავლეთა ბაზაზე. არამკაფიო გაერთიანებისა და არამკაფიო თანაკვეთის ოპერაციებზე დაყრდნობით მათ შემოიტანეს კატეგორიათა სამი ჯგუფი, ესენია: პირველადი: (White, Black, Red, Green, Yellow, Blue), შედგენილი და ნაწარმოები<sup>2</sup>. შედგენილი კატეგორია მიიღება პირველადი კატეგორიების არამკაფიო გაერთიანებით, მაგ., გრილი Cool = Green or Blue, ხოლო ნაწარმოები კი მიიღება პირველადი კატეგორიების არამკაფიო თანაკვეთით, მაგ., Broun = Yellow and Black.

განვიხილოთ ბაზისურ ფერთა ტერმინები ეთიოსემიტურში. საგანგებოდ შევისწავლეთ ჰარარის ფერთა სისტემა. ეთიოპური ენებიდან ჰარარი ერთ-ერთი არასამწერლობო ენაა. იგი განეკუთვნება სამხრეთსემიტური შტოს სამხრეთეთოპური ენების ქვეჯგუფს. მასალის ანალიზისას ძირითადად ვსარგებლობდით ვოლფ ლესლაუს ჰარარი-ინგლისური ლექსიკონით. ფერის აღმნიშვნელი ერთეულებისათვის ჰარარიში დაქცენილია ლექსიკური ჰარალელები სხვა ეთიოპურ და დანარჩენ სემიტურ ენებში. მოვიძიეთ და სათანადო გავანალიზეთ ათეულზე მეტი ლექსემა, რომელიც ფერის სემანტიკას უკავშირდებოდა. მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი.

1. თეთრი ფერის სემანტიკის გადმოსაცემად ჰარარიში გამოიყენება ლექსემა *nač iħi*. მას ეძებნება ლექსიკური პარალელები სხვა ეთიოპურ ენებში: მაგ., გეეზი *nešuh* „თეთრი“, ტიგრე *lešuh* (I/n-s მონაცვლეობით), ტიგრინია *nešuh*, გაფატი *nešwā*, ამჰარული *nač*. აღნიშნულ ფორმას ჰარალელები სხვა სემიტურ ენებშიც მოეპოვება. ვ.ლესლაუ მას უკავშირებს სემიტურ ძირს *nsh* მნიშვნელობით „იყო თეთრი, სუფთა“<sup>3</sup>, რასაც ბოლომდე ვიზიარებთ. აქვე დავამატებთ, რომ

<sup>1</sup> იქვე, ეთერ სოსელია, სემანტიკური უნივერსალიები და ქართველური ენები, 7-8. Key P. and McDaniel Ch.K., The Linguistic Significance of the meanings of Basic Colour Terms, Language 54/3,(1978), 644.

<sup>2</sup> იქვე, Key P. and McDaniel Ch. K., The Linguistic Significance of the meanings of Basic Colour Terms,644.

<sup>3</sup> Wolf Leslau, Etymological Dictionary of Harari, (Berklay& Los Angeles, 1963),117.

სემიტური ძირი იშა „იყო თეთრი, სუფთა, მინარევების გარეშე; ბზინავდა, ანათებდა, ნათლად ჩანდა“ დასტურდება არაბულში იშა მნიშვნელობით „იყო სუფთა, მინარევების გარეშე; იყო გულნრფელი, კეთილ რჩევებს იძლეოდა“, სამხრეთარაბულში გვაქვს იშა „რჩევებს იძლეოდა“, ებრაულში იშა „კიაფობდა“, ბიბლიის არამეულში იშა „ჩანდა, მკაფიოდ ჩანდა“ და სხვ. ამგვარად, ეჭვს არ იწვევს, რომ ჰარარის ნაც ის უნდა ჩაითვალოს White ბაზისური კატეგორიის აღმნიშვნელ ბაზისურ ტერმინად.

2. შავი ფერის სემანტიკის გადმოსაცემად ჰარარიში გამოიყენება ლექსემა ታy. იგი უკავშირდება საერთოსემიტურ ძირს ታl, „იყო მუქი, ბნელი; იყო წყვდიადი, დაჩრდილული“. ერთი თვალის შევლებით ძნელია ታy ფორმის ታl მირის იდენტურად მიჩნევა, ამიტომ საჭიროა, განვმარტოთ ის ფონეტიკური კომბინაცორული ცვლილებები,, რაც გასაგებს ხდის მათ ერთიანობას. პირველ ძირეულ სემიტურ ታl-ს ჩრდილოეთიოპურში შეესატყვისება ፅ, ხოლო სამხრეთიოპურში კი ታ ან ድ. რაც შეეხება მეორე ძირეულ 1 -ს, ვ. ლესლაუმ დაადგინა, რომ ჰარარისა და ამჰარაულში იგი ხშირად განიცდის პალატალიზაციას და ხდება y, რასაც სწორედ განსახილველ შემთხვევაში აქვს ადგილი. ვ-ლესლაუს დაკვირვებით, ასევე სრულიად კანონზომიერი მოვლენაა ჰარარიში ბოლოკიდურ პოზიციაში m - s დაკარგვა<sup>1</sup>. ჰარარის ታy „შავი“ დანარჩენ ეთიოპურ ენებშიც შესაბამისი პარალელური ფორმებით დასტურდება. მას შეესატყვისება გეეზში የšallim „შავი“, ტიგრესა და ტიგრინიაში የšallim, ამჰარაულში ታyem. ჰარარის ფორმას ლექსიკური პარალელები ექებნება სხვა სემიტურ ენებშიც. კერძოდ, ძირი ታl, „იყო მუქი, ბნელი; იყო წყვდიადი, დაჩრდილული“ დასტურდება არაბულში, ებრაულში, სამხრეთარაბულში, აქადურში და ა.შ. (შდრ.: არაბული չalim „წყვდიადი“, ეპიგრაფიკული სამხრეთარაბული չl, ებრაული չelema „წყვდიადი, სიბნელე“, აქადური չalamu „დაბნელდა, გამავდა“). ამგვარად, ზემოთ განხილულის საფუძველზე, ეჭვგარეშეა, რომ ჰარარის ფორმა ታy „შავი“ (< სემიტ. ታl) უნდა ჩაითვალოს ბაზისურ ტერმინად Black პირველადი კატეგორიის აღსანიშნად.

3. წითელი ფერის გადმოცემას ჰარარიში უკავშირდება ორი ფორმა: qeħ და 'adim. განვიხილოთ თითოეული მათგანი. ა. ჰარარის ფორმა qeħ-ს „წითელი“ გამართული პარალელები ექებნება ყველა ეთიოსემიტურ ენაში. კერძოდ, გეეზში გვაქვს qäyeh, „წითელი“, ტიგრეში qäyeh, ტიგრინიაში qäyyeħ, არგობაში qäyyeħ, ამჰარულსა და გაფატში კი qäya. განხილული ერთეული ნარმოადგენს სემიტურ ძირს qyħ, რომელ-საც სხვა სემიტურ ენებში ეთიოპურისგან მცირედ განსხვავებული

<sup>1</sup> იქვე, Wolf Leslau, Etymological Dictionary of Harari, 157.

მნიშვნელობა უკავშირდება. კერძოდ, არაბული ძირის გახა (<qyḥ) მნიშვნელობა „დაწყლულდა, დაჩირქდა“, ხოლო მისგან მომდინარე სამედიცინო ტერმინებია „ანთება, წყლული, დაჩირქება“. ებრაულშიც არაბულის მსგავსი მნიშვნელობა დასტურდება, სახელდობრ, „ნარწყევი“, ხოლო აქადურში კი - „ექსკრემენტი“. რამდენად შეიძლება წითელი ფერის აღმნიშვნელი ლექსემა შინაარსობრივად მჭიდროდ უკავშირდებოდეს „ანთებას, წყლულს, ჩირქს, ნარწყევს, ექსკრემენტს“, ადვილი სათქმელი არ არის, თუმცა ამის არც კატეგორიულად უარყოფა შეიძლება. ცხადია, ძირი კუ-ს მნიშვნელობათა იდენტურობა ეთიოპურსა და საერთოსემიტურში მთლად გამართული არ არის, თუმცა ეჭვს არ იწვევს, რომ თავად ეთიოპურის შიგნით კუ-თი გადმოიცემა კატეგორია Red, შესაბამისად, ეჩე ჰარარიში ბაზისურ ტერმინად უნდა ჩაითვალოს. ბ. ჰარარის ფორმა 'adim მომდინარეობს სემიტური ძირიდან 'dm, მისი მნიშვნელობა „მონითალო-მოყვავისფრო (ითქმის კანზე)“. იგი ვერ განიხილება ბაზისურ ტერმინად, რადგან მისი სიგნიფიკაცი შედის სხვა ლექსემის სიგნიფიკაციში, გარდა ამისა, იგი გამოიყენება შეზღუდული კლასისათვის (მე-2 და მე-3 ნიშნების თანახმად). დასკვნის სახით შევიძლია აღვნიშნოთ, რომ ჰარარიში Red კატეგორიას გადმოსცემს ბაზისური ტერმინი ეჩე, 'adim ფორმა კი არაბაზისურია.

4. განვიხილოთ Green კატეგორიის გადმოცემის საკითხი. „მწვანე“ ფერის აღსანიშნად ჰარარიში გამოიყენება ლექსემა warīq „მწვანე“. იგი მომდინარეობს სემიტური ძირიდან wrq/yrq. Wrq ფორმები დასტურდება სამხრეთსემიტურ შტოში, დასავლურსემიტურში კი ყრ ფორმები გვაქვს, მაგ., ებრაული yarōq „მწვანე“, უგარიტული ყრ, სირიული ყر, აქადური arqu. ძირის მნიშვნელობებია: „მწვანე“, „მწვანილი“, „ფითრი“, „უფერული, გაფითრებული“, „ფოთოლი“, „ბოსტნეული“ და სხვ. არაბულში ძირი wrq გადმოსცემს ფერს „რუხი, ნაცრის-ფერი“ ტერმინით 'awraq. სამხრეთარაბულში ფერის სემანტიკა მკაფიოდ არ ჩანს, თუმცა ირიბი კავშირი აქ მაინც შეიძლება აღმოვაჩინოთ; warōq ითარგმნება როგორც „ფურცელი, ქალალდის ფურცელი“. ჰარარიში დადასტურებულ warīq ფორმასთან დაკავშირებით, დამატებით უნდა აღინიშნოს შემდეგი: ვ-ლესლაუ მიუთითებს, რომ ე. ცერული ამ ლექსემას თარგმნის როგორც „ყვითელს“ და არა როგორც „მწვანეს“<sup>1</sup>. ამ მხრივ საინტერესოდ მიგვაჩნია დავამატოთ, რომ უგარიტულში მოიპოვება ყრ ფორმა მნიშვნელობით, „ოქრო“, ხოლო ზემოაღნიშნული აქადური arqu-ს მეორე მნიშვნელობაა „გაყვითლდა, გაფითრდა“. ამგვარად, ძირიდან მომდინარე ლექსემები უკავშირდება ფერის სემანტიკას. მათ შორის დომინანტურია მნიშვნელობა „მწვანე“, თუმცა ზოგან „ყვითელი“ იჩენს თავს. საინტერესოა, რომ ბერლინისა და კეის მოდელის მიხედვით, თუ ენაში ოთხი ბაზისური ტერმინია, თეთრს, შავსა და წი-

<sup>1</sup> იქვე, Wolf Leslau, Etymological Dictionary of Harari, 161.

თელს მეოთხე ტერმინად მოსდევს „მწვანე“ ან „ყვითელი“ Green or Yellow კატეგორიებისთვის. თუ კონკრეტულად ჰარარის მასალას მივუბრუნდებით, უნდა აღინიშნოს, რომ wariq წარმოადგენს ბაზისურ ტერმინს Green („მწვანე“) პირველადი კატეგორიისათვის.

5. ყვითელი ფერის სემანტიკის გადმოსაცემად ჰარარიში იხმარება ტერმინი *hurd-i*, რომელსაც ჩვენ არაბაზისურად მივიჩნევთ. მის წარმომავლობასთან დაკავშირებით ორი ვერსია უნდა განვიხილოთ. ვ.ლესლაუ ფიქრობს, რომ *hurd-i* არაბულიდან მომდინარეობს და უკავშირდება ლექსემებს *hurd* „შესაღებად გამოსაყენებელი მცენარის ფესვები“ და *hurdiyy* „ყვითლად შეღებილი“. თავის მხრივ, არაბული ფორმები ლანდბერგს ინდური წარმომავლობისად მიაჩნია, რასაც ლესლაუც იზიარებს<sup>1</sup>. ჰარარიში არსებულ ფორმას პარალელი ეძებნება ამ-ჰარულსა (erd) და ტიგრინიაში (‘ardi). ჩვენ ეჭვი გვეპარება ამგვარი დაშვების მართებულობაში, ვინაიდან არაბული ფარინგალი ჰ-ს ჩანაცვლება ლარინგალი h-თი საკმაოდ ხშირია, პირიქითი პროცესი კი (არაბ. h > ჰარარი ჰ) არ შეგვინიშნავს. უფრო სავარაუდოდ გვეჩვენება, რომ ჰარარის *hurd-i* ფორმა უკავშირდებოდეს არაბულ ’ahḍar-ს „მწვანე“ (სემიტ. dīrū ჰṣr), სადაც მე-2 და მე-3 ძირეულთა მეტათეზისი უნდა მომხდარიყო ḏī>rḍ ḍ -ს ემფაზის დაკარგვით, რისთვისაც ხელი უნდა შეეწყო პირველ ძირეულ გლოტალიზებულ ჰ-სთან დისიმილაციის შესაძლებლობას. იმის მიუხედავად, თუ *hurdi-s* წარმომავლობის რომელ ვარაუდს გავიზიარებთ, დასკვნა ერთია: ჰარარის ფორმა ბაზისურ ტერმინად ვერ განიხილება ნასესხობის გამო, მეტიც, ჩვენი ვერსიის მიხედვით, *hurd-i* პირველი კრიტერიუმის თანახმადაც გამოირიცხება, რადგან იგი მონოლექსემური არ არის.

6. ლურჯი ფერის სემანტიკის გადმოსაცემად ჰარარიში გამოიყენება ლექსიკური ერთეული *samāw-i* „ლურჯი, ცისფერი“. ეს ფორმა უკავშირდება სემიტურ ძირს *šm̥w/šm'* მნიშვნელობით „ცა“, რომელსაც არაბულში *samā'* „ცა“ შეესატყვისება, ხოლო ებრაულში კი - *sama-yim*. ეს ძირი იმავე მნიშვნელობით ჰარარისა და სხვა ეთიოპურ ენებშიც მოვცეპოვება ფორმით *sämay*. რაც შეეხება თავად ფერის სემანტიკის აღმნიშვნელ *samāwi-s*, ის სწორედ *sämay* „ცა“ ფორმიდანაა ნაწარმოები. ზემოთქმულიდან გამომდინარე, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ *samāw-i* „ლურჯი, ცისფერი“ ბაზისურ ტერმინად ვერ განიხილება, რადგან იგი მონოლექსემური არ არის.

7. განვიხილოთ Broun „ყავისფერის“ გადმოცემის საკითხი. ამ ფერის აღსანიშნად ჰარარიში გამოიყენება 3 ლექსიკური ერთეული: *bōra*, *ayrōr* და *dāma*. *a.bōra-s* მნიშვნელობით „მოყავისფრო-კრემისფერი“ ლესლაუ ყუშიტურ ნასესხობად მიიჩნევს და ამის დასტურად მოაქვს

<sup>1</sup> იქვე, Wolf Leslau, 86.

ლექსიკური პარალელები მრავალრიცხოვანი ყუშიტური ენებიდან<sup>1</sup> მაშინ, როდესაც დანარჩენ ეთიოპურსა და არც რომელიმე სხვა სემიტურ ენაში მას პარალელი არ შოეპოვება. აქედან გამომდინარე, იგი ვერ ჩაითვლება ბაზისურ ტერმინად ნასესხობის გამო, გარდა ამისა, ის ვერ აკმაყოფილებს ბაზისურობის განმსაზღვრელ მე-2 ნიშანსაც, რადგან მისი სიგნიფიკატი არ უნდა შედიოდეს სხვა ტერმინის სიგნიფიკატში. ბ. ამა მნიშვნელობით „ყავისფერი (ითქმის კანზე)“ ასევე არაბაზისური ტერმინია, რადგან გამოიყენება შეზღუდული კლასისათვის. გ. მესამე ფორმა *ayrōt*-იც ვერ ჩაითვლება ბაზისურ ტერმინად, რადგან არ წარმოადგენს ფართოდ გავრცელებულ, სიხშირით გამორჩეულ ლექსემას და ვერ აკმაყოფილებს მე-4 დამატებით ნიშანს, *ayrōt*-ის წარმომავლობა (*ძირი*’y) უცნობია. ამ ლექსემას არ მოეძევება ლექსიკური პარალელი არცერთ სემიტურ, მათ შორის ეთიოსებმიტურ ენაში. დასკვნის სახით კი შეიძლება ითქვას, რომ „ყავისფერის“ აღმნიშვნელი სამივე ტერმინი არაბაზისურია.

8. განვიხილოთ დანარჩენი ლექსემები, რომლებიც უკავშირდება *Orange*, „ნარინჯისფერი“ *Pink*, „ვარდისფერი“ *Grey*, „რუხი, ნაცრისფერი“ კატეგორიების გადმოცემას. მათ აღსანიშნად ჰარარიში გამოიყენება შესაბამისად, *burtuxan*, „ფორთოხლისფერი“, *ma-wardi*, „ვარდისფერი“ და *hamäde*, „ნაცრისფერი, მიწის, მტვრისფერი“. სამივე მათგანი, როგორც მოსალოდნელი იყო, არაბაზისურია, რადგან ვერ აკმაყოფილებს ბაზისური ტერმინის განსასაზღვრად შემუშავებულ კრიტერიუმებს. კერძოდ, *burtuxan* და *ma-wardi* აღნიშნავენ იმ საგნებს, რომელთაც ეს ფერები ახსიათებს (მაგ., *burtuxan*-ის ძირითადი მნიშვნელობაა „ფორთოხალი“, *ma-wardi*-სა კი „ვარდი“), გარდა ამისა, ორივე ნასესხობას წარმოადგენს, *ma-wardi* კი დამატებით, არც მონოლექსემურია. რაც შეეხება *Gray* -ს, მისი აღმნიშვნელი *hamäde*, „ნაცრისფერი, მიწის, მტვრის-ფერი“ ასევე უნდა გამოირიცხოს, რადგან იგი ვერ აკმაყოფილებს ბაზისურობის განსასაზღვრ მე-2 ნიშანს. ჰარარის ფორმა *hamäde* (<სემიტ. ძირი *hamd*)-ს ლექსიკური პარალელები ექვენება სხვა ეთიოპურ ენებში, კერძოდ, ტიგრინიაში *hamäday*, გეეზში *hamädawi* და ამჰარულში *amäadam* მნიშვნელობით „მიწისფერი, გრუნტისფერი“. თავად ჰარარიში დადასტურებული ფორმა *hamäde*, ვ. ლექსლაუს აზრით, უნდა მომდინარეობდეს არსებითი სახელიდან *hamäd*, „ფერფლი, მტვერი“,<sup>2</sup> რასაც სრულად ვიზიარებთ.

ზემოთ დეტალურად განვიხილეთ ჰარარიში წარმოდგენილი ფერის სემანტიკის შემცველი ლექსიკური ერთეულები, შევეცადეთ გამოგვერიცხა არაბაზისური ტერმინები ბერლინისა და კეის მიერ შემოთავაზებული კრიტერიუმების გათვალისწინებით. დასკვნის სახით შე-

<sup>1</sup> იქვე, Wolf Leslau, 44.

<sup>2</sup> Wolf Leslau, Etymological Dictionary of Harari, 83.

იძლება ითქვას შემდეგი: გაანალიზებული მასალის საფუძველზე, ჰარარიში დასტურება 4 პირველადი კატეგორიის(თეთრი, შავი, წითელი, მწვანე) არსებობა შესაბამისი 4 ბასისური ტერმინით. ესენია: White ნაც იქ. „თეთრი“ (< სემიტ. nṣḥ „იყო თეთრი, სუფთა, ბზინავდა, ანათებდა“); Black ṫay „შავი“ (< სემიტ. ṫlm „იყო მუქი, ბნელი, წყვდიადი, დაჩრდილული“); Red qeh „წითელი“ (< სემიტ. qyh „წყლული, ანთება, დაჩირქება“); Green wariq „მწვანე“ (< სემიტ. wrq/yrq „მწვანე, მწვანილი, ფითრი, უფერული, ფოთოლი, ბოსტნეული“).

თუ შევადარებთ ვითარებას ჰარარისა და სხვა სამხრეთსემიტური შტოს ენებში, სადაც ანალოგიური კვლევაა ჩატარებული<sup>1</sup>, დასკვნის სახით შევვიძლია ვთქვათ, რომ არაბულში, როგორც მდიდარი სამწერლობო ტრადიციების ენაში, ბაზისურ ფერთა კატეგორიზაცია ძალზედ მკაფიო და გამოკვეთილია. აქ წარმოდგენილია ექვსი White Black Red Green Yellow Blue პირველადი კატეგორია შესაბამისი ბაზისური ტერმინებით. რაც შეეხება ახალ სამხრეთარაბულსა და ეთიოსემიტურ ჰარარისა და ტიგრეს, მათში კატეგორიათა რაოდენობა ოთხ-ოთხია, თუმცა თვისობრივად მცირედ განსხვავებული; სახელდობრ, სამხრეთეთიოპურ ჰარარიში, ისევე როგორც ჩრდილოეთიოპურ ტიგრეში წარმოდგენილია White Black Red Green პირველადი კატეგორიები, ხოლო ახალ სამხრეთარაბულში კი - White Black Red პირველადი და ერთიც ნაწარმოები (Green=Yellow and Blue) კატეგორია. ამასთან, აქ პროცესი ჯერ კიდევ დაუსრულებელია. ამგვარი ვითარება ჰარარიში, ტიგრესა და ახალ სამხრეთარაბულში, სავარაუდოდ, ამ ენების არასამწერლობო სტატუსით შეიძლება აიხსნას.

### *Marina Meparishvili*

### **The Basic Colour Terms in Ethiosemitic Language of Harari**

The main inferences of the paper are based on consideration of basic colour terms corresponding to the basic colour categories in Ethiosemitic language Harari. The Colour term system has been analyzed in order to verify Berlin and Kay's universal model of colour categorization, the main concept of which is the one of the basic colour term category. It should be noted, that some colour terms in different languages are basic and others are non-basic. Berlin and Kay proposed criteria to establish basic colour terms, according of that some colour

<sup>1</sup> იხ. მარინა.მეფარიშვილი, ბაზისურ ფერთა ტერმინები სამხრეთარაბულ ენებში, სემიტოლოგიური ძიებანი, VI, (2003),215-217. მარინა მეფარიშვილი, ბაზისურ ფერთა ტერმინები ეთიოსემიტურ ენა ტიგრეში, ახლო აღმოსავლეთი და საქართველო, VIII, გიორგი სანიკიძის რედაქტორობით, (თბილისი, 2014),66-71.

categories were defined as universal ones<sup>1</sup>. The criterion contains four main and four additional points<sup>2</sup>. Farther the model has been refined and universal colour categories have been defined more precisely regarding colour categories as fuzzy sets of colour hues. Thus, there are three types of universal colour categories: 1. Primary (simple) ones – White, Black, Red, Green, Yellow, Blue ; 2.Compound ones,which are defined as fuzzy unions of the primary categories (e.g., Cool= Green **or** Blue,Warm= Red **or** Yellow); 3. Composed ones, which are defined as fuzzy intersections of the primary categories (e.g., Broun =Yellow **and** Black , Pink = White **and** Red etc. ).<sup>3</sup>

ბიბლიური ტექსტების უძველესი არაბული თარგმანები მელქიტური საზოგადოებიდანაა გამოსული. საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ მელქიტებს განსაკუთრებული როლი მიუძღვით ქრისტიანული არაბული მემკვიდრეობის განვითარებაში და, ამ მხრივ, ბიბლიის თარგმანებიც არ არის გამონაკვლისი. თუმცა ამ საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს სხვა კონფესიათა წარმომადგენლებმაც. X ს-დან მოყოლებული ბიბლიური ტექსტების არაბული თარგმანების რაოდენობა საგრძნობლად იმატებს. თითოეულ მონასტერს ჰქონდა თავისი საკუთარი ტექსტის ფორმა და შეიძლება თხრობაც კი. როდესაც დაინტეს წირვისა და ქადაგებებისათვის დაწერილი ტექსტის გამოყენება, თავი იჩინა სხვადასხვა აღმსარებლობამ და რიტუალმა, რამაც განაპირობა ბიბლიის რედაქციების სიმრავლე და მრავალფეროვნება. ქრისტიანულ მრევლთა ყოფნა ერთმანეთის გვერდით და აღრევა იწვევდა ურთიერთგავლენებსა და ტექსტის ცვლილებებს. ამდენად, ფსალმუნისა და სახარების პრატიკულად არც ერთი ტექსტი არ არის ისეთი, რომელსაც სრულად ექნება შენარჩუნებული თავისი თავდაპირველი სახე. ტექსტის ფორმების აღრევის იგივე სურათი ჩანს ბიბლიის სხვა ნაწილების თარგმანებშიც.

ბიბლიური ტექსტების უძველესი თარგმანები მელქიტური წარმოშობისაა და ისინი ძირითადად პალესტინის სკრიპტორიუმებში იქმნებოდა. მელქიტებმა შემდგომშიც დიდი როლი შეასრულეს ბიბლიური ტექტების თარგმნასა და რედაქტირებაში. უმეტეს შემთხვევაში მათ ეკუთვნის ნარევი ტექსტების დიდი ნაწილი – თარგმანები ბერძნულიდან, შესწორებული სირიულის მიხედვით, ანდა პირიქით – თარგმანები სირიულიდან, შესწორებული ბერძნულის მიხედვით.

სტატიაში წარმოდგენილი მასალიდან აშკარად ჩანს, თუ ბიბლიური ტექსტების რა დიდ ზღვასთან გვაქვს საქმე ქრისტიანულ არაბულ სამყა-

როში. ბუნებრივია, იბადება კითხვა, როდის და სად შეიქმნა ერთიანი არაბული ბიბლიის კოდექსი. როგორც გრაფი და კრაჩკოვსკი მიუთითებენ სამართლიანად, ესეც მელქიტების დამსახურებაა, თუმცა, სანამ კრაჩკოვსკი შეისწავლიდა ამ საკითხს, დამკვიდრებული იყო მოსაზრება, რომ ეს მხოლოდ XVI საუკუნეში მოხდა. კრაჩკოვსკიმ დამაჯერებლად უჩვენა, რომ ძველი და ახალი აღთქმის ერთიანი არაბული კოდექსი მელქიტებმა ჯერ კიდევ XIII საუკუნეში შეადგინეს. უნდა აღინიშნოს, რომ, კოპტების მსგავსად, მელქიტთა შორისაც ქრისტიანული არაბული ლიტერატურის აყვავების ზენიტად ამ მნერლობის განვითარების პირველ ეტაპზე სწორედ XIII საუკუნეა მიჩნეული. ნიშანდობლივია, რომ სინას მონასტერში არსებული დაახლოებით 600 ქრისტიანული არაბული ხელნაწერიდან თითქმის ნახევარი ასევე XIII საუკუნეს განეკუთვნება.

არაბული ბიბლიის ერთიანი კოდექსის უძველესი ვერსია ამჟამად დაცულია პეტერბურგის ხელნაწერში As. Mus. Or. D 226. განეკუთვნება ანტიოქიის პატრიარქის, გრიგორი IV-ის (1906-1928 წწ.) ცნობილ კოლექციის, რომელიც მან 1913 წელს ნიკოლოზ II-ს გადასცა საჩუქრად. მანამდე ის ლიბანის ტრიპოლიში რამდენიმე ოჯახში ინახებოდა, როგორც კერძო საკუთრება, ბოლოს კი ბალამანდის მონასტერში იყო დაცული. თარგმანის ხასიათის მიხედვით, მისი ორიგინალი სხვადასხვა იყო. მაგალითად, მაკაბელების წიგნი XI ს-ს უნდა განეკუთვნებოდეს და ანტიოქიიდან მომდინარეობდეს. პეტერბურგის კოდექსი სამ ტომადაა წარმოდგენილი.

პეტერბურგის ხელნაწერიდანაა გადანუსხული ასევე სამტომეული კოდექსი, რომელიც XVI ს-ით თარიღდება და დაცულია რომის ხელნაწერში Vat. Ar. 468, თუმცა გრაფის მონიღვრაფიაში მითითებულია, რომ პეტერბურგისა და ვატიკანის კოდექსთა ურთიერთმიმართება არ არის გარკვეული, რაც იმით აიხსნება, რომ ამ ნაშრომის გამოქვეყნების დროს კრაჩკოვსკის ჯერ არ ჰქონდა შესწავლილი პეტერბურგული ნუსხა და გამოცემული თავისი ცნობილი სტატია ამ საკითხთან დაკავშირებით.

მოგვიანებით არაბული ბიბლიის ტექსტის დადგენიასა და გამოცემაში გადამწყვეტი როლი ითამაშეს ევროპელებმა და ამერიკელებმა, კათოლიკებმა და პროტესტანტებმა. თავისთავად იბადება კითხვა, იყო თუ არა მახლობელი აღმოსავლეთის არაბულენოვანი მართლმადიდებლური საზოგადოება დაინტერესებული ამ საკითხით აღნიშნულ პერიოდში.

სამეცნიერო ლიტერატურაში, როგორც ისტორიოგრაფიულ, ასევე ფილოლოგიურ კვლევებში, გაბატონებული იყო მოსაზრება, რომ მახლობელი აღმოსავლეთის საქრისტიანოში განათლების დონის ამაღლებაზე მხოლოდ უნიატები ზრუნავდნენ, არა და აშკარაა, რომ XVII საუკუნიდან მოყოლებული ანტიოქიის მართლმადიდებლურ საპატრიარქოში იგრძნობა დიდი აქტიურობა. არაერთი მკვლევარი უკვე აშკარად ახდენს ამ მოძრაობის კვალიფიცირებას, როგორც ქრისტიანული არაბული მემკვიდრეობის აღმოჩინებისას, რაც განსაკუთრებით ეხება მე-

ლეთიოს ქარმასა და მაკარი ანტიოქიელის მოღვაწეობას. მათ დიდი სამუშაო ჩაატარეს ძველი ხელნაწერების შესაგროვებლად და შესასწავლად, თვითონ დაიწყეს არაბულ ენაზე სასულიერო თხზულებების შექმნა, თარგმნა, შედგენა. სწორედ მელეთიოს ქარმას ინიციატივით მართლმადიდებელთა ერთადერთ საკულტო ენად XVII საუკუნიდან არაბული გამოცხადდა. ამდენად, ხმარებიდან ამოილეს ბიზანტიური ლიტურგიის სირიული ტიპიკონი და მის სანაცვლოდ არაბული ტექსტების შედგენა დაიწყეს უშუალოდ ბერძნული ორიგინალის საფუძველზე. ასევე ცნობილია, რომ მაკარი ანტიოქიელმა თვითონ დაიწყო ბიბლიური ტექსტების ახალი არაბული თარგმანის შექმნა ბერძნულზე დაყრდნობით და იგი რომთან მოლაპარაკებას ანარმონებდა ამ თარგმანების გამოცემასთან დაკავშირებით.

ჩვენს თემასთან მიმართებაში ამჯერად გამოვყოფთ ახალი ალთქმის ნაწილების არაბული თარგმანების შემცველ ხელნაწერებს ბალამანდის მონასტერში. მათი რიცხვი 7-ს აღწევს და XVII საუკუნით თარიღდება, სწორედ ამ ჯგუფში შედის იუსუფ ალ-მუსაუუირის, სახელგანთქმული სირიელი ხატმწერის, მიერ შემცველი სახარება-ოთხთავის შემცველი ხელნაწერი (No 3 / 505). მისი გადამწერია იბნ ალ-ხური ჰა-მადან, მელეთიოს ქარმას ძმა. მეორე ხელნაწერიც არსებობდა (No 6 / 499), რომელიც სახარება-ოთხთავის სრულ ტექსტს გვთავაზობს. გადამწერის ვინაობა არ არის მითითებული. ეს ხელნაწერი მეტად საინტერესოა, ვინაიდან მინდორზე აქვს გაკეთებული მინაწერები არაბულად, ბერძნულად და ქართულად. სამწუხაროდ, ორივე ხელნაწერი მონასტრიდან გაიტაცეს ლიბანის სამოქალაქო ომის დროს და ამჟამად სად არის, არავინ არ იცის. სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო იქნებოდა ქართული მინაწერების შესწავლა, იმის დადგენა, თუ როდის გაკეთდა ისინი, იყვნენ თუ არა იმხანად ქართველები ბალამანდის მონასტერში ან სირიის სხვა ინტელექტუალურ ცენტრებში. მეტად ნიშანდობლივია, რომ მაკარი ანტიოქიელს საქართველოში მოგზაურობამდე უკვე საკმაოდ კარგი წარმოდგენა ჰქონდა საქართველოს ეკლესიის ისტორიის, ქართველი წმინდანების შესახებ.

ბალამანდის მონასტრის ხელნაწერებში წარმოდგენილი სახარების არაბული თარგმანები არ უკავშირდება ძველ წარევ ტექსტებს, რომელებიც ადრე, XIII საუკუნეში, გაერთიანდა მელქიტთა მიერ და რაზეც ზემოთ გვქონდა საუბარი, არამედ ეს არის იმ პროექტის ნაწილი, რომლის განხორციელებასაც სირიის არაბულენოვანი მართლმადიდებლები აქტიურად შეუდგნენ XVII საუკუნეში. ეს თარგმანები ნაკლებად არის შესწავლილი და მათი ადგილი არ არის განსაზღვრული არაბული ბიბლიის შექმნის ისტორიაში. ბიბლიური წიგნების ადრეულ არაბულ თარგმანებში მეტად საგრძნობია ბერძნულის, სირიულის ან კოპტურის გავლენა, რაც ხშირ შემთხვევაში არაბული ტექსტის დამახიჯებას იწვევს და ართულებს მის აღქმას. მართალია, ბალამანდის მონასტრის

XVII საუკუნის არაბული ტექსტებიც ბერძნულიდან მომდინარეობს, მაგრამ ამ შემთხვევაში თარგმანი შეძლებისდაგვარად გამართულია და ხელოვნურ ხასიათს არ ატარებს (თუმცა ხელხაწერთა უმეტესობაში არის გარკვეული გადახვევები სალიტერატურო არაბულის ნორმები-დან). ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ XIX საუკუნემდე გაცილებით უფრო ადრე არსებობდა ბერძნულ ორიგინალს დაფუძნებული გამართული და ფილოლოგიურად შედარებით კარგად დამუშავებული არაბული თარგმანები. არაბული ბიბლიის შექმნაში დიდი წვლილი აქვთ შეტანილი XVII საუკუნის ანტიოქიის მართლმადიდებელ არაბულენოვან ინტელექტუალებს და მათ მიერ დადგენილი ტექსტების მონაცემები იეზუიტებმაც აქტიურად გამოიყენეს, როდესაც ბეირუთში გამოსცეს ახალი არაბული თარგმანი, შეჯერებული მანამდე არსებულ თარგმანებთან. მართლმადიდებლური წრიდან გამოსული ეს თარგმანები, რომელთა ნაწილი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მაკარი ანტიოქიელმა რომში გაგზავნა, მნიშვნელოვან წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა არაბული ბიბლიის რედაქციული დახვენის გზაზე.

წინამდებარე სტატიაში ჩვენ განსაკუთრებით ვამახვილებთ ყურადღებას ანტიოქიური წარმოშობის ქრისტიანულ არაბულ ხელნაწერთა ჯგუფზე, რომელიც დაცულია წმ. მარკოზის ბიბლიოთეკაში ვენეციაში. მათ შორისაა Ms. Marc. Oriental No 7, Collocazione 110, რომელიც შეიცავს ლიტურგიულ ტექსტებს, ძირითადად იოანე ოქროპირისას, თუმცა არის აგრეთვე რამდენიმე წაწყვეტი ახალი აღთქმიდან. მასში წარმოდგენილია იოანეს გამოცხადების წანილი (იწყება მე-2 თავით), რომელსაც ამჟამად ვაქევეყნებთ. საინტერესოა, რომ ამავე ჯგუფში შედის კიდევ ერთი ხელნაწერი, რომელიც შეიცავს გამოცხადების სრულ ტექსტს. თავდაპირველად დაცული იყო წმ. იოანესა და პავლეს მონასტერში ვენეციაში. ჩვენ ის უკვე მომზადებული გვაქვს გამოსაცემად ცალკე მონოგრაფიის სახით, ამჯერად კი წარმოვადგენთ მხოლოდ იმ წაწყვეტს, რომელიც ჩართულია ხელნაწერში Ms. Marc. Oriental No 7, Collocazione 110. ტექსტი გახმოვნებულია (როგორც ჩანს, ყურანისეული ტრადიციის გავლენით, რადგანაც ქრისტიანები ცდილობდნენ არა მხოლოდ საუკუნეო თარგმანთა სტილის დახვეწას, არამედ თავიანთი წმინდა წერილის ჩანერას არაბულ ენაზე მაქსიმალური სიზუსტით, გახმოვნებით, როგორც ეს მიღებული იყო მუსლიმთა შორის), ასახულია ჰამზაც, რაც მეტად უჩვეულოა ქრისტიანული არაბული ხელნაწერებისათვის. ვფიქრობთ, ის გაცილებით გვიანაა შეტანილი ტექსტში. წაწყვეტი მოიცავს იოანეს გამოცხადების მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 თავებს. თარგმანი ზედმინევნით მისდევს ბერძნულ ორიგინალს.

## ლილი უორფოლიანი

„როსტომიანის“ სპანდიატ-რვალი და რვალისტანა თუ  
რვალისაბჯროსანი ესფანდიარი?

ფირდოუსის „შაჰ-ნამეს“ ძველ თარგმანებს შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს XV-XVIII საუკუნეებში შესრულებულ ქართულ თარგმანებს, რომლებიც მათში არსებულ სხვადასხვა სახის თავისებურებათა გამო უფრო „შაჰ-ნამეს“ ვერსიებად წარმოვიდგება. სამ პროზაულ და სამ ლექსით თარგმანთა (ვერსიათა) შორის განსაკუთრებით ფასეულია მათი ცენტრალური ნაწილი „როსტომიანი“ (XV-XVI სს.), რომელშიც გადმოცემულია „შაჰ-ნამეს“ ამბები სისთანელი ფალავნის საამის ალბინოსი ვაჟის ზაალის დაბადებიდან ქეიანი მეფის გომთასფის გარდაცვალებამდე. „როსტომიანის“ ძირითადი ნაწილი (ზაალის შობიდან გომთასფ მეფესთან ზოროასტრის მოსვლისა და ახალი რელიგიის მოტანის ამბამდე) გაულექსავს სერაპიონ სოგრატის ძე საბაშვილს. „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების მკვლევართა (ნ. მარი, ი. აბულაძე, კ. კეკელიძე, ალ. ბარამიძე, დ. კობიძე) მოსაზრებით, საბაშვილს ხელთ ჰქონია „შაჰ-ნამეს“ ქართული პროზაული თარგმანის ტექსტი და ის გაულექსავს (არ არის ცნობილი ეს პროზაული თარგმანი როდის და ვის მიერ იყო შესრულებული), ხოლო ბოლო ნაწილი (ანუ ამბები ზოროასტრის გამოცხადებიდან გომთასფ მეფის გარდაცვალებამდე) უშუალოდ სპარსული ტექსტიდან უთარგმნია და გაულექსავს ხოსრო თურმანიძეს.

„როსტომიანის“ ტექსტზე ზერელე თვალის გადავლებით თურმანიძე თითქოს უშუალოდ აგრძელებს საბაშვილის თარგმანში მოთხოვნილ ამბავს, მაგრამ დ. კობიძის აზრით, „როსტომიანის“ 5175-5186 სტროფებზე<sup>1</sup> დაკვირვება გვაფიქრებინებს, რომ საბაშვილთან ამბავი მიტანილი უნდა ყოფილიყო როსტომისა და ესფანდირის შერკინებამდე მაინც. საბაშვილს გამოუტოვებია გომთასფის მეფობის შემცველი ეპიზოდების ნაწილი და 11 სტროფში ძალზე შეკუმშულად და შემოკლებულად გადმოუკია მამის ტახტის მოცილე ძალგულოვანი უფლისნულის ესფანდიარის („როსტომიანით“ სპანდიატის) ამბის ნაწილი, რადგანაც, ალბათ, განზრახული ჰქონდა გაელექსა როსტომისა და ესფანდიარის შერკინების ამბავი<sup>2</sup>, მაგრამ, როგორც ჩანს, არ დასცალდა.

<sup>1</sup> აბუ-ლ-ყასიმ ფირდოუსი, შაჰ-ნამე, ქართული ვერსიები, II, (ტფილისი, 1934), 301-302.

<sup>2</sup> დავით კობიძე, „შაჰ-ნამეს“ ქართული ვერსიების სპარსული ნკაროები, (თბილისი, 1959), 96-98.

„როსტომიანის“ აღნიშნული ნაწილიდან ჩვენი ყურადღება მიიპყო 5180-5186 სტროფებში წარმოდგენილმა ეპიზოდმა, რომელშიც ესფანდიარის ერთი (რომელიღაც) საგმირო ამბავია აღწერილი. აქ ვკითხულობთ:

„მარტო ერთხელ ნადირობას გამოვიდა გმირთა თავი;  
ერთი ქაჯი გარდეკიდა, – თქვა – „არ მინდა შენთან ზავი!“  
მას **სპანდიატ** უპასუხა: „მე გიჩვენო გმირი მკლავი!“  
საომარად გაემართა იგი ტურფად სანახავი.  
მათ აბჯარი მოიმარჯვეს, წამოვიდეს დასაცდელად,  
ერთმანერთსა მათ ისარი სამ-სამი ჰერეს სისხლსა მღვრელად;  
მათ **აბჯარი** არ გაუტყდა, ომი ჰერნდა მეტად ძნელად,  
ქაჯა **რვალის** ჯაჭვი ეცვა მახვილისგან უძლეველად.  
**აგრევე მისსა ცხენს ეცვა აბჯარი საკვირველია,**  
ყოვლისა საომრისაგან მისი გატეხა ძნელია!  
მერმე შუბები დალერეს, აუშვეს დიდი მტვერია,  
სცემდეს კრმლითა და ლახტითა, სისხლი არც ერთსა სდენია.  
ამაზედა ცხენსა მჯდომნი კელ-და - კელ იჭიდებოდეს,  
დასწყდეს ჯაჭვების ლამბები, სარტყლები შემოსწყდებოდეს;  
მერმე გარდაჭდეს, აგეთნი ქვეითნი ირკინებოდეს,  
მეტად გაფიცხდა სპანდიატ, ინატრის, – „გამმარჯვებოდეს!“  
მარჯვინით ბარკალს მოეკიდა, მარცხნით კისერს წამოზიდა,  
მინაზედა დაახეთქა, – მოსაკლავად გული სთქმიდა;  
წამოზიდა მუზარადსა, ლამის მედგრად სისხლსა ღვრიდა,  
ქაჯი მეტად შეეხვენა, თავს იმითა ინახვიდა.  
ქაჯმან თქვა: „ჩემი სიცოცხლე შენ დიდად მოგეწმარების:  
ამ ჩემსა აბჯარსა მოგცემ, – სხვა არა დაედარების!  
აგეთივ ცხენსა მიცვია, – არც მასა დაეგვარების,  
მტერთაგან არ გაგიტყდების, – ვიცი, ეს გაგეხარების!“  
აღარ მოკლა და ქაჯს მისცა იმედი სულთა ამრისა;  
რაცა მაშინ ქნა სპანდიატ, – გმირისაგანცა კმარისა.  
მით ერქვის **სპანდიატ-რვალი, ტანს ეცვის ჯაჭვი რვალისა,**  
რიდი აღარსად არ ჰერნდა მას ლომსა მეომარისა“.¹

დ. კობიძეს „როსტომიანის“ ეს ეპიზოდი მიაჩნია ანარეკლად ფირდოუსის თხზულების სპარსულ ტექსტში მოთხრობილი ესფანდიარ-გორგსარის შერკინების ამბისა,² რომლის მიხედვითაც თურანის მეფე არჯასპისაგან დამარცხებული გოშთასფი, ბრძენი ვეზირის ჯამასპის რჩევით, დასახმარებლად იხმობს და ტყვეობიდან ათავისუფლებს თავის ურჩ და ტახტის მოცილე ვაჟს ესფანდიარს, რომელიც მუსრს

<sup>1</sup> ფირდოუსი, „შაჳ-ნამე“, ქართული ვერსიები, II, 301-302.

<sup>2</sup> კობიძე, „შაჳ-ნამეს“ ქართული ვერსიების სპარსული წყაროები, 98.

ავლებს თურანელთა ლაშქარს, ორთაბრძოლაში ამარცხებს და ტყველ  
ჩაიგდებს თურანის მეფის ფალავან გორგსარს, რომელსაც შემდგომ  
არჯასპის რვალის ციხეზე („რუუნ დეჟზე“) დების გამოსახსნელად  
მიმავალი მეგზურად იყენებს.

ესფანდიარისა და გორგსარის შერკინება „შაჰ-ნამეს“ სპარსულ  
ტექსტში ასეა მოთხოვბილი:

„როცა არჯასპმა ეს (ლაშქრის დამარცხება – ლ.ჟ.) დაინახა,  
ასე უთხრა გორგსარს: „უთვალავი ლაშქრიდან  
ყველანი დაიხოცნენ, ვინც მეომარი იყო  
და წინა ხაზზე რომ იმყოფებოდა.  
არ ვიცი შენ რატომ გაჩუმებულხარ,  
ეს ამბები თავიდან რატომ აიცილე?“  
მისი ნათქვამის გამო გაფიცხდა გორგსარი,  
გამოვიდა ბრძოლის ველის წინა ხაზზე,  
როცა მიუახლოვდა (ესფანდიარს – ლ.ჟ.),  
მშვილდში ჩასვა და ესროლა  
ფოლადის ზროიანი ალვისხის ისარი და  
მოარტყა ფალავანს ის მკერდში.  
უნაგირიდან გადმოეკიდა ესფანდიარი,  
რათა ეფიქრა გორგსარს,  
რომ იმ ისარმა გაიარა ჯავშანში.  
ალმასისებრი მახვილი ამოიღო გორგსარმა,  
უნდოდა მისთვის თავი მოეკვეთა.  
დაზიანების შეეძინდა ესფანდიარს,  
უნაგირის კოტადან მოხსნა დახვეული ქამანდი,  
სამყაროს შემოქმედის სახელით  
ესროლა და კისერზე გადააცვა გორგსარს;  
გაუკოჭა მას თავი და კისერი  
და მინაზე დასცა მისი მოცახცახე სხეული;  
ორივე ხელი ზურგს უკან მაგრად შეუკრა,  
კისერზე საბელს ყულფი გაუკეთა და  
ბრძოლის ველიდან ბანაკში მიიყვანა  
თრევით, პირზე სისხლის ქაფმორეული.  
გაგზავნა ეს ავისმოქმედი მეფესთან  
ოქროს გვირგვინოსან ჰომაიუნთან  
და შეუთავალა: „იგი კარავში იყოლიე  
შებორკილი და მისი მოკვლა არ იფიქროო“.  
იქიდან კი ისევ ბრძოლის ველზე წავიდა,  
საომრად გაიყვანა ირანელთა ლაშქარი“!  
ესფანდიარ – გორგსარის ორთაბრძოლა „შაჰ-ნამეს“ სპარსულ ტექსტში მონათხოვბის მსგავსია ხოსრო თურმბანიძის თარგმანში, ოღონდ

<sup>1</sup> ფირდოუსი, შაჰ-ნამე, ტ. VI (მოსკოვი, 1967), 161-162 (სპარსულ ენაზე).

რამდენადმე შემოკლებული სახით. ამასთან თურანელი ფალავნის სახელი ქართულში **ქარქარსარ** ფორმით არის გადმოტანილი, რაც შეიძლება აიხ-სნას როგორც გრაფიკული, ისე ფონეტიკური მიზეზებით. საბაშვილის თარგმანში არ არის ნახსენები გორგსარის ისრის ფოლადის ზრო, ხოლო ესფანდიარი რომ ჯავშნით არის შემოსილი აქაც არის აღნიშნული.<sup>1</sup>

„შაპ-ნამეს“ ზემოთ მოტანილი ტექსტისა და თურმანიდის თარგმანის საბაშვილისეულ ტექსტთან შედარება ნათლად გვიჩვენებს მათ შორის არსებულ სხვაობას. გარდა იმისა, რომ რამდენადმე განსხვავებულია შერკინების დეტალები, მხოლოდ საბაშვილის თარგმანში გვაქვს დამარცხებული მტრისგან (ქაჯისგან) ესფანდიარისთვის (სპანდიატისთვის) და მისი ცხენისთვის, შეწყალებისა და სიცოცხლის შენარჩუნების სანაცვლოდ, უჩვეულოდ მტკიცე ჯაჭვ-აბჯრის ჩუქება და „სპანდიატ რვალის“ ეტრმოლოგია. ყოველივე აღნიშნული საეჭვოდ ხდის საბაშვილის თარგმანის ტექსტის „შაპ-ნამესეული“ ესფანდიარ-გორგსარის ორთაბრძოლის ანარეკლად მიჩნევას.

უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი მთარგმნელები გოშთასფ მეფის ვაჟის სახელს საქართველოში სამუალო სპარსულიდან (Spandiād // Spandiāt) შემოსული ფორმით იყენებდნე (ხ. თურმანიდეს, რადგან იგი უშუალოდ სპარსულიდან თარგმნიდა, ზოგჯერ ეს სახელი სპანდიარ ფორმითაც აქვს მოცემული), რომელიც ლეონტი მროველის თხზულებაშიც (XIII). არის ნახსენები მეტსახელთან (რვალი) ერთად: „შემდგომად ამისა რაოდენთამე წელიწადთა აღმოვიდა ძე სპარსთა მეფისა ვაშტაშაბისი, სახელად სპანდიატ-რვალი“.<sup>2</sup> ლეონტი მროველთან მოცემული **სპანტიად რვალი**, ქართველ მკვლევართა ვარაუდით, შესაძლოა, საქართველოში ესფანდიარის შესახებ გავრცელებულ ზეპირ თქმულებებს ან საშუალო სპარსულ „ხოდაღ-ნამეს“ უკავშირდებოდეს.<sup>3</sup>

რაც შეეხება „როსტომიანის“ 5175-5186 სტროფებში მოცემულ ეპიზოდს, იგი, ჩვენი ვარაუდით, ქართველი გამლექსავის, – საბაშვილის შეთხზული არ უნდა იყოს და მის მიერ გამოყენებული „შაპ-ნამეს“ ქართული პროზაული ტექსტისეული ჩანს, რომელშიც, თავის მხრივ, ის „შაპ-ნამეს“ სპარსული ხელიწანერიდან უნდა იყოს გადმოყოლილი. ამას გვაფიქრებინებს ქართველ მთარგმნელ-გამლექსავთა (ასევე რედაქტორ-გადამწერელთა) მუშაობის სტილი (მეთოდი) ანუ თარგმანში ქართული რეალიების შეტანა, აქა-იქ პოეტური სახეების შეცვლა, ცალკეული ეპიზოდების შემოკლება-შეკუმშვა და არა ახალი ეპიზოდების შეთხვა.

<sup>1</sup> ფირდოუსი, შაპ-ნამე, ქართული ვერსიები, II, 328-329.

<sup>2</sup> ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართულთა მეფეთა და პირველთავანთა მამათა და ნათესავთა, ქართლის ცხოვრება, I (თბილისი, 1955), 16.

<sup>3</sup> იხ.: მზია ანდონიკაშვილი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I (თბილისი, 1966) 148-149; დავით კობიძე, ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი, II (თბილისი, 1969), 102.

ჩნდება კითხვა, – რატომ და როგორ უნდა გაჩენილიყო საბაშვილის თარგმანის დედნის, – „შაპ-ნამეს“ სპარსული ხელნაწერის ტექსტში აღნიშნული ეპიზოდი. საქმე ის არის, რომ ფირდოუსის თხზულებაში ზოგჯერ გვხვდება ხოლმე ბუნდოვანი ადგილები, რაც სპარსელინტერპოლატორებს ჩანართების (ან მიბაძვა-გაგრძელებათა) შეთხზვის საფუძველს და შესაძლებლობას აძლევდა. მოცემულ შემთხვევაში ასეთი ქმედების მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ფირდოუსის „შაპ-ნამეს“ სპარსულ ტექსტში ესფანდიარი რვალისტანიანად იხსენიება მხოლოდ „როსტომ-ესფანდიარის“ დასთანში სულ **სამჯერ**, მაგრამ არ არის აღნიშნული თუ სად, როდის და როგორ გახდა გოშთასფ მეფის ვაჟი რვალის (ბრინჯაოს) სხეულის მქონე. აღნიშნულ დასთანამდე ესფანდიარის ჩვეულებრივი ადამიანის სხეული აქვს და ბრძოლისას ჩვეულებრივი ჯავშანი (აბჯარი) მოსავს (გავიხსენოთ ესფანდიარისთვის არჯასპის ლაშქართან ბრძოლის შემდეგ ხმლის ვადით დაზიანებული ხელის რძით დამუშავება, როსტომის მიერ ხელის ჩამორთმევისას ესფანდიარისათვის ხელის ტკენა, ესფანდიარ-გორგსარის ორთაბრძოლაში ესფანდიარს რომ ჯავშანი აცვია და როსტომ-ესფანდიარის პირველი შერკინების შემდეგ შინ დაბრუნებული დაჭრილი როსტომი თავის მშობლებთან ესფანდიარის უჩვეულოდ მტკიცე ჯავშანზე რომ საუბრობს, რომელსაც მან ვერანაირი ზიანი ვერ მიაყენა). მხოლოდ ზაალის მიერ საშველად მოხმობილი ზლაპრული ფრინველის, – სიმორლის მეშვეობით ხდება საცნაური, რომ ესფანდიარი რვალის სხეულის მქონეა და მისი დამარცხება და მოკვდა მხოლოდ სპეციალური ისრით თილისმისაგან დაუცველი თვალების დაზიანებითაა შესაძლებელი. სიმორლი როსტომს აფრთხილებს, რომ ესფანდიარის მკვლელი დიდხანს ვეღარ იცოცხელებს, მაგრამ როსტომი მაინც იღებს ესფანდიარის მოკვლის გადაწყვეტილებას და სიმორლის დახმარებით ალასრულებს კიდეც.

ესფანდიარის „რვალისტანიანობის“ შესახებ მრავალი თქმულება არსებობს და ისინი ძირითადად ზოროასტრის უკავშირდება. ყველაზე ადრე ასეთი თქმულება ფიქსირებულია XIII საუკუნის (1278წ.) თხზულებაში „ზარათოშთ-ნამე“, რომლის ავტორად ბაჲრამ ფაჲდუ ითვლება. ამ თქმულების მიხედვით, გოშთასფ მეფე ზოროასტრისგან ახალი რელიგიური მოძღვრების გავრცელებაში აქტიური მონაწილეობის სანაცვლოდ ოთხგვარ ჯილდოს ითხოვს. ზოროასტრი მეფეს თხოვნას ნაწილობრივ უსრულებს და მის გარდა აჯილდოვებს ვეზირ ჯამასპს და გოშთასფის ვაჟებს, – ესფანდიარსა და ფაშოთანს. ესფანდიარს წილად ხვდება ერთი ცალი ბრონეული, რომლის შექმის შედეგად მისი სხეული, თვალების გარდა, რვალისა ხდება.<sup>1</sup>

მთელი რიგი ზეპირი თქმულებების მიხედვით, აღნიშნულ თვისებას ესფანდიარის სხეული ბაჲშვილის ასაკში იძენს ზოროასტრის,

<sup>1</sup> ბაჲრამ ფაჲდუ, ზარათოშთ-ნამე, (თეირანი, 1338), 77 (სპარსულ ენაზე).

გოშთასფის, ან მისი მეუღლის (ესფანდიარის დედის) ქეთაიუნის მიერ ესფანდიარის წმიდა, მაგიურ და თილისმიან წყალში (წყაროში, აუზში, აბანოში) განბანვის შემდეგ, რომელთა დროს ესფანდიარი თვალებს ხუჭავს, წყალი თვალებში ვერ ხვდება და ისინი დაუცველი რჩება.<sup>1</sup>

ესფანდიარზე თქმულებათა მკვლევარები აღნიშნავენ, რომ ავესტაში და სპუალო სპარსული ლიტერატურის ძეგლებში („ადგარე ზარერან“, „პუნდაჰიშნი“) ესფანდიარი იხსენიება (ავ. Spəntō-dāta, საშ. შპარსული Spandiāt // Spandiād – „წმიდა გონების ქმნილება“),<sup>2</sup> მაგრამ მისი რვალისტანიანობის შესახებ არაფერია ნათქვამი. ირანელი მკვლევრის მ. ომიდსალარის აზრით, ესფანდიარი ბრინჯაოს სხეულის მქონედ მოხსენიებული უნდა ყოფილიყო „შაჰ-ნამესა“ და „ზარათოშთ-ნამეს“ წყაროებშიც.<sup>3</sup> არსებობს მოსაზრება, რომ თქმულება ესფანდიარ რვალისტანაზე ირანში უნდა შექმნილიყო სელევკიანთა და არშაკიანთა მმართველობის პერიოდში ბერძნული ეპოსის გმირის აქილევსის თქმულების გავლენით.<sup>4</sup>

ესფანდიარის „რვალისტანიანობის“ შესახებ ბევრ მეცნიერს აქვს გამოთქმული მოსაზრება თუ ვარაუდი. მათ შორის აღსანიშნავია მ. ომიდსალარის მიერ ესფანდიარის რვალისტანიანობის საიდუმლოს ამოხსნის მცდელობა. მ. ომიდსალარი ითვალისწინებს რა იმ გარემოებას, რომ „შაჰ-ნამეში“ ესფანდიარი როსტომ-ესფანდიარის შერკინებამდე არ იხსენიება რვალის სხეულის მქონედ, მისი სხეულის მიერ ამ თვისების შეძენას იგი უკავშირებს თურანის მეფის არჯასპისეგან დატყვევებული დების გამოსახსნელად „რუინ დეჟის“ (რვალის ციხის) ასალებად მიმავალი ესფანდიარის მიერ ჩადენილ შვიდ საგმირო თავგადასავალს. მკვლევრის მოსაზრებით, ამ საგმირო საქმეთაგან პირველი ხუთის დროს ესფანდიარის სხეული რეალურ (ორი ლომი, ორი მგელი) და ზღაპრულ (სიმორდი, ურჩხული, ჯალო ქალი) არსებათა დამარცხების, მოკვლის, მათ სისხლში ამოსვრის, შემდეგ კი მიწიერ და ზეციურ წყლებში განბანვის შედეგად თანდათან ძლიერდება და ბოლოს რვალად იქცევა, თუმცა თვალები ამ შემთხვევაშიც დაუცველი რჩება.<sup>5</sup> უნდა ითქვას რომ ომიდსალარის ჰყავდა წინამორბედი, – მ. მინოვი, რომელიც ესფანდიარის სხეულის რვალად ქცევას მხოლოდ ერთ, მესამე საგმირო საქმეს ანუ ურჩხულის მიერ ესფანდიარის

<sup>1</sup> სეჯად აიადანლუ, ესფანდიარი და რვალისტანიანობა „შაჰ-ნამეში“, ჟ. „მე’რ“, №28 (1382), 42-48 (სპარსულ ენაზე); მაპმუდ ომიდსალარი, ესფანდიარის რვალისტანიანობის საიდუმლო, ჟ. „ირან ნამე“, №2 (1361), 259-260 (სპარსულ ენაზე).

<sup>2</sup> F. Yusti, Das iranische Namenbuch (Hildesheim, 1963), 308.

<sup>3</sup> ომიდსალარი, ესფანდიარის რვალისტანიანობის საიდუმლო, 255-256.

<sup>4</sup> მეჰრდად ბაჰარი, რამდენიმე სიტყვა „შაჰ-ნამეს“ შესახებ, ძიებანი (თეირანი, 1373), 47-48 (სპარსულ ენაზე).

<sup>5</sup> ომიდსალარი, ესფანდიარის რვალისტანიანობის საიდუმლო, 265-278.

ჩაყლაპვას, მუცლად ყოფნისას ურჩხულის მოკვლასა და მის სისხლში ყურყუმელაობას უკავშირებდა.<sup>1</sup>

უნდა აღინიშვნოს, რომ არსებობს რამდენიმე ზეპირი თქმულება, რომელთა მიხედვითაც ესფანდიარს ადამიანის ჩვეულებრივი სხეული აქვს და კონფლიქტისას როსტომი მას გვერდში (ფერდში) თავისი საყნო-სავი ოქროს (ფოლადის) თურინჯის (ზოგი თქმულებით ოქროს სკამის) ჩარტყმით კლავს.<sup>2</sup>

რაც შეეხება ესფანდიარის უჩვეულოდ მტკიცე ჯავშანს, რომელ-ზედაც „შაჰ-ნამეშიც“ არის საუბარი, სპარსულ ფოლკლორში მის შესა-ხებაც არსებობს რამდენიმე თქმულება. ერთი მათგანის თანახმად, ეს-ფანდიარს იცავდა ზოროასტრის ხელით გაკეთებული და მისთვის ნა-ჩქეარი ჯავშანი, რომელსაც ვერანაირი იარაღი ვერ ვნებდა. ასევე მის სხეულს რვალის სიმტკიცეს ანიჭებდა ზოროასტრის მიერ ნაჩქეარი სა-მოთხიდან მოტანილი ფოლადის ჯაჭვი.<sup>3</sup> ეს ჯაჭვი „შაჰ-ნამეშიც“ იხსენიება. ამ ჯაჭვის მეშვეობით ამარცხებს და კლავს ესფანდიარი ჯადოქარ ქალს მეოთხე საგმირო საქმის ამბავში. აღსანიშნავია, რომ „როსტომიანისეულ“ თქმულებაში ქაჯის რვალის აბჯრის წარმომავ-ლობა უშმინდურთა სამყაროს უკავშირდება.

თართუსის (თუ თარსუსის) თხზულებაში „დარაბ-ნამე“ (ჰიჯრის VI ს.) აღნიშნულია, რომ ირანის მეფე დარაბს დედისგან (ჰომაისგან) მემკვიდრეობით ერგო ესფანდიარის ნაქონი ჯავშანი, რომელიც თავდაპირველად ადამის ვეფხის (თახვის) ტყავის პერანგი იყო. იგი ქეიხოსროვიდან მოყოლებული მემკვიდრეობით გადაეცემოდა „ქეიან“ მეფეებს და მას თუმცა 400 ნაჭდევი ჰქონდა, ჯერაც დაუზიანებელი იყო.<sup>4</sup>

ყოველივე აღნიშნული საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ სპარსულ ინტერპოლატორს გამოყენებია მისთვის ცნობილი ესფან-დიარზე თქმულების ვარიანტი ან თვითონ შეუთხზავს იგი და „შაჰ-ნამეს“ ტექსტშიც ჩაურთავს. ჩვენ „შაჰ-ნამეს“ სამი კრიტიკული გამო-ცემის (თეირანის ბარუხიმის, მოსკოვის და ხალეყი მოთლაყის ტექ-სტებსა და მათ სქოლიობში), სადაც უამრავი ხელნაწერის ვარიანტე-ბია მოცემული, „როსტომიანის“ საბაშვილისეული ესფანდიარის ქაჯ-თან ბრძოლის ამბის ანალოგი ვერ აღმოვაჩინეთ, რაც საბაშვილის დედ-ნის სპარსული ხელნაწერის სიძველითა და უნიკალურიბით შეიძლება აიხსნას. ვფიქრობთ, „როსტომიანისეული“ თქმულება ესფანდიარის

<sup>1</sup> მ. მინოვი, ფირდოუსი და მისი ლექსი (თეირანი, 1346), 80 (სპარსულ ენაზე).

<sup>2</sup> სეიდ აბულყასებ ანჯავი შირაზი, ხალხი და ფირდოუსი, (თეირანი, 1975), 211-212 (სპარსულ ენაზე).

<sup>3</sup> სეიდ აბულყასებ ანჯავი შირაზი, ხალხი და შაჰ-ნამე (თეირანი, 1974), 25 (სპარსულ ენაზე).

<sup>4</sup> თართუსი, დარაბ-ნამე, (თეირანი, 1344), 27 (სპარსულ ენაზე).

რვალის აბჯარზე უდავოდ იმსახურებს ამ დევგმირი უფლისწულის შე-სახებ არსებული თქმულებების მკვლევრების ყურადღებას.

### *Lili Zhorzhiani*

### **Spandiat-Bronze of 'Rostomiani~ and Bronze-Bodied or Armoured Espandiar**

In Persian epics the son of King Goshtasp - Espandiar (Av. *Spentodata*, Middle Persian *Spandiat/Spandiad*, Georgian *Spandiat/Spandiar*, which, according to P. Iust, means “Creation of Pure Mind”) has a nickname “Ruyintan” – Bronze-Bodied, Armoured).

In Firdowsi’s “Shah-Nameh” Espandiar is called “Ruyintan” only in the episode describing the battle of Rostom and Espandiar (three times in printed texts, comparatively more times in manuscripts). However, no mention is made as to how he became bronze-bodied.

According to XIII century written source, Bahram Pazdu’s “Zaratosht Nameh”, Espandiar acquires this supernatural feature by eating a magic pomegranate gifted to him by Zoroaster (the founder of Zoroastrianism) in gratitude for having spread his religious doctrine. According to oral legends, Espandiar becomes “Bronze-bodied” either by bathing in pure spring water upon the order of King Goshtasp, or in a bath of Zoroaster himself, or in a pool where he is bathed by his magician mother. During the latter, he closes his eyes; hence, his eyes remain unprotected. According to another legend, Espandiar is not bronze-bodied. Instead, he wears an armour, made by Zoroaster himself, and is thus protected from all kinds of weapons. It should be mentioned that in “Shah-Nameh” Espandiar has a chain gifted to him by Zoroaster. He uses this chain to kill a witch in the fourth heroic deed.

In Avesta and the literary monuments of Middle Persian the bronze body of Espandiar is not mentioned. However, based on logical assumption of Iranian scholar Mahmoud Omidsalar, this fact should have been mentioned in “Shah-Nameh” and “Zaratosht-Nameh”. According to another Iranian scholar, M. Bahar, the legend about the bronze body of Espandiar must have been transferred to Iran in the Selevkid or Arshakid epoch due to the influence of Greek epic about the immortal hero Achilles.

Many scholars have expressed their opinions regarding the bronze body of Espandiar. One of the most interesting opinions is M. Omidsalar’s view about the secret of bronze body of Espandiar. According to this opinion, this miracle occurs as a result of the first five heroic deeds where Espandiar is stained with the blood of his mythical-real (two wolves and two lions) and fairy (monster, magician, Simorg) opponents. Later, Espandiar is also washed in heavenly (rain) water. As a result, his body (with the exception of the eyes) strengthens to such an extent that finally it turns into bronze. Unlike M. Omidsalar, Minov relates

the acquisition of bronze body only to Espandiar's third heroic deed (defeating of the monster and bathing in its blood).

Mention should also be made of the fact that Rostom, who is wounded after the first battle with Espandiar, tells his parents about the strength of Espandiar's armour and not about his bronze body. This episode and the above-mentioned legend about Zoroaster gifting Espandiar with armour must have served as a source for the interpolation of "Shah-Nameh", which is not present in the currently existing manuscripts. However, it is reflected in "Rostomiani" (XV-XVI centuries), but in this Georgian translation (version) of Firdowsi's work Espandiar is gifted a bronze armour by a hag as a sign of gratitude for having spared his life. To quote 'Rostomiani',

"His name was Spandiat-Bronze, he was dressed in bronze armour".

The researchers of the Georgian versions of "Shah-Nameh" argue that Georgian translators of Firdowsi's literary work did not interpolate the text by adding new episodes and retained the contents of the Persian original more or less precisely.

Research implemented by professor D. Kobidze – "Persian Sources of the Georgian Versions of "Shah-Nameh" has made it clear that the Georgian versions, including "Rostomiani" have retained some episodes which are no longer present in the existing manuscripts of "Shah-Nameh". The above-mentioned episode of "Rostomiani" referring to the bronze armour of Spandiar is one of such examples. In my opinion, this fact should be taken into account while analyzing the critical text of "Shah-Nameh". Besides, the story of "Rostomiani" regarding Espandiar's acquisition of bronze armour is undoubtedly of great interest for scholars who dedicate their research to legends about Espandiar.

## ნინო სამხონია ალალახის გლიპტიკის ნიმუშები

ალალახის არქეოლოგიური გათხრების VII და IV ფენებში (ძვ.წ. II ათასწლეულის I ნახ. – VII და II ნახ. – IV) აღმოჩენილი ანაბეჭდების იკონოგრაფია დაჯგუფებულია მოტივებისა და იდეების მიხედვით. VII ფენის ნიმუშებზე ვხვდებით საბეჭდავის ოსტატის სახელს – ისუა, ეს სახელი ხურიტულია და რამდენიმე ანაბეჭდზე ფიქსირდება. სხვა ოსტატის სახელი – addu-malik, დაწერილია ისუა-ს გასწვრივ.

ალალახის IV ფენის ანაბეჭდები, ნაკლებად ინახავენ ოსტატთა სახელებს. მაშინდელ საზოგადოებაში არსებულ სოციალური ფენა ე.წ.-ehele-სანუსა, რომელიც მაღალი რანგის კერძო მოქალაქეთა ფენას განეკუთვნებოდა, სასახლებში დასაქმებული უნდა ჰყოლოდათ.

საბეჭდავთა ოსტატთა საკუთარი სახელების არასისტემური დაფიქსირება საბეჭდავთა წარწერებში, სავარაუდოს ხდის რეზიდენტი ოსტატების არსებობას. ოსტატთა შემოქმედების მხრივ კი, იკონოგრაფიის სრულ შეუსაბამობას ვაწყდებით. კერძოდ, საბეჭდავების, კონვერტების ანაბეჭდებს, ფირფიტებსა და ჭურჭლის იკონოგრაფიებს შორის. მიუხედავად ერთი არეალისა, ალალახში ნანარმოებ ნიმუშებზე სხვადასხვა ხელწერა და სტილი იგრძნობა. მრავალი დოკუმენტი, რომელზეც ალალახის მკვიდრის ლოკალური ანაბეჭდია გამოსახული, არ წარმოადგენს ლოკალური მანუფაქტურის პროდუქტის გარანტიას. ალალახის არქივის შემთხვევაში თავმოყრილია საბეჭდავთა მთელი რიგი ეგზოტიკური, მეტროპოლიტური და კოსმოპოლიტური ოსტატობა. არსებული სურათი განსაკუთრებით თვალსაჩინოა ალალახის IV ფენით დათარიღებული მასალის საფუძველზე, რომელიც მითანური სტილის გავრცელებას, ანუ ძვ.წ. II ათასწ. II ნახევარს განეკუთვნება.

შესაძლებელია მხოლოდ ვივარაუდოთ, თუ როგორ მუშაობდა საბეჭდავის ოსტატი საამქროში. დასაშვებია „ორნამენტის წიგნის“ არსებობა, ისევე როგორც ევროპული რენესანსის ძროს, ასევე ხელოვნების ისტორიის ადრეულ ეპოქაში.

ანაბეჭდებზე წარმოდგენილია აქადური პერიოდის (ძვ.წ. XXIV ს.) და უფრო ადრეული მოტივების სხვადასხვა სტილიზებული ვარიაციები. თუმცა იკონოგრაფიის პირველწყარო, რაც ოსტატთა შთაგონების საფუძველია, უცვლელი რჩება.

**წარწერები.** საბეჭდავების წარწერები განიხილება სტილისტურ ჭრილში იკონოგრაფიასთან მიმართებაში – ფორმებისა და ნიშნების სივრცეში განლაგების მიხედვით.

<sup>1</sup> Dominique Collon, The Seal Impressions from Tell Atchana/Alalakh, Neukirchener Verlag Neukirchen-Vluyn, 1975, 177.

**ალალახის VII ფენის** ანაბეჭდებზე არსებული წარწერების შემთხვევაში, თუ პირველი ორი სტრიქონი დაწერილია დიდი სამკუთხა ლურსმულით, ე.ი. ადრეული საბეჭდავებია. ლურსმული ნიშნების თავები ფართე და ამოზნექილია.

მომდევნო ორი სტრიქონი უფრო ვიწრო და ქსელის მსგავსია, ჩასმულია ვიწრო ჩარჩოში და მომცრო ზომისაა. ლურსმული ნიშნების თავებიც წახრილი და ჩაზნექილია.

მეხუთე სტრიქონზე ნიშნები სქემატურია, ანუ ფორმირებულია, როგორც ბადე. ეს საბეჭდავები შესაძლოა დათარიღდეს ნიქმეფუხის მეფობის პერიოდით.

მეექვსე და მეშვიდე სტრიქონზე წაგრძელებული სამკუთხა ნიშნებია გამოსახული, პირველი ორი სტრიქონის ნიშნები საპირისპიროდ, რაც გავრცელებული ტენდენცია იყო იმზადის მეფების იარამლიმ II-ის მეფობის პერიოდიდან ნიქმეფუხამდე და მისი შთამომავლების დროსაც.

ეს კლასიფიკაცია წაკლებად შეესაბამება ალალახის არქივის IV არქეოლოგიური ფენის ანაბეჭდების წარწერებს. ამ ნიმუშების ორი წარწერაც კი არ არის ერთგვარი სტილით შესრულებული. წარწერების დივერსიული სტილი, ალალახის IV ფენის გლიპტიკის მთავარი მახასიათებელია.

ალალახის არქეოლოგიური მასალის საბეჭდავთა წარწერების საკუთარი სახელებიდან ხერხდება ღვთაებათა პანთეონის აღდგენა: Ištar-Išħara, Hepat, Addu-Adad-Tešub, Lim, Dagan, Šamaš-Samšu-Šapaš, Malik, Kupapa, Kūbi. ეს ღვთაებები თავს იჩინებ საკუთარ სახელებში.

ალალახის ანაბეჭდების იკონოგრაფიის მიხედვით, რთულია ღვთაებათა ზუსტი იდენტიფიკაციის მოხდენა. იმ ხშირად ჩანს საკუთარ სახელებში ღვთაების დეტერმინატივის გარეშე. შესაძლოა მისი იდენტიფიცირება მზის-ღმერთთან. თუ ეს დასაშვებია, მაშინ Šapaš შესაძლოა იყოს Šamaš.<sup>1</sup>

ღვთაება IM, შედარებით სხვა ღვთაებებთან, ყველაზე ხშირად ჩანს საბეჭდავების წარწერების საკუთარ სახელებში. სახელი შესაძლოა წავიკითხოთ, როგორც Addu, adad, IM ან Tešub, რომელიც ქ. ალეპოს უზენაესი ღვთაება იყო. იგი შემართული იარაღით გამოიხატებოდა, მაგრამ იშვიათად ჩანს წარწერიანი საბეჭდავების იკონოგრაფიაზე, თუმცა თითქმის ყველა საბეჭდავის წარწერაში მოიხსენიება, როგორც <sup>4</sup>IM, რაც ღვთაების დეტერმინატივია. აქ ჩანს მკვეთრი სხვაობა ქალაქის მთავარ ღვთაებას, როგორც ოფიციალურ ღვთაებას და პირად ღვთაებას შორის. არსებული ვითარება ცხადია იმზადის მეფის, იარიმლიმ I-ის წერილიდან იაშუბ-იახადისადმი, დერის მეფისადმი,

<sup>1</sup> Dominique Collon, 179.

სადაც მოიხსენიება ადადი, როგორც ქალაქის მეფე, მაშინ როცა იარიმლიმის პირადი ღვთაება სინი იყო<sup>1</sup>.

**ღვთაებათა კამოსახულებები.** ალალახის არქივის ანაბეჭდებზე გამოსახულ ღვთაებას, შესაძლოა ვუწოდოთ სირიული ქალღმერთი, რადგანაც ასეთი ფორმით მხოლოდ სირიულ საბაჭდავებზე გვხვდება. სირიული ქალღმერთის ზუსტი იდენტიფიკაცია არ ხერხდება: იშთარიშხარაა თუ ხეფათი. საგარაულოდ, საქმე უნდა გვქონდეს მათ შერწყმასთან და ქალღმერთის ადგილობრივ სახესთან. ის ფაქტი, რომ ერთ საბეჭდავზე, ამ ტიპის ორი ქალღმერთია წარმოდგენილი (1, 2), ხახს უსვამს არსებული ქალღმერთის ზუსტი იდენტიფიკაციის შეუძლობლობას. ალალახისა, რომ იგი მხოლოდ ალალახის VII ფენაში იჩენს თავს<sup>2</sup>.



1

2


<sup>1</sup> Dominique Collon, იქნე.

<sup>2</sup> 1 – ალალახი, ანაბეჭდი კონვერტზე 159, სასახლის VII ფენა, ოთახი 11; 2,4-09სბ.


ქალღმერთი მაღალი, ოთხკუთხა თავსაბურავით (იხ.60), კაბა შემოხვეული ბოლოთი, ორი ყელსაბამი, ორი სამაჯური მარჯვენა მაჯაზე, მრავალფერი კვერთხით მარჯვენა ხელში მტრედი მარჯვენა მხარზე, ვარდებიანი S-ის ორნამენტია ანაბეჭდის თავზე, ორნამენტი ქვედა მხარეს. მთავარი ქალღმერთის წინ შეორე ქალღმერთი დგას – ზომით მისი ნახევარი, მის მსგავსად შემოსილი, გარდა სამაჯურებისა. ისიც წინ იცქირება, მარჯვენა ხელი აწეული აქვს. მამაკაცის ფიგურა ქალღმერთის პირისპირ დგას და მარჯვენა ხელი აქვს აწეული. ოვალური თავსაბურავით; მის უკან ვერტიკალურად გამოსახულია 4 ანხი – ძველეგვაბტური მარყუჟიანი ჯვარი, რომლის წვერზე ჩიტია შემომჯდარი. ანხის უკან ოთხი კაცი მარშირებს პირდაპირ, თავზე ფრთოსანი დისკოთი, ზომით კაცის ფიგურის ნახევარი; Dominique Collon, The Seal Impressions from Tell Atchana/ Alalakh..no.12.

2 – ალალახი, ანაბეჭდი კონვერტზე 159, სასახლის VII ფენა, ოთახი 11; 2,4-09 სბ.

კაცის ფიგურის მხოლოდ ზედა ტანი მოჩანს, მარჯვენა ხელი აწეული აქვს, შესცემის სავარაუდოდ ქალღმერთს, რომელსაც ასევე მარჯვენა ხელი აქვს აწეული და ატარებს მანტიას სქლად შემოგორგლილი ბოლოებით. Dominique Collon, The Seal Impressions from Tell Atchana/Alalakh, 1975.no.12,62.



3



4



5

სირიული ქალღმერთის სამოსი გამორჩეულია: ფართე ქსოვილი, რომელსაც სავარაუდოდ ბენვი აქვს შემოვლებული, ტანზე რამდენჯერმე აქვს შემოხვეული და საბოლოოდ მარცხენა მხარზეა ჩამოცმული. ქალღმერთი ქრონოლოგიურადაც საინტერესოა – ის არ ჩანს ქ. მარის ნიმუშებზე, მისი პირველი გამოჩენა ფიქსირდება მეფე აბანის საბეჭდავზე (3), ანუ ის არ ჩანს ძვ.წ. 18-ე ს-ის ბოლომდე. როგორც ჩანს, სირიული ქალღმერთის იკონოგრაფია მისდევდა თანამედროულ ტენდენციებს: გახდა უფრო მაღალი და თხელი, მოდური თავსაბურავით, თუმცა 3 და 4 ანაბეჭდების სტილებს შორის განსხვავება იგრძნობა<sup>1</sup>.

<sup>1</sup> 3 – ალალახი, სასახლის VII ფენა, ოთახი 11; ნარნერა: **Ab-ba-AN/DUMU**

**Ha-am-mu-ra-bi**

**LUGAL la-am-ḥa-dum**

**na-ra-am(d)IM**

გამოსასულია ქალღმერთი, რომელიც წინ იყურება ანეული ხელებით. ატარებს რქოსან თავსაბურავს, ფურჩალებიან კაბას და მრავალ ყელსაბამს. მის წინ ფიგურა, რომელიც ასევე წინ იცემობა, ატარებს ოვალურ ქუდს. ყელსაბამით, მანტია ჰორიზონტალურადა დახაზული, ანეული აქვს მარჯვენა ხელი ნებეტის ფრინველისკენ, რომელსაც კლანჭებში უჭირავს ბეჭდისებური ფორმის ძველეგვიპტური სიმბოლო, ე.წ. “შენ” სიმბოლო, მარცხენა მუშტი განვდილი აქვს ფეხიან სასმისისკენ, რომელიც ქალღმერთს უჭირავს. ქალღმერთს ოთხკუთხა ნახნაგოვანი თავსაბურავი ახურავს, მრავალი ყელსაბამით, სამაჯურებით. საბეჭდავს მეტალის ყულფები უნდა ჰქონდა ორივე მხარეს, თუმცა ანაბეჭდზე მხოლოდ ერთ მხარესააყ

The Seal Impressions from Tell Atchana/Alalakh., no.3

4 – ანაბეჭდი კონვერტზე; ნარნერა: **Ḥa-ri-im/li-im**

**[DUMU/]Ni-i/q-mi-e-pu-uḥ**

**LUGAL I[a-am-ḥa-ad]**

**na-ra-[am(d)x]**

უმეტესად ქალღმერთს სახე მარცხნივ აქვს მიბრუნებული, ხოლო მარცხენა ხელში გაურკვეველი ნივთი უჭირავს: თასი ან ანხი... ანხი ეგვიპტური სიცოცხლის ნიშანია, შესაბამისად იკონოგრაფიაზე ანხის გამოსახვა საბეჭდავის მფლობელის საკეთილდღეოდ უნდა ყოფილიყო გამიზნული. თასი, სავარაუდოდ უნდა აგრძელებდეს პატარა თასის გამოსახულების ტრადიციას, რომელიც ურის III დინასტიიდან იღებს სათავეს. ურის III დინასტიის საბეჭდავებზე (ასევე კაპადოკიურ საბეჭდავებზე) თასი გაღმერთებულ მეფეს ეჭირა, რაც ალალახის იკონოგრაფიაში სამადლობელი სასმისის მნიშვნელობას იძენს. სავარაუდოა რომ ანხი და თასი კავშირში იყვნენ ერთმანეთთან. ალსანიშნავია, რომ ქალღმერთის პირისპირ მდგომი ფიგურა არასოდეს ეხება ანხსა და სასმის.

5 და 1 ნიმუშებზე ქალღმერთს ნაჯახი და მრავალმხრივ მორთული კვერთზე უჭირავს, რაც ქალღმერთის საომარ ასპექტზე უნდა მიანიშნებდეს. 1 ანაბეჭდზე, მარცხენ მხარზე მტრედი აქვს დამოახული, რაც ქალღმერთის დუალისტურ ბუნებას ამჟღვნებს. ქალღმერთთან ჩიტის გამოსახვა, ასევე თავს იჩენს 6 და 7 სირიულ საბეჭდავებზე.



6



7

---

საბეჭდავი დიდი ზომის უნდა ყოფილიყო, სავარაუდო, 3-15 სმ. ანაბეჭდის კომპოზიცია 3-ის იდენტურია The Seal Impressions from Tell Atchana/Alalakh.., no.10.

5 – ალალახი, სასახლის VII ფენა, ოთახი 11; ნარნერა”[A]m-mi-ta-kum-m/a/

[DUMU I]a-ri-im-li-i/m/

šar A-la-la-a/[y]

/na/-ra-am(d)[x]

დგას ქალღმერთი, რომელიც წინ იცქირება, ხელში ნაჯახით, თავსაბურავი, სავარაუდო, რქოსანი უნდა ყოფილიყო. შესცერის კაცის ფიგურას, რომელსაც მარჯვენა ხელი აქვს აწეული და ესალმება – აცვია მანტია ვიწროდ შემოგორგლილი ბოლოებით, მრავალჯერ შემოხვეული ტანზე და მხარზე ჩამოცმული The Seal Impressions from TelAtchana/Alalakh..,no.14.

6 – ალალახი, სასახლის VII ფენა, ოთახი 11; ქალღმერთი ფლორის მოტივებით. The Seal Impressions from Tell Atchana/Alalakh..,no.83.


7 – ალალახი, სასახლის VII ფენა, ოთახი 11; ანაბეჭდის მცირე ნაწილია შემორჩენილი, ქალღმერთ ოხეუთხა რქოსანი თავსაბურავით, რომელსაც წინ დამატებითი რქა აქვს, მის უკან ჩიტია გამოსახული, რომელიც მისკენ მიფრინავს, ჩიტის უკან საკრალური ხეა, სპირალისებული ორნამენტია საბეჭდავის ზედა ნაწილში The Seal Impressions from Tell Atchana/Alalakh..,no.85.

დაბოლოს IV ფენაში, სირიული ქალღმერთის რამდენიმე ნიმუში იგივე ასპექტშია წარმოდგენილი – სახის გასწვრივ აწეული ხელით და გამლილი, დაჭიმული თითებით. ამ შემთხვევაში პერსპექტივა გაურკვეველია – აწეული, გაშლილი ხელი მისალმების უესტია თუ ქალღმერთის პოზაა ხელისგულით საკუთარი სახის ნინ.<sup>1</sup>


**ბაბილონური ქალღმერთი** ე.წ. ბაბილონური ქალღმერთი, რომელიც ალალახის ანაბეჭდებზე გვხვდება, იდენტიფიცირებულია ქალღმერთ ლამასთან, რომელიც ჯერ კიდევ ქ. ურუქის ტექსტებშია დაფიქსირებული და შუამავალი ქალღმერთის ფუნქციით გამოისახებოდა ღვთაებასა და თაყვანისმცემელს შორის.<sup>2</sup>

ქალღმერთი ლამა პირველად აქადური პერიოდის საბეჭდავებზე გამოჩნდა ერთი აწეულიხელით და ნაკეცებიანი კაბით; გუდეას პერიოდის (ძვ.წ. XXII-XXI ს.) საბეჭდავთა იკონოგრაფიაზე ორივე ხელი ჰქონდა აწეული; შულგის მმართველობის პერიოდში (ძვ.წ. XXI-XX ს.) სამოსს იცვლის – ლამას ნაკეცებიან კაბას, ფურჩალებიანი კაბა ცვლის და კვლავ პირველი რიგის ღვთაების ნინაშეა გამოსახული; ბაბილონის I დინასტიის დასრულების (ძვ.წ. XVI ს.) შემდეგ სრულიად ქრება სამხრეთ მესოპოტამიის იკონოგრაფიდან, თუმცა აგრძელებს არსებობას გლიპტიკის ხელოვნების პერიფერიულ სტილებში.

ქალღმერთი ლამა ალალახის VII და IV ფენების ანაბეჭდებში, წარმოდგენილია ერთმანეთის პირისპირ მდგომ ორ ქალღმერთს შორის. ეს იკონოგრაფია ტექსტის შესაბამისია, რომელიც გვამცნობენ, რომ წყვილი ოქროს ქალღმერთების გამოსახულების მიძღვნა გავრცელებული ყოფილა ძველბაბილონურ ხანაში, კერძოდ ხამურაბის შთამომავლების, სამსუ-ილუნასა და ამიდითანას მეფობის პერიოდში.



8




9

<sup>1</sup> The Seal Impressions from Tell Atchana/Alalakh, Neukirchener Verlag Neukirchen-Vluyn, 1975.p.181.


<sup>2</sup> ნინო სამსონია, შუამდინარული გლიპტიკა, თსუ, 2008, გვ. 130-31.




10




11




12




13



14



15



16

ლამა ალალახის სამეფო საბეჭდავების ანაბეჭდებზე ჩნდება, ზოგჯერ მეფესთან ერთად (8, 9, 10, 11). ასევე ძველბაბილონური სტილის საბეჭდავებზე (12, 13), ან მეორე ლამა-ქალღმერთან ერთად (12, 15, 16, 10), მაგრამ ანაბეჭდების უმეტესობა, სადაც ქალღმერთი ლამაა წარმოდგენილი ფრაგმენტულია და კონტექსტის დადგენა რთული ხდება. IV ფენაში ვხვდებით წყვილ ქალღმერთს თავისანისმცემლის გარეშე-ზოგჯერ რქოსანი თავსაბურავის გარეშეც. მაგრამ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ლამა ალალახის ანაბეჭდებზე, ისევე როგორც ძველბაბილონურ პერიოდში, კვლავ გამოისახებოდა.<sup>1</sup>

<sup>1</sup> 8 – ალალახი, სასახლის VII ფენა, ოთახი 11; სიგრძე 1,8სმ+ვიწრო ყულფი=2,1ს1,0სმ;

ქალღმერთი ანხით, რქოსანი, ვიწრო თავსაბურავით, ყელსაბამით, სამაჯურით. ფორჩებიანი მანტია მარცხენა ხელით წელთან უჭირავს. მხრის ზემოთ დისკო და ახალი მთვარეა გამოსახული; შესცეკრის წვეროსან კაცის ფიგურას, რომელიც ოვალურ თავსაბურავს ატარებს. მეორე ჯაგუფი შედგება კაცის ფიგურისგან, რომელსაც მარჯვენა ხელი ანული აქვს, მარცხენაში სატევარი უჭირავს. ახურავს უცნაური ქუდი, რომელიც შეიძლება ვარცხნილობის სახეობა იყოს. შესცეკრის ქალის ფიგურას (ქალღმერთს, რომელსაც თასი უჭირავს და ვიწროდ შემოგორგლილი მანტია აცვია. ორივე წყვილს შორის ბევრად პატარა ფიგურებია გამოსახული, ერთერთი ქალღმერთია, რომლის თავზე არნივა გამოსახული კლანწებში პატარა კვადრატით. საბეჭდავი გაფორმებული იყო მეტალის ყულფით. The Seal Impressions from Tell Atchana/Alalakh..no. 60.

9 – ალალახი, სასახლის VII ფენა, ოთახი 11; ანაბეჭდის თავზე საბეჭდავის მფლობელის სახელი წერია –დადა, რომელიც იშიფრება, როგორც ქუფურუმის ვაჟი. 2,1-1,2სმ;

ანაბეჭდზე ქალღმერთია გამოსახული, რომლის წინ ხარის თავია, თევზი და ანხი. მის წინ ორი მამაკაცის ფიგურაა, რომელიც ერთმანეთს შესცეკრიან. მათ შორის დისკო და ნახევარმთვარე გამოსახული. ტერმინალის სცენა ორ რეგისტრადაა გაყიდვილი გულომაშის ორნამენტით; ზემოთ ნადიმის სცენაა წარმოდგენილი კაბაში ჩატარული ორი ფიგურით, მათ შორის ჭურჭელია; ქვედა რეგისტრში ოთხი კაცის ფიგურაა, რომელიც მარცხნივ იყურებიან. The Seal Impressions from Tell Atchana/Alalakh..no.76.

10 – ალალახი, სასახლის VII ფენა, ოთახი 11; ანაბეჭდის თავზე საბეჭდავის მფლობელის სახელია –ხსლ 2,0-0,9სმ. ცენტრში ორი ფიგურაა. ქალის ფიგურა პარიქს ატარებს, როგორც ხატხორის თავსაბურავს. ვიწრო სამოსი აცვია სამმაგი ქამრით. ის ეხვევა კაცის ფიგურას, რომელსაც ჩახვეული თავსაბურავი ახურავს. ორივე მხარეს ქალღმერთია ფურჩალებიანი კაბით დად აწეული ხელებით. The Seal Impressions from Tell Atchana/Alalakh..no.147.

11 – ალალახი, სასახლის VII ფენა, ოთახი 11; ანაბეჭდის მთელ სიგრძეზე წერია საბეჭდავის მფლობელის სახელი “**ix-sar-ri**”. სავარაუდო ზომები 2,0-0,9სმ. გამოსახულია ორი მამაკაცის ფიგურა და ქალის ფიგურა ეგვიპტური პარიკით, რომელიც ქალღმერთ ხატხორის დიადემის დეკორია. გრძელი კაბით, მის წინ ნაჯახი(?). The Seal Impressions from Tell Atchana/Alalakh..no.148.

**შიშველი ქალღმერთი და ფრთოსანი ლვთაება.ფრთოსანი ქალღმერთი** იარალით, რომელიც ზოგჯერ შიშველი გამოისახება, იშთარის ასპექტად მიიჩნევა, რომელიც აქადური ტრადიციიდან მომდინარეობს. ეს არის მრავალთაგან ერთერთი მოტივი, რაც სათავეს აქადური იკონოგრაფიდან იღებს და ხელახლა ჩნდება ძვ.წ. II ათასწლეულის სირიული ანაბეჭდების იკონოგრაფიაში.

შიშველი ქალღმერთის გამოსახულება, ალალახის არქეოლოგიურ მასალაში იშვიათობას ნარმოადგენს. გასაკვირია, რომ შიშველი ქალღმერთის იკონოგრაფია უფრო ხშირია IV ფენაში, რომელიც უფრო გვიანია – თარიღდება ძვ.წ. II ათასწლეულის II ნახევრით, ვიდრე VII ფენაში, რომელიც ემთხვევა ძველბაბილონურ პერიოდს (ძვ.წ. XX-XVI ს.ს.) და სადაც სირიულ-ბაბილონური ქალღმერთების კონტრასტია გამოსახული.

**12 – ქალღმერთი ორი ანეული ხელით, რქოსანი თავსაბურავით.** თაყვანისმცემელი მამაკაცის ფიგურა ზურგით უდგას, რომელიც წვეროსანი უნდა იყოს. ახურავს მრგვალი კება და მხარზე ჩამოცმული მანტია, ხელში უჭირავს შესანირი. ფიგურებს შორის ლურსმული ნიშანია, რომელიც სახელ Am-mi-ს ნანილია. The Seal Impressions from Tell Atchana/Alalakh.. no.127.


**13 – ალალახი, სასახლის VII ფენა, ოთახი 11; ანაბეჭდის ქვედა მხარეს ნაწილობრივ იკითხება საბეჭდავის მფლობელის სახელი: Zli-iq-lqa-x.** საბეჭდავი მრგვალი უნდა იყოს გადატარებული, რაც ანაბეჭდს აგრძელებს. გამოსახულია მზის ღმერთი, რომელიც მარცხნივ იყურება. ახურავს მრავალრქოსანი თავსაბურავი. ზურგს უკან უდგას ღმერთი კვერთხით, რომელიც შესცექრის ქალღმერთს, რომელიც ასევე მრავალრქოსან თავსაბურავს ატარებს. მეოთხე ფიგურისგან მხოლოდ მოხრილი ხელია შემორჩენილი. ორნამენტიანი ყულფის ანაბეჭდიცა შემორჩენილი ზედა კიდეებში. The Seal Impressions from Tell Atchana/Alalakh..no.130.

**14 – ალალახი, სასახლის VII ფენა, ოთახი 11; ანაბეჭდის დიზაინი მთელ სიგრძეს მოიცავს; 2,1-0,8სმ.** ნარმოდეგენილია ორი ქალღმერთი ერთმანეთის პირისპირ რქოსანი თავსაბურავებით და ფურჩალებიანი კაბებით. მათ შორის ვერტიკალური სპირალია, რომლის ზემოთ(?) შტანდარტია „გლობუსი“ მძიების ასხმაზე. დარჩენილი სცენა შევსებულია ოთხ ფიგურიანი სცენით – ორი წვეროსანი გმირი კადეებში ლომებით – ერთი ლომი თავდაყირაა. აქ ორ ანაბეჭდს ვხედავთ ერთი საბეჭდავით, რაც ოსტატობის ხარვეზი უფროა, ვიდრე დაბეჭდვისა. The Seal Impressions from Tell Atchana/Alalakh..no.112.


**15 – ალალახი, სასახლის VII ფენა, ოთახი 11; ორი ქალღმერთი ანეული ხელებით პირისპირ დგანან, რომელთაც გილოშის ორნამენტი ყოფს. ორივეს განსხვავებული რქოსანი თავსაბურავი ახურავს, ფურჩალებიანი კაბით და ყელსაბაძით. კუთხებში შემორჩენილია გილოშის ჩარჩოს კვალი ანაბეჭდზე. The Seal Impressions from Tell Atchana/Alalakh..no.117.**

**16 – ალალახი, სასახლის VII ფენა, ოთახი 11; ნარნერის მხოლოდ ორი ნიშანია შემორჩენილი: -ia-(?) (I სტრიქონი) და DINGIR ?მეორე სტრიქონის შუაში). ნარნერის ორივე მხარეს ქალღმერთებია გამოსახული, ორივე ანეული ხელით. თავები არაა შემორჩენილი. The Seal Impressions from Tell Atchana/Alalakh..no.118.**


რაც შეეხება ფრთოსან ღვთაებას, იგი VII ფენაში მდედრობითი ღვთაებაა, ხოლო IV ფენაში მამრი, თუ არ ჩავთვლით 17 ანაბეჭდს, რომელიც ფრაგმენტულია და 18 ნიმუშს.




17



18




19




20




21



22



23



24

ფრთოსანი ქალღმერთი ალალახის VII არქეოლოგიური ფენის ანაბეჭდებზე გამოისახება რომელიმე იარაღით: ნაჯახით (19); ხმლით (24). რაც შეეხება IV ფენას, აქ ქალღმერთის ეს ასპექტი არ არის ხაზგასმული, თუმცა 20-ზე უჭირავს სავარაუდოდ ნამგალი (?), 21-ზე ანხი, ხოლო 22, 23 ანაბეჭდებზე გამოსახულია ცხოველთა მპყრობელად. ცხოველთა ბატონის გამოსახულება – მდედრისაც და მამრისაც, შემდგომ ბერძნული და მიკენური იკონოგრაფიის საკუთრებად იქცა<sup>1</sup>.

<sup>1</sup> 17 – ალალახი, IV ფენა(ირ-თეშუბის წერილი მეფისადმი). სავარაუდოდ, ირთეშუბი საბეჭდავის მფლობელია. ანაბეჭდი მთელ სიგრძეზეა, აკლია ქვედა ნაწილი. სავარაუდო დიამეტრია 1,2 სმ. ნარმოდებენილია ფრთოსანი დისკო წრის ზემოთ, კვერთი – ბურთი. ქალღმერთი მარჯვნივ იცქირება მოხრილი კვერთხით, ახურავს რქოსანი თავსაბურავი პომპონით, თმებით მხრამდე, ასევე კვერთხი მოჩანს მარცხენა მხრიდან.

ფრთოსანი ქალღმერთი გამოსახულია ფრონტალურად, რომელსაც ცხოველები უჭირავს ფეხებით. ამინდის ლვთახება მარჯვნივ იყურება შემართული იარაღით(აკლია), მარჯვენა ხელში მრგვალთავიანი კვერთხი უჭირავს. ახურავს რქოსანი თავსაბურავი, თმა მხრამდე წვდება, აცვია მანტია ჰორიზონტალური კიდეებით. The Seal Impressions from Tell Atchana/Alalakh..no.215

18 – ალალახი, IV ფენა; საბეჭდავი დიდი ზომის უნდა ყოფილიყო, უცხო დიზაინია: ორი რეგისტრი ჰორიზონტალურადაა, ერთი ნაწილი ვერტიკალურად. ვერტიკალურად ქალღმერთია ნარმოდებენილი რქოსანი თავსაბურავით, ჰორიზონტალური რეგისტრები გაყოფილია გილოშის ორნამენტით. ზედა რეგისტრში დამჯდარი ფიგურაა სასმელი მილაკით, მის უკან თევზია ვერტიკალურად. ქვედა რეგისტრში ფრთოსანი ფიგურაა მრგვალი, კიდეებიანი თავსაბურავით, მის წინ ლურსმული ნიშნის მხოლოდ დეტალია ნარმოდებენილი, ნარნერის ჩარჩოს გარეშე. The Seal Impressions from Tell Atchana/Alalakh..no.209.

20 – ალალახი, IV ფენა, ციხესიმაგრე; ანაბეჭდის ქვემოთ საბეჭდავის მფლობელის სახელი წერია: **Gibla**. ანაბეჭდი მთელ სიგრძეზეა. სავარაუდო დიამეტრია – 0,8 სმ. ჭარმოდგენილია ზურგშექცევით ორი ანტილოპა, რომელთა კისრებს აერთებს მცენარის ყლორტი. კაცის ფიგურას უჭირავს ხეთაიგული, რომელიც სავარაუდოდ დაჩიქილი უნდა ყოფილიყო. The Seal Impressions from Tell Atchana/Alalakh..no.202.

19 – ალალახი, დოქის სადგამი სასახლის VII ფენიდან; 2,7-1,1 სმ; ნარნერა: [E] **h-li(d) -[x]**  
[DU] **MU Ni-iq-mi-a]**

**ეგვიპტიზირებული ფიგურები და მოტივები.** სირიის მიერ ეგვიპტური მოტივების ადაპტაცია, ასახულია ალალაბის არქივის ძხოლოდ რამდენიმე ანაბეჭდზე, ძირითადად VII ფენიდან. IV მხოლოდ 26 ნიმუშია აღმოჩენილი. 26 ანაბეჭდის შემთხვევაში, საქმე უნდა გვქონდეს ძველი საბეჭდავის ხელახალ ხმარებასთან. ყველაზე გავრცელებული ეგვიპტური მოტივი – ანხი, სრულიად მოიცავს ალალაბის VII ფენას. მისი უმისამართო გამოჩენა IV ფენაში - 26 ნიმუშზე, სადაც ის ხდის ამ ნიმუშის თარიღს<sup>1</sup>.

### [I]R - ša-(d)-[x]

ნარმოდგენილია ფრთოსანი ქალის ფიგურა, მარცხენა ხელში ნაჯახით. ახურავს სტილიზებული, მრავალრქოსანი თავსაბურავი, აკეცილი თმებით, ყელსაბამებით.

სამოსის მოკლე ქვედაბოლო შემოჭერილი აქვს ორმაგი ქამრით. ქალ-ლმერთს კაცის ფიგურა შესცეკრის – ანული ხელით, მაღალი ქუდით, გრძელი მანტით. The Seal Impressions from Tell Atchana/Alalakh..no.15.

21 – ალალაბი, IV ფენა. 1,5-0,8სმ. ანაბეჭდზე ორი ფიგურაა ერთმანეთის პირისპირ, მათ უკან საკრალური ხეა, ფიგურათა შორის ანხია გამოსახული. ანულ ხელში მოღერებული კვერთით, ამინდის ღვთაებაა, რომელსაც მარცხენა ხელში უულფი უჭირავს. ახურავს რქოსანი თავსაბურავი და ჰორიხონტალურად დაპლისული კიტელი აცვია. პირისპირ ფრთოსანი ღვთაება იმგვარივე სამოსში, რომელსაც ანხი უჭირავს. საკრალური ხის ძირში მაიმუნი ზის, ხოლო ტოტებში ჩიტები. ზემოთ მზის დისკოს ვარსკვალავია. The Seal Impressions from Tell Atchana/Alalakh..no.213.

22 – ალალაბი, IV ფენა; 2,0-0,8სმ. გამოსახულია ამინდის ღვთაება იარალით. მარცხენა ხელში უჭირავს ძველეგვიპტური სამეფო დროშა-შტანდარტი – რაგა. წუზის ანაბეჭდის ანალოგით, სადაც დიზაინის ნანილი ასევე რეგისტრებადა გაყოფილი, კბილებიანი ელვა უნდა იყოს. ფრთოსანი ქალის ფიგურა ფრინხტალურადაა გამოსახული. ზედა რეგისტრი არაა შემორჩენილი, ანაბეჭდი დაზიანებულია. The Seal Impressions from Tell Atchana/Alalakh..no.216.

23 – ალალაბი IV ფენა, ციხესიმაგრე. სიგრძე არასრულია. მარცხნივ ამინდის ღვთაება უნდა ყოფილიყო გამოსახული, რაც მთლიანად დაკარგულია. მარჯვენა ანული ხელით ქალლმერთია წარმოდგენილი, რქოსანი თავსაბურავით. ფრთოსანი ქალლმერთი ფრინხტალურადაა გამოსახული, ხელში ცხოველები უჭირავს ფეხებით. ოვალური, რქოსანი თავსაბურავი ახურავს. შემორჩენილ დიზაინზე სფინქსი და ორი ძულომია გამოსახული, რომლებიც ქურცის ესხმიან თავს. The Seal Impressions from TellAtchana/ Alalakh.. no.217.

24 – ალაბი, VII ფენა, II ოთახი; გამოსახულია ფრთოსანი ქალის ფიგურა, ხელში კვერთებით ან შუბით. მხოლოდ ზედა ტანია შემორჩენილი, თავსაბურავი არ ჩანს. The Seal Impressions from TellAtchana/Alalakh..no.46.

<sup>1</sup> 26 – ალალაბი, IV ფენა, სასახლის ოთახი 22; (ნიშნობის სცენა: ილიმილის ქალიშვილის წინაშე იდათისა და(?) ზუნზურის). სახელი მოჩანს IV ფენის სხვა დოკუმენტებშიც, ნიქმეფუხის თანამედროვე უნდა ყოფილიყო. ტექსტებიდან ჩანს, რომ ილიმილის ქალიშვილი ქურუმია. ეგვიპტური წარწერა: გადაწყვეტილება(ბიბლოსის)?/მეფეა ქეშმარიტი/ „ჩემი ბატონია სეტი“. ანაბეჭდი დაზიანებული და მკრთალია, სავარაუდო, IV სასახლის ხანძრის შედეგად. სავარაუდო დიამეტრია: 1,3სმ. წარ-

---

წერა ეგვიპტური იეროგლიფურითაა შესრულებული ორ ხაზად. შევარდნისთავიანი ღმერთი (მონტუ?) წინ იცქირება, მარჯვენა ხელი აწეული აქვს, მეორე ხელში სკიპტრა უჭირავს. მაღალი ქუიდ ახურავს და ნელზე შემოჭერილი კილტი (=მოკლე კაბა) აცვია. ორი ფიგურა ერთმანეთის პირისპირაა, მათ შორის სვავი და ორი ხორის შევარდენი –ზემო და ქვემო ეგვიპტის ორმაგი გვირგვენიბით. მარცხენა ფიგურა სუფთად წერგაპარსულია, აცვა მანტიი, რაც მის ეგვიპტელობას ხაზს უსვამს. ხელში უჭირავს რაგაც სამეფო შტანდარტი. შესცერის ვერძისთავიან ღვთაებას (ხნუმი?), რომელსაც სატყორცი შუბი უჭირავს მტაცებელი ფრინველის გასაგმირად, რაც საეჭვო და ბუნდოვანია The Seal Impressions from Tell Atchana/Alalakh..no.194.

**25** – ალალახი, IV ფენა, სასახლის ოთახი 22; წარწერა სწორადაა დაწერილი საბეჭდავზე, შემდეგ გადატრიალებული ანაბეჭდზე. წარწერა” (m) DINGIR. DINGIR-ma IR(d)X ეს ილი-მილიმას საბეჭდავი უნდა ყოფილიყო, რომლის სახელიც ჩანს წარწერაში, როდესაც ის მისი მამის, ნიქმეფას საბეჭდავს არ ხმარობდა.  $1,7\text{სმ} + \text{ყულფი} = 1,8\text{სმ} - 0,9\text{სმ}$ ; დაზიანზე წარმოდგენილია ორი ფიგურა, რომლების ერთმანეთს შესცერიან. მარცხნივ ქალის ფიგურაა, რომლის ტანი ფრონტალურადაა გამოსახული, ის ატარებს პარიკს თმის კიკინით. კაბა გასხნილია და ხაზგასმულია სიშიშვლე. მარცხენა ხელი აწეული აქვს ნაჯახისკენ, რომელიც კაცის ფიგურას უჭირავს მარჯვენა ხელში, მარცხენაში კი ნამგალი. ოვალური თავსაბურავი ახურავს ჰორიზონტალური ხაზებით, ასევე შესრულებული მისი კიტელიც. მათ შორის დისკო და ნახევარმთავრეა. ანაბეჭდის ორივე კიდე ხაზებითაა შემოსაზრული. The Seal Impressions from Tell Atchana/Alalakh..no.193.


**27** – ალალახი, VII ფენა, სასახლის ოთახი 11; ანაბეჭდზე კაცის ფიგურაა გამოსახული, რომელიც მარჯვენივ იყურება, მარცხენა ხელში ნაჯახით. აცვია მანტია ფართედ შემოხეული ბოლოებით. მის წინ ამინდის ღვთაება დგას, რომელიც ასევე წინ იყურება, ხელში მოღერებული იარილით(აკლია), მეორე ხელში სავარაუდო ნაჯახი უჭირავს, მის წინ ქალის ფიგურა დგას, ასევე ფართედ შემოკეცილი კაბით. ჩანს გლობის ორნამენტის კვალიც, იკონოგრაფიას დიდი ნაწილი აკლია. The Seal Impressions from Tell Atchana/Alalakh..no.34.

**28** – ალალახი, IV ფენა, სასახლის ოთახი 32; 2,3-1,0სმ. გამოსახულია დემონი ადამიანის ტანით, ფრთებით, ორი გველივით დახვეული ლომის-თავით, ორივე ხელში ქურციკები უჭირავს თავდაყირა. ფრთოსანი დისკო გამოსახულია სხივებთ ქვემოთ; ქვეშ ორი ლომის ბრძოლაა მკვდარ ანტილოპასთვის. ომების უკან გმირი დგას, რომელსაც ხელში უჭირავს ლომის კუდი. The Seal Impressions from Tell Atchana/Alalakh..no.218.


**29** – ალალახი, IV ფენა, სასახლის ოთახი 10; 2,3-1,1სმ. წარწერა: **Ti-ri-is-ra/ DUMU zi-lip x x x Zi-lip** – საკუთარი სახელია ნუზის ტექსტებში, რაც საკმაოდ ხშირად გვხვდება; ანაბეჭდზე გმირის და ლომის ბრძოლაა გამოსახული, გმირს სატევარი აქვს ლომის მუცელზე დამიზნებული. მის უკან კაცის ფიგურაა, რომელიც მარჯვენივ იყურება, ხელში ნამგალი უჭირავს; გუილოშის ორნამენტი, საკრალური ხე, მის ქვეშ ანტილოპა, რითაც სივრცე ივსება. The Seal Impressions from Tell Atchana/Alalakh..no.228.

**30** – ალალახი, IV ფენა, სასახლის ოთახი 22; 2,1-1,0სმ. წარწერა :**Šu-ut-tar-n[a]/ DUMU ki-ir-ta**


ანხი – სიტყვის ძირი ნიშნავს „თასმა“-ს, უფრო ზუსტად სანდლის თასმას, რაც III დინასტიიდან ეგვიპტეში სიცოცხლის სიმბოლოდ იქცა. ალალახის VII ფენის ანაბეჭდები ეგვიპტური სცენების პირველი დათარიღებული ნიმუშებია სირიულ გლიპტიკის ხელოვნებაში, რაც ჩრდილოეთ სირიასა და ეგვიპტეს შორის არსებული კონტაქტის არგუმენტია ჰიქსოსების ბატონობის პერიოდში (ძვ.წ. XVII ს-ის I ნახ.).



25



26



27

ალალახის VII ფენის ანაბეჭდების იკონოგრაფიის დეტალი – კაცის ფიგურა მაღალი, ოვალური თავსაბურავით, მხოლოდ ერთხელ ჩანს

### LUGAL ma-i-ta-ni

ეს საბეჭდავი ორჯერ არის ნახმარი მითანის მეფე საუსშათარის მიერ, როგორც დინასტიური საბეჭდავი. ანაბეჭდი სამ ფიგურიან პაექრობის სცენა სწარმოადგენს – წვეროსან გმირს ლომი უჭირავს კუდით და კისრით, მეორე გმირს თათებით უჭირავს ლომი. სამივე ფიგურა მარჯვნივ იყურება. The Seal Impressions from Tell Atchana/Alalakh..no.230.

31 – ალალახი, IV ფენა, ანაბეჭდი თიხის ფირფიტაზე; 2,2-1,0სმ; ანაბეჭდზე ფრთხოსანი დისკოა გამოსახული, რომელიც საკრალური ხის დიზაინის ნაწილია. დიზაინის დარჩენილი ნაწილი შემოვლებულია გილოშის ორნამენტით პარალელურად - გუილოშის ჩარჩოში ხარი წევს, ზემოთ ვარდულა და ანხია. The Seal Impressions from Tell Atchana/Alalakh..no.234.


IV ფენაში 25 ნიმუშზე, შესაძლოა მისი გაიგივება იამხადის მმართველებთან, ასევე წარჩინებულთა ფენასთან, რადგან განსხვავებული და რთული იკონოგრაფია. აღსანიშხავია, რომ მსგავს სამოსს ატარებს უგარიტული ბრინჯაოს ფიგურა, რომელსაც ზოგიერთი მკვლევარი ღვთაების გამოსახულებად მიიჩნევს.<sup>1</sup> თუმცა ღმერთებისა და მოკვდავების სამოსი, ანაბეჭდებზე არ განსხვავდება, ამ შემთხვევაში ერთადერთი განმასხვავებელი თავსაბურავია. თავსაბურავით რქების გარეშე, სავარაუდოდ მეფე უნდა უნდა იყოს წარმოდგენილი იმ სირიულ საბეჭდავებზეც, სადაც მათ ქალღმერთი ლამა მიუძღვის.

ანაბეჭდი 25 ერთადერთია ოვალური თავსაბურის გამოსახულებით IV ფენიდან, ფიგურას უჭირავს ნაჯახი და ნამგალი. იგი ენათესავება 27 ანაბეჭდს, სადაც ასევე ნინ ფეხგადადგმულ ფიგურას ნაჯახი უჭირავს. ნაჯახი, რომელიც მშვიდობიანად უჭირავს, ძალაუფლების სიმბოლო უნდა იყოს, ასევე სამეფო ინსიგნი უნდა იყოს ნამგალიც. ეს იარაღი ურის III დინასტიის პერიოდიდან უნდა მომდინარეობდეს ნამგალა ნაჯახისაგან.

**გმირებისა და ლომების ბრძოლა** აღალახის ანაბეჭდებზე აქადური ხელოვნების ნიმუშებიდან უნდა მომდინარეობდეს. 29 ანაბეჭდის იკონოგრაფია აქადურ პერიოდს განეკუთვნება, ხოლო 30 სავარაუდოდ პოსტ-აქადურს ან ურის III დინასტიის დროინდელია, მაშინ როცა 28 ნიმუში დამზადებულია კვიპროსიზე. არსებული თემა სირიული შემოქმედების ნაწილი არ გახდა, შესაბამისად არც ხშირად მიმართავენ ამ თემის გამოსახვას. ომების იკონოგრაფია უფრო პოპულარული აღალახის IV ფენაში ხდება, ვიდრე VII-ში, სადაც არსებობს გამოსახვის ერთფეროვნება, თუნდაც ერთსა და იმავე საბეჭდავზე.




28




29

<sup>1</sup> Dominique Collon, The Seal Impressions from Tell Atchana/Alalakh, Neukirchener Verlag Neukirchen-Vluyn, 1975.p.187.



30

**ფრთოსანი დისკო** იშვიათად გამოისახება ალალახის IV ფენის ანაბეჭდებზე. 28 ანაბეჭდი კვიპროსული წარმოშობისაა და პარალელურია, ის შეესაბამება 1 ანაბეჭდს, რომელიც VII ფენას განეკუთვნება.




31


**საკრალური ხე და მცენარეები** საკრალური ხის პროტოტიპი არ-სებობს ალალახის VII ფენიდან. ფაქტიურად, საკრალური ხის ორი ტიპი ჩნდება გვიანდელ, IV ფენის საბეჭდავებზე - 33, 29, 32, 34 ანაბეჭდზე წარმოდგენილი ხის იკონოგრაფია ეხმიიანება „ჯვრის“ დეკორს, რომელიც სფინქსზეა გამოსახული, ბოლაზ-ქოს სფინქსებიან ჭიშკარში.<sup>1</sup>

<sup>1</sup> 34 – ალალახი, სასახლის IV ფენა, ოთახი 33. კუთხეები აკლია, დიამეტრი 0,9სმ; ორი ფიგურა ერთმანეთის პირისპირ, უკან საკრალური ხე, მათ შორის ანხის ინტერაციაცია. მარცხენა ამინდის ღვთაება უნდა იყოს, თუმცა ხელის ნაწილი აკლია, ასევე თავსაბურავიც, მის წინ ფრთოსანი ღვთაება დგას, რომელსაც ნამგალი უჭირავს. ანაბეჭდზე ასევე გამოსახულია: ჩიტი, ვარსკვლავი და ჰორიზონტალურად განოლილი ქურციკი. The Seal Impressions from Tell Atchana/Alalakh..no.212.


32 – ალალახი, IV ფენა, დოქის სადგამის ფრაგმენტი; 1,5-0,8 სმ; ორი ფიგურა ერთმანეთის პირისპირ, უკან საკრალური ხე, ამინდის ღვთაებას კვერთხი მოუღერებია მარჯვენა ხელში. ახურავს რქოსანი თავსაბურავი, გრძელი თმა აქვს დაკიდებული, აცვია ჰორიზონტალურად დახაზული კიტელი. მის წინ ფრთოსანი ღვთაებაა გამოსახული მსგავსი კიტელით და




32



33



34




35

**სპირალუბის** მრავალნაირი ვარიაციებია წარმოდგენილი ალალა-ხის ანაბეჭდებზე. უმეტესად ორი, S-ის ფორმის, ერთმანეთში ჩახლარ-თული (იხ. 36). უფრო გაურკვეველი ვერსია 35 ანაბეჭდი. 1 და 14 ნიმუ-შებზე უფრო გამარტივებულია, ხოლო 37ანაბეჭდზე (IV ფენა) უკვე ჩარჩოს დეკორისთვის გამოიყენება. IV ფენისთვის განსხვავებული ნი-მუშია 38, სადაც სპირალის კვადრატულ ანაბეჭდს ვხვდებით<sup>1</sup>.


რქოსანი თავსაბურავით, მარცხენა ხელში ანხი უჭირავს. ზემოთ ვარსკვლა-ვია ან მზის დისკო. ანაბეჭდს ხაზოვანი საზღვრები აქვს. The Seal Impressions from Tell Atchana/Alalakh..no.213.

33 - ალალახი, სასახლის IV ფენა, ოთახი 33; კუთხეები აკლია, დიამეტრი 1,1სმ; ანაბეჭდის გვერდზე ნერია სახელი: **E-GAL-hi-a**, რაც არსად არ გვხვდება ალალახში. ანაბეჭდზე ორი ქურციკი საკურალური ხის ორივე მხარეს, ფეხებშედგმულები ბორცვზე და უკან იხედებიან ხისკენ; გვერდით ორი შიშველი ფიგურაა გამოსახული ერთმანეთის პირისპირ, რომელთა შორის მზის დისკო The Seal Impressions from TelAtchana/Alalakh..no.224.


1 35 - ალალახი, სასახლის VII ფენა, ოთახი 11; საბეჭდავის მფლობელის სა-ხელი - **კუმიდაბა** - წარწერილია ანაბეჭდის გვერდით. ანაბეჭდის მხოლოდ ქვედა ნაწილია შემორჩენილი. გამოსახულია ორი სატორის თავი, რომ-ლებიც ჩასმულია გალოშის ორნამენტის წრეებში, ქვემოთ ძუ-ლომების უკანა ნაწილებია მხოლოდ, მათ შორის ვერტიკალური ვარდულების ორნა-მენტია, ანაბეჭდის ქვედა მხარე სპირალური ორნამენტითაა გაფორმე-ბული The Seal Impressions from TelAtchana/Alalakh..no.106.



36



37



38

**გილოშის** ორნამენტი შეიცავს ერთმანეთში გადასულ სამ ან ოთხ ჯგუფს. იგი წარმოდგენილია მრავალ ანაბეჭდზე და ენათესავება სპი-

**36** – ალალახი, სასახლის VII ფენა, ოთახი 11; ანაბეჭდის გვერდით წარწერილია საბეჭდავის მფლობელის სახელი –*At-ni-a-du*. 1,8-0,7 სმ. S-ისებრი ორნამენტით მთლიანად აბსტრაქტული დიზაინი. The Seal Impressions from TelAtchana/Alalakh..no.160.

**37** – ალალახი, სასახლის IV ფენა, ოთახი 33; 1,8-0,8სმ; წარწერა:

(m) *Ir-k[al]-ab-tu*


DUMU ab-ba-AN

**IR ša(d) IM**

ზედაპირი დაყყოფილია ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ ხაზებად, სპირალური ორნამენტით იყვეთებიან. საბეჭდავის ცენტრალური ნაწილი ვერტიკალურადაა გაყოფილი. ჩასმულია კაცის ფიგურა, რომელიც ორივე ხელი აწეული აქვს, შესცემრის ქალღმერთს, რომელსაც ერთი ხელი აქვს აწეული და ოვალური და რქოსანი თავსაბურავი ახურავს. ანაბეჭდი ცხადყოფს, რომ ხაზება ბადეს, ფიგურალურ დიზაინს, დეკორატიულ დიზაინსა და წარწერას შორის რამე საერთო კომპოზიციური კავშირი არ არსებობს – ერთმანეთისგან განცალკევებულ, დამოუკიდებელ მთლიანობებს წარმოადგენენ. The Seal Impressions from TelAtchana/Alalakh..no.192.

**38** – ალალახი, სასახლის IV ფენა, ოთახი 4; დიამეტრიც დაახლოებით 1,2 სმ; ამ საბეჭდავს ხმარობდა ვინმე – ***Ir-(d)I*** ტუნიფიდან, ნიერმეფუხის ხელშეკრულებაზე, რომელიც თავს ალალახისა და მუქიშის მეფეს უწოდებს. სახელი ***Ir-(d)IM***-ჩვეულია ალალახის IV ფენისთვის, მაგრამ არსად სხვაგან არ მოიხსენიება, როგორც ტუნიფის მეფე. ანაბეჭდის დიზაინი მორბენალი სპირალურ და გადახლურთული სპირალური ორნამენტის ერთობლიობა და ინტერპრეტაციაა. The Seal Impressions from TelAtchana/Alalakh..no.235.


რალური ორნამენტის ტიპს (იხ. 42, 40, 39, 41, 43). გილოშის ორნამენტი, რომელიც გადაბმული წრეების სერიას გვაძლევს, ნაპოვნია ალალახის IV ფენაში და ექსკლუზიურ იკონოგრაფიას წარმოადგენს. - 41, 40, 44, 45. ეს ორნამენტი გარკვეულად სირიული ჩანს და არ ფიქსირდება შუალდინარულ გლიპტიკაში. თუმცა ერთმანეთში გადახლართული გველებისა და მონსტრების სხეულები, ფიქსირდება ჯერ კიდევ ურუქის პერიოდის იკონოგრაფიიდან.<sup>1</sup>




39




40




41



42



43



44

ასე რომ, სავარაუდოა, რომ ეს გამხდარიყო სირიელი ოსტატების შთაგონების წყარო, რითაც მოგვიანებით უკვე ორნამენტი შექმნეს. ეს ორ-

<sup>1</sup> ნინო სამსონია, შუალდინარული გლიპტიკა 2008.

ნამენტი უცხო დარჩა მესოპოტამიური ხელოვნებისთვის, თუმცა ნაც-ნობია ხმელთაშუალზვისპირა სამყაროსთვის.ადრევე ჩანს სირიულ ნი-მუშებზე,ასევე გამოყენებულია ადრედინასტიური პერიოდის სტატი-ტის ჭურჭელზე, რომელიც ქ. მარშია აღმოჩენილი. სამხრეთ ირანშიც მიღებული იყო მსგავსი ორნამენტის გამოყენება ჭურჭელზე, თუმცა გილოშის ორნამენტი სირიის საკუთრებად რჩება.<sup>1</sup>

<sup>1</sup> **39 –** ალალახი, ანაბეჭდი ფირფიტაზე, IV ფენა; საბეჭდავი დიდი ზომის უნდა ყოფილიყო, უჩვეულო დიზაინით - კომპოზიცია ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ რეგისტრებად იყოფა. ვერტიკალურ რეგისტრში ქალ-ლმერთია ნარმოდგენილი, მრავალრქოსანი თავსაბურავით, მის უკან სხვა ღვთაება უნდა ყოფილიყო. ჰორიზონტალური დიზაინს რეგისტრებად ყოფს გილოშის ორნამენტი -ზევით მჯდომარე ფიგურა, უკან თავზით, ქვემოთ ფრთოსანი ფიგურა, რომლის ნინ ლურსმული წარწერა ჩარჩის გარეშე, სადაც მხოლოდ ერთი ლურსმული ნიშნის ნაწილია შემორჩე-ნილიყThe Seal Impressions TelAtchana/Alalakh..no.209.

**40 –** ალალახი, დოქის სადგამის ანაბეჭდი. დიზაინის მხოლოდ მცირე ნაწი-ლია შემორჩენილი - გუილოშით გაყოფილი რეგისტრები, ზემოთ მოფარ-ფატე ლომისთავიანი გრიფონია ნარმოდგენილი, ქვედა რეგისტრში ხარის თავი მოჩანს. გუილოშის ზემოთ კატისებრთა მხოლოდ უკანა ნაწილებია შემორჩენილიყThe Seal Impressions from TelAtchana/Alalakh..no.221.

**41 –** იხ.ზემოთ 211.


**42 –** ალალახი, ანაბეჭდი ფირფიტაზე, IV ფენა; ანაბეჭდი მთელ სიგრძეზეა, ზედა ნაწილი აკლია.1,6-0,9სმ. ორი ფიგურა ერთმანეთის პირისპირ ნარ-მოდგენილი, მათ შორის გუილოშის ორნამენტია რეგისტრების გამოყვი. ქვედა ნაწილში განხლილი კურდლელიადა თევზი, ზემოთ ნახევარმთვარის დისკო გამოსახული. მარცხენა ფიგურა ნინ(მარცხნივ) მიემართება, ხოლო თავი უკან აქვს მობრუნებული. მეორე ჯგუფი ირი ქალის ფიგურაა ნარმოდგენილი ფრონტალურად. მარცხენა ქალრმერთა მთლიანად ფრონ-ტალურადა გამოსახული, მხოლოდ თავია აქვს მიბრუნებული, უჩვეული დეტალი აქვს წელზე (გველის ფორმა?). რაც მის ანატომიას გამოხატავს. მეორე ფიგურა გრძელ კაბას ატარებს,ხვეული თმები ფრონტალურადაა ნარმოდგენილიყ The Seal Impressions from TelAtchana/Alalakh..no.199.

**43 –** ალალახი, სასახლის IV ფენა, ოთახი 33.საბეჭდავის მფლობელის სა-ხელი - **ბარათა** - ნარწერილია დიზაინის გვერდით; სავარაუდო დიამეტ-რიც - 0,9სმ. ზედა ნაწილი შეიცავს მარტივი, ვიწრო ზოლით გადაჯაჭვული ფართო ყულფიან ორნამენტის. ქვემოთ შეიდი კაცისგან შემდგარი პროცე-სიაა, რომელის მარშირებენ ხელიხელგაყრილები, ატარებენ კეპისებრ თავსაბურავებს. დიზაინის მეორე ნაწილში განხლილი, ზურგშექცეული ანტილოპებია. The Seal Impressions from TelAtchana/Alalakh..no.203.


**44 –** ალალახი, სასახლის IV ფენა, ოთახი 33. სავარაუდო 1,7-0,6სმ. ოთხი სპირალური რგოლის შემდეგ, დიზაინი მორდება. The Seal Impressions from TelAtchana/Alalakh..no.236.

**45 –** ალალახი, IV ფენა(?). ძირითადი დიზაინი ემთხვევა 236-ე ანაბეჭდის დიზაინს. The Seal Impressions from TelAtchana/Alalakh..no.237.


**46 –** ალალახი, IV ფენა, ციხესიმაგრე. დიზაინის მხოლოდ ნაწილია შემორ-ჩენილი. ცენტრალური ფიგურა კაცია, რომელსაც ორი ფიგურა უჭირავს კისრებით, რომელთაც თავები მისკენ აქვთ მიბრუნებული, სამივეს ერთ-



45



46



47

**ასტრალური სიმბოლოები** რომლებიც ალალახის ანაბეჭდებზეა წარმოდგენილი, დისკე ახალი მთვარე, მზის დისკოსა და მთვარის შესაბამისია. მაგრამ ვარსკვლავების ფორმები ალალახის VII და IV ფენებიდან, შესაძლოა არ წარმოადგენდეს მზის სიმბოლოებს. 41 ანაბეჭდზე გამოსახული ორი ვარსკვლავი, სავარაუდოდ დილასა და სალამოს წარმოადგენენ; ამასთანავე ყველაზე დამკვიდრებული მზის ფორმად მზის დისკე რჩებოდა. IV ფენაში სიმბოლოები ურთიერთ-პროპორციულია.VII ფენაში, მაგალითად, ნახევარმთვარის დისკოს გამოსახულებისთვის, რამდენიმე შტანდარტი ფიქსირდება.IV ფენაში მხოლოდ ერთი სტანდარტია - 47, 46<sup>1</sup>.


ნაერი თავსაბურავი და კიტელი აცვიათ. შუა ფიგურას თავზე ქალღმერთი აზის, რომელსაც ერთ ხელში ხანჯალი უჭირავს, მეორეში ანხი. მეორე კი-დეში კაცი-ჩიტია. საბეჭდავის ქვედა ნაწილში ოთხად გაყოფილი მთვარის დისკოს წარმოდგენილი. The Seal Impressions from Tel Atchana/Alalakh..no.222.

<sup>1</sup> 47 – ალალახი, IV ფენა, ციხესიმაგრე. ანაბეჭდი სრულია, კიდეები აკლია, სავარაუდო დიამეტრია 1,2სმ. წარწერა: [I]a-na[  
IR (d)IM.


ანაბეჭდი იდენტიფიცირებულია ფირფიტაზე, როგორც **LÚ GÍR DUB.SAR.** წარწერის პირველი ხაზი არ არის გამიჯნული დიზაინისგან, რომლის მიჯრით მდგომი ფიგურა ღმერთია, რომელსაც ერთ ხელში ნამგალი უჭირავს, მეორეში შემართული იარაღი, მის ნინ ამინდის ღვთაებაა ასევე შემართული იარაღით, მარჯვენა ხელში ნახევარმთვარის – დისკო-შტან-



48



49

50<sup>1</sup>


51

დარტი უჭირავს. მათ შორის ანხია გამოსახული. მის წინ ქალღმერთია აწეული ხელით. ორივე ფიგურას ასიმეტრიული დიდი თავები აქვთ. ხშირადაა ნახმარი ბურღი-ანხის და შტანდარტის ყულფებისთვის. The Seal Impressions from TelAtchana/Alalakh..no.208.

<sup>1</sup> 48 – ალალახი, IV ფენა, სასახლე, ოთახი 32. 1,5-07სმ. კაცის ფიგურა აწეული ხელებით, მის წინ პატარა ზომის ქალღმერთი ფრონტალურადაა გამოსახული, რომელსაც ორივე ხელით მკერდი უჭირავს. მის გვერდით დაჩიქილ კაცის ფიგურაა. მეორე წყვილი ერთმანეთს შესცეკრის, რომელთა შორის ხე-თაიგული და ქურციკის თავია გამოსახული. კაცის ფიგურას შესანირი უჭირავს, მეორე ფიგურა სავარაუდოდ ღმერთია, მზის ღმერთის პოზაში დგას – ერთი ზემოთ შემოდგმული ფეხით. The Seal Impressions from TelAtchana/Alalakh..no.197.

49 – ალალახი, IV ფენა, სასახლე, ოთახი 33. ანაბეჭდის მხოლოდ ზედა ნაწილია შემორჩენილი. დიზაინზე ორი ქალღმერთია ნარმოდგენილი, რომელიც ერთმანეთს შესცეკრიან, მათ შორის ვარსკვლავი-დისკოა გამოსახული შვიდი წერტილით გარშემო. მეორე წყვილისგან ქურციკი გამოყოფს. წვეროსახი კაცის ფიგურა ქალღმერთს შესცეკრის, რომელსაც ხელში ხე-თაიგული უჭირავს. The Seal Impressions from TelAtchana/Alalakh..no.198.

50 – ალალახი, IV ფენა, სასახლე, ოთახი 33. ანაბეჭდს კიდეები აკლია, სავარაუდო დიამეტრია 1,2სმ. ანაბეჭდის გვერდით სახელი წერია: (d)UTU-*hi-gal*. ანაბეჭდზე შიშველი გმირია გამოსახული, რომელიც დაჩიქილია და ერთ ხელში უჭირავს შტანდარტი – წრეში ოთხი წერტილით, მეორეში სატევარი. გვერდით ამინდის ღვთაება გამოსახული, რომელსაც ზედა ნაწილი აკლია, შუაში განლილი ან დაგდებული ქურციკია. ქალღმერთის ფიგურა, რომელიც ამინდის ღმერთს შესცეკრის, საკმაოდ უხურხულ პოზაში ზის. The Seal Impressions from TelAtchana/Alalakh..no.223.

52<sup>1</sup>

53

ალალახის IV ფენის ანაბეჭდებზე ვარსკვლავების და დისკოების ამოკვეთა ბურლის საშუალებით სრულდებოდა. ზოგიერთ ანაბეჭდზე ცენტრში ერთი ნახვრეტია, რომელიც გარშემოვლებულია შვიდი, რვა ან ათი პატარა, წერტილოვანი ღრუთი (იხ. 41, 48, 49, 50, 51). ალალახის ანაბეჭდებზე გახვრეტილი ბურლის ხმარებაც აშკარად აღინიშნება (იხ. 52, 53). ასევე გამოყენებული უნდა იყოს 44 და 45 ანაბეჭდების დიზაინის შესასრულებლადაც.

<sup>1</sup> 52 – ალალახი, IV ფენა, სასახლი, ოთახი 32. წარმოდგენილია ორი ღვთაება – ერთი ფრთოსანი და მეორე ამინდის, მოღერებული იარაღით. დიზაინზე ვერტიკალურად მორიელია გამოსახული, ქვემოთ ჩიტი და ცხოველის მხოლოდ ნაწილი. The Seal Impressions from TelAtchana/Alalakh..no.214.

53 – ალალახი, IV ფენა, სასახლე, ოთახი 10. 2,4 +ყულფი=2,5-1,0სმ. წარწერა:

#### *Id-ri-mi*

#### IR ša(d)IM

წვეროსანი კაცის ფიგურა ხელში ნამგლით შესქერის ქალღმერთს, მათ შორის ვარსკვლავი-დისკოა გამოსახული და უკანი ფეხებზე შემდგარი ბატყანი. უკანა სცენა ორ რეგისტრადაა გაყოფილი გილოშის ორნამენტით. ზემოთ გამოსახულია ორი მსხვევრპლზე შემდგარი ლომი (დაგდებულ ქურციკზე); ქვედა რეგისტრში ორი სფინქსია ერთმანეთის პირისპირ. The Seal Impressions from TelAtchana/Alalakh..no.189.

In our paper, motifs have been grouped together so that an idea of the iconography of a given subject can be obtained at a glance. As a result, the notes which follow have been kept fairly brief, and further details will often be found in the relevant catalogue entries.

Both tablets, there is a reference the seal-cutters names, were found in the Level VII Temple archive. In name lists from Level IV we have a few mentions of seal-cutters. The importance of these references lies in the fact that they indicate that in Level VII probably, and in Level IV certainly, we are dealing with a resident seal-cutter, and this was not an itinerant seal-cutter. As regards the type of work produced by the seal-cutter, we must stress the discrepancies between the seals actually found at Alalakh, and the seal impressions on the envelopes, tablets and jar-stoppers from the same site. The actual seals were presumably those of the local inhabitants, and were probably made on the spot. The seal impressions, however, are on documents received from elsewhere – letters, copies of treaties with foreign rulers, sealing on imported commodities. Although many documents probably bear the sealing of local inhabitants of Alalakh, it does not necessarily guarantee that the seals were of local manufacture, since those who were sufficiently important to appear as witnesses etc..were those most likely to be in a position to obtain seals of more exotic, metropolitan or cosmopolitan workmanship, and this search for the unusual is particularly in evidence in Level IV. When we refer to the Alalakh sealings we are, in fact, meaning the sealings found in Alalakh, and the distinction should be noted.

We can only surmise as to how the seal-cutter set about his work. We would, however, suggest the possibility that 'pattern books' existed, as they did in the Renaissance throughout Europe, and at various other periods in the history of art.

There is a conscious revival of Akkadian and earlier motifs, which are then treated in a variety of styles, though the original iconography is strictly adhered to, thus indicating a common source of inspiration.

We propose, here, to discuss the inscriptions from a stylistic point of view. The level VII seal inscriptions have been arranged roughly to the shapes and spacing of the signs. In the Level VII inscriptions, therefore, we find the same tendency towards elongation and refining of shapes that we find in the representation of the figurative designs of the seals.

From the texts it is possible to obtain some idea of the Alalakh pantheon. In the first place, lists of curses are a good indication of the gods favoured at Alalakh.

From personal names we also obtain a clue as to the gods of the Alalakh pantheon: Ištar-Išhara, Hepat, addu-Adad-Tešub, Lim, Dagan, Šamaš-Šamšu-

Šapaš, Malik, Kupapa, all occur in the names of seal owners. It is difficult to identify the deities on the seal impressions. Lim occurs frequently in personal names, without the divine determinative, and should be identified with the Sun-god, according to D. Collon.

In Level IV, the few examples we have of the Syrian goddess, in this aspect, show her always with one hand raised. Instead of the hand being shown in profile, as on most Level VII seals, however, the hand is always shown open, with the fingers outstretched, and the thumb towards the deity's face, level with her mouth. This is probably a case of twisted perspective, but whether the hand was raised with the palm towards the person who was being greeted, or whether the goddess stood with the palm towards her own mouth, as on most Level VII seals, is not clear.

The deity which we have called the Babylonian Goddess has been identified as the goddess Lama thanks to an inscription found at Uruk. Her function was to mediate between a worshipper and his tutelary deity, and status of Lama were dedicated in temples to fulfill this function. The history of the representation of this deity can best be traced on seals, and the main stages are as follows: first represented in Akkadian times, from the time of Gudea, under Šulgi and she disappears almost entirely from the repertoire of Southern Mesopotamia after the end of the I-st Dynasty of Babylon, but continues in favour in peripheral glyptic styles.

The Nude goddess appears seldom at Alalakh, which is surprising, and proportionately she appears more often in Level IV than in Level VII, in contrast with the Syrian and Babylonian goddess, where the opposite is the case.

It is not always possible to identify the single seated figures on the Alalakh sealings as male or female, but all are probably deities.

Syrian adaptations of Egyptian motifs and figures occur on some sealings from Level VII, and on one from Level IV. There is a possibility, however, that this latter seal was an earlier one re-used, but lack of parallels makes this impossible to confirm. The sealings from Level VII at Alalakh provide the first dateable examples of Egyptian scenes in Syrian glyptic, and would indicate that contact was maintained between Egypt and Northern Syria during the period of Hyksaos domination, or at least during the first half of the 17<sup>th</sup> century B.C.

The Level VII examples are important since they document the early adoption of this motif from the Egyptian repertoire.

The guilloche consists of intertwined bands, and these bands are generally made up of three or four strands. It is represented on a great many seals in varying forms, and can be closely related to Spiral type. The guilloche seems to have been particularly at home in Syria. It does not appear in Mesopotamian glyptic, but the intertwined bodies of snakes and monsters, from the Uruk period onwards, do often produce guilloche patterns. Although the seal-cutter obviously took pleasure in creating a pattern out of these intertwined bodies, he almost never went beyond this and created a guilloche, as a decorative element.

It is difficult to identify some of astral symbols. Where we have a disc-and-crescent we are probably dealing with a sun-disc and moon, but the star-shapes from Level VII and not necessarily sun-symbols. Symbols are proportionately far more common in Level IV than in Level VII.

Finally, we have two occurrences of the ball-and-staff motif from Level VII, as opposed to five from Level IV. The context in which this motif occurs at Alalakh does not help us to identify the object represented, but it seems likely that it was a schematized form of libation vessel.

## **ჰანტელუმონ სოხაძე რამდენიმე მოსაზრება კასიტური ენისა და რელიგიის შესახებ**

ძველი შუამდინარეთის ისტორიაში ძალზედ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს კასიტური პერიოდის შესწავლა. ამ ტერმინით მოვიხსენიებთ ზაგროსის მთიანეთიდან მოსული კასიტური ტომების ბაბილონის ტერიტორიაზე გაბატონების ხანას. ქრინოლოგიურად, ხსენებული პერიოდი ძვ.წ. XVI-XII საუკუნეებს უნდა მივაკუთხოთ.

კასიტების საკითხის შესწავლა ჯერ კიდევ XIX საუკუნის მიწურულს დაიწყო. ამ მხრივ გამორჩეულია ფრიდრიხ დელიჩისა და პუგო ვინკლერის ნაშრომები<sup>1</sup>. ქართველ მეცნიერთაგან კასიტების შესახებ დეტალური კვლევა შემოგვთვაზა ზურაბ შარაშენიძემ<sup>2</sup>. უნდა აღინიშნოს, რომ XX საუკუნის შუა ხანებში ამ საკითხზე მუშაობა პრაქტიკულად შეჩერებული იყო, თუმცა ბოლო წლებში, ახალი მასალის აღმოჩენის და შესწავლის შედეგად, კვლავ დააწინაურდა კასიტური მემკვიდრეობის შესწავლა და მეზობელ კულტურებთან შედარება.

კონკრეტულ სტატიაში მსურს ყურადღება გავამახვილო კასიტურ ენასა და რელიგიურ წარმოადგენებზე. ხსენებული ხალხის თავდაპირველი საცხოვრისი ზუსტად არ არის დადგენილი, თუმცა არქეოლოგიური მასალის ანალიზის შედეგად, დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ძვ.წ. III ათასწლეულისთვის, ისინი ზაგროსის მთიანეთში მომთაბარეობდნენ, სადაც მჭიდრო ურთიერთობაში იყვნენ მეზობელ ელამელებთან და გუთიებთან. აღსანიშნავია, რომ კასიტური ენის გენეტიკური კლასიფიკაცია დღემდე ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემას წარმოადგენს.

მესოპოტამიაში გამოჩენის შემდეგ, ისინი ადგილობრივი კულტურის გავლენის ქვეშ მოექცნენ, რაც პირველ რიგში ლურსმნული დამნერლობის ათვისებაში გამოიხატა. კასიტური ენის, ისევე როგორც რელიგიის შესწავლისთვის უმნიშვნელოვანეს არტეფაქტს წარმოადგენს 1882 წელს ერაყის ტერიტორიაზე პორმუზდ რასასამის მიერ აღმოჩენილი ბილინგვური ლურსმნული წარწერა<sup>3</sup>, რომელიც დღეს ბრიტანეთის მუზეუმში ინახება და ცნობილია როგორც „კასიტურ-აქადური სიტყვარი“.

**1. რელიგია.** მახლობელი აღმოსავლეთის რეგიონში გავრცელებული სხვა უძველესი რელიგიების მსგავსად, კასიტური პანთეონიც პო-

<sup>1</sup> Friedrich Delitzsch -*Sprache der Kossäer*. (Hinrichs'sche Buchhandlung, Leipzig, 1884)

<sup>2</sup> ზურაბ შარაშენიძე – კასიტების პირველსაცხოვრისისა და მათი ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის. საქ. სსრ. მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მთამბე (N 2, 1961)

<sup>3</sup> Theophilus G. Pinches – The Language of Kassites - *Journal of the Royal Asiatic Society of Great Britain and Ireland* (London. Jan., 1917), pp. 110.

ლითეისტურ სისტემაზე დგას. წლების მანძილზე სწორედ კასიტთა ღვთაებების სახელები წარმოადგენდნენ მათი ეთნიკური ვინაობის დადგენისთვის არსებულ მთავარ ხელმოსაჭიდს. საკუთრივ ფირფიტაზე არსებული წარწერები შესრულებულია აქადური ლურსმნული დამწერლობით. ტექსტი ვერტიკალური ხაზით შუაში, ორ რეგისტრად არის გამიჯნული. მარცხენა მხარეს არსებული ღვთაებათა სახელები კასიტური პანთეონის წარმომადგენლებს აღნერს, მარჯვნივ კი გვხვდება როგორც შუმერული, ასევე სემიტური რელიგიური სისტემის ღვთაებები. წარწერის დასაწყისში ჩამოთვლილია 12 ღვთაების სახელი, თუმცა რამდენიმე სტრიქონი დაზიანებულია. მიმოვიზილოთ რამდენიმე მათგანი:

### ა. 3. Si...[ ] / 3. <sup>D</sup>Sin

მოცემული სტრიქონის აქადური ვერსიის ტრანსლიტერაციაში სიმბოლო D წარმოადგენს სიტყვა - ღმერთის შუმერულ ვარიანტს (DINGIR), რომელიც გამოყენებულია ღეტერმინატივის სახით. აქადურ წანილში ვხვდებით ღვთაება სინს, იგივე სუენს, რომელიც შუამდინარული პანთეონის მთვარის ღმერთია და წარმოადგენს შუმერული წანას ანალოგს. კასიტ მეფეთა სიაში არსებული მონარქების სახელებიდან გამომდინარე (მელი-შიფაქი, შიმბარ-შიფაქი), დღეს, მესოპოტამიური სინის ანალოგად კასიტურ პანთეონში აღადგენენ სახელს - Sipak ან Šipak.<sup>1</sup>

ბ. ძალზე საინტერესო დეტალებს ვაწყდებით მეოთხე და მეხუთე სტრიქონში, აქადურ ვერსიაში, ორივეგან მოხსენიებულია მზის ღვთაება შამაში, ხოლო კასიტურ ვერსიაში გვხვდება განსხვავება:

### 4. sa ... ah / 4. <sup>D</sup>Samaš 5. Su-ri-ya [ ] as 5. . <sup>D</sup>Samaš

მეოთხე სტრიქონში სიტყვის შუა ნანილი დაზიანებულია, ტექსტის მიხედვით, აქ სავარაუდოდ ერთი სიმბოლო უნდა იყოს. თუკი არსებულ მასალას განვიხილავთ და ფუძედ მივიჩნევთ სიტყვას Sah, შეგვიძლია პარალელი გავატაროთ ქართულ ენაში არსებულ სიტყვებთან. როგორც ვხედავთ, ღვთაება Sah შამაშის, ანუ მზის ანალოგია. დავუკავშიროთ ქართულ სიტყვებს – სხივი/სიცხე, ასევე ცხადი/ხათელი, რაც პირდაპირ შინაარსობრივ კავშირშია მზესთან და ასევე დაფუძნებულია ს და ხ თანხმოვნებზე. მეხუთე სტრიქონში კი ნახსენებია სიტყვა Surias, რაც საეჭვოდ წააგავს ვედურ ღვთაება სურია-ს. ხსენებულ ღმერთს ინდუიზმში დღესაც თაყვანს ცემენ და რამდენიმე სექტის უმაღლეს ღვთაებადაც ითვლება. ფუნქციის მიხედვით, ინდური სურია მესოპოტამიური შამაშის იდენტურია, ორივე სოლარული ღმერთია, ორივე მოგზაურობს დედამიწის გარშემო და იყენებს გარკვეულ ტრანსპორტს. ძველ ბაბილონურ ლეგენდებში შამაში ფეხით მოგზაურობდა, ხოლო შედარებით გვიანდელ მითებში, როდესაც უკვე მაღალ დონეზე იყო ათვისებული საბრძოლო და

<sup>1</sup> Friedrich Delitzsch -Sprache der Kossäer. (Hinrichs'sche Buchhandlung, Leipzig, 1884).

სატრანსპორტო ეტლების მშენებლობა, შამაში დედამიწის გარშემო ეტლით იწყებს მოგზაურობას.<sup>1</sup> მსგავსად შამაშისა, ინდური სურიაც დღე-ლამის მონაცვლეობას ეტლით იხვევს, რომელშიც შვიდი თეთრი რაშია შებმული.<sup>2</sup> წლების მანძილზე, სწორედ ხსნებული ღვთაების სახელი ითვლებოდა მთავარ არგუმენტად კასიტების ინდო-ევროპული წარმომავლობის შესახებ არსებული ჰიპოთეზისთვის. მოსაზრება ლოგიკური და არგუმენტირებულია. ფაქტია, რომ სურიას მესოპოტამიური ანალოგები - უთუ და შამაში ფუნქციურად სურია-ს მსგავსია, ხოლო ლინგვისტურ დონეზე ვხედავთ მსგავსებას უშუალოდ კასიტურ ვარიანტთან. ამასთან, არ უნდა დავივინუოთ ის ფაქტი, რომ მესოპოტამიაში ცხენის კულტურის შემოტანა, სწორედ ზაგროსელების სახელს უკავშირდება, ცხენის შემოყვანამ დააწინაურა საბრძოლო ეტლების როლი, რამაც სავარაუდოდ სათავე დაუდი მითებს სოლარული ღვთაებების ამ ტრანსპორტით მოგზაურობის შესახებ.

გ. 6. ub-ri-ya-as 6. <sup>D</sup>Addu, Rammanu 7. hu-ut-ha 7. <sup>D</sup>Addu, Rammanu

მექვსე და მეშვიდე სტრიქონში ვხვდებით სიტყვას - addu, რაც სავარაუდოდ უკავშირდება აქადური ამინდის ღვთაების სახელს - ადადს. დელიჩის ტრანსილტერაციაში ადადის გასწვრივ ვხვდებით ამ სახელის მეორე ვარიანტს - rammanu-ს.<sup>3</sup> როგორც ვხედავთ ამ ღვთაების კასიტური ანალოგებია უბრიაში და ხუთხა. უბრიაშის შემთხვევაში ვხვდებით სურიასის მსგავს დაბოლოებას, ხოლო ხუთხა წააგავს ინდურ სიტყვას. Rammanu აქადური ენიდან შეიძლება ითარგმნოს, როგორც ელვა და ნარმოადგენს ადადის ერთ-ერთ ეპითეტს. მსგავსი სიტყვა გვხვდება სირიულ-არამეული ღმერთის - ბაალ პადადის ეპითეტში. ბიბლიაში კი მოხსენიებულია „რიმონის ტაძარი“ (მეფეთა, II. 5:15). შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მსგავსად არამეულისა, მესოპოტამიურ წყაროებშიც ადადი და რამანუ ერთმანეთთან არის გაიგივებული.<sup>4</sup>

დ. მერვე-მეცხრე ხაზებში აქადური ღმერთის - ადარის ანალოგად ვხვდებით გიდარს და მარადაშს. დელიჩის წიგნის მიხედვით, შუამდინარული ადარის ეპითეტია - „გადამწყვეტი“ ან „გადაწყვეტილების ბატონი“. საინტერეოა რომ პინჩესის მიერ შესრულებულ ტრანსლიტერაციაში ადარის ნაცვლად მოხსენიებულია ღვთაება ენ-ურთა.<sup>5</sup> აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ სიტყვა შუმერული ენიდან ითარგმნება როგორც ბატონი. დელიჩის ცნობებით, ადარს მზის ღმერთულის ფუნქციებიც გააჩნია, რაც გვაძლევს სამუალებას გავატაროთ პარალელი კიდევ ერთ შუ-

<sup>1</sup> Andrews, Tamara – *Dictionary of Nature Myths: Legends of the Earth, Sea, and Sky* (Oxford University Press. UK. 1998), 177

<sup>2</sup> Jansen, Eva Rudy. *The Book of Hindu Imagery: Gods, Manifestations and Their Meaning* (New Age, Holland. 2001), 65

<sup>3</sup> Delitzsch -*Sprache der Kossäer*, 25

<sup>4</sup> Antonius Deimel - *Pantheon Babylonicum* (Rome. 1914), 44–46

<sup>5</sup> Pinches – *The Language of Kassites*, 110

ამდინარულ ღვთაებასთან - შამაშის მთავარ სიმბოლოს სწორედ მზე წარმოადგენს და იგი ასევე გვევლინება სამართლიანობის ღმერთად, თუკი ამას შევადარებთ ადარის ეპითეტს „გადაწყვეტილების ბატონი“ აშკარა მსგავსებას დავინახავთ. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ შამაში სიტყვარში უკვე ნახსენებია და სავარაუდოდ უშუალოდ კასიტური ანალოგის განსხვავებული ფუნქციების გამო მოხდა მათი გამიჯნვა. კასიტური მარადაში (იგივე მარუდუში, ან მარუთუ) აუცილებლად უნდა დავუკავშიროთ სანსკრიტულ ღვთაება მარუთას-ს. რიგვედაში მოხსენიებულია ღვთაებათა ჯგუფი, რომლებიც ინდრას კომპანიონებს წარმოადგენენ და გამოირჩევიან დიდი ძალით, ატარებენ ოქროს აბჯარს და საბრძოლო ნაჯახებით არპევენ ურიცხვ მტერს.<sup>1</sup> ფაქტია, რომ ხსენებულ ღვთაებას ან ღმერთების ჯგუფს საომარი ფუნქციები აკისრია, რითიც ინდური მარუთასი როგორც ლინგვისტურ, ასევე ფუნქციურ დონეზე ემსგავსება კასიტურ ღვთაება მარუდაშს. ლურვერის ლექსიკონში რიგვედაში ნახსენები მარუთასები მოხსენიებულია როგორც კიდევ ერთი ომის ღმერთის - რუდრას შვილებად. საინტერესოა, რომ ორივე სახელში შენარჩუნებულია ძირი რუდ/რუთ. ღვთაების სახელის მნიშვნელობა ორგვარად შეიძლება გავიგოთ „ის ვინც ყმუის“ ან „ის ვინც წითელია“.<sup>2</sup> ცხადია სიტყვის ფუძეში არსებული ძირი რუდ შეიძლება იყოს საერთო ინდო-ევროპული ენებისთვის და აღნიშნავდეს წითელს (შდრ. გერმანული Rot, ინგლისური Red, ინდური Rēda და სხვ.). საინტერესოა ის ფაქტიც, რომ კელტურ მითოლოგიაში გვხვდება პრაქტიკულად იდენტური ფუნქციების მქონე ომის ღმერთი რუდიანოსი, რომლის ეტიმოლოგიაც გალურ სიტყვა რუდიო-ს ანუ წითელს უკავშირდება.<sup>3</sup> შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კასიტურ სიტყვა მარუდაშ-ში არსებული ფუძე საერთო ინდო-ევროპულ სიტყვას უკავშირდება.

ე. საინტერესოა, რომ ხსენებულ ჩამონათვალში ვერ მოხვდა კასიტური პანთეონის მამა - ქაშუ. ხსენებული ღვთაების სახელი სწორედ დაზიანებულ სტრიქონებში უნდა ყოფილიყო, ვინაიდან გამორიცხულია მისი გამორჩენა. ქაშუ დაახლოებით იგივე მნიშვნელობისაა კასიტებისთვის, როგორიც აშურია ასურელებისთვის. საკუთრივ ეთნონიმი კასიტიც სწორედ ამ ღვთაების სახელს უკავშირდება. დელიჩი ვარაუდოს, რომ ხსენებულ ორ სტრიქონში უნდა ყოფილიყო ღვთაება შუმალიას სახელიც. ამ უკანასკნელის სახელს დელიჩი თარგმნის როგორც „თოვლიანი მწვერვალების ქალმერთი“.<sup>4</sup> 1907 წლის ნამრომში „კასიტური ენის პრობლემა“ თეოფილიუს პინჩესი აღნიშნავს, რომ სახელი

<sup>1</sup> Manfred Lurker *The Routledge Dictionary of Gods and Goddesses, Devils and Demons*(Routledge. 1987/2005), 121

<sup>2</sup> იქვე, 162

<sup>3</sup> იქვე, 162

<sup>4</sup> Delitzsch -Sprache der Kossäer, 25.

შუმალია, ანუ „თოვლიანი მთების ქალღმერთი“ შეიძლება დაუკავშირდეს ინდოეთის ჰიმალაების ტოპონიმს, ასევე გამოთქმულია მოსაზრება ზამთრის ალმნიშვნელ სიტყვა - ჰიმა-სთან მსგავსების შესახებ.<sup>1</sup> ამასთან შეიძლება პარალელის გატარება ძველ ბერძნულ ლვთაება სემელესთან, რომელიც ოლიმპოს მთაზე იმკვიდრებს სახლს და საკმაოდ მნიშვნელოვანი ქალღმერთია ბერძნული მითოლოგიისთვის.

ვ. მეფეთა სახელებში ხშირად მოიხსენიება სიტყვა ბურიაში (ბურნა-ბურიაში, ულამ ბურიაში და სხვ.), რაც შეგვიძლია პირდაპირ დავუკავშიროთ ზემოთ ნახსენებ უბრიაშს, რომელიც ჰაერისა და ქარის ღმერთის ანალოგია. თუკი სიტყვის ბოლოს მდებარე დაბოლოება ას-ს ჩამოვაშორებთ, დაგვრჩება ფუძე - ბურია. ხსენებული სახელი შეგვიძლია დავუკავშიროთ რუსულ სიტყვას ნურა ანუ ქარიშხალი. ამის შესახებ საკუთარ ნაშრომში საუბრობს ბორის მოიშესონი.<sup>2</sup> ვინჩესის სტატიაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ბურიაში შეიძლება უკავშირდებოდეს ძველ ბერძნული ჩრდილოეთის ცივი ქარის ლვთაება - ბორეას. ამ შემთხვევაშიც, საქმე გვაქვს როგორც ლინგვისტურ, ასევე ფუნქციურ მსგავსებასთან.

კასიტი ღმერთების ჩამონათვალში არაერთხელ შეხვდებით ბუგაშის სახელს. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ლურსმნულ ტექსტებში ხსენებულ სიტყვას წინ არ ერთვის ღმერთის დეტერმინატივი, რაც გვაფიქრებინებს იმის შესახებ, რომ შესაძლოა ბუგაში წარმოადგენს უშუალოდ ღმერთის ალმნიშვნელ ლექსიკურ ერთეულს. ას დაბოლოების ჩამოცილების შედეგად დარჩენილი ფუძე ბუგ, მსურს დავაკავშირო რამდენიმე ინდო-ევროპული წარმოშობის სიტყვასთან. მაგალითისთვის სლავურ ენებში გავრცელებული ღმერთის ალმნიშვნელი სიტყვა - ნიგ, რომლის ეტიმოლოგიაც სავარაუდოდ ინდურ და პროტო ინდო-ევროპულ ენებში არსებულ სიტყვა - bhag-ს უკავშირდება. მსგავს ფუძეებს ვხვდებით ავესტურ სპარსულსა და ინდოსტანის ენებშიც.<sup>3</sup> საინტერესო ფირფიტაზე არსებული ლვთაებების დალაგების სისტემა, შემორჩენილი ტექსტიდან ნათელია, რომ ჯერ მოხსენიებულია მთვარის ღმერთი, შემდეგ მზის, ხოლო მას მოსდევს ჰაერის (ქარის) ლვთაება. მსგავსი განლაგება მოგვიანებით ძალზედ პოპულარული გახდა ასურულ ტექსტებში.<sup>4</sup>

ზ. საკუთარ სახელებში არაერთხელ ვხვდებით სიტყვას - ინდაში (მაგ.: კარაინდაში), სავარაუდოდ ხსენებული სიტყვაც ლვთაების სა-

<sup>1</sup> Pinches T. - The Question of the Kassite Language -*Journal of the Royal Asiatic Society of Great Britain and Ireland*, (London. Jul., 1907), 685

<sup>2</sup> Boris Moisheson - *Armenoids in prehistory*. (University Press Of America. 2001), 146.

<sup>3</sup> Фасмер, Макс - Этимологический словарь Русского языка(„Прогресс”, Москва.1986)

<sup>4</sup> Delitzsch -*Sprache der Kossäer*.

ხელს წარმოადგენს და შეგვიძლია მისი დაკავშირება სანსკრიტულ ინდრასთან.

შეიძლება ითქვას, რომ კასიტურმა ღვთაებებმა, მიუხედავად მე-სოპოტამიური რელიგიური სისტემის გავლენისა, მაინც შეინარჩუნეს თვითმყოფადობა, ფუნქციები და საკუთარი სახელები. ჩვენს შემთხვევაში არ მომხდარა სახელების ერთმანეთთან ასიმილაცია, არც ფუნქციების აღრევა და სინკრეტიზმი. განსხვავებული სახელების მატარებელმა კასიტურმა ღვთაებებმა საკუთარი კვალი დატოვეს მესოპოტამიის ხელოვნებასა და ისტორიაში. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მათ გავლენა მოახდინეს ინდო-ევროპელ ხალხთა მითოლოგიაზე, წლების მანძილზე, მეცნიერები სწორედ კასიტი ღვთაებების სახელების ანალიზის შედეგად ცდილობენ იმის დამტკიცებას, რომ ხსენებული ხალხი ინდო-ევროპულ ენათა ოჯახს ეკუთნის. შესაძლოა ეს თეორია არ გამართლდეს, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება - კასიტურ და სანსკრიტულ ღვთაებებს, რომლებიც სავარაუდოდ ერთ რეგიონში მცხოვრებ ხალხს უკავშირდება, აერთიანებთ როგორც ლინგვისტური ასევე ფუნქციური მსგავსება, რაც ხსენებული ხალხების მჭიდრო კავშირზე მეტყველებს.

კასიტური ღვთაება	შუამდინარული ანალოგი	მსგავსება/ შედარებები
შითაქი / სითაქი	სუენი/სინი	
სახ-ი	შამაში	მზესთან დაკავშირებული ქართული ლექსიკა: სიცხე, სხივი, (ცხადი ანუ ნათელი
სურიას-ი	შამაში	ვედური მზის ღვთაება სურია
უბრიაშ-ი / ბურიაშ-ი	ადდუ; ადადი; რამანუ.	სლავური სიტყვა ნიर. ბერძნული ღვთაება პორეასი
გიდარი / მარადაშ-ი	ადარი	ინდური ღვთაება მარუთა და რუდრა, კელტური ღვთაება რუდიანოსი
შუმალია		ტოპონიმი – ჰიმალაი. სლავური სიტყვა ვიმა. ბერძნული ღვთაება სემელე
ბუგაშ-ი		ღმერთის აღმნიშვნელი სიტყვა - ნირ, ინდო-არიული სიტყვა „Bhag“
ინდაშ-ი		ინდური ღვთაება ინდრა

**2. ენა.** კასიტური ენა ერთ-ერთ ყველაზე შეუსწავლელ და ამავდროულად ძალზედ საინტერესო საკითხს წარმოადგენს. უშუალოდ კასიტური ტექსტები, დღეისთვის პრაქტიკულად არ არსებობს. მსგავსად

რელიგიისა, ამ შემთხვევაშიც, ძირითად საკულტო მასალად აქადურ-კა-სიტური სიტყვარი გვევლინება, რომელსაც ლექსიკონის ფორმა აქვს და არ შეიცავს წინადადებებს. შესაბამისად, ჩვენ არ გვაქვს საშუალება დაწვრილებით ვისაუბროთ კასიტური ენის სტრუქტურაზე, გრამატიკა-სა და ენობრივ ნიშნებზე.

წლების მანძილზე, კასიტურ ენას იკვლევდნენ ფრიდრიხ<sup>1</sup>, თეოფილუს პინჩესი<sup>2</sup> და სხვანი. შედარებით ახალი გამოკვლევები შე-მოგვთავაზა არნო ფურნებ.

უშუალოდ კასიტური სიტყვების რაოდენობა 60-დან 80-მდე მერყე-ობს, საკუთარ სახელებთან, ტოპონიმებთან და ნაწარმოებ სიტყვებთან ერთად, ლექსიკური ფონდი შეიძლება 200 სიტყვამდეც გაიზარდოს.<sup>3</sup> გან-სხვავებით რელიგიისათან დაკავშირებული სახელებისა, სადაც შეინიშნება აშკარა მსგავსება ინდო-ევროპულ ენებთან, სიტყვარის დანარჩენი ნაწი-ლის შესწავლა გვაძლევს საშუალებას ვივარაუდოთ, რომ კასიტური ენა ბევრად უფრო ახლოს დგას ხურო-ურარტულ ჯგუფთან.

განვიხილოთ კასიტური სიტყვების კვლევისას წარმოშობილი რამ-დენიმე ჩვენთვის საინტერესო საკითხი:

ა. კასიტური სიტყვების განხილვისას აუცილებლად უნდა ვახსე-ნოთ საკუთრივ ამ ხალხის ეთნონიმი - Galdu [გალდუ] ან Galzu [გალზუ] საინტერესოა, რომ ურარტელების უძველეს ეთნონიმად ითვლება სიტყვა hald [ზალდ], ხსენებულ სიტყვას აკავშირებენ ტოპონიმ ქალდეასთან, ასევე, უნდა ვახსენოთ ებრაულ ენაში არსებული სიტყვა Kašdim რაც ითარგმნება როგორც ქალდეველი.<sup>4</sup> ფურნეს აზრით სიტყ-ვებს - Galzu, Kassu და Hald საერთო ძირი უნდა ჰქონდეთ. როგორც ზე-მოთ ვახსენეთ, სიტყვა „კასიტი“ ღვთაება ქაშუს სახელს უკავშირდება. საინტერესოა, რომ ძველ ბერძნულ ენაში გვხვდება სიტყვა Kassitērōiç-რაც კალის ალმნიშვნელ ტერმინად გვევლინება. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ამ ბერძნული სიტყვის ეტიმოლოგიას ძველ სპარსულ ენასთან აკავშირებენ. კასიტების საცხოვრისთან ტერიტორიული სიახ-ლოვე და ის ფაქტი, რომ ზაგროსის მთიანეთი საკმაოდ მდიდარია ხსეხებული მეტალის საბადოებით, გვაფიქრებინებს, რომ ამ სიტყვებს შორის კავშირი შეიძლება რეალური იყოს. ნივთიერებების ალმნიშვნელ სიტყვებში ხშირად გვხვდება -იტ დაბოლოება. ამის გათვალისწინებით, ზემოთხსენებული სიტყვის ფუძედ ჩავთვალოთ კას-. როგორც რელი-გიური პანთეონის განხილვამ გვიჩვენა, კასიტურ და ძველ ბერძნულ ღვთაებებს შორის გარკვეული კავშირი არსებობს, შესაბამისად არ არის გამორიცხული, რომ მსგავსბა ლინგვისტურ დონეზეც შევამჩნი-ოთ. ორენოვან სიტყვარში ვხვდებით სიტყვას Kazak [კაზაქ], რაც

<sup>1</sup> Delitzsch -Sprache der Kossäer

<sup>2</sup> Pinches – The Language of Kassites

<sup>3</sup> Arnaud Fournet – The Kassite Language In a Comparative Perspective with Hurrian and Urartean. - The Macro-Comparative Journal Vol.2 No.1. 2011), 2

<sup>4</sup> იქვე, 3.

ფურნეს აზრით უკავშირდება ხურიტულ სიტყვას *Kashi* [კაშლი] - სუფ-თა, წმინდა.<sup>1</sup> პარალელი გავატაროთ ქართულ სიტყვასთან – კაშკაშა. გვჩვდება რამდენიმე სიტყვა, რომელიც ხეთურ ენაშიც არის დაფიქსირებული. მაგალითისავის კასიტური სიტყვა *At* [ათ], უნდა ვთარგმნოთ როგორც მამა, ხეთურ ენაში ამ სიტყვის ანალოგია *atta<sup>2</sup>*ხოლო ხურიტულში მამა აღინიშნება სიტყვით *attai*.<sup>3</sup>

ბ. ძალზედ საინტერესო მნიშვნელობა აქვს კასიტურ სიტყვას *Gadi* [გადი]. სავარაუდოდ, ხსენებული სიტყვა ითარგმნება როგორც მეფე, მმართველი. ფურნეს ნაშრომში მოყვანილია შედარება ხათურ სიტყვასთან *Katti* ანუ მეფე,<sup>4</sup> ყოველივე ხსენებული შეგვიძლია დავუკავშიროთ ქართულ სიტყვას კაცი. ნიკო მარის და მიხეილ წერეთლის აზრით, ღვთაება გაცი და სიტყვა კაცი საერთო ფუძეს უკავშირდება.<sup>5</sup> ფაქტია, რომ ზემოთ მოყვანილი ყველა სიტყვა გამოკვეთილად მასკულინურ დატვირთვას ატარებს და მათი მსგავსება ველარული და დენტალური თანხმოვნების მონაცვლეობით შეიძლება აიხსნას. კასიტურ ენაში თავისუფალი კაცის, ანუ აქადური სიტყვის *Awelum*-ის შესატყვისად ითვლება სიტყვა *mali* [მალი]<sup>6</sup>, რომელიც შეგვიძლია დავუკავშიროთ სანსკრიტულ სიტყვას *marya* [მარია], რაც ითარგმნება როგორც ახალგაზრდა, ჯეელი ყმანვილი.

გ. კასიტურ წყაროებში დაფიქსირებულია სიტყვა *Suyur*, რასაც ლინგვისტები უკავშირებენ ხურიტულ *suhuri-s*<sup>7</sup>, რაც ქართულად ითარგმნება როგორც ცხოვრება.<sup>8</sup> ფაქტია, რომ ამ სიტყვებს შორის აშკარა მსგავსება არსებობს და შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ქართულ ენაში ის ხურიტულიდან ან კასიტურიდან არის ნასესხები. სიტყვარში ასევე შემორჩენილია ფრაგმენტი, სადაც ვხვდებით სიტყვას *Sagarak* [საგარაქ], აქადური ეკვივალენტის წყალობით ცნობილია, რომ მისი მნიშვნელობაა - გადარჩენა, თავის დაღწევა. ფურნე ამ სიტყვასაც ხურიტულ *suhuri-s* და ურარტულ *seheri-s* უკავშირებს.<sup>9</sup>

დ. აუცილებლად უნდა განვიხილოთ ხარის აღმნიშვნელი კასიტური სიტყვები. აქადურ-კასიტურ ბილინგვაში ამ მნიშვნელობით მოცემულია სიტყვა *Badar* [ბადარ], რაც უნდა უკავშირდებოდეს ხარის

1 Н.А. Нозадзе - *Лексика хурритского языка* (SABC, Tbilisi. 2007) 204

2 ირინე ტატიშვილი – ხეთურ-ქართული ლექსიკონი. ნაკვეთი 1: А (პროგ-რამა „ლოგოსი“, თბილისი. 2006) 68

3 Нозадзе - *Лексика хурритского языка*, 103.

4 Fournet – The Kassite Language, 11

5 მიხეილ წერეთელი-ხეთის ქვეყანა, მისი ხალხები, ენები, ისტორია და კულტურა (კონსტანტინეპოლი, 1924) 99.

6 Fournet – The Kassite Language, 13

7 იქვე, 15.

8 Нозадзе - *Лексика хурритского языка*, 332

9 Fournet – The Kassite Language, 14

ალმნიშვნელ ხურიტულ სიტყვას pedari.<sup>1</sup> თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კასიტური ღვთაებების ჩამონათვალში გვხვდება სახელი ქარბე [ხარბე]. ქართულ სიტყვა - ხართან მსგავსებას ის ფაქტიც გვაფიქრებინებს, რომ მესოპოტამიურ პანთეონში ხარბეს ანალოგად ენლილია მიჩნეული,<sup>2</sup> ხარი კი მისი კულტის ერთ-ერთ წმინდა ცხოველს წარმოადგენს.

ე. საინტერესო პარალელს ვაწყდებით კასიტური სიტყვის Buri-s [ბური] განხილვისას, რომელიც საკმაოდ ხშირად გვხვდება ღვთაებათა და მეფეთა სახელებში. ბურის ბაბილონური ექვივალენტია Bel ანუ ბატონი, ასევე გვხვდება კასიტური ვარიანტი Uabi, რასაც ფურნე აკავშირებს ხურიტულ Erbi, ewri-სთან [ერბი; ევრი],<sup>3</sup> რაც თარგმანში უნდა ნიშნავდეს ბატონს, ან მეფეს.<sup>4</sup> შეგვიძლია მოვიყანოთ მსგავსება ხეთურ სიტყვა aruwa-სთან, რაც ითარგმნება როგორც თავისუფალი ადამიანი. ასევე ვახსენოთ ლუვიური ზედსართავი სახელი არ – მაღალი, ამაღლებული.

ვ. ორი სიტყვა უნდა ითქვას ბაბილონის კასიტურ სახელწოდება - ქარდუნიაშზეც. დღეს ამ სიტყვის ეტიმოლოგია ან მნიშვნელობა დაუდგენელია. სიტყვის ბოლოს არსებული ბოლოსართი yas, საკმაოდ ხშირად გვხვდება კასიტურ სახელებსა და ტოპონიმებში, შესაბამისად უნდა ვივარაუდოთ, რომ სიტყვის ძირს ქარდუნია წარმოადგენს. ამასთან დაკავშირებით შეიძლება წამოვაყენოთ რამდენიმე ჰიპოთეზა, თუმცა მასალის სიმცირის გამო მათ არგუმენტებით ვერ გავამყარებთ. როგორც ვიცით, ბაბილონი ძველი აღმოსავლეთის ცენტრად ითვლებოდა, შესაბამისად, შეგვიძლია გამოვთქვათ მოსაზრება, რომ სიტყვის ეტიმოლოგია უკავშირდება ხეთურ სიტყვა Kard-s, რომელიც ქართულად ითარგმნება როგორც გული, ცენტრი, შუაგული. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ბაბილონის დინასტიის დაცემა უკავშირდება ძვ.წ. 1595 წელს ხეთების მიერ დედაქალაქის აღებას, შესაბამისად არ უნდა გამოვრიცხოთ ტოპონიმებზე მომხდარი ანატოლიური გავლენა.

ზ. ტოპონიმების განხილვისას უნდა ვახსენოთ თანამედროვე ლორესტანის პროვინციაში მდებარე მდინარე ქაშგანი. ამ ჰიდრონიმის ეტიმოლოგიას მეცნიერთა ნაწილი ღვთაება ქაშუს, ან უშუალოდ კასიტების ეთნონიმს უკავშირებს.<sup>5</sup>

თ. ყურადსალებია უშუალოდ კასიტური კულტურის მონაპოვარი – ქუდურუ, ანუ სასაზღვრო სტელა. მიუხედავად კასიტური წარმომავლობისა, ტერმინის ეტიმოლოგია უკავშირდება აქადურ სიტყვას, რაც ითარგმნება როგორც „მოსაზღვრე“, „საზღვრის დამდგენელი“.<sup>6</sup> ამ მო-

<sup>1</sup> Laroche, Emmanuel – *Glossaire de la langue Houritte* (Paris. 1980), 199

<sup>2</sup> Fournet – The Kassite Language, 9

<sup>3</sup> იქვე, 8

<sup>4</sup> Нозадзе - *Лексика хурритского языка*, 129

<sup>5</sup> I. Edwards - *The Cambridge Ancient History – II part 1*(Cambridge University Press. UK. 1973), 271

<sup>6</sup> Leo Oppenheim – *The Assyrian Dictionary* (Oriental Institute, Chicago, Illinois, U.S.A. 1971), 30

საზრებას ზურგს უმყარებს სხვა სემიტურ ენებში არსებული მსგავსი სიტყვები, როგორიცაა ებრაულ ენაში არსებული რა - „გადერ“ ანუ ღობე, არაბული - რა ან ჯარ ან „ჯიდარ“ - კედელი. ნახსენები სიტყვები თავისი შინაარსითა და ბეგერებით შეგვიძლია დავუკავშიროთ ქართულ სიტყვას - კედელი, ცხადია, არ ვამტკიცებთ, რომ ეტიმოლოგია კასიტურ ქუდურუს უკავშირდება. სავარაუდო ქართულ ენაში ამ სიტყვის გამოჩენა შედარებით გვიანდელ ეპოქას უკავშირდება და უნდა აღინიშნებოდეს ებრაული ან არაბული ენის გავლენა. თუკი დავუშვებთ, რომ სიტყვა კუდურუ აქადურში შუმერულიდან შევიდა, შეგვიძლია საინტერესო დეტალი აღმოვაჩინოთ. კერძოდ, შუმერულად სიტყვა KUD.URU შეგვიძლია ვთარგმნოთ როგორც ქალაქის ბოლო, ანუ საზღვარი, რაც პირდაპირ მიუთითებს ქუდურუს ფუნქციაზე.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის კასიტების შესწავლა საკმაოდ აქტუალურ და პერსპექტიულ საკითხს წარმოადგენს. მიუხედავად ჩატარებული კვლევებისა, კასიტების წარმომავლობა მაინც ბურუსით მოცული რჩება. თუმცა, ჩვენ უკვე თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ამ ხალხის პანთეონი აშკარად ატარებს ინდოევროპული რელიგიის ნიშნებს, რაც პირველ რიგში ღვთაებათა სახელებში გამოიხატება. რელიგიის ქვეთავში განხილული ლინგვისტური მსგავსები გვაფიქრებინებს, რომ კასიტურ ღვთაებათა პანთეონში შეგვიძლია ვეძებოთ ერთგვარი დამაკავშირებელი რგოლი ინდურ, ბერძნულ, სლავურ და სხვა ძველ ინდო-ევროპულ რელიგიებს შორის. საკუთარი სახელების ანალიზი გვაძლევს საშუალებას რამდენიმე ბერძნული და სლავური ღვთაების ეტიმოლოგია დავუკავშიროთ არა სანსკრიტს, არამედ ბევრად უფრო ძველ - კასიტურ პანთეონს. მიუხედავად იმისა, რომ რელიგიური სისტემა ახლოს დგას სხვა ინდო-ევროპულ პანთეონებთან, ამ ხალხს გადაჭრით ვერ მივაკუთნებთ სენებულ ენათა ჯგუფს. ამ საკითხზე მსჯელობისას აუცილებლად უნდა განვიხილოთ ის მცირე კასიტური ლექსიკა, რაც თიხის ფირფიტებმა შემოგვინახა. ენის ქვეთავში აღნერილი სიტყვების საშუალებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კასიტური ენა ყველაზე ახლოს დგას ხურიტულ და ურარტულ ენებთან, სავარაუდო აგლუტინაციური ზმნის არსებობა კი გვაძლევს საშუალებას ხენებული ენა გავმიჯნოთ მესოპოტამიაში არსებული სემიტური ჯგუფის სხვადასხვა ენებისგან. არასრული ტექსტების და გრამატიკული ფორმების არარსებობის გამო დასკვნების გამოტანა ძალზედ რთულია, თუმცა მოყვანილი მაგალითებიდან გამომდინარე, აშკარაა, რომ კასიტური ავლენს ტიპოლოგიურ მსგავსებას ხურიტულ ენებთან, გვხვდება რამდენიმე პარალელი ჯგუფთანაც და რაც მთავარია, ნაპოვნია რამდენიმე სიტყვა, რაც ერთმანეთან აკავშირებს კასიტურ და კავკასიურ ენებს. იმის გათვალისწინებით, რომ შემორჩენილ 60 სიტყვაშიც კი შესაძლებელია მსგავსების შემჩნევა, უნდა ვივარაუდოთ, რომ კასიტებსა და პროტო-კავკასიელებს შო-

რის არსებობდა გარკვეული ურთიერთობა, ცხადია ვერ ვისაუბრებთ ენათა ნათესაობის შესახებ, თუმცა შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ხურიტულის გავლით, ქართულ ენაში შემოსულია რამდეხიმე სიტყვა, რომელთა ეტიმოლოგიაც სწორედ კასიტურ ენას უკავშირდება.

ვფიქრობ, საკითხის დეტალური ანალიზი და ინტერდისციპლინარული შესწავლა, ადრე თუ გვიან ნათელს მოჰყენს ზაგროსელი ხალხის ნარმომავლობის შესახებ არსებულ საიდუმლოებას და შექმნის მომავალი კვლევების პერსპექტივას.

### *Panteleimon Sokhadze*

#### **Several Opinions about Kassite Language and Religion**

Јდа შეიკრიბა სომხეთის ქვეყნის ყველა მღვდელმთავარი ნეტარ მაშტოცთან და სომხეთის ყველა ნახარართან და დიდ ტანუტერებთან ერთად სომხეთის მეფე ვრამშაპუჰთან და მეფესთან ერთად დაუზუეს ვედრუბა ნმინდა საპაკ კათოლიკოსს, რომ მიეღდვნა თავი სულიერი ღვანლისათვის და ეთარგმნა ბიბლიური აღთქმანი ბერძნულიდან სომხურად. და მღვდელმთავართა კრებულმა მიმართა ნმინდა პატრიარქს: „ჩვენ, ვინც ვდგავავართ შენ ნინაშე ნეტარ მაშტოცთან ერთად, რომელსაც ღვათაებრივმა მადლმა უბიძვა ასეთი სურვილისაკენ, მოენესრივებინა ადრე დანერილი ასოების მოხაზულობა და შემორეტანა ისინი ხმარებაში, რაზეც [ადრე] არავის უზრუნია. სამაგიეროდ ბევრს შრომობდნენ რთული და უსარგებლო სირიულის შესასწავლად, რის გამოც ფუქსავატი და ზარმაცი ადამიანების დიდი სიმრავლე მიდიოდა ეკლესიდან, და მასწავლებლები ძალაგამოცლილნი ოხვრით ნანობდნენ თვითი ამაო ძალს ხმევას, [ვინაიდან] მათ დარიგებებსა და სულიერ რჩევებს, რაც სხავლას მოწყურებულ პირთათვის საკვები და საზრდო [უნდა ყოფილიყო], არავინ, შეკრებილ სწავლის მოყვარეთაგან, არ იყენებდა. [და ეს მანამ], სანამ არ აღმოჩნდა დამწერლობა და ქრისტეს მეოხებით არ გავრცელდა და ძალა არ მოიკრიბა. და ბოლოს, ამ შრომის მოწესრივება შენი კეთილდღეობის ცოდნით შედგა და გასრულდა. ან კი ქრისტეს ნმინდა მონამე გრიგორიოსის მსგავსად, რომელიც ტანჯვათა შინა დარჩა უვნებელი ყოვლადელიერის შენევნით, შენც, მისსავე შთამომავალს, სომხეთის ქვეყნის ცოდნით განათლების მადლი მოგენიჭა, [მოგენიჭა] ხვედრი ემსახურო ამ პრეცინცალე მეტკვიდრეობას, დაუდო სახუისი ამ კულტურულ საქმეს და ემსგავსო შენს ნმინდა ნინაპარს, რომელიც უმეცრებიდან ღვთის ჭეშმარიტი მეცნიერებისაკენ გაუძლვა სომხეთის ქვეყანას. ან კი შენც ცოდნის უნაყოფო სიმწირიდან ჭეშმარიტად სულისა მხსნელი და ეკლესის შემამკობელი საღი აზროვნებისეკენ გაუძეხი დიდებული ქვეყნის ხალხს; შეავსე ის სიმწირე, რომელიც შენი ნინამავლებისაგან შემორჩა, რაც განგიჯვრიტა კიდეც შენ უფალმა და რაც არ ხელენიფება სომხეთის ქვეყანაში არც ერთ სხვა ადამიანს – ხელი მოჰკიდონ ასეთ დიდ საქმეს [და მათ ეს არ შეუძლიათ], ვინაიდან ვერ შეძლეს გამხდარიყვნენ ამ მეცნიერებათა ხელოვნებაში ესოდენ მცოდნენი და განსწავლულნი, რაოდენიც მოგეცა შენ რიტორიკის ძალა უზენაესი შემნისაგან შენი კეთილშობილი და

<sup>1</sup> Ղազար Փարպեցի, *Պատմութիւն Հայոց և թուղթ առ Վասիան Մամիկոնեան*, 16-18:

მორჩილი სულისათვის, რათა დამსგავსებოდი და შენში განმეორებულიყო შენი ნეტარი მამის, ნერსეს, ცხოვრება“.

და ღვთისმოსავმა კათალიკებსმა სომეხთა, წმინდა საჰაკმა, ეს რომ მოისმინა სომეხთა მეფე ვრამშაპუჰისაგან და ნეტარი მაშტოცისგან და საძლვდელოების მთელი ძმობისგან, და უფრო მეტიც, უხუცესი ტანუტერებისა და ყველა სომეხი ნახარარისგან, განიხარა სულით და ადიდებდა ყოველთა მხსნელს, უფალ იქსო ქრისტეს. და ნებაყოფლობითი სიბეჭითით მიუძღვნა თავი საქმეს, ამაღლდა ღვთაებრივი ხელშენყობით, რომელმაც უბობა მას უმაღლესი ცოდნის ეს მადლი; და დღე და ღამე უშიშრად შრომის შედეგად თარგმნა მთელი სახარება თქმული სული ხმიდის ჭეშმარიტი ნინასნარმეტყველების მიერ და დაასრულა იმავე სული [წმიდის] მიერ კურთხეულ მოციქულთა საშუალებით დამტკიცებული ახალი აღთქმის განმანათლებელი და მაცხოვნებელი ქადაგებანი.

და როდესაც სომეხთა წმინდა პატრიარქმა საჰაკმა დაასრულა სულიერი შრომის დიდი საქმე, ამის შემდეგ სასწრაფოდ დააარსეს სკოლები სამწყოსათვის, და განმრავლდა ერთმანეთის მადიდებელ მნერალთა დასი, განმშვენიერდა საეკლესიო ნირვა-ლოცვა; აღინთებოდნენ ხალხში მამაკაცთა და დედაკაცთა სიმრავლენი მხსნელის დღესასნაულებსა და მონამეთა ხეენებებზე. ვინც მოიხვეჭა სრული სარგებელი [თავისი] სულისათვის, უდიდეს საიდუმლოებასთან თანაზიარობის სიხარულით აღვხილნი, ყოველი მათგანი, დიდი და მცირე, შინ ბრუნდებოდა და ფსალმუნებსა და ანტიფონებს გალობდა ყველგან – მოედნებზე, ქუჩებსა და ყანებში; გაპრნენინდა ეკლესიები, შუქით გასხივოსნდა წმინდა მონამეთა საყდრები, სამარადუამოდ აყვავდა მათში სარწმუნოება აღთქმათა წყალობით; უწყვეტად მოედინებოდა განმმარტებლებისგან ნაკადები, რომლებიც გასაგებს ხდიდა ნინასნარმეტყველთა საიდუმლოებს და ღიად დაიღო მთელი ერის ნინაშე ყოველგვარი სულიერი ნუგბარით სავსე ტაძლაზე; ივემებს ისინი სნავლის მაძიებელმა ადამიანებმა და საგალობლების დარად ქადაგებათა სიტყვებიც იქცა სიტკბოდ მათ სასაზე ფიჭიდან გადმოსული თაფლის მსგავსად. და მოკლედ ვიტყვი ესაია ნინასნარმეტყველის სიტყვებით: „აღივსო თანა ყოველი ქვეყანა მეცნიერებითა უფლისათა, წმინდა პატრიარქ საჰაკის სულიერი ნეაროდან, ვითარცა წყალმან მრავალმან და-რაღ-ფარნის ზღუანი.“

და ყოვლადმოიწყოლე ქრისტე მხსნელის მადლით შესრულდა ეს ყოველივე მეფე ვრამშაპუჰის დროს, როგორც იყო დაწერილი ზემოთ, და გასხივოსნდა ნათლით სომეხთა ქვეყანა. შემდგომად ამისა იცოცხლა მრავალი წელი მეფე ვრამშაპუჰმა და ღრმა მოხუცებულობას მიღწეული მშვიდად აღესრულა საკუთარ სარეცელზე სომეხთა ქვეყანაში<sup>1</sup>.

კორიუნის „მაშტოცის ცხოვრებაში“ კი რამდენიმე ფრაზით არის გადმოცემული საჰაკის მთარგმნელობითი მოღვაწეობის შესახებ:

<sup>1</sup> 6. ჩანტლაძე, ლაზარე ფარპულის სომხეთის ისტორიის ერთი ფრაგმენტი, 243-244.

ლაზარე ფარპელის თხზულებაში დაცულ ცნობებს კრიტიკულად განიხილავენ სომეხი მეცნიერები და მიიჩნევენ, რომ ლაზარე ფარპელმა დაამცრო დიდი მესროპის ლვანლი, სამაგიეროდ, განადიდა საჰაკი.<sup>2</sup>

გერმანელი არმენოლოგი ი. მარკვარტი ლაზარე ფარპელის თხზულების შესახებ აღნიშნავს: „მაშტოცის სირიაში მოგზაურობისა და ამ მოგზაურობასთან დაკავშირებული მოვლენების შესახებ ლაზარე დუმს. ეს ერთ-ერთი ტენდენციური დამოკიდებულებაა, რომელიც, უკველად, ამჟღავნებს იმ უსაზღვრო სწრაფებას, რის გამოც საპაკით მოხიბლულ ლაზარეს სურს საპაკას მიანეროს არა მხოლოდ ბიბლიის თარგმნა, არამედ მთავარი დამსახურება – სომხური ასო-ნიშნების შექმნა. ამისათვის კი საჭიროა მოვლენების ადგილის სომხეთში გადანაცვლება და მაშტოცისათვის ჭეშმარიტად დამსახურებული დიდების გვირგვინის წართმევა. ლაზარე საყვედურის ლირისა ამ მცდელობის გამო, მცდელობა, რომელსაც შეიძლება ისტორიული ფაქტების დამაზინჯება ვუწოდოთ. საბედნიეროდ, ეს მცდელობა კორიუნის მიერ გადმოცემული დაუზიანებელი (კნობის წყალობით წარუმატებელი გამოიდგა“.<sup>3</sup>

მანუკ აპელიანის თანახმად, „ფარპელი წერს ერთ შერეულ ისტორიას, რომელიც არ ჰგავს არც ხორენელის და არც კორიუნის ნაამბობს, თავადაც ურთიერთსაწინააღმდეგო ცნობებს შეიცავს, გარდა ამისა, ფარპელი წერს სომხური ანბანის აღმოჩენის ისტორიას არა სრულად, არამედ იმდენად, რამდენადაც საჭიროა აჩვენოს საპაკ კათალიკოსის როლი ამ საქმეში... მისი მიზანია საპაკის განდიდება.“<sup>4</sup>

მეცნიერთა ერთი ნაწილი ლაზარე ფარპელის თხზულებაში მაშტო-ცის გრაფემების აღმოჩენასთან დაკავშირებულ ისტორიას უწოდებენ დედნის „დამახინჯებას“, „გადაკეთებას“, ავტორის „ტენდენციურობას“, „

<sup>1</sup> Կորյուն, Վարք Մաշտոցի, 124:

<sup>2</sup> Գր. Խալաթյան, Ղազար Փարպեղի և զործը նորին (Մոսկվա, 1883), 68-73:

<sup>3</sup> Հ. Մարկվարտ, Հայոց այբուբենի ծագումը և ս. Մաշտոցի կենսագրությունը //

«Մերոպ Մաշտոց» հոդվածների ժողովածու (Երևան, 1962), 133:

<sup>4</sup> Ս. Աբեղյան, *Երկեր*, Հ. Գ. (Երևան, 1968), 356:

პირველწყაროს არასწორად გადმოღებას და ა.შ. მათი აზრით, ეს “დამანინჯება”, “გადაკეთება” ფარპელიდან კი არ მოდის, არამედ მისი წყაროდას – კორიუნის “მაშტოცის ცხოვრების” გადაკეთებული ტექსტიდან. სომეს მეცნიერთა ვარაუდით, V საუკუნეში კორიუნის თხზულების დაწერის შემდეგ, ხელნაწერი შეცდომით იქნა აკინძული, მოხდა ცდომილება ტექსტში და ტექსტმა ამგვარი სახეშეცვლილი ფორმით მოაღწია ჩვენამდე, სწორედ ასეთი სახით მოხვდა იგი ლაზარე ფარპელის ხელში. ამიტომ ისტორიკოსი სომხური ანბანის შესახებ თხრობას დანიელ ასურისაგან მოტანილი გრაფემების ისტორიით ამთავრებს და აგრძელებს სამოსატში მაშტოცის მოღვაწეობის ამბების აღწერით. აქვე მიუთითებს, რომ ასო-ნიშნების შესახებ უფრო ვრცლად და სარწმუნოდ იხილეთ კორიუნის თხზულებაში<sup>1</sup>.

ლაზარე ფარპელის ისტორიაში, რომელიც ერთადერთ წყაროდ კორიუნის ნამრამს ასახელებს, ვრცლად არის საუბარი მაშტოცის ცხოვრების შესახებ და არაფერია ნათქვამი ქართული და ალბანური ანბანების გამოგონებაზე. ივ. ჯავახიშვილი მიიჩნევდა, რომ ლაზარე ფარპელს უნდა ესარგებლა კორიუნის თხზულების ისეთი რედაქციით, სადაც მაშტოცის მიერ ქართული და ალბანური დამწერლობის გამოგონების შესახებ საუბარი არ ყოფილა. როგორც ჩანს, ასეთი რამ არ ენერა მის წყაროში.<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილის აზრით, ლაზარე ფარპელს კორიუნის თხზულების ვრცელი ან ვრცელის მსგავსი რედაქციით უნდა ესარგებლა<sup>3</sup>. როგორც ცნობილია, არსებობს კორიუნის თხზულების ორი რედაქცია – ვრცელი და მოკლე. ვრცელი რედაქცია სომხური ანბანის გამომგონებელს მამთოცს უწოდებს, მოკლე რედაქცია კი – მესროპს ან მესრუბს. ერთადერთ გამონაკლისს ნარმოადგენს ვრცელი რედაქციის სათაური, რომელშიც სომხური ანბანის შემქმნელი მესროპად არის ნახსენები, რაც გვიანდელი ცვლილების შედეგი უნდა იყოს. ლაზარე ფარპელი ანბანის გამომგონებელს ყველგან მაშტოცს უწოდებს და არა მესროპს. კორიუნის თხზულების იმ რედაქციას, რომელიც ლაზარე ფარპელს ხელთ ჰქონდა, უძველესად თვლიან ივ. ჯავახიშვილი, მ. თარხნიშვილი და კ. სალია.<sup>4</sup>

ნ. აკინიანი მიიჩნევს, რომ ლაზარე ფარპელის „ისტორიის“ პირველ ნაწილი, სადაც მაშტოცის შესახებ არის საუბარი, VIII საუკუნეშია შექ-

<sup>1</sup> უ. Մաթեվոսյան, Ղազար Փարպեցին Սաշտոցյան գրերի մասին // Պատմաբանակրական հանդես, (2002), 2, 93-111.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი, ძველი სომხური საისტორიო მნიშვნელობა (ტფილისი, 1935), 181-182.

<sup>3</sup> ივ. ჯავახიშვილი, იქვე, 158.

<sup>4</sup> ივ. ჯავახიშვილი, იქვე, 182; M. Tarchnišvili, Sources arméno-géorgiennes de l'histoire ancienne de l'église de Géorgie // Le Muséon (1947), 60, 1-2, 44-45; K. Salia, Note sur l'origine et l'âge de l'alphabet géorgien // Bedi Kartlisa, XV-XVI (43-44) (1943), 13-14.

მნილი ხოსროვ მღვდლის მიერ, მასვე ეკუთვნის საპაკის ხილვაც<sup>1</sup>. ნ. აკინიანის მსგავსად, ლაზარე ფარპელის „ისტორიის“ პირველი წიგნს გვიანი ხანის დანართად შიიჩნევენ ივ. ჯავახიშვილი და ზ. ალექსიძე<sup>2</sup>. ამ მოსაზრების გათვალისწინებით, გამოდის, რომ VIII საუკუნეში მაშტოცი მხოლოდ სომხური ანბანის შემქმნელად იყო მიჩნეული და ჯერ კიდევ არ არსებობდა ცოდნა მის მიერ ქართული და ალბანური ანბანების გამოგონების შესახებ.

4. ლაზარე ფარპელი თავისი ისტორიის პირველი ნაწილის თხრობას, როგორც აღვნიშნეთ, ამთავრებს საპაკ კათალიკოსისა და მაშტოცის გარდაცვალებით. კორიუნის მსგავსად, ისტორიკოსი დეტალურად გადმოგვცემს საპაკის გარდაცვალების ამბავს. ძირითადი შინაარსი ორივე ისტორიკოსთან ერთნაირია, მხოლოდ მცირე დეტალებში გვიჩვენებენ განსხვავებას. ნ. მარი ვარაუდობდა, რომ ლაზარე ფარპელს უნდა ესარგებლა საპაკ პართელის აღსრულების ქართული თარგმანის დედნით<sup>3</sup>, რომელსაც მკვლევარმა ვერსად მიაკვლია. სომხურ ხელნანერებში დასტურდება მხოლოდ საპაკის ცხოვრების მთლიანი წიგნი, რომლის ერთ-ერთ თავს წარმოადგენდა საპაკის „აღსრულებაც“. მეცნიერთა აზრით, საპაკის გარდაცვალების ეს ნაწილი ლაზარე ფარპელის ისტორიიდან უნდა ყოფილიყო აღებული. სომხურ მრავალთავებში საპაკის აღსრულება ცალკე წიგნადაც მოიპოვება, თუმცა რედაქციულად ორივე მათგანი განსხვავდება ქართული თარგმანისაგან<sup>4</sup>.

5. მარის მოსაზრებას თუ გავიზიარებთ, ლაზარე ფარპელის წყარო ამ ნაწილში საპაკის „აღსრულების“ ქართული თარგმანის სომხური დედანი გამოდის და არა კორიუნის თხზულება, მით უფრო, ლაზარეს ცნობა საპაკის გარდაცვალების შესახებ უფრო ახლოს დგას საპაკის „აღსრულების“ ქართულ თარგმანთან, ვიდრე კორიუნის ნანარმოებთან. ლაზარე ფარპელი საპაკის ცხოვრებას, როგორც წყაროს, არ ასახელებს.

6. თოროსიანი ცდილობს განსაზღვროს «Սատեნագրութեան նախնեաց»-ში (Սոփիեք հայկական) გამოქვეყნებული „საპაკის ცხოვრების“ ხელნანერი ნუსხის შექმნის ზედა ზღვარი და ამასთან დაკავშირებით ერთმანეთს ადარებს კორიუნის, ლაზარე ფარპელის, მოხე ხორენელისა და იოანე დრასხანაკერტელის ისტორიებს. თოროსიანის მოსაზრებით, ფარპელი ისეთ ცნობებს გვაწვდის, რომელიც არ არის დაცული არც ხო-

<sup>1</sup> Ն. Ակինեան, Պատմական աղբիւները 380-450 շրջանի համար // Հանդէս Ամսօրեայ (1935), 459:

<sup>2</sup> უხტანესი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომებთაგან, სომხური ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოკვლევით გამოსცა ზაზა ალექსიძემ (თბილისი, 1975), 293.

<sup>3</sup> H. Mapp, Из поездки на Афон // Тексты и разыскания по армяно-грузинской филологии (СПб., 1900), 18.

<sup>4</sup> ილ. აბულაძე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX-X სს-ში, გამოკვლევა და ტექსტები (თბილისი, 1944), 0143-0144.

რენელთან და არც კორიუნთან. აქედან გამომდინარე ფარპელმა ისარგებლა სხვა წყაროთი და ეს წყარო უნდა ყოფილიყო „საპაკის ისტორია“<sup>1</sup>.

საპაკ კათალიკოსის შესახებ თხზულების არსებობას ადასტურებს IX საუკუნის ისტორიკოსი აპარონ ვანანდელი, რომელიც თავის თხზულებაში V საუკუნის წყაროებს შორის ასახელებს საპაკ პართელის „ცხოვრებას“:

«*Խսկ ես, հայր Անհարոն, զարմն Դեւոնդ երիցս յիշաւանից գեղջէ, սպասալոր սրբոյ Խաչին, բազում աշխատութեամբ եւ խուզի քննեալը ի բազում մատենից Հայոց եւ Վրաց յաղազս սրբոյ Խաչին Սծիսիթայի, որ այժմ բնակեալ է յրրկիս մերում ի տեսպութենի խաչելոյն Քրիստոսի, թէ ուստի կամ ո թուե առ մեզ լեալ է, եւ ստուգեալ հասեալ գտի յԱզարանգեղայ պատմազրէ եւ ի Վկայութենէ Շուշանկանն եւ ի Վարուց սրբոյն Մահակայ եւ ի ճգնաւորէն Անդրէասայ: Գտի եւ զարդոյն Հմայենի զՎկայաբանութիւն քառասուն արամքի յտանն Տայոց, որ այժմ Քառասոնի վանք կոչի: Գտի եւ այլ բազում յիշատակ սրբոց, որոց մոռացանք եղեալ ի տագնապ լինելոյ աշխարհիս:»<sup>2</sup> Եխուլո մը, մամա ձարձրոնձա, Եմինდա չշրուս մեաշշրմա, Եռոյցը օչշաբանու Ե՛ւշը Եօ Ծշշանբուսացան Թրազալո Մրազալո և Սոմենյրո დա յարտշլո იսტորոյցիս ցամոնույթու մշեցետու Եմինդա չշրուս Եշեսահեծ, Ռոմելուց დամշաբուժությունու Իշշենս յշշայանածո յշրուցը չշարշմու գասամոնթեծլագ, ուղ ռագրոմ Տաօդան დա արուս ჩշենտան, գամոնթեծյուլագ და զոծոցը ազատանցելուսու ուժորուուան, Շշշանոյու նամշեծու დան, Եմինդա Տաօդան Եկեղեցին դա ծերո անգրշասուսացան. Յձուցը անշաբան Եմինդա Ֆանոյու յաշտան յրտագ գրտագ գրանք յշշանամո, Ռոմելուսաց ամյամագ Ռոմեուու մոնասդյուրո յենուցեցա. Յձուցը անշաբան Սხցա մրազալ Եմինդանու մուսակեցեցելու, Ռոմելուց մոզոնցյածյուլ ոյցնեն յշշանու գանեսացդյուլու յուցնու ցամո:»*

Ռոգորու ჩինեն, „Տաօդան Եկեղեցին“<sup>3</sup> V Տայունենի უնდա ყოფიլուց շեյմնունո. ու, Ռոմ პարտելու Ռոլու V Տայունու Կյուլթուրուլ დա լուգերացյուրուլ Եկեղեցին ուգրո մեցագ արուս Շեցասյեծյուլո լածարյ ფարձեցանու մոյր, Ե. տոռուսունու ածրուտ, ունդա մոմանարյունու սենորու և Տաօդան Տաօդանու նամշրումունացան“<sup>4</sup>.

Պ. անտածունու կրուտույլագ գանինելուաց Ե. տոռուսունու դասկանեց და ալնունեցա, Ռոմ ույզո տոռուսունու մարտալու დա լածարյ Ենարո մարտալաց ոյու „Տաօդան ուստորու“, Ռագրոմ ար Շեյունու մունացա ասյուցը Ենարո յուցուուց մուսե Եռունելու დա յըլուշը. Գարդա ամուսա, Տաօդան Տաօդանու մունեցնու Տայունու նամշրումու արևեցուն Սյուլաց ար ոյու Տայունու, լածարյ ფարპելս Տաօդան „գանգուցեցին“ Տեզա մոնիթու Ֆյունդա:

<sup>1</sup> Խ. Թորոսյան, «*Մահակ Պարթեի վարքը*» և նրա հեղինակը // «Բանքեր համալսարանի» (Երևան, 1967), 2, 206:

<sup>2</sup> *Անհարոն Վանանդացի* եւ պատմութիւն Ս. Խաչին Նունէի, P. Nerses Akinian (Wien, 1949), 113:

<sup>3</sup> Խ. Թորոսյան, «*Մահակ Պարթեի վարքը*» և նրա հեղինակը, 206:

„ფარპელი ვაჳან მამიკონიანის პროტეზე იყო, ეს უკანასკნელი კი – საჳა-კის ნათესავი. 2. ფარპელს სპეციალური მითითება და განზრახვა ჰქონდა „განედიდებინა“ მამიკონიანები და მათი საქმე. 3. ფარპელი, ხორენელი, კორიუნი, ელიშე განსხვავებული ადამიანები არიან თავიანთი მიზნებით, თავიანთი შეხედულებებით, მოვლენებისა და პიროვნებების შეფასების თავიანთი საზომებით და ნაწილობრივ, დროით. 4. ლაზარე ფარპელმა ისარგებლა ზეპირი წყაროებიდან, როგორც თავადაც მონმობს და რო-გორც მიიჩნევს ბევრი გამოჩენილი ფილოლოგი.<sup>1</sup> 5. ხორენელსა და ლა-ზარეს შორის არსებული პერიოდი სრულებით საკმარისი იყო იმისათვის, რომ ეს ზეპირი წყაროები შეცვლილიყო და თავიანთი სახესხვაობები ჰქონდათ.<sup>2</sup>

ლაზარე ფარპელი თავისი ისტორიის შესავალში საუბრობს ვაჳან მამიკონიანის სიმამაცისა და დიადი საქმეების შესახებ და აღნიშნავს, რომ მარზპანი და ქვეყნის მხედართმთავარი ამასვე მოითხოვდა სხვე-ბისგანაც.

«*ლստ აյս օրինაկի զգიცაგებალ սუჟაყეցიანს კმნე თერნ Մასწლინებელ ყაჩან, დორავარნ Հայոց և მარყავან. որոյ հասեալ հրաման առ իս Ղազար արպեցի. որ և սնեալ և ուսեալ առ ոսս առաքինակրօն երանելոյն Աղանայ, որ էր ազգաւ ի հոյակապ և յականաւոր տոհմէն Արծրունեաց...*

Եւ արդ՝ այսպէս հարկաւորեալ բռնադատեաց զուկարութիւնս մեր თეրն Մաსწლიնებეլ ყաჩան, սպարապէտն Հայոց և մարყան, զձեռն արկանել ի գործ, որ ի վեր քան զկար զիտութեան մերոյ էր, քանզի էր քան զքան...

...պիտոյ են յարմարութիւնք քանից, որոշեալ կարգադրութիւնք ըստ հրամանի կանոնեալ զիտութեանն, բերել պատկառելով ստուգագրութիւն՝ անպարսաւ յականջս իմսատասէր լսողաց. յաւելու զանեղեալսն՝ յընդունայն աճմունս քանից. չնուազեցուցանել զեղեալսն և կարձակսուր պատմել քանիւր անփութութեամբ, այլ գրնաւն ողջախոհ զգուշութեամբ բերել ի յայտնութիւն:»<sup>3</sup> [...] და ამ მაგალითոთ გვაფრთხილებს სომხეთის მხედართმთავარი და მარზპანი ვაჳან მამიკონიანი, რომლու ծრծանება მომიզიდა մյ – ლაზარე ფარპელს. ივո აღօზარდა და სნავლობდა სათხო და ნეტარ აღახთა ერთად, რომელიც დიდებული და გამოჩენილი არ-ნრუბთა გვარიდან იყო...

<sup>1</sup> Գ. Խալաթյան, Ղազար Փարպեցի և գործ նորին, 60: Մ. Աբելյան, Երկեր, Ա, 321:

<sup>2</sup> Փ.Փ. Անթաթյան, Մահակ Պարթևի «Վարքի» և նրա հեղինակի մասին // Պատմա-բանասիրական հանդես, 2 (41) (Երևան, 1968), 129-146.

<sup>3</sup> Ղազար Փարպեցի, Պատմութիւն Հայոց և թուղթ առ Կահան Մա-սիկոնեան, 13-17:

და აი, ამგვარად ვაჰან მამიკონიანმა, სპარაპეტმა და მარზპანმა სომხეთის ქვეყნისამ, გვაიძულა ჩვენ ნამოგვენყო ერთი საქმე, რომელიც ჩვენს ცოდნასა და ძალებს აღემატებოდა.

ხოლო საჭიროა ამ საქმის სათანადოდ შესრულება, კანონიერი ცოდნის შესაბამისად ჭეშმარიტად თხრობა, მონინებით დაწერა სიმართლისა, რათა სიბრძნისმოყვარე მსმენელმა არ გაგვიცხოს, არც რაიმე უნდა დავამატოთ გამოტოვებული სიტყვის აღსადგენად და არც დავაკლოთ, არც მოკლედ გადმოვცეთ დაუდევარი სიტყვით, არამედ ყველაფერი ნარმოვაჩინოთ მოთმინებითა და სიფრთხილით.“]

ისტორიკოსმა ვაჰან მამიკონიანის დაკვეთა სრულყოფილად შეასრულა. ა. მათევოსიანი ამ ნაწყვეტზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ ლაზარე ფარპელი თავისი სურვილისმებრ ტექსტს არ შეცვლიდა, არამედ მას ხელთ უნდა ჰქონდა კორიუნის უკავე გადაკეთებული ხუსხა.<sup>1</sup>

არმენოლოგიურ ლიტერატურაში მეცნიერები ხშირად ურთიერთგამომრიცხავ მოსაზრებებს გამოთქვამენ. დავუშვათ, ლაზარე ფარპელს ხელთ ჰქონდა კორიუნის თხზულების გადაკეთებული რედაქცია, ლაზარე, რომელიც პირობას დებს, ზედმინევნით შესარულოს ვაჰან მამიკონიანის დაკვეთა და მოვლენები სრული სიცხადით ნარმოაჩინოს, რატომ არ შეეცდებოდა კორიუნის დამახინჯებული ტექსტის გასწორებას, თუკი ასეთი ტექსტი მართლაც არსებობდა, ყოველ შემთხვევაში თუ არ გაასწორებდა, სარწმუნოდ არ მიიჩნევდა მას და არც მკითხველს მოუწოდებდა ამგვარი ტექსტის ნაკითხვისაკენ: „...რაც ჭეშმარიტად აღწერა ზემოთხსენებულმა სულიერმა კაცმა კორიუნმა, საიდანაც ჩვენ არაერთგზის ნაგიერთხეთ და სარწმუნოდ შევიტყვეთ“. ისიც გამორიცხულია, რომ ლაზარე ფარპელს სიმართლე არ სცოდნოდა. იმ შერიოდის სომხეთის მარზპანი ვაჰან მამიკონიანი და ისტორიკოსი ლაზარე ფარპელი მაშტოცის მოწაფე აღან არნრუნის აღზრდილები იყვნენ. შესაბამისად, კარგად უნდა სცოდნოდათ მაშტოცისა და მის მიერ სომხური გრაფემების აღმოჩენის რეალური ისტორია.

თუკი სომეს მეცნიერთა გარკვეულ ჯგუფს დავუჯერებთ იმასთან დაკავშირებით, რომ ფარპელმა ზეპირი წყაროებით ისარგებლა, მისი მიზანი იყო საჰაკის „განდიდება“ და კათალიკოსის ლვანლის გადაჭარბებულად ნარმოჩენა, რატომ არ შეიძლება იგივე ვიფიქროთ სხვა ისტორიკოსების, თუნდაც კორიუნის მხრიდან მაშტოცისადმი ამგვარ დამოკიდებულებაზე? კორიუნის მიზანი ხომ მისი მასწავლებლის მესაროპ-მაშტოცის ცხოვრების აღწერა და მისი ლვანლის ნარმოჩენაა?! შესაბამისად, მოვლენებსაც, ამ კუთხიდან აფასებს. იქნებ იმიტომ არ ახსენებს ისტორიკოსი საპაპ კათალიკოსის განსაკუთრებულ როლს ანბანის შექმნისა და წიგნების თარგმნის საქმეში, ცდილობს, ამით არ დაამცროს თავისი მასწავლებლის ლვანლი. ლაზარე ფარპელის მიზანი კი ქვეყნის იმდროინდელი ვითარების აღწერაა, იგი გადმოგვცემს სომხეთის ისტორიას და ამ ისტორიაში მონაწილე პირებს რეალურად ნარმოგვიდგენს.

<sup>1</sup> უ. Մաթեվոսյան, Ղազար Փարպեցին Մաշտոցյան գրերի մասին, 99-100:

დასკვნა ასეთია: ლაზარე ფარპელის „სომხეთის ისტორიის“ თანახმად, სომხური ანბანის მოწესრიგებასა და ჩამოყალიბებაში, ახლადშექმნილი სომხური ანბანით თარგმანების შესრულების საქმეში საპაკ კათალი კოსის როლი გაცილებით დიდია, ვიდრე მესროპ-მაშტოცისა. „სომხეთის ისტორიაში“ დაცული ცხობების შესწავლა უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ფარპელის ხელთ არსებულ კორიუნის თხზულებაში არა თუ არ ეწერა მაშტოცის მიერ ქართული და ალბანური ანბანების შექმნის შესახებ, უფრო მეტიც, ლაზარე ფარპელის ისტორიაში მაშტოცი სირიელი ეპისკოპოსი დანიელისაგან მოტანილი სომხური გრაფემების რეფორმატორად არის წარმოდგენილი.

### *Khatuna Gaprindashvili*

### **The Interrelationship between Koriwn and Ghazar Parpetsi on the Subject of the Invention of the Alphabets**

According to the point of view existing in the scientific literature, Ghazar Parpetsi wrote “The history of Armenia” in the 5<sup>th</sup> or 6<sup>th</sup> century. The book consists of three parts. “The history of Armenia” written by Ghazar Parpetsi contains many significant and important information about Georgia and Georgians. We were particularly interested in the first part of the work where historian speaks about the 5<sup>th</sup> century Armenian figure Mesrop-Mashtots and the invention of the Armenian alphabet. In the first part the author describes the political situation of those days in Armenia, in detail tells the story of Mashtots activities and ends his narration with the death of the Catholicos Sahak and Mesrop-Mashtots. Describing the facts the only source which is mentioned in the “History” is the work written by Koriwn (Armenian historian in the 5<sup>th</sup> century).

The article presents a comparative analysis of the works of Ghazar Parpetsi and Koriwn, showing the textual relationship of these two works. Textual similarities and differences between them are identified.

Ghazar Parpetsi in his “History” describes the social and political situation in Armenia, clearly presents a political picture of the country before the invention of the Armenian alphabet. Koriwn was the younger student of Mashtots and eyewitness to the events of that period. Although, the author says nothing about the country's current political situation.

This difference between the works of Ghazar Parpetsi and Koriwn may not show a big editorial difference. Ghazar Parpetsi is historian and his main goal is to describe the historical and political events. What seems only strange is that Koriwn who introduces us his teacher as the inventor of Armenian, Georgian and Albanian scripts, does not talk about needs and purposes of the alphabets' invention.

2. Controversial issue among scientists is the information about the alphabets' invention preserved in the history of Ghazar Parpetsi. According to the ‘History’ Mashtots with Sahak Catholicos only reformed the Armenian alphabet, brought

from the bishop Daniel. There is no information about invention of Georgian and Albanian alphabets by Mesrop-Mashtots.

The history of alphabet's invention preserved in Ghazar Parpetsi's work opposes the information of Koriwn. It is known that Parpetsi uses "The Life of Mashtots" written by Koriwn as a source and introduces this as a reliable history about Mashtots's life and the invention of the Armenian script. According to Koriwn, after inventing the Armenian alphabet Mashtots was concerned about Georgians and Albanians and created the scripts for them.

3. The important moment in these two works are the details revealed in the relationship of Mashtots and the Catholicos Sahak. In "The History of Armenia" of Ghazar Parpetsi, in contrast of Koriwn's work, the role of the Catholicos Sahak is presented much larger than Mesrop-Mashtots in the resolution and refinement of the Armenian alphabet. The eleventh chapter of Ghazar Parpetsi's work is devoted to the contribution of the translations from Greek into Armenian by the Catholicos Sahak.

Some scientists think that Ghazar Parpetsi changed the history, its purpose was to glorify Sahak and derogate from the merit of Mesrop-Mashtots.

Gazar Parpetsi in his "History" (where the only source is the work of Koriwn) speaks a lot about the life of Mashtots and does not mention the invention of the Georgian and Albanian alphabets. Iv. Javakhishvili considered that Ghazar Parpetsi used such material of Koriwn's work, in which had not been mentioned the invention of Georgian and Albanian scripts by Mashtots. Apparently, there was nothing said in his source.

4. As mentioned above Ghazar Parpetsi ends the first part of his story with death of the Catholicos Sahak and Mashtots. Similarly to Koriwn, the historian tells in detail the story of the death of Sahak. The main content of both historians are the same, there are only small difference in the details. In N. Marr's opinion, Ghazar Parpetsi's source in this part could be the Armenian original of Georgian translation of Sahak's "expiration and not the work of Koriwn. But "The Life of Sahak" is not mentioned as Ghazar Parpetsi' source.

Ghazar Parpetsi writes the History ordered by Vahan Mamikonyan, so the author would not change the text. It is also out of the question that Ghazar Parpetsi would not have known the truth. The Armenian military leader Vahan Mamikonyan and historian Ghazar Parpetsi were brought up by Mashtots' student Aghan Artsrun. Therefore, they should have known the real history about Mashtots's life and the invention of Armenian script by him.

If some Armenian scientists believe that Ghazar Parpetsi used the oral sources, his purpose was to glorify Sahak Catholicos and his merit was exaggerated, why we can't think the same about other historians, even about Koriwn towards Mashtots? To describe the life of his teacher Mesrop-Mashtots and present his merit, this was the aim of Koriwn. The events are shown in this point. Maybe the historian does not mention the special role of the Catholicos Sahak in the invention of the alphabets and in translation of the book in order not to derogate his teacher's merit. The purpose of Ghazar Parpetsi was to describe the

situation of the country in that time. He tells the history of Armenia and the persons involved are represented realistically.

To sum up, according to the information, kept in “The history of Armenia”, gives us the right to think that Ghazar Parpetsi used the work of Koriwn where nothing was written about Georgian and Albanian alphabets’ invention by Mashtots. Moreover, according to the “History” of Ghazar Parpetsi Mesrop-Mashtots is presented as a reformer of Armenian alphabet brought from the Syrian Bishop Daniel.

**ნანა გელაშვილი, მაღაზ არჩვაძე  
XVII საუკუნის სპარსული საისტორიო წყარო ირან-საქართველოს  
ურთიერთობების შესახებ<sup>1</sup>**

1501 წელს ირანის ხელისუფლების სათავეში სეფიანთა დინასტიის მოსვლით აბიერკავკასიის ქვეყნები ახალი გამოწვევების წინაშე დადგა. ალნიშნული დინასტიის წარმომადგენლები გეგმაზომიერად შეუდგნენ ქართული სამეფო-სამთავროების, ქართლისა და კახეთის სამეფოების, ასევე ნაწილობრივ სამცხე-საათაბაგოს დამორჩილებას.<sup>2</sup> მიუხედავად ირანის აგრძესიული საგარეო პოლიტიკისა, ქართლისა და კახეთის სამეფოებმა არ დაკარგეს ეროვნული და რელიგიური იდენტობა. თავის მხრივ, ირანიც იძულებული იყო, საქართველოს ვასალური დამოკიდებულებით შემოიფარგლულიყო. ისტორიიდან ცნობილია, რომ თეიმურაზ I-ის (1606-1663) და დაუდ-ხანის ანტისეფიანურ აჯანყებას შაჰ სეფი I-ის (1629-1642) მიერ „გურჯისტანის ვალის“ თანამდებობაზე ბაგრატიონთა დინასტიის მუსლიმი წარმომადგენლის - ხოსრო-მირზას, იგივე როსტომ-ხანის დანიშვნა მოჰყვა, რამაც გარკვეული დროის მანძილზე ქართლის სამეფოს შედარებითი სიმშვიდე მოუტანა. როსტომ-ხანის მხრიდან ქართლში ფეხის მტკიცებულებას ემსახურებოდა ოდიშის მთავრის ლევან II დადიანის (1611-1658) დაზე - მარიამზე მისი დაქორწინება. ხევებული ქორწინების შედეგად ძალები შემდგენარად გადანაწილდა: ერთი მხრივ - გაძლიერების გზაზე მდგარი ქართლის სამეფო, რომელიც უშუალოდ ირანის მფარველობით სარგებლობდა, დაუნათესავდა ოდიშის სამთავროს, რომელსაც იმჟამად წამყვანი პოზიცია ეკავა დასავლეთ საქართველოში; მეორე მხრივ კი - არასტაბილური კახეთისა და ლევან დადიანის მიერ არაერთგზის აოხრებული იმერეთის სამეფოები აღმოჩნდნენ. იმავდროულად, ამ ღონისძიებით, რა თქმა უნდა, ოსმალეთთან მიმართებაში ირანის შორსმიმავალი გეგმებიც გამოიკვეთა.

განსახილველი პერიოდის საქართველოსა და ირანს შორის განვითარებული პოლიტიკური ურთიერთობების შესახებ მრავალრიცხოვანი წყაროები არსებობს ქართულ, სპარსულ, თომალურ, სომხურ, ევროპულ და რუსულ ენებზე, რომელთა დიდი ნაწილი უკვე გამომზეურებული და შესწავლილია.<sup>3</sup> ამჯერად ჩვენი ყურადღება ფოკუსირებულია აბუ ალ-მა-

<sup>1</sup> ალნიშნული თხზულება მოგვაწოდა ბატონმა გროგოლ ბერაძემ, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებთ.

<sup>2</sup> უფრო ვრცლად იხ. ნანა გელაშვილი, ირან-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI ს. (თბილისი, 1995), 4-5.

<sup>3</sup> ჩვენთვის საინტერესო პერიოდის სპარსული წყაროების შესახებ იხ. ნანა გელაშვილი, XVII საუკუნის სპარსული საისტორიო თხზულებები საქართველოს შესახებ. - აღმოსავლეთი და კავკასია, 4 (2006), 38-41.

ფახერ ბინ ფაზლ ალ-ჰუსაინი სავანეჟ ნეგარ თაფრეშის ნაშრომზე - „თარიხ-ე შაჳ საფი“ („შაჳ სეფის ისტორია“), რომელიც ქართულ ისტორიოგრაფიაში მოხმობილი არ ყოფილა. ნაშრომი თვითში ილველის თვალით ასახავს შაჳ სეფის მოღვაწეობას და რაც ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, ზოგიერთ კონტექსტში საქართველოსა და ირანში მოღვაწე ქართველებსაც ეხება. ალნიშნული წყარო პირველად 2010 წელს გამოქვეყნდა ირანში ყაზინის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორის მოპსენ ბაჳრამნეჟადის მიერ „ჩესტერ ბითისა“ და აიათოლა მარაში ნაჯაფის ბიბლიოთეკებში დაცულ ხელნაწერებზე დაყრდნობით (მესამე ხელნაწერის შესახებ არსებსებობს უურნალ „აირანაში“ დაცული მცირე ალნერილობა, რომლის მიხედვითაც ხელნაწერი ავლანეტში უნდა ყოფილიყო, თუმცა როგორც ამას მოპსენ ბაჳრამნეჟადი ალნიშნავს, მას ვერ მიაკვლიეს).<sup>1</sup> თამამად შეიძლება, ითქვას, რომ ის ნარმოადგენს XVII საუკუნის 30-40-იანი წლების ირან-საქართველოს ურთიერთობების შესახებ არსებულ ახალ ისტორიულ წყაროს. შესაბამისად, წინამდებარე პუბლიკაციის მიზანია საქართველოს შესახებ მასში დაცული ინფორმაციის ნარმოჩენა და შეჯერება სხვა წყაროთა მონაცემებთან.

სამწუხაროდ, „შაჳ სეფის ისტორიის“ ავტორის ბიოგრაფიის დეტალები ბურუსითა მოცული. სპარსულებნოვან წყაროებშიც მის შესახებ ცნობები არ გეხვდება. ძირითადი წყარო აბუ ალ-მაფახერ თაფრეშის ცხოვრების შესახებ მისივე ისტორიული თხზულებაა. როგორც თხრობიდან ირკვევა, ის შაჳ აბას I-ისა (1587-1629) და შაჳ სეფი I-ის ზეობის პერიოდში მოღვაწეობდა. მისი თხზულების პირველივე გვერდებზე მოხსენიებულია აბუ ალ-მაფახერის მამის სახელი - ფაზლ-ალლაჰი და დაბადების ადგილი - თაფრეში.<sup>2</sup> მირ მოპამად ჰოსეინ თაფრეში, რომელიც ასევე შაჳ სეფის არასრული, დაუმთავრებელი ბიოგრაფიის ავტორია, აბუ ალ-მაფახერ თაფრიში თავის ძმად იხსენიებს (ალნიშნული ნაშრომი მოპსენ ბაჳრამნეჟადმა აბუ ალ-მაფახერის თხზულებას დაურთო თან დაერთ წიგნად გამოსცა 2010 წელს). აბუ ალ-მაფახერი თავის თხზულებაში ალნერილი ამბების თვითმხილველია, რაც გვაძლევს მის ვარაუდის უფლებას, რომ იგი სეფიანთა სამეფო კარის გარემოცვაში ტრიალებდა. ის ხშირად უშუალოდ მალემსრბოლებისგან იღებდა ინფორმაციას და ლოგიკურია, რომ მას სამეფო დოკუმენტებზეც ექნებოდა წვდომა. თხზულებიდან ნათლად ჩანს, რომ ის ერთგვარ, ყოველწლიურ ანგარიშს აკეთებდა მომხდარი ამბების შესახებ. მისი თხზულება შაჳ აბას I-ის გარდაცვალებითა და იმავე წელს შაჳ სეფი I-ის გამეფებით იწყება (1629 წ.).

<sup>1</sup> Abu al-Mafakhir bin Fazl Allah Al-Husaini Savanij Nigar Tafrishi, Tarikh-i Shah Safi, with Muhammad Husayn al-Husayni al-Tafrishi, Mabadi-yi Tarikh-i Zaman-i Navvab-i Rizvan Makan, Introduced, edited annotated by Mohsen Bahramnezhad (Tehran, 2010), 25-26.

<sup>2</sup> თაფრეში - ქალაქი ირანის ისლამური რესპუბლიკის დასავლეთ ნაწილში, მარქაზის ოსტანში.

თხრობა მოიცავს შაპ სეფის ზეობას და სრულდება მისი გარდაცვალებით და ყუმში დაკრძალვით ჰიჯრის 1052 წელს (=1642 წ.).<sup>1</sup>

აბუ ალ-მაფახერ თაფრები, შუა საუკუნეების სხვა მემატიანების მსგავსად, ხელისუფლების მეხოტბეა. ის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს შაპის და მის ქვეშევრდომთა გადაჭარბებულ ქება-დიდებას. ტექსტის გამომცემლის აზრით, ერთადერთი ფაქტორი, რომელიც მას სხვა თანამედროვე მემატიანეთაგან განასხვავებს, ძველირანული ტიტულატურის შემოტანაა; კერძოდ, შაპ სეფისთან მიმართებაში ის ხშირად იყენებს ისეთ ტიტულებს, როგორებიცაა: „ფარრ“, „შაპინ-შაპ“, „შაპ-ე შაპინ“, „შაპ-ე ფერეიდუნ მანზელათ“, „ხოსროვ ჯამშიდ ფარრ-ი“, „ფარმანდე-იე ირან მადარ“, რომლებიც მმართველი შაპის ალმატებული ხოტბისათვისაა გამოყენებული. ამით კი ავტორი მონარქის ლვონიური წარმომავლობის პრინციპის წარმოჩენას ცდილობს, ოლონდ ამ შემთხვევაში მათ ძველ ირანელ მითოლოგიურ პერსონაჟებს უკავშირებს.<sup>2</sup>

დაუდ-ხანი ის პირველთაგანია დანარჩენ ქართველთა შორის, რომელსაც აბუ ალ-მაფახერი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს; შაპ სეფის მაზანდარანში გამგზავრების სამზადისზე საუბრისას, ის დაუდ-ხანის აჯანყების ამბებსაც ეხება. მისი ცნობით, დაუდ-ხანი, რომელსაც ის არაერთი საწყევარი ეპითეტით ამკობს, ჭეშმარიტ რწმენას განუდგა, თეიმურაზ მეფეს ეახლა და „მის გულში ეშმაკობითა და ტყუილით აჯანყების მარცვალი ჩააგდო“. დაუდ-ხანს დაუხოცავს ყაჯარებისგან შემდგარი თავისი ჯარის ნაწილი და თეიმურაზთან ერთად განჯა და ბარდა მოურბევია. ადგილობრივებმა თავდაცვა ვერ შეძლეს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მისი გამგებლობა თავად დაუდ-ხანს ებარა. გარდა ამისა, აბუ ალ-მაფახერი ზემოთნახსენებ „რწმენისგან განდგომას“ კიდევ ერთხელ აფიქსირებს; კერძოდ, ის აღნიშვნავს, რომ დაუდ-ხანს ეკლესიაში დაუნწყია სიარული. <sup>3</sup> აღნიშნულ ცნობას ნაწილობრივ ევროპელი მისიონერი, დონ პიეტრო ავიტაბილეც ადასტურებს. მისი სიტყვით, „ამ მხარეში [საქართველოში] ჩვენთან დაუდ-ხანის დარჩენა ფორტუნას რომ ენებებინა, სრულიად უეჭველი იქნებოდა, რომ ჩვენს წმინდა სარწმუნოებას მიიღებდა, რის შესახებაც განსაკუთრებულ ნიშნებს ავლენდა“. <sup>4</sup> ამ აჯანყებას დაუდ-ხანის ძმის, ფარსის ბეგლარბეგის იმამ ყული-ხანის შაპის კარზე გამოძახება მოჰყვა, რომელიც ბრძანებისამებრ ეახლა შაპს. <sup>5</sup> ეს

<sup>1</sup> Abu al-Mafakhir bin Fazl Allah Al-Husaini Savanij Nigar Tafrishi, Tarikh-i Shah Safi, with Muhammad Husayn al-Husayni al-Tafrishi, Mabadi-yi Tarikh-i Zaman-i Navvab-i Rizvan Makan, Introduced, edited annotated by Mohsen Bahramnezhad (Tehran, 2010), 25-26.

<sup>2</sup> იქვე, 33.

<sup>3</sup> იქვე, 87.

<sup>4</sup> დონ პიეტრო ავიტაბილე, ცნობები საქართველოზე (XVII ს.), შესავალი, თარგმანი და კომენტარები ბეჟან გიორგაძისა (თბილისი, 1977), 45.

<sup>5</sup> Tafreshi, Tarikh-i Shah Safi, 87-90.

ცნობა მთლიანად ემთხვევა ისქანდერ მუნშის თხზულებაში უფრო ვრცლად და ამომწურავად მოთხოვილ ამბავს.<sup>1</sup> ამ კონტექსტში მხოლოდ ერთ მნიშვნელოვან გარემობაზე ვამახვილებთ ყურადღებას; კერძოდ, სპარსული წყაროები უნდილაძეების ოჯახის ამოხოცვის მოტივად დაუდ-ხანის აჯანყებას თვლიან. მათი მონაყოლის თანახმად, შაპ სეფის მხოლოდ მას შემდეგ მიულია უნდილაძეების ირანში დარჩენილი წარმომადგენლების ამოხოცვის გადაწყვეტილება, რაც დაუდ-ხანი თეიმურაზ მეფესთან ერთად აჯანყდა და განჯა-ყარაბალი მოარბია.

აღნიშნული მოვლენები ქართულ წყაროებში განსხვავებულადაა აღნერილი: „სხავლულ კაცთა“ ცნობების მიხედვით, რომელსაც ვახუშტი ბატონიშვილიც ეყრდნობა, დაუდ-ხანი მხოლოდ მას შემდეგ გაიქცა ირანიდან თეიმურაზ მეფის კარზე, რაც შაპ სეფიმ მისი ძმა და შვილები დახოცა (შეიძლება ითქვას, რომ იტალიელი მისიონერი დონ ქრისტეფორო კასტელი ნანილობრივ ქართველი მემატიანების პოზიციას იზიარებს).<sup>2</sup> გასაკვირი არაა, რომ დანარჩენი ქართველი ისტორიკოსებისგან განსხვავებულ ინფორმაციას გვაწვდის ფარსადან გორგიჯანიძე, რომელიც ხოსრო-მირზას ბანაკის ნევრი იყო და შესაბამისად, მტრული დამოკიდებულება ჰქონდა უნდილაძეების გვარის მიმართ. ის ირანელი ისტორიკოსების მსგავსად, უნდილაძეების გვარის ამონწყვეტის მოტივად დაუდ-ხანის განდგომას ასახელებს.<sup>3</sup> ცხადია, საქმე გვაქვს ორ პოლიტიკურ დაჯგუფებასთან, სადაც ერთ მხარეს უნდილაძეების კლანი დგას, მეორე მხარეს კი - ხოსრო მირზა და შაპ სეფის სამეფო კარი. მიუხედავად ამ დასხვა წყაროების სიმრავლისა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ძნელია, ცალსახად, რომელიმე ზემოთხსენებული პოზიციის მხარდაჭერა, თუმცა ნათელია, რომ სეფიანი მემატიანები ერთგვარად ცდილობენ, რომ მათეული ინტერპრეტაციით ყველაფერი დაუდ-ხანს გადააბრალონ და მიწერმალონ უნდილაძეთა მიმართ შაპ სეფი I-ის სამეფო კარის მტრული დამოკიდებულება. ამ უკანასკნელს ალბათ, მცირე საბაბიც ეყოფოდა, რომ მთლიანად ამონწყვიტა მათი საგვარეულო, რომელიც უზომოდ იყო აღზევებული ირანში. სავარაუდოა, რომ დაუდ-ხანი უკვე ინფორმირებული იყო ამის შესახებ და უბრალოდ დაასწრო შაპ სეფი I-ს იმ სადამსჯელო ღონისძიებების გატარება, რაზედაც ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი. იმამყული-ხანიც, სავარაუდოა, რომ დაუდ-ხანის აჯანყების შემდგომ უდანაშაულოდ შეეწირა თავისი ძმის ამბიციებს. თუმცა, ისიც და-

<sup>1</sup> ისქანდერ მუნში, აბასის ქვეყნის დამამშვნებელი ისტორიის გაგრძელება, სპარსული ტექსტის გამოკვლევა, ქართული თარგმანი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნანა გელაშვილმა (თბილისი, 1981), 52-56.

<sup>2</sup> ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, პირველი ტექსტი. – ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგრილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, ტომი II (თბილისი, 1959), 416.

<sup>3</sup> ფარსადან გორგიჯანიძე, ისტორია, ს. კავაბაძის გამოცემა. – საისტორიო მოამბე, II (1925), 238-239.

საშვებია, რომ ის პასიურ მონაწილეობას იღებდა აჯანყებაში.<sup>1</sup> გარდა უკვე განხილული მოვლენებისა, აბუ ალ-მაფახერი ცალკე თავს უთმობს იმამ ყული-ხანის ოჯახის ამონწყვეტას, სახელწოდებით: „იმამ ყული-ხანისა და მის სახლეულის ამონწყვეტის ამბავი, რომელიც [ზაჰ სეფის] ყაზ-ვინში გამოზამთრების დროს მოხდა“.<sup>2</sup> ამ თავში ავტორი იმამ ყული-ხანის უშუალო მკვლელებსაც ასახელებს. როგორც ცნობილია, იმამყული-ხანისა და მისი შვილების მკველელობა მისსავე სიძეებს, დაუდ-ბეგ გურჯის, ალი-ყული ბეგ სააკაძეს და ქელბალი-ბეგ ეშიკალასის დაავალეს.<sup>3</sup> აბუ ალ-მაფახერი კი ალი ყული-ბეგის გვერდით მკვლელობის შემსრულებლებად კიდევ ერთ პიროვნებას ასახელებს – მოყრაბ ალ-ჰაზრათ ალ-ალიათ ალ-ალიეს, რომელებმაც „მას მომაკვდინებელი მახვილი ჩას-ცეს და ცხენიდან სამარცხვინოდ გადმოაგდეს. მისი შვილი, რომელიც ლარის გამგებელი და დივანის ამირა იყო, მათი სადამსჯელო მახვილის მსხვერპლი გახდა. [იმამ ყული-ხანის] დანარჩენ შვილებსაც შორსმჭვრეტელმა თვალმა დაუხშო სინათლე“.<sup>4</sup>

„შაჰ სეფის ისტორიაში“ თხრობა გრძელდება სეფიანთა სამეფო კარზე „საქართველოს დაპყრობის“ ცნობის მისვლით და იმ ღონისძიებების აღნერით, რომელებიც ირანის სამხედრო ძალებმა სპასალარ როსტომ-ხან სააკიძის მეთაურობით საქართველოში განახორციელეს. კერძოდ, აქ საუბარია ციხეების აღება-შეკეთებაზე, ასევე თორლვას ციხის აღებაზე. საყურადღებოა, აბუ ალ-მაფახერის ცნობები როსტომის ქორნინების შესახებ. ავტორი გვამცნობს, თუ როგორ შეეცადა იმერეთის მეფე [იგულისხმება იმერეთის მეფე გიორგი III (1604-1639)] ხელი შეეშალა აღნიშნული მოვლენისთვის. ის თავს დაესხა მექორნილებს, მაგრამ საბედნიეროდ, დროზე მიუსწრეს ყიზილბაშთა ჯარებმა და დადანის მხარდამხარ არათუ უკუაციეს იმერეთის მეფე, საკუთრივ იმერეთიც კი დაიმორჩილეს.<sup>5</sup> თუმცა მოპამად იუსუფის ცნობით, რაც უფრო სანდოდ მიგვაჩნია სხვა თანადროული წყაროების ანალიზის საფუძველზე, იმერეთის მეფე გიორგი III და თეიმურაზი ქორნილის ჩასაშლელად როსტომ-ხანთან შესახვედრად მიმავალ ლევან დადიანის ამალას ჩაუსაფრდნენ და მათ შორის ბრძოლა გაიმართა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ქართული წყაროები ამ ბრძოლაში თეიმურაზის მონაწილეობას არ ახსენებენ. აღნიშნულ ბრძოლაში გამარჯვე-

<sup>1</sup> ნანა გელაშვილი, საქართველო და ირანი XVII ს-ის 30-იან წლებში (სპარსულ სასტორიო თხზულებათა შუქჲე). - ქართული დიპლომატია, წელიწერული, როინ მეტრეველი (თბილისი, 1996), 198.

<sup>2</sup> Tafreshi, Tarikh-i Shah Safi, 95-97.

<sup>3</sup> ისქანდერ მუნში, აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება, სპარსული ტექსტის გამოკვლევა, ქართული თარგმანი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნანა გელაშვილმა (თბილისი, 1981), 59; დავით კაციტაძე, ქართველები XVII საუკუნის ირანში. - ახლო აღმოსავლეთი და კავკასია, 3 (2005), 126.

<sup>4</sup> Tafreshi, Tarikh-i Shah Safi, 96.

<sup>5</sup> იქვე, 100-101.

ბა ლევან დადიანს დარჩა. როსტომ-ხანსაც მოუწია იმერეთის საზღვარზე - ოქროს ციხესთან ბრძოლა არდაპანის მმართველ საფარ-ფაშას მიერ იმერეთის მეფის დასახმარებლად გაგზავნილ მეთოვეთა რაზმის წინააღმდეგ, სადაც მან გამარჯვება მოიპოვა და ლევან დადიანსაც მიაშველა თავისი ჯარის ნაწილი.<sup>1</sup> როგორც ჩანს, აბუ ალ-მაფახერი გვერდს უვლის როსტომსა და საფარ-ფაშას მეთოვეთა რაზმს შორის მომხდარი ბრძოლის ამბავს და მკითველის მთელი ყურადღება ლევან დადიანის მიერ იმერეთის მეფის დამარცხებაზე გადააქცს, გამარჯვებაში განსაკუთრებულ წვლილს კი ყიზილბაშ მეომრებს მიაწერს. თუმცა აქ საინტერესოა თავად ავტორისეული მიდგომა საკითხისადმი. კერძოდ, ირანელი მემატიანის აზრით, სამეგრელოსა და იმერეთს შორის არსებული დაპირისპირება და ამ ბრძოლაში სამაგრელოს მთავრის გამარჯვება, ირანის შაჰის მოხელის მიერ ისმალეთის გავლენის სფეროს - იმერეთის სამეფოს დამორჩილებად უნდა აღქმულიყო.

ამრიგად, ჩვენს ხელთაა ახალი ისტორიული წყარო, რომელიც სეფიანთა ხანის სპარსული საისტორიო მწერლობის ფრიად თვალსაჩინო ნიმუშს ნარმოადგენს. მასში საყურადღებო ცნობებია დაცული ირან-საქართველო ურთიერთობების შესახებ, კერძოდ, დაუდ ხანისა და თეიმურაზ I-ის აჯანყების, დაუდ-ხანის მიერ „რწმენისგან განდგომისა“ და ეკლესიაში სიარულის ამბის, იმამ ყული-ხანის ოჯახის ამოწყვეტის, ქართლის ვალის როსტომის და როსტომ-ხან სააკაძის ქართლში შემოსვლის, ქართლ-კახეთის ტერიტორიაზე მათ მიერ ჩატარებული ლონისძიებების, როსტომის და ლევან დადიანის დამოყვრების ამბები და სხვა ნაკლებად მნიშვნელოვანი მოვლენები, რაზედაც ამჯერად ყურადღებას აღარ ვამახვილებთ.

ამრიგად, „შაჰ სეფის ისტორიის“ კვლევა მნიშვნელოვანია არამხოლიდ XVII საუკუნის ირან-საქართველოს ურთიერთობების ისტორიის რიგი მოვლენების გასაშუქრებლად, არამედ როგორც ახალი წყაროს უკვე რეგიონალურ კონტექსტში არსებულ კვლევებში გამოსაყენებლად. რაც შეეხება აბუ ალ-მაფახერის ძმის, მუჰამმად ჟუსაინ ალ-ჰუსაინი ათ-თაფრების დაუსრულებელ ხაშრომს - „მაბადი-ე თარიხი-ე ზამან-ე ნავ-ვაბ-ე რეზვან მაქან“, მასში შედარებით მნირი ინფორმაცია გვხვდება საქართველოს შესახებ, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს მისი, როგორც სეფი-ანთა ხანის წყაროს მნიშვნელობის უგულებელყოფას. აქედან გამომდინარე, მისი შესწავლა და კვლევა საუბრის ცალკე თემას ნარმოადგენს.

<sup>1</sup> ისქანდერ მუნში, აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება, სპარსული ტექსტის გამოკვლევა, ქართული თარგმანი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნანა გელაშვილმა (თბილისი, 1981, 63); (მოპამედ იუსუფის თზულება - „ხოლდ-ე ბარინ“ დართულია ირანელი მკვლევრის სოპეილი ხანსარის მიერ გამოცემულ ისქანდერ მუნშის თზულებაზე - „ზეილ-ე თარიხ-ე ალამარაი-ე აბბასი“, რომელიც ამავე სახით ქართულად თარგმნა, გამოიკვლია და გამოსცა ნანა გელაშვილმა).

The reforms of Safavid Shah Abbas I(1587-1629) transformed Iran as powerful and centralized state. The success of military reform, which played a big role in the development of Iran, was aimed by the favor of Allahverdi-Khan Undiladze, military-political figure with Georgian roots. Except of the Undiladze dynasty at the same time promoted the other Georgian dynasties as the Saakadzes, the Bagrations etc. in the royal family. Despite of the definite changes this condition continued its existence after the death of Shah Abbas I. In the period of Shah Safi I (1629-1642) there promoted the dynasties from Georgia, which replaced the other Georgian families in Iran.

Many written sources about Iranian-Georgian relationships at the abovementioned age exist in Georgian, Persian, Ottoman, Armenian, European and Russian languages, main part of which is already discovered and studied. This time our attention is mainly emphasized on 'History of Shah Safi' by Abu al-Mafakhir bin Fazl Allah Al-Husaini Savanih Nigar Tafrishi, which is yet not studied in Georgian historiography. The work describes Shah Safi's (1629-1642) activities told by a witness as well as it tells about some contexts of Georgians carrying out activities in Georgia and Iran, which is especially significant for us.

Unfortunately, biography of the 'History of Shah Safi's" author is not known. There is not information about him even in Persian sources. Main source about Abu al-Mafakhir Tafrishi's life is in his own historical work. Abu al-Mafakhir was a witness of the events described in his work, which enables us to suppose that he was close to Safavid royal court. The work evidently shows that he drew up an annual report about events happened.

Daud-Khan is the first of the Georgians to whom Abu al-Mafakhir gave the special attention; he describes Daud-Khan and King Teimuraz I(1606-1663) anti-Safavian rebellion who carried out a joint raid to Ganja-Karabakh. This information is interesting also because it confirms the story set forth in other Persian sources, in particular, in Iskander Munshi's historical work "Zeyl-i Tarikh-i Alamara-yi Abbasi", according to which Daud-Khan's rebellion caused destruction of Undiladze noble kin members who stayed in Iran. Such interpretation contradicts to data contained in Georgian sources (works of Beri Egnatashvili and Vakhushti Batonishvili), according to which Daud-Khan's escape from Iran was caused by murder of his brother Imamkuli Khan (Georgian historian Parsadan Gorgijanidze who carried out activities at Safavid court, tells the same story as in Persian sources). Abu al-Mafakhir gives attention to murder of Imamkuli-Khan and one of his work's chapter is titled "Imamkuli-Khan and his family destruction story, which took place when [Shah Safi] was spending winter in Kazvin", which describes Imamkuli-Khan's and his sons assassination.

Besides Daud-Khan rebellion, Abu al-Mafakhir tells about further events; he describes Rostom-Khan – Vali of Kartli and commander of Qizilbash troops -

Rostom-Khan Saakadze's arrival to Georgia, their activities carried out there, in particular, process of fortresses conquering and recovery, events related to Kartli and Kakheti unification as well.

Afterwards outhor speaks about Rostom and Odishi Governor's sister Mariam Dadiani's wedding, Levan Dadiani's and Rostom-Khan victory over Imereti king and conquering of Imereti kingdom. As it is known from history, Levan Dadiani indeed encountered with Imereti king who forced him to turn back. At the same time Rostom fought gunmen's troop sent by Ardahan governor Safar Pasha to give aid to Imereti king on Imereti border near Okros Tsikhe, which he defeated and helped Levan Dadiani with a part of his army. We emphasize attention on this fact as the author's interpretation is especially interesting. Abu al-Mafakhir hushed up Rostom and Safar Pasha gunmen's troop fighting and credited Qizilbash troops exaggerated contribution to Levan Dadiani's victory over Imereti king.

From the source, which consists of 205 pages, we have elaborated the pieces only, connected with the relationships between Georgia and Iran. "history of Shah Safi" is not certainly limited by the relationship between these two countries; it reflects a significant information about economic-political and structural condition of the state in the period of Shah Safi I. It gives us the good materials about the relationships between Iran and Near and Middle East.

Therefore, research of "History of Shah Safi" is important not only for interpretation of XVII century Iranian-Georgian relationships history, but also it is important as a new source entile in the regional context.

## ნანი გელოვანი

მუსლიმ ქალთა პირველი სასწავლებლები საქართველოში (1906-1912)

სამხრეთ კავკასიაში მუსლიმ ქალთა განათლების იდეა ეკუთვნის აზერბაიჯანელ განმანათლებელსა და პუბლიცისტს – ჰასან-ბეგ მელი-ქოვს (ზარდაბი), რომლის დამხმარე გახდა მისი ცოლი – მეფის არმიის ოფიცირის, ასლანბეგ აბაევის ქალიშვილი ხანიფა. 1873 წელს ჰასან-ბეგმა მოაწყო პირველი თეატრალური ნარმოდგენა აზერბაიჯანულ ენაზე, ხოლო ხანიფა ხანუმმა, რომელსაც დამთავრებული ჰქონდა ტფილისის ნმ. ნინოს სასწავლებელი, სახლში დაარსა პირველი სკოლა მუსლიმი გოგონებისათვის. ისინი გეგმავდნენ გოგონებისათვის კერძო პანსიონის გახსნას, მაგრამ ეს მოითხოვდა თანხებს, რაც ოჯახს არ ჰქონდა. ეს იდეა რეალურად განახორციელა აზერბაიჯანელმა მეცენატმა და პირველი გილდიის ვაჭარმა ჰაჯი ზეინალაბდინ ტაგიევმა. მან ჯერ კიდევ იმპერატორ ალექსანდრე III-ს მიმართა თხოვნით, რათა ნება დაერთო გაეხსნა ბაქოში სკოლა მუსლიმი გოგონებისათვის, სადაც მათ შეეძლოთ ესნავლათ მშობლიურ ენაზე. ალექსანდრე III-მ არ დააკმაყოფილა ეს თხოვნა. მოგვიანებით, გ.ზ. ტაგიევმა იმპერატორ ნიკოლოზ II-ის (ცოლს ალექსანდრა ფეოდოროვნას გაუგზვნა ძალიან ძვირფასი საჩუქარი კორონაციის ცერემონიასთან დაკავშირებით და სთხოვა შუამდგომლიბა სკოლის გასახსნელად. 1898 წლის 16 მაისს დამტკიცდა ბაქოს რუსულ-მუსლიმური ქალთა სასწავლებლის ნებდება, ხოლო 26 მაისს მიღებულ იქნა დედოფალ ალექსანდრა ფეოდოროვნას ნებართვა, რომ სასწავლებელს მიკუთვნებოდა მისი სახელი. 1900 წლის 24 აპრილს ჰ. ტაგიევმა სახელმწიფო ბანკში შეიტანა 125 ათასი რუბლი, რომლის პროცენტებზეც უნდა ეარსება ამ სასწავლებელს. 1900 წლის 27 მაისს იმპერატორმა ნიკოლოზ II-მ მაღლობა გადაუხადა ჰ. ზ. ტაგიევს „ამ გულუხვი საჩუქრისათვის“. სასწავლებლის მშენებლობაც განხორციელდა მისი შენირულობით (მთლიანობაში 184 000 რუბლი).<sup>1</sup>

<sup>1</sup> იხ.: Farhad Jabbarov, First secular school for women in the Muslim East, ელექტრ. ვერსია: [irs-az.com/new/pdf/201401/1389794842531468076.pdf](http://irs-az.com/new/pdf/201401/1389794842531468076.pdf); Документы и письма из личных архивов А.М. Топчibashi и Дж. Гаджисебейли (1903–1934 гг.), (Москва, 2012); Азиза Назарли, Народное Образование в Азербайджанской Республике (1918–1920 гг.), (Баку, 2008); В. Арзуманлы и М. Гюльмалыев, АДР и развитие национальной культуры, Гаджиева Г. и Зарбалиев Т. Национально-культурные процессы в АДР и др. – Азербайджанская Демократическая Республика (литература, язык, культурное строительство), Баку, 1998; Фуад Ахундов. Образованная женщина – гарант образованной нации. Женская школа Г. З. Тагиева в Баку = Fuad Akhundov. Educating Women to Educate a Nation. The Tagiyev School for Girls in Baku = Fuad Akhundov. Savadli millətin təməli - savadli qadin.H.Z. Tağıyevin Bakıdakı qızlar məktəbi (Baku, 2007). United Nations

სკოლის საზეიმო გახსნა შედგა 1901 წლის 9 ოქტომბერს. ფრანგმა მწერალმა დე ბაიბ ბაქოს ქალთა სკოლას უწოდა „მიუღწეველი სასოცირება“. წესდების თანახმად, ეს იყო დახურული ერთკვლასიანი სასწავლებელი, სადაც შეეძლოთ ესწავლათ მხოლოდ მუსლიმ-გოგონებს 7 წლის ასაკიდან. სასწავლო კურსი 4 წელი გრძელდებოდა, ხოლო ბოლო წელი განკუთვნილი იყო დამატებითი პროფესიული კლასისათვის, სადაც ისწავლებოდა ხელსაქმე<sup>1</sup>. სასკოლო მეცადინეობები დაიწყო 1901 წლის 7 სექტემბერს. სკოლაში მიიღეს 58 გოგონა, მათგან 35 იყო უდარიბესი ოჯახიდან და ისინი გათავისუფლდნენ სწავლის გადასახადისაგან. მოგვიანებით ამ სკოლის აღზრდილი ნაბაჭ ნარიმანოვა იხსენებდა: „რუსეთში, ახლო და შუა აღმისავლეთში, მთელ მუსლიმურ სამყაროში არ იყო ასეთი მეორე სკოლა, ევროპული ტიპის ანალოგი. ამ სკოლის დამთავრებულებმა შეადგინეს აზერბაიჯანის პირველი ქალი-პედაგოგების ძირითადი კადრები. რა თქმა უნდა, მრავალმა გააგრძელა სწავლა ამ სკოლის დამთავრების შემდეგ – გახდნენ ექიმები, ეკონომისტები, ბიბლიოთეკარები, მეცნიერ-მუშაკები. მე ვიცი მხატვრები, დოკუნტები, პროფესორებიც კი, რომლებიც ოდესადაც იყვნენ ამ ქალთა სკოლის კურსდამთავრებულები. მრავალი მოსწავლე ჩამოსული იყო შუშიდან და ტფილისიდან“.<sup>2</sup> 1913 წელს სკოლა გადაიქცა მასწავლებელთა სემინარიად მუსლიმი ქალებისათვის.

ბაქოში სკოლის გახსნის შემდეგ რუსეთის იმპერიის სხვა კუთხე-ებშიც გაიხსნა მუსლიმ გოგონათა სკოლები – ტფილისში, ყაზანში, ბამ-კირიასა (ბამკირეთსა) და დალესტრანში.

ნინამდებარე ნაშრომში განხილული იქნება ქ. ტფილისში მუსლიმ ქალთა განათლებისა და პირველი სასწავლებლების ისტორია კავკასიის მუსლიმური თემის შესახებ საქართველოს საარქივო დოკუმენტებსა<sup>3</sup> და პერიოდულ პრესაში დაცული მასალების საფუძველზე.

ჯერ კიდევ 1882 წელს დაიწყო საუბარი ქ. ტფილისში მუსლიმ ქალთა დახურული ტიპის სასწავლებლის გახსნის თაობაზე.<sup>4</sup> რამდენიმე წე-

Development Programme, ელექტრ. ვერსია: [www.az.undp.org/.../AZ\\_Women\\_education\\_b...](http://www.az.undp.org/.../AZ_Women_education_b...); А. А. Ганич. Деятельность Духовных правлений мусульман Закавказья (XIX – начало XX века) по материалам фондов Центрального государственного исторического архива Грузии. – Восхваление: Исааку Моисеевичу Фильшинскому посвящается..., отв. ред. М.С. Мейер, науч. ред., сост. В. А. Кузнецов, ред. К. Т. Осипова (Москва, 2008), 92.

<sup>1</sup> Сборник распоряжений по управлению Кавказским учебным округом, т.8, 1897 - 1897г.г. (Тифлис, 1899),701-705.

<sup>2</sup> Farideh Heyat, *Azeri Women in Transition: Women in Soviet and Post-Soviet Azerbaijan* (London and New York, 2002),69-70.

<sup>3</sup> Исламская община Кавказа по документам грузинских архивов 1800-1917 гг. = ჯავახეთის ისლამური თემი საქართველოს საარქივო დოკუმენტებში 1800-1917 წლებში = 1800-1917-ci illər gurcu arxiv sənədlərinə görə qafqazin islam icması: [Сборник / авт. сб. и введение Гела Гуниава], (Кум, 2013).

<sup>4</sup> 1882 წელს ი. გასპრინსკიმ (ერთ-ერთი პირველი მუსლიმი სწავლული რუსეთის იმპერიაში, რომელმაც გაანალიზა განათლების, კულტურული

რილობითი მიმართვა რუსეთის სახალხო განათლების მინისტრის ი.დ. დელიანოვის სახელზე უარყოფილ იქნა. სპეციალური მიმართვაც გაეგზავნა განსახილველად რუსეთის იმპერიის უმაღლეს მმართველ ორგანოს – მინისტრთა კომიტეტს, რომელმაც განაცხადა, რომ „პავკასიაში მუსლიმი გოგონებისათვის სპეციალური სასწავლებლის დაარსებამ შეიძლება ხელი შეუწყოს კავკასიის მუსლიმების თანდათანობით დაახლოვებას ადგილობრივ ქრისტიანულ მოსახლეობასთან“, ასევე რუსული ენის ათვისებას. თუმცა კომიტეტის შურნალში ხაზგას-მული იყო, რომ ასეთი ტიპის სკოლები კავკასიის გუბერნიაში იხსნებოდა საზოგადოებრივი და პირადი სახსრებით და თუ აუცილებელი სახ-სრების თუნდაც ნაწილს მოიპოვებდნენ (შემოწირულობების გზით) ად-გილობრივი მუსლიმები ტფილისში ამ სასწავლებლის დასაფინანსებ-ლად, მაშინ მთავრობა არა მხოლოდ მორალურ (დებულების საპოლოო შემუშავება, სასწავლო პროგრამით და აუცილებელი სასწავლო პერსო-ნალით უზრუნველყოფა), არამედ მატერიალურ დახმარებასაც აღმოუ-ჩენდა (მთავრობა გამოყოფდა სუბსიდიის სახით გარკვეულ თანხას სასწავლებლის შესანახად). მაგრამ ეს შუამდგომლობა არ დაკმაყო-ფილდა პრაქტიკულად 12 წელი.<sup>1</sup>

---

რეფორმების და მოდერნიზაციის აუცილებლობა მუსლიმური მოსახლეო-ბისათვის) გაზეთში “Нешприят Исмаилие. Терджиман”-ის ექსპერიმენტული გამოცემა) გამოაქვეყნა სტატია “Нужно ли учить женщин?”, რომელიც გახდა საპროგრამო ნაშრომი ქალთა განათლების საკითხში. იქ ავტორი წერს ტფილისში ქალთა მუსლიმური სასწავლებლის გახსნის შესაძლებ-ლობაზე, „Софац гогонებს ასწავლიდნენ სხვადასხვა საგანს და ხელსაქ-მეს. მასზავლებლები იქნებოდნენ მხოლოდ ქალები და მამაკაცის ფეხი არ გადააბიჯებდა ამ დაწესებულების ზღურბლს“. ი. გასპრინსკი პილემიკას აწარმოებს მეითხველებთან, რომლებიც თვლიდნენ, რომ მუსლიმი ქალი-სათვის განათლება არ არის აუცილებელი [Л. Ш. Диникова, Проблема женской эмансипации в просветительской деятельности И. Гаспринского. – *Culture and Civilization.* 5-6 (2013), 13]; უფრო ადრე კავკასიის ნაცვალი მიხეილ ვორონცოვი (1844-1854) განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა მუსლიმურ სკოლებს და 1847 წელს ტფილისში გაიხსნა ორი სასწავლებელი სუნიტებისა და შიიტებისათვის (ალიევის სექტის მუსლიმურ სასწავლებელი), ხოლო ორი წლის შემდეგ კიდევ 6 მუსლიმური სკოლა: ორი სუნიტებისათვის დერბენდსა და შემახამი და შიიტებისათვის ბაქოში, შემახაში, შუშასა და ელიზავეტპოლში. Н.А.Нефляшева, *Мусульманское образование на Северо-Западном Кавказе (вторая половина XIX - начало XXв.)*, (2010). ელექტრ. ვერსია: <https://ahedu.net/articles/russian/religiya/1829>; Свод действующих штатов гражданских учреждений ведомства Наместника Кавказского, составленный в Главном Управлении Его Императорского Высочества (Тифлис, 1865), 434-467.

<sup>1</sup> Исламская община Кавказа по документам грузинских архивов 1800-1917 гг. = კავკასიის ისლამური თემი საქართველოს საარქივო დოკუმენტებში 1800-1917 წლებში = 1800-1917-ci illər gurcu arxiv sənədlerinə görə qafqazin islam icması, 418-422.

1895 წლის 31 ივნისს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველმა (პ. პ. იანოვსკი) შუამდგომლობით მიმართა კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებელს, სადაც აღნიშნულია, რომ ტფილისის მუსლიმ ქალთა დახურული ტიპის სასწავლებელში, ისლამის რელიგიასთან ერთად იგეგმებოდა შემდეგი დისციპლინების სწავლება: რუსული ენა, რუსეთის ისტორია და გეოგრაფია, არითმეტიკა ქალთა პროგიმნაზიების კურსის ფარგლებში, ასევე ხაზვა, ხატვა და ხელსაქმე. ნერილში იყო საგანგებო თხოვნა, რომ კავკასიის სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებელს გაეცა სათანადო განკარგულებები, სახელდობრ: მოენოდებინათ ამიერკავკასიის მხარის შეძლებული მუსლიმებისათვის, რათა გაელოთ შემოწირულება; განხილული ყოფილიყო საკითხი სასწავლებლის შესანახად ვაკების თანხების შესაძლო გამოყენების შესახებ; შემოწირულობების შესაგროვებლად ტფილისში, ბაქოში, ელიზავეტპოლში, ერივანსა (ეրევანი) და სხვა ქალაქებში კომიტეტების ორგანიზება.<sup>1</sup>

1895 წლის 27 ნოემბერს და 1896 წლის 13 იანვარს ამიერკავკასიის (სამხრეთ კავკასიის) მუფთიმ (გუსეინ ეფენდი გაიბოვმა) და შეიხულისლამმა (ახუნდ ზადემ) მიმართეს პროვინციების შეძლებულ მუსლიმებს დახმარებისათვის. შეიხულ-ისლამის ცირკულარში ამიერკავკასიის შიიტური საგუბერნიო მეჯლისებისდმი აღნიშნულია, რომ საჭირო იყო 50000 რუბლი მუსლიმ გოგონათა სკოლის შენობის ასაშენებლად და 15 000 რუბლი ყოველწლიურად მიმდინარე ხარჯების დასაფარად. ხაზგასმული იყო აგრეთვე, რომ მუსლიმ გოგონათა სასწავლებელში დაცული იქნებოდა შარიათის ნორმები და მუსლიმურ საზოგადოებაში არსებული ტრადიციები. სკოლის დირექტორი და რუსული დისციპლინების მასწავლებლებიც იქნებოდნენ განათლებული და ღირსეული მუსლიმი ქალები. ხოლო თუ ასეთი მასწავლებლები ვერ მოიძებნებოდა, ამ თანამდებობებზე წარდგენილ იქნებოდნენ განათლებული და აზერბაიჯანული ენის სათანადოდ მცოდნე სხვა ეროვნების ქალები იქამდე, ვიდრე აღნიშნულ სასწავლებელს არ ეყოლებოდა ღირსეული აღზრდილები. საღვთო სჯული (სუნიტური და შიიტური) ასევე უნდა ესწავლებინათ მუსლიმ ქალებს და თუ ასეთები არ მოიძებნებოდა, მაშინ მოწვეულ იქნებოდნენ განასაკუთრებული ღვთისმოსაობით და მაღალი მორალური თვისებებით გამორჩეული მუსლიმური სამდვდელოების ხანდაზმული წარმომადგენლები.<sup>2</sup> თუმცა, საარქივო დოკუმენტებით ირკვევა,

<sup>1</sup> Исламская община Кавказа по документам грузинских архивов 1800-1917 гг. = კავკასიის ისლამური თემი საქართველოს საარქივო დოკუმენტებში 1800-1917 წლებში = 1800-1917-ci illər gurcu arxiv sənədlərinə görə qafqazin islam icması, 416-420.

<sup>2</sup> იქვე, 425-428; Ayten Merdan Hacilar, General View on Education of Muslim Women in the Beginning of XX Century in Tiflis. – International Journal of Turkish Literature Culture Education, Volume 1/2 (2012),85.

რომ შემოწირულობების შეგროვება რთული და წინააღმდეგობრივი აღმოჩნდა.

1895 წელს სამხრეთ კავკასიაში უკვე არსებობდა 15 ორქლასიანი, 14 ერთკლასიანი სკოლა გოგონებისთვის, და დაახლ. 150 შერეული სკოლა. ამ სკოლებში სწავლობდა 4,700 გოგონა.

თბილისში დაარსებულმა ქალთა საქველმოქმედო ორგანიზაციებმა დიდი როლი შეასრულეს შერეული ტიპის სკოლების დაარსებაში. თუმცა, არცერთი მუსლიმი გოგონა არ სწავლობდა ამ საგანმანათლებლი დაწესებულებებში. ძირითადი მიზეზი იყო მუსლიმური ტრადიციები და კონსერვატიზმი, რაც უკრძალავდა მამაკაც მასწავლებლებს გოგონათა განათლებაში ჩართვას.

1905 წლის 10 ივნისს კავკასიის ნაცვალმა ი. ვორონცოვ-დაშვილმა თბილისში მიიღო ელიზავეტპოლის, ბაქოს გუბერნიის, ტფილისის გუბერნიის ბორჩალოს მაზრის, ასევე დალესტნისა და ბათუმის ოლქების მუსლიმური მოსახლეობის წარმომადგენლები. მან სამართლიანად მიიჩნია მათ პეტიციაში წარმოდგენილი მოთხოვნები და აღუთქვა, რომ განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევდა სკოლების გახსნას მშობლიურ ენაზე, ქალებისა და მუსლიმთათვის სასწავლო დაწესებულებების დაარსებას, ასევე დაქმარებოდა გაზეთების, უურნალების და წიგნების გამოცემაში მშობლიურ ენაზე.<sup>1</sup>

1906 წლის 3 მარტს, თბილისის წმინდა ნინოს გოგონთა სასწავლებელში შედგა გახსნის ცერემონია მუსლიმთა სამლოცველოსი და ცალკე კლასის, სადაც ასწავლიდნენ თეოლოგიას და მშობლიურ ენას 50 მუსლიმ მოსწავლეს. ის ამენებულ იქნა ტფილისის მმართველის ბარონ პ.ა. რაუშ ფონ ტრაუბენბერგის მეუღლის – ი.ა. ვორონცოვა-დაშვილას სახსრებით.<sup>2</sup>

1906 წლის 14 აპრილს გაზეთი „ტიფლისკი ლისტოკი“ წერდა, რომ ამიერკავკასიის (სამხრეთ კავკასიის – ნ.გ.) მუსლიმური მოსახლეობისათვის ყველაზე მწვავე პრობლემა იყო სახალხო განათლება, სახელდობრ, სასწავლებლების გახსნა მუსლიმი გოგონებისათვის. კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის მოხსენების საფუძველზე, ტფილისის მუსლიმ ქალთა სასწავლებლის გახსნასთან დაკავშირებით სახელმწიფო სახსრებით, კავკასიის მეფისნაცვალმა ი. ვორონცოვ-დაშვილმა შეუძლებლად მიიჩნია იმ ეტაპზე მუსლიმური მოსახლეობის მოთხოვნის დაკმაყოფილება. თუმცა დაფინანსების სხვა წყაროების მოსაძიებლად სამოსწავლო ოლქის მზრუნველის თანაშემნის ლ. გ. ლოპატინსკის

<sup>1</sup> Документы и письма из личных архивов А.М. Топчебаши и Дж. Гаджисебейли (1903–1934 гг.). Сост., предисл. и прим. С.М. Исхаков (Москва, 2012); Д.Б. Сеидзаде, Азербайджанские депутаты в Государственной думе России (Баку, 1991), 15.

<sup>2</sup> Merdan Hacilar, General View on Education of Muslim Women in the Beginning of XX Century in Tiflis, 86.

ხელმძღვანელობით დაარსდა სპეციალური კომისია, რომელსაც უნდა შეედგინა მუსლიმთ ქალთა სასწავლებლის (პანიონით) პროექტი და ხარჯთაღრიცხვა და ასევე მოეძიებინა სახსრები მის ასაშენებლად და შესანახად. მეფისისაცვალმა მოიწონა კომისია შემდეგი შემადგენლობით: სამხრეთ კავკასიის მუფთი ს. ს. გუსეინ ეფენდი გაიბოვი, სამხრეთ კავკასიის შეიხულ-ისლამი ახუნდ ებდუსალამ ახუნდზადე, სპეციალური დანიშნულების მოხელები მეფისანაცვალთან - ასელდარ ბეგ კაზანალიპოვი; ალაიარ ბეგ ზულგადაროვი; კავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის თარჯიმანი მირზა-შერიფ მირზაევი; ტფილისში მუსლიმთა საქველმოქმედო ორგანიზაციის თავმჯდომარე პოდპოლკოვნიკი იბრაჰიმ ფაშა ალა ვექილოვი; მილიციის პროპორჩიკი ნადირ ბეგ იადიგაროვი; ტფილისში მუსლიმური სასწავლებლების მზრუნველი იბრაჰიმ ბეგ ტერეგულოვი; ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის, გენერალ-მაიორის მაჟუსუდ ალიხანოვ-ავარსკის მეულლე - ქალბატონი ზარინ-თაჯ ბეგუმ ალიხანოვა (გენერალ-მაიორ კელბალი ხან ნახიჩევანსკის ქალიშვილი - ნ.გ.); ნისა ხანუმ (ხანშა) გაფარი იბრაგიმბეკოვა, ქვრივი ქალბატონი ჰამიდა დოვატაროვა, ამიერკავკასიის ქალთა ინსტიტუტის ინსპექტორი პ.ე. მელეგერი და კავკასიის მუზეუმის დირექტორი ა.ნ. კოზნაკოვი.<sup>1</sup>

მოგვიანებით ტფილისში მუსლიმ გოგონათა პირველი სკოლის გახსნაში დიდი წვლილი მიუძღვის ე. დ. ასპისოვას, რომელმაც თხოვნით მიმართა ტფილისის პროვინციის ნაციონალური სკოლების დირექტორს, რათა დაერთო ნება გაეხსნა კერძო სკოლა მუსლიმი გოგონებისათვის ტფილისში და 1906-1907 სასწავლო წლიდან „შეძლებული ქალის ე.დ. ასპისოვის ხარჯით“ პოლიციის მე-6 ნაწილში (ვორონცოვის ქუჩაზე, იბრაგიმოვის სახლში) დაარსდა ტფილისში მუსულმანთა პირველი საქალებო სასწავლებელი<sup>2</sup>. 1906 წლის 19 ნოემბერს ჩატარდა სკოლის კურთხევა, რომელზე დასასწრებად მინვეული იყვნენ სხვადასხვა საზოგადოების წარმომადგენლები. გახსნის ცერემონიაზე მიწვეული იყო აზერბაიჯანელი მეცენატი ჰ. ზ. ტაგიევი, რომელიც იყო მაგრამ ვერ დაესწრო ავადმყოფობის გამო. თუმცა გააგზავნა მისალოცი დეპეშა და 25 ათასი რუბლი.<sup>3</sup>

სკოლაში მიიღებოდნენ გოგონები 7- დან 12 წლამდე. წლიური სწავლის საფასური იყო 60 რუბლი. ისწავლებოდა რუსული და თათრუ-

<sup>1</sup> К открытию в Тифлисе мусульманского женского учебного заведения. – *Tiflisskiy Listok*, 14го апреля 1906 года; Merdan Hacilar, General View on Education of Muslim Women in the Beginning of XX Century in Tiflis, 85.

<sup>2</sup> ახალი ამბები: [თბილისში მუსულმან ქალთა სასწავლებლის დაარსება ე. დ. ასპისოვას ხარჯით]. – ტალღა, 16 ნოემბერი, № 25 (ტფილისი, 1906), 2; მაჰმადიანთა ქალების სკოლა: [ხალი სკოლის კურთხევა]. – მეგობარი, 16 ნოემბერი, № 44 (ტფილისი, 1906), 2.

<sup>3</sup> Манаф Сулейманов, *Дни минувшие (Исторические очерки)*, перевод Э.Ахундовой, ელექტრ. რესურს. <http://myazerbaijan.org/index.php?p=history/34>.

ლი (აზერბაიჯანული) ენები,<sup>1</sup> არითმეტიკა, სუფთა წერა, ხელსაქმე და შარიათი. თავდაპირველად 15 მოსწავლე მიიღეს, აქედან 5 გათავისუფლდა სწავლის გადასახადისაგან. მოსწავლეთა მცირე რაოდენობის მიზეზი სწორედ სწავლის მაღალი საფასური იყო.<sup>2</sup>

სკოლას მწირი მატერიალური ბაზა ჰქონდა. ცნობილი მუსლიმი ინტელექტუალები, მაგალითად გუსეინ ბეი მინასაზოვი<sup>3</sup> და სხვები, მიმართავდნენ გაზეთების საშუალებით ქალაქის მმართველობას, რათა დახმარებოდნენ სკოლას მატერიალურად. 1906 წლის 2 დეკემბერს თბილისში მაჰმადიან ქალთა სასწავლებლის დამაარსებელმა ე.დ. ასპი-სოვამ სთხოვა ტფ. ქალაქის გამგეობას ემუამდგომლა ქალაქის საბჭოს წინაშე სკოლაში რამდენიმე სტიპენდიის დაარსებისათვის.<sup>4</sup> მოგვიანებით, 1907 წლის 8 თებერვალს „ტფილისის ქალაქის სასწავლებელთა კომისიამ განიხილა მუსულმან ქალებისათვის სასწავლებლის დამაარსებლის ქ-ნ ასპიროვის (ასპისოვა – ნ.გ.) შუამდგომელობა, რომ აღმოუჩინოს ყოველ წლიური დახმარება. კომისიამ დაადგინა, სთხოვოს საბჭოს, გადასდოს ამ სკოლისათვის წლიურად 500 მანეთი“.<sup>5</sup> თბილისის ქალაქის საბჭოს 1907 წლის 7 მაისის სხდომაზე კვლავ განიხილეს „ე.დ. ასპისოვას მაჰმადიანთა სკოლისათვის თანხების გამოყოფის საკითხი და საბჭომ 500 მანეთი დაუნიშნა სკოლას“.<sup>6</sup> თუმცა, რეალურად ქალაქის ადმინისტრაციამ არაფერი არ გააქეთა სკოლის დასახმარებლად. შედეგად, ე. დ. ასპისოვას სკოლა დაიხურა გახსნიდან სამი წლის შემდეგ.<sup>7</sup>

მეორე ასეთი სკოლა მუსლიმი გოგონებისათვის გაიხსნა 1910 წელს. დაახლოებით 70 გოგონა სწავლობდა ამ სკოლაში. სწავლის სა-

<sup>1</sup> თათრულ (აზერბაიჯანულ) ენას აქ ასწავლიდა კოპარ ხანუმ გაიბოვა. ენტუზიაсты народного образования... 18 апреля 2011, ელექტრ. ვერსია: [https://www.ourbaku.com/index.php/Энтузиасты\\_народного\\_образования...](https://www.ourbaku.com/index.php/Энтузиасты_народного_образования...)

<sup>2</sup> Merdan Hacilar, General View on Education of Muslim Women in the Beginning of XX Century in Tiflis,88.

<sup>3</sup> 1905 წლიდან ტიფლისის გაზეთებში გაიხსნა მუსლიმური განყოფილებები და პერიოდიკის («Новое обозрение», «Кавказ») ფურცლებზე რეგულარულად ქვეყნდებოდა რუსეთში განათლება მიღებული ცნობილი აზერბაიჯანელი პროგრესისტების (ე. სულთანოვის, გ. მინასაზოვის, ს. მეჰმანდარივას) წერილები, სადაც ისინი რუსულენოვან მკითხველს აცნობდნენ მუსლიმი ხალხების პრობლემებს. გ. მინასაზოვი განიხილავდა ქალთა ემან-სიპაციას, როგორც აქტუალურ სოციალურ პრობლემას. *История общественно-культурного реформаторства на Кавказе и в Центральной Азии (XIX – начало XX века)*, (Самарканда, 2012),43.

<sup>4</sup> მაჰმადიანთა სკოლა. – მეგობარი, № 57 (ტფილისი, 1906), 2.

<sup>5</sup> ტფ. ქალაქის სასწავლებელთა კომისიამ . . . . – ისარი, № 28(1907, 8 თებერვალი), 3.

<sup>6</sup> საბჭოს სხდომა. – ისარი, № 99 (1907, 9 მაისი).

<sup>7</sup> Merdan Hacilar, General View on Education of Muslim Women in the Beginning of XX Century in Tiflis, 88.

ფასური არ იყო ისე მაღალი და სწავლის პერიოდი სამი წლით განი-საზღვრებოდა. სკოლაში ისწავლებოდ შარიათი, რუსული და თათრული (აზერბაიჯანული) ენები, არითმეტიკა, ხელსაქმე. სკოლის საპატიო რწმუნებული გახდა ბაქოელი ნავთობმრეწველი და მეცენატი ავარ ბეკ აშურბეგოვი. თუმცა ამ სკოლაშიც ისეთივე პრობლემები გაჩნდა რო-გორიც ასპისოვას სკოლაში და 1912 წლის დასაწყისში ის დაიხურა.<sup>1</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ მუსლიმ გოგონათა კერძო სკოლების და-ხურვის შემდეგ ტფილისში აღარ იყო სკოლები, სადაც მუსლიმ გოგო-ნებს შეეძლოთ განათლების მიღება. მართალია, ზემოხსენებული სა-განმანათლებლო დაწესებულებები მცირე პერიოდის განმავლობაში ფუნქციონირებდა, მაგრამ მათ დიდი როლი შეასრულეს მუსლიმ გოგო-ნათა აღზრდა-განათლებაში და ზოგადად, განათლებისადმი ინტერე-სის გაღვიყებაში.

### *Nani Gelovani*

#### **First Schools of Muslim Women in Georgia (1906-1912)**

In the previous work, a history of Muslim women education and first schools in Tiflis will be discussed based on Georgian archives relative to Caucasian Muslim community and protected materials in the periodical press.

Even in 1882 year, a conversation started to launch closed-type school of Muslim women in Tiflis. A special appeal to the highest executive body of the Russian Empire - Council of Ministers was sent for further consideration. The Council of Ministers stated, "Establishing a special school for Muslim girls in Caucasus may promote a gradually rapprochement of Caucasian Muslims and local Christian dwellers" and studying Russian language as well. Though there was underlined in a committee magazine that these kinds of schools in the Caucasus governorate are inaugurated with the public and private means and if local Muslims in Tiflis earn at least a part of essential resources (due to donation) for financing this school, then the government will support not only morally (the final development of the regulations, ensuring with the curriculum and necessary academic personnel), but materially (the government would apportion a distinct sum as a subsidy for maintenance this school) also. But this solicitation has not been satisfied apparently during 12 years.

Later E.D. Aspisova did her bit in opening first school of Muslim girls in Tiflis. She asked director of national schools in Tiflis province to permit her launching a private school for Muslim girls in Tiflis and since 1906-1907 the first school of

<sup>1</sup> Merdan Hacilar, General View on Education of Muslim Women in the Beginning of XX Century in Tiflis, 89; A.X.Пашаев, *Очерки истории азербайджанской школы в Грузии в XIX- начале XX веков* (Баку, 1997), 109-117.

Muslim women in Tiflis was established in the police 6<sup>th</sup> division (Vorontsov str., Ibragimov house). On November 19, 1906 was held a “school sanctify”, where various representatives of the society were invited to attend. An Azerbaijani Maecenas H.Z. Tagiyev was also invited to the opening ceremony, but due to his illness, he was unable to attend. Although, he sent a greeting card and 25.000 rubles.

Girls with the age from 7 to 12 years were accepted at the school. An annual tuition fee was 60 rubles. The following subjects were taught at the school: Russian and Azerbaijan languages, arithmetic, calligraphy, needlework and Sharia. Initially 15 pupils were accepted, five of them exempted from the tuition fee. The reason of small quantity of pupils was a high tuition fee.

The school owned a scanty material base. Famous Muslim intellectuals such as Huseyn Bey Minasazov and others addressed to the board of the city by the means of the papers to render assistance to the school materially. On December 2, 1906, the founder of Muslim women school in Tiflis E.D. Aspisova asked municipal government to intercede with the city council to establish some scholarships. Lately on February 8, 1907, a commission of schools in Tiflis ascertained requesting the council to postpone 500 rubles for this school annually. However, actually city administration did nothing for the school assisting. Subsequently the school of E.D. Aspisova suppressed after 3 years from opening.

The second school of the same kind for Muslim girls was opened in 1910. Approximately 70 girls were studying at this school. The tuition fee was not so high and learning period defined for three years. The subjects taught at school were: Sharia, Russian and Turkish languages, arithmetic, needlework. Nevertheless, this school faced the same difficulties as the school of Aspisova and at the beginning of 1912, it closed down.

It should be noted that after closing private schools of Muslim girls in Tiflis, there were not any other schools where Muslim girls were able to receive an education.

## **ემზარდაძე თანამედროვე თურქეთის საშინაო პოლიტიკის პრობლემები**

2015 წელს ჩვენს მეზობელ თურქეთში განვითარებულმა მოვლენებმა მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო. ბუნებრივია, არ შეიძლება ეს მოვლენები, პირველ, რიგში, საქართველოსთვის არ იყოს მნიშვნელოვანი. ის, თუ როგორ განვითარდება მოვლენები თურქეთში, აუცილებლად იქინიებს გავლენას ჩვენს ქვეყანაზე, ამიტომ აუცილებელია გვქონდეს ნამოდგენა იმ პროცესებზე, რომლებიც თურქეთში მიმდინარეობს.

ბოლო თხუთმეტი წელია, დანარჩენ მსოფლიოსთან ერთად, ინტერესით და გარკვეული შეშფოთებითაც ვადევნებთ თვალყურს თურქეთში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს, მისი ლიდერის, პრეზიდენტ რეჯეფ ტაიფ ერდოღანისა და ისლამური ხასიათის მქონე „სამართლანობისა და განვითარების“ პარტიის საქმიანობას.

მიუხედავად იმისა, რომ რესპუბლიკური თურქეთის დამაარსებელმა ქემალ ათათურქმა ახალი თურქეთი დააფუძნა სეკულარიზმისა და ეპროპეიზმის პრინციპებზე, თანამედროვე თურქეთის პოლიტიკური ცხოვრება, მნიშვნელოვანნილად იქცა ამ პრინციპებსა და რელიგიური ხასიათის მქონე ე. წ. თურქულ „ტრადიციონალიზმს“ შორის ბრძოლის მიზეზად.

ცხადია, „ლაიციზმად“<sup>1</sup> წოდებულმა ათათურქის სეკულარიზმის ტრადიციამ სერიოზულად დაიმკვიდრა ადგილი თურქულ საზოგადოებაში, მაგრამ თურქეთის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი, განსაკუთრებით პროვინციული მოსახლეობა, დღემდე უფრო „ტრადიციონალიზმის“ ზე-ჩვეულებების მატარებელია.

სწორედ ამიტომ თურქეთის რესპუბლიკის ლაიცისტური კურსის უზრუნველყოფას ყოველთვის სჭირდებოდა მძლავრი გარანტი, რომელსაც ათწლეულების მანძილზე ლაიციზმის პრინციპებზე მყარად მდგომი თურქეთის შეიარაღებული ძალები წარმოადგენდა. თურქი სამხედროები ტრადიციულად ღრმად იყვნენ ჩართული ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში და თურქეთის ისტორიის მნიშვნელოვან მომენტებში მკვეთრი ჩარევით გადამწყვეტ სიტყვას ამბობდნენ თურქეთის ცხოვრებაში.<sup>2</sup> მათ სამჯერ მოახდინეს სამხედრო გადატრიალება - 1960, 1971 და 1980 წელს, 1997 წელს კი, დამაჯერებელი ზეწოლის შედეგად, ხელისუფლებას

<sup>1</sup> ლაიციზმი (წარმოდგება ფრანგული სიტყვიდან „laïcité“, რაც ნიშნავს საერო ხასიათს. იგი გულისხმობს რელიგიის გამოყოფას სახელმწიფოსაგან).

<sup>2</sup> მაია მანჩხაშვილი, ემზარდაძე, ქემალიზმი და დემოკრატიზაცია თურქეთში( თბილისი, 2014), 6.

ჩამოაშორეს მაშინდელი ისლამისტი პრემიერ-მინისტრი ნეჯმეთინ ერბა-ქანი და დახურეს ისლამური „კეთილდღეობის პარტია“. ისლამისტი პრე-მიერის დროშა მტკიცედ აიტაცა ხელმი მისმა ყველაზე ნიჭიერმა და ენერგიულმა მოწაფემ რეჯეფ ტაიფ ერდოღანმა, მან დაშლილი „კეთილ-დღეობის“ პარტიის ბაზაზე დაარსა „სამართლიანობისა და განვითარების“ პარტია, დაძლია ყველანაირი პოლიტიკური დევნა, აკრძალვები და 2002 წლს საპარლამენტო არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ მოვიდა ხელისუფლებაში.<sup>1</sup>

ერდოღანისა და მისი „სამართლიანობისა და განვითარების“ პარტიის გამარჯვება განპირობებული იყო იმით, რომ თურქული საზოგადოება გადალლილი და განბილებული იყო ათწლეულების მანძილზე ჩამოყალიბებული და კორუფციაში ღრმად ჩაფლული ელიტით. მის ფონზე „სამართლიანობისა და განვითარების“ პარტიის წარმომადგენლები უფრო მეტი პატიოსნებით, უბრალოებითა და ხალხთან სიახლოებით ამკარად მომგებიანად გამოიყურებოდნენ. პარტიამ აღმავალი წარმატებით გაიმეორა თავისი გამარჯვება 2007 და 2011 წლის საპარლამენტო არჩევნებში.<sup>2</sup>

ხელისუფლებაში ყოფნის მანძილზე ერდოღანის ავტორიტარიზმი და ამბიციურობა თანდათან უფრო მეტად გაიზარდა. საპარლამენტო უმრავლესობის ფაქტორის გამოყენებით მმართველმა პარტიამ მნიშვნელოვანწილად დაიმორჩილა სახელმწიფო აპარატი. ერდოღანის ერთპარტიულმა მთავრობამ თავის რადიკალურ გადაწყვეტილებებში თითქმის შეწყვიტა ოპოზიციური სპექტრის აზრის გათვალისწინება და დაუფარავად დაადგა ქვეყნის ისლამიზაციის კურსს.

თანამედროვე თურქეთის ისტორიაში ერდოღანმა თითქმის შეუძლებელი შეძლო - მან მნიშვნელოვანწილად შეზღუდა ხელშეუხებელი და ძლევამოსილი სამხედრო ელიტა და ჩამოაშორა ის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას. ამისთვის მარჯვედ გამოიყენა ე. წ. „ერგენეკონის“ შეთქმულების საქმე და, ფართო საზოგადოებრივ მხარდაჭერაზე დაყრდნობით, უპრეცედენტო რამ მოახერხა - ციხეში მოათავსებინა თურქეთის უმაღლესი გენერალიტეტის წარმომადგენლები.<sup>3</sup> მათთან ერთად თავისუფლება აღეკვეთა ძველი პოლიტიკური ელიტის მრავალ წარმომადგენელს - ბიზნესმენებს, უურნალისტებს, საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეებს, იმ ადამიანებს, ვინც გაბედა და წინ აღუდგა ერდოღანის „სამართლიანობისა და განვითარების“ პარტიის ახალ კურსს.

<sup>1</sup> გიული ალასანია, სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთობა თურქეთის რესპუბლიკაში. - აღმოსავლეთმცოდნეობა, N4 (თბილისი, 2015), 206.

<sup>2</sup> ემზარ მაკარაძე, თურქეთის საშინაო პოლიტიკა 1980–2011 წლებში (თბილისი, 2012), 130.

<sup>3</sup> Aydinli Ersel 2011. Ergenekon. New pacts and the Decline of the Turkish „Inner State“ (Turkish Studies - 2012(2);

გენერალიტეტის შესუსტებასთან ერთად, პირდაპირპოპორციულად გაძლიერდა რელიგიურ ლიდერთა ერთიანობა. რელიგიის საქმეთა სამართველო თურქეთის სახელმწიფო სისტემის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან სტრუქტურად გადაიქცა. ერდოღანის თხუთმეტწლიანი მმართველობის განმავლობაში თურქეთში აშენდა 7300 მეჩეთი, განათლების სისტემის რეფორმის შედეგად უმაღლეს სამხედრო სასწავლებლებში რელიგია აუცილებელ საგნად იქნა შეტანილი, ხოლო საერო სკოლების საშუალო კლასებში შემოღებულ იქნა საგანი – რელიგიათმცოდნეობის სწავლა, ასევე, მოიხსნა სკოლების ტერიტორიაზე მოსწავლე გოგონებისათვის თავსაბურავით სიარულის აკრძალვა, რაც ადრე წარმოუდგენელი იყო.

მართალია, ერდოღანი და მისი პარტია კვლავაც ოფიციალურად ინარჩუნებენს ევროკავშირში განევრიანების კურსს, მაგრამ პარალელურად მიმართავს ოტომანური იმპერიის აღდგენის აღტერნატიულ კურსსაც. შეიძლება ითქვას, რომ ოტომანური პერიოდის იდეალიზაცია და პროპაგანდა ერდოღანის მმართველობის ერთგვარ სიმბოლოდაც იქცა, თავად მას ხშირად სულთანსაც კი უწოდებენ.

ალბათ არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ რეჯეფ ტაიფ ერდოღანი თურქეთის რესპუბლიკის დამარსებლის, ქემალ ათათურქის შემდეგ თურქეთის რესპუბლიკის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი და მასშტაბური ფიგურაა, თუმცა, ის, ამავდროულად, ქემალის პოლიტიკურ ანტიპოდად გვევლინება. ქემალის კურსის მთავარი პრინციპები იყო ლაიცისტური სახელმწიფოს მმართველობის შემოღება და უარის თქმა ოტომანური წარსულის მემკვიდრეობაზე. სწორედ ამ ორ ფუძემდებლურ პრინციპთან მიმართებით ერდოღანი და მისი პარტია დიამეტრულად საწინააღმდეგო კურსს ატარებენ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ისლამიზაციისა და ნეოალიმანობის სინთეზს ნერგავენ.

ამ პროცესებში უმნიშვნელოვანებს როლს ასრულებს ქვეყნის პრეზიდენტი, მისი პირადი გეგმები და ამბიციები. ის უდავოდ ძლიერი და ამბიციური პიროვნებაა და ამკარად ლამობს შევიდეს ისტორიაში როგორც ახალი დიადი თურქეთის სახელოვანი ლიდერი. ამიტომ მან ინიციორება მოახდინა საკონსტიტუციო რეფორმისა, რომლის თანახმადაც, თურქეთი საპრეზიდენტო რესპუბლიკა უნდა გახდეს, ხოლო პრეზიდენტი, პარლამენტის ნაცვლად, პირდაპირ მოსახლეობამ აირჩიოს და დიდი ძალაუფლებით იყოს აღჭურვილი. ამ გეგმებისა და საერთოდ, მისთვის დამახასიათებელი ავტორიტარული სტილის გამო, ოპონენტები ერდოღანს სულ უფრო ხშირად სდებენ ბრალს დიქტატორულ მისწრაფებებში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შემთხვევითი არ არის, რომ სწორედ ქემალ ათათურქის ფიგურა გახდა 2015 წლის მაისის ბოლოს სტამბოლსა და თურქეთის სხვა ქალაქებში საპროტესტო ტალღის მიზეზი. მომიტინგები საპროტესტო მოძრაობის დროშად ქემალის პორტრეტებს იყენებენ და საკუთარ თავს ათათურქის ჯარისკაცებს უწოდებენ.

ქემალ ათათურქის პოლიტიკური ტრადიცია ღრმად არის ფესვგად-გმული თურქეთში. ათწლეულების მანძილზე თურქულ საზოგადოებაში ათათურქის პრინციპების მიზანმიმართულ კულტივაციას, რა თქმა უნდა, უკვალოდ არ ჩაუვლია. თურქეთის დღევანდელი პოლიტიკური სიტუაციის სიმწვავე და სირთულე ისაა, რომ ერდოღანის ახალი კურსი რადიკალურად მიუღებელია ლაიცისტურ ტრადიციებზე აღზრდილი საზოგადოების დიდი ნაწილისთვის და ამ კურსის მკვეთრმა უკმაყოფილებამ, რომელიც თანდათან იზრდებოდა ერდოღანის მმართველობის პერიოდში, გამოიწვია ის გრანდიოზული პოლიტიკური აფეთქება, რომლისთვისაც თითქმის უწყინარი და არაპოლიტიკური „გეზის“ პარკის გაჩეხვის თემა გამოდგა საბაბად.

ვინ არიან ის ადამიანები, რომლებიც დღეს თურქეთში საპროტესტო მასას წარმოადგენენ? რა თქმა უნდა, მათი დიდი ნაწილი ქალაქის მოსახლეობაა და ბევრია ახალგაზრდები და სტუდენტები. მრავლად არის ინტელიგენციის წარმომადგენლებიც, პირველ რიგში, ხელოვანები, ასევე, უმაღლესი განათლების მუშაკები, სახელმწიფო მოხელეები, ბიზნესმენები და ა.შ. მოკლედ, საზოგადოების ის მეტ-ნაკლებად ევროპიზებული ნაწილი, რომლისთვისაც სეკულარიზმი ფუნდამენტური ლირებულებაა და რომელმაც გემო გაუგო ისეთ ხილს, როგორიცაა პიროვნული თავისუფლება და მას ასე იოლად არ დათმობენ. მაგალითად, მათვის გაუგებარია, რატომ უნდა ერეოდეს მთავრობა ალკოჰოლის მოხმარების პიროვნულ არჩევანში ან რატომ უნდა უნერგავდნენ ასე დაჟონებით რელიგიური ცხოვრების წესს და რაც მთავარია, ისინი ძალზე მტკიცნეულად ალიქვამენ ერდოღანის მმართველობის ავტორიტარულ სტილს. მათი ერთ-ერთი მთავარი პრეტენზია ისაა, რომ ერდოღანს და მის მთავრობას მათი აზრი და განწყობა საერთოდ არ აინტერესებთ. საპროტესტო გამოსვლების ერთ-ერთი მთავარი მიზანია ისაა, რომ ხელისუფლება მათ მიმართ სრულიად გაუცხოებულია და მათ აზრს საერთოდ არ აქცევს ყურადღებას. მთავრობას დაყოფილი ჰყავს მოსახლეობა თავისიანებად და უცხოებად.

ცხადია, რომ ამ საკითხში ერდოღანი შეცდომას უშვებს. მრავალათასიანი საპროტესტო მიტინგის მონაწილეები მარგინალუბად მონათლადა და „უსაქმურების“, „მძარცველებისა“ და „ექსტრემისტების“ დამამცირებელი ეპითეტებით შეამკო. რა თქმა უნდა, ამან საზოგადოების ისე-დაც აღმოფთხებული ნაწილი კიდევ უფრო განარისხა და გასაკვირი არ არის, რომ მომიტინგებმა ასეთ მოპყრობას პრეზიდენტის გადადგომის მასობრივი მოთხოვნით უპასუხეს.

პრეზიდენტმა საპროტესტო აქციები უხეშად დააშლევინა, რასაც მსხვერპლი, დასახიჩრება და უამრავი ადამიანის დაპატიმრება მოჰყვა. კატეგორიულად დაუშვებელია ქვეყნის ხელმძღვანელისთვის და, მით უმეტეს, ადამიანისთვის, რომელსაც პრეტენზია აქვს ერის ლიდერობაზე, „თავისიანებად“ და „არათავისიანებად“ დაყოს ქვეყნის მოსახლეობა. შეიძლება მოწინააღმდეგები ქვეყნის ლიდერს კრიტიკულად უყურებ-

დენ, მაგრამ ლიდერის მხრიდან მათ მიმართ აგდებული დამოკიდებულება და გაუცხოების დაფიქსირება ამ ხალხის აღშფოთებას აათმავებს და რადიკალურ, შეურიგებელ მოწინააღმდეგებად აქცევს. ასეთ დროს ზომიერად კრიტიკული და ნეიტრალური ბევრი ადამიანიც კი საბოლოოდ გადადის ოპოზიციონერთა ბანაკში.

2015 წლის დასაწყისში დაპირისპირებამ პოლიტიკურ პარტიებს შორის სულ უფრო მწვავე ხასიათი მიიღო. „სამართლიანობისა და განვითარების“ პარტიის მიერ მეჯლისში ადგილების ასლოლუტური უმრავლესობის მოპოვების და კონსტიტუციური ცვლილებების ერთპიროვნულად გატარების შემთხვევაში თურქეთში საბოლოოდ ჩამოყალიბდებოდა ავტორიტარიზმი, ქვეყანაში უკვე მიდის კულუარებში საუბარი იმასთან დაკავშირებით, რომ ერდოღანი თავის ვაჟს – ბილალს მემკვიდრედ ამზადებს, სირიულ მოდელამდე მხოლოდ ერთი ნაბიჯია. რეუიმამდე სადაც დემოკრატიული ინსტიტუტების ფასადის უკან ავტორიტარული ხელისუფლება იმაღება.

2015 წლის 7 ივნისს თურქეთში ჩატარდა საპარლამენტო არჩევნები,<sup>1</sup> სადაც მმართველმა „სამართლიანობისა და განვითარების“ პარტიამ 550 მანდატიან პარლამენტში დაკარგა უმრავლესობა. მან მიიღო 256 მანდატი, მეორე ადგილზე გავიდა „სახალხო – რესპუბლიკური“ პარტია – 132 ადგილი, მესამეზე „ნაციონალური მოძრაობის“ პარტია – 82 ადგილი და „სახალხო დემოკრატიული“ პარტია – 80 ადგილი.

რა შეიძლება იყოს ამ ეტაპზე ერდოღანის პარტიის დამარცხების მიზეზი? „გეზიის“ პარკის გამოსვლების, დეკემბრის კორუფციული სკანდალის (რომელშიც მოქმედი მინისტრების შვილები და სხვადასხვა მაღალიჩინოსანი პოლიტიკოსები იყვნენ გარეულნი), სირიასთან მიმართებით არჩეული პოლიტიკური კურსის, მთავრობასა და ცნობილი თურქი თეოლოგის ფეთბულა გულენის მიმდევრებს შორის არსებული დაპირისპირებისა და „სომას“ და „ერმენექის“ ქვანახშირის მაღაროებში მომხდარი ტრაგედიების შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ მმართველი პარტიის „სამართლიანობის და განვითარების“ პარტიის რეიტინგი საკმაოდ დაეცა, რაც ბევრ დამკვირვებელს აფიქრებინებს, რომ თურქეთში შესაძლებელია მოხდეს ცვლილება დემოკრატიული არჩევნების გზით, რომელიც შეძლებს დაამთავროს „სამართლიანობისა და განვითარების“ პარტიისა და მისი ლიდერის – ყოფილი პრემიერ-მინისტრისა და ამჟამინდელი პრეზიდენტის – რეჯეფ ტაიფ ერდოღანის მმართველობა, მზარდი ისლამიზაციით და ავტორიტარულობით რომ ხასიათდება.

თურქეთის პრემიერ-მინისტრმა აპრედ დავუთოლლუმ სხვა პოლიტიკურ პარტიებთან კოალიციური მთავრობის შექმნაზე შეთანხმებას

<sup>1</sup> გიული ალასანია, სახელმწიფოსა და რელიგიის ურთიერთობა თურქეთის რესპუბლიკაში. - აღმოსავლეთმცოდნეობა, N4 (თბილისი, 2015), 206.

ვერ მიაღწია, თურქეთის პრეზიდენტმა მთავრობა დაითხოვა და ქვეყანაში რიგგარეშე 26-ე საპარლამენტო არჩევნები დანიშნა.

2015 წლის 1 ნოემბერს ჩატარდა ვადაშძელი საპარლამენტო არჩევნები, სადაც ერდოღანმა გამოიყენა მის ხელთ არსებული ყველა სახელმწიფო მექანიზმი, რათა „სამართლიანობისა და განვითარების“ პარტიას გამარჯვება მოეპოვებინა, და მან მართლაც დააბრუნა პარლამენტში უმრავლესობა, რომელიც 2015 წლის ივნისში დაკარგა.

არჩევნებში მმართველმა პარტიამ 49.4% დააგროვა, მთავარმა ოპონენტმა, „სახალხო რესპუბლიკურმა“ პარტიამ კი - 25.4%. 10%-იანი ზღვარი გადალახეს და პარლამენტში ადგილები მოიპოვეს პრო-ქურთულმა და ნაციონალისტურმა პარტიებმა. პრემიერ-მინისტრმა აპმეტ დავუთოლლუმ არჩევნების შედეგს თურქი ხალხისა და დემოკრატიის გამარჯვება უწოდა.<sup>1</sup>

ისმის კითხვა, თუ რა გავლენას მოახდენს ეს მოვლენები თურქეთის შიდაპოლიტიკურ პარტიულ ბრძოლაზე?

მაღალი ალბათობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მოხდება „სამართლიანობისა და განვითარების“ პარტიის მოწინააღმდეგე პოლიტიკური ძალების მნიშვნელოვანი კონსოლიდაცია და იქნება ერთიანი ოპოზიციური ბლოკის შექმნის მცდელობა. არ არის გამორიცხული, რომ ოპოზიციურმა სექტორმა გამოავლინოს ახალი ალტერნატიული ქარიზმატული პოლიტიკური ლიდერი.

მთავარი ფაქტორები ქვეყნის შიდა მდგომარეობისა, რომლებმაც 2015 წლის 1 ნოემბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგებზე შესაძლოა გავლენა იქონიოს, ჩემი აზრით, შემდეგია:

1) ე. ნ. სამშვიდობო პროცესი (Çözüm süreci) – რომელიც თურქეთის ხელისუფლებასა და ქურთისტანის მუშათა პარტიის დე-იურე ლიდერს – ამჟამად პატიმრობამი მყოფ აბდულა ოჯალანს შორის წარმოებული მრავალრაუნდიანი მოლაპარაკებების შედეგად დაიწყო, მიუხედავად იმისა, რომ სამშვიდობო პროცესის ფარგლებში გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები, ერდოღანმა ჩათვალა, რომ ამ საკითხს ომის გზით მოაგვარებდა და შეიარაღებულ კონფლიქტში გადაიყვანა ურთიერთობა;

2) დღითიდღე მწვავდება დაპირისპირება ავტორიტარულ რეჯეფ ტაიფ ერდოღანის ხელისუფლებასა და თურქეთის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან გაერთიანებას – „ჰიზმეთს“ და მის ლიდერ ფეთქულაპ გიულენს შორის.<sup>2</sup> პრეზიდენტმა ერდოღანმა ფეთქულაპ გიულენი და მისი მიმდევრები ლიად დაადანაშაულა გადატრიალების მცდელობაში, რასაც

<sup>1</sup> თურქეთში მმართველი პარტია პარლამენტში უმრავლესობას იპრუნებს. ქ., „ტაბულა,“ 1 ნოემბერი, (თბილისი, 2015). ელექტრონული ვერსია: <http://www.tabula.ge/ge/story/101291-turqetshi-mmartveli-partia-parlamentshi-umravlesobas-ibrunebs>;

<sup>2</sup> Yayin organi: Zaman Gazetesi, 01.11.2014; 02.11.2014; 11.11.2014; 16.01.2015; 17.01.2015; 18.01.2015.

მოჰყვა მასობრივი დაპატიმრებების ტალღა სხვადასხვა სახელმწიფო და მედია სტრუქტურებში, პოლიციამ დაკავავა პოლიციისა და რელიგიურ საქმეთა სამინისტროს ათასობით თანამშრომელი ჯაშუშობის, გადატრიალების მცდელობისა და სხვა მსგავსი ბრალდებებით; ასევე განახორციელეს რეიდები და დაპატიმრეს ფეთქულაპ გიულენის მოძრაობის მთავარ მედია საშუალებებად ცნობილ გაზეთ Zaman-ისა და ტელევიზია Samanyolu-ს ოფისების ათობით უურნალისტი და თავის კონტროლს დაიკვემდებარა აღნიშნული დაწესებულებები;

3) სირიის საკითხთან დაკავშირებული საგარეო პოლიტიკის წარუმატებლობა;

4) რუსეთთან დაძაბული ურთიერთობა, რაც ერდოღანის ხელისუფლებას საკმაოდ დიდ დისკომფორტს უქმნის;

5) საზოგადოების მკეთრი პოლარიზაცია: ერთი მხრივ რელიგიურ და სეკულარულ, ხოლო მეორე მხრივ, მისლიმურ სუნიტ და ალევი საზოგადოების წევრებს შორის, რომელსაც ყოველმხრივ ხელს უწყობს არსებული მთავრობისა და ხშირად პირადად პრეზიდენტ ერდოღანის რიგორიკა და არაადეკვატური გადაწყვეტილებები, მაგალითად, ოსმალური ენის სავალდებულო საგნად შემოღება იმამ ჰათიფის (რელიგიურ) და ანატოლიურ (ანუ სტანდარტულ) ლიცეუმებში (თურქული ისე – ლიცეუმი, რომელიც ჩვენს 9-12 კლასებს შესაბამება, ესე იგი უმაღლესი საშუალო სკოლა), ალევიების რელიგიური დაწესებულებებისათვის შესაბამისი სტატუსის მიცემასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკანონმდებლო ინიციატივის დაბლოკავა, სუნიტური პაზიციიდან განხორციელებული რელიგიური განათლების მიღების აუცილებლობა ალევი და სხვა არასუნიტი მოსწავლეებისათვის. მთავრობის მხარდამჭერი მედია საშუალებების მიერ სხვადასხვა შეთქმულების თეორიების გავრცელება, რომლის მთავარი მოქმედი ბირების ოპოზიციის და სხვადასხვა უმცირესობების წარმომადგენლები არიან, არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ ძირგამომთხრელ საქმიანობას რომ ეწევიან და გადატრიალებას ამზადებენ;

5) მზარდი და თითქმის ყველა სფეროში საგრძნობი კორუფცია და მფლანგველობა, რომლის კვალიც თვით პრეზიდენტ ერდოღანამდე და მის ოჯახამდე მიდის, ამის ნათელი დადასტურება იყო სკანდალიც, გამოწვეული იმით, რომ ერდოღანის ოჯახთან დაახლოებული ბიზნესმენი რიზა სარაფი, სამი მოქმედი მინისტრის შვილები და არაერთი სახელმწიფო სექტორის მაღალჩინოსანი ქრთამის აღებისა და ფინანსური მაქინაციების ბრალდებით დაკავეს, კვალი თავად პრეზიდენტ ერდოღანის ოჯახამდე მიდიოდა – რიზა სარაფი გახლდათ პირველი ლედის – ემინე ერდოღანისა და პრეზიდენტ ერდოღანის უმცროსი ვაჟის – ბილალის ბიზნესპარტნიორი და რამდენიმე ფირმის თანამფლობელი. მთავრობის პასუხი იყო ანტიკორუფციულ ოპერაციაში ჩართული პოლიციისა და უშიშროების თანამშრომლების ნაწილის სამსახურიდან გათავისუფლება, ხოლო ზოგიერთი მათგანის დაპატიმრება, კორუფციული სკანდალი მორიგი გადატრიალების მცდელობად მოინათლა, ხოლო მის გაშუქებას-

თან დაკავშირებით მთავრობამ მედია საშუალებებს აუკრძალა. სახელმწიფო მფლანგველობის ყველაზე ნათელ მაგალითად ახალი საპრეზიდენტო რეზიდენცია „აქსარაი“ იქცა, რომელიც დაახლოებით მიღიარდ დოლარამდე დაჯდა და ისეთი უმცირესი დეტალებიც კი, როგორიცაა პალმის ხეები და საგაზონე მცენარეები ეზოსათვის, უცხოეთიდან იქნა ჩამოტანილი, ხშირ შემთხვევაში გაბერილ ფასებად, რამაც მედიის მნიშვნელოვანი დაეჭვება გამოიწვია.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ თურქეთში დაწყებული მდელვარება უკვალოდ არ ჩაივლის. დღეს ზუსტი პროგნოზის გაკეთება ძალზე ძნელია, მაგრამ ვარაუდების და დასკვნების გამოთქმა მაინც შეიძლება. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ როგორც ირკვევა, თურქეთის საზოგადოების ევროპეიზებული ნაწილი საკმაოდ მრავალრიცხოვანია, ის უკვე მეტად გააქტიურებულია პოლიტიკურად და სეკულარიზმის პრინციპებს იოლად არ დათმობს. ამავე დროს, შეიმჩნევა, რომ თურქელი საზოგადოების დასავლური მენტალიტეტის მატარებელი ნაწილი და, განსაკუთრებით, ახალგაზრდობა, თავისი მსოფლმხედველობით და მოთხოვნებით უკვე ათათურქისეულ სეკულარიზმზეც ამაღლდა და იკავებს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების მაღალი ევროპული სტანდარტების პლატფორმას. რაც შეეხება პრეზიდენტ ერდოღანს, მართალია, ის დღეს რჩება ძლიერ პოლიტიკურ ფიგურად, მაგრამ არ არის გამორიცხული, თურქეთში განვითარებულმა ბოლოდროინდელმა კრიზისმა გარკვეული ხნის შემდეგ მის პოლიტიკურ კარიერას წერტილი დაუსვას.

### *Emzar Makaradze* Problems of Modern Turkish Internal Policy

The beginning of XXI century represents an issue of specific interest for the home policy of Modern Turkey inasmuch as it is the period when the confrontation between the circles of secular and Islamic directions took place in the life of the country.

The success of the “Justice and Development Party” of the Islamic direction in the beginning of XXI century Turkey was not unexpected. The way was paved by the 1990s when the Islamic “Felicity Party” took a leading position next to the secular ones and for the first time in the history of Turkey gained the majority of votes in the Parliament.

Such development of the events in the beginning of XXI century made a shocking effect on the secular government of the republican Turkey as well as western politicians. As a NATO member country and the candidate country for European Union, Turkey was facing a historical choice either to become a theocratic state again or remain as a secular state.

In 2000-2015 the secular government (military as well as civic) evades the real reasons of social and political situation created in the country and does not reveal the reality. However, most of the problems have been created by the government.

There arises a question about the impact of the policy of the 'Justice and Development Party" and his leader Rejef Taif Erdogan on the internal political life of the country.

In our opinion, the main factors of the internal situation in the country that may have negative influence on the policy of the 'Justice and Development Party" and his leader Rejef Taif Erdogan are as follows:

1. The confrontation between the authoritarian Rejef Taif Erdogan's government and one of the most influential political unities – „Hizmet” and its leader Fethullah Gülen grows day by day. President Erdogan overtly accused Fethullah Gülen and his followers in the attempt of a coup d'état, which was followed by massive wave of arrests in different state and media structures. The police arrested thousands of workers of police and Ministry of Religious Affairs for espionage, attempt of a coup d'état and other similar accusations; over dozens of journalists working for the TV Samanyolu and the famous newspaper Zaman offices – that were regarded as the main mass media for the Gülen movement – were arrested and closed. The government took the power illegally.

On the takeover of the newspaper „Zaman” governance, the UNO Secretary-General Pan Gi Mun made a statement and appealed to Turkey towards acting in accordance the document it signed in terms of human rights protection.

In his statement the Secretary-General stated: "I appeal to the officials of Turkey towards respect to the Meeting participants and freedom of expression in accordance with the Turkish human rights obligations".

The appeal made by Pan Gi Mun, in which he directly addresses the Turkish government, says that 'democratic, economic and social development depends on how well it is possible to express opinions and ideas, even critical ones, in the tranquil environment'.

In 2015 police ransacked 26 media organizations in Turkey. The government also closed two televisions and two newspapers of „Koza-Ipek” media group, 11 TV channels of Samanyolu group, IMC television and BengiTÜRK television. In 2015 approximately 26 851 web-pages were blocked.

The World Association of Newspapers and News Publishers (WAN-IFRA, president – Thomas Brunegard), comprising 18 thousand newspapers and televisions of 120 countries, 15 thousand information sites and 3 thousand media companies, addressed the president Rejef Taif Erdogan in a letter saying that by storming the newspaper „Zaman” the Turkish government violated the international convention. At present over 30 journalists are still in jails in Turkey;

2. The fail of the foreign policy concerning the Syria issue;
3. Tense relations with Russia that causes a lot discomfort to the Erdogan government;

4. Sharp polarization of the society: between, on the one hand, religious and secular, and on the other hand, the Muslim Sunni and Alevi societies that is in all aspects promoted by the rhetoric and inadequate decisions of the existing government and often by the president Erdogan personally, for example, introduction of Ottoman language as compulsory subject at Imam Hatipi (religious) and Anatolian (or standard) lyceums, blocking all the legal initiatives connected with granting corresponding status to Alevi religious institutions, necessity of religious education accomplished from Sunni position for Alevi and other non-Sunni pupils; spreading various theories of plotting by the government-supporting mass media, the main protagonists of which are the representatives of opposition or minorities who are leading disruptive activities against the government and preparing coup d'état.

5. Increasing corruption and wastefulness in all the spheres, the traces of which reach even the President Erdogan and his family. Clear evidence was the scandal caused by the fact that the business Reza Zarbab, a close person to the Erdogan family, the children of the three acting ministers and a number of high officials of the state sector were arrested for bribery and financial machinations. Reza Zarbab was a business partner and co-owner of several firms with the First Lady Emine Erdogan and the President's youngest son – Bilal. The answer of the government was firing part of the police and security members involved in the anti-corruption operation and arresting some of them. The corruption scandal was named as the attempt to political coup and the media was prohibited to cover the story. The most striking example of the state extravagance was the new presidential residence „Aksaray” that cost about a billion dollars and where at least such minor details as palm trees and lawn plants had been brought from abroad in most cases in swollen prices that caused doubt among mass media.

Thus, we can conclude that the events taking place in Turkey will not pass without leaving a trace. First and foremost, it should be noted that the European past of the Turkish society is quite numerous; it is much activated politically at the moment and will not give away secularism. At the same time, it is noticeable that the pat of the Turkish society with western mentality and, especially the youth, has already risen up to Ataturk-style secularism with their demands and outlook and taken the human rights positions of high European standards. As for the President Rejef Taif Erdogan, though he remains as a strong political figure, it is not excluded that the last time crisis developed in Turkey will put a full stop to his political career after a certain period.

**ელისაბედ მაჩიტიძე**  
ოსმალეთის იმპერია და კავკასიის ფრონტი პირველ მსოფლიო ომში

პირველი მსოფლიო ომის პერიოდში (1914-1918) ოსმალეთის იმპერიის პოლიტიკური ძალაუფლება ხელთ ეცყრა „ახალგაზრდა თურქთა“ (Genç Türkler)<sup>1</sup> პარტიის „ერთიანობა და პროგრესის“ (İttihat ve Terakki) ლიდერებს: ენვერ ფაშას (1881-1922), თალაათ ფაშასა (1874-1921) და ჯემალ ფაშას (1872-1922).

პოლიტიკური წყობის მიხედვით ოსმალეთის იმპერია ნარმოადგენ-და კონსტიტუციურ მონარქიას, სულთნის ხელისუფლება ახალგაზრდა თურქების დროს ნარმომადგენლობით ხასიათს ატარებდა.<sup>2</sup> ოსმალეთის სულთანმა იმპერიის შიგნით არსებითად ყოველგვარი გავლენა დაკარგა. საქმე იქამდე მივიდა, რომ თავისივე ბრძანებულებებს სულთანი გაზე-თებიდან იგებდა. მაგალითად, 1914 წელს ენვერმა 33 წლის ასაკში დაიკა-ვა სამხედრო მინისტრის პოსტი. სულთანმა მისი დანიშვნის ამბავი პირ-ველად გაზეთიდან გაიგო და აღშფოთდა, „ეს ნარმოუდგენელია, ის ჯერ ძალიან ახალგაზრდაა ამ თანამდებობის თვის“. <sup>3</sup>

ადსანიშნავია, რომ სწორედ ენვერის სახელს უკავშირებენ ოსმალე-თის იმპერიის ჩაბმას პირველ მსოფლიო ომში გერმანიის მხარეზე. ენვერ ფაშას სიმპატიები ჰქონდა გერმანიისადმი, რადგან გარკვეული პერიოდი იქ სწავლობდა და მუშაობდა. იგი ცდილობდა გერმანიასთან დამაკავშირებელი გზები მოექება. <sup>4</sup> ოსმალეთის არმიას ესაჭიროებოდა მოდერნიზაცია და ამისათვის 1913 წ. დეკემბერში, ოსმალეთის ხელისუფლების თხოვნით, სტამბოლში ჩავიდა გერმანელების სამხედრო მისია, გენერალ ლიმან ფონ სანდერსის მეთაურობით, რომელიც 40 ოფიცირისაგან შედგებოდა. მოგვიანებით სანდერსი დააწინაურეს ასმალეთის არმიის გენერალურ ინსპექტორად, გერმანელმა ოფიცირებმა კი დაიკავეს თურქეთის

<sup>1</sup> ახალგაზრდა თურქები, „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიის (İttihat ve Terraki Partisi) წევრებისა და მათი მომხრეების ევროპაში გავრცელებული სახელწოდება. თურქეთში დამკიცდრდა მხოლოდ ახალგაზრდა თურქების 1908 წლის რევოლუციის შემდეგ (Genç Türkler, Jön Türkler, უნდღებენ აგრეთვე ითავსაფისტებს, İttihatçılar). ახალგაზრდა თურქები მიზნად ისახავდნენ აბსოლუტური მონარქიის შეცვლას კონსტიტუციური მონარქიით. ოგინინებიშვილი, ქსე, ტ. II, (თბილისი, 1977), 80.

<sup>2</sup> Н. Киреев, *История Турции XX Век* (Москва, 2007), 112.

<sup>3</sup> Лорд Кинросс, *Расцвет и упадок Османской империи*, пер. с английского М. Пальникова (Москва, 1999), 646; м. გიგინებიშვილი, *თურქიაში და თბეალეთის ხავარეთ პოლიტიკა* (თბილისი, 1963), 80.

<sup>4</sup> S. J. Shaw, E.K.Shaw, *Osmanlı imparatorluğu ve modern Türkiye*, II cilt ( İstanbul, 1983), 372 .

არმიის თითქმის ყველა საპასუხისმგებლო თანამდებობა. როგორც ა. პალმერი აღნიშნავს, კაიზერმა ვილჰელმ II - მ სანდერსის სამხედრო მისიას დაავალა „თურქეთის არმიის გერმანიზაცია“ (Türk ordusunun Almanlaştırılması) და სახარჯო ფონდის მილიონამდე გაზრდას შეპპირდა.<sup>1</sup>

ენვერ ფაშას იმედი ჰქონდა, რომ გერმანელების დახმარებით განახორციელებდა თავის იდეალს, რომელიც ითვალისწინებდა ყველა თურქული მოდგმის ხალხის ერთ სახელმწიფოში გაერთიანებას და დიდი თურანის შექმნას. I მსოფლიო ომში თურქეთის ჭეშმარიტი მიზნები განმარტებულია „ერთიანობისა და პროგრესის“ პარტიის მიმართვაში. სადაც ნათქვამია - „ჩვენ არ უნდა დავიგინყოთ, რომ მსოფლიო ომში ჩვენი მონაწილეობის მიზანს შეადგენს არა მარტო ჩვენი ქვეყნის გადარჩენა დაღუპვისაგან, რომელიც მას ემუქრება. არა, ჩვენ ვისახავთ უფრო უშუალო მიზანს - ჩვენი ეროვნული იდეალის განხორციელებას, რომელიც მოითხოვს, რომ, ჩვენ დავამარცხოთ ჩვენი მოსკოველი მტერი და გავაფართოვოთ ბუნებრივ საზღვრებამდე ჩვენი იმპერია, რომელიც მოიცავს და გააერთიანებს ჩვენი მოდგმის ყველა ხალხს“.<sup>2</sup> ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ევროპაში ორ ფრონტზე მებრძოლი გერმანია დაინტერესებული იყო, რათა რუსეთსაც ჰქონდა დამატებითი ფრონტი და მონადინებული იყო დაეპირისპირებინა ერთმანეთისათვის რუსეთი და ოსმალეთი. კავკასიის ფრონტი დააბანდებდა რუსეთის იმ ძალებს, რომლებიც ევროპაში შეიძლება გამოყენებულიყო, ხოლო რუსეთისათვის შავი ზღვის სრუტეების ჩაკეტვა მისი ეკონომიკური ბლოკადის ტოლფასი იყო.<sup>3</sup> რუსების ძალების დაქსაქსვა ევროპის ფრონტის გარდა ახალ, კერძოდ, კავკასიის ფრონტზე, ოსმალებზე მეტად ალბათ გერმანელების ინტერესებს ემსახურებოდა. ოსმალთა სამხედრო ძალები ძირითადად გამოიყენებოდა გერმანელთა მხარდასაჭერად, მათი სამხედრო მიზნებისათვის, მათვის ფრონტებზე მდგომარეობის შესამსუბუქებლად. მხოლოდ მიმზადების გარეშე გაიხსნა კავკასიის ფრონტი. <sup>4</sup>

თურქი ავტორი მ. შახინლერი აღნიშნავს - მუსტაფა ქემალს ეშინდა ოსმალეთის იმპერიის I მსოფლიო ომში ჩაბმისა გერმანიის მხარეზე და მისი შესაძლო შედეგებისა. ის არ ენდობოდა პარტია „ერთიანობისა და პროგრესის“ ხელმძღვანელებს, განსაკუთრებით კი ენვერ ფაშას, რო-

<sup>1</sup> A. Palmer, *Son Üç Yüz Yıl Osmanlı İmparatorluğu* (İstanbul, 2003), 224; F. Fischer, *War of Illusions, German Policies 1911 to 1914* (New York, 1975), 334-335.

<sup>2</sup> ო. გიგინეიშვილი, *თურქი ზმი და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა*, 106.

<sup>3</sup> რ. გაჩეჩილაძე, ახლო აღმოსავლეთი სივრცე, ხალხი და პოლიტიკა (თბილისი, 2003), 198; რ. გაჩეჩილაძე, ჩემი **XX საუკუნეებისათვის**, ტ. I (თბილისი, 2008), 120.

<sup>4</sup> C.V. Findley, *Modern Türkiye Tarihi*, Çev. Güneş Ayas (İstanbul, 2011), 208; К. Бейдилли, От Кючук-Кайнарджийского договора до распада империи. *История Османского государства, общества и цивилизации*, т. I. Под редакцией Экмелиддина Ихсаноглу. Перевод с турецкого В. Феоновой (Москва, 2006), 101.

მელიც 1914 წ. იანვარში დაინიშნა თავდაცვის მინისტრად. ენვერი იყო გერმანოფილი ის გერმანიაში სამხედრო ატაშედ მუშაობდა (1909-1913) და მას შტაბის უფროსადაც კი გერმანელი ჰყავდა. ჯერ კიდევ ომის დაწყებამდე მუსტაფა ქემალი, რომელიც იმჟამად სოფიაში ოსმალეთის სამხედრო ატაშე იყო ამბობდა, რომ გერმანია დამარცხდებოდა და ამ-ტკიცებდა, რომ აუცილებელი იყო ნეიტრალიტეტის დაცვა.<sup>1</sup> მუსტაფა ქემალი წინააღმდეგი იყო გერმანიასთან ნებისმიერი კავშირისა იმ თვალსაზრისით, რომ თუ გერმანია გაიმარჯვებდა ომში ის თურქეთს თვის სატელიტად აქცევდა, ხოლო თუ დამარცხდებოდა, რაშიც ის დარწმუნებული იყო, მაშინ თურქეთი დაკარგავდა ყველაფერს.<sup>2</sup>

თუმცა, მუსტაფა ქემალ ათათურქის ტელეგრამებიდან „გრიფით საიდუმლო“ (19.08 - 21.08.1914) ირკვევა, რომ მან აზრი შეიცვალა. მოვლენების შემდგომმა განვითარებამ აჩვენა, რომ თურქეთის ომში ჩაბმა გარდაუვალი იყო. როგორც ათათურქი განმარტავდა, ოსმალეთის გეოგრაფიულ და სრუტეების სტრატეგიულ მდებარეობასთან ერთად, ქვეყანაში არსებული მდგომარეობა და საერთაშორისო ვითარება, ნეიტრალიტეტის დაცვას შეუძლებელს ხდიდა.<sup>3</sup>

ზოგორეთი ავტორის, მათ შორის ლორდი კინროსის აზრით, ენვერ ფაშა ფიქრობდა, რომ ომი დიდხანს არ გაგრძელდებოდა და თუ თურქეთს რაიმე ხეირის ნახვა უნდოდა დაუყოვნებლივ უნდა ჩართულიყო საომარ მოქმედებებში.<sup>4</sup> თუმცა, ენვერ ფაშას მიმოწერით „გრიფით საიდუმლო“ (3.08 - 24. 08. 1914) ირკვევა, რომ მას მაშინვე არ სურდა I მსოფლიო ომში ჩაბმა. პირიქით, გერმანელთა დაუზინებული თხოვნის მიუხედავად, იგი ყურადღებას ამახვილებდა იმაზე, რომ სათანადო სამზადისის დასასრულებლად თურქეთს სჭირდებოდა დრო. ის აღნიშნავდა, რომ სრუტეებზე შესაძლო თავდასხმის საწინააღმდეგოდ ჯერ არ იყო საჭირო ზომები დასრულებული, არც კავკასიის, ეგვიპტის და ინდოეთის მიმართ გათვალისწინებული ღონისძიებები არ იყო სათანადო დონეზე მოწესრიგებული. როგორც ამ მიმოწერიდან ჩას, იგი არ ფიქრობდა რომ გერმანელები სწრაფად გაიმარჯვებდნენ ომში.<sup>5</sup>

თუმცა, უნდა ითქვას, რომ ოსმალეთის იმპერიის ნეიტრალიტეტი უკვე აღარავის აწყობდა. გერმანიამ საკმაოდ ბევრი სახსრები ჩადო თურქულ არმიაში და მისი გამოყენება მხოლოდ შიდაპოლიტიკური პრობლემებისათვის არ იყო გათვალისწინებული. გერმანიას აღნიშნულ მომენტში სჭირდებოდა თურქი ჯარისკაცი. მას არ აღელვებდა ახალ-

<sup>1</sup> М. Шахинлер, *Кемализм: зарождение, влияние, актуальность*. Перевод с французского О. А. Власовой (Москва, 1998), 27-28.

<sup>2</sup> Лорд Кинросс, *Расцвет и упадок Османской империи*, 656.

<sup>3</sup> V. Keleşyilmaz, *Belgelerle Türkiye'nin Birinci Dünya Savaşına Giriş süreci*, Erdem, C.11 ( Ankara, 1999), 152-153.

<sup>4</sup> ლორდი კინროსი, ათათურქი, თარგმნა ნ. ჯანაშიამ (თბილისი, 2011), 51.

<sup>5</sup> V. Keleşyilmaz, *Belgelerle Türkiye'nin Birinci Dünya Savaşına Giriş süreci*, 152.

გაზრდა თურქების რეჟიმის მომავალი გეგმები. ამავე დროს ანტანტის ეკონომიკური პოზიციები იმდენად ძლიერი იყო თურქეთში, გავლენის ზონები იძღვნება დარკვეულად იყო მოხაზული, რომ ნეიტრალური თურქეთი მოკავშირის სახით ანტანტისათვისაც უხერხულობას ქმნიდა.<sup>1</sup>

ალსანიშნავია, რომ ოსმალეთის იმპერიის წარმომადგენლები ცდილობდნენ მოლაპარაკება ენარმოებინათ ანტანტის წევრებთან, კერძოდ, 1914 წ. მაისში ოსმალეთის დელეგაცია თალაათ ფაშას ხელმძღვანელობით გაემგზავრა ყირიმში, ლივადიის სასახლეში შეხვდა ნიკოლოზ II-ს და თავისი შეთანხმების პირობები გადასცა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრს საზონოეს. 1914 წ. ივლისის მეორე კვირაში ჯემალ ფაშა პარიზში საგარეო საქმეთა სამინისტროს ენვია და ალნიშნა, რომ თუ შეთანხმდებოდნენ ხელსაყრელ პირობებზე, ოსმალეთის მთავრობის პოლიტიკა ანტანტისკენ შემობრუნდებოდა. ხაზი უნდა გაესვას, რომ საუბარი იყო ორმხრივ სამოკავშირეო ხელშეკრულებაზე და არა ოსმალეთის ანტანტაში შესვლაზე, მაგრამ ახალგაზრდა თურქების ინიციატივებს არც რუსეთმა და არც საფრანგეთმა დადებითად არ უპასუხა.<sup>2</sup>

პირველი ნაბიჯი, რამაც უბიძგა ოსმალეთის იმპერიას ომში ჩაბმისაკენ იყო გერმანიასთან საიდუმლო კავშირის გაფორმება. მოლაპარაკებები ამ კავშირის გაფორმებასთან დაკავშირებით დაიწყო 1914 წ. 26 ივნისს, ხელშეკრულებას კი ხელი 2 აგვისტოს მოაწერეს, წინა დღეს გერმანიამ ომი გამოუცხადა რუსეთს. ხელშეკრულება მოამზადეს: გენერალმალიმან ფონ სანდერსმა, გერმანიის ელჩმა კონსტანტინოპოლში ჰანს ფონ ვანგენჰაიმმა, დიდვეზირმა და საგარეო საქმეთა მინისტრმა საიდ ჰალიმ ფაშამ, სამხედრო მინისტრმა ენვერ ფაშამ, შინაგან საქმეთა მინისტრმა თალაათ ფაშამ და ჰარლამენტის თავმჯდომარემ ჰალილ ბეიმ. მას ხელი მოაწერეს გერმანიის ელჩმა ვანგენჰაიმმა და დიდვეზირმა საიდ ჰალიმმა.<sup>3</sup> ალსანიშნავია, რომ ოსმალეთმა ოფიციალურად ნეიტრალიტეტი გამოაცხადა, მაგრამ დაიწყო საყოველთაო მობილიზაცია.

ამ ხელშეკრულების შესახებ არაფერი იცოდა ჯემალ ფაშამ, რომელიც არ იყო ასეთი კავშირის მომხრე, არც სხვა მინისტრებმა და თვით სულთანმაც კი. ხელშეკრულების მეორე მუხლი ითვალისწინებდა ოსმალეთის იმპერიის ჩაბმას ომში, რუსეთსა და გერმანიას შორის ომის დაწყების შემთხვევაში. მესამე მუხლის თანახმად, ომის დაწყების შემთხვევაში, ოსმალეთის შეიარაღებული ძალები გერმანელი სამხედროების მეთაურობის ქვეშ გადადიოდნენ. ხელშეკრულებაში არაფერი იყო ნათევამი ოსმალეთის იმპერიის კონკრეტულ სარგებლობაზე ომში გამარჯვების შემ-

<sup>1</sup> В. Шеремет, *Босфор, Россия и Турция в эпоху первой мировой войны* (Москва, 1995), 108.

<sup>2</sup> A. Palmer, *Son Üç Yüz Yıl Osmanlı İmparatorluğu*, 225.

<sup>3</sup> К. Бейдилли, От Кючук-Кайнарджийского договора до распада империи, 99; მ. გიგინებვილი, თურქიზმი და ოსმალეთის საგარეო ბოლიტიკა, 90.

თხვევაში.<sup>1</sup> ამ ხელშეკრულების დადებისთანავე გერმანელები შეეცადნენ თურქეთს ომი გამოეცხადებინა რუსეთისათვის, თუმცა თურქმა მინისტრებმა იცოდნენ, რომ მზად არ იყვნებ მისიათვის და დიდხანს ყოყმანობდნენ. სულთანმა მეპმედ V-მ რუსეთთან ომის წინადადებაზე წამოიყვირა: „ომი რუსეთთან, მისი გვამიც კი საკმარისია, რომ ჩვენ გაგვანადგურონ“.<sup>2</sup>

თურქები მაშინვე არ ჩაებნენ ომში, და ხელსაყრელ მომენტს უცდიდნენ, მაგრამ მდგომარეობა დაიძაბა, როდესაც 3 აგვისტოს საადმირალოს პირველმა ლორდმა, უინსტონ ჩერჩილმა განაცხადა, რომ ინგლისელების გემთსაშენი აგებული ორი სამხედრო ხომალდი – „სულთანი ოსმან I“ და „რეშადიე“, რომელშიც თურქებს ფული ჰქონდათ გადახდილი, გადაეცა ინგლისის ფლოტს. მართალია ჩერჩილმა არაფერი იცოდა ოსმალეთ-გერმანიის ხელშეკრულების შესახებ, მაგრამ გაითვალისწინა ევროპაში არსებული დაპირისპირება და ამიტომ მიიღო ეს გადაწყვეტილება. ამან ოსმალეთში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია.<sup>3</sup> თურქების გულისწყრომას კიდევ უფრო აძლიერებდა თურქულ პრესაში ინგლისელების წინააღმდეგ მიმართული კამპანია, რომელსაც გერმანიის საელჩოს მიერ გამოყოფილი თანხით წარმართავდნენ. ინგლისელების მხრიდან სიტყვის გატეხა გერმანელებმა კარგად გამოიყენეს.<sup>4</sup> აღსანიშნავია, რომ ჩერჩილმა შეტყობინება გაუგზავნა ენვერ ფაშას და ინგლისის მიერ მისაკუთრებული გემების სანაცვლოდ, კომპენსაციის სახით სთავაზობდა ყოველდღიურად 1000 სტერლინგის გადახდას, ეს თანხა ყოველკვირეულად გადაეცემოდათ და გაგრძელდებოდა მანამ, სანამ ოსმალეთი ნეიტრალურ პოზიციას დაიკავებდა ომში, მაგრამ ენვერ ფაშამ ოფიციალურად უარყო ეს წინადადება.

გერმანელებმა კი ისარგებლეს თურქებსა და ინგლისელებს შორის დაძაბულობით და 10 აგვისტოს ორი გერმანული კრეისერი: „გებენი“ და „ბრესლაუ“ მესინის სრუტიდან დაუსხლტა ინგლისის სამეფო ფლოტს. ეს გემები ენვერ ფაშას ნებართვით დარდანელის სრუტეში შევიდნენ, რამაც ანტანტის ქვეყნების გულისწყრომა გამოიწვია. 12 აგვისტოს გამოცხადდა, ვითომ გერმანელებმა ორივე გემი თურქებს მიჰყიდეს, ამიტომ გემებს შეუცვალეს სახელები, „გებენს“ უზოდეს „იავუზ სულთან სელიმი“, „ბრესლაუს“ კი „მიდილლი“. მათზე აღმართეს ოსმალური დროშები, თუმცა გემებზე კვლავ რჩებოდა გერმანელთა ეკიპაჟი, რომელთაც შენიდების მიზნით, ოსმალური უნიფორმები ჩააცვეს და თავზე ფესები დაახურეს. ინგლისელთა საზღვაო მისიას ადმირალ ლიმპუსის

<sup>1</sup> К. Бейдилли, От Кючук-Кайнарджийского договора до распада империи, 100.

<sup>2</sup> С.М. Larcher, *La guerre Turque dans la guerre mondiale*, ( Paris, 1926); 39; Е. В. Масловский, *Мировая война на Кавказском фронте 1914-1917 гг.*, ( Париж, 1933). 18; А. Д. Новичев, *Турция Краткая история*, ( Москва, 1965), 130.

<sup>3</sup> S.J.Shaw, E.K.Shaw, *Osmanlı İmparatorluğu ve modern Türkiye*, II cilt, 373; C.V. Findley, *Modern Türkiye Tarihi*, 207.

<sup>4</sup> A. Palmer, *Son Üç Yüz Yıl Osmanlı İmparatorluğu*, 226.

ხელმძღვანელობით, რომელსაც თურქული ფლოტის რეორგანიზაცია ჰქონდა დავალებული, 15 აგვისტოს ოფიციალურად შეუწყვიტეს უფლებამოსილება. ოსმალეთის ფლოტის მეთაურად კი დაინიშნა გერმანელი ადმირალი ვილჰელმ სუშონი.<sup>1</sup> ამგვარად, ოსმალეთის არმიაც და ფლოტიც გერმანელთა ხელში აღმოჩნდა. ამ დროიდან იწყება თურქული არმიის ენერგიული მზადება ომისათვის.

საინტერესოა, რომ 1914 წ. 10 აგვისტოს ოსმალეთის მინისტრთა საპჭო, პრემიერ მინისტრის (Başbakan) საიდ ჰალიმ ფაშას ზღვისპირა ვილაში იყო შეკრებილი. სამხედრო მინისტრმა ენვერ ფაშამ საკმაოდ დააგვიანა და შესვლისთანავე ღიმილით განაცხადა – „ვაჟი დაიბადა“ (Bir oğlumuz dünyaya geldi). შემდეგ განაცხადა, რომ ორი გერმანული სამხედრო გემი, ინგლისელების დევნისაგან თავის დასაღწევად სრუტეში შევიდა და დასძინა, რომ ამის ნებართვა მან მისცა. ზოგი ისტორიკოსი წერს, რომ ეს მოვლენა გერმანელების მიერ ოსმალეთის იმპერიის ომში ჩასაბმელად მოწყობილი თამაში იყო, რომელიც ენვერმა გერმანელებთან ერთად დაგეგმა და განახორციელა, რადგან ეშინოდა, რომ სულთანი და მეჯლისი ომში ჩაბმის წინააღმდეგი იქნებოდნენ.<sup>2</sup>

თურქი მეცნიერი ქ. კარპატი აღნიშნავს, რომ ომის შესახებ გადაწყველიება ითიპადისტების ლიდერებს არავისთან შეუთანხმებიათ. მათ წინასწარ მიიღეს ზომები და ოქტომბრის თვემდე მეჯლისი დახურული იყო, რადგან არც მეჯლისს და არც ხალხის უმეტესობას არ სურდა ომში ჩაბმა. განსხვავებული მოსაზრებები ჰქონდათ ითიპადისტების სამ ლიდერს - ენვერს, თალაათსა და ჯემალს, რომელთაც ომში ჩააბეს ქვეყანა. მათი აზრით ინგლისი, რუსეთი და საფრანგეთი მომავალში ოსმალეთის მიწების დანაწილებას მოისურვებდნენ. ტრიუმვირატის წევრები ფიქრობდნენ რომ ცენტრალური სახელმწიფოები გაიმარჯვებდნენ ომში და მათ მხარეს ბრძოლა უფრო სასარგებლო იქნებოდა ოსმალეთისათვის.<sup>3</sup> მათ წარმოიდგინეს, პანთურქისტული იდეოლოგის მიხედვით, როგორ გააერთიანებდნენ დამარცხებული რუსეთის თურქული მოდგმის ხალხით დასახლებულ მხარეებს და როგორ ააღორძინებდნენ დანგრეულ იმპერიას ახალ გეოგრაფიულ სივრცეში.<sup>4</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ ოსმალეთის დიდვეზირმა საიდ ჰალიმმა გერმანის ელჩის ვანგენპაიმს განუცხადა, ომში ჩაბმისათვის ერთადერთი დაბრკოლება „ფინანსური სიძნელებიო“. მაშინ გერმანელებმა გამოიყენეს თავისი კოზირი - ფული.<sup>5</sup> 11 ოქტომბერს გერმანიის ელჩმა ამცნ

<sup>1</sup> A. Palmer, *Son Üç Yız Osmanlı İmparatorluğu*, 227; J.Shaw, E.K.Shaw, *Osmanlı imparatorluğu ve modern Türkiye*, 374

<sup>2</sup> Y. Bahadıroğlu, *Osmani Padışahları Ansiklopedisi*, 3.c. (İstanbul, 1986), 774; Лорд Кинросс, *Расцвет и упадок Османской империи*, 653.

<sup>3</sup> K. Karpat, *Kısa Türkiye Tarihi* (1800-2012), (İstanbul, 2012), 76.

<sup>4</sup> К. Бейдилли, От Кючук-Кайнарджийского договора до распада империи, 100.

<sup>5</sup> М. Шахинлер, *Кемализм: зарождение, влияние, актуальность*, 32.

ოსმალეთის მთავრობას, რომ თუ ის გამოაცხადებდა ომს, დახმარების სახით ფარულად მიიღებდა 2 მლრდ. ოქროს ყურუშს. თურქებმა 21 ოქტომბერს მიიღეს ეს თანხა და ალარ ჰქონდათ მიზეზი რომ არ გადასულიყვნენ მოქმედებაზე.<sup>1</sup>

მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ 21 ოქტომბერს ენვერ ფაშამ, თავი გამოაცხადა ვიკე-გენერალისი მიუსად, ამგვარად ის გახდა ოსმალეთის სულთნის მოადგილე, ფაქტობრივად კი ის იყო არმის მთავარსარდალი და მთელი იმპერიის მბრძანებელი.<sup>2</sup> ამის შემდეგ, ენვერმა და საზღვაო მინისტრმა ჯემალ ფამამ, 25 ოქტომბერს კაბინეტის სხვა წევრებთან შეუთანხმებლად, სუშონბს შავ ზღვაში მანევრის განხორციელების და რუსებზე თავდასხმის ნება დართეს. 1914 წ. 27 ოქტომბერს გერმანია-ოსმალეთის ფლოტი სრული შემადგენლობით გავიდა სრუტეებიდან შავ ზღვაში. 1914 წ. 29 ოქტომბერს, სუშონბის ბრძანებით, „გებენმა“, „ბრესლაუმ“, „ჰამიდიები“ და რამდენიმე ხომალდმა ცეცხლი გაუხსნეს ოდესას, სევასტოპოლის, ფეოდოსიას, ნოვოროსიისკას და სხვა რუსულ ნავსადგურებს შავი ზღვის სანაპიროზე. იმავე საღამოს, რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ II-ის ბრძანებით, სტამბოლიდან გამოიწვიეს რუსეთის ელჩი გირსი და დიპლომატიური მისია.<sup>3</sup> ამგვარად, 1914 წ. 29 ოქტომბერს ოსმალეთის იმპერია ჩაეტაომში, რომელიც მისთვის უკანასკნელი აღმოჩნდა.<sup>4</sup>

ამის საპასუხოდ 1914 წ. 2 ნოემბერს რუსეთმა, საფრანგეთმა და ინგლისმა კი 5-6 ნოემბერს, ომი გამოუცხადეს ოსმალეთს. თავის მხრივ სულთანმა 11 ნოემბერს ანტანტის ქვეყნებს საღვთო ომი, ჯიპადი, გამოუცხადა.<sup>5</sup> თურქეთის ომში ჩაბმამ გაწყვიტა რუსეთის კავშირი მის მოკავშირებთან შავ და ხმელთაშუა ზღვებზე. ამგვარად, აზიაში გაჩნდა კავკასიის ფრონტი რუსეთსა და თურქეთს შორის. თუმცა, ო. გიგინეიშვილი აღნიშნავს, რომ ომის გამოცხადებამდე, პირველი შეტაკება თურქეთისა და რუსეთის რეგულარულ ნაწილებს შორის მოხდა, 1 ნოემბერს, ჰასან-კალე-სარიყამიშის გზაზე.<sup>6</sup> იგივეს ადასტურებს ე. კარალი - პირველ ნოემბერს, შავი ზღვის მოვლენებიდან სამი დღის შემდეგ, რუსულმა შენაერთებმა საზღვრის გასწვრივ დაიწყეს ოსმალეთის პოლიციის პოსტებზე თავდასხმა.<sup>7</sup>

<sup>1</sup> S.J.Shaw, E.K.Shaw, *Osmanlı imparatorluğu ve modern Türkiye*, II cilt, 375; M. Шахинлер, Кемализм: зарождение, влияние, актуальность, 33.

<sup>2</sup> D. Fromkin, *A Peace to End All Peace: Creating the Modern Middle East 1914-1922*, (New York, 2001), 119; E. B. Масловский, *Мировая война на Кавказском фронте 1914-1917 гг.*, 78.

<sup>3</sup> S. J.Shaw, E.K.Shaw, *Osmanlı imparatorluğu ve modern Türkiye*, II cilt, 375; C. V. Findley, *Modern Türkiye Tarihi*, 208; M. Шахинлер, Кемализм: зарождение, влияние, актуальность, 33.

<sup>4</sup> W. L. Cleveland, *A History of the Modern Middle East* (Westview Press, 2004) , 149.

<sup>5</sup> K. Karpat, *Kısa Türkiye Tarihi (1800-2012)* , 76; Y. Bahadıroğlu, *Osmani Padişahları Ansiklopedisi*, 3.c. , 779.

<sup>6</sup> ო. გიგინეიშვილი, თურქიზმი და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა, 118 .

<sup>7</sup> E. Z. Karal, *Osmanlı Tarihi*, IX. Cilt, İlkinci Meşrutiyet ve Birinci Dünya Savaşı (1908-1918), 2011. Ord. Prof. Enver Ziya Karal, 414 – 424. Ghttp://www.ttk.gov.tr/

ოსმალეთს ომი უნდა ეწარმოებინა სამი ძირითადი მიმართულებით: ევიპტე, ბალკანეთი და კავკასია. ამ სამი მიმართულებიდან ახალგაზრდა თურქები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ კავკასიის ფრონტს. ენვერ ფაშას აზრით, კავკასიის არმიას უნდა გადაეწყვიტა ოსმალეთის ძირითადი ამოცანა ამ ომში: დაეპყრო კასპიასია, შუა აზია, ვოლგისპირეთი, შორეული აღმოსავლეთი, ირანი, ავღანეთი.<sup>1</sup> სწორედ კავკასიაზე გადიოდა გზა დიდი თურანისაკენ.

კავკასიის ფრონტი 720 კმ-ზე იყო გადაჭიმული, შავი ზღვის სანაპიროდან ურმიის ტბამდე. რუსეთის კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი იყო მეფისნაცვალი კავკასიაში, გრაფი ილარიონ ვორონცოვ-დაშვილი, თუმცა ფაქტიურად მთელ საქმეებს ხელმძღვანელობდა შტაბის უფროსი ნიკოლოზ იუდენიჩი, რომელიც კარგად იცნობდა კავკასიას. არმიის გენერალური შტაბი თბილისში მდებარეობდა. რუსი სარდლობის განკარგულებაში იყო 170 ათ. ჯარისკაცი.

რაც შეეხება ოსმალეთის იმპერიას, კავკასიის ფრონტზე განლაგებული იყო თურქების მესამე არმია, რომელიც 190 ათას ჯარისკაცს ითვლიდა. ამ არმიის მეთაური იყო ჰასან იზეთ ფაშა, შტაბის უფროსი კი გერმანელი მაიორი ფელიქს გუზე. არმიის შტაბი არზრუმში იყო. მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთის ძალები რაოდენობით აჭარბებდა რუსების ძალებს, ოსმალთა ჯარი არ იყო კარგად განვირთნილი და სათანადოდ მომარაგებული, პროდუქტით, ტანსაცმლით, თბილი ფეხსაცმლით და სატრანსპორტო საშუალებებით. აღმოსავლეთ ანატოლიაში კი საშინელი ზამთარი იწყებოდა.<sup>2</sup> ოსმალეთის არმია შემდეგნაირად დაახასიათა გენერალმა ჰელმუტ ფონ მოლტკემ (უმცროსშა) - თურქეთის არმიას არა აქვს აბსოლუტურად არავითარი ფასი. მას არა აქვს არც იარაღი, არც საჭურველი, არც ტანსაცმელი, ოფიცერთა ცოლები გზებზე მათხოვრობენ. თუ ადრე ოსმალეთი ავადმყოფ ადამიანად იყო ცნობილი, ახლა ის მომაკვდავი ადამიანია.<sup>4</sup>

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ომისთვის არც რუსები იყვნენ მზად, როგორც თურქი მეცნიერი ი. ორთაილი აღნიშნავს - რუსებს ყოველ სამ ჯარისკაცზე ერთი შაშხანა ჰქონდათ და არც ტრანსპორტისა და სამედიცინო მომსახურების საკითხი ჰქონდათ უკეთესად მოგვარებული.<sup>5</sup>

index.php?Page=Sayfa&No=155; Turkey in the First World War, Caucasus, <http://www.turkeywar.com/campaigns/caucasus.html>, 16.07.2015.

<sup>1</sup> მ. სვანიძე, თურქეთის ისტორია ( თბილისი, 2007), 355 ; ო. გიგინეიშვილი, თურქიზმი და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა, 109.

<sup>2</sup> H. Kireev, *Istoriya Turcii XX Bek*.102. E. Z. Karal, იქვე.

<sup>3</sup> E. Z. Karal, იქვე; Turkey in the First World War, Caucasus, იქვე.

<sup>4</sup> O.L. von Sanders, *Ging ans de Turquie*, (Paris,1923), 65; ო. გიგინეიშვილი, თურქიზმი და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა, 95.

<sup>5</sup> İ. Ortaylı, Birinci Dünya Savaşı'nda Osmanlı ve Milli Mücadele, T. Akyol, İ. Ortaylı, *Tarihin Gölgesinde* (İstanbul,2011),53.

სამხედრო ოპერაციები კავკასიის ფრონტზე დაიწყო ნოემბრის და-საზყისში, ქოფრუქოის რაიონში. თურქულმა ჯარმა მოახერხა რუსების შე-ვიზროება და დაიკავა ბათუმისა და არტაანის ოლქების ნაწილი. უნდა აღი-ნიშნოს, რომ ამ ბრძოლებში მონაწილეობდა ქართული ლეგიონი ლ. კეკე-ლიძის მეთაურობით. როგორც ცნობილია, ქართული ლეგიონი შეიქმნა ოსმალეთის ტერიტორიაზე, გერმანული არმიის ეგიდით და გერმანულე-ბის ფინანსური დახმარებით. აღსანიშნავია, რომ ენვერ ფაშას მათვების საჩუქრად გაუგზავნია „ასიოდე იაპონური კავალერიის მშვენიერი კარაბი-ნი თავისი ამუნიციით“. ორგანიზაციული თვალსაზრისით, ქართული ლე-გიონი შედიოდა ოსმალეთის არმიის მე-8 ფეხოსანთა პოლქში, რომლის მე-თაურიც იყო გერმანელი ვიცე-პოლკოვნიკი შტანგე და რომელიც ძირითა-დად აჭარელი და ლაზი მოხალისეებით იყო დაკომპლექტებული. სწორედ მათ აიღეს სოფ. ბაშქო, დაატყვევეს ართვინის გუბერნატორი ლავროვი და რუსების ჯარი ოთიცრებთან ერთად, მათვე დაიკავეს არტაანიც, მათ დაამარცხეს რუსები მურდულსა და აჭარაში. ამ ლეგიონის შესახებ საინ-ტერესო ცნობებია გ. კეკელიძის მოგონებებში, რომელიც იყო ლ. კეკელი-ძის ძმა და ქართული ლეგიონის ნევრი. ამ მოგონებებს საფრანგეთში მიაკ-ვლია და გამოაქვეყნა გ. მამულიამ, რომელიც აღნიშნავს: ფაქტობრივად ეს იყო XX საუკუნეში არა მარტო ქართველთა, არამედ, ზოგადად, კავკა-სიელთა პირველი შეიარაღებული ბრძოლა რუსეთის იმპერიალიზმის წი-ნააღმდეგ, რადგან ქართულ ლეგიონში, ქართველების გარდა, შედიოდნენ ოსმალეთში მცხოვრები ჩრდილოკავკასიელები<sup>1</sup>.

თურქეთის არმიის წარმატებამ ბათუმის ოლქში და ქოფრუქოის ოპერაციამ, ენვერს განუმტკიცა ყალბი რწმენა, რომ რუსეთის არმია არ იყო თურქეთის არმიაზე ძლიერი და ის შეძლებდა თავისი შორსმიმავალი გეგმების განხორციელებას, თურქეთის სულთან-ხალიფას მმართველო-ბის ქვეშ თურქული მოდგმის ხალხთა გაერთიანებას. ბრძოლის პირველ ეტაპზე მას უნდა აღედგინა 1877-1878 წნ. რუსეთ-თურქეთის ომამდე არსებული საზღვარი<sup>2</sup>.

ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა კავკასიის კამპანიაში 1914 წ. იყო სარიყამიშის ოპერაცია, რომელიც გრძელდებოდა სამი კვირის გან-მავლობაში 22 დეკემბრიდან 17 იანვრამდე. ოსმალეთის იმპერია კავკა-სიის დაპყრობის საწყისად ყარსის, არტაანის, ბათუმის აღებას ისახავდა მიზნად. სარიყამიში იყო საკანძო პუნქტი და მდებარეობდა ყარსიდან ჩრდილოეთისკენ მიმავალ გზაზე.<sup>3</sup>

<sup>1</sup> გ. მამულია, ახლად აღმოჩენილი მოგონებები საქართველოს დამოუკიდე-ბელი კომიტეტის შესახებ, გიორგი კეკელიძის მოგონებები, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი (1914-1918 წნ.), ფიროსმანი, 11 (სტამბოლი, 2010), 36-51; ვ. შერემეთ, *Босфор, Россия и Турция в эпоху первой мировой войны*, 145.

<sup>2</sup> ო. გიგინიშვილი, თურქიზმი და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა, 118.

<sup>3</sup> S.J.Shaw, E.K.Shaw, *Osmanlı İmparatorluğu ve modern Türkiye*, II cilt, 378.

სარიყამიშის ბრძოლას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ როგორც თურქები ასევე რუსებიც, ამაზე მეტყველებს ისიც, რომ ბრძოლის დაწყებამდე, რამდენიმე დღით ადრე იქ ჩავიდა რუსეთის ხელმწიფე ნიკოლოზ II. მიუხედავად მოსალოდნელი საფრთხისა ის სარიყამიშიდან გაემგზავრა სოფელ მიჯინგირთში (ამჟამად სოფ. ინქაია), სადაც დააჯილდოვა იქ მყოფი ოფიცერები, ჯარისკაცები და კაზაკები. მათვის დიდი პატივი იყო იმპერატორის ხელით დაჯილდოება. ხელმწიფის ჩასვლამ ამ მიყრუებულ მხარეში დიდი გავლენა მოახდინა ჯარის ნაწილებზე, მათი საბრძოლო განწყობის ამაღლებაზე.<sup>1</sup> ამ მოვლენების შესახებ საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის ე. მასლოვსკი, რომელიც იყო კავკასიის არმიის შტაბის თანამშრომელი და გენერალ იუდენიჩის პერატიული მომხსენებელი.

ამავე პერიოდში, რუსებმა არმიის შტაბის დაზვერვის განყოფილებიდან მიიღეს ცნობა ენვერ ფაშას არზრუმში, არმიის შტაბში, გამგზავრების შესახებ. ნათელი გახდა, რომ ასეთ საპასუხისმგებლო დროს საბაზედრო მინისტრი ენვერ ფაშა რომელიც იყო ვიცე-გენერალისიმუსი მთელი თურქული არმიისა და იმპერიის ფაქტობრივი მბრძანებელი, უბრალოდ მე-3 არმიის ინსპექტორებისათვის არ ჩავიდოდა იქ. მას თან ახლდა თურქეთის გენერალური შტაბის უფროსი ბრონსარ ფონ შელენდორფი, რაც იმაზე მიანიშნებდა, რომ შესაძლებელი იყო დიდი მასშტაბის ოპერაცია.<sup>2</sup>

სარიყამიშის ბრძოლის წინ თურქულ სარდლობაში მოხდა ცვლილება, ენვერ ფაშამ გადაყენა მესამე არმიის სარდალი, ჰასან იზეთ ფაშა, რომელსაც ეჭვი შეეპარა ოპერაციის წარმატებაში და 19 დეკემბერს თვითონ იყისრა მესამე არმიის მეთაურობა. ენვერ ფაშა უშუალოდ ხელმძღვანელობდა სარიყამიშის ბრძოლას. იგი ფიქრობდა, რომ თურქეთის არმიის რიცხობრივი სიჭარბით მოიპოვებდა გამარჯვებას რუსებზე.<sup>3</sup> ამ ბრძოლის მიზანი იყო ყარსის, არტაანის და ბათუმის ოლქების დაკავება, რომელიც 1878 წ. სან-სტეფანოს ზავისა და ბერლინის ტრაქტატის შემდეგ გადაეცა რუსეთს. ენვერ ფაშა ვარაუდობდა, რომ ამის შემდეგ კავკასიისათვის წარმოებულ ბრძოლაში იგი რუსეთს აუმხედრებდა ამ რეგიონის მუსლიმ მოსახლეობას და ისინი მხარს დაუჭერდნენ ოსმალებს.<sup>4</sup>

ოსმალებმა დეკემბერის თვეში აიღეს სარიყამიში, მაგრამ მოკლე დროში დეკემბრის ბოლოსა და იანვრის დასაწყისში რუსეთის არმია კონტრშტეტევაზე გადავიდა და თურქები დაამარცხა. <sup>5</sup> თურქები შეეცადნენ რუსები ალყაში მოექციათ, მაგრამ რუსებმა გაძლიერებული ძალებით

<sup>1</sup> Е. В. Масловский, *Мировая война на Кавказском фронте 1914-1917 г.,* 74-75.

<sup>2</sup> იქვე, 78.

<sup>3</sup> ო. გიგინეიშვილი, *თურქიზმი და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა,* 119; Turkey in the First World War, Caucasus,

<http://www.turkeywar.com/campaigns/caucasus.html>

<sup>4</sup> E. Z. Karal, *Ottoman Tarihi*, IX. Cilt, İkinci Meşrutiyet ve Birinci Dünya Savaşı, 414 - 424.

<sup>5</sup> S.J.Shaw, E.K.Shaw, *Ottoman imparatorluğu ve modern Türkiye*, II cilt, 378; გ. სვანიძე, თურქეთის ისტორია, 355.

ოსმალები მოაქციეს ალყაში და დიდი ზარალი მიაყენეს.<sup>1</sup> ალსანიშნავია, რომ დერბენდის პოლკის ნაწილმა კაპიტან ტარას ვაშაკიძის მეთაურობით უკუაგდო თურქები და ტყვედ ჩაიგდო IX კორპუსის მეთაური იპსან ფაშა მისი შტაბით, ასევე მე-17, 28-ე და 29-ე დივიზიის მეთაურები მათ შტაბებთან ერთად, 107 ოფიცერი და 2000 ჯარისკაცი.<sup>2</sup> მას თურქებმა „შეითან კაპიტანი“ შეარქვეს. ალსანიშნავია, რომ კავკასიის ფრონტზე არაერთმა ქართველმა ოფიცერმა ისახელა თავი, მათ შორის გ. ამილახვარმა, მ. ბარათაშვილმა, ვ. გაბაშვილმა, დ. გელევანიშვილმა, აგრეთვე ქაქუცა ჩოლოყაშვილმა, რომელიც გამოჩენილი გმირობისათვის „ოქროს ხმლით“ დააჯილდოვეს.

სარიყამიშთან დამარცხებისთანავე ენვერმა მე-3 არმიის სარდლად ჰაფიზ ჰაქი ფაშა დანიშნა, თვითონ კი სტამბოლში დაბრუნდა. ენვერ ფაშამ ეს მოვლენა ლაკონურად ასე დაახასიათა: „ნავედით, ვნახეთ, შევუტიეთ და უკან დავბრუნდით (Gittik, gördük, saldirdik, geri döndük). მან აკრძალა ამ თემაზე ყოველგვარი ლაპარაკი, სასონარკვეთილებაში ჩავარდნილმა თურქი ხალხის ნინაშე მოსაბოდიშებლი წერილი დაწერა და თვითმკვლელობა გადაწყვიტა, თუმცა თალაათ ფაშას გავლენითა და ძალისხმევით უარი თქვა ამ გადაწყვეტილებაზე.<sup>3</sup>

სარიყამიშის ოპერაცია დასრულდა თურქეთის მესამე არმიის განადგურებით, თურქებმა 70 ათასზე მეტი ჯარისკაცი დაკარგეს (ზოგი მონაცამებით კი 90 ათასი), რომელთაგან 30 ათასი გაიყინა, როგორც აღვნიშნეთ, IX კორპუსი თავისი მეთაურითა და შტაბით ტყვედ ჩავარდა, მესამე არმიის სარდალს ჰაფიზ ჰაშას ტიფი შეეყარა და გარდაიცვალა.<sup>4</sup> თურქი ხალხი სარიყამიშის ბრძოლას, „სარიყამიშის ტრაგედიას“, „სარიყამიშის კატასტროფას“ (Sarıkamış Faciası, Sarıkamış Felaket) უწოდებს. თუმცა, რუსული არმიის დანაკარგიც დიდი იყო, მათ ამ ბრძოლაში 26 ათასი ჯარისკაცი დაკარგეს, რომელთა შორის 6 ათასზე მეტი გაიყინა.<sup>5</sup> თურქული არმიის მსხვერპლის ასეთი რაოდენობა განპირობებული იყო იმით, რომ თურქეთის სარდლობამ არ გაითვალისწინა ამ რაიონისთვის დამახასიათებელი ცივი ზამთარი ( $20^{\circ}$  -  $25^{\circ}$  ყინვა), მათ არც ამ რაიონის სამხედრო-გეოგრაფიული აღნერილობა გააჩნდათ.<sup>6</sup> ეს იყო მიზეზი იმისა, რომ თურქების სამხედრო ნაწილებს შორის არ იყო სათანადო კავშირი და ისინი არაკოორდინირებულად მოქმედებდნენ, როგორც ამას არაერთი ავტორი აღნიშნავს. ვფიქრობთ, ამის მიზეზი ის

<sup>1</sup> C.V. Findley, *Modern Türkiye Tarihi*, 209.

<sup>2</sup> Е. В. Масловский, *Мировая война на Кавказском фронте 1914-1917 г.*, 121.

<sup>3</sup> Z. Karal, *Osmanlı Tarihi*, IX. Cilt, İlkinci Meşrutiyet ve Birinci Dünya Savaşı, 414 - 424.

<sup>4</sup> იქვე, 414 – 424. ო. გიგინეიშვილი, თურქიზმი და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა, 120; К. Бейдилли, От Кючук-Кайнарджийского договора до распада империи, 101

<sup>5</sup> Е. В. Масловский, *Мировая война на Кавказском фронте 1914-1917 г.*, 126.

<sup>6</sup> ო. გიგინეიშვილი, თურქიზმი და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა, 120.

უნდა ყოფილიყო, რომ ომის დასაწყისში რუსებმა დააკავეს თურქების გემი და ხელთ იგდეს გერმანელების მიერ შედგენილი რეგიონის რუკები. კავკასიის შტაბის ტოპოგრაფიულმა განყოფილებამ, რომელიც ცნობილი იყო კარტოგრაფიული სამუშაოებით, ხელმეორედ გამოსცა ეს რუკები, უკვე რუსული სახელწოდებებით და ომის დასაწყისშივე რუსული საჯარისო შენაერთები მოამარავა ამ რუკებით, რომლებსაც ისინი ომის ბოლომდე იყენებდნენ.<sup>1</sup>

მ.შახინლერი აღნიშნავს, რომ უკვე 1914 წ. ზამთრის მოვლენებმა კავკასიაში, გაამართლა მუსტაფა ქემალის შიში, თურქებისათვის ომის მოსალოდნელი შედეგების გამო.<sup>2</sup> სარიყამიშის ბრძოლის შემდეგ რუსეთის კავკასიის არმიამ სამხედრო მოქმედებები ანატოლიაში თურქეთის ტერიტორიაზე გადაიტანა. ამრიგად, კავკასია დაცული იყო თურქული არმიის თავდასხმისაგან. იმ შემთხვევაში თუ ოსმალები სარიყამიშთან დაამარცხებდნენ რუსულ ჯარს, მათ ომის დასწყისშივე გაეხსნებოდათ გზა თბილისისა და ბაქოსაკენ.

1915 წ. იანვარში რუსეთის არმიამ დაიკავა ხოფა და არტანუჯი, მაისში კი ვანი. ამ პერიოდში, ოსმალეთის იმპერიის 1915 წ. აპრილში გამოცემული ბრძანების თანახმად, თურქებმა დაიწყეს სომხური მოსახლეობის დეპორტაცია ფრონტისპირა რაიონებიდან, იმ მოტივით რომ სურდათ მათი ჯაშუშური საქმიანობის ალკვეთა.<sup>3</sup> ეს ცალკე კვლევის საკითხია და ამჟამად არ შევხებით მას. რუსულმა ჯარებმა კი გააგრძელეს ბრძოლა, 1916 წლის თებერვალში მათ დაიკავეს არზორუმი და ბითლისი, აპრილში საზღვაო და სახმელეთო ოპერაციების შედეგად აიღეს ტრაპიზონი, ხოლო ივნისის ბოლოს კი ერზინჯანი. მართალია, მუსტაფა ქემალის მეთაურობით სამხედრო შენაერთებმა აიღეს ბითლისი და მუში, მაგრამ ენვერ ფაშას შეტევები ნარუმატებლად დასრულდა. ბრძოლები აქ ცვალებადი უპირატესობით მიმდინარეობდა.<sup>4</sup> ჯერ კიდევ 1916 წ. დასასრულისათვის საომრად ვარგის ადამიანთა რესურსები ოსმალეთმა თითქმის მთლიანად ამონურა. შემშილი და ეპიდემიები სპობდა მოსახლეობასაც და ჯარსაც, იმატა დეზერტირობამ. ეპიდემიებმა იმსხვერპლა მეტი, ვიდრე მონინააღმდეგის ყუმბარებმა.<sup>5</sup> მეტად მძიმე იყო ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა.

1914 -1917 წელის სამხედრო მოქმედებების შედეგად, თურქეთმა დაკარგა თითქმის მთელი აღმოსავლეთ ანატოლია, მესოპოტამია, სირია და პალესტინა. თურქულმა ჯარებმა მოახერხეს მხოლოდ გალიპოლის ნახევარ-

<sup>1</sup> Е. В. Масловский, *Мировая война на Кавказском фронте 1914-1917 г.,* 47.

<sup>2</sup> М. Шахинлер, *Кемализм: зарождение, влияние, актуальность,* 34.

<sup>3</sup> A. Palmer, *Son Üç Yüz Yıl Osmanlı İmparatorluğu*, 236; გ. სვანიძე, *თურქეთის ისტორია*, 356.

<sup>4</sup> C.V. Findley, *Modern Türkiye Tarihi*, 209; ჩ. კირეევ, *История Турции XX Век*, 105; კინროსი, ათათურქი, 77.

<sup>5</sup> C.V. Findley, იქვე; ო. გიგინეიშვილი, *თურქიზმი და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა*, 125, 139.

კუნძულის შენარჩუნება. ომის შედეგებმა დაამტკიცა, რომ ენვერ ფაშას სარისკო და ავანტურისტული პოლიტიკა, მისი ოცნებები იმპერიის აღ-დგენაზე, ძარცხისთვის იყო განწირული.

ენვერის სტრატეგიული გეგმები, რომელიც ითვალისწინებდა გლო-ბალურ პანისლამურ და პანთურქულ პროპაგანდას თურქების დაპყრობი-თი ლაშქრობების დროს, თითქოს საბოლოოდ ჩაიშალა, ბევრისთვის ნათე-ლი იყო, რომ ეს გეგმები არ ემთხვეოდა გერმანიის მოთხოვნებს არც ბალ-კანეთში, არც ახლო აღმოსავლეთში და არც ინგლისის კოლონია ინდოეთ-ში. მაგრამ 1917 წ. ბოლოს | მსოფლიო ომის მონაწილეები გლობალური მოულოდნებლობის წინაშე აღმოჩნდნენ. რუსეთის იმპერიამ დაასწრო ევ-როპის „ავადმყოფ ადამიანს“ და ოქტომბრის რევოლუციის შედეგად ის ოსმალეთის იმპერიაზე ადრე გახდა ისტორიის კუთვნილება. ამის შემდეგ განვითარებულმა მოვლენებმა კვლავ აალორდინა ახალგაზრდა თურქების პანთურქისტული გეგმები.<sup>1</sup> 1918 წ. იანვარში თურქეთის არმიამ დაიწყო შეტევა დემორალიზებული რუსული ჯარის წინააღმდეგ. მათ 24 იანვარს აიღეს ტრაპიზონი, 12 მარტს არზრუმი, თურქები მივიდნენ 1914 წლამდე არსებულ საზღვრამდე. 1918 წ. 3 მარტს ხელმოწერილი სეპარატული ბრესტის ზავის შემდეგ შეწყდა საომარი ოპერაციები კავკასიის ფრონტზე რუსეთსა და თურქეთს შორის. რუსეთმა გაიყვანა ჯარი კავკასიის ფრონ-ტიდან და „ახალგაზრდა თურქების“ მითური თურანის სახელმწიფოს შექ-მნის პანტურქისტულმა იდეამ თითქოს ხორცის შესხმა დაიწყო.

ენვერ ფაშას, იმპერიაში შემავალი არაბული მიწების ბედი უკვე ალარ აინტერესებდა. მას თურქისტანი (თურანი) აღმოსავლეთისკენ უხ-მობდა. რუსეთის იმპერიის ნგრევა ოსმალეთის არმიას შესაძლებლობას აძლევდა დაეპრუნებინა აღმოსავლეთ ანატოლია და ომის დროს, სამი წლის განმავლობაში დაკარგული ზოგიერთი ვილაჟეთი. ენვერ ფაშა ფიქ-რობდა, რომ შექლებდა თურქულ ჯარში კავკასიის შემოერთებას, „ისლამური არმიის“ შექმნას და შემდეგ შუა აზიის აღებას.<sup>2</sup>

ოსმალეთის იმპერიის ჯარის დაიკავა ყარსის, არტაანის და ბათუ-მის ოლქები. თუმცა, ბრესტის ზავის მე-4 მუხლის მიხედვით ყარსის, არ-ტაანის და ბათუმის ბედი თვით ამ ოლქების მოსახლეობის ნებასურვი-ლის თანახმად უნდა გადაწყვეტილიყო. იქ არაფერი იყო ნათქვამი ამ ტე-რიტორიების თურქეთისათვის ყოველგვარი პირობის გარეშე გადაცემის შესახებ.<sup>3</sup> ოსმალეთი ძალით ეუფლებოდა ტერიტორიას. იქაური მოსახ-ლეობა, უპირველესად სომხები და რუსი მოახალშენები, ოსმალთა ში-შით სასწრაფოდ ტოვებდნენ სახლ-კარს. კავკასიის ქალაქები, ყველაზე მეტად თბილისი, სომეხი ლტოლვილებით აივსო.<sup>4</sup> ამიერკავკასიისკენ

<sup>1</sup> Н. Киреев, *История Турции XX век*, 107.

<sup>2</sup> A. Palmer, *Son Üç Yüz Yıl Osmanlı İmparatorluğu*, 242.

<sup>3</sup> ო. გიგინეიშვილი, თურქიზმი და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა, 185; მ.სვანიძე, თურქეთის ისტორია, 363; S.Sürmeli, *Türk-Gürcü ilişkileri (1918-1920)*, ATAM, ( Ankara. 2001), 56;

<sup>4</sup> ო. გაჩეჩილაძე, ჩემი XX საუკუნე, ტ. I, 145.

ლაშქრობის დაწყებასთან ერთად ოსმალეთმა აამოქმედა მთელი თავისი აგენტურა, რომელიც მას რუსეთის ტერიტორიაზე ჰყავდა და რომელ-საც „ფარულ ენერგიას“ უწოდებდნენ. ამ „ფარულ ენერგიას“ ყარსს ოლქში ოსმალეთის რეგულარული ნაწილების შემოსვლის წინ ფურგონებით მიჰქონდა იარაღი არტაანსა და ოლთისში მუსლიმი მოსახლეობისათვის დასარიგებლად, ანგრევდა რკინიგზებს. ომის პერიოდში ოსმალეთის ჯარების შესახვედრად მზადება მესხეთშიც წარმოებდა. ოსმალეთის დაზვერვის რეზიდენტებს შორის იყვნენ ექიმები, მასწავლებლები, მუსლიმი სასულიერო პირები და სხვა. როგორც ვ. ნოზაძე აღნიშნავს, ენვერ ფაშას ძმამ, ნური ფაშამ მოაწყო კავკასიაში განსაკუთრებული ჯარი, ეგრეთწოდებული „ისლამის არმია“, რომლის მთავარი შტაბი იმყოფებოდა განჯაში (მისი ბირთვი იყო ოსმალეთის კავკასიის მე-5 დივიზია, ე.მ.) და რომელსაც უნდა გაეერთიანებინა ყველა მუსლიმანურ-თურქული (თურქულენოვანი) ქვეყანა: თურქისტანი, ცენტრალური აზია, ჩრდილო სპარსეთი, კავკასია, სამხრეთ რუსეთის თათრები. ამ საერთო დიდ პანთურანულ გეგმაში კავკასიას თავისი საპატიო ადგილი ეჭირა და კავკასიის ფრონტის გაშიშვლების შემდეგ, ოსმალური ჯარი შეეცადა სწორედ მის დაკავებას. ისინი მოელოდნენ მოძმე აზერბაიჯანელთა, საერთოდ მუსლიმანთა, დიდ დახმარებას. მათ წინ გადაელობნენ ქართული და სომხური ჯარები და ქართული დიპლომატიაც. საბოლოოდ, გერმანიის ჩარევით, მადა შეუკვეცეს ფართო ოსმალურ გეგმას კავკასიის მიმართ.<sup>2</sup>

1918 წლის 15 სექტემბერს „ისლამის არმიამ“ ნური ფაშას მეთაურობით აიღო ბაქო და გეგმავდნენ თურქისტანში, შუა აზიაში, გალაშქრებას. ეს გერმანიასთან შეუთანხმებლად ხდებოდა. ახლა, როდესაც თურქები ბაქოში კასპიის ზღვის სანაპიროებთან იდგნენ, ძნელი იყო მათი დარწმუნება იმაში, რომ თურანის იდეა ისევე შორს იყო განხორციელებიდან, როგორც XIX საუკუნეში, როდესაც ეს ტერმინი პირველად გამოჩნდა პოლიტიკურ გეგმებში, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მე-XIX საუკუნის პოლიტიკური ფანტაზია I მსოფლიო ომის წლებში პოლიტიკურ ავანტურად იქცა. ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიაში თურქი ინტერენტების წინააღმდეგ იბრძოდა ადგილობრივი მოსახლეობა. თურქების დანაკარგები სულ უფრო და უფრო იზრდებოდა, იმატა დეზერტირობამ.<sup>3</sup> თურქების მიერ ბაქოს აღებას მოჰყვა 1918 წ. 20 სექტემბერს საბჭოთა მხარის მიერ ბრესტის ზავის იმ ნაწილის ანულირება, რომელიც თურქეთს ეხებოდა. ეს მოასწავებდა ახალგაზრდა თურქთა უკანასკნელ

აღსანიშნავია, რომ პროპაგანდის გზით ანატოლიაში არა მარტო შიიზმი მკვიდრდებოდა და ხალხთა გადასახლება ხდებოდა, არამედ ყალიბდება ფანატიკური ჯგუფებიც. ასე მაგალითად, როდესაც ბაიაზედ II ალბანეთიდან ბრუნდებოდა მას თავს დაესხა ვიღაც ყიზილბაში სახელად იშაქი, რომელსაც ოსმალეთის სულთნის მოკვლა უნდოდა.

შაჰ ისმაილი ზედმინევნით იცავდა შიიზმს, თავის ტერიტორიაზე. ჯემალ ფაშა ზადეს გადმოცემით მან საკუთარი დედაც კი მოაკვლევინა, რათა ამ უკანასკნელმა არ ინება რჯულის შეცვლა. იგი სასტიკად ეპყრობოდა სუნიტ მოსახლეობას, რომელიც მისი გამგებლობის ქვეშ ცხოვრობდნენ. იგი კრძალავდა თავის ტერიტორიაზე სუნიზმს და ცდილობდა ყველა თავისი ქვეშევრდომი შიიზმზე მოექცია, ხოლო დაუმორჩილებ-

ლებს სასტიკად უსწორდებოდა. ამის გამო დაიწყო სუნიტური მოსახლეობის მასობრივი გადასახლება მეზობელ ოსმალეთსა და უზბეკთა სამეფოში. ისმაილ I-ის მოხელეები, შიიზმს ავრცელებდნენ არა მარტო ირანში, არამედ მეზობელ სამფლობელოებშიც. განსაკუთრებით დიდი იყო ანატოლიში შაჰ ყულის მოძრაობა, რომელმაც დიდი არეულობა გამოიწვია ოსმალეთის სულთან ბაიაზეთ II-ს სამფლობელოში.

ისმაილი არა მარტო კრძალავდა არამედ დამცინავადაც ექცეოდა სუნიზმს. როდესაც მან 1508 წელს ბალდადი დაიპყრო ქალაქის გამგებლად საჭურისა დასვა და “ხალიფების ხალიფის ტიტული უბოძა”.

ისმაილის მმართველობის პირველი ათი წლის განმავლობაში მან დაიპყრო სომხეთი, ქურთისტანი, ბალდადი, არაბული ერაყი. 1510 წელს მან დაამარცხა უზბეკთა მეთაური შეიძან ხანი.

Іსმაილ I-ის წარმატებამ ძალზედ შეაშფოთა სუნიტური ოსმალეთი. თუმცალა ოსმალეთის სულთნის ბაიაზეთ II-ს ზეობის დროს, ოსმალეთსა და ირანს შორის მკვეთრი დაპირისპირება არ მომხდარა, უფრო მეტიც ისმაილისა და ქვეყანაში მცხოვრები შიიტური მოსახლეობის შიშით, ბაიაზეთი ყველა დათმობაზე მიდიოდა.

ისმაილის რელიგიურ პროპაგანდას და აქტიურობას დაუპირისპირდა ოსმალეთის მომდევნო სულთანი სელიმ I. იგი თავიდანვე წინ აღუდგა სეფიანთა მმართველს და ისმაილს საღვთო ომი გამოუცხადა. სმალეთის სულთანმა ისმაილთან უშუალოდ დაპირისპირებამდე სადამსჯელო იპერაცია მოაწყო ანატოლიის აღმოსავლეთში და 40 ათასი შიიტი სიკვდილით დასაჯა, ხოლო ქალები და ბავშვები რუმელიაში გადაასახლა. ამ აქტით სელიმმა საფუძველი გამოაცალა ისმაილს დასაყრდენი ყოლოდა ოსმალეთში. 1514 წლის 23 აგვისტოს სელიმსა და ისმაილს შორის გაიმართა გადამწყვეტი ბრძოლა ჩალდირანის ველზე, სადაც ოსმალთა სულთანმა სასტიკად დაამარცხა სეფიანთა მმართველი, რაც ერთგვარი დასაპამი აღმოჩნდა ისმაილ I-ის რელიგიური პროპაგანდის მსხვრევისა.

## მამუკა წურწუმია

ევროპელ ავტორთა ცნობები შუა საუკუნეების ქართველ ამორძალებზე: მითი თუ სინამდვილე?

სადავო არ არის, რომ შუა საუკუნეების ქართული სამხედრო საქმე საფუძვლიან კვლევას საჭიროებს. ასეთი კვლევის შედეგებს მნიშვნელობა აქვს არა მარტო სხვადახვა დარღის ისტორიკოსებისათვის, არამედ ხელოვნებათმცოდნების, კულტუროლოგებისა და მრავალი სხვა დარგის მკვლევართათვისაც. კვლევის პროცესში მოულოდნელი აღმოჩენებიც გველოდება. ასეთი კატეგორიის საკითხებს თამამად შეიძლება მივაკუთვნოთ ქალთა მონაწილეობა შუა საუკუნეების სამხედრო მოქმედებები. ამ მხრივ ქართული წყაროების ცნობებით განებივრებული არ ვართ, თუმცა შუა საუკუნეების ევროპულ წყაროებში სისტემატურად გვხვდება ცნობები ქართველ წარჩინებულ ქალთა შესახებ, რომელთაც მამაკაცთა მსგავსად იარაღი აქვთ ასხმული. თავდაპირველად მივყვეთ ამ ცნობებსა და მათ ავტორებს, შემდეგ კი განვიხილოთ, თუ რამდენად შეეფერებიან ისინი სინამდვილეს.

უაკ დე ვიტრი, აკრას ეპისკოპოსი და დამიეტას ალყის მონაწილე, ქართველების დახასიათებისას აღნიშნავს, რომ „ქართველთა წარჩინებულ ქალებს ამორძალთა დარად რაინდებივით იმში იარაღი აქვთ ასხმული“.<sup>1</sup> ასეთივე ინფორმაციას გვაწვდის მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის მეორე მონაწილეც ოლივერუს ადერბორნელი, რომელიც 1220-21 წლებში წერს: „ქართველები მეომარი [მამაცი] ერია... ასევე გამოცდილი არიან ბრძოლებში მხედართა [თამანხლები] ქალები“.<sup>2</sup> პადერბორნელს კვერს უკრავს ვინცენტიუსი XIII საუკუნის შესახების ენციკლოპედიაში: ქართველების „წარჩინებული ქალები განსწავლულნი არიან საომარ ხელოვნებაში“.<sup>3</sup> მსგავს ცნობას ვხვდებით მეტრ გოსუენის 1245 წლის „სამყაროს ხატში“: „[ქართველთა] კეთილშობილი ქალები შეიარაღებულნი იბრძვიან სარენოზთა წინააღმდეგ საქართველოს სხვა რაინდთა მხარდამხარ“.<sup>4</sup>

---

კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (გრანტი HE15-025).

<sup>1</sup> Jacques de Vitry, *The History of Jerusalem, A.D. 1180*, translated from the original Latin by Aubrey Stewart (London, 1896), 84 შდრ. გრიგოლ ფერაძე, უცხოელ პილივრითა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ, გმირსაცემად მომზადა, შესავალი წერილი და დამატებითი შენიშვნები დაურთო გოჩა ჯაფარიძემ (თბილისი, 1995), 30.

<sup>2</sup> ალექსანდრე თვარაძე, საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში (თბილისი, 2004), 143-4.

<sup>3</sup> თვარაძე, საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში, 147.

<sup>4</sup> De Maitre Gossouin, *L'Image de Monde* (Paris, 1913), 125. შდრ. თვარაძე, საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში, 148.

როგორც ვხედავთ, XIII საუკუნის რამდენიმე წყარო გვაწვდის ინფორმაციას ქართველ ქალბატონთა მხედრული მისწრაფებების შესახებ. აქედან მოყოლებული, ცხობები ქართველი ამორძალების შესახებ საუკუნეებს მისდევს და კვლავინდებურად გვხვდება ევროპულ ლიტერატურაში. ვენეციელი მარინო სანუდო, რომელმაც 1306-21 წლებში გეგმა შეადგენა მუსლიმთაგან წმინდა მიწის დასახსნელად, ქართველთა შესახებ წერს: „მათი კეთილშობილი ქალები ამორძალთა მსგავსად იარაღით ხელში მონანილეობას იღებენ ბრძოლებში!“<sup>1</sup> 1480 წლის ინგლისურ „სამყაროს სარკეში“ საქართველოს შესახებ ვკითხულობთ: „ამ ქვეყნის კეთილშობილი ქალები შეიარაღებული და სწრაფ ცხენებზე ამხედრებული საქართველოს რაინდთა მხარდამხარ იბრძვიან სარკინოზთა წინააღმდეგ“.<sup>2</sup> 1480-83 წლებში დომინიკელი თეოლოგი ფელიქს ფაბრი წერს: „ისინი [ქართველები] მეომრები გახლავთ და თავიანთ ქალებსაც მეომრებად წვრთნიან“.<sup>3</sup> გერმანელი პილიგრიმი ბერნარდ ფონ ბრაიდენბახი,<sup>4</sup> რომელიც 1483 წელს იმყოფებოდა წმინდა მიწაზე და მალევე (1486) გამოაქვეყნა ამ მოგზაურობის აღწერა, ამბობს, რომ ქართველი „წარჩინებული ქალები იბრძვიან და ამორძალებივთ ხმარობენ იარაღს“.<sup>5</sup> 1507 წელს გერმანელი რაინდი მარტინ ბაუმგარტენი, წმინდა მი-

<sup>1</sup> Marino Sanudo Torsello, *The Book of the Secrets of the Faithful of the Cross (Liber Secretorum Fidelium Crucis)*, translated by Peter Lock (Farnham, 2011), 292; თვარაძე, საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში, 161.

<sup>2</sup> იქვე, 171.

<sup>3</sup> Felix Fabri (Circa 1480-1483 A.D.), *Wanderings in the Holy Land*, translated by Aubrey Stewart, vol. I, part II (London, 1896), 435; ფერაძე, უცხოულ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ, 45.

<sup>4</sup> ბრაიდენბახის შესახებ იხ. ე. მამისთვალშვილი, ბერნარდ ფონ ბრაიდენბახი პალესტინაში მყოფი ქართველების შესახებ. – მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის ხერია, 3 (1975), 74-6.

<sup>5</sup> Bernhard von Breydenbach, *Peregrinatio in terram sanctam* (Mainz, 1486), 183 (პირობითი პაგინაცია). ბრაიდენბახის ეს ცნობა გ. ფერაძის წიგნში შეტანილია როგორც „სოლმის გრაფის იოჰანის“ 1483 წლის ინფორმაცია. შდრ. Gregory Peradze, An Account of the Georgian Monks and Monasteries in Palestine as Revealed in the Writings of Non-Georgian Pilgrims. – *Georgica*, 4-5 (Autumn 1937), 193-4; ფერაძე, უცხოულ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ, 47. გ. ფერაძის მიერ დაშვებული ამ უზუსტობის მიზეზიც ადვილი გასარკვევია: ის ეყრდნობა 1659 წელს ნიურნბერგში გამოცემულ კრებულს, სადაც თავმოყრილია წმინდა მიწაზე მოგზაურობათა აღწერილობები და რომელშიც სოლმისის გრაფის იოჰანის (Graf Johann zu Solms) მოგზაურობაცაა შეტანილი. *Bewehrtes Reisebuch des Heiligen Lands* (Nürnberg, 1659), 167. მაგრამ საქმე იმაშია, რომ იოჰანი წმინდა მიწაზე პილიგრიმობისას უკანა გზაზე ალექსანდრიაში გარდაიცვალა 1483 წელს. მისი მოგზაურობა კი აღწერა ბერნარდ ფონ ბრაიდენბახმა, რომელიც გრაფ იოჰანთან ერთად ეწვია წმინდა მიწას და მისი ექსპედიციის წევრი იყო.

ნაზე თავისი პილიგრიმობის შესახებ ანგარიშში, ქართველების შესახებ ამბობს, რომ “მათი წარჩინებული ქალები ამორძალების მსგავსად ხმარობენ და ატარებენ იარაღს”.<sup>1</sup>

ევროპელი ავტორების ამ მრავალრიცხოვანი მოწმობების მიუხედავად, მათში გარკვეული ეჭვის შეტანა მაინც შესაძლებელია. ხშირ შემთხვევებში, ეს ცნობები მეორადია, ავტორთა თვალით ნანახს არ წარმოადგენს და მხოლოდ დამკვიდრებულ გადმოცემებსა და ტრადიციას ასახავს. ალბათ ესეცაა მიზეზი, რის გამოც ქართველი მკვლევარი ა. თვარაძე, რომელმაც მრავალი ევროპული წყარო შეკრიბა, ასეთ ცნობებს უცნაურს უწოდებს და კატეგორიულად უარყოფს მათ ნამდვილობას: “აღნიშნული ფაქტი, ცხადია, არც ქართული და არც აღმოსავლური წყაროებით არ დასტურდება”. მისი აზრით, აღნიშნული გადმოცემები ორი გარემოებით იყო გამოწვეული: ევროპელთა წარმოდგენაში საქართველოს გოგრაფიული სიახლოეთი ამორძალთა საცხოვრისთან და საქართველოში ქალების – თამარისა და რუსულანის მეფობის ფაქტებით.<sup>2</sup> საკითხის შესწავლამ ცხადყო, რომ საქმე ასე ერთმნიშვნელოვნადაც არ არის: აღნიშნული ცნობების გარდა, არსებობს თვითმხილველთა ჩვენებებიც და საბუთებიც, რომლებიც ქართველ ქალთა მხედრულ თვისებებს ადასტურებენ.

საქართველოში ქალის მიერ იარაღის ფლობა რომ არცთუ იშვიათი ყოფილა, ამაზე მინიშნებას ქართული სამართლის წიგნებში ვიპოვით, სადაც საგანგებოდ არის გამოყოფილი შემთხვევა, როდესაც შებმის დროს შეიარაღებული ქალის მოკვლა არ ისჯება. ბექა მანდატურთუხუცესის სამართალში ეს კლაუზა სხარტად არის ფორმულირებული: „და თუ მეომარი ყოფილიყოს, მართლითა მოწმითა გამოწიდეს, გარდავდეს ასრე, ვითა ძალლის ყეფა“.<sup>3</sup> იმავეს იმეორებს გიორგი ბრნეინვალის სამართალიც: „და თუ დიაცი მეომრად იყოს და აბჯარი ჰქონდეს და მოკუდეს, გაცუდდეს მის დიაცისა სისხლი“.<sup>4</sup> საბუთიდან ჩანს, რომ ქალი არმარტო იარაღს ფლობს და იბრძვის, არამედ, ყველა წესის დაცვით, სრულად (აბჯრით) არის შეჭურვილი.

შორეულ დასავლეთში მცხოვრებ ევროპელთა გარდა, ჩვენ მოგვეპოვება იმ მოგზაურთა ჩანაწერებიც, რომლებიც თავად არიან საქართველოში ნამყოფი და საკუთარი თვალით ნანახს აღნერენ, რაც სრულ

<sup>1</sup> “The Travels of Martin Baumgarten, A Nobleman of Germany, Through Egypt, Arabia, Palestine, and Syria. – A Collection of Voyages and Travels, compiled by Awnsham and John Churchill, vol. I (London, 1704), 464; ფერაძე, უცხოელ პილიგრიმთა ცნობები პალესტინის ქართველი ბერებისა და ქართული მონასტრების შესახებ, 52.

<sup>2</sup> თვარაძე, საქართველო და კავკასია ევროპულ წყაროებში, 145.

<sup>3</sup> სამართალი ბექასი და აღბუღასი – ქართული სამართლის ძეგლები, 430.

<sup>4</sup> სამართალი მეფის გიორგისა. – ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. 1 (თბილისი, 1963), 412.

საფუძველს გვაძლევს ნდობით მოვეკიდოთ მათ მონაცემებს.<sup>1</sup> იტალიელი მისიონერი დონ კრისტოფორო დე კასტელი, რომელიც 1628-54 წლებში იმყოფებოდა საქართველოში, რამდენიმეგზის მოგვითხრობს ქართველ მეომარ ქალებზე; მეტიც, ეს ქალები იტალიელს თავის ალბომშიც კი ყავს გამოსახული. კასტელის თქმით, „ქართველი ქალები ამორძალების მსგავსნი არიან, სპარსელების ნინააღმდევ იარაღი უკვე აღებული აქვთ, მამაკაცებზე არანაკლებად ცხენებს აჭენებენ და კაცებივით მართავენ“.<sup>2</sup> სხვაგან იმეორებს, რომ „ვისაც კი უნახავს ქართველ ქალთა ცხენით ჯირითი, მისთვის ძნელი არ იქნება დაიჯეროს, რომ ესენი ამაზონები არიან, რადგან ცხენზე მამაკაცებივით სხდებიან და დააჭენებენ“.<sup>3</sup> კასტელი ასევე აღნიშნავს, რომ „სვანი ქალები მეომრები არიან“, „ყველა სვანმა ქალმა თოფის ხმარება იცის“ და ისინი განაფულნი არიან „ცეცხლის (სასროლი) იარალის ხმარებაში“.<sup>4</sup> თავისი სიტყვების დასტურად კასტელს ქართველი შეიარაღებული ქალებიც ჰყავს დახატული. ასეთია ქართლ-კახეთის დედოფლის თამარის სურათი, სადაც ის საბრძოლო იარაღით – ფარით, მშვილდ-კაპარჭითა და გრძელი შუბით არის აღჭურვილი, ფეხზე კი გარსკვლავისებური დეზი უკეთია;<sup>5</sup> იმერეთის მეფის დაც ფარითა და გრძელი შუბით არის გამოსახული.<sup>6</sup> დიდგვაროვანთა გვერდით კასტელი უბრალო ქალებსაც ხატავს: ერთგან შეიარაღებულ სვან ქალს ეხედავთ, რომელიც თოფს ტენის, მეორეგან კი სვანი ქალი და კაცია თოფებით გამოსახული.<sup>7</sup>

ამ ცნობებს ეთანხმება და გარკვეულნილად ავსებს არქანჯელოლამბერტიც, რომელიც XVII საუკუნეში იმყოფებოდა საქართველოში: „სამეგრელოში... ქალები ცხენოსნობაში იმდენად გავარჯიშებულნი არიან, რომ ბევრი მათგანი ცხენზე თვითონ ჯდება სხვის დაუხმარებლად და უშიშრად მიაჭენებს“.<sup>8</sup> ლამბერტი აღნერს სამეგრელოს მთავრის მეუღ-

<sup>1</sup> აკი ხაზგასმით აღნიშნავს კიდეც ბ. ვიორგაძე, რომელმაც კრისტოფორო კასტელის წიგნი მოამზადა გამოსაცემად, რომ იტალიელი ავტორი „მეომარ ქართველ ქალებს ამორძალებად (ამაზონებად) მიიჩნევს არა გულუბრყვილოდ და ტენდენციურად, არამედ სრულიად შეგნებულად... ამხედრებულნი და შეჭურვილნი არიან არა მარტო დედოფლები და სეფე ქალები, არამედ თავადაზნაურთა და გლეხთა წრიდან გამოსული მოხდენილი მანდილოსნებიც“. დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, ტექსტი გაშიფრა, თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთობენ გორგაძემ (თბილისი, 1976), 25.

<sup>2</sup> დონ კრისტოფორო დე კასტელი, ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ, 193.

<sup>3</sup> იქვე, 102.

<sup>4</sup> იქვე, 89, 112.

<sup>5</sup> იქვე, სურ. 51.

<sup>6</sup> იქვე, სურ. 117.

<sup>7</sup> იქვე, სურ. 124, 279.

<sup>8</sup> დონ არქანჯელოლამბერტი, სამეგრელოს აღნერა, გამოსაცემად მოამზადა და ნინასიტყვაობა დაურთო ილია ანთელავამ (თბილისი, 1991), 97.

ლის ამაღლასაც: „შეიძლება შეხვდეთ ასეთ ქალთა მთელ რაზმებს, მშვენივ-  
რად და საუცხოვოდ მორთულთ, რომელნიც ისე მარჯვედ და დახელოვნე-  
ბულად სხედან ცხენებზე, რომ ძველი ამორძალები მოგაგონდებათ“!<sup>1</sup>

აღმოსავლეთში მყოფი კიდევ ერთი ევროპელი, სპარსეთში პორტუ-  
გალიის ელჩი ანტონიო დე გოვეა გადმოგცემს, რომ 1606 წელს შემახი-  
ას შემოწყობილ შაჰ-აბას I-ის ბანაკში კახეთის დედოფალი ქეთევანი 300  
აბჯარასხმული რჩეული ქალით გამოცხადებულა.<sup>2</sup> პორტუგალიელი ავ-  
ტორის მიერ გაზვიადებულიც რომ იყოს აბჯარასხმულ ქალთა რაოდე-  
ნობა, თავად ფაქტი ნათლად მეტყველებს იმაზე, რომ ქართველი ბანო-  
ვანისთვის იარაღი უცხო არ ყოფილა.

ქართველ ამორძალთა შესახებ ცნობები ფრანგული მოთხრობით  
დავამთავროთ, რომელიც თითქოსდა შუა საუკუნეების ევროპული გად-  
მოცემების კვინტესენციას წარმოადგენს. ფრანგი მღვდლის დიუ სერ-  
სოს (იგივე ანდრე დე კლოსტრის) 1742 წელს გამოცემულ მოთხრობაში  
*Géorgienne* (“ქართველი ქალი”), რომელიც იეზუიტ მისიონერთა ცნობებს  
ეფუძნება, აღნერილია შურისმაძიებელი ქართველი ქალის თავგანწირვა,  
რომელიც ვაჟურად გადაცმული და აღჭურვილი 1724 წელს საქართვე-  
ლოდან ირანში ჩავიდა ქმრის სისხლის ასაღებად და ისპაპანის ამღებ ავ-  
ლანებს სირცხვილი აჭამა თავისი მხნეობით.<sup>3</sup> თ. ნატროშვილის სიტყვები  
რომ გავიმეოროთ, „ხუთი საუკუნის შემდეგ, უცნობმა ქართველმა ქალმა  
ისპაპანში, აბასაბადის ხიდთან, კიდევ ერთხელ დაადასტურა“ ევროპელ  
მემატიანეთა მონათხრობი.<sup>4</sup>

შუა საუკუნეების ქართველი ქალის მეომრული თვისებები ამდენად  
გასაკვირიც აღარ მოვცერებება, თუკი გავითვალისწინებთ, რომ იმდრო-  
ინდელ ევროპაშიც მებრძოლი ქალი უფრო ხშირად გვხვდება, ვიდრე ეს  
აქამდე წარმოედგინათ.<sup>5</sup> ჯ. ბლაითს მოჰყავს მრავალი მაგალითი, როდე-  
საც შუა საუკუნეების ევროპაში ქალები არათუ მეთაურობდნენ რაინ-  
დთა რაზმებს, არამედ იარაღით ხელშიც იბრძოდნენ.<sup>6</sup> უფრო მეტიც,  
გერმანიაში, XIII საუკუნიდან მაინც, ქალები მონაწილეობენ სასამარ-  
თლო ორთაბრძოლებში. XV საუკუნის ფარიკაობის გერმანულ სახელ-

<sup>1</sup> დონ არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღნერა, გამოსაცემად მოამზადა  
და წინასიტყვაობა დაურთო ილია ანთელავამ (თბილისი, 1991), 97.

<sup>2</sup> ბეჟან გიორგაძე, XVII საუკუნის დასაწყისის პორტუგალიელი ელჩის დონ  
ანტონიო დე გოვეას რელაციონი საქართველოზე. – საქართველოს ფეო-  
დალური ხანის ისტორიის საკითხები, I (1970), 87-8.

<sup>3</sup> მანანა იამანიძე, საქართველო ფრანგულ მოვ ზაურულ ლიტერატურაში (XIII-XVIII სს.) (თბილისი, 2006), 236-8.

<sup>4</sup> თამაზ ნატროშვილი, მაშრიყით მაღრიბამდე (თბილისი, 1991), 517.

<sup>5</sup> James E. Gilbert, A Medieval “Rosie the Riveter”? Woman in France and Southern  
England during the Hundred Years War. – *The Hundred Years War: A Wider Focus*,  
ed. by L. J. Andrew Villalon and Donald J. Kagay (Leiden, 2005), 361.

<sup>6</sup> James M. Blythe, Women in the Military: Scholastic Arguments and Medieval Images  
of Female Warriors. – *History of Political Thought*, 22 (2001), 246-50.

მძღვანელობი ქალსა და კაცს შორის სასამართლო ბრძოლის მრავალი შემთხვევა არის აღნერილი.<sup>1</sup>

რაღა თქმა უნდა, მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ შუა საუკუნეებში ქართველი ქალები მასობრივად გადიოდნენ ბრძოლის ველზე ან მონაწილეობდნენ ლაშქრობებში; მაგრამ წარჩინებულ ქალბატონთა ეპიზოდები მონაწილეობა საბრძოლო მოქმედებებში გამორიცხული სულაც არ არის. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია გვაძლევს სამუალებას დავასკვნათ, რომ ქართველი დიდგვაროვანი ქალი ფლობდა მისი წარმომავლობის შესაფერისს სამხედრო ჩვევებს და სურვილისამებრ ან საჭიროების შემთხვევაში შეეძლო მისი გამოყენებაც.

### *Mamuka Tsurtssumia*

### **European Reports About the Medieval Georgian Amazons: Myth or Reality?**

The present paper discusses the information about the noble Georgian warlike women, according to which they used a weapon like a man. Starting from the 13th century, reports about the Georgian Amazons are frequently found in the European sources.

Jacques de Vitry, Bishop of Acre and participant of the Fifth Crusade, gives the following information about Georgians: "There is also in the East another Christian people, who are very warlike, and valiant in battle, being strong in body, and powerful in the countless number of their warriors. These men are called Georgians... Their noblewomen, like the Amazons, bear arms in battle like knights." Jacques de Vitry is supported by the another participant of the Fifth Crusade – Oliver of Paderborn, dean of the metropolitan cathedral chapter of Cologne, who in 1220-21 wrote: "The Georgians are warlike men... Their women of the noble class are trained for battle." Such kind of information were repeated by Vincent of Beauvais (Vincentius Burgundus) in his *Speculum Maius* ("The Great Mirror") and Gautier de Metz (also known as Gossuin) in his encyclopaedic work published in 1245 – *Imago Mundi* ("The Image of the World"). As a matter of fact in 1321 the Venetian nobleman Marino Sanudo Torsello, who made a plan for regaining the Holy Land, echoed Vitry's opinion when writing that Georgians "are very warlike and active in battle, very strong... Their noble women serve as soldiers like Amazons and wield weapons in battle." In about 1480-83 a Dominican theologian Felix Fabri, who left detailed description of his pilgrimage

<sup>1</sup> Jeffrey Singman, The Medieval Swordsman: a 13th-century German Fencing Manuscript. *Royal Armouries Yearbook*, 2 (1997), 135.

to Holy Land, noted: "The Georgians... come from parts very far distant from the Holy Land, and are warriors, who even train their women to fight." Bernhard von Breydenbach, a nobleman and deacon of Mainz cathedral, in 1486, after returning home from his pilgrimage to Holy Land (1483), tells that "the noble ladies of Georgia also join in warfare, using arms like the Amazons." Martin von Baumgarten, a Nobleman from Germany, who in 1507 wrote the book *Peregrinatio in Aegyptum, Arabiam, Palaestinam, and Syriam*, stated that "The Georgians are a people of East, a very stout and warlike nation... The women of quality do use and wear arms after the manner of the Amazons."

Despite the numerous testimonies of European authors, we can cast some doubt on them. In many cases, these accounts are secondary and may refer only to already established tradition.

The investigation showed that in addition of such information, there are also eyewitness accounts and documents which confirm the Georgian women's military qualities. From the Laws of the Beka Mandaturtukhutsesi and King George V we learn that while fighting to kill an armed woman was not punishable. There are also records of those travelers who have been in Georgia. Italian missionary Don Cristoforo de Castelli, who was in Georgia in 1628-54, many times tells the story of warrior women and even depicted them in his album. With him agrees another missionary Arcangelo Lamberti, who also visited Georgia in the 17th century.

The above information allows us to conclude that in the Middle Ages Georgian noble woman had the military skills appropriate to her rank and used it in case of need.

## Հորիս Հայութարկոց

ո՛վագուատո արածուլո քուշմենքո յարմուս արածուլո քոմուսա դա  
ոյրուսալումուս յարտուլո սամոնասթրո տյոմուս դապորուսպորեծուս Շեսաեց  
(1424 ն.)

Ոյրուսալումուս ծերծնուլո մարտլմագուգուրո սապագրուարյուս  
ծովլուուցուամու գագուլուա 1424 նունու ո՛վագուատո արածուլո քուշմենքո, ռո-  
մելուց յեեծա յարտուլո սամոնասթրո տյոմուս քեօզրեծուս յորտ յուբոնծ յըո-  
թոցք: դապորուսպորեծուս յարմուս արածուլո քոմուս ծեգունեծուան դա ամաս-  
տան դայազշուրեծուու սուլգան ծարսեան (1422-1438) ծրմանեծուլուեծուաս.

Ծրմանեծուլուեծուս Շեսազալո, ցրացնուլուս մուղլ սոցանենի, ռոմել-  
մուց մոյլուց ոյու ցագմուցուլո մուսու Շինաարսու (Քուրրա) նանուլունուզ  
նամլուլուա. Սեզա մերուզ, քուշմենքո, մամլոյէտա ხանուս գուլումագույուս  
յզելա տացուսեծուրեծուու, կարցագ ոյուտեեծա. մուս արածուլ քըյլսգուս դա  
յարտուլ տարցման յզեմուտ նարմուցագցեն.

Յարմու, ռոմելուց գայունուրուսպորդա յարտուլ սամոնասթրո տյոմս,  
ոյու ոյմենուգան ցամուսուլո դա սորուամու ցասաելլուծուլո արածուլո քոմու. աո-  
յնինտա դա մամլոյէտա ծագոնունուս ցրուս յարմուս քոմու սաելլունծու լա-  
թասա դա ձալլուստոնուս սաթլցառ սանապորուս րեցուննու, յուտացրեսագ յ. լա-  
թասա դա ձաուր ալ-ձալլաքս (լաթաս սամերցուու 14 յմ-թյ) Շորուս, սաուգանաց  
ზայենուլունուու ցագագուու եցերոնուս մուգամունչու. <sup>1</sup> Սուլգան ծաօեարսուս  
ցորու (1260-1277), մալլոյէմա յարմու դա քասուս քոմուս յլանցծ դաայուսրա  
սասուլու րաօննեծուս դացուա, սացուսգո սագցուրեծուս յութրունցելլուցուա  
արածուլո քեյնեծուու դա մատույ ցագասաեացու այրեցա.<sup>2</sup>

Յարմուս ծեգունունու ծելացու ամուրեծուս յունուցունչու. <sup>3</sup> մամլոյէտա  
ոյրարյուստո յարմուս ամուրեծուս սամեցդրո րանցու Շեյսաձամեծուն դամաս-  
յունու գուլուուրեծուլ մամլոյէտա ատուստաց (ամուր ամար). <sup>4</sup> յարմուս  
քոմու Շեյսալու ցամուցուան ատասու մեցարու. <sup>5</sup>

1415 ն. յարմուսա դա սեզա արածուլո քոմուս - ‘Շ’ոգուս ծեգունեծուս յու-  
տմանցետս յէրմունցեն ոյրուսալումուս, լաթաս դա րամլաս սամյուտեցունչու. <sup>6</sup>

<sup>1</sup> Nicola Ziadeh. Urban Life in Syria Under the Early Mamluks. Greenwood Press. 1953, 45, 211.

<sup>2</sup> Tsugitaka Sato. State and Rural Society in Medieval Islam: Sultans, Muqta's, and Fallahun (Leiden, 1997), 98.

<sup>3</sup> օյցու.

<sup>4</sup> M.A.Hiyari. The Origins and Development of the Amirate of the Arabs during the Seventh/Thirteenth and Eight/Fourteenth Centuries. – *Bulletin of the School of Oriental and African Studies*. Vol.38, No. 3 (1975), 523.

<sup>5</sup> A.S. Tritton. The Tribes of Syria in the Fourteenth and Fifteenth Centuries. – *Bulletin of the School of Oriental and African Studies*. Vol. 12, No.3/4 (1948), 572.

<sup>6</sup> օյցու.

ალბათ ამ პერიოდში ჯარმის ბედუინთა ყურადღება მიიპყრო მიწის ნაკვეთმა და არ კაშულია, რომელიც იერუსალიმის წმინდა ჯვრის მონასტერს ეკუთვნიდა და მის მახლობლად მდებარეობდა.

„დაღრ“ – არაბულად მონასტერია. მაგრამ დაღრ კაშული, როგორც მონასტერი, არ დასტურდება ქრისტიანულ მონასტრებს შორის. შეიძლება ის დაინგრა. დარჩა მხოლოდ ადგილის სახელწოდება, სადაც მიწის ნაკვეთი ქართველებს ეკუთვნიდათ და მას დაღრ კაშული, ან სხვა არაბულ დოკუმენტებში: დაღრ კაშული ეწოდებოდა. ეს მიწის ნაკვეთი, როგორც ქართველთა უაუზი – სამონასტრო ქონება (კატამუნთან ერთად), თუ ადრე არა, პირველად იხსენიება სულტან ბაიბარსის 665 წ. მუჰამადის/1266 წ. ოქტომბრის წერილში.<sup>1</sup>

ზუსტად უცნობია, როგორ ანუხებდნენ ჯარმის ბედუინები ქართველ ბერებს, ართმევდნენ მოსავალს და არ კაშულის მიწის ნაკვეთიდან, თუ ითხოვდნენ გადასახადებს, მაგრამ მათი ძალადობა იმდენად სერიოზული იყო, რომ ქართველთა სამონასტრო თემმა საჩივრით მიმართა ეგვიპტის სულტანს ბარსბაის.

სულტანი ალ-მალიქ ალ-აშრაფ აბუ ნ-ნასრ ბარსბაი ზოგადად მკაცრ რელიგიურ პოლიტიკას ატარებდა ზიმიების – ადგილობრივი ქრისტიანებისა და ებრაელების მიმართ,<sup>2</sup> მაგრამ, იმავდროულად, ის საკმაოდ კეთილგანწყობილი იყო ქართული სამონასტრო თემისადმი. კარგმა ურთიერთობამ სამცხის ათაბაგ ივანესთან (1391-1444) განაპირობა ის, რომ მან დაახლოებით 1433 წ. ქართველებს გადასცა სომხების მიერ უკანონოდ მიტაცებული გოლგოთას ნაწილი და მიუხედავად არაერთი ცდისა, სომხებმა ის ვეღარ დაიბრუნეს.<sup>3</sup>

ბარსბაიმ შეისმინა ქართველთა საჩივარი და პიჯვრით 827 წ. 15 ზულკა'დას/1424 წლის 9 ოქტომბერს გამოსცა ბრძანებულება, რომელიც ალიარებდა ქართველების სამუდამო უფლებას და არ კაშულზე და უკრძალავდა ჯარმის ბედუინებს შეეწუხებინათ ქართველები. სულტანი მოუნიდებდა ყველას, ვისაც ეს ეხებოდა (იგულისხმებოდნენ იერუსალიმის გამგებელი და სასამართლო ხელისუფალი), ზუსტად აღესრულებინათ მისი ბრძანებულება.

ვფიქრობ, სულტნის ბრძანებულება შესრულდა და ჯარმის არაბებმა შეწყვიტეს ძალმომრეობა, რადგანაც სხვა საბუთებში მე აღარ შემხვედრია ქართველთა სამონასტრო თემის ახალი საჩივარი მათ წინააღ-

<sup>1</sup> Christian Müller and Johannes Pahlitzsch. Sultan Baybars I and the Georgians: In the Light of New Documents Related to the Monastery of the Holy Cross in Jerusalem. – *Arabica*, tome 51, fasc.3. (Jul., 2004), 282, 283.

<sup>2</sup> G.Wiet. Barsbay. The Encyclopaedia of Islam. New Edition. Vol. I (Leiden, 1986), 1053.

<sup>3</sup> გ. ჯაფარიძე. ბეენა ჩოლობაშვილი ეგვიპტები და წმინდა მიწაზე 1512-1514 წლებში (ბრძოლა წმინდა ადგილებისთვის). - საისტორიო კრებული, წელიწერული I, (თბილისი, 2011), 108, 110; მისივე. საქართველო და ეგვიპტის მამლუქები (თბილისი, 2016), 121-122.

მდეგ. მაგრამ დაღრ კაპულთან დაკავშირებით, ქართველებს ერთხელ კი-დევ მოუხდათ ბარსბაის შეწუხება.

838 წ. 26 ჯუმანდა I-ში/1434 წ. 28 დეკემბერს სულტანმა ბარსბაიმ მი-იღო წერილი „მოწყალე ხელმწიფისგან, ქართველთა მეფისგან“ (სახელის გარეშე) რომელიც ითხოვდა მისგან სამეფო გულუხვობას, რათა გაეორ-მაგებინა ყურადღება იერუსალიმში მცხოვრებ მისი ხალხის [ქართველების] მიმართ“. სულტანმა შეიტყო, რომ განზრახული იყო გაზრდა გადა-სახადის - მეთედისა ჯვრის მონასტრის მიწებიდან და სოფელ დაღრ ალ-კაშლიდან. ასეთი რამ კი უჩვეულო იყო წინამორბედ სულტან ბარკუკის დროს. მან მოითხოვა იერუსალიმის გამგებლისგან, რომ თავი შეეკავები-ნა ამ ნაბიჯისგან და რომ „ქართველებს მოქცეოდა შესაბამისად ძველი წესისა, [როგორც იყო] ბარკუკის მმართველობის (1382-1389, 1390-1399) დასასრულს“.<sup>1</sup> ამრიგად, კიდევ ერთხელ დასტურდება ბარსბაის კეთილ-განწყობა ქართული სამონასტრო თემისადმი.

### სულტან ბარსბაის ბრძანებულება

იერუსალიმის ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკა, № VII.B.1.4. 827 წ. 15 ზე ლ-კა'და/1424 წ. 9. ოქტომბერი

[ეკრძალება ბედუინებს] ჯარმის არაბთაგან მათი [ქართველი ბერების] შეწუხება ხსენებულ მინის ნაკვეთზე, რომელზედაც აქვთ კანონიერი უფლება სამუდამოდ.

- 1 სახელითა ალლაჰისა, მოწყალისა მწყალობელისა
- 2 გამოიცა განკარგულება სამეფო ამაღლებული ბრძანებით, ხელ-მწიფის,
- ბარსბაი**

- 3 სულტან ალ-მალიქ ალ-აშრაფ სადფ ად-დინისა**

#### ალსრულდეს

- 4 მაღალი ალლაჰიმც ალამაღლებს მას, პატივს მიაგებს, გაავრცელებს ცის კიდემდე და აღასრულებს მას
- 5 [იმის თაობაზე], რომ რჩება ქართველი ბერების ხელთ
- 6 წმინდა იერუსალიმში - მინის ნაკვეთი, რომელსაც ეწოდება დაღრ კაპული
- 7 და ეკრძალება ბედუინებს ჯარმის არაბთაგან შეაწუხონ
- 8 ისინი ხსენებულ მინის ნაკვეთზე,
- 9 რომელზეც მათ [ქართველ ბერებს] აქვთ კანონიერი უფლება სამუდამოდ.

<sup>1</sup> Butrus Abu-Manneh. *The Georgians in Jerusalem in the Mamluk Period.-Egypt and Palestine. A Millennium of Association (868-1948)*. Ed. By Amnon Cohen and Gabriel Baer (Jerusalem, 1984), 106. სამუხარისებროვანი დემოკრატიული მობოვება ბერძნული მართლმადიდებლური საპატრიარქოს ბიბლიოთეკიდან, მე ვერ შევძელი.

- 10 დაე, აღასრულოს ეს სამეფო ბრძანება
- 11 ყველამ, ვისაც ეხება და იმოქმედოს მის თანახმად და მის შესაბამისად,
- 12 მისი დადგენილებიდან გადახვევისა და მის დედაარსზე უარის თქმის გარეშე
- 13 და დაეყრდნოს მის დედაარსთან დაკავშირებით სამეფო ხელ-მოწერას
- 14 ზემოთ - [რაც], დამამტკიცებელი საბუთია მისი მითითებისა.
- 15 თუ ისურვებს მაღალი აღლაპი.
- 16 დაიწერა 15 წმინდა შეულ-კა'და
- 17 827 წელს/9. X. 1424 წ.
- 18 თანახმად სამეფო ბრძანებულებისა.
- 19 დიდება აღლაპა, სამყაროთ უფალ და აღლაპიმც აკურთხება ჩვენს ბატონ
- 20 მუჰამმადს, მის ოჯახს, მის მიმდევრებს და [იყოს მათზე] მშვიდობა მისა.
- 21 საკმარისია ჩვენთვის აღლაპი და ის სა დაუკეთესაო მფარველია.

#### VII.B.1.4 – ბარსპაის ბრძანებულების არაბული ტექსტი

- ..... من العرب جرم من التعرض اليهم في القطعة الارض المذكورة المستمرة الحكم باليديهم الى اخر وقت
- 1 بسم الله الرحمن الرحيم
  - 2 رسم بالامر الشرييف العالى المولوى بارسپا
  - 3 السلطانى الملكى الاشرفى السيفى يعتمد
  - 4 اعلاه الله تعالى وشرفه وانفنه في الافق وصرفه
  - 5 ان يستمر ما هو باليدي رهبان الكرج بالقدس
  - 6 ريف من القطعة الارض المعروفة بدير قاقول
  - 7 ومنع البدوي من عرب الجرم من التعرض
  - 8 اليهم في القطعة الارض المذكورة
  - 9 المستمرة الحكم الى اخر وقت
  - 10 فليعتمد هذا المرسوم الشريف كل
  - 11 واقف عليه ويعمل بحسبه ومقتضاه
  - 12 من غير عدول عن حكمه ولا خروج عن معناه
  - 13 والاعتماد في معناه على الخط الشريف
  - 14 اعلاه حجة بمقتضاه
  - 15 ان شاء الله تعالى
  - 16 في الخامس عشر ذي القعدة الحرام
  - 17 سنة سبع وعشرين وثمانمائة

- 18 حسب المرسوم الشريف  
 19 الحمد لله رب العالمين وصلي الله  
 20 على سيدنا محمد وآله وصحبه وسلمه  
 21 حسبنا الله ونعم الوكيل

### *Gotcha Djaparidze*

#### **Rare Arabic Document on the Confrontation between the Jarm Arab Tribe and Georgian Monastic Community of Jerusalem (1424)**

Present article discusses Arabic document dated by 15 Dhū l-Ka‘da, 827 AH / October 9, 1424 AD, preserved at the Library of the Greek Orthodox Patriarchate in Jerusalem (№ VII.B.1.4). It represents the decree of Egyptian Sultan Barsbay (1422-1438) prohibiting Bedouins of Jarm tribe to trouble Georgian monks on the land plot of Dayr Kākūl, which was under the latest's perpetual lawful rights.

Top of the document across whole width of the scroll, which presents the summary(*turra*) of the order, is partially erased. Otherwise, the decree that reflects all characteristics of the Mamluk era diplomatics is easily readable. The article presents Georgian translation and original Arabic text.

As to the Bedouins of the Jarm, they left Yemen and lived in Syria, on the territory between Gaza city and Dayr Al-Balah from where they often migrated to the vicinities of Hebron. Chieftains of Jarm and other Arab tribes in Syria were called *amīrs*. The status of the *amīrs* of the tribes in the Mamluk administration varied. The military rank of the *amīrs* of the Jarm was equal of a Damascus-based *amīr ‘ashara* (*amīr* of ten); their cavalry counted 1,000 persons.

In 819 /1415 Jarm and ‘Āi’d tribes fought in the triangle of Jerusalem, Gaza and Ramla. Maybe then the attention of Jarm Arabs was caught by the land of Dayr Kākūl which was in the possession of Georgian monastic community and was located close to the Holy Cross Monastery.

According to some Arabic documents, Dayr Kākūl is a village and its name slightly differs: Dayr Kā‘kūl. This land plot was mentioned as a Georgian *wakf* (along with Katamun) for the first time in one of the letters of Sultan Baybars dated by Muhamram of 665 AH / October, of 1266 AD, which was published by Christian Müller and Johannes Pahlitzsch.

It seems that the Jarm Arabs distressed Georgian monks to the extent that they complained to Barsbay, who was in good relations with Ivane (1391-1444), Atabag of Samtskhe (South Georgia) and was benevolent towards Georgian monastic community. The result was immediate. Sultan's order prohibited Jarm Arabs from disturbing Georgians. Barsbay called everyone to whom it concerned (mainly Governor of Jerusalem and other high authorities) to fully execute the command. Apparently, it was fulfilled, as Georgian monastic community had not complained against Jarm Arabs since then.

**თარგმანი**

**Translation**



**აბუს ამბავი<sup>1</sup>**  
**თარგმანი ხეთურიდან მაია ღამბაშიძისა**  
**Story of Abu**  
**Translated from Hittite by Maia Ghambashidze**

ტექსტი ნაპოვნია ხეთების დედაქალაქ ხათუსაში, ე.წ. პირველი ტაძრის ბიბლიოთეკაში. ხელნახერი იმპერიამდელი პერიოდისაა (ძვ. წ. მე-13 ს.), თუმცა, შეინიშნება იმპერიამდელი პერიოდისთვის დამახასიათებელი გრამატიკული ნუობა.<sup>2</sup>

აბუ აქადურად მამას ნიშნავს (აბუ – „მამა, ნინაპარი, თესლის ჩამყრელი“). ეს ამბავი მამაზეა, რომელსაც ორი ვაჟი ჰყავდა - ერთი სამართლიანი, მეორე - უსამართლო. ტექსტში გადმოცემული სიუჟეტი და მისი არაერთი სიმბოლური დატვირთვა პარალელს პპოვებს როგორც ძველანატოლიურ თუ ძველმესოპოტამიურ თქმულებებსა და მითებში (მაგ.: ულიქუმის სიმღერა, ქუმარბის მითი, კირთას მითი), ასევე ძველ აღთქმაში (აბრაამის ამბავი). თქმულებაში მოთხოვობილი სიუჟეტი ვითარდება, სავარაუდოდ, მესოპოტამიასა და ზაგროსის მთიანეთში, რადგან მასში ჩამოთვლილი ქალაქები და ლვთაებები მესოპოტამიური ნარმოშობისანი არიან. როგორც ჩანს, თქმულება მესოპოტამიურია, რომელიც ხეთურ სივრცეში გადმოვიდა და ერთ-ერთი გამორჩეული ადვილი დაიკავა ხეთურ ლიტერატურაში.

**თარგმანი:**

**ნინა მხარე /**

(1) [ . . . ] (2) [... ვი]ნც მართალ ხალხს (3) [აამ]ალლებს,  
უსამართლებს კი (4) [ხესა]ვით მოხრის, ბოროტ ხალხს (5) [თავ]ს  
გაუტეხს (6) [და ბო]ლოს მოულებს.

<sup>1</sup> ტექსტი CTH 360 = KUB 26.8 + 36.60 + KUB 36.59 + Bo 69/421 + KBo 19.106 + KBo 7.18 + Bo 8510 + Bo 8728 + KBo 49.107 + KBo 19.101 + Bo 7376 + KBo 19.102 + Bo 69/593; KBo 19.104; KBo 19.105; Bo 69/28; KBo 19.100; ABoT 48; KBo 19.108 (Siegelova J., *Appu-Märchen und Hedammu-Mythus*, Wiesbaden (1971); Hoffner H., *Hittite Myths*, Atlanta (1998), 81-85; Güterbock H. G., *Kumarbi: Mythen vom churrithischen Kronos*, Zurich (1946); Pecchioli Daddi and Polvani: *La mitologia ittita. Testi del Vicino Oriente antico 4.1*. Brescia: Paideia Editrice. (1990), 163ff; Singer I., "Some Thoughts on Translated and Original Hittite Literature." (1995) 125-126; Parker *Ugaritic Narrative Poetry*, Writings from the Ancient World, No. 9. Atlanta, GA: Scholars Press.), (1997) 10, 13-14; A. Bauer et al., TUATNF 8, 2015, 170-173.

<sup>2</sup> იხ. Hoffner H., *Hittite Myths*, Atlanta (1998), 82.

(7) იყო ერთი ქალაქი, სახელად სუდული. (8) იგი მდებარეობდა ზღვის სანაპიროზე, რომელიც ლულუვას<sup>1</sup> (9) ქვეყანას ეკუთვნოდა. იქ ცხოვრობდა კაცი, (10) სახელად აბუ. იგი იმქვეყხად (11) უმდიდრესი ადამიანი იყო, აურაცხელი საქონელი (12) და ცხვრის ფარა გააჩნდა. (13) ვერცხლი, ოქრო და ლაჟვარდის ქვა (კი), (14) [ხ]ორბალივით ბევრი ჰქონდა.

(15) მას არაფერი აკლდა, (16) გარდა ერთისა: არც ვაჟი და არც ქალიშვილი (17) არ ჰყავდა. სუდულის უხუცესები (18) მასთან ერთად სატრაპეზოდ დასხდებიან ხოლმე, (19) [ერ]თი თავის ვაჟს პურს და შემწვარ ხორცს აწიდებს, (20) [მე]ორე თავისას სასმელს აძლევს, (21) [აბ]უს კი არავინ ჰყავს, პური რომ გაუტეხოს.

(22) ტაბლაზე [ტი]ლოს დაფარნაა (23) და დგას (წმინდა) ტრაპეზის ნინ. (24) ადგა აბუ, წავიდა თავის სახლში. (25) საძინებლის (26) საწოლზე დაწვა ფეხშემოსილი<sup>2</sup>.

(27) აბუს [მეუღლე]მ დაიწყო სახლეულის გამოკითხვა: (28) „[არ]ას-დროს ჰქონია ჩემთან კავშირი, (29) ნეტავ ეხლა ექნება?“ წავიდა (30) [ქა]-ლი და აბუსთან ერთად დაწვა ტანსაცმლიანად.

(31) აბუ ძილიდან გამოფხიზლდა (32) [დ]ა ცოლმა დაუწყო გამოკითხვა: (33) „არასდროს გქონია ჩემთან კავშირი, (34) [დ]ა ეხლა აპირებ?“ (35) [ა]ბუმ გაიგონა რა ეს, მოუგო: (36) „[ქა]ლი ხარ, ქალის ბუნების (37) [დ]ა არაფერი გესმისა ამ საქმისა“. (38) წამოდგა აბუ საწოლიდან, (39) აიღო თეთრი ბატყანი (40) და წავიდა მზესთან<sup>3</sup>. (41) მაშინ მზემ გადმოხედა ციდან, (42) გადაიქცა ახალგაზრდა კაცად, (43) მივიდა მასთან (44) [დ]ა ჰკითხა: (45) „[რ]ა გაგჭირვებია, რამ შეგანუხა?“

## ნინა მხარე //

(1) [აბუმ ეს რა გა]იგონა მიუ[გო]: (2) „ქონება, [საქონელი და ცხვრის ფარა] (3) [მომეცა], ერთი რამ მაკლ[ია (მხოლოდ)], (4) [(არც)] ვაჟი და (არც) ქალიშვილი არ მყავს“. მზემ გაიგონა (ეს) (5) და ასე უპასუხა: (6) „წად[ი], დალიე, გამოთვერი, მერე სახლში“ (7) მიდი, შენს ცოლთან (ერთად) გაწყობილ (8) საწოლში დაწექი და ღვთაებები მოგცემენ (9) ვაჟს“.

<sup>1</sup> ლულუბეელების ქვეყანა, მდებარეობდა საგარაუდოდ დას. ირანის ტერიტორიაზე, იხ. Klengel H., *Lullu(bum)*, in: Reallexikon der Assyriologie und Vorderasiatischen Archäologie, 7 Bd, (1987-90) 164-168.

<sup>2</sup> ლოგინში ფეხშემოსილად დაწოლის რიტუალზე იხ. მ. ღამბაშიძე, ფეხსაცმლის სახეობაზე ხეთური ტექსტების მიხედვით, აღმოსავლეთმცოდნეობა 2, (2014), 112.

<sup>3</sup> ე.ი. მზის ღვთაება.

(10) აბუმ (რა) გაიგონა ეს, სახლში (11) დაბრუნდა. მზე კი უკან ცაში (12) ავიდა. მზე ამინდმა (13) სამი დანას<sup>1</sup> მანძილიდან დაინახა და თავის ვეზირს (14) ეუბნება: „პირველად (15) ბრუნდება მზე, მიწის მაცხოვრებელთა მწყემსი, (ასე მალე) უკან. (16) (ნეტავ) არცერთი ქვეყანა არ დანგრეულა, ან ქალაქები (17) არ გაუდაბურდნენ, (18) ანდაც ლაშქარი არსად არ დამარცხებულა?

(19) მზარეულს და მწდეს დააგალეთ (20) და საჭმე[ლი] და სასმელი მისარ[თვი[თ].“ (21) მართლაც, მოვიდა იგი [ ... ](22) და მას იქ[ ... ] (23) ამინდმა მზეს [ ... ] (24) და ასე ჰქ[ითხა: ... ]

(25) „რატომ [... ](26) და [... ](27) უპას[უხა ... ] (28) და [... ](29) მე [ ... ] (30) ხელები [ ... ]

### უკანა მხარე III

(1) [დ]აიწყო: (2) [„... დ]ა ჩვენ [ ... ](3) მოიყვანე ქალაქ [... ](4) და აბუს [ ... ](5) [ნა]ვიდნენ ქალაქ [... ](6) ხოლო აბუმ [... ]

(7) [მე]ულლე აბუსი დაორსულდა: პირველი თვე, მეორე თვე, (8) მესამე თვე, მეოთხე თვე, მეხუთე თვე, მეექვსე თვე, მეშვიდე თვე, მერვე თვე, მეცხრე თვე გავი[და] (9) და მეათე [თ]ვე დადგა. მაშინ აბუს მეუღლემ ვაჟი შობა. (10) [ბებია]ქალმა ვაჟი აიყვანა და აბუს (11) მუხლზე დაუსვა. აბუს ვაჟის (ყოლამ) (12) გაახარა, დაიწყო მისი რწევა (13) და მას მტყუანი კაცის სახელი დაარქვა: (14) „რადგან მას ჩემმა გამჩენმა ღვთაებებმა მართალი (კაცის) (15) ბედი ა[რ დაუდგინეს] და მტყუანი კაცის ბედი დაუდგინეს, (16) დაე, მ[ტყუანი იყოს მისი სახელი!“

(17) აბუს [ცოლი ხელმეორ]ედ დაორსულდა, (18) მე[ათე თ]ვე დადგა და ქალმა ვაჟი გააჩინა. ბებიაქალმა (19) [ვაჟი აი]ყვანა და (აბუმ) მას მართალი კაცის სახელი დაარქვა: (20) „[დაე, მ]ას მართალი (კაცის) სახელი დაუძახონ!“

(21) „რადგან ჩემმა გამჩენმა ღვთაებებმა მას მართალი (კაცის) ბედი დაუდგინეს, (22) [...] დაე, მისი სახელი იყოს მართალი!“

(22) [აბუს ვაჟები იზ]რდებოდნენ, მაღლდებოდნენ (23) [და ზრდას-რულ ასაკს] მიაღწიეს.

### უკანა მხარე IV

(1) [როდესაც აბ]უს ვაჟები [გა]იზარდნენ, [გამაღლდნენ], (2)[დ]ა ზრდას-რულ ასაკს მიაღწიეს, აბუს (ქონება) [...] (3) [გა]იყვეს. სახლი კი [... ].

<sup>1</sup> შუმ. DANNA(=KASKAL.GÍD), აქად. *BĒRUM* - საზომი ერთეული, = 10 000 მეტრს.

(4)[მტყუანმა ძმამ მართალ ძმას უთ[ხრა]: (5) „დაე, გავინაწილოთ (ქონება) და ცალ[ცალკე] (6) [დავ]ცხოვრდეთ“. მართალმა ძმამ [მტყუან ძმას] (7) [მი]უგო: „ვინ [ ... ? ”] (8) მტყუანმა ძმამ მართალ ძმას (9) უპას[უხა]: „როგორც მთები ცალ[ცალკე] (10) [დგ]ანან, ანდაც როგორც მდინარეები ცალცა[ლკე] (11) [მო]ედინებიან, ღვთაებანი ცალცა[ლკე] (12) (რომ) ცხოვრობენ, (სწორედ) ამას გიყვ[ები]“:

(13) [ზზ]ე სიფარშია. (14) მთვარე ქუცინაშია. (15) თეშუბი ქუმიაშია. (16) იშთარი ნინევიაშია. (17) ნანაია ქისინაშია. (18) ბაბილონშია მარდუქი. (19) როგორც ღვთაებები ასე ცალცალკე ცხოვრობ[ენ], (20) ჩვენც ასე ცალცალკე დავცხოვრ[დეთ].“

(21) ასე დაიწყეს მტყუანმა და მართალმა [(ქონების )](22) გაყოფა. მაშინ გადმოიხედა მზემ [ციდან] (23) და დაინახა, ერთი ნახევარი როგორ აიღო ](24) მტყუანმა ძმამ და (25) მართალ ძმას [(მეორე ნახევარი მისცა)].

(26) [და] მათ [ ... ] (27) ერთი (იყო) მხვნელი ხარი, [მეორე კი] ძროხა. (28) [მა]შინ აიღო მტყუანმა მხვნელი, კარგი ხარი, (29) დ[ა ცუდი ძრ]ოხა – მისცა მართალს, (30) თავის ძ[მა]ს. მზემ ჩამო[იხედა] ციდა[ნ...]: (31) „დაე (32) [(ცუდი) ძრო]ხა კარგად გადაიქცეს, (33) [და ...] შობოს!“

(კოლოფონი:) პირველი [ფირ]ფიტა [ა]ბუსი: არასრული.

#### **KBo 19.104**

(1) [...] (2) [...] [...]

(3) მტყუანმა ძმამ თავის მართალ [ძმას] (4) უთ[ხრა]: „[...] (5) [...] რთულია [...] (6)[...] (7) [...]”

(8) მტყუანმა ძ[მამ თავის] მართალ [ძმას] (9) უთხრა: „როდეს[აც ...] (10) მხვნელი [...] (11) წყალს დალ[ევ... (12) დალი] [ ...] (13) [...]”

#### **KBo 19.105**

(1) როდესაც მას ქვემოთ [...] (2) [...] მაგრამ [...] (3) [როდ]ესაც მას ქვემოდან

(4) [...] მზემ გაიგონა ეს და [...] (5) [...] და მტყუანმა (6) [...] ვაშლი კი (7) [...] თავი

(8) [...] მართალი წავი[და...]

#### **Bo 69/288**

(1) [...] (2) მტყუანმა [ძმამ] (3) ბორო[ტი] (4) გაფუჭებული (5) [...]

#### **KBo 19.100**

(1) [...] (2) [...] მტყუანმა [(თავის მართალ ძმას)] (3) [უთხ]რა... (4) [გ]ართალ[მა]

## *ABoT 48*

(1) [...] (2) [...] ზემოთ [...] და მათ [...] (3) [...] მან დადო [...]

(4) [ხოლო როდესაც ისინი] მივიღნენ სიფარში და მზის წინაშე წარდგნენ სამართლის საპოვნელად, (5) [მზემ მა]რთალი ძმის მხარეს დადგა.

(6) [მტყუანმა] დაიწყო წყევლა. მზემ გაიგონა (7) წყევლა [და] ასე თქვა: „მე თქვენს (8) სამართალს არ [გადავწყვეტ], დაე (9) იშთარმა, ნინევიის დედოფალმა, გადაწყვიტოს იგი!“

(10) [მტყუანი და მართალი] გზას დაადგნენ. და როდესაც მიაღწიეს ნინევიას, (11) მივიღნენ [სამართლის საძებნელად] იშთართან [...] (12) [...] ერთი მიმართულებით [და... სხვა მიმართულებით]<sup>1</sup>

**KBo 19.108 – არ იკითხება.**

---

<sup>1</sup> ტექსტიდან გაუგებარი რჩება, დაეთანხმა თუ არა იშთარი მზის გადაწყვეტილებას და დაიჭირა თუ არა მართალი ძმის მხარე. ზოგიერთი მეცნიერის ვარაუდით, „ამბავი მზისა, ძროხისა და მებადურისა“ (CTH 363) ამ ამბის გაგრძელებაა, იხ. Güterbock H. G., *Kumbarbi: Mythen vom churrithischen Kronos*, Zurich (1946).

გზა სრულქმნილი მჯევრმეტყველებისა  
თარგმანი არაბულიდან გიორგი ლობჟანიძისა  
The Peak of Eloquence

Translated from Arabic by Giorgi Lobzhanidze

„ნაპჯ ალ-ბალალა“ („გზა სრულქმნილი მჯევრმეტყველებისა“) შიიტური ისლამის უმნიშვნელოვანების წიგნია ყურანის შემდგომ და მუჰამად მოციქულის (570-632) გადმოცემების გვერდით. ის წარმოადგენს მეოთხე მართლმორწმუნე ხალიფისა (556-661) და შიიტთა პირველი იმამის ალი იბნ აბი ტალიბის (599-661) ქადაგებათა, ეპისტოლეთა და ბრძნულ გამონათქვამთა კრებულს, რომელიც ერთად შეუკრებია სეიდ შარიფ არ-რიდას, ხოლო სტილის-ტურად დაუმუშავებია დიდ არაბ მწერალს ალ-ჯაპიზს (775-868).

ამ პუბლიკაციაში წარმოდგენილი რამდენიმე ქადაგება (ხუტბა) ქართულ ენაზე პირველად იძექდება.

## ნაპჯ ალ-ბალალა

### ქადაგება პირველი

რომელშიც მოხსენიებულია დასახუისი ცისა და ქვეყნის შესაქმისა, ადამის შექმნა და აქვეა მოხსენიება ჰაჯის რიტუალისა.

და ეს ქადაგება შეიცავს ალაპის ქებას, სამყაროს შექმნას, ანგელოზთა შექმნას, წინასწარმეტყველთა არჩევას, წინასწარმეტყველის, ყურანისა და სჯულისკანონის მცნებათა ზეგარდმოვლენას.

ქება აღაპს, რომლის ქებასაც ვერ ამოათავებენ მესიტყვენი, ვერ აღრიცხავენ მის საბოძეართ დამთვლელნი და რომელსაც კუთვნილს ვერ მიაგებენ ბეჯითნი, ვისაც ვერ შესწვდება მფრთონავ ზრახვათა სიმაღლენი და ვისაც ვერ ჩასწვდება გონივრულ განსჯათა სილრმენი. ვის ბუნებასაც არა აქვს მიჯნა დასაზღვრული, აღნერა არსებული, არცა დრო დათქმული და არცა სიკვდილის ვადა გადადებული. დასაბამი მისცა ქმნილებებს თვისი ძალით, გაავრცელა ქარნი თვისი მოწყალებით და დაამაგრა კლდეებზე ქვეყნის მოედანი.

დასაბამი სჯულისა არის მისი შემეცნება, მისი შემეცნების სრულქმნილება კი არის მისი აღიარება. მისი აღიარების სრულქმნილება არის მისი ერთადერთად ცნობა და მისი ერთადერთად ცნობის სრულქმნილება არის მისდამი სრული, გულწრფელი მორჩილება. მისდამი გულწრფელი მორჩილების სრულქმნილება არის უარყოფა მისი ყოველგვარი აღწერილობისა, დასადასტურებლად ყოველი აღწერილობისა, რომ

ის აღუნერელია და დასტურად ყოველი აღწერილისა, რომ მას არ გააჩნია აღწერილობა. და ვინც აღწერს ალაპს - დიდება მას! - სადარს შეუქმნის მას და ვინც სადარს შეუქმნის მას, ორად დასახავს და ვინც ორად დასახავს, დაანაწევრებს და ვინც დაანაწევრებს, ვერ გაიგებს მას, და ვინც ვერ გაიგებს, მიანიშნებს მასზე და ვინც მიანიშნებს, ის დასაზღვრავს მას და ვინც დასაზღვრავს, იგი დაითვლის. და ვინც იტყვის რაშია იგი, ის რაღაცაში მოაქცევს მას, და ვინც იტყვის რაზეა იგი, თითქოს მისგან დააცარიელებს ამ რაღაცას. ის არის არსება, რომელიც არც არსებულიდანაა წარმოქმნილი და არც არარსებულიდან. ყოველთან არის, მაგრამ არა შესადარებლად, არაფერთან არ არის, მაგრამ არა გაცალეკებულად. მოქმედია, მაგრამ არა მოძრაობათა და ხელსაწყოთა აზრით, თვითონ ყველაფერს ხედავს, მაგრამ ვერ იხილავს მას ვერც ერთი მისი შექმნილი. ერთადერთია, რამეთუ არ ჰყავს მას თანაარსი, რომელიც შეეჩვენდა ანდა ივალალებდა მისი დამკარგავი.

### სამყაროს შესაქმე

დააფუძნა ქმნილი დაფუძნებით და დაიწყო იგი დაწყებით წინასწარ მოფიქრებული თვალსაზრისისა თუ საქმეში გამოყენებული გამოცდილების გარეშე. თვინიერ მოძრაობისა, რომელიც აღძრა და თვინიერ სულიერი მღელვარებისა, რაიც ამას აიძულებდა. დაარსა წივთნი თავიანთ დროზე და ერთმანეთს შეუხამა მათგან ურთიერთანსხვავებული, აღჭურვა ისინი თავიანთი შინაგანი ბუნებით და თან აახლა მათ თავიანთი გამოსახულება. იცნობდა მათ, ვიდრე დააფუძნებდა, გარს ერტყა მათ საზღვრებსა და კიდეებს და უწყოდა მათი შინაგანი თუ გარეგანი თავისებურებანი. მერმე დააფუძნა დიდებულმა ღმერთმა სივრცეთა უსასრულობა, კიდეთა ღრიფონი თუ ჰაერის მიმოსაქცევნი. და წამოქეთქა მასში წაკადმთრთოლვარე და დინებაუხვი წყალი. და გადაზიდა იგი სუსხიანი ქარებისა და მოგუგუნე ქარიშხლების ზურგით, უბრძანა მათ მისი ტარება და აღჭურვა ისინი საამისო ღონით. დააწყვილა ისინი მის საზღვრებთან, ქეემოდან სიცარიელე ჰქონდათ ამოგებული, ზემოდან კი წყალი ჰქონდათ მოწოლილი. შემდეგ შექმნა დიდებულმა ღმერთმა ძლიერმქროლავი ქარი, რომელმაც ააღელვა წყალი და ტალღები მიჯრით ერთმანეთს მიაწყო.

ქარიშხალი ამოვარდა და ხელახლა დაიწყო შორი წერტილიდან. მერმე უბრძანა ქარიშხალს, უზღვავი წყლები ერთმანეთზე მიეხეთქებინა და მთისოდენა ტალღები წარმოექმნა. ქარიშხალმაც ზღვის წყალი, როგორც სავსე ტიკები, ისე შეარხია და ერთმანეთს მიახლა და მათით ისე დაიწყო ქროლვა, თითქოს ცარიელ სივრცეში ამოვარდნილიყო. წყლის თავი ბოლოში მოაქცია და დამდგარი წყალი მოჩუხჩუხე წყალში აურია, ვიდრე უამრავი წყალი ზემოთ არ ამოვიდა და ნაპირებზე ქაფი არ მოიგდო. მაშინ დიდებულმა ღმერთმა ეს ქაფი უსაზღვრო სივრცეში და უკიდეგანო ჰაერში აამაღლა და შექმნა მისგან შვიდი ზეცა. ამათგან

ყველაზე უფრო ქვემოთა ქმნა ქაფმოდებულ ტალღებად, ხოლო ყველაზე უფრო ზედა - დაცულ სახურავად და ამაღლებულ ჭერად, რომელიც უბურჯებოდ დააფუძნა და უპალოებიდ გააძავრა. შერმე კი მორთო იგი ვარსკვლავთა სამკაულით და ცდომილთა სინათლით. და შეაცურა მასში ფრთვანი ლაპარი და მთვარე მანათობელი - მბრუნავ კაბადონზე, მოძრავ ჭერსა და ლივლივა ზედაპირზე.

### ანგელოზთა შესაქმე

შემდეგ გაპყო ერთურთისაგან მაღალი ზეცანი და აღავსო ისინი ანგელოსთა დასებით. მათი ერთი ჯგუფი მუხლმოყრილია და წელში არ იხრება, მეორე ჯგუფი წელში მოხრილია და არასდროს სწორდება, მესამე ჯგუფი კი მწკრივებად დგას და არ იძვირის ადგილიდან. გამუდმებით აქებენ უფალს და არ იღლებიან, თავს არ წაართმევთ ძილი თვალთა და დაბინდვა გონთა, სისუსტე ტანთა და უგულისხმობა დავიწყებისა. მათში არიან მცველნი მისი გამოცხადებისა და ენანი მისთა მოციქულთაკენ, სხვადასხვანი მისი მსჯავრისა და ბრძანებისათვის. და მათგან არიან მისთა მონათა მცველნი და ყარაულნი მისი წალკოტების კარიბჭებისა. მათგან არიან ისინი, რომელთაც ყველაზე უფრო დაბალ მიწაზე მყარად უდგათ ფეხი, ხოლო კისერი უმაღლეს ზეცამდე აუწვდიათ, მათი ბურჯები ქვეყნიერების გარეთ გადგმულა, მხრები კი ღვთის ტახტის დასაჭერად არის შესაფერი. მის წინაშე დაბლა დახრილა მათი მზერანი და მის ქვემოთ თვინიერად უწყვიათ ფრთები. ჩამოფარებულია მათსა და მათზე დაბალთა შორის ძლიერების საბურველნი და დიდების ფარდანი. ვერ წარმოიდგენენ თავიანთ უფალს წარმოსახვებით და ვერ მიაწერენ მას შექმნილთა ნიშან-თვისებებს; ვერ შემოსაზღვრავენ ადგილებითა და ვერ წარმოსახავენ მსგავსთა მეშვეობით.

### ადამის შექმნის ამბავი

შემდეგ შეკრიბა დიდებულმა უფალმა ფხვიერი და აყალო მიწა, სათესად ვარგისი და სათესად უვარგისი მიწა ნიადაგად, რომელსაც დაასხა წყალი, ვიდრე არ დაიწმინდა. შეურია მას თავისი წერწყვი და გახდა წებოვანი. და გამოჰკვეთა მისგან სახე ნაკვთიან-ნაწიბურიანი, მყესიან-ნაწევარიანი და გაამავრა ისინი, ვიდრე არ დამავრდნენ და გაამყარა ისინი, ვიდრე არ გამყარდნენ განსაზღვრული დროისა და დათქმული ყავლისათვის. შემდეგ კი ჩაპბერა მას თავისი სულისაგან და წარმოდგა ადამიანად, რომელსაც ჰქონდა აღქმის ორგანოები, რათა აღექვა მათით, აზროვნება, რათა განებჭო მისით, კიდურები, რათა გამოეყენებინა ისინი და სხეულის ნაწილები, რათა მოეხმარა ისინი. შემეცნება, რათა განესხვავებინა მისით ერთმანეთისაგან ცრუ და ჭეშმარიტი და ასევე გემოს, ყნოსვის, ფერისა და მასალის აღქმა. ნაზავად შემცველად სხვადასხვა ფერისა, ურთიერთშესაბამის ელემენტთა და

ურთიერთსაპირისპირო ნაწილაკთა და განსხვავებულ ნაერთთა: სიცი-ვისა თუ სიცხისა, თხევადისა თუ მყარისა.

და მოუწოდა ღმერთმა ანგელოზებს დაეცვათ ანაბარი და თავიანთი ალთქმა მასთან დადებული იმით, რომ ეღიარებინათ ადამი მუხლის მოყრით და პატივი მიეგოთ მისთვის მორჩილებით. და უთხრა (დიდება მასდაც!): „დაუჩრექეთ ადამსო და დაუჩრექეს თვინიერ იბლისისა“\*, რომელიც ამპარტავნებამ შეიძყრო და სიმდაბლემ სძლია, თავი მოიწონა ცეცხლისაგან შექმნილობით და დაამცირა ქმნილი მიწისაგან. და მისცა ღმერთმა ვადა, რათა უეჭველი ყოფილიყო სასჯელი, სრულქმნილიყო გამოცდა და პირობათა აღსასრულებლად. „და უბრძანა: შენ იქნები ერთ-ერთი, ვისაც გადაუვადეს, ცნობილი უამის დღემდე!“\*

მერმე დაასახლა დიდებულმა ღმერთმა ადამი სამკვიდროში, სადაც ყოფა საამურად უქცია და ადგილ-სამყოფელი უსაფრთხო გაუხადა. თუმცა, გააფრთხილა იგი იბლისსა და მის მტრობაზე. და აცდუნა იგი მისმა მტერმა შურით მისი ადგილ-სამყოფელისა და ნეტართა თანა მისი თანამოსაგრეობისა. და გაყიდა უეჭველობა მის ეჭვზე და დიდებულება მის დამცირებაზე. გადაცვალა სიხარული სივალალეზე და თავის მოტყუება სინანულზე. შემდევ გაუღო ალაპმა - დიდება მას! - კარიბჭე მონანიებისა, შეაგება მას სიტყვანი თავისი მოწყალებისა და დაპირდადაბრუნებას სამოთხეში, მაშინვე კი ჩამოაქვეითა განსაცდელთა სამკვიდროში და მემკვიდრეთა გასამრავლებელ სამყოფელში.

და აირჩია ალაპმა მისი შთამომავლობიდან წინასწარმეტყველნი. ჩამოართვა მათ ზეშთაგონებით ალქმა და მისი მოციქულობის ქადაგებით ერთგულებისა და რწმენის პირობა. რამეთუ მისმა მრავალმა ქმნილებამ გადაცვალა ალაპის მათთვის მიცემული ალთქმა და დაივინყა უფლის კუთვნილი. აირჩიეს ღვთის თანასწორნი, უფლისა თანა და ჩამოაშორეს შეითნებმა ისინი ღვთის მეცნიერებას და მოსწყვიტეს ღვთისმსახურებას.

და წარაგზავნა ღმერთმა მათში თავისი მოციქულნი და მიავლინა თავისი წინასწარმეტყველნი, რათა განეახლებინათ მათთვის თავიანთი დასაბამისეული ალთქმა და შეეხსენებინათ მათთვის მისი გადავინყებული სიკეთე. მტკიცებულებად მოეტანათ მათთვის ქადაგება, აემოქმედებინათ ის, რაც ჰერინდათ ჩამარხული გონებაში და მოეთხროთ მათთვის ძლევამოსილების დადასატურებელი სასწაულნი — მათ ზემოთ გადაშლილი ჭერის, მათ ქვემოთ დადებული აკვნის, მათი მაცოცხლებელი საარსებო სახსრების, მათი სიკვდილის ვადების, მათი მომახუცებელი გარემოებების, მათ თავზე მიჯრით მომხდარი ამბებისა.

და ალაპს (დიდება მასდაც!) არასოდეს დაუტოვებია თავისი შექმნილნი წარმოგზავნილი მოციქულისა და ზეგარდმოვლენილი წიგნის, აუცილებელი მტკიცებულებისა და მყარი საფუძვლის გარეშე, იმ მოციქულთა გარეშე, რომელთაც ვერაფერი დააკლო ვერც მათი რიცხვის სიმცირემა და ვერც მათ ცრუდ შემრაცხველთა სიმრავლემ. ზოგმა ადრინდელმა წინასწარმეტყველმა მომავალი წინასწარმეტყველი დაასა-

ხელა, ხოლო ზოგმა გარდასული დროის მივიწყებული წინასწარმეტყველი წარმოადგინა. ამრიგად, ერთმანეთს შეენაცვლნენ თაობები და გარდახდნენ ეპოქები, წავიდნენ მამები და მოვიდნენ შვილები.

ვიდრე ზეგადრმოავლენდა დიდებული ალაპი მუჰამადს – ალაპიმც აკურთხებს მასა და მის სახლეულს და გაუმარჯვებს! – მოციქულთა მისი რიცხვის დასასრულებლად და მისი მოციქულობის აღსასრულებლად; რომლის აღთქმა წინასწარმეტყველთათვის იყო მიცემული, ვისი ნიშან-თვისებებიც საყოველთაოდ იყო ცნობილი და დაბადება ყველასგან კურთხეული.

ქვეყნის მცხოვრებნი იმ დღეს იყვნენ ერნი დაფანტულნი, გულის-თქმანი ჭრელნი და გზანი დაქსაქსულნი. ალაპის მიმამსგავსებელნი მისთა შექმნილთათვის ან მისი სახელის უარმყოფნი და მის გარდა სხვისთვის დამრქმეველნი.

და ღმერთმა ჭემარიტ გზაზე დააყენა ისინი მუჰამადის მეშვეობით მათი გზააბნევიდან და იხსნა ისინი მისი შეძლებით მათი უმეცრებიდან.

შემდგომ აურჩია დიდებულმა ალაპმა მუჰამადს (ალაპიმც აკურთხებს მასა და მის სახელეულს და გაუმარჯვებს!) მასთან შეხვედრა და დააკმაყოფილა მისთვის იმან, რაც იყო თავის წიაღ, პატივით განაშორა იგი წუთისოფელს, ინება მისი განრინება გამოცდის ადგილიდან და პატივისცემით მიიბარა მისი სული. ალაპიმც აკურთხებს მასა და მის სახლეულს და გაუმარჯვებს!

და დატოვა მან თქვენ შორის ის, რაც დატოვეს წინასწარმეტყველებმა თავიანთ ერებში. და არ დაუტოვებიათ მათ ისინი გონიერებით, ცხადი გზისა და ურყევი ნიშნის გარეშე.

წიგნი თქვენი უფლისა თქვენთანაა – განმმარტებლად მისი ნება-დართულისა და აკრძალულისა, მისი მოვალეობებისა და უპირატესობებისა. მისი გამაუქმებელი და გაუქმებული აიებისა, დაშვებულისა და დაუშვებელისა, კერძოსი და საზოგადოები, შეგონებებისა და მაგალითებისა, დაუსაზღვრელისა და დასაზღვრულისა. მტკიცე\* და მიმსგავსებული აიებისა\*. განმმარტებლად მისი ბუნდოვანი წინადადებებისა და განმაცხადებლად მისი დაფარული აზრებისა. შორის იმისა, რისი ცოდნის აღთქმაც ჩამოართვა და იმისა, მონებს რისი უცოდინარობის ნებაც დართო. შორის იმისა, რისი ვალდებულებაც წიგნში დამტკიცებულია და რისი გაუქმებაც ადათში ცნობილია. რისი აღებაც სჯულში აუცილებელია და რისი დათმობაც წიგნში ნებადართულია. შორის თავის დროზე აუცილებლისა და მომავალში გაუქმებულისა. გამმიჯვნელად მისი აკრძალვებისა, მათ შორის დიდთა, რომელთათვისაც აღუთქვა თვისი ცეცხლი და მცირედთა, რომელთათვისაც დაპირდა მიტევებას. შორის იმისა, რისი მცირედიც მისაღებია და რისი უხვიც ნებადართული.

დაგაკისრათ თქვენ მისი იმ საკრძალველი სახლის მომლოცველობა, რომელიც დაადგინა კიბლად\* ხალხისათვის, რომელსაც გარს უვლიან, როგორც ოთხფეხნი და თავს აფარებენ მას როგორც მტრედი.

და დაადგინა დიდებულმა ალაპმა იგი ნიშნად მათი თავმდაბლობისა მისი დიდებულების წინაშე და მათგან მისი აღმატებულობის აღიარებისა.

და აარჩია ღმერთმა თავისი ქმნილებისაგან გამგონები, რომელ-თაც ყურად იღეს მისი მოწოდება, დაადასტურეს მისი სიტყვა, დადგნენ იქ, სადაც იდგნენ მისი წინასწარმეტყველნი და დაემსგავსნენ მისი ტახ-ტის გარშემო მავალ ანგელოზებს, რომლებიც იღებენ სარგებელს მისი მსახურების სავაჭროში და ერთმანეთს ასწრებენ მის წინაშე მისი მიტე-ვების დათქმულ ვადამდის.

და დადგინა ქააბა\* მაღალმა და დიდებულმა ღმერთმა ნიშანსვე-ტად ისლამისა და უსაფრთხო საფარად თავშესაფრის მაძიებელთა. სჯულისმიერ მოვალეობად გამოაცხადა მისი პატივის დაცვა და აუცი-ლებლად სცნო მისი მოლოცვა. დაგინერათ თქვენ ამისი ერთგულად აღსრულება და ბრძანი: „და ალაპისათვის ხალხზეა მისი სახლის მო-ლოცვა, იმაზე, ვინც შეძლებს მასთან მისვლას, ხოლო ვინც არ შეასრუ-ლებს, ალაპს არაფერში სჭირდება სამყარონი!“\*

## ქადაგება მეორე

### სიფინიდან\* დაბრუნების შემდეგ

ვადიდებ მას, მისი მოწყალების სიუხვისათვის, მისი დიდებულების მორჩილების გამო, მისი ურჩიბისაგან თავის არიდებისათვის, მას მივ-მართავ საშველად, რათა შემინახოს. რამეთუ გზას არ დაკარგავს ის, ვისაც იგი უწინამძღვრებს და ვერ გადარჩება ის, ვისაც იგი მტრად მო-ეკიდება. არასოდეს გაუჭირდება იმას, ვისაც იგი უზრუნველყოფს. ის არის ფასეული ყველაფერზე, რაც აიწონება და საუკეთესო, რასაც გან-ძად ინახავენ.

ვალიარებ, რომ არა არს ღმერთი თვინიერ ალაპისა, მხოლოსი და რომ არა ჰყავს მას თანაზიარი - აღიარებით, რომლის გულწრფელობაც გამოცდილია და რომლის სინამდვილეც დაჯერებული. მტკიცედ ვიდ-გებით ამ აღიარებაზე, ვიდრე გვამყოფებს ღმერთი და მას ვისაგზლებთ იმ განსაცდელთათვის, რომელიც შეგვემთხვევა. ის არის დიდებულება რწმენისა და გამდები სიქველისა. სათავე მოწყალე ღმერთის კმაყოფი-ლებისა და იარალი შაიტანთან საბრძოლველად.

და ვალიარებ, რომ მუჳამადი მისი მონა და მისი მოციქულია. რო-მელიც წარმოაგზავნა მან ნათელი სჯულით, ცხადი ნიშნითა და დაწე-რილი წიგნით. გამჭოლი სინათლით, მბრწყინავი შუქითა და მკაფიო ბრძანებით. აღსახოცად ეჭვებისა და მოსაშველიებლად ნათელი მტკი-ცებულებებისა, გამაფრთხილებლად სასწაულებით და დამაშინებლად მაგალითებით.

ეს კი იმ დროს მოხდა, როცა ხალხი საცდურებში გაბმულიყო, მოშ-ვებულიყო მათში თოკი სჯულისა და მოყანყალებულიყო სადგამი

რწმენისა. სჯულის საფუძველი იყო შერყეული და ვითარება აწენილ-დაწენილი. ვინო იყო გასასვლელი და სათავე - უხილავი. სწორი გზა უქმი და სიბრტმავე ყოვლისმომცველი. ეურჩებოდნენ მოწყალეს და ეწეოდნენ შაიტანს, გავერანდა რწმენა, გაჩანაგდა მისი საფუძვლები და განადგურდა მისი ნიმანსვეტები; გაცამტვერდა მისი გზები და წაიმალა მისი ბილიკები. დამეორჩილნენ შაიტანს, მისდიეს მის სავალს და შევიდნენ მის ნაკადულებში. მათთან ერთად იძვროდა მისი აღმები და აღმართულიყო მისი ბაირალები. ცდუნებებში, რომლებიც თელავდნენ მათ თავიანთი ფლოქვებით, ქელავდნენ ჩლიქებითა და ზედ უვლიდნენ თავიანთი ნალებით. და ისინი ამ ცდუნებებში იყვნენ თავბრუდახვეულნი, გაოგნებულნი, უმეცარნი და მონუსხულნი როგორც საუკეთესო სახლში, რომელსაც გარს ახვევია უავესი მეზობლები. მათი ძილი იყო უძილობა, ხოლო მათი ქუპლი\* - ცრემლები, იმ მიწა-წყალზე, სადაც მცოდნე - დადუმებული, ხოლო უმეცარი დაფასებული იყო.

\*

ხოლო მოციქულის სახლეული არის მისი საიდუმლოს ადგილი, მისი საქმის თავშესაფარი და მისი ცოდნის საცავი. ისინი არიან განმმარტებელნი მისი ბრძანებებისა, მღვიმენი მისი წიგნებისა და მთანი მისი სარწმუნოებისა. მათთ გაიშალა იგი ზურგში და მათთ მოიშორა ორჭოფობა თავის მოვალეობებში.

\*

მოციქულის მოწინააღმდეგებმა კი დათესეს ცოდვა, მორწყეს ის ტყუილით და მოიმკეს სატანჯველი. არ შეედრება მუჰამადის სახლეულს (ალაჰიმც აკურთხებს მასა და მის სახლეულს და გაუმარჯვებს!) არავინ ამ თემიდან და ვერ ეთანასწორება მათ ის, ვისაც ერგო მათი მოწყალება. ისინი არიან საფუძველი რწმენისა და ბურჯი უეჭველობისა. გზას აცდენილი მათთან მიბრუნდება და გზაში ჩარჩენილი მათ წამოენევა. მათია თავისებურებანი მართვა-განმგებლობის უფლებისა და მათშია ანდერძი და მემკვიდრეობა. ან დაუბრუნდა უფლება მის ღირსთ და გადაინაცვლა ისევ იქ, საიდანაც იყო წამოსული.

## ქადაგება მესამე

### რომელიც ცნობილია, როგორც შაკშაკია\*

ჰო, ღმერთმანი, შეიმოსა აპა, მავანი ხალიფათა შესამოსელით, ამ დროს კი იცის დანამდვილებით, რომ ჩემი ადგილი ხალიფობასთან ისევეა, როგორც წისქვილის ზედა დოლაბთან ქვედა დოლაბი. მე ვარ მთა მაღალი, ჩემგან ეშვება ნიაღვარი და ჩიტები ჩემს წვერამდე ვერ მაღლდებიან. თვით განვიმოსე სამოსელი ხალიფობისა და ამ საქმეს ჩემი ნებით ვაქციე გვერდი. დავფიქრდი ჩემთვის, ამ ორთაგან რა უნდა მექ-

ნა? მარტოდმარტო, შიშველი ხელით დამეწყო ბრძოლა თუ თვალდახუჭულს მომეთმინა უბედურება, რომელიც ასაკოვანს მიხრნილ მოხუცად, ხოლო ყმაწვილს ჭაღარად აქცევს და დაიტანჯება მისით მორჩეუნე, ვიდრე უფალს თვისას მიეგებებოდეს!

და დავინახე, რომ მოთმინება ამ ორში უფრო ბრძნული იქნებოდა და მოვითმინე, თუმცალა, თითქოს თვალში ხინვი და ყელში ფხა გამჩიეროდა. ვხედავდი ჩემს მემკვიდრეობას ნაალაფარად, ისე, რომ ნავიდა პირველი თავისი გზით და გაიყოლა ამ გზაზე მავანიც (მერმე მაგალითად მოიყვანა ალ-ა'შას\* სიტყვები):

**ჩემი დღე როგორ ემსგავსება დღეს ჯაპირის, ქიანის ძმისა,  
ჩემს ყოფასა და ჩემს ცხოვრებას რა უგავს მისას?**

საოცრებაა, იმას, ვისაც სიცოცხლეში სურდა დაეთმო ხალიფობა, როცა სიკვდილის ჟამმა მოუწია, მაშინ გადააბარა იგი სხვას (ხალიფობა დედალი აქლემი ეგონათ) და თითეული მის ჯიქანს ჩააფრინდა. ბოლომდე გამოწველეს და და ნაიყვანა მმართველობა მან ისეთი უსწორმასწორო გზით, რომ ბორძიკიც ხშირი იყო და ხშირი იყო მობიდიშებაც ამის გამო. ამ გზაზე მავალი დაემსგავსა ჯიუტ აქლემზე ამხედრებულს, რომლის ალვირსაც, თუ მაგრად მოქაჩავდა, დრუნჩებს წაუხდენდა, ხოლო თუ ნებაზე მიუშვებდა, გადმოვარდებოდა და თავ-პირს დაიმტვრევდა. და ალაპს ვფიცავ! ხალხი გაიტანჯა, შეცდომებს უშვებდა; სწორ გზას გადასცდნენ და მცდარი გზით ვიდოდნენ. მე კი მოვითმინე ამ ხანის სიგრძე და განსაცდელის სიმძიმე, ვიდრე სიცოცხლის გზა არ მოათვა და მერე კი დაუუდგინა ხელისუფლება ერთ ჯამაათს, რომელთა შორისაც, ამბობდა, რომ მეც ვიყავი.

და, ღმერთმანი, რა სათათბირო იყო ეს!

ვისაც ჩემი თავი აეჭვებდა პირველთან შედარებით, მაშ, ახლა როგორლა ვიქეცი ამათ თანასწორად?! მაგრამ მე მაინც ქვეითად ვიდოდი, თუ ქვეითად ვიდოდნენ და მივფირინავდი, თუკი მიფრინავდნენ, აი, ამათგან ერთი კაცი კი თავის ბოლმას აჰყვა, ხოლო მეორემ საკუთარი სიძე ამჯობინა, ასე ჭრეს და კერეს, ვიდრე არ ადგა მესამე\* და გვერდები არ გაისქელა; მხოლოდ სამზარეულოსა და საპირფარეშოს შორის დაეხეთქებოდა, მასთან ერთად კი მამისის შვილები იცოხნიდნენ ქონებას ალაპისას, როგორც აქლემები ცოხნიან გაზაფხულის ბალას. ვიდრე მისი გადანასკვული თოკები არ დაიხსნა, თავისმა ნამოქმედარმა არ გადაიყოლა და მუცელლმერთობამ ბოლო არ მოუღო.

ამასობაში მე არაფერი მეკითხებოდა, სანამ ხალხი აფთრის ზურგზე ბალანივით არ შემომეჯარა ყოველი მხრიდან, ისე რომ ლამის ფეხით გადამითელეს ჰასან-ჰუსაინი\*. და გაირღვა აქეთ-იქიდან ჩემი მოსასხმი, როცა ხალხი ცხვრის ფარასავით ჩემ გარშემო იყო თავმოყრილი. მაგრამ, როდესაც შევუდექი საქმეს, ერთმა ჯგუფმა აღთქმა გატეხა, მეორე ჯგუფი სარწმუნობიდან გარეთ გავიდა, მესამე ჯგუფმა კი

შუღლი წამოიწყო, თითქოს არც სმენოდათ ალაპის სიტყვები, სადაც იგი ბრძანებს:

„აი, ეს არის ზესთასოფელი, რომელსაც უუბოძებთ იმას, ვისაც არ სურს ამპარტავნება ქვეყანაზე და არცა ზიანი, ხოლო ბოლო ღვთისმო-შიშებისაა.“\*

როგორ არა! კიდეც გაიგონეს და კიდეც გაიგეს ეს ნათქვამი, მაგრამ ტკბილი იყო წუთისოფელი მათ თვალში და თვალსა სჭრიდათ მისი რიოში სამკაულების ბრწყინვალება.

ვფიცავ იმას, ვინც გააპო მარცვალი და შექმნა სულიერი, რომ არა მომსვლელის მოსვლა და წარმოდგენა მტკიცებულებისა შემწის არსებობის თაობაზე, ასევე ის, რაც დააკისრა ალაპმა მეცნიერთ, რომ - ნუ შეეგუებიან სიმაძლეს მჩაგვრელისას და შიმშილს ჩაგრულისა, - ხელს გავუშვებდი ხელისუფლების თოქს და მის ბოლოსაც იმავე თასით მოვუკლავდი წყურვილს, როგორც მის დასაწყისს. მაშინ კი გაიგებდით, რომ თქვენი ეს წუთისოფელი ჩემთვის უფრო უფასურია, ვიდრე თხის კიკინი.

(ამბობენ: აქ მიეახლა მას ერთი კაცი ერაყის გარშემო მდებარე სოფელთაგან, როცა მან თავის ქადაგების ამ ადგილამდე მიაღწია და გადასცა წერილი (სადაც, როგორც თქვეს, იყო შეკითხვები, რომელზე-დაც კაცს სურდა პასუხის გაცემა) და დაიწყო ამ წერილში ყურება, ხოლო როდესაც გაასრულა მისი კითხვა, უთხრა იბნ აბასმა\*: „მართლმორწმუნეთა მბრძანებელო, ეგებ, განგეგრძოთ თქვენი ქადაგება იქიდან, სადაც შეწყვიტეთო!“ მიუგო: „ჰო, აბასის ძევ, ეს აქლემის ზახილი იყო, ყელიდან ამოსკდა და მიწყნარდა მალევი!“

და თქვა იბნ აბასმა: ღმერთმანი, არასოდეს არავის ნათქვამზე არ დამწყვეტია გული, როგორც მართლმორწმუნეთა მბრძანებლის ამ ქადაგებაზე, რადგან მინდოდა ბოლომდე ეთქვა ის, რაც ენადაო!

### განმარტებანი:

შდრ: ყურანი, სურა II, აია 34.

შდრ: ყურანი, სურა XV, აია 37-38.

**მტკიცე (მუჰკამ)** - მუსლიმური თეოლოგის ტრადიციული განმარტებით, ისეთი აიებია, რომელთა შინაარსიც სავსებით ცხადია და გაგებისათვის არანაირი სხვა დამატებითი არგუმენტის მოხმობას აღარ საჭიროებს.

**მიმსგავსებულნი (მუთაშაბბიჰ)** - ეწოდება ისეთ აიებს, რომელთა შინაარსი ორაზროვანია და მათი გაგება მათივე მსგავსი შინაარსის სხვა აიების მოშველიებას საჭიროებს.

**კიბლა** - მიმართულება, საითაც სარიტუალო ლოცვისას დგებიან მუსლიმები.

**ქააბა** - მუსლიმთა მთავარი ტაძარი მექაში.

შდრ: ყურანი, სურა III, აია 97.

**სიფინი** - ადგილია ზემო მესოპოტამიაში, ერაყში, ევფრატის მარჯვენა სანაპიროზე, სადაც 657 წლის ზაფხულში გაიმართა ბრძოლა ალის მომხრეებსა და სირიის მმართველის, აბუ სუფიანის ვაჟის, მუავიას სამხედრო დანაყოფებს შორის.

**ქუპლი (იგივე სურმა)** - ნივთიერება, რომელსაც აღმოსავლეთში, კოსტეტიკური და სამედიცინო მიზნებით, ტრადიციულად გამოყენებ-დნენ თვალებზე წასასმელად.

კომენტატორთა აზრი ამ ადგილის გაგებისას ორად არის გაყოფილი: ერთნი მიჩნევენ, რომ ორობით ფორმაში დასმული სახელი „ჰასასანანი“ აქ გულისხმობს ჰასანსა და ჰუსაინს – ალი იბნ აბი ტალიბის ვაჟებს. კომენტატორების მეორე ჯგუფის აზრით, აქ იგულისხმება არა ჰასანი და ჰუსაინი, არამედ ეს არის სიტყვა „ჰასან“, რაც ნიშნავს „მკლავის ძელებს“ და, შესაბამისად, ადგილი უნდა ითარგმნოს, როგორც: „ლამის მკლავები გადამიმტვრიეს“.

**შაკშაკა** - ჰქვია იმ ხორცის ნაჭერს, რომელიც აქლემს ხმამაღალი ყვირილისას პირიდან უვარდება. ამიტომაც არაბები როდესაც ვინმეს მოიხსენიებენ ეპითეტით, რომ ის არის „ზუ შაკშაკა“ (შაკშაკიანი, შაკშაკოსანი) ეს აღნიშნავს იმას, რომ იგი დახელოვნებული ორატორი, ენაწყლიანი მოსაუბრება. აღნიშნულ ქადაგებასაც ამიტომ ჰქვია „შაკშაკია“.

**ალ-ა'შა** - აბუ ბასირ მაიმუნ იბნ კაის ალ-ბაქრი (530- დაახლ. 629) - ისლამამდელი არაბი პოეტი, არაბული პოეზიის ჰედონისტური მიმართულებისა და „ხამრიათის“ - ლვინის პოეზიის - ფუძემდებელი.

შდრ: ყურანი, სურა XXVIII, აია 83.

**იბნ ალ-აბბასი** - აბუ-ლ აბბას აბდ ალ-ლაპ ბნ იაბბას ალ-კურაიში (619-686) - მუსლიმური ტრადიციის მიხედვით, ისლამის ეგზეგეტიკის ფუძემდებელი, მუჰამად მოციქულის ბიძაშვილი, აბბას იბნ აბდ ალ-მუტალიბის ვაჟი.

لَعْنَدِيْسِيْ وَعَذَقَهُوْسِيْ دَدَ مَوْعِدِيْسِيْ (هَادِلَهُوْرِيْ)  
بَرَرَهُوْ تَدَعَّلِيْ تَارَغَهُوْسِيْ سَقَارَسَعَلَهُوْ دَرَمَدَهُوْ سَدَرَتَهُوْسِيْ دَدَ  
سَدَوْهُوْ سَعَلَهُوْسِيْ دَدَ

## شعر عامیانه پلنگ و جوانمرد

ترجمه منثور از گرجی به فارسی به کوشش دکتر نومادی بارتایا و  
دکتر سعید مولیانی

جوانمرد برنا حکایت کرد:

فراز و فرود و گذرگاههای سخت نخجیر را برای شکار زیر پا نهادم.

ورای صخره ای سخت و صعب، دسته ای کل ندیدم.

سردسته و بزرگترین گله را با تفنج خویش نشانه رفتم.

غرش تفنج همان و فرو افتادن کل به ته دره همان،

سر و صدای برخورد شاخهای بزرگ با دیواره صخره های کوهستان

به وضوح شنیده میشد.

از بالای صخره ها برای دیدن شکار خویش راهی فرودست شدم.

در راه در اندیشه‌ی شکار خویش بودم که، به نگاه به کنام پلنگ برخوردم.

پلنگ با نگاه نافذ و ایزدی گونه<sup>۱</sup> خویش به سویم خیز برداشت.

جوانمرد خام و پلنگ تیز چنگ گلاویز شدند.

زمین زیر پای آنها میلرزید،

صخره ها فرو میریخت،

شاخه های درختان چنگل در هم می شکستند.

زمان بسیار تیز پلنگ بود،

جوان سپریش را پیش رو می گرفت،

تا از چنگل تیز پلنگ در امان باشد،

اما سودی نداشت.

چیزی را پارای مقابله با توان و چنگل تیز پلنگ نبود.

پلنگ چون برق از سویی به سوی دیگر می جهید،

و با چنگالهای قوی اش تن و دامن جوان را می درید.

جوان شمشیرش را از نیام کشید و پلنگ را زخمی کرد.

در فرهنگ گرجی پلنگ جایگاه بسیار خاصی دارد. در اساطیر پلنگ نگاهی ایزدی و ماوراء‌الطبیعت و در صورت شکار پلنگ، آن را با مراسم خاصی دفن می کردند، همانند مرد بدان لباس پوشانده و با مراسم و آیینی خاص بدان می گریستند.

مبارزه سختی در جریان بود.  
 از سویی پلنگ با پنجه های قوی و از سویی دیگر  
 جوان با شمشیر آخته،  
 اما مبارزه هر دو را بی رمق کرد.  
 دو مبارز چنان خسته شدند که بی رمق به خاک افتادند.  
 پلنگ زخمی از سویی به صخره ای آویزان گشت.  
 خون همچون جویی از وی روان بود.  
 صخره ها و شنهای میدان مبارزه با خون پلنگ و جوان سرخ فام گشت.  
 جوان هم خسته و کوفته وزخمی از سویی دیگر افتاده بود،  
 در حالی که نفسهای آخر را می کشید،  
 و خونش همه جا سرخ گون ساخته بود.  
 خون از سر و تن او جاری بود.  
 اکنون چه کسی مادر پیر جوان را از آنچه روی داده، آگاه می کند؟  
 خطیبان زده را نیز این امر سخت باشد،  
 چراکه شرح ماجراهای هماوردانی که جانانه جنگیدند و تلاششان بیهوده نبود،  
 برای هر خطیب و مخبری سهل نیست.

مادر جوانمرد با چشمانی اشکبار  
 می گشت و زمزمه می کرد:  
 پلنگی غصب آلد و خشمگین، با فرزندم گلاؤیز شده است.  
 فرزندم با شمشیر و پلنگ با پنجه های قوی  
 در مبارزه ای سخت، روز را به شب رسانده اند.  
 پلنگ قوی پنجه بود و لکن  
 فرزند من نیز در شجاعت و قدرت از او کمتر نبود.  
 پلنگ و فرزندم چنان شجاعانه رزمیده اند  
 که هیچکدام شرمسار نیستند.

مادر گریان زخمهای پرسش را که از چنگالهای نیز پلنگ برداشته بود،  
 تیمار می کرد،  
 و چنین می گفت:  
 فرزندم تو نمرده ای، تو خوابی، خسته ای از رنج رزم  
 جگرگوش ام، آه که چگونه پلنگ خشمگین جوشن تنت را دریده است.  
 اما چه جای افسوس است؟  
 تو نیز هماورد شایسته ای بوده ای.  
 شمشیرت در مبارزه کند و فرسوده گشته است.  
 پلنگ تیز چنگ امانت نمی داد،  
 اما تو هم به او فرصت نمی دادی.

صد حیف که سپر آهینیت نتوانست، تنت را در امان نگه دارد.  
تن و دست پلنگ هم از آسیب تو در امان نبود،  
شمشیر استخوانهای او را مثله کرد.  
کنون بیش از این نمی گریم. خدا نگهدارت باشد.  
این رزم و حادثه تو را دروازه جاودانگی گشت  
گرچه من تنها یک فرزند داشتم،  
اما پر از غرورم که فرزندی هماورد و همرزم پلنگ را پروریدم.

گاهی پلنگ و گاهی فرزندش در پیش چشمش ظاهر می گشت.  
دمی پلنگ جوشن از تن پسر می درید،  
و دمی پسر پلنگ را به سوبی می افکند.  
مادر در حالی که زار و نزار این رویاها را می دید،  
با چشمانی اشکبار به خود آمد و گریان می گوید:  
کو فرزندی که ورا مادری نباشد؟  
شاید مادر پلنگ نیز اکنون همچون من تلخکام می گرد.  
سزاست به نزدش بروم و او را تسليت گویم.  
او نیز قصه‌ی فرزندش را برایم حکایت می کند.  
من نیز سرگذشت فرزندم را برایش می گویم.  
بی تردید او نیز غرق ماتمست.  
در عزای فرزندش که شمشیر جفاکار فرزندم او را دریده است.

## Vaja Pşavela, Kaya Yalnız Bir Kez Söyledi

*Türkçeye çeviren Meri Tsiklauri*

ვაჟა-ფშაველა, კლდეგმბოლოდ ერთხელ სოქვა  
თარგმანი თურქულად მერი ნიკლაურისა

"Merhaba" diye birkaç defa tekrarladım kocaman, korkunç kayaya, ama aldırmadı; Hiç bir şey olmamış gibi sakinane durmaktadır.

- Ne oldu, uyudun mu, öfke ve sıkıntıyla dolu, kinci, mutsuz kara kaya?! diye bir daha söyledim - Ben, insan sana selam veriyorum, niye özür dilemezsin?

Kaya kaşlarını çatıp yukarıdan baktı ve: - Özür mü? Size göre özür ne demek?- dedi. Evet, biliyorum, biliyorum ... Siz, insanlar birbirlerine her gün selam veriyorsunuz, ama birbirlerini mahvetemeye hazırlırsınız. Bense Kaya olduğum için boşboğazlık etmiyorum. Sana hoş geldin canım, sevgilim, gözbebeğim söyleseydim, çok memnun ve minnettar kalirdım, değil mi? Sen acemi bir adamsın, hiç tecrübe yok, daha çok şey bilmiyorsun, çok...

- Biz, insanlar buna nezaket diyoruz, özür dilemeye mecburuz.

- Hm, hm, hm! hevessiz güldü kaya. Terbiyesizlere kim nezaket verdi?! Birbirlerini yeyip öldürürsünüz. Kaya cahil, bir şeyi anlamıyor diye mi düşünüyorsunuz? Biliyorum, biliyorum... Çoktanberi dünyayı buradan izliyorum... Orada döküldüğü bütün kan ve gözyaşları yüreğimde birikiyor. Doğada benden çirkin ve yakkıksız bir şeyin olmadığını düşünüyorsunuz. Dağa bakarken beni görmek istemiyorsunuz. Güzel, gözalıcı şeyleri - çiçek, ot ve başka - bulmaya çalışıyorsunuz. Siz kalbimi görmelisiniz; Oraya bakmalısınız! Belki o zaman size o kadar da çirkin gelmem ve benden nefret etmezsiniz. Eğer umudunu kesmiş biri tepeme çıķıp Kendimi buradan atayım ve ıstırabımı bitireceğim dese, ölümün bütün dehşetli görüntülerini gözlerinin önüne getiririm. Bırak bunu, yapma! - yalvarırım. Yapmazsa çok iyi, yapsa da canı eteğimde çıkar. Bu saniyeler yüreğime zehir damlaları gibi sızar ve ben anlatılmaz bir ıstırap çekiyorum. Bundan dolayı her zaman abus ve dilsiz duruyorum. Huzurum kayboluyor, sevincin ne olduğunu bilmiyorum; Hiç nankör ve kindar değilim. Beni iftira ederek günah etmeyin!...

- Ah, ne güzel konuşuyorsun! Keşke köye gelsen de bütün bunları köy halkına söyleseyen! Ne kadar büyük bir iyilik yapabilirsin!.. Halkın senin gibi konuşana ihtiyacı var; İnsan insana inanmaz. Kayanın konuşmasını görseler dikkatle dinlerler. İnsanları meleğe döndürebilirsin, buna yürekten inanıyorum; Hiç şüphem yok. Tabiidir ki orada da öyle vakarla konuşursan.

- Ama sen tecrübesiz olduğundan daha çok şeyi bilmiyorsun. Başarımin süresi çok kısa olur. Az zaman sonra yine iftira, kin... "Kaya insan gibi konuşabilir mi hiç?! Hem de böyle akıllica... Şeytan olmalı", diyecekler ve bitti... Sonra

kazma, çekiç... Kırın, parçalayın kayayı; Kullanın isteğinizi üzerine... Temel atın, duvarları yapın, mezar taşlarını kesin... Doğru söylüyorum, değil mi? Düşün, bakalım, iyice düşün!... Öyle olmasaydı insanların bütün suç ve günahlarını dünyanın önüne koyup gösterirdim. Ama biliyorum ki, emeğim boşça çıkacak.

İnsan yanlış yapmalı ki, sonra düzeltsin; Günah etmelii ki, sonra çıkarsın, pişmanlık çeksin; Hayat bu! Evet, gördüğümü görmeseydim, insana bütün zihnin ve duygusunun zayıflığını gösterirdim. Ondan sonra ben de yıkıldım; Hayatımın da artık gerekligi kalmazdı; Sakinleşip bu dünyaya gözlerimi kapardım; Ebediyen dinlenirdim.

- Ah! senin yerinden kimildamani, köy halkın öününe çikip konuşmayı candan istiyorum. Ne kadar güzel bir görüntü olabilirdi... Pek çok insan, aralarında duran kaya vakar ve gururla konuşuyor... Biz birinin kesinliğini ve sağlamlığını belirtmek için: " Kayadır, asıl kaya" diye söylüyoruz. Şimdi tasavvur et, şahsen kaya konuşuyor... Ne olur o zaman? Mucize yaparsın, değil mi? Ama sen yerinden kimildamıyorsun. Kimildasam büsbütün yıkılırm diye korkuyorsun.

- Benim söyleyeceğimi kendin söyleyemez misin?

- neyi, mesela?

- Sadece üç kelime: "Birbirlerini sevin, insanlar!" Sana ve dünyaya yeni bir şeyi mi öğrettiğimi sanıyorsun?! Ama bu sözleri herkes dikkatle dinlemeli! Evde ve dışarıda bu ses işitilmeli! Her anne beşikteki çocuğuna bunu defalarca tekrarlamalı! Öyle ki bu sözler insanın kalbinde benim göğüsündeki su ve çığ izleri gibi hiç silinmeden ebediyen kalsın. Daha doğrusu, insanlar tarafından kalp denilen o küçük et parçası tek bir kelimeye dönsün - "sev!"

Bu sözleri söylediğinden sonra kaya sustu. Aşağı talveglerden yükselen kara, kapkara duman onu büsbütün kapladı. Benimle bir daha konuşması için çok yalvardım, ama kulak vermedi.

Dağ tepesinden soğuk bir rüzgar esmeye başladı. Yüzüme püskürülén yağmur damlaları gözyaşlarına katılıyordu...

Bundan sonra kayaya konuşmak umuduyla buraya sık sık geliyorum, ama boşuna; Evet, boşuna. Kaya ne sesini çıkarıyor, ne de kendini gösteriyor; Kara dumanlarla zırhlanıp saklıyor...

## Vaja-Pşavela, Yüce Dağlar

*Türkçeye Çeviren Asmat Japaridze*

ვაჟა-ფშაველა, მთანი მაღალნი

თარგმანი თურქულად ახმათ ჯაფრიძისა

Dağlar durup bekliyorlardı. Bekleyişleri sonsuzdur, ucsuz bucaksız bir deniz gibi dalgalandırmıyor içlerinde. Pihtilaşmış kırmızı kan gibi çarpıntı yapıyor göğüslerinde. Dış görünüşlerine bakılırsa bir arayış, bekleyiş içinde oldukları hiç belli olmuyor. Bize karşı düşmanca tavır almışlar. Zaten budur bekleyişlerinin belirtisi. Kim bilir, nasıl bir dert içindeler? Nasıl bir ateşle yanıp kavruluyorlar?

Dağlar, dağlar, ne bekliyorsunuz? Kimi bekliyorsunuz? Belki uzun zamandır görmediğiniz sevgiliniz var? Belki çocuğunuza kaybettiniz? Belki kardeşiniz veya anneniz uzaklardadır ve onlardan haber gelmiyor? Dağlar cevap vermiyorlar. Mühürlediler kalplerini, kimseye açmıyorlar. Gözünü bile kirpmadan duruyorlar. Bekliyorlardı, bekliyorlar ve daha da bekleyecekler. Kalplerinde deniz gibi sınırsız bekleyiş hiç biter mi? Ne sonu var, ne de başı, Tanrı gibi.

Sadece her canlı, böcek, ot, çiçek, nehir ve yerinde duramaz, yorulmak bilmeyen yel uyuduğu zaman dağlar içini çekip gözyaşlarını döküyorlar. İşte o zaman biz, insanlar, “keder içime ağır bir taş gibi takılıp kaldı” diye söylüyoruz.

Niye şarkı söylemiyorsunuz, dağlar? Sesinizi, şarkınızı duymadan öleyim mi, acaba? Niye gülmüyorsunuz? Tebessümü bile göreyim yüzünüzde, benim dünya güzellerim. Nasıl oldu da, tek bir düşünceye kaptırdınız kendinizi, tek bir fikre meyledip eğildiniz. Onun dışında hiçbir yaşam belirtisi göstermiyorsunuz. Başka bir şeye gönül vermiyorsunuz, aklınız başka bir şeye ermiyor. Yok artık. Ara sıra siz de seviniyorsunuz. İnsanlar ise sizin hiçbir şey hissetmediğinizi zannediyorlar. Muhteşem kartal başınızda kanadını açıp yamaçlarına konunca içinde sevinçten mumların yandığını biliyorum. Ne kadar güzel oluyorsunuz o zaman. Ne kadar size yakışıyor büyüttüğünüz yavrunuz. O da sizin gibi cesur, sebatlı ve güzeldir. O elçilik de yapıyor. Sizden Tanrıya haber ve bilgi taşıyor...

Düşünceniz, fikriniz, duygunuz yok mu? Hayal kurmuyor musunuz? Tabii ki kuruyorsunuz. Ya göğsünüüz güzelleştiren mükemmel çiçekler nedir? Onlardır sizin hayaliniz, umudunuz, teseliniz. Eğer gizli gizli bir şeyi düşünmüyorsanız ve düşüncelerinizi insanlardan saklamıyorsanız, neden yoğun sise bürünüyorsunuz, neden otları yetiştiryorsunuz, soğuk suları akıtıyorsunuz, çığları koparıp yuvarlıyorsunuz, honaları, dağ keçilerini besleyip büyütüyorsunuz? Kimi aldatıyorsunuz, acaba?

Durup bekliyorlar. Başlarına yağmur yağıyor, yıldırım çarpiyor ve saç tutamını yakıyor, şimşek gözleri ile oynuyor ve sık olarak göğüslerine saplanıyor. Önemli değil. Bazen dağın yarısı yıkılıyor ve çığ olarak uçuruma gidiyor. Orada

onu kaya ve külçeler bile bekliyorsa, yine de önemli değil. Gidin. Aramızda, yukarıda, göye yakın olmak istemiyorsanız, aşağıya gidin, orada yatın.

Kar yağıyor. Hava dona çekiyor. Soğuk. Buz tutuyor. Soğuktan taş çatıyor. Dağlar kefen giymiş gibiler, ölmüşler sanki. Bizi gömün, arkamızdan ağıt yakın – diye bize sesleniyorlar. Biz ise gömmeyi onlardan bekliyoruz.

Durup bekliyorlar. Kalpleri sizliyor, içleri çok acıyor, ancak ne ölüyorlar, ne de hastalıyorlar. Bekliyorlar. Hiç bir şey yapmadan sadece bekliyorlar. Neyi ve kim? Bir şey bekliyorlar. Evet, bir şey. Bu bir şey ise görünmezin görülmesidir. Gözün ve kalbin erebildiğini gördüler. Gönülleri ve gözleri artık aklın ermediği şeyleri görmeyi arzu ediyor. Bu ise gözün ve gönlün doymazlığıdır, değil mi? Tabii ki, doymazlıktır.

გახსენება

**Remembrance**



## მაგალი თოდუა

89 წლისა გარდაიცვალა გელათის მეცნიერებათა აკდემიის აკადე-  
მიკოსი პროფესორი მაგალი თოდუა.

მსოფლიოში სახელგანთქმულმა ირანისტმა ორი მიმართულებით  
იღვაწა - საშეცნიერო და მთარგმნელობითი, და ორივე მიმართულებით  
წარუშლელი კვალი დატოვა.

აღმოჩენათატოლფასი, ზოგჯერ სენსაციური იყო მისი ისეთი მეც-  
ნიერული ნაშრომები, როგორიცაა:

„XII საუკუნის ქართველ მეფეთა და სახელმწიფო მოღვაწეთა ტი-  
ტულები და სახელობი“,

„XII-XIII ქართველ მეფეთა და სახელმწიფო მოღვაწეთა მიმოწერა  
მახლობელი აღმოსავლეთის სულთნებთან“,

„ზაჰირ ალ-დინ თაფრეშის საჯარო პაექრობანი მაკარიოს ანტიო-  
ქიელსა და სხვა ქრისტიან მოღვაწებთან თბილისა და ლილოში“,

„ქართული წრმოშობის სპარსელი პოეტები“,

„ქართული ნეკროპოლი ირანში“,

„ალექსანდრე ბატონიშვილის საფლავი“. „

„უცნობი პოეტი იასე და მისი „სამეცნიერო“ და სხვა.

ასეთივე რეზონანსი ჰქონდა მაგალი თოდუას ყველა ნაშრომს. მა-  
გალითად, რომელიც ეხება იესოსა და მარიამის სახეს სპარსულ პოეზი-  
აში. სპარსელი პოეტები ხომ განადიდებენ იესოსა და მარიამს, მაგრამ  
მაგალი თოდუასგან გავიგეთ, რომ, თურმე, ზოგიერთი მათგანი თავის  
მხატვრულ სტრიქონებში იესოს უფრო ხშირად განადიდებს და ახსე-  
ნებს, ვიდრე მუჟამადს.

ქართული ირანისტიკის, ისე, როგორც ზოგადად ქართული აღმო-  
სავლეთმცოდნეობის, პრიორიტეტული მიმართულებაა ქართულ-ირა-  
ნული ურთიერთობების კვლევა. ამ მხრივ მაგალი თოდუაგახლავთ  
ბრწყინვალე გამგრძელებელი თავისი დიდი მასწავლებლების: იუსტინე  
აბულაძის, ვლადიმერ ფუთურიძისა და დავით კობიძის გზისა. ამის დას-  
ტურია მისი ფუნდამენტური გამოკვლევანი „ქილილა და დამანსა“ და  
„ვისრამიანის“ შესახებ, ირანელ შაპთა ფირმანების ქართული თარგმა-  
ნები და მრავალი სხვა.

ირანისტიკაში თაობათა აღმზრდელმა მაგალი თოდუამ, თავისი  
მოღვაწეობის ერთი ნაწილი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტში გაატარა, მეორე კი საქართველოს მეც-  
ნიერებათა აკადემიის გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთ-  
მცოდნეობის ინსტიტუტში.

მაგალი თოდუას ხელმძღვანელობით არაერთი დისერტაცია მომზადდა ირანისტიკაში.

მოხდა ისე, რომ გასული საუკუნის სამოც-სამოცდაათიან წლებში, კულტურული თანამშრომლობის ფარგლებში, საბჭოთა სპეციალისტთა მცირე ჯგუფს მიეცა საშუალება გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მიღებისა, რომელშიაც საქართველოდან მოხვედრის ბედნიერება მაგალი თოდუას ხვდა წილად.

ეს იყო პირველი შემთხვევა ქართველი ირანისტის ირანში ჩასვლისა, რომლის შედეგებიც დღეს შარავანდედად ადგას მთელ მის მოღვაწეობას.

რაც შეეხება მაგალი თოდუას როგორც მთარგმნელს.

იმ ქვეყანაში, სადაც რვა საუკუნეა ითარგმნება სპარსული პოეზია, სპარსული ლ ი რ ი კ ი ს გემოპირველადმა გალი თოდუას თარგმანებით შეიტყო ქართველმა მკითხველმა, და აი, რატომ:

ცნობილია, რომ სპარსული პოეზია მეთორმეტე საუკუნიდან ითარგმნებოდა ქართულად, მაგრამ ითარგმნებოდა მხოლოდ ეპიკური ჟანრის ნაწარმოებები. სპარსული ლირიკის თარგმანას კი, მხოლოდ მეოცე საუკუნის დასაყისში, ამბაკო ჭელიძის თარგმანებით ჩაეყარა საფუძველი.

რა თქმა უნდა, ესდოდი მოვლენა იყო ქართული მთარგმნელობითილიტერატურის ისტორიაში, თუმცაალნიშნული თარგმანებიმაინც უფრო ინფორმაციულხასიათს ატარებდა და, მხატვრულობის თალსაზრისით, მხოლოდ გარკვეულ დონეზე აკმაყოფილებდა მკითხველის გემოვნებას.

მაგალი თოდუა აღმოჩნდა ის მთარგმნელი, რომელმაც ამოავსო სპარსული ლირიკის თარგმანებშიარსებული მხატვრულად ამორფული სივრცე და ქართველ მკითხველს პირველად შეატყო სპარსული კლასიკური ლ ი რ ი კ ი ს გემო.

მაგრამ მარტო ლირიკის თარგმნით არ შემოფარგლულა მაგალი თოდუა, მან ქართულად გადმოიღო ნიზამი განჯელის პოემები, ნაწყვეტები ფირდოსის „შაჰნამედან“. გარდაცვალებამდე რამდენიმე თვით ადრე კი, მ დაუღალავმა მხატვრული სიტყვის ოსტატმა, გამოაქვეყნა, აბდ ორ-რაჰმან ჯამის პოემა „იოსები და ზოლეიხას“ თარგმანი პროზად, რომელიც, ალბათ, სხვა მის თარგმანებთნ ერთად, ოქროს ასოებით შევა ქართული მთარგმნელობითი ლიტერატურის ისტორიაში.

ცალკე აღნიშვნის ღირსია მაგალი თოდუას მიერ არაჩვეულებრივი სისადავით გადმოცემული „ვისისა და რამინის“, „ქილილა და დამანას“, „შაჰნამეს“ ნაწილების და სხვათა სპარსული მხატვრულ ნაწარმოებები, რომლებიც, შეიძლება ითქვას, ერთი ამოსუნთქვით იკითხება.

მაგალი თოდუა არ გახლდათ სენაკში ჩაკეტილი, ფოლიანტებში თავჩარგული ბერი, არამედ იყო მეტად აქტიური და ინიციტივიანი საზოგადო მოღვაწე, მაგალითად:

ნლების განმავლობაში იგი იყო აკაკი წერეთლის ქუთაისის სახელ-მწიფო უნივერსიტეტის რექტორი.

მისი ინციატივით უნივერსიტეტში, დაარსდა დიალექტოლოგის ინსტიტუტი, რომლის საერთაშორისო კონფერენციათა ცხრამეტი ტო-მი ამშვენებსს დღეს ქართული წიგნის თაროს.

ასევე მისი ინიციატივით დაუმეგობრდა ერთმანეთს ქუთაისისა და გილანის უნივერსიტეტები, რის შედეგადადც ირანში საფუძველი ჩაე-ყარა ქართველოლოგიას.

მაგალი თოდუას ინიციატივითა და მისსავე ბწყარედულ თარგმან-ზე დაყრდნობით, თარგმანა იუსეფფურმა სპარსულად „ვეფხისტყაოსა-ნი“.

მაგალი თოდუას ინიციატივით, რვა საუკუნის მერე, ალდგენილ იქ-ნა გელათის მეცნიერებათა აკადემია, რომლის პრეზიდენტიც თავად იყო წლების განმავლობაში.

მაგალი თოდუა იყო უურნალების: „გელათის მეცნიერებათა აკადე-მიის ჯურნალი“, „ქართველოლოგია“ და „არმალანი“ დამაარსებელი და რედაქტორი.

მაგალი თოდუამ არამატერიალურთან ერთად, მატერიალური ძეგ-ლიც დაუტოვა ქვეყანას. ორი ათეული წლის წინ, რექტორობის დროს, ქუთაისის უნივერსიტეტის ეზოში საფუძველი ჩაუყარა მან ეკლესის მშენებლობას, რომლის სამრეკლოდანდღეს უკვეგაისმის ზარების ხმა.

მაგალი თოდუა იყო საოცრად თბილიდა ემოციური ადამიანი, ჭირსა და ლხინში თანამდგომი.

შეგეგებებოდა ყოველთვის ღიმილით.

იყო ხალისიანი დაიუმორით სავსე.

ყოველთვის რაღაც ახალს გაიგებდი მისგან.

მასთან ყოველი შეხვედრაიყო ზეიმი.

გამოცემაზე მუშაობდნენ:

მარინე ჭყონია  
ნათია დვალი  
მარიამ ებრალიძე

Prepared for publication by:

Marina Chkonia  
Natia Dvali  
Mariam Ebralidze

0179 თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი 14  
14, Ilia Tchavtchavadze Avenue, Tbilisi 0179

Tel: 995 (32) 225 14 32

[www.press.tsu.edu.ge](http://www.press.tsu.edu.ge)

